

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თინ. უარაძენიძე

თანამედროვე ენათმეცნიერების
თეორიული საკითხები



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1972

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ავტორის ბოლო-დროინდელ შრომათა კრებულს. მასში განხილულია თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიის რამდენიმე ძირითადი საკითხი. ეს საკითხებია: ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი, სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტი, ენათა ტიპოლოგიისა და ენობრივი უნივერსალების რაობის საკითხები, ენათა აღწერის პრინციპები და სხვ. მოცემულია აგრეთვე ამერიკული სტრუქტურალიზმის შეხედულებათა კრიტიკული ანალიზი.

წიგნი განკუთვნილია ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტათვის და, საერთოდ, ენათმეცნიერების თეორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

წი ნ ა ს ნ ი ტ ყ ვ ა ო ზ ა

წინამდებარე წიგნში ჩვენ განზრახული გვქონდა შეგვეტანა შრომები, რომლებიც უკანასკნელი 10—12 წლის განმავლობაში დავამუშავეთ ენათმეცნიერების თეორიული საკითხების შესახებ. რამდენიმე წერილში მოცემულია თანამედროვე საენათმეცნიერო მიმდინარეობათა ანალიზი. სამწუხაროდ, კრებულში ვერ მოხვდა ამ თემაზე გამოქვეყნებული რიგი ნაშრომი. კერძოდ: 1. ნეოლინგვისტიკის თეორია ენის შესახებ (იქვე, ტ. XIII, თბილისი, 1962). 2. სტრუქტურალიზმის ძირითადი სკოლების შესახებ (იქვე, ტ. XIV, 1964). 3. პრადის სკოლის ზოგადლინგვისტური თეორია (იქვე, ტ. XV, 1966). 4. ენის ფონოლოგიური სისტემის აღწერა ზ. პარისის მიხედვით („თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, II. თბილისი, 1967).

წიგნი გადაეცა გამომცემლობას 1969 წ. მარტში. ამის შემდეგ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა მასში გათვალისწინებული არ არის.

მადლობას მოვახსენებთ აკად. არნ. ჩიქობავას და უფრ. მეცნ. თანამშრ. ბ. ფოჩხუას, რომელთაც საყურადღებო შენიშვნები მოგვაწოდეს წიგნის დასაბეჭდად მომზადების დროს.

ავტორი

ПРЕДИСЛОВИЕ

В настоящую книгу мы хотели включить труды, написанные нами за последние 10—12 лет по теоретическим проблемам языкознания. Несколько статей посвящено анализу современных лингвистических направлений. К сожалению, пришлось исключить из сборника ряд опубликованных на эту тему трудов. А именно: 1. Концепция неолингвистики о языке («Иберийско-кавказское языкознание», т. XIII, Тбилиси, 1962). 2. Об основных школах структурализма (Там же, т. XIV, 1964). 3. Общелингвистическая теория Пражской школы (Там же, т. XV, 1966). 4. Описательный анализ фонологической системы языка по Хэррису («Вопросы современного общего и математического языкознания», II, Тбилиси, 1967).

Книга была сдана в издательство в марте 1969 г. Поэтому в ней не учитывается опубликованная после этого специальная литература.

Автор приносит благодарность акад. А. С. Чикобава и ст. научн. сотр. Б. А. Почхуа за ценные советы при подготовке этой книги.

Автор

ენობრივი ნიშნის ნაზისმიერობის საკითხი თანამედროვე ენათმეცნიერებაში¹

1. საკითხის დასმისათვის

საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართება არსებობს სიტყვებსა და ამ სიტყვებით აღნიშნულ საგნებს შორის, ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე ბევრად ადრე დაისვა ფილოსოფიაში. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ბერძნულ ფილოსოფიაში შეიქმნა ორი თეორია: ფიუსეი (φύσει) და თესეი (θήσει). პირველი თეორიის მიხედვით, საგნებს სახელები დაერქვა მათი ბუნების შესაბამისად, მეორის მიხედვით კი სახელწოდება ნებისმიერია, პირობით, ჩვევის შედეგად დაკანონებულ-დაწესებული. ამ საკითხით ფილოსოფია მომდევნო საუკუნეებშიაც იყო დაინტერესებული.

ფილოსოფიაშივე დაისვა ენობრივი ნიშნის რაობის პრობლემა. თუ სახელი არ არის აუცილებლობით დაკავშირებული აღსანიშნთან, მაშ, ის ნიშანი ყოფილა და არა ასახვა. მაგრამ საკამათო გახდა ის, თუ რას აღნიშნავს ენობრივი ნიშანი, საგანს, საგნის წარმოდგენას თუ ცნებას? სხვადასხვა მიმართულების ფილოსოფოსები სხვადასხვაგვარად წყვეტდნენ ამ საკითხს, რომელსაც ისინი ფილოსოფიურ, კერძოდ, გნოსეოლოგიურ პრობლემატიკასთან კავშირში განიხილავდნენ. მათ ყურადღებას იქცევდა საკითხი, თუ რა როლს ასრულებს ენა შემეცნების პროცესში.

თეორიულ ენათმეცნიერებაში ენობრივი ნიშნის რაობისა და ნიშნის ნებისმიერობის საკითხები შედარებით გვიან, — XX საუკუნეში — დაისვა. მაგრამ შეხედულება, რომ სიტყვის ბგერითი მხარე

¹ 1955 წ. თსუ სამეცნიერო სესიაზე ჩვენ მიერ წაკითხული იყო მოხსენება „ენობრივი ნიშნის იდეალისტური და მატერიალისტური გაგებისათვის“, ხოლო 1957 წ. ფსიქოლოგიის ინსტ. XIII სამეცნიერო სესიაზე — „ენობრივი ნიშნის პრობლემა თანამედროვე ენათმეცნიერებაში“. ამ მოხსენებებიდან წინამდებარე სტატიისათვის გამოვყავით და ახალი ლიტერატურით შევავსეთ საკითხი ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის შესახებ.

არ არის განსაზღვრული საგნის ბუნებით, ნებისმიერია საგნის მიმართ, საფუძვლად ედო მთელ XIX საუკუნის ისტორიულ-შედარებითს ენათმეცნიერებას. სწორედ ამ პოსტულატზე დამყარებით, როდესაც რამდენიმე ენაში ერთი და იგივე საგნები და მოვლენები ერთმანეთის შესატყვისი ბგერებისაგან შედგენილი სიტყვებით აღინიშნება რეგულარულად, აქედან კეთდება დასკვნა, რომ ეს მსგავსება ბგერითს მხარეში არ შეიძლება აიხსნებოდეს სხვაგვარად, თუ არ შესადაარებელ ენათა საერთო წარმომავლობით. ეს პრინციპი კარგადა აქვს ჩამოყალიბებული ანტ. მეიეს, რომელიც წერს:

ენობრივი ნიშანი ნებისმიერია, მას მნიშვნელობა მხოლოდ ტრადიციის ძალით აქვს... ენობრივი ნიშნის აბსოლუტურად ნებისმიერი ბუნება განაპირობებს შედარებითი მეთოდის გამოყენებას².

ანტ. მეიეს მოჰყავს ფრანგულის, იტალიურის, ესპანურის რიცხვითი სახელები, რომლებიც ერთმანეთის შესატყვისი ბგერებითაა წარმოდგენილი, და განაგრძობს: ასეთი შესატყვისობანი არ შეიძლება შემთხვევითი იყვნენ³. ვინაიდან იგი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ აქ სესხებასთან გვექონდეს საქმე, ავტორი ასკვნის, რომ ფრანგული, იტალიური და ესპანური რიცხვითი სახელები მომდინარეობენ ერთი საერთო წყაროდან, რომელიც არც ფრანგულია, არც იტალიური და არც ესპანური⁴.

ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი შინაგანად უკავშირდება ნიშნის რაობის გაგებას. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი იმ რთულ პრობლემათაგანია, რომელიც დიდი ყურადღებით სარგებლობს არა მხოლოდ ენათმეცნიერებაში, არამედ ფსიქოლოგიაშიც, ფილოსოფიაშიც, განსაკუთრებით — თანამედროვე სემიოტიკაში. თითოეული ამ მეცნიერებათაგანი თავისი თვალთახედვით, თავისი ინტერესების შესაბამისად განიხილავს ამ პრობლემას. ამასთან ყოველი მათგანისათვის საყურადღებოა მომიჯნავე მეცნიერების შეხედულებათა გათვალისწინება.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ საგანგებოდ არ ვეხებით ენობრივი ნიშნის რაობის საკითხს. დავკმაყოფილდებით იმ ძირითად დებულებათა მოყვანით, რომლებსაც ვემყარებით. ჩვენ ვიზიარებთ შემდეგ კონცეფციას ენობრივი ნიშნის შესახებ:

² А. Мейе, Сравнительный метод в историческом языкознании, М., 1954, гл. 12. შტრ. აგრეთვე А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М., 1938, гл. 49, 50.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 13. შტრ. ჩვენი—ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, 1959, გვ.14—15.

„ენა არის სისტემა ნიშნებისა, რომლებიც მასალობრივად ფიზიკურია, დანიშნულებით კი — სოციალური. ენობრივი ნიშნები საგნების ასახვას კი არ წარმოადგენს, არამედ პირობით (საგანთა მიმართ) აღნიშვნას. ამ — მასალობრივად ფიზიკურ ნიშნებს, რომელთა წარმოქმნა და გავრცელება შეიძლება, ჩვენ აღვიქვამთ, როგორც აზრების გამოხატულებას, მათ მიმართებაში სინამდვილის აღსანიშნ ფაქტებთან; ეს მიმართება არ იცვლება სხვადასხვა ინდივიდში, იგი საზოგადოებრივი ხასიათისაა. მას კოლექტივის სანქცია აქვს“⁵.

„სიტყვის მნიშვნელობა სხვა არაფერია, თუ არ მიმართება აღსანიშნისადმი“. „მიმართება აქტია და არა პროცესი“. „ფსიქიკური რებრეზენტაცია საშუალებაა მნიშვნელობის განცდისა და არა — მნიშვნელობა“. „მიმართების ობიექტი, აღსანიშნი, შეიძლება იყოს განყენებული საგანი („აზრი“, „მნიშვნელობა“, „მიმართება“, „სისტემა“, „სტრუქტურა“) ანდა კონკრეტულ მონაცემს გულისხმობდეს („რცხილა“,... „შვრია...“, „ფუტკარი“)“. „მაინც ყველგან გვაქვს ინტენცია ობიექტზე, ობიექტთა კლასზე“⁶.

2. ენობრივი ნიშნის ნაბიჯიერიობის საკითხი ფ. დე სოსიურის კონცეფციაში

ენობრივი ნიშნის პრობლემა ენათმეცნიერების ერთ-ერთ ძირითად საკითხად აქცია ფ: დე სოსიურმა. შემდეგდროინდელი მკვლევრები ან სოსიურს ემყარებოდნენ, ან მის შეხედულებათა დაძლევის ცდილობდნენ. ამიტომ ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხის განხილვაც სოსიურის კონცეფციიდან უნდა დავიწყოთ.

განსაზღვრა რა ენა, როგორც იდეათა გამომხატველ ნიშანთა სისტემა⁷, სოსიურმა ყურადღების ცენტრში დააყენა ენობრივი ნიშნის, როგორც ენის ერთეულის, საკითხი.

სოსიური ერთმანეთისაგან განასხვავებს სამ ცნებას „აღსანიშნ“, „აღმნიშვნელს“ და „ნიშანს“. ამ ცნებათა თავისებური გაგება ქმნის სოსიურის მოძღვრებას ენობრივი ნიშნის შესახებ.

⁵ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების გზები. კრებ. „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, I, 1966, გვ. 185. უფრო ადრე და უფრო ვრცლად ეს კონცეფცია წარმოდგენილია იმავე ავტორის ნაშრომში: ზოგადი ენათმეცნიერება. II, ძირითადი პრობლემები, 1945, გვ. 144—170.

⁶ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ. კრებ. „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, II, 1967, გვ. 12.

⁷ Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, 1933, гв. 40.

სოსიურის მიხედვით, აღსანიშნი არის არა საგანი, არამედ მისი ფსიქიკური ანაბექტი, წარმოდგენა ანუ ცნება, — როგორც თვით სოსიური უწოდებს.

აღმნიშვნელიც ფიზიკურ ბგერათა კომპლექსი კი არ არის, არამედ ბგერითი წარმოდგენა ანუ აკუსტიკური სახე⁸. ლინგვისტური „აღმნიშვნელი“, წერს სოსიური, „თავისი არსით არის არა რაიმე ბგერადი, არამედ უსხეულო რამ, რომელიც წარმოიშვება არა თავისი მატერიალური სუბსტანციით, არამედ მხოლოდ იმ განსხვავებებით, რომლებიც გამოყოფს მის აკუსტიკურ სახეს სხვებისაგან⁹. ამ მსჯელობის ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენს ცნობილი ფორმულა, — „ენა არის ფორმა და არა სუბსტანცია“¹⁰.

რაც შეეხება თვით ენობრივ ნიშანს, იგი, სოსიურის გაგებით, მხოლოდ აღმნიშვნელს კი არ გულისხმობს, არამედ აღსანიშნსაც მოიცავს და ამდენად ორმხრივი (ბილატერალური) მოვლენაა, ორი ნაწილისაგან შედგება. „ჩვენ ნიშანს ვუწოდებთ ცნებისა და აკუსტიკური სახის კომბინაციას“, — წერს ავტორი¹¹.

„ენობრივი ნიშანი აკავშირებს არა საგანს და სახელს, არამედ ცნებას და აკუსტიკურ სახეს“¹². რადგან აღსანიშნიც (ცნება) და აღმნიშვნელიც (აკუსტიკური წარმოდგენა) ფსიქიკურია, ნიშანი სოსიურისათვის ორმხრივ ფსიქიკურ არსს წარმოადგენს¹³.

ამგვარად, ერთი მხრივ, ბგერითი მხარის გამორიცხვამ ნიშნიდან, ხოლო, მეორე მხრივ, აღსანიშნის დაყვანამ საგნის წარმოდგენაზე სოსიური ფსიქოლოგიზმამდე მიიყვანა. ეს არ არის მოულოდნელი. ფსიქოლოგიზმი სოსიურის მთელ კონცეფციას გაჰყვება. დამახასიათებელია, რომ სოსიური მოითხოვს ჩამოყალიბდეს ახალი მეცნიერება, — სემიოლოგია, რომელიც აღამიანთა საზოგადოებაში ჩმარებულ ნიშანთა სისტემებს შეისწავლის. სემიოლოგიაში ენათმეცნიერებას საპატიო ადგილი ეთმობა, ხოლო თვით სემიოლოგია ზოგადი ფსიქოლოგიის ნაწილად ცხადდება¹⁴.

⁸ Ф. Де Соссюр, Курс общей лингвистики. гл. 36, 77—78.

⁹ იქვე, გვ. 117.

¹⁰ იქვე, გვ. 120.

¹¹ იქვე, გვ. 78.

¹² იქვე, გვ. 77.

¹³ იქვე, გვ. 78.

¹⁴ იქვე, გვ. 40.

ჩვენ არ განვიხილავთ ენობრივი ნიშნის სოსიურისეულ გაგებას ავტორის კონცეფციის სხვა ძირითად დებულებებთან კავშირში¹⁵.

ჩვენი პრობლემისათვის არსებითია შემდეგის აღნიშვნა:

ა) მიუღლებელია სოსიურის დებულება, თითქოს აღსანიშნი ცნებ-
ბა, ე. ი. საგნის წარმოდგენა იყოს და არა თვით საგანი ან, უფრო
ზუსტად, საგანთა კლასი. კომუნიკაციის პროცესში ადამიანები ატყო-
ბინებენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს სინამდვილის ობიექტთა შესახებ.
ნიშნისათვის საორიენტაციოა სინამდვილის ფაქტი და არა მისი ასახ-
ვა ცნობიერებაში. ასეთი გაგება, რა თქმა უნდა, არ უგულვებელყოფს
არც ფსიქიკური წარმოდგენების, არც ლოგიკური ცნებების როგორც
ასახვის ფორმათა როლს შემეცნებისათვის და მათ კავშირს ენობრივ
ერთეულებთან. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, თუ რას აღნიშნავს ნიშა-
ნი, რა არის მისი დესიგნატი.

ბ) ასევე არ არის გასაზიარებელი სოსიურის თვალსაზრისი, რომ-
ლის მიხედვითაც აღმნიშვნელია არა ბგერათკომპლექსი (სიტყვა, სა-
ხელი), არამედ სიტყვის წარმოდგენა, — აკუსტიკური სახე. ენობრი-
ვი აღმნიშვნელი რომ წარმოდგენა იყოს და იგი არ შედგებოდეს მა-
ტერიალური ელემენტებისაგან, — ბგერებისაგან, როგორც ამას სო-
სიური ამტიკებს¹⁶, მაშინ ენა ვერ გამოდგებოდა ვერც ადამიანთა
ურთიერთობისათვის და ვერც აზროვნებისათვის. სწორედ მატერია-
ლური, ფიზიკური მასალის წყალობით ასრულებს ენა თავის ორივე
ძირითად ფუნქციას: საკომუნიკაციოსა და ექსპრესიულს.

გ) გაუმართლებელია აღსანიშნის შეტანა ენობრივ ნიშანში. ის,
რასაც ნიშანი აღნიშნავს, მის გარეთ იმყოფება. სოსიურმა შედარებით
დაუბრკოლებლად შეძლო აღსანიშნისა და აღმნიშვნელის გაერთიან-
ება, ვინაიდან მან ორივე ფსიქიკურ მოვლენად მიიჩნია და ადამიანის
ტვინში მოათავსა. მას რომ აღსანიშნად საგანი ჩათვალა, ცხადია, გა-
უძნელდებოდა ამ უკანასკნელის გამოცხადება ნიშნის ნაწილად.

დ) ბოლოს, სოსიურის ნიშნის თეორია ფსიქოლოგისტურია, ფსი-
ქოლოგიზმის დაძლევის აუცილებლობა კი XX საუკუნის 20—30-იანი
წლებიდან მოყოლებული აღიარებულია ენათმეცნიერების მიმდინა-
რეობათა მეტი წილის მიერ.

ზემოგანხილულთა გვერდით სოსიურის ნაშრომში მისაღები, ფა-
სეული დებულებებიც გვხვდება. ასეთია ენობრივი ნიშნის ნებისმიე-
რობის საკითხის გადაწყვეტა.

¹⁵ სოსიურის კონცეფციის მთლიანი კრიტიკული ანალიზი იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა,
ზოგადი ენათმეცნიერება. II, 1945, გვ. 72—88; Р. А. Б у д а г о в. Из истории
языкознания. Соссюр и соссюризмство, Изд. МГУ, 1954.

¹⁶ Ф. Де Соссюр, Курс общей лингвистики, гв. 117.

საქიროა გაიხაზოს, რომ სოსიური არ სვამს ნიშნის ნებისმიერობის საკითხს ზოგადად, კონკრეტულობის გარეშე. იგი ამ საკითხს ორ ასპექტში განიხილავს და თითოეულ შემთხვევაში მისი პასუხი კითხვაზე, ნებისმიერია თუ არა ენობრივი ნიშანი, სხვადასხვაგვარია. პირველი ასპექტია ენობრივი ნიშნის მიმართება აღსანიშნთან, მეორე — ნიშნის მიმართება ენობრივ კოლექტივთან.

სოსიური გვეუბნება, ენობრივი ნიშანი ნებისმიერია აღსანიშნის მიმართ, რომელთანაც მას სინამდვილეში არავითარი ბუნებრივი კავშირი არ აქვსო!¹⁷. ამის საბუთია მრავალენიანობა, ვინაიდან სხვადასხვა ენაში ერთი და იგივე აღსანიშნები სხვადასხვაგვარად არის აღნიშნული (შდრ. ფრანგ. b-ö-f (boeuf), გერმ. o-k-s (Ocks) ხარის აღსანიშნავად)¹⁸.

აღსანიშნის მიმართ ნიშნის ნებისმიერობას ვერ შეარყევს ვერც ონომატოპეია (ბგერწერა), ვერც ხმაბაძვითი სიტყვები, ვერც შორისდებულები, ვინაიდან მათ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ენებში და ხშირად მათი სიმბოლური წარმოშობილობა საცილობელია¹⁹.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: როდესაც ნიშნის ნებისმიერობაზე მსჯელობს, სოსიურს უფრო ხშირად მხედველობაში აქვს არა აკუსტიკური სახის მიმართება ცნებასთან, როგორც ამას მისი თეორია მოითხოვდა, არამედ ბგერათკომპლექსის მიმართება საგანთან.

აი, რას წერს ავტორი: „იღეა „და“ არავითარი შინაგანი მიმართებით არ არის დაკავშირებული ბ გ ე რ ა თ ა თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ა ს თ ა ნ s-ö-r (soeur), რომელიც ფრანგულში მის „აღმნიშვნელად“ გვევლინება. იგი ნებისმიერი სხვა ბ გ ე რ ა თ შ ე ხ ა მ ე ბ ი თ შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული“²⁰. სრულიად აშკარაა, რომ აქ აღმნიშვნელად ბგერათკომპლექსი იგულისხმება. იგივე აზრია გატარებული ხმაბაძვით სიტყვებზე და შორისდებულებზე მსჯელობისას. ამ შემთხვევაში ისიც აშკარა ხდება, რომ აღსანიშნებიც არაა ფსიქიკური მოვლენები, არამედ ის საგნებია, რომლებიც გარკვეულ ხმებს გამოსცემენ, ანდა თვითონ ეს ხმებია, რომელთა მიბაძვა წარმოებს. შორისდებულთა შესახებ ავტორი გვეუბნება: „თითქოს შეიძლებოდა გაგვეხილა ისინი, როგორც სინამდვილის უშუალო გამონატულება, ასე რომ ვთქვათ, თვით ბუნებით ნაკარნახევი. მაგრამ მათი მეტი წილის მიმართ

¹⁷ Ф. Де Соссюр, Курс общей лингвистики, гл. 79, 80.

¹⁸ იქვე, გვ. 79.

¹⁹ იქვე, გვ. 80.

²⁰ იქვე, გვ. 79. ხაზი ჩვენია—თ. შ.

უნდა უარყოთ წინამძღვარი, თითქოს არსებობდეს აუცილებელი კავშირი აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის²¹.

ამგვარად, ნიშნის ნებისმიერობის საკითხის განხილვისას სოსიურმა შეიძვალა თვალსაზრისი. ახლა აღსანიშნად საგანი ვეველინება და არა ცნება, აღმნიშვნელად კი — ბგერათკომპლექსი და არა აკუსტიკური სახე. ნიშანიც მხოლოდ აღმნიშვნელია. საჭმეეხება ბგერათკომპლექსის მიმართებას მის გარეთ მყოფ საგანთან და ეს მიმართება ნებისმიერად არის მიჩნეული. მართალია, თავისი თეორიის თვალსაზრისით აქ სოსიური არათანმიმდევრულობას იჩენს, მაგრამ ეს არათანმიმდევრულობა ობიექტურად დადებით შედეგს იწვევს, ვინაიდან ენათმეცნიერებისათვის სწორედ სიტყვისა და საგნის მიმართებაა საინტერესო და არა მათი შესაბამისი წარმოდგენებისა. ისიც უდავოა, რომ ნიშნის ბგერითი მასალა ნებისმიერია აღსანიშნი საგნის მიმართ.

ახლა რაც შეეხება საკითხის მეორე ასპექტს, — ნიშნის მიმართებას მოლაპარაკე კოლექტივთან. აქ სოსიურის პასუხი ზემომოყვანილის საწინააღმდეგოა: „თუ გამოხატული იდეის მიმართ აღსანიშნი თავისუფლად შერჩეულად გვევლინება, მისი მომხმარებელი ენობრივი კოლექტივის მიმართ იგი, პირუკუ, არ არის თავისუფალი, იძულებითია. საზოგადოებრივ მასას აზრს არ ჰკითხავენ და ენის მიერ არჩეული აღმნიშვნელი არ შეიძლება შეცვლილ იქნეს სხვა აღმნიშვნელით“²².

ამგვარად, სოსიურის მოძღვრებაში არ არსებობს ცალსახა პასუხი კითხვაზე, ნებისმიერია თუ არა ენობრივი ნიშანი? პირველ ყოვლისა, უნდა გაიჩვენეს, რომელ მიმართებას ეხება საჭმეე: თუ ნიშნის ბგერითი მხარის მიმართებას აღსანიშნ საგანთან, მაშინ ის ნებისმიერია, ხოლო თუ ნიშნის მიმართებას მოლაპარაკე კოლექტივთან, მაშინ ის არ არის ნებისმიერი.

ზემოდასახელებული ორი დებულებიდან, რომლებიც მართებულად მივიჩნიეთ, არც ერთი არ არის სპეციფიკური სოსიურის კონცეფციისათვის. ორივე საკითხი სოსიურამდე იყო დასმულიც და გადაწყვეტილიც. როგორც აღნიშნული იყო, შეხედულება, რომ სახელი ნებისმიერია, პირობითია საგნის მიმართ, ჯერ კიდევ ბერძნულ ფილოსოფიაში შეიქმნა. თვით სოსიური ამ საკითხზე მსჯელობისას ამერიკელ

²¹ Ф. Де Соссюр. Курс общей лингвистики, გვ. 80.

²² იქვე, გვ. 81.

ენათმეცნიერს უიტენის იმოწმებს²³ და იმასაც აღნიშნავს, რომ ნიშნის ნებისმიერობა არავის სადავოდ არ მიაჩნია²⁴. რაც შეეხება იმას, რომ მოლაპარაკე ადამიანებს არ ძალუძთ თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით ცვალონ ენობრივი ერთეულები, ეს ფაქტიც ფილოსოფიაში ძველი დროიდანვეა ცნობილი, ენათმეცნიერებაშიც ამ უკანასკნელის ჩამოყალიბებიდანვე იყო შენიშნული და სრული გარკვეულობით მითითებული ჯერ კიდევ ავგ. შლაიხერისა და მ. მიულერის ნატურალისტურ კონცეფციებში.

ამგვარად, საქმე გვაქვს მეცნიერების მკვიდრ, პოზიტიურ მონაპოვართან, რომელიც ობიექტურ ვითარებას ასახავს და არ უკავშირდება ამა თუ იმ კონცეფციის სპეციფიკურ თვალსაზრისს.

სოსიურის დამსახურება ისაა, რომ მან დიდად შეუწყო ხელი ამ სწორ დებულებათა მკვიდრად დანერგვას ენათმეცნიერებაში და ენობრივი ნიშნის პრობლემის გადაქცევას ზოგადი ენათმეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად.

სოსიურთან ფასეულია აგრეთვე ნიშნის ნებისმიერობის გვერდით მოტივაციის გამოყოფა²⁵. მოტივაციის ქვეშ ავტორი გულისხმობს ახალ ნიშანთა შექმნას ენაში უკვე არსებული ნიშნების კომბინაციით (ნაწარმოები სიტყვები, კომპოზიტები). ყოველ ენაში არსებობს არამოტივირებული და მოტივირებული ნიშნები. არამოტივირებულია, მაგ., „სამი“, „ოცი“. მოტივირებული იქნება „სამოცი“, „მესამე“, „მეოცე“, „ოცეული“... გასაზიარებელია სოსიურის შეხედულება, რომ არ არსებობს ენა, რომელშიც არაფერი არ იყოს მოტივირებული, მაგრამ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ენა, რომელშიც ყველაფერი მოტივირებულია²⁶. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერობა და მოტივაცია სოსიურს მკვეთრად არა აქვს გამიჯნული ერთმანეთისაგან. ის ზოგჯერ სინონიმებადაც კი ხმარობს ამ ორ ტერმინს. შედარებითი მოტივირებულობა ხარისხითლა განსხვავდება აბსოლუტური ნებისმიერობისაგან²⁷. აღნიშნულ ტერმინთა აღრევამ შეიძლება გაუგებრობა წარმოშვას ძირითადი საკითხის — ნიშნის ნებისმიერობის — გარკვევისას. ასეთი გაუგებრობის საფუძველს იძლევა სოსიურის სიტყვები: „ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ იგი (ნიშანი — თ. შ.) არამოტივირებულია, ე. ი. ნებისმიერია აღსანიშნის მიმართ, რომელთანაც მას სინამ-

²³ Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, гл. 85.

²⁴ იქვე, გვ. 79.

²⁵ იქვე, გვ. 127—129.

²⁶ იქვე, გვ. 128.

²⁷ იქვე, გვ. 127.

დვილესი არავითარი ბუნებრივი კავშირი არა აქვს.²⁸ თუ არამოტივირებული იგივეა, რაც ნებისმიერი, მაშინ მოტივირებული არანებისმიერი გამოვა და ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი სხვა ასპექტში დადგება (მხოლოდ არამოტივირებული სიტყვები იქნება ნებისმიერი), რაც, ვფიქრობთ, სოსიურის თვალსაზრისსაც არ შეეფერება. მართლაც, სოსიური თვით აღნიშნავს, რომ მოტივირებული ნიშნის შემადგენელი ელემენტები არაა მოტივირებული. მაშინ რა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ სიტყვა „სამოცი“-ს ბგერითი შედგენილობა ნაკლებ ნებისმიერია აღსანიშნის მიმართ, ვიდრე „სამისა“ ან „ოცისა“?

3. დისკუსია ენობრივი ნიშნის ნაბისმიერობის შესახებ 40-იან წლებში სტრუქტურალისტურ ლიტერატურაში

3.1. შეხედულება, რომ ენობრივი ნიშნის ბგერითი შედგენილობა არ არის გამოწვეული საგნის ბუნებით, გაბატონებულია ენათმეცნიერებაში. მაგრამ მეტად იშვიათად გამონაკლისებიც გვხვდება. ასეთ გამონაკლისებს განეკუთვნება იტალიური საენათმეცნიერო სკოლა, — ნეოლინგვისტიკა. ეს მიმდინარეობა, რომელსაც ენა ადამიანის ესთეტიკურ შემოქმედებად მიაჩნია, უარყოფს ნიშნის ნებისმიერობას. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფონეტიკურ სიმბოლიზმს, რომლის მიხედვითაც ბგერები სიმბოლური ანუ ექსპრესიული მნიშვნელობის მქონედ ცხადდება. მაგალითად, ნეოლინგვისტთა აზრით, *i* იწვევს პატარა, ხოლო *o* და *a* დიდი საგნებისა და არსებების წარმოდგენას, *č* გამოხატავს მოლიბულ საგნებს და მოქმედებას, აგრეთვე ათვალწუნებას და ა. შ.²⁹ ამ შეხედულების დასაბუთება გარდაუღებავ სიძნელებებს ხვდება. ყოველი ენიდან შეიძლება მოვიყვანოთ ერთმანეთის საწინააღმდეგო ფაქტები (მაგ., ქართ. „პატარა“-ში *a* სამჭერ მონაწილეობს, „დიდი“ კი — *o*-ს შეიცავს). ძნელია ირწმუნოს კაცმა, რომ სახელდება ამ პრინციპის მიხედვით ხდებოდა. ამიტომაც უნდა იყოს, რომ ამდაგვარი შეხედულების დამცველები ენათმეცნიერებაში საძებარიცაა.

სრულიად სხვა ასპექტში დაისვა ნიშნის ნებისმიერობის საკითხი 40-იან წლებში სტრუქტურალისტურ ლიტერატურაში. 1939 წლიდან

²⁸ Ф. де Соссюр, Курс... გვ. 80. ხაზი ავტორისაა, — თ. შ.

²⁹ Дж. Бонфанте, Познция неолингвистики, «В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях», т. I, 1964, гл. 355.

მოყოლებული წლების მანძილზე Acta Linguistica-ში და ზოგ სხვა ურნალში მიმდინარეობდა დისკუსია ნიშნის სოსიურისეულ გაგებასთან დაკავშირებით³⁰. ცენტრალური საკითხი იყო, არის თუ არა ნიშანი ნებისმიერი აღსანიშნის მიმართ? ამ საკითხზე შეხედულებები ორ ჯგუფად გაიყო. პირველი ჯგუფის შეხედულებათა დამცველნი (ე. ბენვენისტი, ე. ლერხი, ე. პიშონი და სხვ.) სადავოდ თვლიდნენ სოსიურის დებულებას ნიშნის ნებისმიერობის შესახებ და ამის საპირისპიროდ ცდილობდნენ დამტკიცებინათ, რომ ნიშანი აუცილებელია აღსანიშნის მიმართ. მეორე ჯგუფის შეხედულებათა წარმომადგენლები (ა. სეშე, შ. ბალი, ა. ფრაი, ა. გარდინერი და სხვ.) იცავდნენ ნიშნის ნებისმიერობას სოსიურისეული გაგებით.

ქვემოთ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ თითოეულ ჯგუფში ავტორთა შეხედულებები საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ჯერ განვიხილოთ დისკუსიის მასალები.

ა) ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის უარყოფა

3.2. დისკუსია ფრანგმა ენათმეცნიერმა ემილ ბენვენისტმა გახსნა 1939 წ. წერილით „ლინგვისტური ნიშნის ბუნება“³¹. ბენვენისტი აღნიშნავს, რომ მას არა აქვს განზრახვა ახალი პრინციპები დაუდოს ენობრივ ნიშანს და განსხვავებული განსაზღვრებები შემოიტანოს, ვიდრე ეს სოსიურთან იყო. მას სურს მხოლოდ უფრო თანამდევრული გახადოს სოსიურის მსჯელობა³². არათანმიმდევრობას სოსიურთან ბენვენისტი იმაში ხედავს, რომ სოსიურმა ენობრივი ნიშანი განსაზღვრა, როგორც ცნებისა და აკუსტიკური სახის ერთიანობა, მიუთითა, რომ ნიშანი აერთიანებს არა საგანსა და სიტყვას, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ სახეს. მაგრამ შემდეგ ნიშნის ნებისმიერობაზე მსჯელობისას მან გაუმართლებლად და შეუცნობლად შემოიტანა მესამე ცნება, — საგანი, სინამდვილე, რომელიც არ შედიოდა თავდაპირველ განსაზღვრებაში, გამორიცხული იყო³³. ნიშნის ნებისმიერობა გულისხმობს მიმართებას სინამდვილესთან, რაც ბენვენისტის აზრით, წარმოშობს წინააღმდეგობას სოსიურის მიერ ენობრივი ნიშნის განსაზღვრებასა და იმ ძირითად

³⁰ ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა გავცნობოდით ამ საკითხზე Studia Linguistica-ში გამოქვეყნებულ წერილებს.

³¹ Emile Benveniste, Nature du signe linguistique. «Acta Linguistica», 1939, ტ. I, ნაკვ. I.

³² იქვე, გვ. 24, 29.

³³ იქვე, გვ. 24.

თვისებას შორის, რომელსაც ის ამ ნიშანს მიაწერს. ბენვენისტი ემყარება სოსიურის განსაზღვრებას, რომ ენა არის ფორმა და არა სუბსტანცია, ხოლო ენათმეცნიერება არის ფორმათა მეცნიერება. აქედან გამომდინარე იგი აუცილებლად თვლის დავტოვოთ «სუბსტანცია» (სოსიურის მაგალითებში: „და“ და „ხარი“) ნიშნის მოცულობის გარეთ³⁴.

თვით დებულება, რომ ნიშანი რეალური საგნის მიმართ ნებისმიერია, ბენვენისტს სწორად მიაჩნია. ერთსა და იმავე სინამდვილესთან მიმართების ავალსაზრისით ყველა სახელწოდებას ერთნაირი ღირებულება აქვსო, — აღნიშნავს იგი. ნებისმიერია ის, რომ ეს ნიშანი და არა სხვა გამოხატავს სინამდვილის ამ ელემენტს და არა სხვას³⁵, — ნათქვამია მეორე ადგილას. მაგრამ თვით ეს პრობლემა, რომელიც წარმოადგენს ცნობილ პრობლემას ფსძე; თუ შჯძე, ბენვენისტს არ მიაჩნია ენათმეცნიერულ პრობლემა და³⁶. ეს არის ენათმეცნიერულ ტერმინებში გადმოტანილი მეტაფიზიკური პრობლემა აზროვნებასა და სამყაროს შორის მიმართების შესახებო. ამიტომ იგი უმჯობესად თვლის ენათმეცნიერება თავი დაანებოს ამ პრობლემას³⁷, იგი არც არის საინტერესო³⁸. რადგანაც ნებისმიერობა არ ეხება აღსანიშნისა (ე. ი. ცნებისა) და აღმნიშვნელის (ე. ი. აკუსტიკური სახის) შორის მიმართებას, ამიტომ ნებისმიერობის სფერო ლინგვისტური ნიშნის მოცულობის გარეთ მდებარეობსო, — ასკვნის ბენვენისტი³⁹.

ამგვარად, ენათმეცნიერების საკითხად მას მიაჩნია ცნებისა და აკუსტიკური სახის მიმართება. ხოლო ეს მიმართება, მისი აზრით, არ არის ნებისმიერი, პირუკუ, ის აუცილებელია. ამის დასაბუთებას ბენვენისტი ცდილობს ცნებისა და აკუსტიკური სახის ერთიანობით, ერთარსობით. ისინი სინამდვილეში ერთი და იმავე ცნების ორ მხარეს წარმოადგენენ. აღმნიშვნელი არის ბგერითი თარგმნა ცნებისა; აღსანიშნი არის გონებრივი საპირისპირო აღმნიშვნელისა⁴⁰. ცნება («აღსანიშნი») „ხარი“ აუცილებლად იდენტურია ჩემს ცნობიერებაში ბგერათა ერთობლიობისა («აღმნიშვნელი») ხმ, — წერს ბენვენისტი. სხვაგვარად არც შეიძლება, დასძენს იგი. აღსანიშნი და აღმნიშვნელი ერთად გაგვახსენდება ყველა პირობებში. მათ შორის ისეთი მჭიდრო

³⁴ Emile Benveniste, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

³⁵ იქვე, გვ. 26.

³⁶ იქვე.

³⁷ იქვე.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე, გვ. 27.

⁴⁰ იქვე, გვ. 26.

სიპბიოზია, თითქოს ცნება „boeuf“ იყოს სული (l'âme) ხიწ აკუსტიკური სახისა⁴¹. უკუაგდებს რა სინამდვილესთან ნიშნის მიმართების საკითხს, როგორც მეტაფიზიკურს, ბენვენისტი მოლაპარაკეთა ცნობიერებას ემყარება. მოლაპარაკე ინდივიდისათვის ენასა და სინამდვილეს შორის სრული ადეკვატობა არსებობს: ნიშანი ფარავს და განაგებს სინამდვილეს; უკეთ, ის თვითონ არის სინამდვილე⁴². საბოლოოდ ბენვენისტი ასკვნის: ნიშანი, მთავარი ელემენტი ლინგვისტური სისტემისა, მოიცავს აღმნიშვნელს და აღსანიშნს, რომელთა კავშირი უნდა მიჩნეულ იქნეს აუცილებლად, ეს ორი შემადგენელი ერთმანეთის თანაარსი⁴³.

ამგვარად, ბენვენისტმა: 1. თუმცა არ უარყო დებულება საგანთან ნიშნის მიმართების ნებისმიერობაზე, მაგრამ ის არაენათმეცნიერულ, გნოსეოლოგიურ საკითხად გამოაცხადა.

2. პრობლემა სხვა სფეროში გადაიტანა: ცნებისა და აკუსტიკური სახის მიმართებას შეეხო.

3. ეს მიმართება არანებისმიერად, აუცილებლად მიიჩნია იმაზე დამყარებით, რომ მოლაპარაკე ადამიანები მას ამგვარად განიცდიან.

ბენვენისტს გარკვევით მხარი დაუჭირეს ფრანგმა მეცნიერმა ე. პიშონმა და გერმანელმა ე. ლერხმა.

მ.მ. ე დ უ ა რ დ პ ი შ ო ნ ს არ წამოუყენებია რაიმე ახალი არგუმენტი, იგი მხოლოდ საკითხის ისტორიულ მხარეს შეეხო და აღნიშნა, რომ საფრანგეთში ფსიქოლოგიურ წრეებში და გალიცისტთა შორის შეხედულება ნიშნის არანებისმიერობაზე საკმაოდ გავრცელებულია⁴⁴. ეს კონცეფცია მე და დამურეტმა წამოვაყენეთ, აღნიშნავს პიშონი და მიუთითებს მათ მიერ 1927 წ. გამოცემულ ფრანგული ენის გრამატიკაზე⁴⁵, სადაც § 74-ს ეწოდება „ნიშანი არ არის ნებისმიერი“. ამ დოქტორინას დასთანხმებია თავის რეცენზიაში გასტონ ესნოლტი⁴⁶.

⁴¹ E. Benveniste, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

⁴² იქვე, გვ. 26. ამის გამოხატულებაა: nomen omen, tabous de parole, pouvoir magique de verbe.

⁴³ იქვე, გვ. 29.

⁴⁴ Édouard Pichon, Sur le signe linguistique. Complément à l'article de M. Benveniste. «Acta Linguistica». 1940—41, v. II, fasc. 1, გვ. 52.

⁴⁵ J. Damaourette et E. Pichon, Essai de grammaire de la langue Française (Des Mots à la Pensée). Paris. 1927, t. I.

⁴⁶ Gaston Esnault, Chronique de la Quinzaine. Linguistique. Le Mercure de France, 1-er Juin. 1935, გვ. 413.

პიშონი წერს, რომ 1937 წ. გამოქვეყნებულ წერილში მან მიუთითა სოსიურის შეცდომაზე. როდესაც მას შემოაქვს ისეთი ელემენტები, რომლებიც არ იყო ნავარაუდევო. იგი ჯერ განსაზღვრავს აღსანიშნს, როგორც „ხარის“ ზოგად იდეას, შემდეგ კი ისე გამოდის, თითქოს ეს აღსანიშნი არის ობიექტი, რომელსაც ხარი ეწოდება⁴⁷. ავტორი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი და ბენვენისტის შეხედულებები ერთმანეთს დაემთხვა.

პინოშის სტატია საყურადღებოა იმ მხრივ, რომ იგი მიუთითებს ნიშნის არანებისმიერობის შესახებ დებულების გავრცელებულობაზე საფრანგეთში. თუმცა მისი პატარა შენიშნიდან არ ჩანს, იმავე არგუმენტებს ემყარებიან სხვებიც, რაც ბენვენისტმა წამოაყენა, თუ — არა.

მ. 4. ე ვ გ ე ნ ი ლ ე რ ხ ი, რომელიც კასირერის მიმდევარია, ბევრად უფრო ვრცლად შეეხო ჩვენთვის საინტერესო საკითხს წერილში „ენობრივი ნიშნის არსის შესახებ. ნიშანი თუ სიმბოლო?“⁴⁸ ლერხი მსგავსად ბენვენისტისა აკრიტიკებს სოსიურს და იცავს დებულებას, რომ ნიშანი არ არის ნებისმიერი, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ის არანებისმიერად აცხადებს არა მხოლოდ აქუსტიკური სახისა და ცნების მიმართებას, არამედ სიტყვისა და საგნის მიმართებასაც. როდესაც გარკვეულ ცხოველს გერმანულად Ochse ჰქვია ან ფრანგულად boeuf, არც ცალკეული პირი და არც ენობრივი საზოგადოება არ არის თავისუფალი მას სხვაგვარად უწოდოსო, წერს ლერხი და მიუთითებს, რომ ეს სოსიურმაც შენიშნა⁴⁹.

ლერხი სავსებით ეთანხმება ბენვენისტს, რომ კავშირი ცნებასა და აქუსტიკურ სახეს შორის აუცილებელია, რადგან ისინი ერთად არიან ალბექდილი ჩვენს ცნობიერებაში, მათ შორის მჭიდრო სიმბიოზია. მაგრამ ცდილობს რა განამტკიცოს ეს დებულება ახალი არგუმენტებით, მას მსჯელობა საგნისა და სახელის ურთიერთობაზე გადააქვს. იგი წერს: თუ მიმართება აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის, საგანსა და მის სახელს შორის⁵⁰ აუცილებელია, თუ ჩვენთვის ამ ორს შორის სრული იგივეობა არსებობს, თუ ენობრივი ნიშანი ჩვენთვის არა მხო-

⁴⁷ E. Pichon, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

⁴⁸ Eugen Lerch, Vom Wesen des sprachlichen Zeichens. Zeichen oder Symbol? «Acta Linguistica», 1939, v. I, f. 3.

⁴⁹ იქვე, გვ. 146.

⁵⁰ ამ მსჯელობის პირველი ნაწილი ბენვენისტიდან არის აღებული, მაგრამ ბენვენისტი აღმნიშვნელსა და აღსანიშნში აქუსტიკურ სახეს და ცნებას გულისხმობდა და არა საგანს და სახელს. საგანსა და სახელს შორის კავშირს, როგორც ვნახეთ, ბენვენისტიც, მსგავსად სოსიურისა, არააუცილებლად, ნებისმიერად თვლის.

ლოდ ფარავს და განავეს სინამდვილეს, არამედ სწორედ ეს სინამდვილე არის, ეს ემყარება განცდის ერთიანობას. საგნისა და მისი სახელის შერწყმულად განცდის დასადასტურებელად ლერხი იმოწმებს ცნობილი ფრანგი ფსიქოლოგის პიაეეს გამოკვლევას, რომლის მიხედვითაც, ბავშვები 7—8 წლამდე საგანსა და მის სახელს ერთად აღიქვამენ და ვერ მიჯნავენ ერთმანეთისაგან⁵¹, აგრეთვე ლევი ბრიულის შეხედულებას, რომ პრიმიტიული ხალხები ვერასოდეს ვერ ახერხებენ სრულად ასეთ გაიჯვნას, რაც წარმოშობს რწმენას „სიტყვის მისტაყური ძალის შესახებ“ (ასეთი რწმენის მიხედვით, სახელის ცოდნა ნიშნავს აღსანიშნზე ძალის ქონას. სახელის წარმოთქმით შეიძლება ღმერთები და დემონები მოიხმო, ხოლო თუ ეს არ გინდა, მათი სახელიც არ უნდა ახსენო. აქედან — სიტყვის ტაბუ)⁵². ამ მასალის მოტანის შემდეგ ლერხი გვამცნობს, ეს ფართოდ გავრცელებული რწმენა ფილოსოფიურ გამართლებას პოულობს კასირერთან, რომლისთვისაც მიმართება აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის აუცილებელია. რადგან ნიშანი აზრის შემთხვევითი სამოსელი კი არ არის, არამედ მისი აუცილებელი და არსებითი ორგანოა⁵³.

როგორც ვხედავთ, მოყვანილ მსჯელობაში აღრეულია ცნებისა და აკუსტიკური წარმოდგენის და საგნისა და სიტყვის მიმართების საკითხები. ქვემოთ ლერხი თითქოს ცდილობს ამ ორი საკითხის გამიჯვნას. იგი დასაბუთებლად უთვლის ბენვენისტს, რომ მან განასხვავა 1) მიმართება ცნებას (აღსანიშნს)⁵⁴ და სიტყვის ბგერითს მხარეს (Wortkörper; ფრაგმ. ბგერათა ერთობლიობა) შორის და 2) მიმართება სიტყვის ბგერებსა (აღნიშვნის საშუალებასა. მაგ., Oehse) და გარე სამყაროს საგანს შორის. ორივე მხოლოდ მოლაპარაკის ცნობიერებაში არსებობს. პირველი ყოველთვის არანებისშიეოია⁵⁵. მეორე კი მეტწილად აგრეთვე აუცილებელია. აქ ლერხი ბგერათსიმპოლიკის თეორიას იყენებს ფართო ვაკეებით (ორა მხოლოდ ხმაბაძკით სიტყვეებს). ბგერითს სიმპოლიკის იგი შეუზღუდავლი შესაძლებლობის მქონედ თვლის და მას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

საკახსა და სიტყვის შორის მიმართება, ლერხის მიხედვით, მართლაც ამ ორ საგანს შორის არსებული მიმართება კი არ არის. არამედ შესაძლების წარმოდგენათა შორის მყარდება. ეს მიმართება ადამიანის

⁵¹ E. Lerch, დასახ. ნაშრ., გვ. 146—147.

⁵² იქვე, გვ. 147.

⁵³ იქვე, გვ. 147—148.

⁵⁴ ლერხი ცნებას წარმოდგენის მნიშვნელობით ხმაობს.

⁵⁵ ლერხი ანიშნავს ტერმინს „შემთხვევითი“.

ცნობიერებაში არსებობს სიტყვის ბგერითი მხარის წარმოდგენათა და აღსანიშნი საგნის თვისებათა წარმოდგენების მიმართების სახით⁵⁶.

შესაძლებელია. ობიექტურად არაავითარი ან ძალიან მცირე მსგავსება არსებობდეს სიტყვასა და საგნის მიერ გამოცემულ ხმას შორის, მაგრამ მოლაპარაკის ცნობიერებისათვის ეს მსგავსება დიდი იყოს. საქმე ეხება არა მოვლენის სისწორეს, არამედ (ბიულერის გამოთქმის მიხედვით) „მიმართების სისწორეს“. მაგალითად, გუგული არ წარმოთქვამს *k*. *u* ბგერებს, არამედ ორ ერთგვარ ტონს, რომელთაგან პირველი ტერციით მაღალია მეორეზე და სიტყვა *Kukuk* შედგება ორი ერთნაირი მარცვლისაგან, რომელთაგან პირველი უფრო ძლიერმახვილიანია. ვიღრე მეორე⁵⁷.

საგანსა და სიტყვას შორის მიმართების შეცვლა მათ წარმოდგენათა მიმართებით ლერხს შესაძლებლობას აძლევს გაათავართოს ბგერითი სიმბოლიკის საზღვრები: ჭერ ერთი, სიტყვის წარმოდგენა არ შემოიფარგლება აკუსტიკური წარმოდგენებით: ეუნდტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არტიკულაციურ მოძრაობებს, რომელშიაც შედის არა მხოლოდ სმენითი შთაბეჭდილება. არამედ მხედველობითი და შეხების შთაბეჭდილებაც.

ვაოდა ანისა. ჩვენი წარმოდგენა აღსანიშნი საგნის შესახებ არ შემოიფარგლება მის მიერ გამოცემული ხმებით. სინესთეზიის მოვლენა გვიჩვენებს, რომ გარესამყაროს მოქმედებამ ერთ-ერთ გრძნობაზე შეიძლება სხვა გრძნობაც გამოიწვიოს. ჩვენ შეიძლება ფერო ვაეროვნოთ. ხმა დაკონახოთ და ა. შ. ამიტომ გარესამყაროს საგანმა, რომელიც არაავითარ ხმას არ გამოსცემს, შეიძლება მაინც შექმნას ჩვენში სმენითი წარმოდგენა.

ამკვარად. აფართოებს რა ბგერითი სიმბოლიკის ცნებას, ლერხი გამოთქვამს მოსაზრებას. რომ კავშირი აღსანიშნი საგნის წარმოდგენასა და სიტყვის ბგერათა წარმოდგენას შორის მრავალრიცხოვან შემთხვევებში (ე. ი. ბგერითი სიმბოლიკის დროს) შეიგრძნობა როგორც აუცილებელი. ხოლო ისეთი მიმართებებისათვის, რომლებიც შემთხვევითად შეიძლება იქნენ მიჩნეული. ცოტა ადგილია რჩება⁵⁸.

უზრადლებას იქცევს ის. რომ ნიშნის ნებისმიერობის საკითხს ლერხი სხვადასხვაგვარად სვამს სინქრონიულ და დიაქრონიულ ასპექტში.

სინქრონიაში ანუ სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ საკითხს. განიცდება სიტყვა როგორც შემთ-

⁵⁶ E. Lerch, ღასახ. ნაშრ., გვ. 151.

⁵⁷ ეს მავალიო ლერხს შნაიდფრის მიხედვით მოჰყავს. ღასახ. ნაშრ., გვ. 151.

⁵⁸ იქვე, გვ. 155.

ხვევითი, თუ როგორც აუცილებელი. პირუტყუ, გამოთქმა „ნებისმიერი“, რომელსაც ამ შემთხვევაში სოსიური ხმარობს, არ ეკუთვნის სინქრონიას, იგი დიაქრონიის სფეროს ეხება. ნებისმიერი შეიძლება იყოს სახელდება. მაგრამ როდესაც საგანი იღებს სახელს ნებისმიერი აქტის შედეგად, მოლაპარაკის ცნობიერებაში საგანსა და მის სახელს შორის იქმნება მიმართება, რომელიც აღარ არის ნებისმიერი, არამედ განიცდება, როგორც აუცილებელი⁵⁹.

მთავარი ამოცანა, რომელიც ლერხს განხილულ სტატიაში ჰქონდა დასახული, ის იყო, რომ ეჩვენებინა, შეიძლება თუ არა ენობრივ ერთეულს სიმბოლო ეწოდოთ. სოსიურმა ტერმინი „სიმბოლო“ უარყო იმატომ, რომ მან კავშირი აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის ნებისმიერად მიიჩნია, სიმბოლო კი მთლიანად ნებისმიერი არ არის, იგი, მისი აზრით, აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის ბუნებრივი კავშირის გადმონაშთს წარმოადგენს. მივიდა რა დასკვნამდე, რომ ენობრივ ნიშანთა უმრავლესობაში გვაქვს აუცილებელი კავშირი აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის, ლერხმა შესაძლებლად მიიჩნია სიმბოლოები ეწოდებინა ასეთი ექსპრესიული ნიშნებისათვის, ამასთან მან ეს ტერმინი იმ ნიშნებზედაც გაავრცელა, რომლებიც თვით მისი აზრითაც კი არ არიან აუცილებლობით დაკავშირებული აღსანიშნ საგნებთან. და სიმბოლო საერთოდ ნიშნის სინონიმურ ტერმინად გამოაცხადა. ამით ლერხმა გაიზიარა კასირერის განსაზღვრება, რომ ენა არის სიმბოლურ ფორმათა ერთობლიობა.

ლერხის შეხედულებებს თუ შევაჯამებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: 1. არ არის მკაფიოდ გამოჩენილი აქუსტიკური სახისა და ცნების (= წარმოდგენის) მიმართება და სიტყვისა და საგნის მიმართება. თუმცა ავტორმა გამოყო მეორე მიმართება, მაგრამ საბოლოოდ ისიც პირველ მიმართებაზე დაიყვანა (წარმოდგენებით შეცვალა). ამასთან პირველ მიმართებაზე გამოტანილ დასკვნებს იგი უსაფუძვლოდ ავრცელებს მეორე მიმართებაზე.

2. სიტყვისა და საგნის წარმოდგენათა მიმართების არანებისმიერობის საზომი ლერხთანაც, მსგავსად ბენვენისტისა, მოლაპარაკეთა განცდაა.

3. ლერხმა გამოიჩინა ნიშნის ნებისმიერობის საკითხი სინქრონიულ და დიაქრონიულ ასპექტში. მან მართებულად შენიშნა, რომ სოსიურს დიაქრონიული ასპექტი ჰქონდა მხედველობაში, სტრუქტურალიზმისათვის კი ამ საკითხშიაც სინქრონიული მიდგომა მიიჩნია არსებითად.

⁵⁹ E. Lerch, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

4. სინესთეზიის მოვლენებზე დამყარებით ლერხმა ძლიერ გააზვი-
ადა ბგერითი სიმბოლოების ცნების მოცულობა და მნიშვნელობა. ეს მას
ნიშნის არანებისმიერობის დასამტკიცებლად სჭირდებოდა.

5. საბოლოოდ მან მაინც ვერ უარყო, რომ გარკვეული სიტყვები
ნებისმიერი არიან აღსანიშნი საგნების მიმართ დიაქრონიული თვალ-
საზრისით. ესაა არაგამომხატველობითი (არასიმბოლური) სიტყვები.

რაც შეეხება ლერხის დამოკიდებულებას სოსიურთან, უნდა აღი-
ნიშნოს, რომ ფაქტობრივ ვითარებას არ ასახავს ლერხის განცხადება,
თითქოს ნიშნის ნებისმიერობას რომ აღიარებდა, სოსიურს ძირითა-
დად მხედველობაში ჰქონდა მიმართება აქუსტიკურ წარმოდგენასა და
საგნის წარმოდგენას შორის, მაგრამ ზოგჯერ შეუცნობლად სიტყვისა
და საგნის მიმართებასაც გულისხმობდა⁶⁰. სინამდვილეში ნებისმიე-
რობაზე მსჯელობისას სოსიური ძირითადად სწორედ სიტყვისა და საგ-
ნის მიმართებას ეხებოდა, რაც მართებულად ჰქონდა აღნიშნული ბენ-
ვენისტს.

ბ) ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის დასაბუთება

8.5. სოსიურის თვალსაზრისის დასაცავად დისკუსიაში ხმა აღიმა-
ლეს ა. სეშემ, შ. ბალიმ, ჰ. ფრაიმ, ა. გარდინერმა, ა. ნერინგმა.

სოსიურის მოწაფეებმა და მისი შრომის „ზოგადი ენათმეცნიერე-
ბის კურსის“ გამომცემლებმა შევიცარიელმა ენათმეცნიერებმა ალ-
ბერტ სეშემ და შარლ ბალიმანრი ფრაისთან ერთად
გამოაქვეყნეს სტატია „ნიშნის ნებისმიერობისათვის“⁶¹. ეს სტატია მხო-
ლოდ დასახელებულ მკვლევართა პირად შეხედულებებს კი არ წარმო-
გვიდგენს, არამედ შევიცარიელ ენათმეცნიერთა საერთო აზრს გამოხა-
ტავს, რადგანაც, როგორც ავტორები მიუთითებენ, იგი შედგენილია იმ
გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც გამოიტანა ჟენევის ლინგვის-
ტური საზოგადოების კომიტეტმა 1941 წ. 7 ივნისს.

სეშეს, ბალის და ფრაის გაუმართლებლად მიაჩნიათ ის კამპანია,
რომელიც სოსიურის ნააზრევის წინააღმდეგ გაიმართა დამურეტის,
პიშონის, ბენვენისტის, ლერხის მიერ. ისინი ვერ ხედავენ რაიმე სა-
ფუძველს, რის გამოც უარსაყოფი იყოს ნიშნის ნებისმიერობის დოქ-
ტრინა.

⁶⁰ E. Lerch. დასახ. ნაშრ., გვ. 157.

⁶¹ Albert Sechehaye, Charles Bally, Henri Frei, Pour l'arbitraire du signe. «Acta Linguistica», 1940-41, v. II, f. 3.

თუმცა ავტორები არ უარყოფენ, რომ სოსიურის განსაზღვრებები არ არის მთლად ზუსტი, მაგრამ ამას ისინი იმ პირობებით ხსნიან, რომელშიაც მისი წიგნი გამოვიდა⁶². არსებითად კი მათ სოსიურის თვალსაზრისი მართებულად მიაჩნიათ.

სეშე, ბალი და ფრაი განასხვავებენ ორ საკითხს სოსიურის თეზისში: 1) აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირი ენის სისტემაში და 2) ნიშნის მიმართება აღსანიშნთან. პირველი — სოსიურის მიხედვითაც აუცილებელია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მეორე კავშირის ნებისმიერობას⁶³. სოსიურისათვის ენა, სოციალური ინსტიტუტი, ბუნებით წმინდა ფორმაა, დიფერენციალურ ნიშანთა სისტემაა, წერენ ავტორები, და თუ ზოგიერთ სიტყვას თავიანთი ბგერადობით (ონომატოპოეტური სიტყვები) ან თავიანთი აბსტრაქტული ფორმით (ნაწარმოები სიტყვები) ახასიათებს ექსპრესიულობა, ეს სიტყვები მხოლოდ ნაწილობრივ მოტივირებული არიან, რაც არაფერს ცვლის ენის ფუნქციონის ზოგად ხასიათში⁶⁴.

ნიშნის ნებისმიერობაზე მსჯელობისას ზემოხსენებული ავტორები გახაზავენ ენის სოციალურობას, რაც სხვა ავტორებთან არ გვხვდება. ისინი წერენ: ენის ერთეულები, ე. ი. ნიშნები წარმოადგენენ პროდუქტებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვან კოლექტიური ცხოვრებისაგან. ისინი ემყარებიან არა რაიმე ბუნებრივ მიმართებას ბგერათა ერთობლიობასა და იდეას ან ობიექტს შორის, არამედ მხოლოდ პირობითობას (convention), რომელიც დადგენილია მოცემულ მომენტში გარკვეულ სოციალურ წრეში⁶⁵.

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილ ამონაწერში იდეა და ობიექტი თანაბრად არის მიჩნეული აღსანიშნად.

არის თუ არა წინააღმდეგობა სოსიურთან, არსებით მხარეს ეხება ეს წინააღმდეგობა თუ არა, ნებისმიერობა მაინც არსებობს, აღნიშნავენ სეშე, ბალი და ფრაი. მათი განმარტებით, ეს ნებისმიერობა იმაში მდგომარეობს, რომ ხ-შ-წ ბგერათა თანმიმდევრობასა და ცხოველს შორის, რომელსაც ეს თანმიმდევრობა აღნიშნავს ფრანგულში, არ არსებობს არავითარი ბუნებრივი აუცილებელი კავშირი, რომლის წყალობითაც ერთი მეორეს იწვევდეს⁶⁶.

ამას ბენვენისტიც არ უარყოფს, მაგრამ იგი მას არალინგვისტურ, მეტაფიზიკურ პრობლემად მიიჩნევს. სეშე, ბალი და ფრაი არ თვლიან

⁶² ა. სეშე, შ. ბალი, ა. ფრაი, დასახ. ნაშრ., გვ. 166.

⁶³ იქვე, გვ. 165.

⁶⁴ იქვე, გვ. 166.

⁶⁵ იქვე, გვ. 165.

⁶⁶ იქვე, გვ. 167.

თავს მომზადებულად იმისათვის, რომ იკამათონ სინამდვილესთან აზროვნების მიმართების შესახებ, მაგრამ მათ გამართლებულად მიაჩნიათ მეტაფიზიკურ მიზნებს დაუპირისპირონ საკითხის ნათელი გადაწყვეტა ობიექტური მეცნიერების ფარგლებში. მათი აზრით, არაფერი გვაიძულებს მოვამწყვდიოთ აღმნიშვნელი და აღსანიშნი ენის სისტემურ ჩარჩოებში და არ არსებობს ხელისშემშლელი მიზეზი იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ აღმნიშვნელის მიმართებაზე აღსანიშნ ობიექტთან ან ობიექტის ცნებასთან. მით უფრო, რომ მოლაპარაკე სუბიექტები მუდამ ეხებიან ამ მიმართებას მეტყველებაში გამომხატველობითი საშუალებებით⁶⁷.

ამგვარად, იცავენ რა სოსიურის დებულებას აღსანიშნის მიმართ ნიშნის ნებისმიერობისა და მოლაპარაკეთა მიმართ მისი არანებისმიერობის შესახებ, ა. სეშე, შ. ბალი და ა. ფრაი გვერდს უვლიან იმ წინააღმდეგობას, რომელიც სოსიურთან გვაქვს. თავისთავად საგანთან ნიშნის მიმართებაზე საკითხის დასმა საეცებით კანონზომიერია, მაგრამ სოსიურმა თვით გამორიცხა ამგვარად მისი დასმის შესაძლებლობა, როდესაც განაცხადა, ნიშანი აკავშირებს არა საგანს და სახელს, არამედ იდეას და აკუსტიკურ სახესო.

თვით ა. სეშე, შ. ბალი და ა. ფრაი აღსანიშნად ცნებასაც (resp. იდეასაც) თვლიან და ობიექტსაც, მათი შეხედულება ამ საკითხზე გარკვეულობას მოკლებულია.

3.6. ცნობილმა ინგლისელმა ენათმეცნიერმა ალან გარდინერმა ა ს ტ ა ტ ი ა შ ი „ლინგვისტური ნიშნის სოსიურისეული ანალიზი“⁶⁸ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სოსიურმა და ბენვენისტმა სხვადასხვაგვარად გაიგეს სიტყვა ნებისმიერი. ბენვენისტისათვის ნებისმიერობა ნიშნავს სიმტკიცის არარსებობას, მაშინ როდესაც სოსიურისათვის ეს არის მოტივის არარსებობა⁶⁹.

გარდინერს უსაფუძვლოდ მიაჩნია ბენვენისტის განცხადება, რომ სოსიურმა განსაზღვრა რა აღსანიშნი როგორც ცნება, გაუმართლებლად შემოიტანა ამ განსაზღვრებაში გამორიცხული სინამდვილე. გარდინერის აზრით, ბენვენისტს დამაკმაყოფილებლად არ განუხილავს „ცნების“ ბუნება. ყოველგვარი ცნების საფუძველს სინამდვილე წარმოადგენს. სწორია ძველი სქოლასტიკური დოქტრინა, რომ *Nihil est in intellectu quod non prius fuerit in sensu*. ყოველი ცნება სინამდვი-

⁶⁷ ა. სეშე, შ. ბალი, ჯ. ფრაი, დასახ. ნაშრ., გვ. 168.

⁶⁸ Alan H. Gardiner, *De Saussure's Analysis of the Signe Linguistique*. «Acta Linguistica», 1944, v. IV, f. 3.

⁶⁹ იქვე, გვ. 109.

ლის წარსული ცდებისაგან გამომდინარეობს. იგი არის ფსიქიკური დანალექი, რომელიც მრავალი რეალობის უთვალავი ცდისაგან რჩება ცნობიერებაში. ამიტომ, ასკვნის გარდინერი, სოსიურს უფლება ჰქონდა ელაპარაკნა სინამდვილეზე (რეალობაზე) იმ შემთხვევებში, სადაც ის ლაპარაკობდა ცნებაზე⁷⁰.

გარდინერის აზრით, ბენვენისტის დასკვნა სხვაგვარი იქნებოდა, მას რომ მეტყველების აქტები გაეთვალისწინებინა. როდესაც A-ს სურს მიაქციოს B-ს ყურადღება ცოცხალ ხარზე, იგი წარმოთქვამს ბგერას h-ö-f ან, თუ გერმანელია, — ბგერას o-k-s, რომელიც იწვევს B-ს მესხიერებაში აღსანიშნს. ეს უკანასკნელი წარმოდგენაა, მაგრამ იგი შედეგია სხვა ხარებზე მრავალრიცხოვანი წარსული ცდებისა, ესაა ერთგვარი მოჩვენებითი (phantasm) ხარი. ესმის რა ეს მოჩვენება (phantasm), B იყურება გარშემო იმის სანახავად, ხომ არ შეესაბამება მას რაიმე არსებულ სიტუაციაში და დაინახავს იმას, რაც იგულისხმებოდა — მართლაც დაინახავს რეალურ, ცოცხალ ხარს, რომელიც ბალახს ძოვს მინდორზე⁷¹.

ბენვენისტის შეცდომა ისაა, რომ მან მიაწერა სოსიურს ამ ცოცხალი ხარის ჩარიცხვა სიტყვა h-ö-f-ის აღსანიშნში, წერს გარდინერი. მაგრამ ამ შეცდომაში, მისი აზრით, სოსიურს წილი არ მიუძღვის. განიხილავდნენ რა ლინგვისტური ნიშნის ბუნებას, ბენვენისტიც და სოსიურიც ხარს გულისხმობდნენ, მაგრამ არა ერთსა და იმავე ხარსო, ასკვნის გარდინერი⁷².

როგორც ვხედავთ, არც გარდინერს შეაქვს გარკვეულობა იმ წინააღმდეგობაში, რომელიც სოსიურთან გვხვდება. იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ საგანსა და ცნებას შორის დაპირისპირება არ არსებობს, რომ ცნება მეორეულია საგანთან შედარებით და საგნისაგან გამომდინარეობს, ამიტომ საგანთან მიმართების საკითხი კანონზომიერია, მაგრამ აღსანიშნად მანაც ცნება (=წარმოდგენა) მიიჩნია. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სოსიურის მსგავსად გარდინერიც აღსანიშნს ნიშნის ნაწილად თვლის. რაც მთავარია, გარდინერი არაფერს ამბობს, სწორად მოიქცა თუ არა სოსიური, როდესაც განაცხადა, ნიშანი არ აკავშირებს სახელს საგანთანო.

არ არის შემთხვევითი ის, რომ როდესაც სიტყვისა და საგნის მიმართებაზე მსჯელობენ, გარდინერიც და სხვა ავტორებიც (მაგ., სეშე, ბალი და ფრაი) ტოვებენ ენის სფეროს (სოსიურისეული გაგებით) და

⁷⁰ A. Gardiner, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

⁷¹ იქვე, გვ. 109—110.

⁷² იქვე, გვ. 110.

მეტყველების აქტებს განიხილავენ. ნიშნის შემოფარგულა წარმოდგენებით ენის იმ გაგების საფუძველზე შეიძლება, რომელიც სოსიურთან გვაქვს და რომელიც მეტყველებასთან დაპირისპირებას გულისხმობს. როგორც კი საქმე შეეხება ენის გამოყენებას, ადამიანთა ურთიერთობას, მაშინვე აშკარა ხდება, რომ ის, რისი, საშუალებითაც აგებინებენ, ბგერათკომპლექსებია და არა აკუსტიკური წარმოდგენები, ხოლო, ის, რის შესახებაც აგებინებენ, თვით რეალური საგნებია და არა მათი წარმოდგენები.

3.7. სოსიურთან წინააღმდეგობას ვერ ხედავს ვერც ამერიკელი ენათმეცნიერი ა. ნე რ ი ნ გ ი⁷³. იგი გვეუბნება, რომ სოსიური ყოველთვის და მხოლოდ განიხილავს ფორმისა და ცნების მიმართებას. მაგრამ ამ მიმართების საზომს ის რეალურ ობიექტში ეძებს. ამგვარად ის შეუცნობლად კი არ გადავიდა რეალურ ობიექტზე, არამედ ესაა კარგად მოფიქრებული და სავსებით კანონზომიერი მეთოდოლოგიური პროცედურა. თუ როგორია კავშირი ნიშნის ფორმასა და ცნებას შორის, ეს შეიძლება გარკვეულ იქნეს მხოლოდ რეალურ ობიექტთან მიმართებით. ეს იმიტომ, რომ სიტყვა შექმნილი იყო რეალური ობიექტისათვის და მხოლოდ წარმოშობის შემდეგ დაუკავშირდა იგი ცნებას, რომელიც მეორეულია ობიექტთან შედარებით, მას ენაცვლება.

ნერინგის განმარტებით, ბენვენისტმა ვერ გაიგო, რომ სოსიურის ნებისმიერობა ისტორიულ ასპექტს გულისხმობს, რომ საქმე ეხება ნიშნისა და რეალობის მიმართებას წარმოშობის თვალსაზრისით, რომ სინქრონული სიტუაციის ახსნისათვის მას ზოგჯერ გადააქვს დაკვირვების ველი სინქრონიიდან დიაქრონიულ სიბრტყეზე⁷⁴.

ნერინგი მოითხოვს გარჩეულ იქნეს აკუსტიკური სახისა და ცნების სიმბიოზის ფსიქოლოგიური და ლინგვისტურა ასპექტები. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ფორმასა და ცნებას შორის მიმართება მხოლოდ დროებით არის „აუცილებელი“. ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები: 1) მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს, რის შედეგად აკუსტიკური ფორმა ახალი კონცეფტური მიმართებით იხმარება. 2) როდესაც სიტყვები ხმარებიდან გამოდიან, ახალ ნიშან-ფორმებს ძველი ცნებებისათვის ვხმარობთ. 3) უცხო ენაზე მეტყველებისას ზოგჯერ სიტყვიერი ფორმა გვახსენდება, მაგრამ აღნიშნული ცნება გვავიწყდება. 4) ხოლო დედანაზე ლაპარაკის დროს შეიძლება ცნება გვახსოვდეს, ნიშნითი ფორმა კი დაგვავიწყდეს. ყველაფერი ეს, ნერინგის აზრით, იმაზე მიუ-

⁷³ Alfons Nehring, The Problem of the Linguistic Sign. «Acta Linguistica», 1950, v. IV, f. 1.

⁷⁴ იქვე, 83-4.

თითებს, რომ სიმბიოზი „აღმნიშვნელსა“ და „აღსანიშნს“ შორის არც ისე მკიდროა და სრულყოფილი, როგორც ბენვენისტი ფაქრობს. ისინი ყველა პირობებში ერთად არ ჩნდებიან და საერთოდ ფსიქოლოგიური სიტუაცია ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ბენვენისტს ჰგონია⁷⁵.

მაგრამ ფსიქოლოგიური ასპექტი ენათმეცნიერს უშუალოდ არ უნდა აინტერესებდეს. ლინგვისტური თვალსაზრისი კი ნერინგს გარკვეულად მიაჩნია. ჩვენ ყოველთვის ვხმარობთ სიტყვას ფორმასა და ცნებას შორის მიმართებისათვის, რაც ნაკარნახევია „კანონით“, „ჩვეულებით“, „ხმარებით“. ლინგვისტური ხმარება კანონს წარმოადგენს და მოლაპარაკებები მას ემორჩილებიან. ამ ასპექტში მიმართება სიტყვის ფორმასა და სიტყვის ცნებას შორის „აუცილებელია“. მაგრამ ეს აუცილებლობა არ უპირისპირდება სოსიურის ნებისმიერობას. ამიტომ ნერინგი თვლის, რომ ბენვენისტისეული კრიტიკა სოსიურისა ვერ აღწევს მიზანს. რასაც ბენვენისტი გულისხმობს „აუცილებელში“, ის არ გამოირიცხავს იმას, რასაც სოსიური გულისხმობს „ნებისმიერში“. ბენვენისტის „აუცილებელი“ ეხება ფორმისა და ცნების თანაბარებას, მაშინ როდესაც სოსიურის „ნებისმიერი“ გულისხმობს ფორმალურ და ცნებით ფაქტორთა განუყრელ პარალელიზმს⁷⁶.

ნერინგის შეხედულებებიდან არამართებულად გვეჩვენება, თითქოს სოსიურს მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ ცნებისა და სიტყვის ფორმის მიმართება, ხოლო ობიექტისა და სიტყვის მიმართებაზე შეჩერება მას დასჭირდა ცნებისა და სიტყვის მიმართების გასაზომად. გაურკვეველი რჩება, როგორ უნდა გაზომოს პირველმა მიმართებამ მეორე?

მსგავსად ლერხისა, ნერინგიც განასხვავებს ნებისმიერობას ისტორიული და სტატისტიკური თვალსაზრისით და, რაც უფრო საყურადღებოა, ის ცდილობს გამიჯნოს ერთმანეთისაგან საკითხის ფსიქოლოგიური და ლინგვისტური ასპექტები.

გასაზიარებელია ნერინგის შეხედულება, რომ სოსიურს მხედველობაში ჰქონდა ისტორიული და ლინგვისტური ასპექტები, ბენვენისტმა კი სინქრონიული და ფსიქოლოგიური ასპექტები შემოიტანა.

3.8. დისკუსიაში მონაწილე დანარჩენი ავტორების შეხედულებებიდან მხოლოდ ძირითადსა და ჩვენ მიერ განხილული საკითხების თვალსაზრისით საინტერესოს აღვნიშნავთ.

⁷⁵ A. Nehring, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

⁷⁶ იქვე.

ბელგიელმა ენათმეცნიერმა ბიუსენსმა (Buysens)⁷⁷ საერთოდ ფუქად მიიჩნია კამათი იმის შესახებ, რომ არსებობს განსხვავება ჩვენს გარეშე არსებულ ობიექტსა და ჩვენს ცნობიერებაში მის წარმოდგენას შორის. ბიუსენსის აზრით, ჩვენ სინამდვილეში ობიექტს მხოლოდ გრძნობადი სახით ვიცნობთ, ჩვენი გონება არ იძლევა ობიექტის რეპროდუქციას სარკის მსგავსად. ასევეა ბგერათა მიმართაც. ჩვენ ვიცნობთ არა ჰაერის ტალღათა რხევას, არამედ ფენომენს, რომელიც წარმოიშობა ჩვენს ტვინში აკუსტიკურ-მორტორული კომპლექსის მიერ.

მამასადამე, წერს ბიუსენსი, გვაქვს უფლება, ვთქვათ, რომ ლინგვისტური ნიშანი არის ბგერა, ბგერების ჯგუფი, რომელიც ასოციაციურადაა დაკავშირებული ფსიქიკურ ელემენტთან: ამ ასოციაციის ორივე ელემენტი ნამდვილად ფსიქიკურია. სიტყვის მნიშვნელობა არასოდეს არ არის კავშირი ბგერებსა და საგანს შორის, რომელიც ჩვენს გარეშე არსებობს. თუ მე ვპოულობ მსგავსებას სიტყვა *coucou*-სა და ფრინველის გალობას შორის, წერს ბიუსენსი, ეს ჩემს ცნობიერებაში სიტყვის აპერცეფცია ჰგავს სიმღერის აპერცეფციას. ნაკლებ შესაძლებელია, რომ თვითონ გუგულისათვის ან სხვა პლანეტის მკვიდრისათვის აქ რაიმე მსგავსება იყოს⁷⁸.

სოსიურის თვალსაზრისს ბიუსენსი ასე განმარტავს: ხმარობდა რა სიტყვას «ნებისმიერი ან არამოტივირებული», სოსიურს სურდა ეთქვა, რომ ბგერათა არჩევანი არ არის ნაკარნახევი თვით ბგერებით⁷⁹.

თვით ბიუსენსი საჭიროდ თვლის გაიხაზოს ნიშანთა გრამატიკული ბუნება, რაც ლინგვისტურ ნიშნებს განასხვავებს დანარჩენი ნიშნებისაგან⁸⁰.

ვერ გავიზიარებთ ინტერპრეტაციას, რომელიც სოსიურის ნებისმიერობას მისცა ბიუსენსმა⁸¹. სოსიური იმას კი არ ამბობდა, რომ ბგერათა არჩევანი არ არის ნაკარნახევი თვით ბგერებითო, არამედ იმას, რომ ბგერათა არჩევანი არ არის ნაკარნახევი საგნით, საგნის ბუნებით.

ამასთან სოსიური სრულიადაც არ სვამდა საკითხს იმის შესახებ, თითქოს სინამდვილის ასახვა შეუძლებელი იყოს.

⁷⁷ E. Buysens. La nature du signe linguistique. «Acta Linguistica», 1941, v. II, f. 2.

⁷⁸ იქვე, გვ. 83.

⁷⁹ იქვე, გვ. 86.

⁸⁰ იქვე, გვ. 85.

⁸¹ ბიუსენსის ამ შეხედულებას იზიარებს ეგე. იხ. N i e l s E g e, Le signe linguistique est arbitraire. TCLC, 1949, ტ. V, გვ. 17.

8.9. ჩვენთვის საინტერესო პრობლემის თვალსაზრისით არ მიგვაჩნია აუცილებლად დაწვრილებით შეეჩერდეთ ბორჯოს, ბრეკერისა და ლომანის თეორიაზე ენობრივი ნიშნის შესახებ⁸². აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ამ ავტორებმა სცადეს შეექმნათ ენობრივი ნიშნის თეორია სოსიურისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ეს თეორია არ გვეჩვენება საინტერესოდ. მასში განსაკუთრებით ორიგინალურიც ბევრი არაფერია. ავტორები არსებითად ენობრივ ნიშნებზე კი არ ჩერდებიან, არამედ ორ ადამიანს შორის პირობით გამოყენებულ ნიშნებზე (ფანჯარაში გამოკიდებულ პირსახოცზე, რომელიც აუწყებს ვაჟს, რომ მისი სატრფო მარტოა შინ).

ჩვენთვის საყურადღებო აქ მხოლოდ ის არის, რომ აღსანიშნი არ არის რეალური საგანი, არამედ იდეაა, აღმნიშვნელი კი — არის არა ფონაცია (ბგერა), არამედ იდეალური ბგერითი სტრუქტურა, — ფონემა. ამგვარად, აღსანიშნიც და აღმნიშვნელიც გონების ფენომენებია⁸³.

რაც შეეხება სოსიურთან დამოკიდებულების საკითხს, ამ მხრივ საყურადღებოა ის, რომ დასახელებული ავტორების აზრით, აღსანიშნი არ შეიძლება შემოდიოდეს ნიშანში. ნიშანი აღნიშნავს რაღაცას სხვას, ვიდრე თვითონ არის⁸⁴. ეს უუკველად მართებული აზრია, რომელიც დისკუსიაში სხვას არავის გამოუთქვამს.

გ) ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი გლოსემატიკაში

8.10. მიუხედავად იმისა, რომ გლოსემატიკა სოსიურის თეორიის გარკვეულ დებულებებს ემყარება, ეს კონცეფცია მთლიანად მეტად თავისებურია და ნიშნის გაგებაშიაც არსებითად განსხვავდება ყველა ზემოგანხილული თვალსაზრისისაგან. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით მისი ცალკე გამოყოფა.

გლოსემატიკის თვალსაზრისი ენობრივი ნიშნის შესახებ დისკუსიაში წარმოადგინეს ნილს ეგემ და სვენდ იოჰანსენმა⁸⁵. როდესაც ამ ავტორთა წერილები გამოქვეყნდა, ლ. იელმსლევის „ენის თეორიის

⁸² W. Borgeaud, W. Bröcker et J. Lohman, De la nature du signe. «Acta Linguistica», 1942—1943, v. III, f. 1.

⁸³ იქვე, გვ. 30.

⁸⁴ იქვე, გვ. 25.

⁸⁵ Niels Ege, Le signe linguistique est arbitraire. TCLC, 1949, v.v. Recherches structurales. Svend Johansen, Glossematics and Logistics. «Acta Linguistica», 1950, v. VI, f. 1.

პროლეგომენები“ ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი დანიურიდან რომელიმე სხვა ევროპულ ენაზე (პირველად იგი ინგლისურად ითარგმნა 1953 წ.). ამიტომ ავტორთა ამოცანა იყო გაეცნოთ სპეციალისტთა ფართო წრეებისათვის გლოსემატიკის ფუძემდებლის თვალსაზრისი. ამჟამად ლ. იელმსლევის „პროლეგომენები“ თარგმნილია რიგ ენაზე, მათ შორის რუსულადაც. რაკი ჩვენ დისკუსიის მიმოხილვა გვაქვს ამოცანად, ამიტომ ძირითადად მაინც ეგესა და იოჰანსენის სტატიების მიხედვით დავალაგებთ გლოსემატიკის თვალსაზრისს⁸⁶.

გლოსემატიკისათვის ამოსავალია სოსიურის დებულება, რომ ენა წმინდა ფორმაა და არა სუბსტანცია. მხოლოდ იელმსლევმა განახორციელა სოსიურის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპი, რომ ენა წმინდა ფორმააო, — წერს ეგე⁸⁷. იგი იმასაც განაზავს, რომ გლოსემატიკური ანალიზი პრინციპულად არ აქცევს ყურადღებას სუბსტანციას⁸⁸.

სწორედ აქედან იწყება სოსიურის ნიშნის თეორიის კრიტიკა. საქმე ისაა, რომ სოსიურმა თანმიმდევრულად ვერ გაატარა თავისივე პრინციპი, და ბოლომდე ვერ გაათავისუფლა ენა სუბსტანციისაგან. ეგე აკრიტიკებს ნიშნის ფსიქოლოგისტურ გაგებას სოსიურის მიერ⁸⁹. ფსიქიკური ფენომენი სუბსტანციაა, ამდენად სოსიურთან აღსანიშნიც და აღმნიშვნელიც, ცნებაც და აკუსტიკური წარმოდგენაც სუბსტანციის საშუალებით არის განსაზღვრული. სოსიურის ნიშანი შეიცავს არალინგვისტურ მონაცემებს, რადგან გლოსემატიკისათვის არალინგვისტურია ყველაფერი; რაც არ შედის ენის სტრუქტურაში, არამედ ემსახურება მხოლოდ მის მანიფესტაციას⁹⁰. ამიტომ სოსიურის ნიშანი, როგორც ფსიქიკური სუბსტანცია, გლოსემატიკისათვის მიუღებელია⁹¹.

ეგეს აზრით, პირველად გლოსემატიკამ აწარმოა ლინგვისტური ნიშნის ისეთი ანალიზი, რომელიც ემყარება თვით ენას⁹². როგორია ეს ანალიზი?

გლოსემატიკა ცდილობს აღწეროს ენები წმინდა ფორმალური კრიტერიუმების საშუალებით. ასეთ ფორმალურ კრიტერიუმად მიჩნეულია ფუნქციები. ფუნქცია ჩვეულებრივი გაგებით კი არ არის ნახმა-

⁸⁶ ენობრივი ნიშნის რაობის ის საკითხები, რომლებიც ამ ავტორებს აქვთ ვაღმოცემული, წარმოდგენილია ნაშრომში *Л. Ельсманов, Прологомены к теории языка. «Новое в лингвистике», вып. 1, 1960, гв. 300—318.*

⁸⁷ *N. Ege*, დასახ. ნაშრ., გვ. 23—24.

⁸⁸ იქვე, გვ. 21.

⁸⁹ იქვე, გვ. 23.

⁹⁰ იქვე, გვ. 23—24.

⁹¹ იქვე, გვ. 24, 25.

⁹² იქვე, გვ. 29.

რი. არამედ ის მიმართების სინონომია და გულისხმობს დამოკიდებულებას, რომელიც აკმაყოფილებს ანალიზის პრინციპებს⁹³. გლოსემატიკისათვის ძირითადია სემიოლოგიური ფუნქცია, რომელიც წარმოადგენს მიმართებას ორ ფუნქტივს შორის. ეს ფუნქტივებია „გამოხატულება“ და „შინაარსი“, რომლებიც ერთმანეთს გულისხმობენ და ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ. ეს ურთიერთშეპირობებულობა აღნიშნულია ტერმინით სოლიდარობა. სოლიდარობა თვითონაც წარმოადგენს ფუნქციას, რომლის „ფუნქტივები“ ერთიმეორეს გულისხმობენ⁹⁴. ამგვარად „გამოხატულებასა“ და „შინაარსს“ შორის სოლიდარობა არსებობს.

ეგე გვაფრთხილებს, რომ „გამოხატულება“ და „შინაარსი“ არ უნდა გავიგოთ ჩვეულებრივი მნიშვნელობით. სემიოლოგიურ ფუნქციაში ლაპარაკია არა გამოხატულების სუბსტანციაზე, ე. ი. ფიზიკურ ბგერაზე ან „შინაარსის სუბსტანციაზე“, ე. ი. მნიშვნელობაზე, არამედ გამოხატულების ფორმაზე და შინაარსის ფორმაზე. ისინი განისაზღვრებიან ოპოზიციურად (რელაციურად) და ნეგაციურად თითოეული თავისი ასპექტის შიგნით. მათ პოზიტიურ დახასიათებას გლოსემატიკა ვერ იძლევა. „გამოხატულება“ და „შინაარსი“ შეიძლება განსაზღვრულ იქნენ მხოლოდ მათ შორის სოლიდარობის მიხედვით; საქმე ეხება ორ განსხვავებულ ელემენტს, მაგრამ ვერაფერს ვერ ვიტყვიოთ მათი განსხვავების ხასიათის შესახებო, წერს ეგე⁹⁵. სწორედ ეს ფორმები ქმნიან ენისა და მეტყველების საფუძველს. მათზე დამყარებით არის განსაზღვრული ენობრივი ნიშანიც.

გლოსემატიკისათვის, ისევე როგორც სოსიურისათვის, ნიშანი არის ორმხრივი არსი, წერს ეგე. მაგრამ იგი შეიცავს არა აღსანიშნს და აღმნიშვნელს, როგორც ეს სოსიურთან იყო, არამედ „გამოხატულების ფორმას“ და „შინაარსის ფორმას“, რომლებიც იძენენ სემიოლოგიურ ფუნქციას. ამასთან ნიშანი რალაცის ნიშანია და ეს უკანასკნელი (აღსანიშნი) არ შემოდის ნიშანში. მაგრამ რას აღნიშნავს ნიშანი? — სუბსტანციას⁹⁶. ეს ის სუბსტანციაა, რომელიც გამოავლენს ფორმას. რაკი ნიშანში ორი ფორმა შედის (გამოხატულება და მნიშვნელობა), აღსანიშნიც ორია. გლოსემატიკისათვის ნიშანი არის არა მხოლოდ „შინაარსის ნიშანი“, არამედ აგრეთვე „გამოხატულების ნიშანი“

⁹³ N. E g e, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

⁹⁴ იქვე, გვ. 22.

⁹⁵ იქვე, გვ. 22—23.

⁹⁶ იქვე, გვ. 24. კლასიკური თეორიის მიხედვით, ნიშანი რალაცის ნიშანია სრულიად სხვა აზრით, შენიშნავს ეგე. შდრ. Л. Е л ь м с л е в, Прологомены к теории языка, გვ. 305—306, 315.

და ამით განსხვავდება იგი ყველა აქამდე არსებული ლინგვისტური თეორიებისაგანო, — გვამცნობს ეგე⁹⁷.

საბოლოოდ ნიშნის ფორმალური განსაზღვრება გლოსემატიკაში ასეთია: ნიშანი არის ურთიერთდამოკიდებულება (სოლიდარობა, სემიოლოგიური ფუნქცია) „გამოხატულების ფორმას“ და „მნიშვნელობის ფორმას“ შორის, რომლებიც გამოვლენილი არიან (sont manifesté)— წარმოადგენენ ნიშანს — „გამოხატულების სუბსტანციისას“ და „შინაარსის სუბსტანციისას“, მაშინ როდესაც ენათმეცნიერება აქამდე თვლიდა „გამოხატულების სუბსტანციას“ (იშვიათად „გამოხატულების ფორმას“), „შინაარსის სუბსტანციის“ ნიშნად⁹⁸.

ასეთი განსაზღვრება, ეგეს სიტყვით, განიხილავს ნიშანს, როგორც დადგენილს შინაგანი ფუნქციებით, რომლებიც მას ქმნიან და გარეგანი ფუნქციებით, რომლებიც არსებობენ ნიშანსა და სხვა ლინგვისტურ არსებს (entité, ყუხოტი) (ე. ი. გამოხატულების სუბსტანციასა და მნიშვნელობის სუბსტანციას — თ. შ.) შორის⁹⁹.

რა არის გამოხატულების სუბსტანცია და შინაარსის სუბსტანცია, ეს უფრო ნათლად აქვს ნაჩვენები იოჰანსენს¹⁰⁰.

გამოხატულების ფორმა და შინაარსის ფორმა დაკავშირებულია იმასთან, რასაც უწოდებენ გამოხატულების სუბსტანციას და შინაარსის სუბსტანციას, წერს იგი. სუბსტანცია გარეგანი, გამოვლენითი (მანიფესტური) ფაქტორია, ხოლო ფორმა გამოვლენილი (მანიფესტირებული) ფაქტორი. მანიფესტაციის ფუნქცია დგინდება, როგორც დეტერმინაცია, რომლის ფორმა მუდმივია და სუბსტანცია ცვალებადი. შინაარსის სუბსტანცია შეიძლება იყოს ობიექტი ან ჩვენი კონცეფცია (აზრი) გარკვეულ ობიექტებზე, გამოხატულების სუბსტანცია შეიძლება იყოს ბგერათა ფიზიკური თანმიმდევრობა¹⁰¹. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ამ ფაქტორებს ეწოდა სუბსტანციები, ისაა, განმარტავს იოჰანსენი, რომ გლოსემატიკის კვლევამ გვიჩვენა, რომ ისინი ზედმეტი არიან ენობრივი სტრუქტურის ანალიზის დროს და რომ ისინი შეიძლება გამორიცხულ იქნენ ენათმეცნიერებიდან.

⁹⁷ N. E g e, დასახ. ნაშრ., გვ. 24. შდრ. Л. Е л ь м с л е в, Прологомены, გვ. 315—316.

⁹⁸ N. E g e, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ თვით ნიშნის განსაზღვრება იოჰანსენთანაც ისეთივეა, როგორც ეგესთან (უკეთ, ორივე ელმსლევისაგან მომდინარეობს): გლოსემატიკაში ნიშანი განსაზღვრულია, როგორც ერთიანობა ორი ფუნქციისა, რომლებიც დაკავშირებული არიან ნიშნის ფუნქციის ანუ ურთიერთდამოკიდებულების საშუალებით. ეს ორი ფუნქციე არის გამოხატულება და მნიშვნელობა. S. J o h a n s e n, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

¹⁰¹ შდრ. Л. Е л ь м с л е в, Прологомены, გვ. 308, 315.

მაგრამ მეცნიერებებში, რომლებიც სწავლობენ ლინგვისტურ სუბსტანციებს (ფიზიკაში და ფსიქოლოგიაში), ისინი არიან ან უნდა იყვნენ განხილულნი როგორც ფორმები¹⁰².

ამგვარად, ენობრივი ნიშანი, ერთი მხრივ, ბგერათა ნიშანია, ხოლო მეორე მხრივ, — ობიექტებისა და იდეების ნიშანი.

როგორ დგას ნიშნის ნებისმიერობის საკითხი გლოსემატიკაში? გლოსემატიკაში ნიშანი „ნებისმიერია“ სოსიურისებური გაგებით (ე. ი. არამოტივირებულია), წერს ეგე, რადგან მისი ერთადერთი საფუძველი არის სემიოლოგიური ფუნქცია, ე. ი. სოლიდარობა (ურთიერთშეპირობებულობა) „გამოხატულების ფორმასა“ და „შინაარსის ფორმას“ შორის. მეორე მხრივ, გლოსემატიკის თვალსაზრისი არ გამოირიცხავს შესაძლებლობას ონომატოპოეტურობისა, რომელშიაც მიმართება სემიოლოგიური ფუნქციის ამ ორ ტერმინს შორის არ არის ნებისმიერი. მხოლოდ პრინციპულად ლინგვისტური ნიშანი დახასიათებულია მართო სემიოლოგიური ფუნქციის მიხედვით¹⁰³.

ამგვარად, საკითხი ორ ასპექტში განიხილება. გარედან შეხედვით ნიშანი შეპირობებულია ენის ყველა სხვა ნიშნების მიერ, რომლებსაც თვით ეს ნიშანიც აპირობებს, ამ მხრივ, ვცვლით რა ტერმინის მნიშვნელობას, შეიძლება ვთქვათ, რომ ნიშანი არის არანებისმიერი, — წერს ეგე. მაგრამ შიგნიდან შეხედვით მიმართება მოცემულ „გამოხატულებასა“ და მოცემულ „შინაარსს“ შორის არამოტივირებულია ანუ „ნებისმიერია“. ფაქტი, რომ მოცემული ლინგვისტური მდგომარეობის ნიშანი არსებობს, როგორც დასრულებული ფაქტი, ეგეს აზრით, სრულიად არ უშლის ხელს ნიშნის ნებისმიერობას ზემოთყვანილი გაგებით¹⁰⁴.

როგორც ვნახეთ, გლოსემატიკაში ენობრივი ნიშნის გაგება ემყარება ამ თეორიის სხვა ძირითად პრინციპებს. ამ პრინციპთაგან ყველაზე არსებითია ის, რომ ენა განიხილება ყოველგვარი სუბსტანციისაგან, — როგორც ბგერებისაგან, ისე მნიშვნელობისაგან, — მოწყვეტილად, როგორც წმინდა ფორმა, მიმართებათა სქემა. ამის შესაბამისად არის განსაზღვრული ენობრივი ნიშანიც.

ენის განთავისუფლება სუბსტანციისაგან (ბგერებისა და მნიშვნელობათაგან) წარმოადგენს გლოსემატიკის ყველაზე სუსტ მხარეს, რაც მას არსებითად აშორებს საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკას. შემთხვევით არ წერდა ე. ბენვენისტი: „ლ. იელმსლევის გლოსემატიკა

¹⁰² S. Johansen, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

¹⁰³ N. Ege, დასახ. ნაშრ., გვ. 25—26.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 26.

წარმოადგენს ენის ლოგიკური „მოდელის“ კონსტრუქციას და დეფინიციათა (განსაზღვრებათა) ჩონჩხს უფრო მეტად, ვიდრე მსოფლიო ლინგვისტიკის კვლევის ინსტრუმენტს... აქ გზა მიდის ენათმეცნიერებიდან ლოგიკისაკენ“¹⁰⁵.

ლ. იელმსლევის ნიშნის თეორია განცალკევებით დგას ენათმეცნიერებაში. მრავალსართულიანი, ძნელად აღსაქმელი, პირობით დეფინიციებზე დამყარებული, რეალურ ენათა მონაცემებს მოწყვეტილი, იგი ვერ გვწველის გავერკვეთ საკომუნიკაციო და ექსპრესიული ფუნქციებით აღჭურვილ ბუნებრივ ენათა ერთეულების რაობაში.

გლოსემატიკა თითქოს აღიარებს ენობრივი ნიშნის ნებისმიერობას, მაგრამ ეს შეხედულება ისეა გადაჯაჭვული ამ მოძღვრების სხვა დებულებებთან, რომ ძნელდება გარკვევა, რა მიმართების ნებისმიერობაზეა ლაპარაკი. ერთი მხრივ, ეს არ უნდა იყოს ბგერათა ნებისმიერი მიმართება აღსანიშნ საგნებთან, ვინაიდან საგნებზე საერთოდ არ არის მსჯელობა. ამასთან, ნიშანი აღნიშნავს სუბსტანციებს, — ბგერებს და მნიშვნელობებს, — მაშ. საქმე უნდა ეხებოდეს გამოხატულების ფორმის მიმართებას შინაარსის ფორმასთან. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რა შუაშია ონომატოპეია, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ეგე?

დებულება, რომ ნიშანი არ არის ნებისმიერი მოცემულ ენობრივ სისტემაში, რომ იგი გაპირობებულია სხვა ნიშნებით, უკავშირდება ნიშნის ღირებულების საკითხს, რაც პირველად სოსიურს ჰქონდა განხილული.

ერთი შენიშვნაც: ჩვენი აზრით, ეგეს განცხადება, აღსანიშნი არ შემოდის ნიშანშიო, სრულად ვერ ასახავს ლ. იელმსლევის შეხედულებას. ლ. იელმსლევის ნიშნის თეორია იმდენად რთულია და სხვადასხვა ფენებისაგან შედგენილი, რომ ცნებები „აღსანიშნი“, „აღმნიშვნელი“ არ გამოდგება მის დასახასიათებლად.

მართალია, იელმსლევი სწორედ იმგვარად იწყებს ნიშნის შესახებ მსჯელობას, როგორც ეგე წერს¹⁰⁶, მაგრამ შემდეგ ის გვეუბნება, რომ ესაა ტრადიციული თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისის თანახმად, ნიშანი არის გამოხატულება, რომელიც მიუთითებს ნიშნის გარეთ მყოფ შინაარსზე. მაგრამ არსებობს მეორე შეხედულებაც (სოსიურისა, რომელსაც ლ. ვაისგერბერიც იზიარებს), რომლის მიხედვითაც ნიშანი არის გამოხატულებასა და შინაარსს შორის კავშირით შექმნილი

¹⁰⁵ E. Benveniste, *Tendances récentes en linguistique générale*. «Journal de psychologie normale et pathologique», 1954, № 1—2, გვ. 140.

¹⁰⁶ Л. Ельмслев, *Пролегомена*, გვ. 302, შტრ. გვ. 315.

მოვლენა¹⁰⁷. ავტორის მომდევნო მსჯელობა ამ მეორე შეხედულებას უპერს მხარს.

ამიტომ, რომ იგი ლაპარაკობს არა რისამე აღნიშვნაზე, გამოხატვაზე, არამედ სოლიდარობის ანუ ნიშნურ ფუნქციაზე, რაც გულისხმობს ფუნქცივთა ურთიერთდამოკიდებულებას. ეს ფუნქცივებია შინაარსის ფორმა და გამოხატულების ფორმა.

აი, აქ იჩენს თავს ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება იელმსლევსა და სოსიურს შორის. იელმსლევი სოსიურის „აღსანიშნისა“ და „აღმნიშვნელის“ ნაცვლად ხმარობს „შინაარსსა“ და „გამოხატულებას“. მაგრამ ეს არ არის უბრალო ტერმინოლოგიური ცვლილება. შინაარსიც და ფორმაც იელმსლევის მიხედვით იყოფა ფორმად და სუბსტანციად. ნიშანს შეადგენს შინაარსის ფორმა და გამოხატულების ფორმა ერთად.

ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, აღსანიშნ-აღმნიშვნელის მიმართება არსებობს ფორმასა და სუბსტანციას შორისო, როგორც ამას ეგე გულისხმობს? ამის საფუძველს თითქოს გვაძლევს იელმსლევის სიტყვები, რომ ნიშანი წარმოადგენს შინაარსის სუბსტანციის ნიშანს და გამოხატულების სუბსტანციის ნიშანს¹⁰⁸. მაგრამ იგი არ ხმარობს ამ შემთხვევაშიც ტერმინებს „აღსანიშნი“ და „აღმნიშვნელი“. მისი განმარტებით, გამოთქმა „ნიშანი რაღაცის ნიშანიაო“ ნიშნავს, რომ შინაარსი იმორჩილებს ამ „რაღაცას“, რომელიც შინაარსის სუბსტანციის როლში გვევლინება.

უფრო მეტიც, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ ლ. იელმსლევს არა მხოლოდ ფორმა, არამედ სუბსტანციებიც შემოაქვს ნიშანში. იგი წერს, რომ ტრადიციული გაგებით „ბეჭედი“ წარმოადგენს ნიშანს, რომელიც აღნიშნავს ჩემს თითზე წამოცმულ საგანს და ეს საგანი არ შედის ნიშნის შემადგენლობაში. მაგრამ (და აქ იწყება ახალი ენათმეცნიერების თვალსაზრისი, რომელსაც იელმსლევი იზიარებს) საგანი ჩემს თითზე წარმოადგენს შინაარსის სუბსტანციის არსს, ხოლო შინაარსის სუბსტანცია ნიშნის წყალობით ორგანიზდება შინაარსის ფორმად და შედის ნიშნის შემადგენლობაში შინაარსის სუბსტანციის სხვა არსებთან (сущности) ერთად¹⁰⁹. ანალოგიური აზრია გამოთქმული ბგერითი სუბსტანციის მიმართაც¹¹⁰. ჩვენ მაინც არა ვართ დარწმუნებული, რომ

¹⁰⁷ Л. Е ль м с л е в, Прологомены, გვ. 306.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 316.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 315. ხაზი ჩვენია — თ. შ.

¹¹⁰ იქვე, გვ. 316.

სუბსტანციები იელმსლევს ნიშნის ნაწილებად მიაჩნია. ეს ეწინააღმდეგება მთელ მის თვალსაზრისს სუბსტანციის ადგილისა და როლის შესახებ ენაში.

სამაგიეროდ სრულიად აშკარაა, რომ ნიშანი იელმსლევისთვის ორმხრივი მოვლენაა. ის პირდაპირ წერს: „ნიშანი არის ორმხრივი არსი, რომელიც ღმერთი იანუსის მსგავსად, ორი მიმართულებით იყურება და ორგვარად მოქმედებს: «გარეთ» — გამოხატულების სუბსტანციის მიმართ და «შიგნით» — შინაარსის სუბსტანციის მიმართ“¹¹¹. ეს ადგილიც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ სუბსტანციები ნიშნის გარეთ დგანან, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს უექველად იმას, თითქოს ისინი აღსანიშნებს წარმოადგენენ იელმსლევის აზრით.

4. რა შედეგები მოგვცა ნიშნის ნაზისმიერობის საკითხზე ბაპარტულვა დისკუსიამ?

4.1. სტრუქტურალისტურ ეურნალებში ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის შესახებ ჩატარებული დისკუსიის მიმოხილვის შემდეგ შესაძლებელია რამდენიმე ზოგადი ხასიათის დასკვნა გავაკეთოთ.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, სოსიური ენობრივ ნიშანზე მსჯელობისას ორ მიმართებას გამოყოფდა:

(1) ბგერათკომპლექსის მიმართება საგანთან, რაც მას ნებისმიერად მიაჩნია, და

(2) ენობრივი ნიშნის მიმართება მოლაპარაკე კოლექტივთან, რაც, მისი აზრით, არანებისმიერია.

ე. ბენვენისტმა და შემდეგ რიგმა სხვა მკვლევარმაც გამოყო მესამე მიმართება:

(3) აკუსტიკური სახის ანუ სიტყვის წარმოდგენის მიმართება ცნებასთან ანუ საგნის წარმოდგენასთან, რაც არანებისმიერად იქნა აღიარებული.

ეს უკანასკნელი მიმართება სოსიურის ნიშნის თეორიისაგან გამოდინარეობს. თუ ნიშანი წარმოადგენს ცნებისა და აკუსტიკური სახის ერთიანობას, მაშინ ბუნებრივია დაისვას ამ კომპონენტთა ურთიერთმიმართების საკითხი. ოლონდ ეს კია, რომ აქ ჩვენ გვექნება მიმართება ნიშნის შიგნით, მის შემადგენელ ნაწილებს შორის და არა ნიშანსა და სხვა რაიმე მოვლენას შორის. ასეთი შედეგიც სოსიურის

¹¹¹ Л. Е ль м с л е в, Прологомены, გვ. 316.

კონცეფციითაა გაპირობებული: მისთვის ნიშანი მხოლოდ აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ ის აღსანიშნავი მოიცავს.

ე. ბენვენისტმა მართებულად შენიშნა წინააღმდეგობა სოსიურის შეხედულებებში. ერთი მხრივ, ეს უკანასკნელი ნიშანს განსაზღვრავს როგორც აკუსტიკური სახის კავშირს ცნებასთან, მაგრამ ნებისმიერობის შესახებ მსჯელობისას ამ მიმართებას კი აღარ ეხება, არამედ ცნებიდან საგანზე გადადის. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბენვენისტმა ბოლომდე ვერ გამოავლინა სოსიურის არათანმიმდევრულობა. სოსიურმა არა მხოლოდ მესამე ცნება — საგანი, სინამდვილე შემოიტანა, რომელიც არ შედიოდა მის თავდაპირველ განზრახვაში, არამედ მეოთხე ცნებაც — ფიზიკური ბგერები, რომლებიც აგრეთვე გამოორიციხული იყო ენის, როგორც ფორმის, გაგებიდან. ამიტომ გახდა შესაძლებელი ლაპარაკი (1) მიმართებაზე, ე. ი. ბგერათა (და არა აკუსტიკური სახეების) მიმართებაზე საგანთან.

ბენვენისტი შეეცადა დაეცვა სოსიურის ნიშნის თეორია და იმ მიმართებაზე ელაპარაკა, რომელიც მისგან გამომდინარეობს, ეს კი (3) მიმართებაა. რაკი (1) მიმართება სოსიურის მიერ გამოორიციხულ ცნებებს გულისხმობს, ბენვენისტმა სრულიად მოხსნა იგი ენათმეცნიერებიდან. ამით სოსიურის თეორიის შინაგანი წინააღმდეგობა თითქოს დაძლეულ იქნა, მაგრამ ენათმეცნიერებას გამოაყლდა ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც, როგორც ვნახეთ, მთელი ისტორიულ-შედარებითი კვლევის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

სოსიურის თვალსაზრისის დამკველთა პოზიციაც ვერ არის მთლად გამართული. ისინი ან სრულიად უარყოფენ წინააღმდეგობას, რომელიც სოსიურთან გვაქვს ნიშნის განსაზღვრებასა და საგანთან ბგერათკომპლექსის მიმართებაზე მსჯელობისას (გარდინერი, ნერინგი) ან არადა ძლიერ მცირე მნიშვნელობას ანიჭებენ მას (სეშე, ბალი, ფრაი). ამიტომ ეს წინააღმდეგობა ამ ავტორებთანაც იჩენს თავს. მათ არ შეაქვთ შესწორება სოსიურის დებულებაში, რომ ნიშანი აკავშირებს ცნებას და აკუსტიკურ სახეს და არა საგანს და სახელს, აღსანიშნავად სოსიურის მსგავსად ან ცნებას აღიარებენ (გარდინერი, ნერინგი) ან ორივეს: ცნებასაც და ობიექტსაც (სეშე, ბალი, ფრაი). გაურკვეველი რჩება, რა ადგილი უკავია საგანს და ბგერებს, რატომ კეთდება ნახტომი ცნებიდან საგანზე, ხოლო აკუსტიკური სახიდან ბგერებზე? საქმეს არ შველის გარდინერის განცხადება, ცნება საგნიდან მომდინარეობს, მისი ფსიქიკური დანალექიაო. მით უფრო გაურკვეველია, რატომ არ უნდა ვალიაროთ ეს საგანი აღსანიშნავად!

სოსიურის ორთოდოქსი მიმდევრები ინარჩუნებენ საგანთან ენობრივი ნიშნის მიმართების პრობლემას, რაც უეჭველად ფასეულია,

მაგრამ იზიარებენ რა სოსიურის ფსიქოლოგისტურ კონცეფციას ენობრივი ნიშნის შესახებ, ვერ ახერხებენ ამ პრობლემის დასაბუთებას.

ჩვენი აზრით, გამოსავალი იმ წინააღმდეგობიდან, რომელიც სოსიურის თეორიაში რეალურად გვხვდება, იმ მიმართულებით კი არ უნდა ვეძებოთ, როგორც ეს ბენვენისტმა და სხვებმა სცადეს, არამედ გადასინჯვას მოითხოვს სოსიურისეული განსაზღვრება ენობრივი ნიშნისა. წინააღმდეგ სოსიურის შეხედულებისა, ნიშანი აკავშირებს არა აკუსტიკურ სახეს ცნებასთან, არამედ სახელს (ბგერათკომპლექსს) საგანთან. ამის აღიარების შემდეგ საგანთან ბგერათკომპლექსის მიმართების საკითხი საესებით კანონზომიერად მოგვევლინება.

ძალიან მოკლედ შევეხოთ იმ სამ მიმართებას, რომლებიც ენობრივი ნიშნის სხვადასხვა ასპექტით განხილვისას გამოიყო:

(1) სიტყვის მიმართება საგანთან უაღრესად მნიშვნელოვანია ენათმეცნიერებისათვის. მას ემყარება არა მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი კვლევა, რაც არაერთგზის იყო აღნიშნული, არამედ მნიშვნელობის შესწავლაც. ნიშნის მნიშვნელობის გარკვევა ენათმეცნიერებაში გულისხმობს იმის დადგენას, თუ სინამდვილის რა ობიექტებზე (ობიექტთა კლასებზე) ან მიმართებებზე მიუთითებს ბგერათკომპლექსი. ისტორიულ ასპექტში ენათმეცნიერებას აინტერესებს, თუ როგორ იცვლიან მნიშვნელობას ენობრივი ერთეულები (სიტყვები, მორფემები), ე. ი. როგორ გადაინაცვლებენ ისინი საგანთა ერთი კლასიდან ან მიმართებიდან მეორეზე, როგორ იძენენ ახალ მნიშვნელობებს, როგორ ჩნდება ახალი საგნების ან მოვლენების აღსანიშნავად ახალი ენობრივი ნიშნები და ა. შ. ამ ძიებისას ენათმეცნიერება ვერ იკისრებს აღსანიშნის არსის გამოკვლევას, სულ ერთია, რაც არ უნდა ვიგულისხმოთ აღსანიშნში: საგანი, ფსიქიკური წარმოდგენა თუ ლოგიკური ცნება.

ე. ბენვენისტს მიაჩნია, რომ აღსანიშნთან ნიშნის მიმართების საკითხი არ არის ენათმეცნიერული საკითხი, იგი ფილოსოფიის (გნოსეოლოგიის) სფეროს განეკუთვნება. — ეჭვი არ არის, ფილოსოფიამ გნოსეოლოგიის პრობლემატიკის კვლევისას ისიც უნდა გაითვალისწინოს, თუ რა როლს ასრულებს ენობრივი ნიშანი შემეცნების პროცესში, მაგრამ არა გვეჩინია ეს საკმაო საბუთი იყოს იმისათვის, რომ საგანთან ნიშნის მიმართების საკითხი გავიტანოთ ენათმეცნიერების ფარგლებს გარეთ. მისაღებად გვეჩვენება ა. სემეს, შ. ბალისა და ა. ფრაის განცხადება, რომ მოლაპარაკე სუბიექტები მუდამ ეხებიან აღმნიშვნელის აღსანიშნთან მიმართებას მეტყველებაში. მართლაც,

ყოველი მეტყველების აქტი ამ მიმართებას ემყარება და რა გამართ-
ლება შეიძლება ჭონდეს მის გამორიცხვას ენათმეცნიერებიდან?¹¹²

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც (1) მიმართებასთან დაკავშირებით
უნდა აღინიშნოს, შემდეგია: დისკუსიაში მონაწილეთა აბსოლუტური
უმრავლესობა, უფრო ზუსტად, ყველა, ლერხის გარდა, იმ აზრისაა,
რომ ნიშნის ბგერითი მხარე ნებისმიერია, პირობითია აღსანიშნი საგ-
ნის მიმართ, არ არის აუცილებლობით დაკავშირებული მასთან. ეს
საკამათოდ არ მიაჩნია არც ბენვენისტს. იგი მხოლოდ თვლის, რომ
ეს საკითხი არ შემოდის ენათმეცნიერებაში და მისი დასმა არ გამო-
დინარეობს სოსიურის კონცეფციიდან.

რაც შეეხება ე. ლერხს, მისი არგუმენტაცია არ არის დამაჯერე-
ბელი. როგორც არ უნდა გავაზვიადოთ ბგერითი სიმბოლიკის მნიშ-
ვნელობა, მაინც შეუძლებელია დავასაბუთოთ, რომ ყველა სიტყვა
ბგერითი მხრივ განსაზღვრულია საგნის ბუნებით. აკი თვით ლერხიც
იძულებულია აღიაროს, რომ მაინც რჩება ისეთი ნიშნები, რომლებიც
აუცილებლობით არ არის დაკავშირებული აღსანიშნებთან.

ენათმეცნიერული კვლევის მთელი გამოცდილება გვეუბნება, რომ
ასეთი სიტყვები გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ლერხს მიაჩნია. სწო-
რედ ასეთი სიტყვები ქმნიან ყველა ენის ლექსიკის აბსოლუტურ უმ-
რავლესობას. ბგერითი სიმბოლიკის (ძირითადად, მაინც ხმებაძვის)
ნიადაგზე წარმოშობილი ნიშნები იმდენად მცირერიცხოვანი და უმ-
ნიშვნელოა, რომ მათი დამახასიათებელი თვისების განზოგადება ყვე-
ლა დანარჩენ სიტყვაზე გაუმართლებელი იქნებოდა. ამასთან, რო-
გორც არაერთგზის აღუნიშნავთ, ხმებაძვით სიტყვებშიაც ნებისმიე-
რობა საკმაოდაა წარმოდგენილი.

ამ გვარად, დისკუსიის მსვლელობაში არავის
შეუტყვევია დებულება იმის შესახებ, რომ ენობ-
რივი ნიშნის ბგერითი შედგენილობა ნებისმიე-
რია აღსანიშნის საგნის მიმართ. კამათი მხოლოდ იმას ეხე-
ბოდა, შემოდის თუ არა ენათმეცნიერების კომპეტენციაში ამ საკითხის
განხილვა (როგორც ითქვა, ერთადერთ გამონაკლისს ე. ლერხი წარ-
მოადგენს).

(2) საკითხი ენობრივი ნიშნის მიმართებისა მის მომხმარებელ კო-
ლექტივთან არ იდგა განხილული დისკუსიის ყურადღების ცენტრში.
სოსიურის კრიტიკოსები მას საგანგებოდ არც შეეხებოდნენ. უნდა ვივა-
რაუდოთ, რომ მათთვის არ არის სადავო ამ საკითხის სოსიურისეული

¹¹² ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ დასახელებული პრობლემა
უნდა გამოედევს ფილოსოფიის კვლევის სფეროდან.

გადაწყვეტა, ანდა ისინი მცირე მნიშვნელობას ანიჭებენ ამ პრობლემას. სოსიურის თვალსაზრისის დამცველნი (სეშე, ბალი, ფრაი, ნერიხტი) აღნიშნავენ, რომ სოსიურის მიხედვით ნიშანი არ არის ნებისმიერი მოლაპარაკეთა მიმართ და ამ საკითხის განხილვას ენის სოციალურობას უკავშირებენ. ამგვარად, ეს დებულებაც ძალაში დარჩა.

(3) როგორც დავრწმუნდით, სოსიურის კრიტიკოსებმა სხვა სიტყვებზე გადაიტანეს ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი. მათ არანებისმიერად მიიჩნიეს არა სიტყვის მიმართება საგანთან, არამედ აკუსტიკური წარმოდგენის მიმართება საგნის წარმოდგენასთან. როგორც მართებულად იყო აღნიშნული სოსიურის დამცველების მიერ, ეს სხვა საკითხია. ამასთან ისიც უნდა გავიმეოროთ, რომ საკითხის ამგვარად დასმა ორგანულად გამომდინარეობს სოსიურის ფსიქოლოგისტური ნიშნის თეორიისაგან.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს საკითხი არ წარმოადგენს ენათმეცნიერულ პრობლემას. ფსიქიკურ მოვლენათა (მათ შორის ენობრივ წარმოდგენათა) ურთიერთმიმართების ხასიათი ფსიქოლოგიის კვლევის საგანია.

სოსიურის ნიშნის თეორიის ანალიზის დროს ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ არც ენობრივი ნიშნის აღსანიშნია საგნის წარმოდგენა (=სოსიურის ცნებას) და არც აღმნიშვნელი — სიტყვის წარმოდგენა (=სოსიურის აკუსტიკურ სახეს). ამიტომ არც მეორე წყვილის წევრთა ურთიერთმიმართების საკითხი დაისმის ენათმეცნიერებაში.

ერთი რამ მაინც შეიძლება აღინიშნოს: მოლაპარაკეთა განცდა. ე. ი. ის, თუ როგორ ეჩვენებათ მათ მიმართება საგნის წარმოდგენასა და სიტყვის წარმოდგენას (ან თუნდაც საგანსა და სიტყვას) შორის, არ უნდა იყოს გადაწყვეტი ამ საკითხის ობიექტურად გადაჭრისათვის. ზემოგანხილული ავტორები კი მხოლოდ ამ განცდას ემყარებიან. თუ სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ განცდამ, ამის კარგი ნიმუში მოჰყავს ნერიხტს. ერთი აესტრიელი, რომელსაც სურდა დაემტკიცებინა თავისი ენის უპირატესობა სხვა ენებთან შედარებით, ამბობდა: „თქვენ ჰუნგრელები „წყალს“ viz-ს უწოდებთ, თქვენ იტალიელები acqua-ს უწოდებთ: ხოლო ჩვენ მას Wasser-ს ვუწოდებთ და არა მხოლოდ ასე ვუწოდებთ, არამედ ის მართლაც Wasser არის“¹¹³.

¹¹³ A. N e h r i n g. The Problem of the Linguistic Sign, გვ. 5 (ნერიხტს ეს მაგალითი მოჰყავს F. Polle-ს მიხედვით: Was denkt das Volk über die Sprache, 1897, გვ. 37).

ნიშნის არანებისმიერობაზე მსჯელობისას ბენვენისტი გახაზავს იმას, რომ ცნება და სიტყვის წარმოდგენა მკიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული: ჩვენს ცნობიერებაში, ერთი მეორეს იწვევს აუცილებლობით. მაგრამ ის არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადამიანმა რამდენიმე ენა იცის და, მაშასადამე, ერთსა და იმავე ცნებას მის ცნობიერებაში რამდენიმე სიტყვის წარმოდგენა უკავშირდება. ასეთი მაგალითები იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ კავშირი ცნებასა და აკუსტიკურ სახეს შორის არც თუ ძალიან მტკიცეა, ყოველ შემთხვევაში, მისი დარღვევა შეუძლებელი არაა მოლაპარაკეთათვის.

ამგვარად, ჩვენ ვნახეთ, რომ ენობრივ ნიშანთან დაკავშირებით სამგვეჯრი მიმართება შეიძლება იქნეს განხილული. თითოეულ მიმართებასთან დაკავშირებით საკითხი, ნებისმიერია თუ არა ენობრივი ნიშანი, სხვადასხვაგვარად გადაწყდება: (1) მიმართების თვალსაზრისით ის ნებისმიერია და ამას აღიარებს თითქმის ყველა სპეციალისტი. (2) მიმართების მხრივ ის არ არის ნებისმიერი და ესეც საყოველთაოდაა გაზიარებული. (3) მიმართება აგრეთვე არანებისმიერად მიიჩნის ბენვენისტმა და ზოგმა სხვა მკვლევარმა.

ვინაიდან ამ მკვლევრებმა (1) მიმართება ამოიღეს ენათმეცნიერებიდან და შის ნაცვლად (3) შეიტანეს, ამიტომ ზოგს შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს მათ დებულება, ნიშანი ნებისმიერია აღსანიშნის მიმართო, შეცვალეს დებულებით, რომ ნიშანი არ არის ნებისმიერი აღსანიშნის მიმართ.¹¹⁴ ასეთი ინტერპრეტაცია ამ საკითხისა გაუგებრობას ემყარება. არავის უმტკიცებია (გარდა ლერხისა), თითქოს ნიშნის ბგერითი მხარე საგნის ბუნებით იყოს გამოწვეული.

დასახელებული სამი მიმართებიდან პირველი ორი არსებითია ენათმეცნიერებისათვის, მესამე კი ფსიქოლოგიის კვლევის საგანი უნდა იყოს.

ამოწურავს თუ არა ეს სამი მიმართება ენობრივი ნიშნის ყველა ასპექტს? — ვფიქრობთ, რომ არა. ყოველ შემთხვევაში კიდევ ორი მიმართების შესახებ გარკვევით შეიძლება ლაპარაკი.

(4) პირველი მათგანია მიმართება ენობრივ ნიშნებს შორის ენის სისტემაში. ის, რომ ყოველი ნიშანი გაპირობებულია დანარჩენი ნიშ-

¹¹⁴ მაგ., რ. ბულაგოვი წერს: ეს საზღვარგარეთელი ენათმეცნიერები, რომელთათვისაც ძვირფასია შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების გზები და ბედი, — თუმცა არათანმიმდევრულად, — მაგრამ მაინც აკრიტიკებენ მოძღვრებას ლინგვისტური ნიშნის ნებისმიერობის შესახებ, მაგალითად, ბენვენისტი სტატიაში „ლინგვისტური ნიშნის პრობლემა“, Acta Linguistica, ტ. I, 1939, გვ. 23 და შემდ. (P. A. Б у д а г о в, Из истории языкознания, СССР и социализм, 1954, გვ. 17).

ნებით და თვითონაც განაპირობებს მათ. ეს მიმართება სოსიურს სრულიადაც არ გამოორჩენია მხედველობიდან. სწორედ მას ემყარება ღირებულების ცნება, რაც თავის მხრივ ენის სისტემურობის აღიარებიდან გამომდინარეობს¹¹⁵.

სოსიური არ განიხილავს ღირებულებას ნებისმიერობის თვალსაზრისით. მაგრამ როდესაც ენობრივი ღირებულების მატერიალურ ასპექტს ეხება, ის გვეუბნება, რომ ამ მატერიალურ მხარეს ქმნის განსხვავებები (დიფერენციალურობა), რაც ერთ სიტყვას სხვებისაგან გამოყოფს. ნებისმიერობა და დიფერენციალურობა ორი თანაფარდობითი ცნებააო, წერს ავტორი¹¹⁶.

ეგვევ მიმართება აქვს მხედველობაში ეგეს, როდესაც აღნიშნავს, ყოველი ნიშანი გარედან შეხედვით გაპირობებულია სხვა ნიშნების მიერო. იგი ამ გარეგანი გაპირობებულობის გამო ნიშანს არანებისმიერად თვლის¹¹⁷. ჩვენი აზრით, ეს სამართლიანი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განვიხილავდით უკვე ჩამოყალიბებულ კონკრეტულ ენობრივ სისტემას სინქრონიულ კრილში, მაგრამ თუ საკითხს სისტემის ქმნადობის პროცესში შევხებით, და ვფიქრობთ, რომ სწორედ ამგვარად უნდა მოვიქცეთ ამ საკითხის განხილვისას, მაშინ ნიშანთა შორის მიმართებებიც არანებისმიერია. ყოველი ნიშნის ღირებულებას განსაზღვრავს ის, თუ რომელი სხვა ნიშნები უპირისპირდება მას ამ ენობრივ სისტემაში, ხოლო ეს დაპირისპირებანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია და არ არის რაიმე აუცილებლობით წინასწარგანსაზღვრული.

თავისთავად ცხადია, რომ ნიშანთა შორის მიმართებათა საკითხი ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

(5) უკანასკნელ, უნდა გამოიყოს საკითხი ენობრივი ნიშნის მიმართების შესახებ ცნებასთან არა სოსიურისეული, ფსიქოლოგიური გაგებით (ვინიადან მის შესახებ უკვე იყო საუბარი, იხ. (3) მიმართება), არამედ ლოგიკური გაგებით. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ. ჩვენ იმ თვალსაზრისს ვიზიარებთ, რომ ნიშანი საგნებს აღვნიშნავს და არა ცნებებს. ეს სრულიადაც არ ხსნის ცნებასთან ნიშნის მიმართების საკითხს. ოღონდ ეს არ არის აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მიმართება.

¹¹⁵ Ф. Де Соессюр, Курс общей лингвистики, гл. 112—120.

¹¹⁶ იქვე, გვ. 117.

¹¹⁷ იხ. აქვე, გვ. 31. როდესაც სეშე, ბალი და ფრაი ლაპარაკობენ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირზე, მათ მხედველობაში აქვთ (2) მიმართება და არა ის, რაზედაც ჩვენ ამჟამად ვლაპარაკობთ (იხ. აქვე, გვ. 22).

ცნებასა და ენობრივ ნიშანს შორის კავშირი ენისა და აზროვნების კავშირის გამოვლენაა. ამ საკითხს შემეცნების პროცესში ენის როლის პრობლემამდე მივყავართ. ცნებები (და აზროვნების ფორმები), ისევე როგორც ენობრივი ნიშნები, საგნისავენ არიან მიმართული, მაგრამ თითოეული მათგანის დანიშნულება სინამდვილის შემეცნებაში სხვადასხვაგვარია. აზროვნება ცნებებისა (და აზროვნების სხვა ფორმების) საშუალებით ასახავს საგანთა კლასებს, ენა კი თავისი მატერიალური ნიშნებით სახელს არქმევს მათ, რაც აუცილებელი პირობაა აზროვნების მიერ სინამდვილის ასახვისათვის.

ცნება და ენობრივი ნიშანი განუყრელად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ისევე როგორც ენა და აზროვნება არ არსებობენ ერთმანეთის გარეშე. მაგრამ მეცნიერება ახერხებს მათ გამოყოფას ერთმანეთისაგან აბსტრაქციის გზით: ცნებები ლოგიკაში შეისწავლება, ენობრივი ნიშნები — ენათმეცნიერებაში. ამ აბსტრაქციის გამო არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან მათ შორის მიმართების გათვალისწინება. ამ მიმართების შესწავლა, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს მისი შედეგები ენათმეცნიერებისათვის, ფილოსოფიის ამოცანაა.

4. 2. ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის შესახებ ჩატარებულ დისკუსიაში ყურადღებას იქცევს ცდა იმისა, რომ გარჩეულ იქნეს საკითხის სინქრონიულ და დიაქრონიულ ასპექტში განხილვა. ნერინგი სამართლიანად შენიშნავდა, რომ სოსიურის ნებისმიერობა ისტორიულ ასპექტს გულისხმობს, ე. ი. ნიშნისა და რეალობის მიმართებას წარმოშობის თვალსაზრისით.

მართლაც, როდესაც ლაპარაკია (1) მიმართებაზე. ე. ი. ნიშნის ნებისმიერობაზე აღსანიშნის მიმართ, აქ საქმე ეხება სახელდების მომენტს, მაშასადამე, ნიშნის წარმოშობას. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ არამოტივირებული ნიშნები ძველისძველ ხანაში იქმნებოდა, ისტორიულ ეპოქებში ენათმეცნიერება ადასტურებს ახალ ენობრივ ნიშანთა წარმოქმნას უკვე არსებული ნიშნების შეერთებით (სიტყვაწარმოება, თხზვა).

რომ (1) მიმართება დიაქრონიის სფეროს განეკუთვნება, ამას აღიარებს ე. ლერხიცი, რომელსაც დისკუსიაში ნერინგის საპირისპირო პოზიცია უკავია.

სინქრონიული და დიაქრონიული მიდგომის გარჩევაზე ყურადღება გამახვილდა იმიტომ, რომ სტრუქტურალისტებს პირველ რიგში აინტერესებდათ სინქრონიული კრილი. ესეც უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მათ (1) მიმართება შეცვალეს (3) მიმართებით. სადაც ლაპარაკია არა ნიშნის წარმოქმნის განმსაზღვრელ პირობებზე,

არამედ იმაზე, თუ როგორ განიცდის მოლაპარაკე აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთობას. ლერხი პირდაპირ ამბობს: ს ი ნ ქ რ ო ნ ი ა შ ი ა ნ უ ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი ს ა ქ მ ე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ კითხვას, განიცდება სიტყვა როგორც შემთხვევითი, თუ როგორც აუცილებელი¹¹⁸.

ამგვარად, ამ საკითხის გადაწყვეტაზედაც მოახდინა გავლენა სინქრონიის წინ წამოწევამ და დიაქრონიის ხვედრითი წონის შეზღუდვამ, რაც სტრუქტურალისტურ სკოლებს 40-იან წლებში განსაკუთრებით ახასიათებდა.

5. ენობრივი ნიშნის ნაბიჯიერობა და ასახვის თეორია

თუ დასავლეთ ევროპაში 40-იან წლებში ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი ახალ ასპექტში დასვეს სოსიურის ფსიქოლოგისტური თეორიის თანმიმდევრულად გატარების მიზნით, საბჭოთა კავშირში გამოითქვა აზრი, რომ ენათმეცნიერებაში ნიშანთა თეორიის აღიარება შეუთავსებელია ლენინური ასახვის თეორიასთან. ეს შეხედულება მარქსისტულ ფილოსოფიაში შეიქმნა და ამდენად მისი სრულად განხილვა ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, მაგრამ რამდენადაც ამ შეხედულებამ ძლიერი გავლენა მოახდინა ენათმეცნიერებზედაც, მის ძირითად მომენტებს მაინც უნდა შევეხოთ.

1948 წ. გამოქვეყნდა ლ. რეზნიკოვის სტატია „ავნოსტიციზმის წინააღმდეგ ენათმეცნიერებაში (ენის ნიშანთა თეორიის კრიტიკა)“¹¹⁹. რეზნიკოვი ყოველგვარი დიფერენცირებული მიდგომის გარეშე მიუთითებს ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა, ენათმეცნიერთა უმრავლესობაზე, რომელნიც სიტყვებს მთლიანად მიიჩნევენ ნიშნებად. სიმბოლოებად, იეროგლიფებად (! — თ. შ.). დასახელებულია: კასირერი, რასელი, დელაკრუა, სოსიური, ვანდრიესი, კარნაპი, ბიულერი, კარნუა, ურბანი, სეპირი¹²⁰. ამათ ემატება ის საბჭოთა ენათმეცნიერებიც, რომლებიც სამწუხაროდ ანალოგიურ შეხედულებას იზიარებენო¹²¹.

¹¹⁸ იხ. აქვე, გვ. 19—20. დაყოფა ჩვენია — თ. შ.

¹¹⁹ Л. О. Резников, Против агностицизма в языкознании (критика знаковой теории языка). ИАН, ОЛЯ, 1948, т. VII, вып. 5. იხვე დებულებებს იტყვის ავტორი 1958 წ. გამოსულ წიგნში „Понятие и слово“.

¹²⁰ Л. Резников, Против агностицизма, გვ. 401. შტრ. Понятие и слово, გვ. 27. ამ უკანასკნელში დამატებულია: ლუი, იელმსლვეი, ჩეიზი.

¹²¹ Л. Резников, Против агностицизма, გვ. 402, Понятие и слово, გვ. 28.

ლ. რეზნიკოვი წერს: „ენის ნიშანთა თეორია თავისი არსებით იდეალისტური თეორიაა. იგი ანტიმეცნიერულია და რეაქციული. იგი წარმოადგენს ენათმეცნიერებაში ყველაზე მავნე აგნოსტიკურ შეხედულებათა შემოთრევის საშუალებას. ამიტომ ის აუცილებლად უნდა ვამხილოთ, გავაკრიტიკოთ და უარყვოთ“¹²².

როგორ ამხელს და აკრიტიკებს რეზნიკოვი ნიშანთა თეორიას? იგი გვაუწყებს: „ენის ფილოსოფიის ბურჟუაზიულ ლიტერატურაში დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდნენ საკითხს, სიტყვა საგნის ნიშანს წარმოადგენს თუ ცნების ნიშანს. მაგრამ საკითხის ამგვარად დასმა სრულიად არასწორია და ძირშივე მანკიერია, რადგანაც სინამდვილეში სიტყვა არც ერთია და არც მეორე. მართლაც, შეიძლება თუ არა სიტყვას ვუწოდოთ რაიმე საგნის ან მოვლენის ნიშანი? სვამს კითხვას რეზნიკოვი და კატეგორიულად უარყოფით პასუხს იძლევა ამ კითხვაზე.

მაინც რატომ არ შეიძლება სიტყვა საგნის ნიშნად მივიჩნიოთ? რეზნიკოვი ამ შეხედულებას კი არ ასაბუთებს, არამედ ის უარყოფს სიტყვის მნიშვნელობის ვულგარულ გათანაბრებას საგანთან. მისი საბუთი ასეთია: „ვსპობ რა ქალაქის ფურცელს, მე ამით სრულიადაც არ ვსპობ სიტყვების „ქალაქის ფურცელი“ მნიშვნელობას, ვკამ რა ფუნთუშას, მე სრულიადაც არა ვკამ სიტყვა „ფუნთუშის“ მნიშვნელობას და ა. შ.; და პირუკუ, წარმოვთქვამ რა სიტყვას „წიგნი“ და ამით ვაცნობებ სხვას გარკვეულ მნიშვნელობას, მე ამით სრულიადაც არ გადავცემ მას თვით წიგნს, როგორც საგანს“¹²³

მეორე და მთავარი საბუთი იმის საწინააღმდეგოდ, რომ სიტყვის მნიშვნელობა არ არის თვით საგანი (და არა იმის წინააღმდეგ, რომ სიტყვა საგნის მიმართ ნიშანია, ე. ი. საგანზე მიუთითებს), ავტორის განმარტებით, გნოსეოლოგიური ხასიათისაა. იგი იმაში მდგომარეობს, რომ საგნები თურმე უფრო ადრე გაჩნდნენ, ვიდრე აზროვნება და ენა, რომ, მაგალითად, მინერალები, ცხოველები, მცენარეები მაშინაც კი არსებობდნენ, როდესაც სათანადო ცნებები და სიტყვები ჯერ კიდევ არ იყვნენ¹²⁴.

აი, როგორ დაამტკიცა რეზნიკოვმა, რომ სიტყვა არ არის საგნის ნიშანი!

¹²² Л. Резников, Против агностицизма, гл. 402, Понятие и слово, гл. 29.

¹²³ Л. Резников, Против агностицизма, гл. 403.

¹²⁴ იქვე, გვ. 404.

სიტყვა არც ცნების ნიშანია რეზნიკოვის მიხედვით. ცნება თვითონ არის სიტყვის მნიშვნელობა და რადგანაც ცნება საგნების განზოგადებულ ასახვას წარმოადგენს, სიტყვაც ნიშანი კი არ არის, არამედ ბგერითს ფორმაში წარმოდგენილი ა ს ა ხ ვ ა სინამდვილისა¹²⁵.

ეს არის ის ძირითადი არგუმენტი, რომლითაც „ნიშანთა თეორიას“ ებრძვის არა მხოლოდ რეზნიკოვი, არამედ სხვა მისი თანამოაზრენიც.

ამ არგუმენტის გასაძლიერებლად რეზნიკოვი იმოწმებს ლენინის ასახვის თეორიას. იგი წერს: „სიტყვის მიჩნევას მხოლოდ საგნის ან მოვლენის ნიშნად უეჭველად მივყავართ შემეცნების იეროგლიფურ თეორიამდე, ან კიდევ უფრო შორს — კანტიანობამდე და ფენომენალიზმამდე, ანდა უკვე წინასწარ ვარაუდობს მათ თავის ფილოსოფიურ წანამძღვრებად. რადგანაც სიტყვის შინაარსი არის ცნება, მთლიანად სიტყვის აღიარებას საგნის ნიშნად მივყავართ იმის მტკიცებამდე, რომ ცნებაც გარეგანი საგნის ასახვას კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ ნიშანს, ე. ი. მივყავართ წმინდა აგნოსტიციზმამდე. ასახვის თეორიის გენიალური ლენინური დასაბუთება და კანტიანობისა და იეროგლიფთა თეორიის კრიტიკა იდეურად გვაიარაღებს ვამხილოთ მსგავსი აგნოსტიკური შეხედულებები ლინგვისტიკის სფეროშიაც“¹²⁶.

ლ. რეზნიკოვის მიერ 1948 წ. გამოქვეყნებულ სტატიას გამოეხმაურნენ ენათმეცნიერებიც¹²⁷ და ის ფილოსოფოსებიც, ვინც თვლი-

¹²⁵ Л. Резников, Против агностицизма, гл. 402.

¹²⁶ იქვე, გვ. 402. ათი წლის შემდეგ იმავე რეზნიკოვს ეგვე შეხედულება შემდეგნაირად აქვს ჩამოყალიბებული: „სიტყვის მიჩნევას მხოლოდ საგნის ან მოვლენის ნიშნად აუცილებლად მივყავართ შემეცნების იეროგლიფურ თეორიამდე ან კიდევ უფრო შორს—კანტიანობამდე და ფენომენალიზმამდე (ან უკვე წინასწარ ვარაუდობს მათ თავის ფილოსოფიურ წანამძღვრებად). რადგანაც სიტყვის შემადგენლობაში შედის მისი მნიშვნელობა, სიტყვის მნიშვნელობა მოიცავს ცნებას, ხოლო ცნება წარმოადგენს საგნის ასახვას, სრულიად დაუშვებელია განვიხილოთ სიტყვა მთლიანად, როგორც საგნის ნიშანი. ამ უკანასკნელ შეხედულებას ლოგიკურად აუცილებლად მივყავართ იმის მტკიცებამდე, რომ ცნებაც წარმოადგენს არა გარეშე საგნის სახეს, არამედ მხოლოდ ნიშანს, — ე. ი. მივყავართ წმინდა აგნოსტიციზმამდე. ასახვის თეორიის გენიალური ლენინური დასაბუთება და კანტიანობისა და იეროგლიფთა თეორიის კრიტიკა იდეურად გვაიარაღებს მსგავს აგნოსტიკურ შეხედულებათა მხილებამდე ენათმეცნიერების სფეროშიც.“ Понятие и слово, гл. 29.

¹²⁷ А. С. Чикобава, О задачах и основных проблемах советского языкознания в свете сталинского учения о языке. კრებულში: «Вопросы теории и истории языка в свете трудов И. В. Сталина по языкознанию», 1952, гл. 28 (იგივე ჭარბულად, იხ. იქვე, ტ. III, 1952, გვ. 84). Б. А. Серебрянников, Сравнительно-исторический метод и критика так наз. четырехэле-

და, რომ აღიარება, ენობრივი ერთეულები ნიშნებს წარმოადგენსო, არ ეწინააღმდეგება ლენინის ასახვის თეორიას და არ მოასწავებს აგნოსტიციზმს¹²⁸.

მართლაც, ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ლენინი აკრიტიკებს „სიმბოლოების“ (ანუ იეროგლიფების) „თეორიას“, „რომლის მიხედვით ადამიანის შეგარძნებანი და წარმოდგენანი ნამდვილი საგნების და ბუნების პროცესების ასლები, გამოსახულებანი კი არ არიან, არამედ პირობითი ნიშნები, სიმბოლოები, იეროგლიფები და სხვ.“ ამის საპირისპიროდ ლენინი იცავს მარქსისტულ დებულებას, რომ შეგარძნებები, წარმოდგენები და სხვ. არიან საგნების ასლები, სურათები, გამოხატულებები, სარკის გამოხატომები¹²⁹. მაშასადამე, აქ საქმე ეხება გნოსეოლოგიურ პრობლემას, ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობას და არა ენას, ენის სიტყვებს.

სწორედ იმისათვის, რომ ლენინის მიერ აზროვნების სფეროში „სიმბოლოების“ (ანუ იეროგლიფების) „თეორიის“ კრიტიკა მიეყენებინა ენობრივი ნიშნებისათვის, განაცხადა რეზნიკოვმა, თითქოს სოსიური, ვანდრიესი, სეპირი და სხვ. სიტყვებს თვლიან არა მხოლოდ ნიშნებად, არამედ სიმბოლოებად და იეროგლიფებადაც კი, თუმცა არაფერი ამის მსგავსი მათ არ უთქვამთ.

ის, რაც აზროვნების შესახებ ითქმის, არ შეიძლება მექანიკურად გადავიტანოთ ენაზე. როგორც მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, ლენინის ზემომოყვანილი სიტყვების გავრცელება ენობრივ ერთეულებზე მოასწავებს ენისა და აზროვნების გაიგივებას, რაც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის თვალსაზრისით პრინციპულად მიუღებელია.

ენისა და აზროვნების გაიგივება თვალსაჩინოდ მკლავდება რეზნიკოვთან (და რიგ სხვა სპეციალისტანაც) იმაში, რომ სიტყვის მნიშ-

ментного анализа Н. Я. Марра. კრებულში: «Вопросы языкознания в свете трудов И. В. Сталина», II чзд 1952, გვ. 247—8). ზისივე, Проблемы сравнительно-исторического метода и происхождение семей. «Доклады и сообщения, прочитанные на научной конференции по языкознанию в июне 1951 г.», გვ. 203. Е. М. Галкина-Федорук, Знакомство в языке с точки зрения марксистского языкознания. ИЯШ, 1952, № 2, გვ. 6—7, 10—11. ზისივე, Слово и понятие в свете учения классиков марксизма-ленинизма: «Доклады и сообщения, прочитанные на научной конференции по языкознанию в июне 1951 г.», გვ. 183.

¹²⁸ А. Г. Спиркин, Вопросы языка и мышления в свете работ И. В. Сталина по языкознанию. Изд. «Правда», 1951. А. В. Востриков, Классики марксизма-ленинизма о связи языка и мышления. ВФ, 1952, № 3.

¹²⁹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, 1950, გვ. 292.

ვნელობად ის ცნებას აღიარებს. ამიტომ ცნება სიტყვაში შემოდის, სიტყვის ნაწილად გვევლინება.

„სიტყვა უშუალოდ უნდა განვიხილოთ, როგორც ბგერისა და ცნების ერთიანობა“, კატეგორიულად აცხადებს რეზნიკოვი. მისი აზრით, ცნების ჩამოშორება სიტყვისათვის ამ უკანასკნელს შინაარსს უკარგავს, ცარიელ ბგერად აქცევს, რაც სემასიოლოგიის უგულებელყოფას და ფორმალიზმს მოასწავებს¹³⁰.

შემოიტანა რა ცნება სიტყვაში, ამით რეზნიკოვმა მოშალა ზღვარი ენობრივ კატეგორიებსა და ლოგიკურ კატეგორიებს შორის. თუ სიტყვის მნიშვნელობა უდრის ცნებას და სემასიოლოგიის მიერ სიტყვის მნიშვნელობათა შესწავლა ცნებათა შესწავლას გულისხმობს, საკითხავია, რაღა უნდა აკეთოს ლოგიკამ?

ენისა და აზროვნების კატეგორიების გაიგივება, სიტყვის მნიშვნელობაში ცნების შემოტანა არის საფუძველი იმისა, რომ რეზნიკოვი აცხადებს, სიტყვა ნიშანს კი არ წარმოადგენს, არამედ ასახავს სინამდვილეს¹³¹. როგორც ირკვევა, თურმე ცნება ასახავს, მაგრამ ეს ცნება სიტყვის ნაწილად არის გამოცხადებული.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ, მას შემდეგ, რაც ასე ენერგიულად უარყო „ნიშანთა თეორია“, როგორც აგნოსტიკური, რეზნიკოვი გვიცხადებს, რომ სიტყვის ბგერითი ფორმა წარმოადგენს ნიშანს და თავისი სტატიის ორ მესამედს ის უთმობს იმის განხილვას, თუ რით განსხვავდება ეს სიტყვიერი ნიშანი სხვა ნიშნებისაგან. ამ ნაწილში ისიც კი ირკვევა, რომ სიტყვა საგანთან არის მიმართებაში¹³².

¹³⁰ Л. О. Резников, Против агностицизма, გვ. 403, 1958 წ. გამოსულ წიგნში რეზნიკოვი უსაყვედურებს ზოგ ლოგიკოსს და მათ შორის დ. პ. გორსკისაც, რომ ისინი აიგივებენ სიტყვის მნიშვნელობას და ცნებას (Понятие и слово, გვ. 81). მაგრამ შემდეგ თვითონვე წერს „სიტყვის მნიშვნელობა არის ცნება, აღნიშნული ან გამოხატული მოცემული სიტყვის ბგერებითო“ (გვ. 87). ამის შემდეგ აზრი ეკარგება მის განცხადებას, სიტყვის მნიშვნელობასა და ცნებას შორის ერთიანობაც არის და განსხვავებაც (იქვე). ეს წინააღმდეგობა მართებულად შენიშნა გალიკინა-ფედორუკმა (იხ. Евдоким М. Галкина-Федорук, О знаковой природе языка. Zeichen und System der Sprache, 1. Band. Berlin. 1961, გვ. 238.

¹³¹ Л. О. Резников, Против агностицизма, გვ. 417. ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამს პ. ს. პოპოვიც: „სიტყვა რამდენადაც მის მნიშვნელობას, შინაარსს ცნება წარმოადგენს, განხილულ უნდა იქნეს, როგორც საგნობრივი სინამდვილის ასახვა“. П. С. Попов, Значение слова и понятие, ВЯ, 1956, № 6, გვ. 40.

¹³² Л. О. Резников, Против агностицизма, გვ. 405. უღრ. „სიტყვა წარმოადგენს საგნის სახელწოდებას (ფართო გაგებით). სიტყვა სავანს აღნიშნავს და არა მის ცნებას“. Понятие и слово, გვ. 41.

ჩვენ მიერ განსახილველი საკითხის თვალსაზრისით ყველაზე არსებითია რეზნიკოვის განცხადება: დიდობანია დამტკიცებულა, რომ არ არსებობს ბუნებრივი კავშირი სიტყვის ბგერითს ფორმასა და აღსანიშნავ განსშორისო¹³³.

მაგრამ ორიოდ გვერდის შემდეგ ავტორი ისევ მანკიერად მიიჩნევს სოსიურის, მეიესა და სხვათა მიერ იმ ერთგვარი პირობითობის (ბუნებრივი კავშირის არარსებობის გაგებით) მომენტის მეტაფიზიკურ აბსოლუტიზაციას, რომელიც სინამდვილეში მართლაც ახასიათებს ენის ბგერითს ფორმებს. სინამდვილეში ენობრივი ფორმა მხოლოდ შეფარდებითაა განურჩეველი, პირობითიო, — გვეუბნება რეზნიკოვი. იგი არაა პირობითი მოცემული ეროვნული ენის მთელ სისტემასთან კავშირში და მისი ისტორიული წარმოშობისა და განვითარების პროცესში¹³⁴.

ძნელია აღვრიცხოთ ყველა ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულება, რომელთაც ავტორი გვთავაზობს.

რეზნიკოვის შეხედულებებზე ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ მის ნაშრომებში მოცემულია ტიპობრივი მსჯელობა ენობრივ ნიშანთა თეორიის წინააღმდეგ, რაც დამახასიათებელია საბჭოთა მეცნიერების (ძირითადად ლოგიკოსების) ერთი ჯგუფისათვის. როგორც დავრწმუნდით, გაუგებრობაზეა დამყარებული დებულება, თითქოს სიტყვა კი არ აღნიშნავს, არამედ ასახავს საგანს. ხოლო ლენინის დამოწმება ამ კონტექსტში სრულიად უადგილოა.

მიუხედავად ამისა, ზემომოყვანილი შეხედულების მქონე სპეციალისტები ისე ენერგიულად ილაშქრებდნენ ენათმეცნიერებაში ნიშნის ცნების ხმარების წინააღმდეგ, რომ ამან სახელი გაუტეხა ცნება „ნიშანს“, იგი ოდიოზური გახდა. ამ საკითხთან დამოკიდებულების მიხედვით ენათმეცნიერებაში ორი ჯგუფი შეიქმნა.

თუ პირველი ჯგუფის წარმომადგენლები გარკვევით ამბობენ, რომ ენობრივი ერთეულები (სიტყვები, მორფემები) ნიშნებს წარმოადგენენ და ნებისმიერი არიან იმ გაგებით, რომ მათი ბგერითი მხარე არ არის განპირობებული საგნის ბუნებით, მეორენი ან გაურბიან, ან ორჭოფულ პასუხს იძლევიან კითხვაზე, გვაქვს თუ არა ენაში ნიშნებთან საქმე.

მეორე ჯგუფის ენათმეცნიერებს არა აქვთ ერთნაირი შეხედულება სიტყვის მიმართებაზე საგანთან, ცნებასთან და მაინც, როდესაც

¹³³ Л. О. Резняков, Понятие и слово, გვ. 109.

¹³⁴ იქვე, გვ. 113.

საკითხი პირდაპირ ისმის მათ წინაშე, ისინი რეზნიკოვის მსგავსად აღიარებენ, რომ

1) სიტყვის ბგერითი მხარე არ არის ნაკარნახევი საგნის ბუნებით და ამდენად სიტყვა ნაწილობრივ მაინც ნიშანია.

2) რაც შეეხება ასახვას, ეს უკვე მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული. ვინც სიტყვას ასახვად მიიჩნევს, იგი იმ აზრისაა, რომ ასახვა ხდება სიტყვასთან დაკავშირებული ან სიტყვაში მოქცეული ცნების საშუალებით¹³⁵.

უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერებაში პირველი ჯგუფი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე მეორე.

6. სიმპოზიუმი ენობრივი ნიშნის შესახებ 1959 წ. ერფურტში

6.1. 1959 წ. 28 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქ. ერფურტში მოეწყო საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „ენობრივი ნიშანი და სისტემა“. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 145 ენათმეცნიერმა, ფსიქოლოგმა, ფიზიოლოგმა, ფილოსოფოსმა, პედაგოგმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საბჭოთა კავშირიდანაც.

სიმპოზიუმის დაწყებამდე სპეციალისტებს დაეგზავნათ 9 შეკითხვა, რომელთა შესახებაც უნდა გამართულიყო მსჯელობა.

1961 და 1962 წწ. გამოქვეყნდა სიმპოზიუმის მასალები ორ ტომად¹³⁶. მასში შევიდა როგორც შეკითხვებზე გაგზავნილი პასუხები, ისე სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებები, გამოსვლები და საბოლოო სიტყვები (საორგანიზაციო კომიტეტის წევრების — კ. ამერის, გ. მაიერის და ე. ზაიდელისა).

¹³⁵ ვთქვამთ, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ე. გალინა-ფედორუკის მიერ დასახელებული შავალითი. მოვიყვანოთ მისივე სიტყვებით: «Боязнь впасть в грехи знаковой теории языка заставляет некоторых ученых видеть отражение вещи не только в смысловом, но и в звуковом составе слова. „...Название отражает в себе вещь, к которой оно относится. И это касается не только смысловой его стороны, но и «звуковой». „მოითებულა: Е. А. Фролова, О связи языка и мышления. Автореферат канд. дисс. М., 1954, стр. 9 (Е. М. Галкина-Федорук, О знаковой природе языка. «Zeichen und System der Sprache», 1. Band, გვ. 239).

¹³⁶ Zeichen und System der Sprache, Veröffentlichung des 1. Internationalen Symposiums «Zeichen und System der Sprache» vom 28.9 bis 2.10, 1959 in Erfurt. Berlin, 1. Band, 1961. II. Band, 1962.

9 საკითხიდან, რომლებიც სიმპოზიუმის დღის წესრიგში იდგა, ენობრივი ნიშნის რაობას ენებოდა პირველი სამი: 1) როგორ უნდა გავიგოთ ენობრივი ნიშანი? 2) რა მიმართება არსებობს ენობრივ ნიშანსა და სინამდვილეს შორის? 3) რა მიმართება არსებობს ენობრივი თვალსაზრისით ფორმასა და შინაარსს შორის?

ამათგან ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხს მეორე შეკითხვა მოიცავს. აქედანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი სიმპოზიუმზე არ სარგებლობდა საგანგებო ყურადღებით და, როგორც ჩანს, ეს არ იყო შემთხვევითი. ერთეულ გამონაკლისთა გარდა ყველა აღიარებდა, რომ ნიშანი ნებისმიერია აღსანიშნი სინამდვილის მიმართ, ასე რომ საკამათო არაფერი რჩებოდა. ეს ფაქტი აღნიშნულია გ. მაიერის შემაჯამებელ მოხსენებაში, რომელშიაც მიმოხილულია პირველ სამ კითხვაზე მიღებული პასუხები. იგი წერს: საკითხი „ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის შესახებ დღეს თითქმის აღარ არის სადისკუსიო“¹³⁷.

მართლაც, ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგჯერ სხვადასხვა ფორმით, მაგრამ არსებითად ერთსა და იმავე აზრს გამოთქვამენ სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლები. სანიმუშოდ მოვიყვანოთ ზოგიერთს:

„ფონემათა თანმიმდევრობას სინამდვილესთან, ე. ი. ნიშნის შინაარსთან ზოგადად არაფერი საერთო არა აქვს. ერთგვარ გამონაკლისს ქმნიან ონომატოპოეტური სიტყვები, რომლებიც ყოველ ენაში მცირერიცხოვანია და ნაწილობრივ კონკრეტული ენის ბგერით და გრამატიკულ სისტემასთანაა შეგუებული“ (გ. მაიერი)¹³⁸.

„ენობრივ ნიშანში მიმართება აღმნიშვნელსა (ვერბალური რეაქციის „réponse verbale“ ფონო-აკუსტიკურ ფორმასა) და აღსანიშნს (იდენტიფიცირებულ და დიფერენცირებულ სტიმულს) შორის ნებისმიერია სოსიურისეული გაგებით, არავითარი ბუნებრივი კავშირი არ აერთებს ერთს მეორესთან“ (რ. ფ. მიკუში)¹³⁹.

„მიმართება სინამდვილესთან, კერძოდ, პირობითი მიმართება (=სოსიურის „arbitraire“) განეკუთვნება საერთოდ ნიშნის, და კერ-

¹³⁷ G. Meier, Rapport zu den Fragen 1—3, I. B., გვ. 183. მხოლოდ ი. ელისმა პასუხ დამყარებით აღნიშნა, რომ ნიშნის შინაარსსა და სინამდვილეს შორის მიმართების საკითხი შეშუქების (ეპისტემოლოგიის) სფეროს განეკუთვნება და გამორიცხულია ლინგვისტური ანალიზიდან ისევე, როგორც ფონეტიკური სუბსტანციის (Jeffrey Ellis, დასახ. შრ., გვ. 48). სინამდვილეში არც ერთი მონაწილე არ შეხებია ნიშნის შინაარსის მიმართებას სინამდვილესთან, ყველა განიხილავდა ნიშნის ბგერითი სუბსტანციის მიმართებას სინამდვილესთან.

¹³⁸ G. F. Meier, Zeichen und System der Sprache, I. B., გვ. 103.

¹³⁹ Radivoj F. Mikuš, იქვე, გვ. 109.

ძოდ ენობრივი ნიშნის განსაზღვრებას, რადგან მხოლოდ ამ მიმართებით განსხვავდებიან გარკვეული ხშიერი კომპლექსები ხველების, ცხვირის დაცემინების და ა. შ. ხმისაგან“ (ლ. ზავადოვსკი)¹⁴⁰.

„ენობრივი ნიშანი პირობითი მნიშვნელობის საშუალებით არაპირდაპირ მიმართებაშია სინამდვილესთან. ონომატოპოეტური გამოთქმები სინამდვილესთან ერთგვარად პირდაპირ მიმართებაში იმყოფებიან, მათთან გვაქვს ბუნებრივ აკუსტიკურ მოვლენათა მიბაძვა“ (ვ. აპელი)¹⁴¹.

„თავისი ბუნებით, კერძოდ, თავისი ფიზიკური სუბსტანციის ხასიათით ენობრივი ნიშანი არ იმყოფება რაიმე ბუნებრივ ან მოტივირებულ პირდაპირ კავშირში სინამდვილისა და ცნობიერების აღსანიშნ მოვლენათა ბუნებასთან ან არსთან. თანამედროვე ენებში უმნიშვნელო რაოდენობით არსებული ხმაბაძვითი ელემენტები თავიანთი მცირერიცხოვნობის გამო ვერაფერს მოგვცემენ ენობრივ ნიშანსა და სინამდვილეს შორის მიმართების საკითხის განხილვისათვის“ (ა. მელნიჩუკი)¹⁴².

„ენობრივი ნიშანი არის არსებითად პირობითი (არამოტივირებული) გაგებინების საშუალება. პირობითობა მოცემულია ენობრივი ბგერითი ფორმის (სიტყვათა, მორფემათა) მიმართებაში მნიშვნელობასთან (და იმავდროულად გარეშეენობრივ სინამდვილესთან)“ (კ. ჰორალეკი)¹⁴³.

„მთლად ნებისმიერი არჩევანი ენობრივი ნიშნებისა მრავალრიცხოვან ენებში სხვადასხვა რეფერენტებისა და რეფერენტთა კლასების აღსანიშნავად პრაქტიკულად აშკარას ხდის, რომ არავითარი შინაგანი ობიექტური მიმართება არ არსებობს ნიშნებსა და რეალურ სამყაროში მათ რეფერენტებს შორის“ (ა. რაპოპორტი)¹⁴⁴.

„წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არ არსებობს არავითარი „მიმართება“ ენობრივ ნიშანსა და სინამდვილეს შორის, რადგან წინასწარი განსაზღვრის გარეშე საერთოდ არავითარი მიმართება არ არსებობს. ენობრივი ნიშანი მხოლოდ პირობითი გამოხატულებაა“ (ი. სტუხლიკი)¹⁴⁵.

¹⁴⁰ Leon Zawadowski, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

¹⁴¹ Wilhelm Appel, დასახ. ნაშრ., გვ. 23—24.

¹⁴² A. Мельничук, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 137—138.

¹⁴³ Karel Horalek, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 76.

¹⁴⁴ Anatol Rapoport, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 170.

¹⁴⁵ Jaroslav Stuchlik, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 170.

„არ არსებობს აპრიორული მიმართება ლინგვისტურ ნიშანსა და სინამდვილეს შორის. ლინგვისტურ ნიშანთა შორის განსხვავება, რაც ენების მიხედვით იცვლება, იძლევა შესაძლებლობას განვასხვაოთ სინამდვილის ქაოსის სხვადასხვა ასპექტი, მაგ., სხვადასხვა ფერები“ (კ. ტოგებიუ)¹⁴⁶.

„იქ, სადაც არსებობს მიმართება ნიშანსა და სინამდვილეს შორის, იგი არ არის უშუალო: მიმართება არსებობს გონში ნიშნის ცოდნასა და სინამდვილის ცოდნას შორის: ბავშვი აღიქვამს, რომ დიდები გარკვეულ ნიშანს გარკვეულ საზოგადოებრივ სიტუაციაში ხმარობენ; მან იცის აგრეთვე ნიშანი და სიტუაცია და მათი მიმართება და აკავშირებს ამ ცოდნას თავის გონში“ (ე. ბიუისენსი)¹⁴⁷.

სიმპოზიუმის ზოგმა მონაწილემ ყურადღება გაამახვილა ტერმინოლოგიურ საკითხებზე. ასე, მაგ., ი. ფონაგის აზრით, სიტყვები „ნებისმიერი“ (beliebig¹⁴⁸, arbitraire) და „პირობითი“ (konventionell) ხშირად სინონიმებად იხმარება, რაც შეცდომებს იწვევს. სოსიურის მიხედვით, ნიშანი ნებისმიერია, როდესაც ის არამოტივირებულია. ხოლო პირობითი არის ყოველი საზოგადოებრივად დადგენილი ნიშანი. არამოტივირებული ნიშნები აუცილებლად საზოგადოებრივად დადგენილია, თორემ ისინი გაუგებარი იქნებოდნენ. მაგრამ საწინააღმდეგო არ არის სწორი: ყველა საზოგადოებრივად დადგენილი ნიშანი არაა არამოტივირებული.

ნიშანთა მეორეული წარმოება (სიტყვაწარმოება და სიტყვათათხზვა) მუდამ მოტივირებულია: მაგრამ, ისევ სოსიურის მიხედვით, თვით მოტივირებული მეორეული ნიშნებიც არასოდეს არ უდრის მათ შემადგენელთა ჯამს. სოსიური ასეთ შემთხვევებში „შეფარდებითი ნებისმიერობის“ შესახებ ლაპარაკობსო, წერს ფონაგი. სოსიურს, გვეუბნება ავტორი, შორისდებულები და ხმაბაძვითი სიტყვებიც ნებისმიერად მიაჩნდა, ვინაიდან ისინი სხვადასხვა ენაში განსხვავებული არიან. მისი აზრით, ეს მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ დასახელებული სიტყვები პირობითად დადგენილია, მაგრამ არაფერს გვეუბნება მათი მოტივირების წინააღმდეგ¹⁴⁹.

ჩვენი აზრით, ფონაგის მსჯელობიდან ის გამომდინარეობს, რომ საჭიროა ნებისმიერობისა და მოტივირების უფრო მკაცრად გამიჯვნა,

¹⁴⁶ Knud Togeby, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

¹⁴⁷ Eric Buysens, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

¹⁴⁸ გერმანულად, ჩვეულებრივ, იხმარება Willkürlich.

¹⁴⁹ Ivan Fónagy, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 52.

ვიდრე ეს სოსიურთან გვაქვს¹⁵⁰, და არა ის, თითქოს უნდა გაიმიჯნოს ნებისმიერი და პირობითი.

სხვა აზრისაა ამ საკითხზე ტროსკი. იგი თვლის, რომ რამდენადაც სახელი არასოდეს არ არის საკმარისად მოტივირებული საგნის მიერ, მხოლოდ ტერმინოლოგიური საკითხია, ვილაპარაკებთ „სუსტ მოტივირებაზე“ თუ „ნებისმიერობაზე“¹⁵¹.

გ. მაიერი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „არამოტივირებული“. იგი წერს, რომ ტერმინმა „ნებისმიერი“ (willkürlich, arbiträr) შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, ვინაიდან ნიშანი ისტორიული თვალსაზრისით სრულიადაც არ არის ნებისმიერი, არამედ რთული მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის შედეგია. ამიტომ დღეს საყოველთაოდ იხმარება ტერმინი „არამოტივირებული“. ნიშნის არამოტივირებულობა კატეგორიულად არის აღიარებული თითქმის ყველა პასუხში. მაგრამ ზოგი მკვლევარი ცდილობს განასხვაოს არამოტივირებულობა და ნაწილობრივი მოტივირებულობა (ონომატოპოეტიკა, ევფემისტური სახელდება, ეესტების ენა, შორისდებულები)¹⁵².

გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არ ჩანს, რომ ენათმეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი „არამოტივირებულს“ ხმარობდეს „ნებისმიერის“ ნაცვლად. პირიქით, გაბატონებული ტერმინებია „ნებისმიერი“ და „პირობითი“ (konventionell).

რა თქმა უნდა, „არამოტივირებულიც“ შეიძლებაოდა ყოფილიყო გამოყენებული იმავე კონტექსტში, რომ ეს ტერმინი სოსიურს სხვა მნიშვნელობით არ ეხმარა. სოსიურთან მოტივირება ნიშნავს მეორეულ ნიშანთა შედგენას არსებული ნიშნებისაგან და ამ გზით საგნის დახასიათებას (სათვალე, მეთევზე, წითელქუდა, თერთმეტი—ათერთმეტი...). ეს სხვა რიგის მოვლენაა და მას სათანადო ტერმინიც სჭირდება. ამიტომ, რომ ცნებები არ აირიოს, უმჯობესია „მოტივაციას“ შემორჩეს ის მნიშვნელობა, რომლითაც ის სოსიურმა იხმარა, ხოლო „ნებისმიერი“ და „პირობითი“ დარჩეს ნიშნის საგანთან მიმართების აღსანიშნავად.

გ. მაიერის ზემომოყვანილ გამონათქვამში აღნიშნულია, რომ ნიშანი ისტორიული თვალსაზრისით არ არის ნებისმიერი. ამ გამოთქმას

¹⁵⁰ ასეთი გამოყენის საპირობაზე საუბარი გვექონდა სოსიურის კონცეფციის განხილვისას.

¹⁵¹ დასახ. ნაშრ., გვ. 67. ავტორი სავსებით მართებულად დასძენს, რომ ნებრსიერობა არ გულისხმობს სახელთა ნებისმიერად შეცვლას. სახელთა გამძლეობა განპირობებულია ენის საზოგადოებრივი ფუნქციით.

¹⁵² G. Meier, Rapport zu den Fragen 1—3, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 163—4.

განმარტება სკირდება. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში გ. მაიერი მოითხოვს გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ნებისმიერობის საკითხისადმი სინქრონიული და დიაქრონიული მიდგომა. სინქრონიული თვალსაზრისით ნებისმიერობა ნიშნავს, რომ ცნებისათვის „აკაი“ შეიძლება ითქვას Mensch, homme, человек, მაგრამ ეს არ მოასწავებს იმას, თითქოს ამ ნიშანს არავითარი ისტორიული მიზეზობრივი მოტივები არ ჰქონდეს. ეს მოტივები სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება. ასეთია, მაგ., ბგერათკომბინატორული, სისტემით განსაზღვრული, სოციალურ-ისტორიული კომპონენტები¹⁵³.

ჩვენ აქ სადავოდ გვეჩვენება, თითქოს ნებისმიერობის საკითხი არსებითად სინქრონიული ენათმეცნიერების საკითხი იყოს. პირუტყუ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, საქმე ეხება ნიშნის შექმნას, სახელდებას, რაც ისტორიულ მიდგომას ვარაუდობს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ შემდგომში, სინქრონიულ კრილში ენობრივი ნიშნები კარგავენ ნებისმიერობას.

რაც შეეხება იმას, რომ ნიშნის შექმნას გარკვეული მიზეზები განაპირობებენ, ეს საკვებით მისაღებია და იგი არა ერთი მკვლევრის მიერ ყოფილა აღნიშნული¹⁵⁴. ყოველ საგანს ურიცხვი სახელი შეიძლება დარქმეოდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ საგანს სწორედ ეს სახელი ეწოდა ამ კოლექტივში, უეჭველად გამოწვეული იყო გარკვეული ისტორიული, კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვ. ფაქტორებით, რომელთაც მიკვლევა ამჟამად ალბათ შეუძლებელია. ცხადია, ეს სრულიად არ უარყოფს დებულებას, რომ ნიშნის ბგერითი მხარე ნებისმიერია აღსანიშნი საგნის მიმართ.

6.2. ზემოთ მოყვანილი იყო საკმაოდ ბევრი ამონაწერი სხვადასხვა ავტორის გამოსვლებიდან იმის საჩვენებლად, თუ როგორ ერთსულოვნად იცავდნენ სიმპოზიუმის მონაწილენი დებულებას, რომ ენობრივი ნიშნის ბგერითი მხარე ნებისმიერია, პირობითია სინამდვილის ობიექტების მიმართ.

ამიტომ დისონანსად გაისმა რ. იაკობსონის სიტყვები, სოსიურის პრინციპი ნიშნის ნებისმიერობის შესახებ, როგორც ეს აქ რიგ გამოსვლაში იყო ნათლად ნაჩვენები, თვითონ აღმოჩნდა ნებისმიე-

¹⁵³ G. Meier, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 68.

¹⁵⁴ მაგ., თვით სიმპოზიუმზეც ვ. იასევი აღნიშნავდა, რომ სიმბოლოსა და მის რეპრენტს შორის მიმართება მეტყველებაში განპირობებულია სამეტყველო კოლექტივში მომხდარ ისტორიულ და კულტურულ პროცესთა კომპლექსითა (Victor Jasse m, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 78).

რიო¹⁵⁵. იაკობსონი იქვე დასძენს, რომ ჯერ კიდევ 1939 წ. ბენვენისტმა *Acta Linguistica*-ში დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ სინქრონიული თვალსაზრისით იმ ენობრივი კოლექტივისა, რომელიც მოცემულ ენობრივ ნიშნებს იყენებს, ეს ნიშნები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნებისმიერად ჩაითვალოს. ნებისმიერი კი არა, სავალდებულოა ის, რომ ფრანგულად „ყველისათვის“ fromage იხმარება, ინგლისურად კი cheese. იაკობსონს ე. წ. „ნებისმიერობის“ შესახებ ჩატარებული დისკუსიიდან ის დასკვნა გამოაქვს, რომ „l'arbitraire“ უღარესად უხეირო ტერმინი იყო და რომ ეს საკითხი ბევრად უფრო სწორად იყო გადაწყვეტილი პოლონელი ენათმეცნიერის, სოსიურის თანამედროვის, კრუშევსკის მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში. კრუშევსკი ამ საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად უდებდა მსგავსებისა და მეზობლობის მიხედვით ასოციაციებს. გარკვეულ აღსანიშნსა და გარკვეულ აღმნიშვნელს შორის კავშირი, რასაც სოსიური ნებისმიერად მიიჩნევს, სინამდვილეში წარმოადგენს დასწავლილ და ჩვეულებით განმტკიცებულ კავშირს მეზობლობის მიხედვით, რომელიც სავალდებულოა მოცემული ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის, — წერს იაკობსონი. მეზობლობის მიხედვით კავშირის გვერდით, მისი აზრით, დიდ როლს თამაშობს აგრეთვე მსგავსების მიხედვით კავშირი. როგორც აქ აღნიშნული იყო და როგორც სწორად თვლიდა კრუშევსკი, მსგავსების პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვაწარმოებისათვის, ლექსიკური ბუდეების შექმნისათვის, როდესაც საერთო ძირთან მსგავსება გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს და სრულიად არ შეიძლება ვილაპარაკოთ ნებისმიერობაზეო, — გვეუბნება იაკობსონი. იგი მორფოლოგიაშიც დიდ როლს ანიჭებს ენობრივ ერთეულთა აგებულების მსგავსებას, რამდენადაც არსებობს გარკვეული მოდელები, გარკვეული სტრუქტურული ტიპები ფონემათა განაწილებისა და შერჩევისა, ერთი მხრივ, ძირებში და, მეორე მხრივ, პრეფიქსებში და სუფიქსებში. იაკობსონი ძალიან მნიშვნელოვნად და აქტუალურად თვის აგრეთვე ბგერითი სიმბოლიზმის პრობლემას, რომლის გადაწყვეტაშიც წარსულში შეცდომები იყო დაშვებული¹⁵⁶.

იაკობსონის გამოსვლა რამდენიმე შენიშვნას იწვევს:

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მისი განცხადება, ნიშნის ნებისმიერობის პრინციპი თვითონ აღმოჩნდა ნებისმიერიო, არ ასახავს

¹⁵⁵ R. Jakobson, დასახ. ნაშრ., ტ. II. უკ. 51 (რ. იაკობსონის გამოსვლა სიმპოზიუმზე თარგმნილია რუსულად.: В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, ч. II, 1965, гл. 395—402).

¹⁵⁶ იქვე, გვ. 50.

სიმპოზიუმის მონაწილეთა საერთო თვალსაზრისს. უფრო მეტი, იგი უპირისპირდება ამ თვალსაზრისს.

რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ბენვენისტმა 1939 წ. დაამტკიცა, ენობრივი ნიშანი არ არის ნებისმიერი, ბენვენისტის წერილის ანალიზის დროს ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ მას სრულიადაც არ უარუყვია ნებისმიერობა სოსიურისეული გაგებით, უბრალოდ არა-ენათმეცნიერულ პრობლემად გამოაცხადა იგი. ხოლო ბენვენისტის არანებისმიერობა სხვა მიმართებას ეხება, რაც სოსიურთან განხილული არც ყოფილა. ეს არის არა საკითხი იმის შესახებ, რომ ყველა ფრანგულად მოლაპარაკემ „ყველისათვის“ fromage უნდა იხმაროს, ინგლისურად მოლაპარაკემ კი — cheese. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ნიშნის მიმართებას მოლაპარაკე კოლექტივთან და იგი სოსიურის გაგებითაც არანებისმიერია, სავალდებულოა. ბენვენისტმა დასვა საკითხი, რომ კავშირი აქუსტიკურ სახესა ანუ ნიშნის ბგერით წარმოდგენასა და ცნებას ანუ საგნის წარმოდგენას შორის მოლაპარაკის მიერ განიცდება, როგორც განუყრელი და სავალდებულო. ეს საკითხი რომ ენათმეცნიერებაში მსჯელობის საგნად ვაქციოთ, ამისათვის ნიშნის თეორიის სოსიურისეული ფსიქოლოგისტური გაგება უნდა გავიზიაროთ. ვფიქრობთ, რ. იაკობსონისათვის, ისევე როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობისათვის, ნიშნის ფსიქოლოგისტური გაგება მიუღებელი უნდა იყოს.

ახლა რაც შეეხება კრუშევსკის. მოყვანილი ადგილიდან არ ჩანს ამ მართლაც უღარესად საინტერესო მოაზროვნის თვალსაზრისი ენობრივი ნიშნის შესახებ. მაგრამ თუ მისი დამსახურება მხოლოდ ისაა, რომ იგი ასოციაციათა საფუძველზე წყვეტდა ამ საკითხს, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სოსიურის ფსიქოლოგიზმშიც ასოციაციონისტურია, აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის კავშირი სოსიურის გაგებითაც ასოციაციურია,¹⁵⁷ გარდა ამისა, სოსიური საგანგებოდ მსჯელობს ნიშანთა შორის ასოციაციურ მიმართებებზე¹⁵⁸, მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს, და საფუძვლიანადაც, დაიცვას ნიშნის ნებისმიერობა აღსანიშნის მიმართ. ბოლოს, ესეც საკითხავია, რამდენად გამართლებულია ენობრივ ერთეულთა შორის მიმართებების დაყვანა მხოლოდ ასოციაციებზე თანამედროვე ფსიქოლოგიის თვალსაზრისით?

ნიშნის ნებისმიერობის გასაბათილებლად იაკობსონი სრულიად სხვადასხვა რიგის ფაქტებს უყრის თავს: ერთი მხრივ, ასოციაციური კავშირები, მეორე მხრივ, ენობრივი სისტემის მორფოლოგიური თავი-

¹⁵⁷ Ф. Де Соессю, Купс..., გვ. 77.

¹⁵⁸ იქვე, გვ. 123 და შემდ.

სებურებანი (თუმცა გაუგებარი რჩება, რატომ უარყოფენ ისინი ნიშნის ნებისმიერობას აღსანიშნის მიმართ?) და, ბოლოს, ბგერითი სიმბოლიკა. აი, ეს უკანასკნელი კი დაუპირისპირდებოდა აღსანიშნთან მიმართებით ნიშნის ნებისმიერობას¹⁵⁹, რომ ავტორს რაიმე ახალი მასალა ან დებულება მოეტანა მის სასარგებლოდ. ხოლო ის, რაც აქამდე ცნობილია, არ იძლევა საფუძველს იმის დამაჯერებლად დამტკიცებისათვის, თითქოს ენობრივი ნიშნები, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ბგერითი სიმბოლიკის შედეგად იყოს შექმნილი.

თავისი გამოსვლის დასაწყისში რ. იაკობსონი აღნიშნავდა, რომ სიმპოზიუმის მონაწილენი ხშირად ახსენებდნენ სოსიურის „ზოგადი ენათმეცნიერების კურსს“, თითქოს უნდოდათ გაერკვიათ, თუ რა ცვლილებები მოხდა ამ შრომის გამოსვლიდან 50 წლის შემდეგ და რა მოითხოვს გადასინჯვას სოსიურის შესანიშნავ მემკვიდრეობაში.

მართლაც, სიმპოზიუმზე სოსიურის ნიშანთა მოძღვრების არაერთი დებულება გადაიქცა კამათის საგნად. რიგ გამოსვლაში უარყოფილი იქნა სოსიურის მიერ ნიშნის ფსიქოლოგისტური გაგება.¹⁶⁰ მეტად საინტერესო დისკუსია გაიმართა იმის შესახებ, ბილატერალურია თუ მონოლატერალური ნიშანი, ე. ი. მოიცავს აღსანიშნს, როგორც ეს სოსიურს აქვს, თუ არა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ამ საკითხებზე ვეღარ შეეჩერდებით, ვინაიდან ისინი უკავშირდება ენობრივი ნიშნის რაობის გაგებას, ხოლო ამ ძირითადი პრობლემის გარშემო მონაწილეთა შორის გამოვლინდა საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა, რისი განხილვაც ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ჩვენს წინაშე დასმული საკითხის თვალსაზრისით სიმპოზიუმის მთავარი შედეგი ის იყო, რომ მონაწილეებმა (ერთეული გამონაკლისის გარდა) აღიარეს, რომ კავშირი ენობრივი ნიშნის ბგერითს მხარესა და მის მიერ აღნიშნულ სინამდვილის ობიექტებს შორის ნებისმიერია, პირობითია.

დასკვნა

ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი იმ საკითხთა კომპლექსში შედის, რომელიც ნიშნის რაობის გარკვევას ისახავს მიზნად. ენობრივი ნიშნის რაობის პრობლემით მხოლოდ ენათმეცნიერება არ არის

¹⁵⁹ როგორც ვნახეთ, ამ არგუმენტის გამოყენების ორიოდე ცდა გვხვდება ენათმეცნიერებაში (ნეოლინგვისტიკა, ე. ლურხი).

¹⁶⁰ იხ. მაგ., L e o n Z a w a d o w s k i, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 225—6; Z s i g- m o n d T e l e g d i, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 31.

დაინტერესებული. მას იკვლევს რიგი მომიჯნავე მეცნიერება, როგორცაა ფსიქოლოგია, ფილოსოფია. განსაკუთრებით გაიზარდა ამ პრობლემის აქტუალურობა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ნიშანთა შემსწავლელი სპეციალური დისციპლინა — სემიოტიკა ანუ სემიოლოგია. ენობრივი ნიშნის რაობით დაინტერესებულია კომუნიკაციის თეორიაც. ამ პრობლემას ფიზიოლოგიაც არ უვლის გვერდს. თითოეულ დასახელებულ მეცნიერებას თავისი თვალსაზრისი და ამის შესაბამისად თავისი მიდგომა აქვს ენობრივი ნიშნის პრობლემისადმი. რიგ შემთხვევაში ამ მეცნიერებათა წინაშე დასმული საკითხები ერთმანეთს კვეთენ, სხვა შემთხვევებში თითოეული მათგანი პრობლემის ისეთ ასპექტებს სწავლობს, რომლებშიც დანარჩენი მეცნიერებანი არაკომპეტენტური არიან. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის კვლევისას თითოეული მეცნიერების კომპეტენციის სფერო მკაცრად მოხაზული არაა. ამიტომ არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ერთი მეცნიერება იჭრება მეორის სფეროში, ხელს ჰკიდებს ისეთ საკითხთა გარკვევას, რომელთა გადაწყვეტაც მას არ ხელეწიფების.

ყველაფერი ეს კიდევ უფრო აძნელებს ისედაც რთულ პრობლემაში გარკვეულობის შეტანას. მიუხედავად იმისა, რომ ნიშნის რაობასთან დაკვირებული ძირითადი საკითხები ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში დაისვა და მას აქვთ მათ მიმართ ყურადღება არ განელებულა, დღესაც ამ საკითხების შესახებ ცხარე დავა და აზრთა დიდი სხვადასხვაობა სუფევს მეცნიერებაში.

ენობრივი ნიშნის რაობის პრობლემა რამდენიმე საკითხად ნაწევრდება. ეს საკითხებია: რა არის აღსანიშნი, რა არის აღმნიშვნელი? როგორი მიმართებაა მათ შორის? ბილატერალურია თუ მონოლატერალური ენობრივი ნიშანი და როგორ უნდა გვესმოდეს ეს ცნებები? რით განსხვავდება ენობრივი ნიშნები ნიშანთა სხვა სისტემებისაგან? რა ფუნქცია აქვს ენობრივ ნიშანს შემეცნების პროცესში? როგორი მიმართება მყარდება შემეცნების პროცესში საგნებსა, ცნებებსა, წარმოდგენებსა და ენობრივ ნიშნებს შორის? როგორ მიმდინარეობს კომუნიკაციის დროს ნიშნის გამოყენების ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესები? ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია: რა არის ნიშნის მნიშვნელობა? ემთხვევა თუ არა ერთმანეთს მნიშვნელობა ენათმეცნიერული და ფილოსოფიური გაგებით? ამის შესაბამისად, რას მოასწავებს მნიშვნელობის შესწავლა, ვთქვათ, სემასიოლოგიაში, როგორც ენათმეცნიერების დარგში და სემიოტიკაში, როგორც ნიშანთა შესახებ ზოგად დისციპლინაში?

საკითხების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, თქმულიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ მრავალსაპექტიანია და რთული ენობრივი ნიშნის რაობის საკითხი.

ჩვენ ამ საკითხთა წყებიდან ერთი, — შედარებით მარტივი და უკეთ გარკვეული, — საკითხი ავიღეთ. ესაა საკითხი ნიშნის ნებისმიერობის შესახებ, უფრო ზუსტად, იმის შესახებ, თუ რა მიმართებაშია ნიშნის ბგერითი მხარე აღსანიშნ საგანთან და მოლაპარაკე კოლექტივთან. ენათმეცნიერებაში ამ საკითხებზე პასუხს სოსიურს მიაწერენ, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, სოსიურმა მხოლოდ დანერგა ის შეხედულებები, რომლებიც მასზე ადრე შეიქმნა ჯერ ფილოსოფიაში და შემდეგ ენათმეცნიერებაში.

დებულებები, რომ ნიშანი ნებისმიერია აღსანიშნი საგნის მიმართ და არ არის ნებისმიერი ენის მომხმარებელი კოლექტივის მიმართ, ჩვენი აზრით, მტკიცედ დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ.

მიუხედავად ამისა, საკითხი აღსანიშნის მიმართ ნიშნის ნებისმიერობის შესახებ 30-იანი—40-იანი წლებიდან თითქოს სადავოდ იქცა. სათანადო ლიტერატურის ანალიზის შედეგად ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ამის მიზეზი იმდენად მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა კი არ იყო, რამდენადაც გაუგებრობა.

თითო-ოროლა მეცნიერი თუ იცავს შეხედულებას, რომ ნიშნის ბგერითი მხარე საგნით არის განსაზღვრული (ე. წ. ბგერითი სიმბოლიკის თეორია): ამ შეხედულების მიმდევართა არგუმენტაცია იმდენად არაადამაჯერებელია, რომ იგი ვერ შეარყევს ნიშნის ნებისმიერობის შესახებ დებულებას.

მთავარი, რამაც შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ენათმეცნიერებაში ხდება ნიშნის ნებისმიერობის შესახებ დებულების გადასინჯვა, გაუგებრობას ემყარებოდა. ამ გაუგებრობას ორი წყარო ჰქონდა:

ერთი მხრივ, სტრუქტურალისტებმა — ე. ბენვენისტმა და სხვებმა, სოსიურის მოძღვრების უფრო თანმიმდევრულად ქცევის მიზნით, საგანთან ნიშნის ბგერითი მხარის მიმართების საკითხი შეცვალეს ნიშნის აკუსტიკური წარმოდგენის საგნის წარმოდგენასთან (resp. ცნებასთან) მიმართებით. პირველი მიმართება მათაც (ე. ლერხის გამოკლებით) ნებისმიერად მიაჩნიათ, ისევე როგორც სოსიურს და ბევრ სხვა ენათმეცნიერს, მაგრამ ამ მიმართების შესწავლას არ თვლიან ენათმეცნიერების საქმედ. მეორე მიმართება კი, მათი აზრით, არ არის ნებისმიერი. მაგრამ სწორედ ეს მიმართება ვერ შემოვა ენათმეცნიერებაში, რამდენადაც აქ ლაპარაკია ფსიქიკურ მონაცემთა, — წარმოდგენათა, — მიმართებაზე.

მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირში ნიშნის ბგერითი მხარის საგან-თან მიმართების საკითხი შეცვალეს საგანთან ცნების მიმართებით, ხოლო ცნება ენობრივი ნიშნის ნაწილად (მის მნიშვნელობად) გამო-აცხადეს. აქედან შეიქმნა შეხედულება, რომ ენობრივი ერთეული (მაგ., სიტყვა) ნიშანი კი არაა, არამედ საგნის ასახვა. აქაც, ამ თვალსაზ-რისის დამცველნიც არ უარყოფენ იმ თვალსაზრის ფაქტს, რომ სიტყ-ვის ბგერითი მხარე არ არის განპირობებული საგნის ბუნებით. ეს უკვე იმის აღიარებას მოასწავებს, რომ სიტყვის ბგერითი მხარე არ არის ასახვა, იგი ნიშანია. რაც შეეხება ცნების მიმართებას საგანთან, რა თქმა უნდა, ცნება ასახავს საგანს. მაგრამ არც ეს საკითხია ენათმეცნი-ერული, იგი უკვე ფილოსოფიის სფეროს განეკუთვნება. ცნება ძალიან მკიდროდ არის დაკავშირებული ენობრივ ნიშანთან, მაგრამ იგი არ შედის ნიშანში, არ წარმოადგენს მის ნაწილს.

გაუგებრობათა მთავარი მიზეზი, ვფიქრობთ, ისაა, რომ ნიშნის მიმართება სხვადასხვა ასპექტში შეიძლება იქნეს განხილული: 1) ნიშ-ნის მიმართება აღსანიშნთან, 2) ნიშნის მიმართება მოლაპარაკე კოლექ-ტივთან, 3) ნიშნის მიმართება სხვა ნიშნებთან ენობრივ სისტემაში, 4) ნიშნის აკუსტიკური სახის მიმართება საგნის წარმოდგენასთან, 5) ნიშნის მიმართება ცნებასთან.

თითოეულ ამ მიმართებასთან დაკავშირებით ცალკე უნდა გადაწყ-დეს საკითხი, არის თუ არა ნიშანი ნებისმიერი. ზოგადი და ცალსახა პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს. თუ აღსანიშნის მიმართ ნიშანი ნებისმიერია, მოლაპარაკე კოლექტივის მიმართ ის არ არის ნების-მიერი. ასევე სხვადასხვაგვარად შეიძლება გადაწყდეს ნებისმიერობის საკითხი დანარჩენ მიმართებათა განხილვისასაც. ყველა მკვლევარი საკირო სიზუსტით არ მიჯნავს სხვადასხვა მიმართებას ერთმანეთისა-გან. ზოგჯერ ერთ მიმართებას მეორით ცვლიან, ერთის შესახებ ნათქვამს მეორეზე ავრცელებენ, რაც არ არის გამართლებული. სწო-რედ ამის ნიმუში იყო ზემოთ განხილული: ე. ბენვენისტმა გამოორიცხა ენათმეცნიერებიდან საგანთან ნიშნის მიმართების საკითხი და შე-ცვალა იგი აკუსტიკური სახის მიმართებით ცნებასთან. ეს უკანას-კნელი მიმართება კი არანებისმიერად მიიჩნია. შემდეგ ზოგმა მკვლე-ვარმა ის, რაც ბენვენისტმა ცნებისა და აკუსტიკური სახის მიმართე-ბის შესახებ თქვა, გაავრცელა ნიშნისა და საგნის მიმართებაზე და მიაწერა ბენვენისტს შეხედულება, თითქოს იგი ენობრივ ნიშანს არა-ნებისმიერად თვლიდეს საგნის მიმართ.

ერთუბრის სიმპოზიუმზე აშკარად გამოვლინდა, რომ აღსანიშნი-საგნის მიმართ ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა არ იწვევს სპეციალის-ტთა შორის დავას.

ცოცხალი ენის დიალექტთა მნიშვნელობა ენის
განვითარების შესწავლისათვის (სინქრონია-დიაქრონიისა
და სტატიკა-დინამიკის ურთიერთობასთან დაკავშირებით):

1.1. ენათმეცნიერებაში XIX საუკუნიდან მოყოლებული მკაფიოდ განასხვავებდნენ სტატიკურ ანუ აღწერით ენათმეცნიერებასა და ისტორიულ, ანუ, როგორც ზოგჯერ უწოდებდნენ, ევოლუციურ ენათმეცნიერებას. მათ დაპირისპირებას საფუძვლად ედო ერთი გარკვეული პრინციპი: სტატიკური ანუ აღწერითი ენათმეცნიერება განიხილავს ენას დროის გარკვეულ მონაკვეთში, როგორც უცვლელ მოვლენას, ისტორიული ენათმეცნიერება კი იკვლევს ენის ცვალებადობას, ენის განვითარებას.

ფ. დე სოსიურმა სტატიკური და ისტორიული (ევოლუციური) ენათმეცნიერების სინონიმებად შემოიღო ტერმინები სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერება. მისი სიტყვით, სინქრონიულია ყველაფერი, რაც ჩვენი მეცნიერების სტატიკურ ასპექტს განეკუთვნება, დიაქრონიულია ყველაფერი, რაც ევოლუციას ეხება. ამის შესაბამისად სინქრონია და დიაქრონია აღნიშნავს ენის მდგომარეობას და ევოლუციის ფაზას¹.

სოსიურს კარგად ესმოდა, რომ აბსოლუტური უცვლელობა ენაში არ არსებობს, რომ დროის რაგინდ პატარა მონაკვეთიც არ უნდა ავილოთ, მცირეოდენ ცვლილებებს მაინც ექნება ადგილი და, მაშასადამე, სტატიკური ქრილი პირობითია და შეფარდებითი, იგი წარმოადგენს მეცნიერულ აბსტრაქციას, რომელიც ნაკლებ მნიშვნელოვან ცვლილებებს უგულებელყოფს².

¹ ამ ნაშრომის მეორე ნაწილი მოხსენდა ენათმეცნიერთა X საერთაშორისო კონგრესს 1967 წ. 30/VIII ქ. ბუქარესტში.

² Ф. Де Соссюр, Курс общей лингвистики, М., 1933, გვ. 89, შტრ. იჰვე, გვ. 103.

³ იქვე, გვ. 104.

პრალის სკოლამ. რომელიც მართებულად ცდილობდა გადაეღაზა სოსიურის მიერ სინქრონიასა და დიაქრონიას შორის აღმართული ზღუდე. ვაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სინქრონიული აღწერა ვერ გამოირიცხავს მთლიანად ევოლუციის ცნებებს⁴.

ეს თეზისი გაშლილად არის წარმოდგენილი რ. იაკობსონის ნაშრომებში. 1929 წ., გახზავდა რა იმას, რომ აუცილებელია ანგარიში გაეწიოს ცვლილებებს, რომლებიც შემოდინ სინქრონიაში, ხოლო, მეორე მხრივ, რომ დიაქრონიულ ენათმეცნიერებასაც უხდება უცვლელობის გათვალისწინება, რ. იაკობსონი ლაპარაკობდა სინქრონიაში დიაქრონიის ასახვისა და დიაქრონიაში სინქრონიის ასახვის შესახებ⁵.

ორიოდე წლის შემდეგ რ. იაკობსონმა სხვაგვარი გაგება შემოგვთავაზა. მან ერთმანეთისაგან განსხვავებულად მიიჩნია საპირისპირო ცნებათა ორი წყვილი: ერთი მხრივ, სტატია და დინამია, ხოლო, მეორე მხრივ, სინქრონია და დიაქრონია. ავტორის აზრით, სინქრონიული კვლევა ითვალისწინებს არა მხოლოდ სტატიკას, არამედ დინამიკასაც: ცვლილება, ისევე, როგორც ენის უცვლელი ელემენტები, შეიძლება გახდეს ენის სინქრონიული კვლევის საგანი. დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ სინონიმებად მიგვეჩინა სტატია და სინქრონია. სტატიკური კრილი ფიქციაა, იგი მხოლოდ მეცნიერულ დამხმარე საშუალებას წარმოადგენს და არა განსაკუთრებული რეალობის მოდუსს⁶.

ამ შეხედულებას იცავს რ. იაკობსონი თავის გვიანდელ ნაშრომებშიაც. მისი განმარტებით, ენაში „სტატია“ და „სინქრონია“ არ ემთხვევა ერთმანეთს. ყოველგვარი ცვლილება თავდაპირველად განეკუთვნება ენობრივ სინქრონიას: როგორც ძველი, ისე ახალი სახესხვაობა თანაარსებობენ ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე სამეტყველო კოლექტივში, როგორც უფრო არქაული და უფრო ახალი... (ისინი განეკუთვნებიან) ერთი და იმავე კოდის ორ ურთიერთშენაცვლებად ქვეკოდს. თითოეული ქვეკოდი თავისთავად მოცემულ მომენტში წარმოადგენს სტაციონარულ სისტემას, რომელიც იმართვის მკაცრი სტრუქტურული კანონების მიერ, მაშინ როდესაც ამ ნაწილობრივ

⁴ Тезисы Пражского лингвистического кружка, В. А. Звегинцев, «История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях», ч. II, 1965, гл. 124.

⁵ სინქრონიაში დიაქრონიის ასახვის მაუწყებელია, ავტორის აზრით, არქაიზმები და ნეოლოგიზმები, პროდუქტიული და არაპროდუქტიული ფორმები. R. Jakobson. Remarques sur l'évolution phonologique du Russe. TCLP, 1929, № 2, გვ. 16.

⁶ R. Jakobson, Prinzipien der historischen Phonologie. TCLP, 1931. № 4, გვ. 264—265.

სისტემათა ურთიერთობა ავლენს ერთი ასეთი სისტემიდან მეორეში გადასვლის დინამიკურ კანონებს⁷.

იმ ფაქტზე, რომ სინქრონიულ ქრილში ვერ ხერხდება ენობრივ ცვლილებათა სრული გამორიცხვა, გარდა პრაღის სკოლის წარმომადგენლებისა, მიუთითებდნენ სხვა ენათმეცნიერებიც. მაგ., ლ. იელმსლევი ჯერ კიდევ 1928 წ. აღნიშნავდა, რომ სინქრონია არ ნიშნავს სტატიკას, რადგან თვით სინქრონიაში ფარულად მოქცეულია ენობრივი განვითარების დინამიკა⁸.

უფრო გვიან ვ. ბრენდალიც წერდა: რაც შეეხება სინქრონიისა და დიაქრონიის განსხვავებას, უნდა დავუშვათ, რომ დრო... გამოვლინდება სინქრონიის შიგნითაც, სადაც უნდა გავარჩიოთ სტატიკური და დინამიკური მომენტებიო⁹.

1.2. როგორც ვხედავთ, სინქრონიისა და დიაქრონიის ცნებები სოსიურსა და მის მიმდევარ სტრუქტურალისტებს საკმაოდ განსხვავებულად ესმით. ჩვენი აზრით, ამ განსხვავებაში უკუფენილია ის სიძნელეები, რომლებიც ამ ორი ასპექტის გამიჯვნისას გვხვდება¹⁰.

სოსიურთან სინქრონია და დიაქრონია თეორიულად მკაფიოდ არის გარჩეული: პირველი ენის სტატუსს, მდგომარეობას სწავლობს, მეორე — ცვალებადობას, განვითარებას. მაგრამ საქმე ისაა, რომ პრაქტიკულად ასეთი მკაცრი გამიჯვნა არ ხერხდება. ნებისმიერ სინქრონიულ ქრილში ყოველთვის აქვს ადგილი მეტ-ნაკლებ ცვლილებებს, რომელთა უგულებელყოფა, წინააღმდეგ სოსიურის მტკიცებისა,

⁷ Р. Якобсон, Типологические исследования и их вклад в сравнительно-историческое языкознание, «Новое в лингвистике», вып. III, гл. 102. საბოლოოდ ავტორი მოდის დასკვნამდე: «გამძლეობის, დროში სტატიკის პრობლემა იქცევა დიაქრონიული ენათმეცნიერების განუყრელ პრობლემად, მაშინ როდესაც დინამიკა, ენის მთლიანობაში ქვეკოდების ურთიერთობა წარმოადგენს ლინგვისტური სინქრონიის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს» (იქვე, გვ. 104).

⁸ L. Hjelmslev, Principes de grammaire générale, 1928, გვ. 56.

⁹ В. Брэндал, Структуральная лингвистика. «В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков», гл. 99.

¹⁰ ამ განსხვავებაზე გარკვევით მიუთითებს რ. იაკობსონი: „სოსიურისეული გაიგივება „სინქრონია-დიაქრონიის“ დაპირისპირებისა „სტატიკა-დინამიკის“ დაპირისპირებასთან მტდარი აღმოჩნდა, რამდენადაც სინამდვილეში ცვლილებები უწყვეტად ხდება და შედის სინქრონიაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ნამდვილი სინქრონია დინამიკურია: სტატიკური სინქრონია — ესაა ანსტრაქცია, რომელიც ენათმეცნიერს სჭირდება გარკვეული მიზნებისათვის, ხოლო ფაქტებთან შეთანხმებული, ენის ამოწურავი სინქრონიული აღწერა თანმიმდევრულად უნდა ითვალისწინებდეს მის დინამიკას“ (გამოსვლა I საერთაშორისო სიმპოზიუმზე «ნიშანი და ენის სისტემა» (ერფურტი, გვ. 1959). В. А. Звегинцев, «История языкознания XIX—XX веков», ч. II, 1965, гл. 396—7.

სინქრონიულ ენათმეცნიერებას არ შეუძლია. მეორე მხრივ, ერთმანეთის მომდევნო ეპოქებში ენობრივი სისტემის ყველა რგოლი არ განიცდის ცვალებადობას. სწორედ ამ სიძნელის გადასალახავად სცადეს განესხვავებინათ ერთმანეთისაგან სინქრონია და სტატია, დიაქრონია და დინამიკა. შველის თუ არა ეს საქმეს? — ვფიქრობთ. რომ — არა.

თუ სინქრონიას და დიაქრონიას გამოვაცლით სტატიკურობის ანუ უძრავობის, უცვლელობის და დინამიკურობის ანუ ცვალებადობის გაგებას, მაშინ ამ ცნებათა გარჩევასაც საფუძველი ეშლება და ისინი ენათმეცნიერებისათვის კარგავენ ღირებულებას.

მართლაც, რას დავამყაროთ სინქრონია, თუ ის არ უდრის ენისადმი სტატიკურ მიდგომას? მოლაპარაკე კოლექტივის ცნობიერების ერთდროულობას? მაგრამ თვით მოლაპარაკე კოლექტივის ერთიანობაც რომ არ არის შემოფარგლული დროში? მოლაპარაკე კოლექტივი უწყვეტია დროის მიხედვით, თუმცა მისი შემადგენლობა განუწყვეტლივ იცვლება. ამასთანავე იცვლება არა ერთბაშად, წინა თაობის მთლიანად მოსპობისა და მომდევნო თაობით მისი შეცვლის გზით, არამედ სხვადასხვა თაობის წევრთა გამოკლებისა და ახალ თაობათა მუდმივად მიმატების შედეგად. ასეთ პირობებში როგორ უნდა დავადგინოთ სინქრონიული მიდგომის ფარგლები მოლაპარაკე კოლექტივის ცნობიერებიდან ამოსვლით?

ჩვეულებრივ, სინქრონიის ქვეშ ესმით იმ კოლექტივის მეტყველება, რომელიც ენათმეცნიერის მიერ ენაზე დაკვირვების დროს არსებობს. მაგრამ აშკარაა, რომ ამით არ ამოიწურება ერთი სინქრონიული კრილი. იგი შეიძლება გაფართოვდეს როგორც წარსულის, ისე მომავლის მიმართულებით. უდავოა, რომ თანამედროვე ქართულ ენას მხოლოდ 1972 წლის მეტყველება არ შეადგენს. ენის იმავე მდგომარეობას განეკუთვნება 1969—1970—1971 წლების და 1973—1974—1975 წლების მეტყველებაც. მაგრამ როდესაც საქმე უფრო შორეულ წლებს ეხება, ირკვევა, რომ ჩვენ არა გვაქვს მკაცრი კრიტერიუმი სინქრონიული ერთეულის გამოყოფისათვის. სად უნდა დავიწყოთ და სად დავამთავროთ ენის ერთი სინქრონიული მონაკვეთი? ამის დადგენის შესაძლებლობას მოლაპარაკე კოლექტივის ცნობიერება ზემოდასახელებული მიზეზების გამო არ გვაძლევს.

სინქრონიის სხვა გაგების მიხედვით, მისთვის არსებითად მიჩნეულია ენობრივი ფაქტების ერთმანეთთან თანადროულობა. მაგრამ ისიც კარგად ცნობილია, რომ ენაში სხვადასხვა დროის ფაქტები თანაარსებობს. ძველისძველი და უახლესი მოვლენები ერთ სისტემაშია გაერთიანებული. უძველესი ფაქტები არა მხოლოდ თანამედროვე მოვლენებთან ერთადაა მოცემული, არამედ ისინი წარსული ისტორი-

ული ეპოქების სხვადასხვაგვარი ენობრივი მოვლენების თანადროული იყვნენ¹¹. აქაც გაურკვეველი რჩება, როგორ უნდა დავადგინოთ სინქრონიული მიდგომის ფარგლები.

ბოლოს, თუ სინქრონიის ქვეშ ენობრივ ფაქტთა ერთდროულ მიმდინარეობას ვიგულისხმებთ კინოფილმის მსგავსად¹², მაშინ ენობრივი მიდგომის ორი ასპექტი საერთოდ აღარ შემოგვრჩება, ვინაიდან გაურკვეველი დარჩება, რა განსხვავებაა სინქრონიასა და დიაქრონიას შორის?

ზემოთქმულის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ სინქრონიისა და დიაქრონიის ცნებები ენათმეცნიერებისათვის ფასეული დარჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სტატიკასა და დინამიკას დაემყარება, ე. ი. თუ ნახმარი იქნება აღწერითი და ისტორიული ენათმეცნიერების სინონიმებად.

ამით, რა თქმა უნდა, არ მოიხსნება ის სიძნელე, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. სინქრონიული კრილის იმგვარად გამოყოფა, რომ სრულიად ელიმინირებული იყოს ცვალებადობა, არ ხერხდება. მეორე მხრივ, ისტორიული მიდგომის დროს ცვალებადი მოვლენების გვერდით ისეთებიც გვხვდება, რომელთაც იმავე ეპოქის განმავლობაში არ განუცდიათ რაიმე შესამჩნევი ცვლილებები. ეს სიძნელე (სინქრონიაში — ცვალებადობა, დიაქრონიაში — უცვლელობა!) სინქრონიისა და დიაქრონიის ცნებათა განსაზღვრისას დაშვებული რაიმე ლოგიკური შეცდომის შედეგი კი არ არის, არამედ ობიექტური ხასიათისაა და მისი მიზეზი თვით ენის ბუნებაშია. ამიტომ მისი ახსნა შესაძლებელია, — მოხსნა კი — არა.

რით აიხსნება ზემოთ აღწერილი სიძნელე? ჯერ ერთი, ყოველი ცოცხალი ენა განუწყვეტლივ განიცდის ცვალებადობას, მისი „შეჩერება“, მასში მდგომარეობის გამოყოფა მეცნიერულ აბსტრაქციას წარმოადგენს და არა რეალურად არსებული ვითარების ასახვას. მეორე და მთავარი კი ისაა, რომ ენობრივი სისტემის სხვადასხვა რგოლი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტემპით იცვლება. ამიტომ დროის რა მცირე მონაკვეთიც არ უნდა ავიღოთ, ყოველთვის დადასტურდება ენობრივი სისტემის ამა თუ იმ რგოლში ცვალებადობის ისეთი ეტაპები, რომელთა უგულებელყოფა არც გამართლებულია და არც შესაძლებელი თვით აღწერის სისრულის თვალსაზრისითაც კი. ენობრივი

¹¹ იხ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ. „თანამედროვე ზოგადი და მათემატ. ენათმეცნ. საკითხები“, ტ. II, 1967, გვ. 8—9.

¹² შდრ. R. Jakobson, Prinzipien der historischen Phonologie, გვ. 264—265.

სისტემის ყველა რგოლი რომ ერთნაირი ტემპითა და ერთდროულად იცვლებოდეს, მაშინ ჩვენ ალბათ შევძლებდით გამოგვეყო დროის ისეთი მონაკვეთები, რომელთა განმავლობაშიაც ცვალებადობა უმნიშვნელო იქნებოდა. არსებულ ვითარებაში ამას შეიძლება მივალწიოთ ყოველი ცალკეული ენობრივი რგოლის მიმართ მისი ცვალებადობის ტემპებისა და ეტაპების გათვალისწინებით, მაგრამ ენის მთელი სისტემის მიმართ, მისი უთანაბრო განვითარების გამო, ეს ვერ ხერხდება. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ სინქრონიული კრილის გამოყოფისას ანგარიში გავუწიოთ ენობრივი სისტემის უდიდეს ნაწილს. მდგომარეობა განვსაზღვროთ იმის მიხედვით, რომ სისტემის უდიდესი ნაწილი დროის გარკვეულ შუალედში თვალსაჩინო ცვლილებებს არ განიცდის.

აქედან აშკარაა სინქრონიული კრილის პირობითი და შეფარდებითი ხასიათი. ამასთან არც ის უნდა იწვევდეს დავას, რომ ცვლილებები, რომელთა ელიმინაცია სინქრონიულ კრილში არ ხერხდება, არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. ასეთ მოვლენათა კვალიფიკაციისათვის დიაქრონიული ენათმეცნიერების თვალსაზრისი და ცნებები იქნება საჭირო.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: თუ სინქრონიისა და დიაქრონიის მკაცრად გამოიყენა პრაქტიკულად ვერ ხერხდება, საჭიროა თუ არა მათი განსხვავება, საჭიროა თუ არა საერთოდ სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების გამოყოფა? — უეჭველად საჭიროა, ვინაიდან ეს არის ენისადმი ორი სხვადასხვაგვარი მიდგომა, რაც სხვადასხვა მიზნებს ისახავს და სხვადასხვა მეთოდებს მოითხოვს.

ენის სინქრონიული კრილის შესწავლა შესაძლებელს ხდის ენობრივი ერთეულების იდენტიფიკაციას, მათ კლასიფიკაციას და მათ შორის მიმართებათა დადგენას, აგრეთვე ენობრივი დონეების განსაზღვრას. დიაქრონიული კვლევა, ითვალისწინებს რა ცვალებადობის პროცესს, ეძიებს ცვლილებათა განმავლობებელ მიზეზებს, ე. ი. ცდილობს ახსნას ენობრივი მოვლენები.

ამგვარად, ეს ორი მიდგომა ავსებს ერთმანეთს. ამასთან სინქრონია ენის შესწავლის უფრო ადრინდელი და ამასთანავე უფრო დაბალი დონეა, დიაქრონია კი მომდევნო და უფრო მაღალი დონე არა მხოლოდ კვლევის თანმიმდევრობის თვალსაზრისით, არამედ ენის არსში შეღწევის თვალსაზრისითაც.

იცავს რა სინქრონიული და დიაქრონიული მიდგომის სპეციფიკას, ენათმეცნიერებამ სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს ამ ორგვარი მიდგომის გამოყენებისას წარმოქმნილ ობიექტურ სიძნელეებს როგორც ენათა კვლევის დროს, ისე სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეც-

ნიერების ურთიერთობის გარკვევის დროსაც. კერძოდ, ეს სიძნელეები ერთხელ კიდევ გახაზავენ სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების მქიდრო და ორგანულ შინაგან კავშირს. კავშირს, რომელიც, წინააღმდეგ სოსიურის მტყიცებისა, გამორიცხავს მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, განცალკევებულად არსებობას.

საკვიროა გვახსოვდეს, რომ სინქრონიისა და დიაქრონიის მკაცრად გამიჯვნა არ წარმოადგენს ენათმეცნიერების თვითმიზანს. მიზანია ენის შემეცნება და მას ემსახურება ლინგვისტიკა, როგორც მთლიანი მეცნიერება ენის შესახებ. სინქრონიულ და დიაქრონიულ ენათმეცნიერებად დაყოფა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ეს ხელს უწყობს აღნიშნული მიზნის მიღწევას.

არ იქნებოდა გამართლებული თვალი დაგვეხუჭა იმაზე, რომ აღწერის დროს ყოველი ცოცხალი ენის სისტემაში დასტურდება ფაქტები, რომლებიც უქველად დიაქრონიულ მიდგომას მოითხოვენ¹³, ეს არის ფაქტები, რომლებიც აშკარად მეტყველებენ, რომ ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურს განეკუთვნებიან. მაშასადამე, რომელთა სისტემატიზაციაც ისტორიულ ჰრილში მათი განლაგების გარეშე შეუძლებელია. წინამდებარე ნაშრომში ძირითადად სწორედ ასეთ მოვლენებზე შევჩერდებით.

ეს მოვლენები ერთსა და იმავე ენობრივ კოლექტივში ერთდროულად დასტურდება. მათი გვერდის ავლა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ენის აღწერისას მათზე შეჩერება სინქრონიისა და დიაქრონიის აღრევას გამოიწვევდა, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ აბსტრაქციამ, რომელიც ჩვენ თვითონ მოვახდინეთ სინქრონიული ჰრილის გამოყოფით, დახმარების ნაცვლად ხელი შეგვიშალოს ენის მეცნიერულ შეცნობაში.

ამგვარად, ენობრივი სისტემის განვითარების თავისებურება. კერძოდ, მისი განვითარების უთანაბრობა აუცილებლად მოითხოვს იმას, რომ ენის აღწერისას შემოვიტანოთ ისტორიის ელემენტები. ეს შეეხება ისეთ გარდამავალ მოვლენებს, რომელთა ცვალებადობის ელიმინაციაც დროის აღებულ პერიოდში ვერ ხერხდება. მაშასადამე, აქ სინქრონიისა და დიაქრონიის აღრევასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სხვადასხვა რიგის ენობრივ მოვლენებთან, რომლებიც თავიანთი ბუნების შესაბამისად სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვენ. გავხაზავთ, რომ ლაპარაკია ზედაპირულ მოვლენებზე, რომელთა ცვალებადობის გათვალისწინება სპეციალურ, გაღრმავებულ ისტორიულ კვლევას არ მოითხოვს. ეს, რა თქმა უნდა, არ ხსნის ენის მთელი სისტემის

¹³ ეს ვითარება სავსებით მართებულად შენიშნა პრალის სკოლამ.

საგანგებო ისტორიული ანალიზის საჭიროებას. ასეთი ანალიზი, როგორც აღნიშნული იყო, ენის კვლევის მეორე საფეხურზე იშლება მთელი სისრულით და საგანგებო მეთოდების გამოყენებით. ამასთანავე, ისევ ენის უთანაბრო განვითარების გამო, დიაქრონიული კვლევის დროსაც შეგვხვდება ისეთი მოვლენები, რომლებიც მთელი ისტორიული პერიოდების განმავლობაში უცვლელად რჩებიან.

2. როგორც აღნიშნული იყო, სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერება განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი მიზნებით, თვალსაზრისებით, სპეციალური მეთოდებით. ამ განსხვავებაზე საენათმეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი თქმულა. ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ერთ-ერთ განსხვავებაზე, რომელსაც, ჩვეულებრივ, ნაკლები ყურადღება ექცევა. საქმე ეხება საკვლევ მასალას.

სინქრონიულ ენათმეცნიერებას საკვლევი მასალა მთლიანად მოცემული აქვს. ჩვეულებრივ, მისი ობიექტია ცოცხალი მეტყველება, რომელსაც ენათმეცნიერი უკვირდება, იწერს და შემდეგ აანალიზებს. ამგვარად, კვლევა ეხება მხოლოდ იმას, რაც წინასწარ ფიქსირებულია და მკვლევრის განკარგულებაში იმყოფება. აქ საზრუნავი მხოლოდ ის არის, რომ მასალა საკმაო რაოდენობით იქნეს ფიქსირებული ანუ, სხვაგვარად, კორპუსი, რომლის ანალიზსაც მიმართავენ, ისეთი მოცულობისა იყოს, რომ ის მოიცავდეს ენის ყველა თავისებურებას. თუ კვლევის პროცესში გაირკვევა, რომ მოპოვებული მასალა არ არის საკმარისი ენის სრული აღწერისათვის, ენათმეცნიერს აქვს შესაძლებლობა შეავსოს იგი მოლაპარაკე კოლექტივში.

სინქრონიული შესწავლა შესაძლებელია არა მხოლოდ მკვლევრის თანამედროვე ენისა, არამედ გასული ეპოქების ენისაც, თუ ის ფიქსირებულია წერილობით ძეგლებში. აქ მდგომარეობა უფრო რთულია, ვინაიდან კორპუსის მოცულობა არ არის დამოკიდებული მკვლევარზე. იგი უნდა დაკმაყოფილდეს იმ ძეგლებით, რომლებიც მისთვის საინტერესო ეპოქაში შეუქმნიათ ან რომლებსაც ჩვენამდე მოუღწევია. მათი შევსება-გავრცობა, ცხადია, ენათმეცნიერს არ ძალუძს. ამიტომ გასულ ეპოქათა ენის აღწერა შეიძლება არ იყოს სრული მასალის უკმარობის გამო.

ამას ისიც ერთვის, რომ ძველ ეპოქებში წერილობითი ძეგლების ჩაწერა მათი მეცნიერული შესწავლის მიზნით არავის უწარმოებია. ამიტომ ენის თავისებურებები მათში ზუსტად ფიქსირებული არ არის. ამასთან, წერილობითი ძეგლები, როგორც წესი, სალიტერატურო ენას განეკუთვნებიან, ცოცხალი მეტყველების მრავალფეროვნებას ვერ ასახავენ. ეს, ცხადია, ხელს უშლის სრულ და ამომწურავ აღწერას.

მამასადამე, სინქრონიული კვლევა ემყარება ენათმეცნიერისათვის წინასწარ მოცემულ მასალას და ამ მასალის ფარგლებს იგი ვერ გასცდება. შეუძლებელია ისეთი ენის სინქრონიული ანალიზი, რომელზედაც არც არავინ ლაპარაკობს და არც წერილობითი ძეგლები მოიპოვება.

სხვა ვითარებაა დიაქრონიულ ენათმეცნიერებაში. აქ საკვლევი მასალა ენათმეცნიერს მთლიანად არა აქვს წინასწარ მოცემული. მის განკარგულებაშია მხოლოდ მისი თანამედროვე ენის ფაქტები, მაგრამ იმავე ენის განვითარების უფრო ადრინდელი საფეხურები აღდგენილი უნდა იქნეს სპეციალური მეთოდების გამოყენებით (როგორცაა: მონათესავე ენათა შედარება, შინაგანი რეკონსტრუქცია, ლინგვისტური გეოგრაფიის, არეალური ლინგვისტიკის მეთოდები და ა. შ.). გამონაკლისს ქმნის ძველი წერილობითი ძეგლები, რომლებშიაც ფიქსირებულია ენის განვითარების ძველი ეტაპები. მაგრამ მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, წერილობითი ძეგლები ვერ ასახავენ ვერც შესასწავლი ენის ყველა თავისებურებას, ვერც მისი ისტორიის ყველა საფეხურს. ამასთან მრავალ ენას სრულიად არ მოეპოვება ძველი წერილობითი ძეგლები, ხოლო სადაც ისინი გვაქვს, იქ ისტორიული კვლევა უფრო ადრინდელი ეპოქების შესწავლასაც ისახავს მიზნად.

ამგვარად, ისტორიული ენათმეცნიერება მხოლოდ მის განკარგულებაში არსებულ მასალას კი არ აანალიზებს, არამედ მას უხდება გარდასულ ეპოქათა დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების აღდგენაც. ეს ქმნის ისტორიული კვლევის ერთ-ერთ სიძნელეს აღწერითთან შედარებით.

ისტორიულ ენათმეცნიერებას რომ მოეპოვებოდეს ენის განვითარების სხვადასხვა ეპოქის ისეთივე სრული მასალა, როგორც თანამედროვე ენების შესახებ შეიძლება იქნეს მოპოვებული, მაშინ ბევრად გაადვილდებოდა ენაში მიმდინარე პროცესების დადგენა და მათი მიზეზების ძიებაც.

მონაცემები ენათა ისტორიის ადრინდელი საფეხურების რეკონსტრუქციისათვის ისევ თანამედროვე ან წერილობით ფიქსირებულ ენებში უნდა იქნეს მიგნებული. სხვა წყაროები ენათა ისტორიის გათვალისწინებისათვის არ არსებობს¹⁴.

¹⁴ აპიტომ არ გვეჩვენება გასაზიარებლად აზრი, თითქოს დიაქრონიული კვლევის არსი მდგომარეობდეს ერთიმეორის მოძღვენო სინქრონიული ჯრილების ერთმანეთთან შედარებაში და მათ აღწერაში. ასეთი პროცედურა მეთოდოლოგიურად გამართლებულიც რომ იყოს, იგი პრაქტიკულად მაინც განუხორციელებელი დარჩებოდა, ვინაიდან სხვადასხვა ეპოქის სინქრონიული ჭრილი ენათმეცნიერებას არ მოეპოვება იმ მკითრეობიდან შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც ძველი წერილობითი ძეგლები არსებობს (ამას-

ენათა ისტორიული კვლევის მეთოდები, მონათესავე ენათა ისტორიული შედარება იქნება ეს, ცალკეულ ენაში ჩატარებული შინაგანი რეკონსტრუქცია, თუ ლინგვისტური გეოგრაფიის ან არეალური ლინგვისტიკის სპეციალური ხერხები, სწორედ დადასტურებულ ენებში ან ენობრივ მასალაში ეძიებენ წარსულის კვალს. ასეთ კვალს კი ენებში მოქმედი პროცესები საკმაოდ ხშირად და გარკვევით ტოვებენ. სწორედ ამიტომ იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც გვიანდელ ენათა სისტემებში ან სხვადასხვა ენის ურთიერთმიმართებაში დასტურდება (ნათესაობის დროს, ურთიერთგავლენის დროს), ხერხდება იმ პროცესთა აღდგენა, რომლებმაც ეს თავისებურებები წარმოქმნეს, და უფრო ადრინდელი (ცვლილებამდელი) ვითარების მეტ-ნაკლები მიახლოებით წარმოდგენაც.

ასეთი კვლევის შედეგები დამოკიდებულია, ერთი მხრივ, დადასტურებულ ენათა (ან ენის) მასალაზე, ხოლო, მეორე მხრივ, კვლევის მეთოდების სიზუსტეზე და მათი გამოყენების სიმკაცრეზე. დღესდღეობით მიღწეული ბევრად ჩამორჩება სასურველს. მაგალითად, ისტორიული კვლევის შედეგად ვერ ხერხდება ენის განვითარების რომელიმე ადრინდელი, არაფიქსირებული საფეხურის სრული რეკონსტრუქცია. ჯერ ერთი, რეკონსტრუქცია, როგორც წესი, ფრაგმენტულია, ენის მთელ სისტემას და მის კონკრეტულ რეალიზაციას ვერ მოიცავს. მეორეცა და, ხშირად ძნელია ან შეუძლებელიც კი დადგინდეს, ენის სისტემის სხვადასხვა სფეროში აღდგენილი ფორმები ერთ სინქრონიულ ჰრილს განეკუთვნებოდნენ თუ სხვადასხვას.

იმისათვის, რომ აღვადგინოთ ენის განვითარების ადრინდელი ეტაპები, აგრეთვე გავიგოთ ცვალებადობის პროცესები და ცვლილებათა მიზეზები, აუცილებელია ვიცოდეთ ის ზოგადი პირობები და კანონზომიერებანი, რომლებიც წარმართავენ საზოგადოებაში ენის ფუნქციონირებას და მის განვითარებას. ამ ზოგადი პირობების შემეცნება მხოლოდ ცოცხალი ენებისა და დიალექტების შესწავლის გზით ხერხდება, რადგან მხოლოდ აქ არის შესაძლებელი დაეუკვირდეთ ენას ადა-

თან, როგორც აღნიშნული იყო, წერილობითი ძეგლები არ გვაძლევს საკმაო მასალას გარდასულ ეპოქათა სინქრონიული ჰრილის სრულად წარმოსადგენად).

რაც შეეხება იმას, რომ დიაქრონიული კვლევა აღწერამდე იქნეს დაყვანილი, აქ ევიქრობთ, თავს იჩენს დიაქრონიული ენათმეცნიერების სპეციფიკის უკულებეყოფის ტენდენცია. დიაქრონიულ ენათმეცნიერებას მხოლოდ ცვლილების ფაქტის კონსტატაცია, მისი აღწერა კი არ აინტერესებს (ეთქვათ, იყო A და მივიღეთ B), არამედ იგი ცდილობს გაარკვიოს, თუ როგორ და რა პირობებში მიმდინარეობდა ცვალებადობის პროცესი, ისტემის რომელ რგოლებში და რანაირად აისახა ეს ცვლილება და რამ გამოიწვია იგი.

მიანთა საზოგადოებაში და გავითვალისწინოთ ის მრავალგვარი ფაქტორები, რომლებიც მასზე მოქმედებენ.

ცოცხალი ენისა და მისი დიალექტების შესწავლა რელევანტურია დიაქრონიული ენათმეცნიერებისათვის შემდეგი მიზეზების გამო:

ა) ყოველი ცოცხალი ენა წარმოადგენს განვითარებად სისტემას, რომელშიაც განუწყვეტლივ მიმდინარეობს სხვადასხვაგვარი პროცესები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უძრავი, გაქვევებული ენა სინამდვილეში არ არსებობს. სინქრონია, როგორც სტატიკური მდგომარეობა, წარმოადგენს მეცნიერულ აბსტრაქციას, რომელიც აუცილებელია ენის უკეთ შემეცნებისათვის. მაგრამ ცოცხალ ენათა კვლევის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დინამიკის სრული ელიმინაცია ვერ ხერხდება თვით სინქრონიული ანალიზის მიზნებისთვისაც კი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ცოცხალ ენაში მოიპოვება დიაქრონიული ენათმეცნიერებისათვის ფასეული მასალა, რომელზე დაკვირვებაც შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს თვალი გადაავლოს ენაში ამ დროს მოქმედ პროცესებს და იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომლებიც ენის განვითარებაზე ახდენენ გავლენას.

ბ) რადგანაც ენობრივი სისტემის სხვადასხვა რგოლები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტემპით იცვლება, ყოველ ცოცხალ ენაში დასტურდება მიმდინარე პროცესთა სხვადასხვა ეტაპები. ეს აძლევს შესაძლებლობას დიაქრონიულ ლინგვისტიკას დაუკვირდეს ენაში მიმდინარე პროცესთა სხვადასხვა საფეხურს (ზოგის დასაწყისს, ზოგის დასასრულს...) და ამის მიხედვით შექმნას სრული სურათი ენის განვითარების მიმდინარეობის შესახებ.

გ) ცოცხალ ენაზე დაკვირვება მხოლოდ ამ დროს მოქმედ პროცესებს კი არ გაგვათვალისწინებინებს. ბევრი ცვლილება, რომელსაც წარსულში ჰქონია ადგილი, ტოვებს ენის სისტემაში გარკვეულ კვალს, რისი კვლევაც აღგვადგენინებს სათანადო ფაქტთა ისტორიას.

ქვემოთ მოყვანილია ამ მიმართულებით ზოგი განზოგადება, რაც უმწერლობო სევანური ენის დიალექტებზე დაკვირვების საფუძველზე მივიღეთ. ზოგიერთ შემთხვევაში დამოწმებულია აგრეთვე ქართული ენების ან მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევრების მიერ მოპოვებული შედეგებიც. მეტი თვალსაჩინოებისათვის მაგალითები ძირითადად ფონეტიკა-ფონოლოგიიდან მოგვყავს.

8. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სალიტერატურო ენის წარმოქმნა ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან კულტურულ მონაპოვარს წარმოადგენს ხალხის განვითარებაში. სალიტერატურო ენის სპეციფიკა სალაპარაკო ენასთან შედარებით ყოველთვის აღძრავდა მკვლევართა ინტერესს. ჩვენ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება მხოლოდ

ერთ საკითხზე. სახელდობრ, იმაზე, რომ სალიტერატურო ენის არსებობა ზეგავლენას ახდენს თვით სალაპარაკო ენაზედაც, რის გამოც უმწერლობო ენის განვითარებას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს ლიტერატურის მქონე სალაპარაკო ენის განვითარებასთან შედარებით. ამ განსხვავების საფუძველს წარმოადგენს მოლაპარაკეთა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ენის მიმართ, რაც დამწერლობის არსებობა-არარსებობასთან არის დაკავშირებული.

სალიტერატურო ენის უქონლობის დროს მოლაპარაკენი ენას მთლიანად არაა ცნობიერად იყენებენ. ისინი არ ახდენენ ენობრივ ფაქტთა ობიექტივაციას, არ აქცევენ ნათქვამს საგანგებო განსჯის საგნად.

სულ სხვა ვითარებაა სალიტერატურო ენის შემთხვევაში. სალიტერატურო ენა, როგორც წესი, დამწერლობას ემყარება. იგი საგანგებოდ ისწავლება და ინერგება. დამწერლობა, სკოლა, სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის მოთხოვნილება ავითარებს მოლაპარაკებებში შეგნებულ დამოკიდებულებას ენის მიმართ, რეფლექსიის, ენობრივი ფაქტების ობიექტივაციის უნარს, თვითკონტროლის ჩვევას. ყველაფერი ეს თავს იჩენს არა მხოლოდ საკუთრივ სალიტერატურო ენის გამოყენების დროს, არამედ გარკვეულ კვალს აჩენს ყოველდღიურ სასაუბრო ენასაც.

ზემოაღნიშნული განსხვავებით აიხსნება ის, რომ უმწერლობო ენაზე ტექსტის ჩაწერის დროს ენათმეცნიერი საკმაო სიძნელეებს ზღდება. როგორც ცნობილია, ყველა მოლაპარაკე ვერ გამოდგება ინფორმანტად. იმისათვის, რომ ლინგვისტმა ჩაიწეროს მთქმელის გაბმული თხრობა, ამ უქანასკნელმა უნდა ილაპარაკოს შენელებული ტემპით, მკვლევრის თხოვნის შესაბამისად უნდა დაანაწევროს გამოთქმა სიტყვებად, სიტყვები ბგერებად ან მარცვლებად, გაიმეოროს ესა თუ ის სიტყვა ან გამოთქმა და საჭიროებისამებრ განმარტოს კიდევაც ის. ყველაფერი ეს რომ შეასრულოს, ინფორმანტს უნდა შეეძლოს თავისი საკუთარი მეტყველების ობიექტივაცია და მასზე გარკვეული ოპერაციების ჩატარება. როგორც ირკვევა, წერა-კითხვის უცოდინარ მთქმელებს ამის უნარი ხშირად არა აქვთ, მაშინ როდესაც სკოლაში მოსწავლე უმცროსი ასაკის ბავშვებისთვისაც კი ასეთი მარტივი ოპერაციები რაიმე განსაკუთრებულ 'სიძნელეს' არ წარმოადგენენ.

აშკარაა, რომ დამწერლობა, რაც სალიტერატურო ენის წარმოშობას უკავშირდება, არსებითად ცვლის ადამიანის დამოკიდებულებას ენის მიმართ. იგი ბიძგს აძლევს ენობრივი მასალის გაცნობიერებას, ქმნის პირობას იმისათვის, რომ ენა დაკვირვების, განსჯის საგნად იქცეს. რომ აქ გარკვეული უნარის განვითარებას ეხება საქმე და არა ამა თუ იმ ენის კონკრეტული მასალის დანაწევრების ათვისებას, ეს

კარგად ჩანს შემდეგ მაგალითზე: სვანებისათვის ეროვნულ, სალიტერატურო და, მაშასადამე, სკოლის ენას ქართული წარმოადგენს. ამასთან, სვანი ბავშვები, რომლებიც ქართულად სწავლობენ წერა-კითხვას, თავისუფლად ახერხებენ აგრეთვე სვანურად ნათქვამის დანაწევრებას სიტყვებად, ბგერებად, ამჟღავნებენ რეფლექსიას სვანური ენის მასალის მიმართ, მაშინ როდესაც ქართული წერა-კითხვის უცოდინარ უფროსებს ეს ძალიან უჭირთ ან სრულიად არ შეუძლიათ¹⁵. შეინიშნება, რომ მეორე ენის დაუფლებაც უწყობს ხელს ენისადმი რეფლექსიის უნარის განვითარებას.

ენის ფაქტების მიმართ რეფლექსიის უქონლობა არის იმის მიზეზი, რომ სხვა თანაბარ პირობებში უმწერლობო ენის ცვალებადობა უფრო სწრაფი ტემპით ხდება, ვიდრე დამწერლობის მქონე ზეპირი მეტყველებისა. რეფლექსიამ შეიძლება შეანელოს ან სრულიად შეაჩეროს ზოგიერთი პროცესი ენაში.

ამით უნდა აიხსნებოდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე საზოგადოებაში გარკვეული ბგერათცვლილებები (ასიმილაცია, ბგერათა ამოვარდნა და ა. შ.) საკმაოდაა გავრცელებული წერა-კითხვის უცოდინარი უფროსი თაობისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების მეტყველებაში, სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდებთან და სკოლადამთავრებულებთან კი ეს პროცესები არ იჩენს თავს ან შენელებულია. მაგ., სვანური ენის ლატალურ კილოკავში მოხუცთა და უწიგნურთა მეტყველებაში სისტემობრივ დასტურდება რ, ლ+ნ—ნნ (წგრნი—წგნნი „წითელი“, ადგრნე—ადგნნე „წავა“), ხოლო სკოლაში მოსწავლეებთან და სკოლადამთავრებულებთან ეს პროცესი ბევრად უფრო სუსტადაა გამოხატული. მაშასადამე, პროცესი კი არ ვითარდება, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ ნელდება.

¹⁵ ჩვენ აქ ვამახვილებთ ყურადღებას ენის მიმართ იმ არსებითად ახალ დამოკიდებულებაზე, რაც სალიტერატურო ენისა და დამწერლობის შექმნას მოჰყვება. რა თქმა უნდა, ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ წერა-კითხვის უქონლობის შემთხვევაშიაც ცალკეული პირობი, რომლებიც ძლიერი ენობრივი ალლოთი ან ენობრივი შემოქმედების ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, იჩენენ უნარს გააცნობიერონ ენის ზოგიერთი ფაქტი, აწარმოონ გარკვეული რეფლექსიები. მაგრამ ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია, მაშინ როდესაც სალიტერატურო ენის არსებობის პირობებში იგი საყოველთაო მოვლენად იქცევა.

მეორე მხრივ, უნდა გაიხაზოს, რომ აქ ლაპარაკია ენისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩასახვაზე, მარტივ რეფლექსიებზე (რის შედეგადაც ხდება, მაგალითად, სიტყვის დანაწევრება ბგერებად) და არა მთლიანად ენის ცნობიერად დაუფლებაზე (მაგ., მისი ფონოლოგიური სისტემის, გრამატიკული წყობის შეგნებულ ცოდნაზე); რასაც თვით სალიტერატურო ენისა და განათლების მაღალი დონის ფართოდ გავრცელების პირობებშიაც მხოლოდ ენის სპეციალისტები თუ აღწევენ.

თუ რატომ ხდება ასე, ამის გარკვევის შესაძლებლობა მოგვცა შემდეგმა შემთხვევამ: იმავე ლატალურში მთქმელისაგან გაბმულ მეტყველებაში ჩაიწერეთ ფორმები: ჭანს (←ჭანს-ს), ლუანს (←ლუანს-ს). ორივე შემთხვევაში ფუძისეული შ (ჭანს „ქმარი“, ლუანს „ჯიხვი“) ემსგავსება მიცემითი ბრუნვის ს ფორმანტს. ტექსტის ჩაწერას თვალს ადევნებდა სკოლაში ნასწავლი ახალგაზრდა, რომელმაც დასახელებულ სიტყვათა დანახვაზე თავისთვის, მაგრამ საკმაოდ ხმამაღლა დაიწყო მსჯელობა: ქმარი არის ჭანს, მამასადამე უნდა ითქვას ჭანს და არა ჭანს-ო, მან კატეგორიულად მოითხოვა გადაგვესწორებინა ჭანს და მის ნაცვლად დაგვეწერა ჭანს.

გრამატიკის ენით რომ ვთქვათ, ამ პირმა ერთმანეთს დაუკავშირა სახელობითისა და მიცემითის ფუძე და საჭიროდ მიიჩნია მათი ერთგვარობის დაცვა. ასეთი რეფლექსია სრულიად გამორიცხულია წერაკითხვის უცოდინარებთან. ამასთან ერთხელ კიდევ უნდა გავხაზოთ, რომ დასახელებულმა პირმა სრულიად არ იცოდა სვანური ენის სტრუქტურა, ის ქართულად სწავლობდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მას სკოლაში გამოუმუშავდა ენობრივი ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირების ჩვევა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ზემომოყვანილი მსჯელობა ეწარმოებინა¹⁶. უნდა ვიფიქროთ, რომ ანალოგიური ჩვევებია იმის მიზეზი, რომ უფროს თაობებში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური პროცესები წერაკითხვის მცოდნე ახალგაზრდებთან ან შენელებული ან სრულიად შეჩერებულია. რა თქმა უნდა, ზემომოყვანილის მსგავსი განსჯა ყოველთვის ვერ შეუშლის ხელს ცვლილებებს (თვით იმ პირებსაც კი, რომლებიც არამართებულად მიიჩნევდნენ ასიმილირებულ ფორმებს, არაერთგზის წასცდენიათ ისინი), მაგრამ მათი ტემპის შენელება კი შეუძლიათ.

ენობრივი ფაქტების მიმართ რეფლექსიის უქონლობის გამო უმწერლობო ენაზე მოლაპარაკენი ხშირად ვერ ამჩნევენ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვთ მათ საკუთარ ან მათ გარშემო მყოფთა მეტყველებაში, ან არა და არაადეკვატურად ახდენენ ამ ცვლილებათა ფიქსაციას. წერაკითხვის უცოდინარი მთქმელი, რომელიც ვერ ახერხებს ენის ფაქტების ობიექტივაციას, რომელსაც არა აქვს ჩვევა ენაზე დაკვირვების წარმოებისა, შესაძლებელია, გულწრფელად უარყოფდეს ისეთ ფორმათა არსებობას, რომლებიც სინამდვილეში გვხვდება მის გარშემო მყოფთა მეტყველებაში და ზოგჯერ თვით მის საკუთარ მეტ-

¹⁶ ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ენობრივი მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება მოლაპარაკეთა მიერ მეტწილად ასეთი საგანგებო მსჯელობის გარეშე ხდება.

ყველბაშიც კი. მეორე მხრივ, მან შეიძლება დაგვიდასტუროს ისეთი ფორმები, რომლებიც არ იხმარება მოცემულ კოლექტივში ანდა მოგვეცეს სრულიად არასწორი ინფორმაცია ამა თუ იმ თქმის თავისებურებათა შესახებ. ანალოგიურ შეცდომაში შეიძლება შეგვიყვანოს თვით სკოლაში ნასწავლმა ან უმაღლესდამთავრებულმა მთქმელმაც კი, თუ საქმე შეეხება ფონოლოგიურ ან გრამატიკულ ფორმებს, ვინაიდან ენის რთული სისტემის გაცნობიერებული ცოდნა, ჩვეულებრივ, არც ამ უკანასკნელებს აქვთ.

მრავალი მაგალითიდან დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს: ლატალურ კილოკავზე მუშაობის დროს ერთი მოხუცის მეტყველებაში მოგვესმა ჩვენთვის მანამდე უცნობი ფორმა ნაწილაკისა ე ჩ ნ ა რ, ნაცვლად ჩვეულებრივი ე ს ნ ა რ-ისა „თურმე“. ვერავითარი შეკითხვით ვერ მოხერხდა იმის მიღწევა, რომ მთქმელს გაემეორებინა ეს სიტყვა. მისი ქალიშვილი, — ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, — კი კატეგორიულად უარყოფდა ასეთი ფორმის არსებობას. შემდეგ რამდენიმეჯერ კიდევ გავიგონეთ იმავე პირისაგან ე ჩ ნ ა რ, მაგრამ ქალიშვილი მას ყოველთვის აღიქვამდა, როგორც მისთვის ჩვეულ ე ს ნ ა რ-ს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეზობელ სოფელში დადასტურდა, რომ ე ჩ ნ ა რ წარმოადგენს ერთადერთ და მეტად გავრცელებულ ფორმას, მოხერხდა სტუდენტისათვის ამ ფორმის გაცნობიერება.

სხვა შემთხვევაში, როდესაც ვიწვრდით ტექსტებს ცხუმარულ კილოკავზე, მთქმელმა ჩავვაწერინა სიტყვა თ ე თ ნ ე „თეთრი“. იქვე მყოფმა სხვა სოფელელმა სტუდენტმა ირონიულად შენიშნა, რომ აქ თ ე თ ნ ე-ს ამბობენ, მათ სოფელში კი თ ჟ ე თ ნ ე იხმარება. ეს ისეთი უპირატესობის გრძნობით იყო ნათქვამი, რომ ინფორმანტმა მაშინვე უარყო მის მიერ ცოტა ხნის წინ წარმოთქმული თ ე თ ნ ე და გაცხარებით ამტკიცებდა, ჩვენც თ ჟ ე თ ნ ე-ს ვამბობთო.

ჩვენ ხშირად მოგვისმენია ამა თუ იმ კილოს დამახასიათებელ ნიშანთა შესახებ მტკიცებები, რომლებიც სრულიად არ შეეფერებოდნენ სინამდვილეს. მოლაპარაკენი მეტწილად ამჩნევენ, რომ სხვადასხვა კილო ან კილოკავი განსხვავებულია ერთმანეთისაგან, მაგრამ რაში მდგომარეობს განსხვავება, ამის გააზრებას ვერ ახერხებენ. არის შემთხვევები, როდესაც წიგნიერი მთქმელები საკუთარი კილოკავის დამახასიათებელ ნიშნებს სხვას მიაწერენ, სხვა კილოკავის ნიშნებს კი თავისი კილოკავის კუთვნილებად აცხადებენ. უფრო ხშირად გვხვდება თავისებურებათა არაადეკვატური ფიქსაცია. ამასთან დაკავშირებით შემდეგი ფაქტი იქცევს ყურადღებას: როდესაც ზემო სვანეთში ლატალელთა მეტყველებას გამოაჯავრებენ, თითქმის ყოველი სიტყვის

შემდეგ წარმოთქვამენ გი მარცვალს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ლატალურში არსებობდეს რაღაც ნაწილაკი გი, რომელიც ძალიან ხშირად იხმარება. სინამდვილეში ეს ასე არ არის, მხოლოდ რამდენიმე ადგილის ზმნისართს ლატალურში ბოლოში აქვს გ, რომელიც ბალს-ზემოურის სხვა კილოკავებში წარმოდგენილი არ არის (შდრ. ლატ. ეჩეგ—მესტ. ეჩე „იქ“, ლატ. ამეგ—მესტ. ამე „აქ“, ლატ. იმეგ—მესტ. იმე „სად“, ლატ. დემეგ—მესტ. დემე „არსად“). როგორც ჩანს, ამ განსხვავების დამახინჯებულ ასახვას წარმოადგენს ყველა სიტყვის ბოლოს გი მარცვლის ხმარება ლატალელთა გამოჯავრებისას.

ამგვარად, როდესაც მთქმელებს ვეკითხებით, იხმარება თუ არა ესა თუ ის ფორმა თქვენ სოფელშიო, ხშირად შესაძლებელია არამართებული პასუხი მივიღოთ. წერა-კითხვის უცოდინრები მეტწილად საერთოდ ვერ ახერხებენ მეტყველების ნაკადიდან ცალკეული სიტყვა-ფორმების გამოყოფას და მათზე დაკვირვებას, რაც შეეხება სწავლა მიღებულებს, მათი დაკვირვება ყოველთვის არ არის სანდო, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ენის გრამატიკულ წყობას და მორფოფონემიკას. ობიექტური დაკვირვების წარმოება და ყველა რელევანტური ვარიანტის თუ თავისებურებათა აღნუსხვა მხოლოდ საგანგებოდ გაწვრთნილ პირებს, პირველ რიგში, ცხადია. ენათმეცნიერებს შეუძლიათ.

აქედან საყურადღებო მეთოდური ხასიათის დასკვნა გამომდინარეობს: ენაში ამა თუ იმ ფორმათა არსებობის ან არარსებობის დადგენისას გამოკითხვის მეთოდის გამოყენება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მთქმელმა მისდა უნებურად, შესაძლებელია, შეცდომაში შეიყვანოს მკვლევარი, ვინაიდან მას არა აქვს გაცნობიერებული, იხმარება თუ არა მკვლევრისათვის საინტერესო ფორმა მის დიალექტში ან კილოკავში. ბუნებრივია, ვკითხოთ მთქმელებს, რა ეწოდება ამა თუ იმ საგანს, მაგრამ არ არის გამართლებული დავემყაროთ მათ პასუხს კითხვაზე, იხმარება თუ არა მათ სოფელში ესა თუ ის გრამატიკული ფორმა. ყველაზე ძნელია გამოკითხვის გზით ფონეტიკური, მორფოფონემატური ან გრამატიკული ვარიანტების სრულად მოპოვება, მაშინ როდესაც სწორედ ასეთი ვარიანტებია განსაკუთრებით საინტერესო დიაქრონიული ენათმეცნიერებისათვის. გასაანალიზებელი მასალა ენათმეცნიერმა თვითონ უნდა მოიპოვოს მთქმელების ბუნებრივ მეტყველებაზე საკუთარი დაკვირვების შედეგად. გამოკითხვის მეთოდს მან მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში უნდა მიმართოს და დიდი სიფრთხილით გამოიყენოს იგი.

4. ენის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონტაქტები როგორც მეზობელ ენებთან, ისე ერთი და იმავე ენის დიალექტებს შორისაც.

ენათა შორის კონტაქტები აჩქარებენ ენის ცვალებადობის ტემპებს. ამის გამო განაპირა დიალექტებში, რომლებიც უშუალოდ ეკვრიან მეზობელ ენებს, შეინიშნება შედარებით მეტი ნეოლოგიზმები და ნაკლები რაოდენობით არქაიზმები, მაშინ როდესაც თავისთვე ენის სხვა დიალექტებით გარშემორტყმულ ცენტრალურ დიალექტებში არქაიზმები უფრო დიდხანს ინახება.

ინტენსიური და ხანგრძლივი კონტაქტების დროს მეზობელ ენათა გავლენა არა მხოლოდ სიტყვათა სესხებაში იჩენს თავს, არამედ მან შეიძლება ენის ყველაზე უფრო ინტიმურ სფეროებშიაც (ფონოლოგიურ სისტემაში, გრამატიკულ წყობაში) შეაღწიოს. ასეთ შეღწევას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ენობრივი ალღოს დასუსტება, რის შედეგადაც მოლაპარაკეთა ცნობიერებაში საკუთარი ენის დამახასიათებელი თავისებურებანი ინტუიციურად აღარ უპირისპირდება სხვა ენის თავისებურებებს, ხოლო, მეორე მხრივ, მთელი საარტიკულაციო ბაზისის შერყევა. მაგ., სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში, რომელსაც უშუალო კონტაქტები აქვს მეგრულთან და ქართულთან, ბგერები გამოკვეთილად არ წარმოითქმის, მეტყველების ტემპი აჩქარებულია, ინტონაცია კი — ერთფეროვანი. ამ ფონზე ფართო გავრცელებას პოვებს ბევრი ბგერათცვლილება, რომლებიც უცხოა იმავე ენის ბალსზემოური დიალექტისათვის¹⁷.

დიალექტთა ურთიერთგავლენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ხასიათისაა და რამდენად ინტენსიურია სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ურთიერთობა. ამ მხრივ საყურადღებო ფაქტებს გვაწვდის სვანური ენის კილოკავები. მაგ., ლატალური ბალსზემოური კილოს განაპირა კილოკავია და უშუალოდ ემეზობლება ბალსქვემოურის ბეჩოურ კილოკავს. ბუნებრივია, რომ მასში ბალსქვემოურთან (კერძოდ, ბეჩოურთან) საერთო მოვლენებიც დასტურდება. ასეთ მოვლენათა მოქარბებას, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ჯერ ზემო სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრი ბეჩო იყო. აქვე იმყოფებოდა სასწავლებელიც, სადაც ლატალელი ბავშვებიც სწავლობდნენ. ცხადია, ურთიერთობა ბეჩოსთან უფრო ცხოველი იქნებოდა, ვიდრე, მაგალითად, ტერიტორიულადაც უფრო მეტად დაშორებულ მესტიასთან, რომელიც ბალსზემოურ კილოს გა-

¹⁷ დაწერილებით იხ. ჩვენი—სვანური ენის ცხუპარული კილოკავის ძარითადი თავისებურებანი, იყ, 1958, IX—X; გვ. 223 და შემდ.

ნეკუთვნება. მაგრამ შემდეგ ზემოსვანეთის რაიონული ცენტრი გადმოტანილ იქნა მესტიაში და ლატალმაც მესტიისაკენ იბრუნა პირი. საავტომობილო გზის გაყვანის შემდეგ ლატალის ახალგაზრდობა მეტწილად მესტიაში იღებს საშუალო განათლებას. ყოველივე ამან შეანელა კონტაქტი ბეჩოსთან და ხელი შეუწყო მესტიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ამ პროცესის შედეგი ასახულია ლატალელთა მეტყველებაშიც. ძველ და ახალ თაობათა მეტყველება საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან იმიტაც, რომ ძველი თაობის მეტყველებაში ბევრად მეტია ბეჩოურთან საერთო მოვლენები, მაშინ როდესაც ახალ თაობებში ასეთი მოვლენები სულ უფრო მცირდება. სამაგიეროდ აშკარად იგრძნობა მესტიურის მზარდი გავლენა¹⁸.

მეზობელი კუთხეების მოსახლეობის სისტემატური ურთიერთობის გარდა დიალექტთა ურთიერთგავლენის წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს ქორწინება სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკეებს შორის. ასეთი გავლენის საინტერესო შემთხვევა იჩენს თავს ანდიურ ენაში. ანდიური ენის ანდის თქმაში ჭერ კიდევ ა. დირმა შენიშნა „ქალების ენა“ ანუ გარკვეული თავისებურებები, რომლებიც მხოლოდ ქალების მეტყველებას ახასიათებს. ეს თავისებურებები დიალექტური წარმოშობისა აღმოჩნდა, ისინი სხვა დიალექტებში ორივე სქესის მეტყველებაში დასტურდება¹⁹ და, როგორც ფიქრობენ, ანდიურში ეგზოგამიასთან უნდა იყოს დაკავშირებული (არნ. ჩიქობავა)²⁰.

თუ როგორ გადადის ქორწინების შედეგად ერთი დიალექტის დამახასიათებელი ნიშნები მეორე დიალექტში, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს დაკვირვება, რომლის მიხედვითაც, სხვა კუთხიდან მოყვანილი ქალის ენობრივი თავისებურებანი ხშირად თავს იჩენენ მისი შვილების მეტყველებაში. ეს ფაქტი ადვილად აიხსნება იმით, რომ ენის ადგმის დროს ბავშვები ყველაზე მეტად სწორედ დედის მეტყველების გავლენას განიცდიან.

როდესაც მეზობელ დიალექტებში ან ენებში შეინიშნება მსგავსი მოვლენები, მათი ინტერპრეტაცია გარკვეულ სიძნელეებს ხვდება, ვინაიდან მსგავსებები შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა პროცესის შედეგად. ეს პროცესებია:

ა) სესხება, რომლის დროსაც რომელიმე ფაქტი ან სტრუქტურული ნიშანი გადაიტანება ერთი ენიდან ან დიალექტიდან მეორეში, მაგ.

¹⁸ სათანადო ფაქტები შესწავლილი გვაქვს ნაშრომში: სვანური ენის ლატალური კოლოკაციის ძირითადი თავისებურებანი (იკვ, 1970. ტ. XVII).

¹⁹ ი. ც ე რ ე ა ძ ე, ანდიური ენა, 1965, გვ. 5.

²⁰ იკვ, რედაქტორის წინასიტყვაობა, გვ. XVII.

ბეჩოურიდან უნდა იყოს შემოსული ლატალურში თვლის ოცობითი სისტემა, ვინაიდან ლატალურში ბალსზემოურის სხვა კილოკავების მსგავსად თავდაპირველად ათობითი სისტემა არის სავარაუდო.

ბ) საერთო განვითარება, როდესაც სიახლე მზადდება და ვრცელდება გარკვეულ არეალში, რომელიც, შესაძლებელია, რამდენიმე ენას ან დიალექტს მოიცავდეს. ამის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს სვანურის კილოკავებში უკანაენისმიერ ხშულთა (გ, კ) დაკარგვა კომპლექსში: წინაენისმიერი ნაპარალოვანი + უკანაენისმიერი ხშული + წინაენისმიერი ხშული (სგღ→სღ, სგთ→სთ, სკღ→სღ, შგღ→შღ. ლატ. დრსღ←დრსგღ „ადრე“, ლემასთე←ლემასგთე „ცეცხლისკენ“, ხასდა←ხასკდა „გაეტეოდა“, ჭეშღ←ჭეშგღ „უკან“). ეს მოვლენა დასტურდება როგორც ლატალურში, ისე ბეჩოურსა და ეცერულშიც. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბგერათცვლილება უცხო ჩანს ბალსზემოურისათვის, საფიქრებელია, რომ მისი ჩასახვის ცენტრი ლატალში იყო და აქედან ვრცელდებოდა იგი ბალსქვემოურის მიმართულებით. ასეთი ვარაუდის საფუძველს ის გვაძლევს, რომ დასახელებულ პროცესს ლატალურში ბევრად უფრო რეგულარული ხასიათი აქვს, ვიდრე ბეჩოურში.

გ) პარალელური განვითარება, რომლის დროსაც ერთგვარი მოვლენები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვება მეზობელ ენებში ან დიალექტებში. მაგ., ჭ ბგერა იკარგება როგორც ლატალურში, ისე ბეჩოურშიაც, მაგრამ ეს პროცესი სხვადასხვაგვარად ხორციელდება ამ ორ კილოკავში: ბეჩოურში ჭ იკარგება სისტემატურად უკანაენისმიერ თანხმოვანთა შემდეგ, ლატალურში კი — წინაენისმიერთა შემდეგ (შდრ., ერთი მხრივ, ლატ. ჩადგან — ბეჩ. ჩჷადგან „მოკედა“, ლატ. თეფ — ბეჩ. თჷეფ „თოფი“, ლატ. ატცირ—ბეჩ. ატცჷირ „დატოვა“, ხოლო, მეორე მხრივ, ბეჩ. ნიშგე — ლატ. ნიშგჷეჷ „ჩვენ“, ბეჩ. ჩუქან — ლატ. ჩუქჷჷან „ქვეშ“). ამ განსხვავების გამო, ბუნებრივია, დავასკვნათ, რომ ჭ ბგერის დაკარგვის პროცესი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდება ორ მეზობელ კილოკავში.

ენათა და დიალექტთა შორის მსგავსების ზემოდასახელებული შემთხვევები რომ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან, ამისათვის აუცილებელია ვიცოდეთ საკვლევ ფაქტთა ისტორია, რისი დადგენაც ხშირად საკმაოდ ძნელ ამოცანას წარმოადგენს.

ჟ. ყოველი ენობრივი ცვლილების დროს შეინიშნება ორი ეტაპი:

ა) დასაწყისი, მოსამზადებელი საფეხური და ბ) საბოლოო საფეხური. დასაწყის, მოსამზადებელ საფეხურზე ჩნდება და თანდათანობით გროვდება მცირეოდენი გადახრები უზუსიდან. ეს გადახრები შეიძ-

ლება არსებობდნენ ფაკულტატიური ან კომბინატორული ვარიანტების სახით გაბმულ მეტყველებაში ბგერათა წარმოთქმისას, მორფემათა ან სიტყვათა ამა თუ იმ მნიშვნელობით ხმარებისას და ა. შ. მაგ., ქართულში ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია, რომლის დროსაც $a+i \rightarrow e+i$ (წავიდა \rightarrow წევიდა, გაიცინა \rightarrow გეიცინა) მოსამზადებელ საფეხურზე ალბათ იმაში ვლინდებოდა, რომ a ი-ს წინ აღარ იყო ისეთი, როგორც სხვა პოზიციებში, ი-ს წინ a ჩვეულებრივზე უფრო ვიწრო და წინ წამოწეული იყო, ე. ი. ის უკვე ამქადავებდა ე-სკენ გადახრის ტენდენციას. ამ დროს a ჯერ კიდევ არ იყო შეცვლილი ე ფონემით, მაგრამ უკვე არსებობდა ცვლილების ჩანასახი a -ს კომბინაციური ვარიანტის სახით. ასეთივე ვითარება უნდა იყოს მნიშვნელობის შეცვლის შემთხვევაშიც: ზოგიერთ კონტექსტში სიტყვა ან მორფემა იღებს სპეციფიკურ მნიშვნელობას, რომელიც ერთგვარ გადახრას იძლევა ნორმისაგან.

საბოლოო საფეხურზე უკვე ვლინდება თვისობრივი ცვლილებები: ერთი ფონემა შეიცვლება მეორით (მაგ., a ე-თი: წავიდა \rightarrow წევიდა), სიტყვას ან მორფემას კონტექსტის გარეშეც უშკვიდრდება ახალი მნიშვნელობა და ა. შ.

ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის დაკარგვასაც წინ უსწრებს მოსამზადებელი საფეხური, როდესაც ზოგი ერთეულის ხმარება ფაკულტატიური ხდება: ის ხან იხმარება, ხან — არა, ზოგი ერთეული კი (მაგ., სიტყვა) სულ უფრო და უფრო იშვიათად გვხვდება ენაში მანამ, სანამ საბოლოოდ მთლიანად არ გაქრება²¹.

ერთი და იმავე მოვლენის ახალი და ძველი სახეობა დასაწყისში შეიძლება ერთდროულად არსებობდნენ ფაკულტატიური ვარიანტების სახით არა მხოლოდ ერთი და იმავე ენობრივი კოლექტივის სხვადასხვა წევრებთან, არამედ ერთსა და იმავე პირთანაც კი, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ახალი ფორმები მთლიანად არ გამოდევნიან ძველს. ასეთი ფაკულტატიური ხმარების საინტერესო შემთხვევები გვხვდება სვანურ ენაში, სადაც ზოგი ბგერა ამოვარდება ჩვეულებრივი ან სწრაფი ტემპით მეტყველების დროს, ნელი ტემპით ლაპარაკისას ან ჩაკითხვის შედეგად გამეორებისას კი ეგვევ ბგერები გამოითქმის (მაგ., ფარში ჩვეულებრივი ტემპით მეტყველებისას ამბობენ: კენი „მოდის“, ექას „მაშინ“, მამავე(პ) „არაფერი“, ეჯგვ „ისეთი“, ეის „მას“, მაგრამ თუ ნელა ვათქმევინებთ ან ჩავეკითხებით, მაშინ შესაბამისად ითქმის: კედნი, ეჩქას, მამავეშ, ეჯგვარ, ეჩის).

²¹ ორი საფეხურის გამოყოფა ქირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ენაში ითხვევა ახალი სიტყვა საგნის ან მოვლენის აღსანიშნავად, ან ზღება სხვა ენიდან სესხება.

ეს არის ბგერათა დაკარგვის საწყისი ეტაპი. ბოლო ეტაპი წარმოდგენილია იმ შემთხვევებში, როდესაც ბგერა იმდენად დასუსტებულია, რომ აკუსტიკურად არ აღიქმის, თუმცა მის სუსტ არტიკულაციას მაინც აქვს ადგილი (მაგ., ხდება ბაგეთა მომრგვალება სიტყვაში თ ჟ ე თ ნ ე „თეთრი“, მაგრამ მოსალოდნელი ჯ არ ისმის). როგორც ჩანს, მოლაპარაკეს არაცნობიერად აქვს განზრახვა ბგერის წარმოთქმისა, მაგრამ მისი რეალიზაცია არტიკულაციაში მეტად სუსტია.

ცვალებადობის პირველი, მოსამზადებელი საფეხური საკმაოდ დიდხანს გრძელდება. ამას ადასტურებს ისეთი შემთხვევები, როდესაც ენათა შერევის დროს სუბსტრატ ენაში ჩასახული ცვლილება ხორციელდება არა ამავე ენაში, არამედ იმ ენაში, რომელმაც სუბსტრატი გამოდევნა. სანიმუშოდ შეიძლებოდა დაგვესახელებინა ქართული ენის დასავლური დიალექტები — ქვემო იმერული და გურული, რომლებშიაც, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ფართოდაა გავრცელებული თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია (კვილი—კბილი, მოკვ—ტა—მოკვდა და ა. შ.). ეს მოვლენა ზანური სუბსტრატის გავლენას მიეწერება, ვინაიდან ანალოგიურ პროცესს ადგილი აქვს ზანურ დიალექტებშიაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა ქართული ენა, ადგილობრივ მოსახლეობაში უკვე იყო ტენდენცია ასიმილაციისაკენ, ანუ სხვაგვარად, ცვლილების მოსამზადებელი საფეხური უკვე დაწყებული იყო. იქ. სადაც ქართულმა ენამ გამოდევნა ზანური, პროცესი დასრულდა არა ზანურის, არამედ ქართული ენის მასალაზე. ეს გვაძლევს საფუძველს დავუშვათ, რომ ამ ცვლილების მოსამზადებელი საფეხური რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა.

ენობრივი ცვალებადობის დასაწყისი საფეხური, ჩვეულებრივ, შეუმჩნეველი რჩება მოლაპარაკეთათვის. რადგანაც ამ საფეხურზე მხოლოდ ვარიანტები წარმოიქმნება, მათი ფიქსაცია არც წერილობით ძეგლებში წარმოებს. ამიტომ, როდესაც საქმე წარსულში მომხდარ ცვლილებებს ეხება, მკვლევართათვის თვალსაჩინოა მხოლოდ მეორე, საბოლოო საფეხური, რაც ქმნის ყალბ შთაბეჭდილებას, თითქოს ენობრივი ცვლილება ერთბაშად და ძალიან სწრაფად ხდებოდეს.

მხოლოდ ცოცხალი ენის შესწავლის დროს შეიძლება დაუკვირდეს მკვლევარი ზოგიერთი ცვლილების დასაწყის საფეხურს და ამის მიხედვით გაითვალისწინოს, თუ როგორ მზადდება ცვლილება ენაში საერთოდ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზუსტიდან გადახრების, სხვადასხვაგვარად გაპირობებული ანდა გაუპირობებელი ვარიანტების აღნუსხვა და ანალიზი, რადგანაც ისინი, შესაძლებელია, მომავალ ცვლილებათა ჩანასახებს წარმოადგენდნენ.

რაკი ენაში წარსულში მომხდარ ცვლილებათა მოსამზადებელი საფეხურის თვალის გადევნება ვერ ხერხდება სათანადო მასალის უქონლობის გამო, ხოლო თანამედროვე ენებში შეიძლება ვუქვირდებოდეთ ზოგიერთი ცვლილების დასაწყისს, მაგრამ ასეთ შემთხვევებში არ გვეცოდინება, როდის დამთავრდება ეს ცვლილებები, ამიტომ პრაქტიკულად შეუძლებელია ამა თუ იმ ენობრივი ცვლებადობის ხანგრძლივობის გაზომვა. წერილობითი ძეგლების არსებობის დროს ენათმეცნიერს აქვს შესაძლებლობა დაადგინოს, თუ როდის გამოვლინდა ესა თუ ის მოვლენა ან როდის გაქრა ის სალიტერატურო ენაში. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს მოვლენა სწორედ ამ დროს გაჩნდა ან დაიკარგა სალაპარაკო ენაში. ამასთანავე, აქაც ღიად რჩება საკითხი, თუ რამდენ ხანს მზადდებოდა იგი.

ცვლებადობის კანონზომიერებიდან უნდა განვასხვაოთ ამა თუ იმ მოვლენის გავრცელება და დამკვიდრება მთელ ენაში ან კილოში თუ კილოკავში. ცვლილება ერთბაშად არ გამოვლინდება მთელ ენობრივ კოლექტივში. იგი ჯერ აქა-იქ იჩენს თავს და შემდეგ სულ უფრო და უფრო მასობრივ სახეს იღებს. მიუხედავად ამისა, არ იქნებოდა მართებული გვეთქვა, ცვლილების სათავე ინდივიდშიაო. ცოცხალ ენაზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ ყველა ეტაპზე ცვლილება სოციალურია. ცვლილებისათვის ნიადაგი მზადდება მთელ კოლექტივში, რომელიც სხვადასხვა მოცულობისა შეიძლება იყოს (ის შეიძლება მოიცავდეს მთელ ენაზე, დიალექტზე, კილოკავზე... მოლაპარაკებებს; სოციალური, ასაკობრივი ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით გამოყოფილ ადამიანთა ჯგუფს, მაგრამ ყოველთვის ჯგუფს და არა ცალკე ინდივიდს).

ცვლილების საბოლოო ეტაპი ჯერ თავს იჩენს კოლექტივის ზოგიერთ წევრთან (და არა მხოლოდ ერთ ინდივიდთან), შემდეგ მისი გავრცელების არე ფართოვდება. მაგრამ აქ უკვე განხორციელებული ცვლილების გარკვეული პირებიდან სხვა პირებზე გადატანასთან კი არ გვაქვს საქმე თუნდაც მიბაძვის გზით, არამედ იმ პროცესის სხვადასხვა დროს დასრულებასთან, რომელიც მთელ ენობრივ კოლექტივში მიმდინარეობდა, რომლისთვისაც ნიადაგი მთელ კოლექტივში იყო შემზადებული.

6. ცოცხალ ენაში და მის დიალექტებში გვხვდება ფაქტები, რომლებიც განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოგვიდგენენ და ამდენად მათი ისტორიის გათვალისწინების შესაძლებლობას გვაძლევენ. გამოიყოფა სხვადასხვა შემთხვევა:

ა) მთელ ენობრივ კოლექტივში ერთსა და იმავე დროს დადასტურებული ვარიანტები, განცალკევებული ფორმები და ა. შ. წარმოად-

გენენ ერთი და იმავე მოვლენის განვითარების სხვადასხვა საფეხურს. მაგ., ლატალურ კილოკავში ერთდროულად გვხვდება გაჩ||გეჩ „დანა“, მეგამ || მეგემ „ხე“. ასეთ შემთხვევებში ე მეორეულია და ა-ს დავიწროებით არის მიღებული, ე. ი. გაჩ→გეჩ, მეგამ→მეგემ.

ბ) ერთი კოლექტივის სხვადასხვა თაობის მეტყველებაში გვხვდება განვითარების თანმიმდევრული საფეხურები. მაგ., ცხუმარულ კილოკავში ზმნის პრევერბისეული ა ე-დ იქცევა (ჩუქედშხუინ—ჩუადშხუინ „შეინახა“, ჩ'ემღელიჟდ—ჩუამღელიჟდ „დამიცადეთ“, ლეიბინეს—ლამბინეს „დაიწყეს“). ამასთან გამოიყოფა ოთხი ასაკობრივი ჯგუფი, რომელთა წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად ხმარობენ დასახელებულ ფორმებს: მოხუცები მხოლოდ ა-ს წარმოთქვამენ, მომდევნო თაობა უპირატესობას ა-ს აძლევს, მაგრამ სპორადულად ე-საც ხმარობს, ახალგაზრდობის მეტყველებაში ა და ე თითქმის ერთნაირი სიხშირით გვხვდება, ბავშვები კი მხოლოდ ე-ს ხმარობენ. ამგვარად ერთი და იმავე კოლექტივის სხვადასხვა თაობაში ა-ს ე-დ შენაცვლების სხვადასხვა ეტაპია წარმოდგენილი²².

ასაკობრივი თვალსაზრისით ფონემური შედგენილობის განსხვავების საყურადღებო შემთხვევები აქვს დადასტურებული ქ. ლომთათიძეს აფხაზური ენის დიალექტებში. მაგ., აშხარულში უფროსი თაობის მეტყველებაში გვხვდება ლაბიალიზებულ ხშულთა სამეული ტ°, დ°, თ°, უმცროსი თაობის მეტყველებაში კი მას შეესაბამება ტ, დ, თ, რომელიც დელაბიალიზაციის შედეგად არის მიღებული²³.

გ) სხვადასხვა დიალექტში მოცემულია განვითარების სხვადასხვა ეტაპი. მაგ., სვანურის ბალსზემოურ დიალექტში სუფიქსის რ დისიმილაციას განიცდის ფუძისეულ რ-სთან: რ... რ→რ... ლ (ფურალ—ფურარ „ძროხები“, ქორალ—ქორარ „სახლები“). უფრო აღრინდელი უდისიმილაციო ფორმები ახასიათებს ბალსქვემოურს²⁴.

სვანური ენის სამ დიალექტში — ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლაშხურში—ხდება არაგრძელი ხმოვნების რედუქცია, რის შედეგად ა, ი, ე იკარგება, ხოლო ო და უ გვაძლევს უ-ს. არქაული საფეხუ-

²² ასეთი იყო ვითარება 1948—1949 წწ., როდესაც ჩვენ ცხუმარულს ვსწავლობდით. დაწვრილებით იხ. ჩვენი—სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, გვ. 233—235.

²³ ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, 1956, გვ. 7—8.

²⁴ საინტერესოა აღინიშნოს, რომ რ-ს დისიმილაცია ქართულ ენასაც ახასიათებს, მაგრამ, სვანურისაგან განსხვავებით, უდისიმილაციო ფორმები არც ერთ დიალექტს არააქვს დაცული.

რი დაუცავს მხოლოდ ლენტეხურ დიალექტს, სადაც ხმოვანთა რედუქციას ადგილი არა აქვს²⁵.

ქართული ენის დიალექტებში ხდება პრევერბისეული ა ხმოვნის ასიმილაცია ფუძისეულ ხმოვანთან: აუ→ოუ→უუ→უ. ყველა ეს საფეხური დადასტურებულია სხვადასხვა დიალექტში. ასე, ამოსავალი მდგომარეობა დატული გვაქვს ქართლურ-კახურში (წაუყვანა), ნაწილობრივი ასიმილაცია გვხვდება იმერულში (წოუყვანა), სრული ასიმილაცია — გურულში (წუუყვანა), ხოლო ორი ერთნაირი ხმოვნის შერწყმა ერთ გრძელ ხმოვანად — აქარულში (წუყვანა)²⁶.

ზოგჯერ, შესაძლებელია, დიალექტებში პირდაპირ არ იყოს წარმოდგენილი ერთი და იმავე პროცესის სხვადასხვა საფეხური, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი დიალექტის მონაცემები მაინც გვეხმარებოდნენ მეორე დიალექტში მიმდინარე პროცესის გაგებაში. ამის ნიმუში გვხვდება ცხუმარულ კილოკავში, სადაც ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება აწ ხან უმლაუტითაა წარმოდგენილი, ხან კი უუმლაუტოდ. მხოლოდ ცხუმარულის (ან თუნდაც ბალსქვემოური კილოს, რომელშიაც ცხუმარული შედის) მონაცემები არ იძლევა შესაძლებლობას დაეადგინოთ, თუ რა კანონზომიერება ახასიათებს უმლაუტის დაკარგვას. ბალსზემოურ დიალექტთან შედარება კი გვიჩვენებს, რომ აწ უმლაუტს კარგავს იქ, სადაც ბალსზემოურში არაგრძელი ა გვაქვს (აწ), ხოლო სადაც ბალსზემოურში გრძელი ა არის (აწ), ცხუმარულში უმლაუტი დატულია. ცხუმარულს, ისევე როგორც საერთოდ ბალსქვემოურ კილოს, ამჟამად გრძელი ხმოვნები არა აქვს, მაგრამ მათი ოდინდელი არსებობის კვალი თავს იჩენს წარმოდგენილ პროცესში: თეორიულად სავარაუდო ა→ა, ხოლო ა→ა²⁷.

დ) ერთი და იგივე პროცესები ხორციელდება სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა დროს. ამის შედეგად, შესაძლებელია, რომელიმე დიალექტში თვალი მივადევნოთ ისეთ ცვლილებას, რომლის არსებობაც სხვა დიალექტში ჰიპოთეზურად იყო დაშვებული. ამის კარგ ნიმუშს გვაწვდის სვანური ენა, რომლის დიალექტებიდან მხოლოდ ლაშხურს არა აქვს ამჟამად უმლაუტიანი ხმოვნები. ა. შანიძემ გამოთ-

²⁵ ა. შ ა ნ ი ძ ე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, «ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული», I—II, 1923—1924; ე. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, 1946, I.

²⁶ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკე, 1946, I, გვ. 20.

²⁷ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გაიჩვენოს, ხომ არ ქმნის ისტორიულად გრძელი და არაგრძელი ხმოვნები ბალსქვემოურში სხვადასხვა ალოფონებს? ამ საკითხის გადასაწყვეტად ექსპერიმენტული ფონეტიკის მოშველიება იქნება საჭირო.

ქვა მოსაზრება, რომ უმლაუტის პროცესს ოდესღაც ლაშხურშიც უნდა ჰქონოდა ადგილი. ამის გადმონაშთად მას მიაჩნია ზოგიერთ პრეფიქსში გამოვლენილი ე, რომელიც სხვა დიალექტების ა-ს შეესაბამება (შდრ. ლაშხ. ე'ენმარან—ბზ. ე'ანმარან „მომზადდა“, ლაშხ. ედმეჩან—ბზ. ადმეჩან „დაბერდა“)²⁸. მოგვიანებით ანალოგიური პროცესი, ე. ი. ა—ე სწორედ პრევერბებში დადასტურდა ბალსქვემოური კილოს ცხუმარულ კილოკავში, სადაც იგი ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის (მაგალითები იხ. ზემოთ, პუნქტი ბ). ცხუმარულში მოქმედი პროცესის მიკვლევა კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ლაშხურში ნაწარადევი პროცესის რეალურობას.

მაგრამ ანალოგიურ შემთხვევებში ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსგავსი პროცესები დიალექტებში, შესაძლებელია, სხვადასხვაგვარად გამოვლინდნენ. მაგ., ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ჭ ბგერა იკარგვის როგორც ბეჩოურ, ისე ლატალურ კილოკავში. მაგრამ დაკარგვა ერთნაირ პირობებში არ ხდება. ბეჩოურში იგი იკარგება სისტემატურად უკანაენისმიერ თანხმოვანთა შემდეგ, ლატალურში — მხოლოდ წინაენისმიერთა შემდეგ. ამას შეიძლება დაუვმატოთ ცხუმარულის ჩვენებაც, სადაც ჭ შეიძლება დაიკარგოს ორივე შემთხვევაში, მაგრამ ამ პროცესს არარეგულარული ხასიათი აქვს.

ზემოთ განხილული იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ცოცხალ ენასა და მის დიალექტებში წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე ხერხდება დავადგინოთ ენაში მომხდარ ცვლილებათა ეტაპები. ამით ალბათ არ ამოიწურება ყველა შესაძლებლობა. საილუსტრაციოდ რამდენადაც შეიძლება მარტივი მაგალითები მოვიყვანეთ. ენის კვლევის დროს ბევრად უფრო რთული ვითარებაც გვხვდება. ზოგჯერ ზემოდასახელებული სხვადასხვა შემთხვევა გადახლართულია ერთმანეთში. ამასთან ხშირად განვითარების ყველა რგოლი არ არის დაცული ცოცხალ ენაში, თუმცა დადასტურებული ფაქტების შეპირისპირების გზით მაინც ხერხდება დიაქრონიული ხასიათის დასკვნების გაკეთება. ყველაზე მეტ სიძნელეს იმის დადგენა ქმნის, თუ სხვადასხვა ფორმიდან რომელია ამოსავალი და რომელი—მეორეული. ასეთი სპეციალური საკითხების გარკვევა არ წარმოადგენდა ჩვენს ამოცანას. ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ცოცხალი ენისა და მისი დიალექტების შესწავლა მრავალფეროვან და მეტად საყურადღებო მასალას გვაძლევს ენის განვითარების კანონზომიერებათა დასადგენად.

²⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, უმლაუტი სვანურში, «არილი», 1925, გვ. 187, 197, 213.

ტიპოლოგიური შედარება, ენობრივი უნივერსალიები და ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციები¹

1.0. ენათა ისტორიული კვლევის ძირითად მეთოდს ენათმეცნიერების ჩამოყალიბებიდან დღემდის წარმოადგენს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. მაგრამ მის გვერდით ისტორიულ ენათმეცნიერებაში იმთავითვე გამოყენებული იყო მეორე სახის შედარებაც, შედარება ან სიტყვის ფართო გაგებით. ამ უკანასკნელის აღსანიშნავად ენათმეცნიერებაში რამდენიმე ტერმინი გვხვდება. მათგან ყველაზე გავრცელებულია „ტიპოლოგიური შედარება“² თანამედროვე ენათმეცნიერებაში (განსაკუთრებით სტრუქტურალისტებთან) ფართო გავრცელება მოიპოვა სახელწოდებამ „სტრუქტურული შედარება“³. ამათ გვერდით იხმარება აგრეთვე „უნივერსალური შედარება“⁴, „ზოგადი შედარება“⁵, „ანალიზური შედარება“⁶. რომ ტიპოლოგიური შედარება ან აირიოს ისტორიულ შედარებაში, ამისათვის პირველს შეპირისპირებითს მეთოდსაც უწოდებენ.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ენათა ისტორიული კვლევის სპეციალურ მეთოდს წარმოადგენს. იგი მხოლოდ მონათესავე ენათა მიმართ გამოყენება და შესადარებლად იყენებს ამ ენათა მასალას (სიტყვებს, აფიქსებს). სხვაგვარი ვითარება გვაქვს ტიპოლოგიური შედარების დროს. მას შეიძლება მივმართოთ როგორც მონათესავე, ისე

¹ წინამდებარე ნაშრომს საფუძვლად დაედო ჩენი ორი მოხსენება. პირველი მათგანი — ტიპოლოგიური შედარების (შეპირისპირებითი მეთოდის) ადგილისათვის ენათმეცნიერებაში“ მოხსენდა თსუ ფილოლოგ. ფაკ. VI სამეცნ. კონფერენციას 1960 წ. 7. IV, ხოლო მეორე — „ენათა ტიპოლოგია, სინქრონია და დიაქრონია“ წაკითხულ იქნა 1968 წ. 28. VIII., ქ. სევედში (უნგრეთში) სიმპოზიუმზე „ტიპოლოგია I“. ნაშრომს დაემატა რიგი ახალი საკითხი, რომელიც დასახელებულ მოხსენებებში არ ყოფილა განხილული. მათ შორის ენობრივ უნივერსალიათა საკითხი.

² იხ. მაგ., J. Vendryes, La comparaison en linguistique. BSLP, 1946, t. 42, f. 1, № 124.

³ იხ. J o h a n n K n o b l o c h, Die historisch-komparative Methode und die allgemein vergleichende Methode. «Zeitschr. für Phon. u. allg. Sprachwiss.», 1956, 9. B., 4. H.

⁴ B. T r n k a, Methode de comparaison analytique et grammairé comparée historique. TCLP, 1929, I.

არამონათესავე ენათა შესწავლისას. ამასთან, იგი ემყარება არა ენათა მასალას, არამედ სტრუქტურულ და ფუნქციურ ელემენტებს. იგი დაადგენს მსგავსებებსა და განსხვავებებს სხვადასხვა ენის სტრუქტურაში ან ფუნქციათა სისტემაში.

ტიპოლოგიურმა შედარებამ ორგვარი შედეგი შეიძლება მოგვცეს:

ა) გამოავლინოს ყველა ენის ან ენათა დიდი უქრავლესობის საერთო, ზოგადი კანონები, ანუ უნივერსალიები და ბ) ჩამოგვყაყალიბების ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.

1.1. ენათა ტიპოლოგიური შედარება ისტორიულ ენათმეცნიერებაში. ზოგადი ენობრივი კანონები შეიძლება იყოს ისტორიული (დიაქრონიული) და აღწერითი (სინქრონიული).

ენათმეცნიერებაში დიაქრონიული ზოგადი კანონები უფრო ადრე შენიშნეს, ვიდრე სინქრონიული.

სხვადასხვა წარმოშობის ენათა განვითარებაში საერთო (ზოგადი) პროცესების არსებობაზე მიუთითა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ავგ. შლაიხერმა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ერთ-ერთი ფონეტიკური პროცესი—იოტაცია (შლაიხერის ტერმინით—ზეტაციაში) სხვადასხვა ოჯახის ენებში⁵.

უფრო გვიან ენის განვითარების ზოგადი კანონების ძიება ენათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნია ანტ. შეიემ⁶, რომლის მიხედვითაც, ასეთ კანონებს ძალა აქვს ყველა ენისა და ყველა დროისათვის⁶. ამ ზოგად კანონებს, მეიეს მიხედვით, შედარების გზით ადგენენ. მისი აზრით, შედარება ორი განსხვავებული მიზნით შეიძლება იქნეს გამოყენებული: ზოგად კანონზომიერებათა დასადგენად და ისტორიულ ცნობათა მოსაპოვებლად⁷. ცხადია, პირველ შემთხვევაში ის უნივერსალურ შედარებას გულისხმობს, მეორეში კი — ისტორიულ შედარებას. ა. მეიე ასახელებს რამდენიმე ზოგად კანონს ფონეტიკიდან და მორფოლოგიიდან. ასეთია, მაგალითად, ფონეტიკაში ხმოვანთა შორის მოქცეული თანხმოვნების შეცვლა და დაკარგვა, მორფოლოგიაში—ბრუნვათა სისტემის გამარტივება და სხვ.⁸ ზოგადი

⁵ A. Schleicher, Sprachvergleichende Untersuchungen, I, Zur vergleichenden Sprachgeschichte, 1842, გვ. 3.

⁶ A. Meillet, L'état actuel des études de linguistique générale. კრებული: «Linguistique historique et linguistique générale», I, 1921, გვ. 11.

⁷ A. Meillet, Сравнительный метод в историческом языкознании. М., 1954, გვ. 11.

⁸ A. Meillet, L'état actuel... შტრ. აგრეთვე A. Meillet, Сравнительный метод в историческом языкознании, т. VIII, სადაც ავტორი მიუთითებს ფონეტიკაში და შედარებით უფრო ნაკლებ, მორფოლოგიაშიც ცვლილებათა ზოგადი ტიპის არსებობაზე.

ფორმულები, მეიეს აზრით, ხშირად შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ, როგორ ხდებოდა ცვლილება⁹. ამასთანავე მეიე გახაზავს, რომ ზოგადი ფორმულები შესაძლებლობას აღნიშნავენ და არა აუცილებლობას¹⁰.

ამგვარად, როგორც ავგ. შლაიხერი, ისე ანტ. მეიე ყურადღებას ამახვილებენ ენათა განვითარების ზოგად კანონებზე, რომელთა გამოვლენა ენათა უნივერსალურ შედარებას ეკისრება. ამასთან გასაგებია, რომ ასეთი შედარების წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს განვითარების კანონების შესწავლა ცალკეულ ენებში და მონათესავე ენათა ჯგუფებში. მხოლოდ ასეთი კვლევის განზოგადების შედეგად შეიძლება მოვიპოვოთ განვითარების ზოგადი კანონები.

მრავალფეროვან ენებში საერთო მავლენების არსებობაზე მიუთითებდა ე. ვანდრიესი. ჯერ კიდევ თავის ცნობილ გამოკვლევაში „ენა“, ე. ვანდრიესი, ერთი მხრივ, გახაზავდა იმ ფაქტს, რომ ორი ინდივიდიც კი არ ლაპარაკობს სავსებით ერთნაირად, ხოლო, მეორე მხრივ, იგი იმის მტკიცების შესაძლებლობასაც აღნიშნავდა, რომ არსებითად ადამიანური ენა ერთია და ერთიანი. ავტორის აზრით, სწორედ ამას ემყარება ზოგადი ენათმეცნიერების შექმნის ცდები. ცდილობენ ჩამოაყალიბონ ყველა ენისათვის გამოსადეგი ზოგადი პრინციპები. ვანდრიესი ჩამოთვლის ზოგიერთ ასეთ პრინციპს: ყველა ენის ფონეტიკური სისტემა ერთსა და იმავე ზოგად კანონებს ექვემდებარება; ენათა შორის შენიშნული განსხვავებები სპეციფიკურ პირობებზეა დამოკიდებული. ენათა მორფოლოგია ძალიან მრავალფეროვანია, მაგრამ ის სამი თუ ოთხი ტიპი, რომლებამდეც დაიყვანება ეს მრავალფეროვნება, არ არის აბსოლუტურად განსხვავებული ერთმანეთისაგან, რადგანაც ენის განვითარების დროს ეს ტიპები ერთიმეორეში გადადიან. ლექსიკაში ყველა ენის ზოგად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ ფონემათა გარკვეულ ჯგუფს უკავშირდება გარკვეული ცნება¹¹.

მოგვიანებით, 1946 წ. ე. ვანდრიესმა საგანგებო სტატია უძღვნა შედარებას ენათმეცნიერებაში. ამ სტატიაში იგი განიხილავს ისტორიულ-შედარებითს მეთოდს და სტრუქტურულ შედარებას. აყალიბებს რა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ძირითად პრინციპებს, ვანდრიესი აღნიშნავს, რომ ეს შედარება არ ამოწურავს ენათა ისტორიას. ტრადიციული შედარებითი გრამატიკის გვერდით იგი დიდ მნიშ-

⁹ А. Мейе, Сравнит. метод., გვ. 75.

¹⁰ იქვე, გვ. 78.

¹¹ Ж. Вандриес, Язык. Лингвистическое введение в историю. М., 1937, გვ. 217.

ვენლობას ანიჭებს შედარებითს ენათმეცნიერებას ფართო გაგებით. ეს უკანასკნელი ადარებს არამონათესავე ენათა საერთო მოვლენებს. ასეთი შედარება, რომელსაც ამ ბოლო ხანებში მოჰკიდეს ხელი, ვანდრიესის აზრით, გადატრიალებას იწვევს მეთოდშიც და მთელ ენათმეცნიერებაშიც. მისი ამოცანა არის მოგვეცეს ცოდნა კაცობრიობის გონების უნივერსალურ მოთხოვნილებებზე, რომლებიც მის მოქმედებას მართავს¹².

შედარებამ უნდა გაითვალისწინოს ტენდენციები ენაში; რა წარმოიშვება, რა განიცდის განახლებას და ა. შ.¹³ ვანდრიესს შესაძლებლად მიაჩნია ზოგადი კანონების ძიება არა მხოლოდ ფონეტიკასა და გრამატიკაში, არამედ აგრეთვე ლექსიკაშიც. ზოგადი სემასიოლოგია შესაძლებელიაო, აღნიშნავს იგი¹⁴. აქაც საქმე უნდა ეხებოდეს სიტყვათა ევოლუციას. სიტყვათა წარმოშობისა და მათი ცვალებადობის მიზეზთა კვლევა, ვანდრიესის აზრით, გვიჩვენებს ადამიანური გონების ზოგად ტენდენციებს¹⁵.

ამგვარად, იქმნება შედარებითი უნივერსალური ენათმეცნიერება, რომელიც მოიცავს როგორც ლექსიკას, ისე გრამატიკასა და ფონეტიკას და რომელშიაც ისტორიას კვლავ თავისი ადგილი აქვს მიჩნეული¹⁶.

2.1. ტიპოლოგიური შედარება სტრუქტურულ (სინქრონიულ) ენათმეცნიერებაში. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წარმომადგენლები განიხილავენ ტიპოლოგიური შედარების მნიშვნელობას ისტორიული ენათმეცნიერებისათვის. მაგრამ ტიპოლოგიური შედარება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სინქრონიულ ენათმეცნიერებაშიც. სინქრონიული თვალსაზრისით ტიპოლოგიური შედარების საკითხებზე ყურადღება გაამახვილეს თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

ტიპოლოგიური შედარება იქნა გამოყენებული გეოგრაფიული თვალსაზრისით ენათა შესწავლისას. ამიტომ იმ საენათმეცნიერო სკოლებში, რომლებიც ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპებს ემყარებიან, ტიპოლოგიურ შედარებას ფართო გასაქანი მიეცა. ტიპოლოგიური შედარება წინ წამოსწია პრადის სკოლამ. ერთ-ერთ თავის ნაშრომში ნ. ტრუბეტკოი მოითხოვდა ენათა გენეტიკური და ტიპოლოგიური შედარების ერთმანეთთან დაკავშირებას.

¹² J. Vendryes, La comparaison en linguistique, გვ. 5—6, 7.

¹³ იქვე, გვ. 6.

¹⁴ იქვე, გვ. 7.

¹⁵ იქვე, გვ. 16.

¹⁶ იქვე, გვ. 17.

ამასთან გენეტურ განხილვას იგი დიაქრონიულად მიიჩნევდა, ტიპოლოგიურს კი — გეოგრაფიულ კვლევას უკავშირებდა¹⁷. ამგვარად, ტიპოლოგიური შედარება, ტრუბეტკოის მიხედვით, სინქრონიულ, აღწერითს მეთოდს წარმოადგენს. ამას ადასტურებს ვ. მათეზიუსიც, რომლის აზრითაც, ფონოლოგიური დახასიათება, ისევე, როგორც საერთოდ ლინგვისტური დახასიათება, მოითხოვს ყველგან სინქრონიის მეთოდებს და სტრუქტურის შედარებას¹⁸.

სტრუქტურული შედარების სინქრონიულ ბუნებას განსაკუთრებით გახაზავს ბ. ტრნკა, რომელიც ტიპოლოგიური შედარების მეთოდს ანალიზურ შედარებას უწოდებს და მას სინქრონიულად, სტატიკურად მიიჩნევს. ისტორიულ ანუ დიაქრონიულ მეთოდად იგი ისტორიულ-შედარებითს მეთოდს თვლის¹⁹.

ბ. ტრნკა აღნიშნავს, რომ თანამედროვე ენათმეცნიერება მთლიანად იხრება შედარების ანალიზური მეთოდისაკენ. თვითონ მას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ანალიზურმა შედარებამ და ისტორიულმა შედარებამ ერთმანეთი შეავსონ²⁰.

ამგვარად, ტიპოლოგიური შედარება პრალის წრეში თითქოს სინქრონიულ, აღწერით მეთოდად ცხადდება. მაგრამ ამის გვერდით, განსაკუთრებით პრალის წრის ადრინდელ ნაშრომებში, არც ის არის უგულებელყოფილი, რომ შედარება ენათა ევოლუციის მსგავს ტენდენციებსაც აღგენს. მაგალითად, პრალის წრის თეზისებში, სადაც ლაპარაკია შედარებითი მეთოდის გამოყენების გაფართოებაზე, აღნიშნული არის, რომ შედარებითი მეთოდი გვაძლევს შესაძლებლობას, აღმოვაჩინოთ ლინგვისტურ სისტემათა კანონები და მათი ევოლუცია²¹. ამისათვის საჭიროა სტრუქტურულად შევადაროთ ერთმანეთს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე მეზობელი ენები.

პრალის სკოლის ერთ-ერთმა აქტიურმა წარმომადგენელმა რ. ლაკობსონმა 1941 წ. ნაშრომში „ბავშვის ენა, აფაზია და ზოგადი ბგერითი

¹⁷ N. Trubetzkoy, Gedanken über die slovakische Deklination. Sbornik Matice Slovenskej, XV, 1937, გვ. 40. შტრ. იმავე ავტორის Phonologie und Sprachgeographie, TCLP, 1931, № 4, გვ. 234.

¹⁸ V. Mathesius, La Structure phonologique du lexique du tchèque moderne. Contribution à la phonologie comparée. TCLP, 1929, I, გვ. 67.

¹⁹ B. Trnka, Methode de comparaison analytique..., გვ. 33, 38.

²⁰ იქვე, გვ. 34.

²¹ Тезисы Пражского лингвистического кружка. «В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях», II, гл. 124—125. დამახასიათებელია ამ შრომის ერთ-ერთი ქვესათაური: Синхронический метод и его отношение к методу диахроническому: сравнение структуральное и сравнение генетическое, გვ. 123.

კანონები“ ჩამოაყალიბა ზოგადი კანონი, რომელიც ამყარებს კავშირს ბავშვის მიერ ენის ფონოლოგიური სისტემის თანდათანობით ათვისებასა და აფაზიით დაავადებულთა მიერ ფონემების დაკარგვას შორის: იმ ფონემებს, რომლებსაც ბავშვები შედარებით გვიან ითვისებენ, აფაზიით დაავადებულნი უფრო ადრე კარგავენ. ხოლო ფონემათა აღდგენა აფაზიით დაავადებულებთან იმავე რიგით ხდება, როგორც ბავშვების მიერ მათი შეთვისება²².

ფართო გამომხატურება ჰპოვა იაკობსონის მიერ გ. ფანტთან და მ. ჰალესთან ერთად წარმოდგენილმა უნივერსალურმა კანონმა, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ენის ფონემები შედგება რამდენიმე დიფერენციალური ანუ განმასხვავებელი ნიშნისაგან. ნაცვლად ტრადიციული ფონეტიკის არტიკულაციური ნიშნებისა აღებულია აკუსტიკური ნიშნები, რომლებიც 12 ბინარული (ორობითი) დაპირისპირების სახითაა მოცემული. ესენია: 1) ხმოვანი—არახმოვანი, 2) თანხმოვანი—არათანხმოვანი, 3) მეყსეული—მყოვარი, 4) გლოტალიზებული — არაგლოტალიზებული, 5) მძაფრი — არამძაფრი; 6) მკლერი — ყრუ, 7) კომპაქტური — დიფუზური, 8) დაბალი — მაღალი, 9) ბემოლური—მარტივი, 10) დიფუზური—მარტივი, 11) დაჭიმული—დაუჭიმავი, 12) ცხვირისმიერი—არაცხვირისმიერი.

ყველა ეს ნიშანი ერთად არც ერთ ენაში არ არის წარმოდგენილი. ერთი და იმავე ენის ერთსა და იმავე ფონემაში მათი შეხამება ან შეუხამებლობა, ავტორების აზრით, განისაზღვრება უნივერსალური მნიშვნელობის მქონე იმპლიკაციური კანონებით. ამ კანონებს ასეთი სახე აქვთ: X-საგან გამომდინარეობს Y-ის არსებობა და (ან) Z-ის არარსებობა²³.

2.2. ენათა ტიპოლოგიური შედარების საკითხი ერთ-ერთ ძირითად პრობლემად იქნა აღიარებული სტრუქტურალისტთა მეორე სკოლაში — დანიის საენათმეცნიერო წრეშიც. ამ სკოლის ფუძემდებლის ლ. იელმსლევის თვალსაზრისი წარმოდგენილია მის სტატიაში „შედა-

²² R. Jakobson, Kindersprache. Aphasie und allgemeine Lautgesetze. Selected Writings. I. Phonological Studies. 1962., გვ. 328—401 (პირველად გამოქვეყნდა 1942 წ.).

²³ Р. Якобсон, Г. М. Файт и М. Халле, Введение в анализ речи. Различительные признаки и их корреляты, „Новое в лингвистике“, вып. II. М. 1962 (ინგლისურად გამოქვეყნდა 1955), გვ. 210; შდრ. აგრეთვე Р. Якобсон и М. Халле, Фонология и ее отношение к фонетике. Ижев (ინგ.-დ გამოქვეყნდა 1957). Е. Черри, М. Халле, Р. Якобсон, К вопросу о логическом описании языков в их фонологическом аспекте. Ижев (ინგ.-დ გამოქვეყნდა 1953).

რება სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში²⁴. ავტორის სიტყვით, სტრუქტურული ლინგვისტიკა უაღრესად შედარებითი დისციპლინაა. მის უკიდურეს მიზანს შეადგენს ტიპოლოგიური და გენეტური შედარებითი კვლევა²⁵. ამიტომ, რომ შედარებითი მეთოდი ფონოლოგიის სფეროში ფართო სინთეზის მოხდენისათვის გამოიყენეს ტრუბეცკომ, იაკობსონმა, ბლუმფელდმა. დანიელი მეცნიერები შედარებითი გზით იკვლევდნენ წინდებულებს, ასპექტებს, ბრუნვებს, უფრო ფართო სინთეზი მოახდინეს ამ სფეროში რუსმა ლინგვისტებმა პოლივანოვმა და მეჰანინოვმა. მაგრამ ეს ცდები ჯერჯერობით მხოლოდ წინასწარია და არათანაბარი²⁶.

ლ. იელმსლევის განსაზღვრებით, სტრუქტურული ენათმეცნიერების მიზანია ოსიექტურად დადასტურებულ სტრუქტურათა შედარება, რაც მიგვიყვანს ტიპოლოგიამდე და აგვახსენებებს ცვლილებებს (გადასვლებს transitions). ამ გზით მივიღებთ ზოგადსა და შედარებითა ფონეტიკასა და გრამატიკას. მხოლოდ სტრუქტურული ენათმეცნიერება ისახავს ამ ამოცანებს და მხოლოდ მას შეუძლია ამ პრობლემათა გადაწყვეტაო, გვაუწყებს იელმსლევი²⁷.

იელმსლევის აზრით, სტრუქტურული ენათმეცნიერების მიერ მიღებული შედეგები მეტად მნიშვნელოვანია გენეტური (ე. ი. შედარებით-ისტორიული) ენათმეცნიერებისათვის. გენეტური ენათმეცნიერების ობიექტი, გვეუბნება ავტორი, არის სტრუქტურა. გენეტური ლინგვისტიკის შედარებითი მეთოდი არის ამ სტრუქტურის ანალიზი. სტრუქტურული ენათმეცნიერება არ კმაყოფილდება იმით, რომ გამოიყენოს შედარებითი მეთოდი ფონეტიკისა და გრამატიკის ზოგადი მიზნებისათვის. იგი იპყრობს ყოფილი გენეტური შედარებითი ლინგვისტიკის შენობასაც²⁸.

ამგვარად, ლ. იელმსლევის მიხედვით, ტიპოლოგიურ შედარებას მნიშვნელობა აქვს ზოგადი ფონეტიკისა და გრამატიკის შექმნისათვის და ენათა ცვლილებების ახსნისათვის. ზოგად ფონეტიკასა და გრამატიკას საფუძვლად უდევს სინქრონიული ზოგადი კანონები. რაც შეეხება ცვლილებათა ახსნას, არ ჩანს, რა უნდა მოგვეცეს ამ მხრივ სტრუქტურათა შედარებამ. თუ ავტორის მსჯელობას დაეუკვირდებით,

²⁴ Louis Hjelmslev, La Comparaison en linguistique structurale. «Acta Linguistica», 1944, ტ. IV, ნაკვ. 3, გვ. 144—147. სამწუხაროდ, ხელთ არ გვექონია ლ. იელმსლევის მოხსენება ენათმეცნიერთა VI საერთაშორისო კონგრესზე პარიზში 1948წ.

²⁵ იქვე, გვ. 146.

²⁶ იქვე, გვ. 145.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე, გვ. 146.

ასეთი შედარება მიზნად ისახავს მხოლოდ ცვლილებათა აღწერას, სხვაგვარად, ორი მდგომარეობის შედარება გვიჩვენებს, თუ რა ცვლილებები მომხდარა მათ შორის, მაგრამ ვერ აგვიხსნის ამ ცვლილებებს (მაგ., ცხადია, რომ ეს შედარება ვერ გაგვირკვევს, რა ფაქტორები განსაზღვრავდა ცვლილებებს). კიდევ უფრო ბუნდოვანია საკითხი, თუ რა მნიშვნელობა აქვს, იელმსლევის აზრით, სტრუქტურულ შედარებას შედარებით-ისტორიული კვლევისათვის.

უფრო არსებითი განსხვავება არის ტიპოლოგიური შედარების გაგებაში დანიის სკოლისა და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისის შორის. ლ. იელმსლევი თავისი სტატიის მნიშვნელოვან ნაწილს უძღვნის ვანდრიესის წერილის „შედარება ენათმეცნიერებაში“ განხილვას. იელმსლევის დახასიათებით, ვანდრიესთან ენა განხილულია, როგორც „გარკვეულ ტენდენციათა ჯამი“, ენის მდგომარეობა უარყოფილია, გრამატიკული კატეგორიების სფეროში რეკომენდებულია მეთოდი, რომელიც მდგომარეობს ცნებებიდან ამოსვლით იმის ძიებაში, თუ როგორ გამოიხატებიან ისინი მოცემულ ენებში. ამგვარად, აქ მითითებული გზა არის სუბსტანციიდან ფორმისაკენ, ასევე იელმსლევი და განაგრძობს: თუ ჩვენ კარგად გვესმის, შეიძლება მხოლოდ ერთი სიტყვა ვუწოდოთ იმას, რის რეალიზაცია-საც იმედოვნებს ავტორი, ესაა „ევოლუციური გრამატიკა“ (გრამონის ევოლუციური ფონეტიკის მსგავსად), რომელიც სწავლობს ზოგად ფსიქოლოგიურ ტენდენციებს, რომლებიც განსაზღვრავს სემანტიკურ ცვლილებებს²⁹. თუ მოვიგონებთ იმავე სტატიიდან იელმსლევის სიტყვებს: მას შემდეგ, რაც იაკობ გრიმმა აღმოაჩინა ლინგვისტური ცვალებადობა, დროის ფაქტორის ჩარევა გზიდან აცდენდა XIX საუკუნის გამოკვლევებს³⁰, აშკარა გახდება, როგორია მისი პოზიცია ევოლუციური გრამატიკის მიმართ, რის შექმნასაც ცდილობს ვანდრიესი.

იელმსლევი თავის სტატიაში გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო, რომ ვანდრიესი ზოგადი შედარებითი გრამატიკის საკითხზე მსჯელობისას არსად არ ასახელებს სტრუქტურულ ლინგვისტიკას³¹, და არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა როლი უნდა დაეკისროს სტრუქტურულ ლინგვისტიკას და განსაკუთრებით წმინდა ფორმის შესწავლას³². იქნებ იგი (ე. ი. ვანდრიესი) ფიქრობს, რომ აქამდე საკუთრივ სტრუქტურული ლინგვისტიკის მიერ შესრულებული სამუშაო ზოგა-

²⁹ L. Hjelmslev, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

³⁰ იქვე, გვ. 144.

³¹ იქვე, გვ. 146.

³² იქვე, გვ. 147.

დი და შედარებითი გრამატიკის დასადგენად მეთოდოლოგიურად არაღამაკმაყოფილებელია და იგი სხვა ბაზაზე უნდა გადავიდესო, სვამს კითხვას იელმსლევის³³.

როგორც ვხედავთ, ვანდრიესისა და იელმსლევის შეხედულებებს შორის განსხვავებას მხოლოდ ის კი არ ქმნის, რომ ვანდრიესის გაგებით ტიპოლოგიური შედარება განვითარების კანონებს დაადგენს, იელმსლევის მიხედვით კი ტიპოლოგიური შედარება სინქრონიულია. იელმსლევის წერილში გახაზულია მეორე, უაღრესად მნიშვნელოვანი და პრინციპული დაპირისპირება: ვანდრიესის (და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების სხვა წარმომადგენლების) გამოკვლევებში სტრუქტურული შედარება სუბსტანციიდან ფორმისაკენ მიმდინარეობს, ე. ი. ის ენობრივი მასალიდან ამოდის და ინდუქციის გზით განაზოგადებს კონკრეტულ ენებში დადასტურებულ საერთო მოვლენებს. დანიის სტრუქტურალიზმის გზა ამის საპირისპიროა, ეს არის სუბსტანციისაგან დამოუკიდებლად მიჩნეული წმინდა ფორმის შესწავლის გზა, დედუქციური მეთოდით კვლევის გზა.

რას ემყარება ასეთი ძიებანი? მათთვის ამოსავალია ლოგიკური სქემები, რომლებსაც საფუძვლად უდებენ ენობრივ კატეგორიებს. აზრის ერთიანობა, გამოსახატავი შინაარსის ლოგიკური სტრუქტურის ერთნაირობა მიჩნეულია იმის საწინდრად, რომ ენებშიაც დადასტურებული იქნეს ერთნაირი მოვლენები. მაგრამ, როგორც ცნობილია, გამოსახატავი აზრების ერთგვარობა ვერ განაპირობებს ენათა სტრუქტურულ ერთგვარობას. ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებში სხვადასხვაგვარად გამოისახება. ამ აშკარა ფაქტს, რომელსაც ემყარება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, დანიელი სტრუქტურალისტები სათანადო ანგარიშს არ უწევენ და არსებითად დგებიან რა XVII—XVIII საუკუნეების რაციონალისტურ გრამატიკათა თვალსაზრისზე, ცდილობენ ერთიან, აბსტრაქტულ ლოგიკურ სქემებამდე დაიყვანონ მრავალფეროვან ენათა სტრუქტურული თავისებურებანი. სწორედ ამ გზით წარმოებდა ენობრივი კატეგორიების კვლევა დანიის საენათმეცნიერო წრეში. სანიმუშოდ შეიძლებოდა დაგვესახელებინა ბრენდალის მიერ მეტყველების ნაწილთა შესწავლა.

ვ. ბრენდალი ლოგიკური პრინციპის მიხედვით ახდენს მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციას. იგი გამოყოფს ადამიანური აზროვნებისათვის აბსოლუტურად აუცილებელ კატეგორიებს, როგორცაა: 1) სუბსტანცია, 2) კვანტიტეტი, 3) კვალიტეტი, 4) რელაცია. ეს კატეგორიები ყველა ენაში გამოიხატება, მაგრამ სხვადასხვა ენაში სხვადა-

³³ L. Hjelmslev, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

სხვაგვარად. ბრენდალი სათანადო ანგარიშს არ უწევს ამ განსხვავებებს და ერთიან ლოგიკურ სქემაში ათავსებს ყველა ენის სიტყვათა კლასებს. შედეგად ვიღებთ მეტყველების ნაწილთა უნივერსალურ კლასიფიკაციას, რომელიც გამოსადეგია ნებისმიერი ენისათვის³⁴.

ცხადია, ენობრივ სტრუქტურათა მიმართ ასეთი მიდგომა არსებითად მიუღებელია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის, ვინაიდან იგი ენათა სტრუქტურაში არსებულ საერთოს განზოგადებას კი არ იძლევა, არამედ ენათა სტრუქტურულ განსხვავებათა უგულვებლყოფის მაგალითს წარმოადგენს. ვიკვლევთ რა მრავალფეროვან ენათა სტრუქტურებს, ცალკეულ ენათა თავისებურებებს, ემპირიული გზით მივდივართ დასკვნამდე, რომ ამ ენებში განსხვავებებთან ერთად მსგავსებებიც დასტურდება. მაგრამ არ არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, თითქოს ყოველგვარ განსხვავებათა მიღმა მსგავსება იმალებოდეს. თითქოს ყველა ენა ერთ საერთო ზოგად სტრუქტურამდე დაიყვანებოდეს. უნდა დავკმაყოფილდეთ იმ მსგავსებათა გამოყოფით, რასაც თვითონ ენობრივი მასალა, ენათა შედარება იძლევა და არ მოვახვიოთ თავს ენებს აპრიორული ლოგიკური სქემები, რომლებიც ჩქმაღავენ ენობრივ სტრუქტურათა შორის განსხვავებებს.

2.3. კოპენჰაგენის სკოლის თვალსაზრისისაგან არსებითად განსხვავდება ამერიკული სტრუქტურალიზმის, — დესკრიფციული ენათმეცნიერების — დამოკიდებულება სხვადასხვა ენაში ზოგადი მოვლენების ძიებათა მიმართ. ამ საკითხის შესახებ დესკრიფციული ენათმეცნიერების პროგრამა მოცემულია ლ. ბლუმფილდის გამოკვლევაში „ენა“..

ბლუმფილდის აზრით, ერთადერთ ნაყოფიერ განზოგადებებს ენის შესახებ წარმოადგენს ინლექციური განზოგადებები. მისთვის უდავოა, რომ ზოგი მოვლენა ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ენაში. მაგრამ იგი იმასაც ითვალისწინებს, რომ კოლნის თანამედროვე დონეზე თვისებები, რომლებიც ზოგადი გვგონია, შეიძლება არ დადასტურდეს მანამდე უცნობ ენებში. მაგ., სახელისა და ზმნის დაპირისპირება მრავალ ენას ახასიათებს, მაგრამ არ გვხვდება რიგ ენაში. ამიტომ ავტორი ასკვნის: როდესაც ჩვენ გვექნება ადეკვატური მონაცემები მრავალი ენის შესახებ, ჩვენ შეგვეძლება კვლავ მოვუბრუნდეთ ზოგადი გრამატიკის პრობლემებს და ავხსნათ ეს მსგავსებები და განსხვა-

³⁴ V i g g o B r e n d a l, Les parties du discours. Études sur les catégories linguistiques. Copenhague. 1948.

ვებები, მაგრამ ეს კვლევა, როდესაც ის დაიწყება, იქნება არა სპეკულაციური, არამედ ინლუქტიური³⁵.

ლ. ბლუმფილდი ცვალებადობის ზოგადი კანონების არსებობასაც აღიარებს. იგი წერს: ჩვენ საკმაო მონაცემები გვაქვს ვაჩვენოთ, რომ ცვალებადობის ზოგადი პროცესები ერთი და იგივეა ყველა ენაში და ერთი და იმავე მიმართულებით მოქმედებს. თვით ცვალებადობის მეტად სპეციფიკური ტიპებიც კი მიმდინარეობს ერთგვარად, მაგრამ დამოუკიდებლად მეტწილ განსხვავებულ ენებში. ოდესმე, როდესაც ჩვენი ცოდნა უფრო ფართო იქნება, მოხერხდება აგრეთვე ამ მოვლენათა სისტემატური განხილვა და ნაყოფიერ განზოგადებათა წარმოება³⁶.

ამგვარად, დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ტიპოლოგიური შედარების საკითხს იმთავითვე ექცეოდა ყურადღება, ოღონდ ითვლებოდა, რომ მას უნდა უსწრებდეს მრავალი ენის აღწერა. ამიტომ 40-იან წლებში დესკრიპტივისტები ძირითადად ცალკეულ ენათა აღწერით იყვნენ გატაცებული. მაგრამ მათი შრომებიდან აშკარად ჩანს, რომ სხვადასხვა ენის სტრუქტურის შედარება, მათ შორის მსგავსება-განსხვავებათა დადგენა მომავლის ამოცანად დგას³⁷.

3.1. ზოგადი ენობრივი კანონები ანუ ენობრივი უნივერსალიები. როგორც ითქვა, ტიპოლოგიური შედარება გამოავლენს ზოგად ენობრივ კანონებს. ეს კანონები შეიძლება ისტორიულიც იყოს და სტატიკურიც. ამის შესაბამისად ტიპოლოგიური შედარება გამოყენებულ იქნება როგორც ისტორიულ (დიაქრონიულ), ისე სტატიკურ (სინქრონიულ) ენათმეცნიერებაში. პირველ შემთხვევაში იგი ემყარება ცალკეულ ენათა და ენათა ჯგუფების ისტორიული შესწავლის შედეგებს. ხოლო მეორე შემთხვევაში — მათი აღწერითი შესწავლის შედეგებს. ამგვარად, ორივე შემთხვევაში შედარებას წინ უსწრებს ცალკეულ ენათა თუ ენათა ჯგუფების შესწავლა (აღწერითი და ისტორიული). ტიპოლოგიური შედარება ასეთი შესწავლის დანასაკცს, განზოგადებას წარმოადგენს.

აქედან ცხადია, სტრუქტურული შედარება მით უფრო ფართოა და ნაყოფიერი, რაც უკეთ არის შესწავლილი ცალკეული ენები: ძირითადად ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ თუმცა სტრუქტურული შედარების საკითხი ენათმეცნიერებაში საკმაოდ ადრე დაისვა, განსა-

³⁵ L. Bloomfield, *Language*, 1933, გვ. 20.

³⁶ იქვე.

³⁷ იხ. მაგ., G. L. Trager, *The Field of Linguistics*. SIL, Occasional papers, I, 1949, გვ. 6—7. Z. S. Harris, *Methods in Structural Linguistics*, 1955, გვ. 3.

კუთრებით აქტუალური იგი სწორედ თანამედროვე ენათმეცნიერებაში გახდა. აქამდე მთავარი ყურადღება ცალკეულ ენათა და ენათა ჯგუფების კვლევისაკენ იყო მიპყრობილი. ამჟამად კი ენათა შესწავლა ისეთ დონეზეა აყვანილი, რომ შესაძლებელი ხდება რეალურად დადგეს მოპოვებულ შედეგთა განზოგადების საკითხი.

ამიტომ, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სულ უფრო და უფრო ფართოდ ისმის სხვადასხვა აგებულების მქონე მრავალრიცხოვან ენათა შედარებისა და ამ ენებში საერთო კანონზომიერებათა აღმოჩენის პრობლემა³⁸.

ამ პრობლემის წინ წამოწევას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა რ. იაკობსონის მოხსენებამ ენათმეცნიერთა VIII საერთაშორისო კონგრესზე 1957 წ. („ტიპოლოგიური გამოკვლევები და მათი მნიშვნელობა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის“)³⁹.

რ. იაკობსონის მიხედვით, ტიპოლოგიურ შედარებას შესაძლებლად ხდის ენათა შორის არსებული იზომორფიზმი, ის, რომ მათ სტრუქტურას საფუძვლად უდევს საერთო პრინციპები. ვინაიდან ენები მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ შესაძლებელია მათი დაჯგუფება მორფოლოგიურ, ფონოლოგიურ და სინტაქსურ ტიპებად⁴⁰.

რ. იაკობსონი ემყარება გრინბერგის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, კლასიფიკაციის სამი ძირითადი მეთოდი გვაქვს: გენეტური, არეალური და ტიპოლოგიური. გენეტურ მეთოდს საქმე აქვს ნათესაობასთან, არეალურს — დაახლოებასთან (affinity), ხოლო ტიპოლოგიურს — იზომორფიზმთან. ნათესაობისა და დაახლოების საპირისპიროდ იზომორფიზმს აუცილებლად არ შემოაქვს არც დროისა და

³⁸ ენათმეცნიერთა VI საერთაშორისო კონგრესზე (პარიზში) დასმული იყო საკითხი: „არსებობს თუ არა ყველა ენისათვის საერთო კატეგორიები?“ ამ საკითხის მოკლე მიმოხილვა VI კონგრესის მასალების მიხედვით იხ. В. А. Звегинцев, Теоретическая и прикладная лингвистика, 1968. გვ. 314—317.

³⁹ R. Jakobson, Typological Studies and Their Contribution to Historical Comparative Linguistics. Reports for the Eighth International Congress of Linguists. Oslo. 5—9 August, 1957. Supplement. რუს. თარგმ. იხ. «Новое в лингвистике», вып. III, 1963. რ. იაკობსონის შრომამ ფართო გამოხმაურება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში. იხ. მაგ., Вяч. В. Иванов, Типология и сравнительно-историческое языкознание. ВЯ, 1958, № 5; Б. А. Серебряников, К критике некоторых методов типологических исследований. ВЯ, 1958, № 5; И. И. Мещанинов, Типологические сопоставления и типология языков. «Научные доклады Высшей школы. Филологические науки.» 1958, № 3.

⁴⁰ R. Jakobson, დასახ. ნაშრ., გვ. 3—4.

არც სივრცის ფაქტორი. იზომორფიზმმა შეიძლება გააერთიანოს ერთი ენის სხვადასხვა საფეხური ან ორი სხვადასხვა ენის ორი საფეხური (თანადროული ან დროის მიხედვით განსხვავებული), მიუხედავად იმისა, მეზობელი არიან ეს ენები თუ დაშორებული, მონათესავე თუ არამონათესავე⁴¹.

რ. იაკობსონი ტიპოლოგიურ შედარებას აღწერითს ენათმეცნიერებას და სტრუქტურათა კვლევას უკავშირებს. მისი აზრით, ტიპოლოგიის საფუძველს ქმნის არა ენის ინვენტარი, არამედ სისტემა. სტრუქტურულმა შედარებამ უნდა გაითვალისწინოს სისტემის შემადგენელ კომპონენტთა რთული იერარქია⁴². იგი ქმნის ენის ფონოლოგიური და გრამატიკული მოდელების განსხვავებათა მიღმა ერთიან ელემენტთა სერიას და არსებითად ზღუდავს მოჩვენებითს უსასრულო მრავალფეროვნებას. ტიპოლოგია აღმოაჩენს იმპლიკაციის კანონებს, რომლებიც საფუძველად უდევს ენათა ფონოლოგიურ და, ალბათ, გრამატიკულ სტრუქტურას. იმპლიკაციის კანონის მიხედვით, A-ს არსებობა გულისხმობს B-ს არსებობას (ან არარსებობას). ამ გზით ჩვენ ვპოულობთ მსოფლიოს ენებში ერთგვარობებს (uniformities) ან თითქმის ერთგვარობებს (near-uniformities). სინქრონიული უნივერსალური კანონების ნიმუშად ავტორი შემდეგს ასახელებს: არსებობს ენები, რომლებსაც არა აქვთ საწყისხმოვნის მარცვლები, ან ბოლო-თანხმოვნის მარცვლები, მაგრამ არ არსებობს ენა, რომელიც მოკლებული იყოს საწყისთანხმოვნიან მარცვლებს ან ბოლოხმოვნიან მარცვლებს. არსებობს ენები, რომელთაც არა აქვთ ნაპრალოვნები, მაგრამ არ არსებობს ხშულთა არმქონე ენები. არ არსებობს ენები, რომელთაც ახასიათებდეს საკუთრივ ხშულებისა და აფრიკატების (მაგ., /t—c/) ოპოზიცია და არ ჰქონდეს ნაპრალოვნები (მაგ., /s/). არ არსებობს ენები, რომელთაც ჰქონდეთ ლაბიალიზებული წინა რიგის ხმოვნები და არ ჰქონდეთ ლაბიალიზებული უკანა რიგის ხმოვნები⁴³.

ამგვარად, ტიპოლოგია ზოგად კანონებს, უნივერსალიებს აღმოაჩენს. ავტორი ლაპარაკობს აგრეთვე თითქმის-უნივერსალიების (near-universals) შესახებ, რაც იმ შემთხვევაში გვაქვს, როდესაც ესა თუ ის ზოგადი კანონი მოიცავს ენათა დიდ რაოდენობას, მაგრამ არა ყველა ენას⁴⁴. ზოგადი კანონები ავტორს მუდმივებად მიაჩნია და სწორედ მათი აღმოჩენა ეკისრება ტიპოლოგიას⁴⁵. ენის სტრუქტურულ-

⁴¹ R. Jakobson, დასახ. ნაშრ., გვ. 5.

⁴² იქვე.

⁴³ იქვე, გვ. 6—7.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე.

ლი კანონების დადგენას რ. იაკობსონი თვლის ტიპოლოგიისა და მთლიანად დესკრიფციული ლინგვისტიკის ყველაზე ნათელ მიზნად მის (ე. ი. დესკრიფციული ლინგვისტიკის) უახლეს ფაზაში⁴⁶.

შესაძლებელია თუ არა დიაქრონიული ტიპოლოგია და რა მნიშვნელობა აქვს მას? რ. იაკობსონი მთლიანად არ გამორიცხავს დიაქრონიულ ტიპოლოგიას, რომელიც სტატისტიკური ხასიათისა იქნება, მაგრამ არსებით მნიშვნელობას იგი სტაციონარულ ტიპოლოგიას ანიჭებს⁴⁷. ავტორის აზრით, ამ უკანასკნელის უპირატესობა ისაა, რომ იგი მთლიანიდან, სტრუქტურიდან ამოდის. იაკობსონს საეჭვოდ მიაჩნია ცვალებადობის უნივერსალური კანონების დადგენა. მისი სიტყვით, შესაძლებელია გაანგარიშებულ იქნეს გადასვლის ალბათობა, მაგრამ ძნელად შესაძლებელია ვიპოვოთ ამ დროით (temporal) მოვლენათა უნივერსალური კანონები⁴⁸.

ძირითადი საკითხი, რომლისადმიც მიძღვნილია რ. იაკობსონის შრომა, არის ტიპოლოგიის მნიშვნელობა ისტორიულ-შედარებითი კვლევისათვის. კერძოდ, ავტორი ეხება სინქრონიული ზოგადი კანონების მნიშვნელობას ფუძე-ენის რეკონსტრუქციისათვის⁴⁹. მისი აზრით, რეკონსტრუირებული მდგომარეობა არ უნდა უპირისპირდებოდეს ტიპოლოგიის მიერ აღმოჩენილ ზოგად კანონებს. თუ ასეთი დაპირისპირება გვაქვს, მაშინ რეკონსტრუქცია საეჭვო ხდება. მაგალითად, არც ერთ ენაში არ გვხვდება /t—/d/ წყვილის გვერდით მქდერი ასპირატი /d^h/ ისე, რომ ამ უკანასკნელს არ ჰქონდეს არამქდერი წყვილელი /t^h/, მაშინ როდესაც /t/, /d/ და /t^h/ ხშირად გვხვდება შედარებით იშვიათი /d^h/-ს გარეშე. ამიტომ, გვეუბნება რ. იაკობსონი, გადასინჯვას მოითხოვს ისეთი თეორიები, რომლებიც პროტო-ინდო-ევროპულში განიხილავენ სამ ფონემას /t—/d—/d^h/-ს. ფონოლოგიური ტიპოლოგიის სინათლეზე საეჭვოდ მიიჩნევენ იგი „ასპირირებული ხშული“ ფონემისა და ორფონემიანი ჯგუფის: „ხშული“ +/h/ ან სხვა „ლარინგალური თანხმოვანი“ თანაარსებობის დაშვებას. მეორე

⁴⁶ R. Jakobson, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

⁴⁷ იქვე, გვ. 7—8.

⁴⁸ იქვე, გვ. 10.

⁴⁹ ვერ დაეთანხმებით კ. ამერს, თითქოს რეკონსტრუქციისათვის იაკობსონი მნიშვნელობას ანიჭებდეს დიაქრონიულ ტიპოლოგიას (იხ. K. Ammer, Der VIII Internationale Linguisten-Kongreß. Zeitschrift für Phonetik und allg. Sprachwissenschaft. Berlin. 1957, 10. B., 3. H., გვ. 285). — გარდა იმისა, რომ დიაქრონიულ ტიპოლოგიას იაკობსონი თავისებურად აშუქებს, კვებოვანხილული მაგალითებიდანაც აშკარად ჩანს, რომ მას სინქრონიული ზოგადი კანონები აქვს მხედველობაში და არა დიაქრონიული.

მხრივ, ტიპოლოგიურ გამოცდილებას ეწინააღმდეგება ის შეხედულებებიც, რომლებიც უპირისპირდება ლარინგალურ თეორიას და არ უშვებს არავითარი /h/-ს არსებობას ინდო-ევროპულში: როგორც წესი, ენებს, რომელთაც აქვთ წყვილები: მელერი—არამელერი, ასპირატი—არასპირატი, აქვთ აგრეთვე ფონემა — /h/⁵⁰.

რ. იაკობსონის სტატიაში ყურადღებას იქცევს სინქრონიული (თვით ავტორის ტერმინით: სტაციონარული) ტიპოლოგიის რიგი საკითხის დასმა და გადაწყვეტა. ავტორი საკუთარი კვლევა-ძიების შედეგად ასახელებს რამდენიმე უნივერსალურ ფონოლოგიურ კანონს. გასაზიარებელია დებულება, რომ სინქრონიული ზოგადი კანონების გათვალისწინება აუცილებელია ფუძე-ენის რეკონსტრუქციის დროს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნაშრომი მეტისმეტად შეკუმშულად, თითქმის თეზისების სახით არის დაწერილი და ალბათ ამიტომ ავტორის მსჯელობა ზოგჯერ მთლად ნათელი არ არის. ზოგი დებულება კი აშკარად სადავოა.

ეს ეხება პირველ რიგში ენათა კლასიფიკაციის სამ მეთოდს. მართალია, ამ შემთხვევაში იაკობსონი გრინბერგის აზრს გადმოგვცემს, მაგრამ იგი სავსებით იზიარებს იმას, რომ გენეტური მეთოდი ენათა ნათესაობას იკვლევს, არეალური — დაახლოებას, ტიპოლოგიური კი — იზომორფიზმს.

იბადება კითხვა, განა ენათა ნათესაობის ან დაახლოების შემთხვევაში არა გვაქვს საქმე იზომორფიზმთან?

შემდეგ: ავტორი არ გავიმარტავს დასახელებული სამი მეთოდის რაობას. მართალია, გენეტური ანუ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი კარგად არის ცნობილი ენათმეცნიერებაში, მაგრამ ნათელი არ არის, რა პრინციპული განსხვავებაა არეალურ, ე. ი. გეოგრაფიულ შედარებასა და ტიპოლოგიურ შედარებას შორის. მით უფრო, რომ ადრე პრალის სკოლაში, რომელშიაც თვით იაკობსონიც მოღვაწეობდა, სწორედ მეზობელ ენათა გეოგრაფიული პრინციპით შესწავლისას დაისვა ტიპოლოგიური შედარების საკითხი.

იაკობსონი ალბათ გულისხმობს იმას, რომ გეოგრაფიული შედარების დროს გავლენასთან, ენათა ისტორიულ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, სტრუქტურული შედარების დროს კი — პარალელურ განვითარებასთან, მაგრამ ეს არის სხვაობა მსგავსებათა გამომწვევებში, თვით შედარება კი ორივე შემთხვევაში ენათა სტრუქტურულ მსგავსებებს გამოაელენს.

საკითხს ვერ არკვევს რ. იაკობსონის სიტყვები, იზომორფიზმის შემთხვევაში არ არის აუცილებელი დროისა და სივრცის გათვალის-

⁵⁰ R. Jakobson, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

წინებაო. დროისა და სივრცის ფაქტორის გათვალისწინებას რ. იაკობსონი საკიროდ არ თვლის, რამდენადაც მისი ყურადღების ცენტრშია საყოველთაო მნიშვნელობის ზოგადი სინქრონიული კანონები (მაგ., ამ რიგისა: თუ ენას აქვს ლაბიალიზებული წინა რიგის ხმოვნები, მას უექველად ექნება ლაბიალიზებული უკანა ხმოვნებიც), მაგრამ ასეთი საყოველთაო კანონებით არ ამოიწურება ენათა სტრუქტურული მსგავსებები. სხვა შემთხვევებში კი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, აუცილებელია ტიპოლოგიური შედარების შედეგთა ისტორიული ანალიზი, რაც ბუნებრივად მოითხოვს როგორც სივრცითი, ისე დროითი ფაქტორის გათვალისწინებას.

ნათელი არ არის იაკობსონის შეხედულება დიაქრონიული ტიპოლოგიის შესახებ. მისი შესაძლებლობა არც მთლად უარყოფილია და არც გარკვევით დაშვებული. ამ მხრივ უფრო მისაღები იყო პრალის წრის თეზისებში წარმოდგენილი პოზიცია, სადაც, როგორც ვნახეთ, უყოყმანოდ იყო დაშვებული ევოლუციური ტიპოლოგიის შესაძლებლობა. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით მსჯელობა იმიტომაც იყო მოსალოდნელი იაკობსონისაგან, რომ იგი განხილულ წერილში საგანგებოდ ეხება ტიპოლოგიის მნიშვნელობას ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის. ფაქტობრივად კი ავტორი მსჯელობს მხოლოდ ზოგადი სინქრონიული კანონების მნიშვნელობაზე ფუძე-ენის რეკონსტრუქციისათვის. ამით მან საკმაოდ დაავიწროვა მის მიერვე დასახული ამოცანა.

8.2. ენებში უნივერსალურ კანონზომიერებათა ძიებამ 50-იანი წლების დასასრულს ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ შესაძლებელი გახდა ამ საკითხისადმი მიძღვნილი საგანგებო კონფერენციის მოწვევა. კონფერენცია შედგა 1961 წ. 13—15 აპრილს ნიუ-იორკში. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 30-მა ამერიკელმა სპეციალისტმა, არა მხოლოდ ენათმეცნიერებმა, არამედ ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმაც. კონფერენციის დაწყებამდე ენობრივი უნივერსალიების შესახებ მემორანდუმი შეადგინეს ჯ. გრინბერგმა, ჩ. ოზგულმა და ჯ. ჯენკისმა. გარდა დასახელებული მკვლევარებისა კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს ჩ. პოკეტმა, პ. ჰენიგსვალდმა, ჩ. ფერგიუსონმა, სოლ საპორტამ, უ. ვაინრანხმა, რ. იაკობსონმა და სხვ. 1963 წ. გამოქვეყნდა კონფერენციის მასალები⁵¹.

⁵¹ Universals of Language. Edited by Joseph H. Greenberg. Cambridge (Mass.), 1963 (ჩვენ ვსარგებლობდით 1966 წ. გამოცემით).

ამ კონფერენციამ ოფიციალურად დააფუძნა კვლევის მიმართულება, რომელსაც პირობით „უნივერსალიზმი“ ანუ „უნივერსალიათა ლინგვისტიკა“ უწოდეს⁵².

კონფერენციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და მის მოხსენებათა კრებულის გამომცემელი ჯ. გრინბერგი თავის შესავალ წერილში აღნიშნავს, რომ ამჟამად, როდესაც მოგვეპოვება დიდძალი ემპირიული მონაცემები მსოფლიოს ენათა შესახებ, დადგა დრო მოვანდინოთ ფართო მასშტაბის განზოგადებანი⁵³.

ჯ. გრინბერგის, ჩ. ოზგუდისა და ჯ. ჯენკინსის „მემორანდუმში“ უნივერსალიების რაობა შემდეგნაირადაა განმარტებული⁵⁴: მსოფლიოს ენათა უსასრულო და განსაკვიფრებელ თავისებურებებს საფუძვლად უდევს უნივერსალური ხასიათის ერთგვარობები. მიუხედავად უსასრულო სხვადასხვაობისა ყველა ენა ერთი და იმავე მოდელის მიხედვითაა შექმნილი. ლინგვისტური უნივერსალიები თავიანთი ბუნებით აჯამებენ დებულებებს იმ დამახასიათებელ ნიშანთა ან ტენდენციათა შესახებ, რომლებიც საერთოა ყველა მოლაპარაკე ადამიანისათვის. როგორც ასეთები, ისინი შეადგენენ ენათმეცნიერების ყველაზე ზოგად კანონებს.

ჩ. ჰოკეტის მიხედვით, ენობრივი უნივერსალია წარმოადგენს თავისებურებას ან თვისებას, რომელიც საერთოა ყველა ენისათვის ან თითქმის ყველა ენისათვის. (სავარაუდო) ენობრივი უნივერსალის დადასტურება არის ენის შესახებ განზოგადება (გენერალიზაცია)⁵⁵.

რ. იაკობსონიც, ეთანხმება რა „მემორანდუმის“ ზემოთყვანილ სიტყვებს, დამატებს, რომ მსოფლიოს ენები ამჟამად შესაძლებელია

⁵² В. А. Звегинцев, Лингвистика универсалий (универсализм) «История языкознания XIX-XX веков в очерках и извлечениях», ч. II. 1965, гл. 378—382 (ამ კრებულში თარგმნილია რ. იაკობსონის მოხსენება კონფერენციაზე). В. А. Звегинцев, Лингвистика универсалий (универсализм), Теоретическая и прикладная лингвистика. М., 1968, гл. 289—323. უნივერსალიებისადმი მიძღვნილი კრებულის შესახებ რეკენზია იხ. Б. А. Успенский, «Universals of Language». ВЯ, 1963, № 5. გვ. 115—130. იმავე ავტორს ლინგვისტური უნივერსალიების საკითხები განხილული აქვს მონოგრაფიაში: Б. А. Успенский, Структурная типология языков. 1965.

⁵³ Joseph Greenberg, Introduction. Universals of Language, გვ. XI.

⁵⁴ Joseph H. Greenberg, Charles E. Osgood, James J. Jenkins, Memorandum Concerning Language Universals. «Universals of Language», გვ. XV.

⁵⁵ Charles F. Hockett, The Problem of Universals in Language. «Universals of Language», გვ. 1.

განხილულ იქნენ, როგორც ერთი საყოველთაო თემის — ადამიანური ენის — სხვადასხვაგვარი ვარიაციები⁵⁶.

უნივერსალიებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გამოთქმულ ზოგად მოსაზრებებს შორის რამდენიმე საკითხი იქცევს ჩვენს ყურადღებას:

ა) ენობრივი უნივერსალიების დადგენის შესახებ მსჯელობისას წინ არის წამოწეული ინდუქციური მეთოდი, წამყვან პრინციპად იქნა აღიარებული ლ. ბლუმფილდის გამონათქვამი: „ერთადერთ ნაყოფიერ განზოგადებებს ენის შესახებ წარმოადგენს ინდუქციური განზოგადებები“⁵⁷. ამით ხაზი ესმოდა იმას, რომ უნივერსალიები ემპირიული მასალის საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული. ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ უნივერსალიები და არ უნდა გამოვიგონოთ ისინიო, — წერს პოკეტი⁵⁸.

მაგრამ არც კვლევის დედუქციური გზა არის უგულვებელყოფილი. ჯ. გრინბერგის სიტყვით, საყოველთაოდ აღიარებული ჩანს, რომ მეცნიერული მეთოდი არის როგორც ინდუქციური, ისე დედუქციური. ინდუქციური კვლევით მიღწეულ განზოგადებებს მივეყვართ უფრო მაღალი დონის ჰიპოთეზებამდე, რომლებიდანაც, თავისი მხრივ, შეიძლება დედუქტირებულ იქნენ შემდგომი განზოგადებანი. უკანასკნელები შემდეგ ემპირიულად უნდა შემოწმდნენ⁵⁹.

ამ გვერად, ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უნივერსალიებს უყენებენ, ისაა, რომ ეს უკანასკნელები უნდა ასახავდნენ ენობრივ მოვლენებს, უნდა შეესაბამებოდნენ ენებში არსებულ ვითარებას.

ბ) მეორე პრინციპი, რომელიც საყოველთაოდ გაზიარებული ჩანს კონფერენციის მონაწილეთა მიერ, ეხება უნივერსალურ განზოგადებათა შესაძლებლობას, როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ენათმეცნიერებაში. სინქრონიული და დიაქრონიული უნივერსალიები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებენ. ამასთან ერთი მეორის გარეშე გაუგებარია⁶⁰. „მემორანდუმში“ ჩამოთვლილია

⁵⁶ R o m a n J a k o b s o n, Implications of Language Universals for Linguistics. «Universals of Language», გვ. 264.

⁵⁷ იხ. მაგ., J. Greenberg, Introduction, გვ. XI, Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ J. Greenberg, Introduction, გვ. XII, შტრ. Memorandum, გვ. XXV.

⁶⁰ იქვე, გვ. XIII.

დიაქრონიულ უნივერსალიათა თავისებურებანი სინქრონიულთან შედარებით.

კონფერენციაზე დიაქრონიულ უნივერსალიებს მიეძღვნა ორი მოხსენება ჰ. ჰენიგსვალდისა („არსებობს თუ არა ენობრივი ცვალებადობის უნივერსალიები?“) და უ. კოუგილისა („ინდო-ევროპული დიაქრონიული მორფოლოგიის უნივერსალიათა ძიება“)⁶¹. „მემორანდუმში“ ჩამოთვლილია დიაქრონიულ უნივერსალიათა თავისებურებანი სინქრონიულთან შედარებით. კერძოდ, 1) დიაქრონიული უნივერსალიები ალბათობრივია. ვერასოდეს ვერ ვიტყვი, რომ გარკვეულ ცვლილებას ყოველთვის ექნება ადგილი. 2) დიაქრონიული უნივერსალიის ლოგიკური ფორმა განსხვავდება სინქრონიული უნივერსალიის ლოგიკური ფორმისაგან. სინქრონიული უნივერსალია ასე გამოიხატება: $(x) x(\in L)$, რაც ნიშნავს: ყოველი (x) ისათვის, თუ (x) ენაა, მაშინ... დიაქრონიული უნივერსალიის ლოგიკური ფორმა კი იქნება: ყოველი (x) -ისათვის და ყოველი (y) -ისათვის, სადაც (x) არის ერთი და იმავე ენის უფრო ადრინდელი, ხოლო (y) უფრო გვიანდელი საფეხური...⁶²

გ) ლინგვისტურ უნივერსალიათა განხილვამ შესაძლებელი გახადა უნივერსალიათა კლასიფიკაცია გამოიყო შემდეგი ძირითადი ტიპები: 1) ინდუქციური ანუ ემპირიული და დედუქციური უნივერსალიები, 2) სინქრონიული და დიაქრონიული უნივერსალიები, 3) აბსოლუტური (უგამონაკლისო) უნივერსალიები და თითქმის უნივერსალიები ანუ სტატისტიკური უნივერსალიები, რომელთაც, მიუხედავად ფართო გავრცელებისა, აქვთ გამონაკლისებიც, 4) ლოგიკური სტრუქტურის მიხედვით: არსებობს ანუ მარტივ მიმართებათა გამომხატველი უნივერსალიები (როდესაც რაიმე თვისება მიეწერება ყველა ენას ან ენათა უმრავლესობას. მაგ., ყველა ენაში არსებობს სახელისა და ზმნის კლასებს შორის განსხვავება⁶³). და პირობითი ანუ იმპლიკაციური უნივერსალიები, რომელთა დროს ენაში x -ის (ე. ი. რაიმე მოვლენის) არსებობიდან გამომდინარეობს y -ის არსებობა ან არარსებობა: ამგვარად, იმპლიკაციური უნივერსალიები ამყარებენ მიმართებას ორ მოვლენას შორის. მაგ., თუ ენას აქვს ორობითი კატეგორია, მას ექნება აგრეთვე მრავლობითის კატეგორიაც, მანკამ არა პირუკუ. ეს მიმარ-

⁶¹ Henry M. Hoeningwald, Are There Universals of Linguistic Change? Warren Cowgill, A Search for Universals in Indo-European Diachronic Morphology.

⁶² Memorandum, გვ. XXIII. J. Greenberg. Introduction, გვ. XII.

⁶³ ეს უნივერსალია ეკუთვნის ე. სეპირს. იგი მოყვანილია რ. იაკობსონის ნაშრომში: Implications of Language Universals for Linguistics, გვ. 265. აღსანიშნავია, რომ ლ. ბლუმფილდს თავის „ენაში“ ეს დებულება არ მიაჩნია უნივერსალურად. გვ. 20.

თება შემდეგნაირად გამოიხატება: ორობითი—მრავლობითი⁶⁴. იმპლიკაციურ უნივერსალიათა რიცხვი განსაკუთრებით დიდია (5) ენობრივი მასალის მიხედვით შეიძლება გვექონდეს: ფონოლოგიური, გრამატიკული, სემანტიკური, სიმბოლური უნივერსალები⁶⁵.

დ) აღსანიშნავია ისიც, რომ კონფერენციის მონაწილეთა აზრით, უნივერსალიათა ძიებანი აახლოებს ენათმეცნიერებას ადამიანის ქცევის შესახებ მეცნიერებებთან: ფსიქოლინგვისტიკასთან, ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან⁶⁶. ჯ. გრინბერგი თავის შესავალ წერილში ამ აზრს შემდეგნაირად გამოხატავს:

პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ენობრივი კვლებადობისა და ენობრივი სტრუქტურის შესახებ განზოგადებათაგან, ასახავენ ადამიანური ქცევის მნიშვნელოვან და ფუნდამენტალურ ასპექტებს. ისინი მთლიანად გასაგები ვერ იქნებიან, თუ ჩვენ უარს არ ვიტყვით ენათმეცნიერების ტრადიციულ თვითშეზღუდულობაზე (self-sufficiency) ფსიქოლოგიასთან და სოციალურ მეცნიერებებთან საფუძვლიანი თანამშრომლობის სასარგებლოდ⁶⁷.

მემორანდუმში კიდევ უფრო ფართოდ არის ამ საკითხზე მსჯელობა: დამატებით იმ მნიშვნელობისა, რაც ენობრივ უნივერსალიათა შესწავლას აქვს... ფსიქოლინგვისტიკისა და საკუთრივ ფსიქოლოგიისათვის, იგი მკიდროდ უკავშირდება მეცნიერულ კანონთა დადგენას ადამიანური ქცევის ლინგვისტურ ასპექტებში. ამგვარად, მას ზოგადი მნიშვნელობა აქვს ქცევით მეცნიერებათა განვითარებისათვის.

უნივერსალიათა კვლევას მივყავართ ენობრივი ქცევის შესახებ ემპირიულ განზოგადებათა მთელ სერიაში⁶⁸.

8.3. ასეთია მოკლედ და სქემატურად ის ამოსავალი პრინციპები, რომლებიც უნივერსალიათა შესახებ კონფერენციაზე იყო აღიარებული. ამ პრინციპთა გაცნობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ნიუ-იორკში ჩატარებული კონფერენცია არსებითად ემყარება ამერიკულ სტრუქტურალიზმს (კერძოდ, დესკრიფციულ ენათმეცნიერებას) ამ უკანასკნელის განვითარების დღევანდელ ეტაპზე. ეს კარგად ჩანს ინდუქციის როლის განსაკუთრებით გახაზვაში, რაც ბლუმფილდისაგან მომდინარეობს. მართალია, ამის გვერდით კვლევის დედუქციური გზაც არის აღიარებული, მაგრამ აქ ლაპარაკია გარკვეული განზოგა-

⁶⁴ Memorandum, გვ. XIX.

⁶⁵ იქვე, გვ. XXI.

⁶⁶ შტრ. В. Звегинцев, Теоретическая и прикладная лингвистика, გვ. 298 და შემდ.

⁶⁷ J. Greenberg, Introduction, გვ. XII.

⁶⁸ Memorandum, გვ. XXIV—XXV.

დებებიდან დედუქციურად ახალ დებულებათა გამოყვანაზე, რისი საპირობებაც არაერთად ექვს არ იწვევს. ამასთან აღიარებულია, რომ დედუქციური გზით მიღებული დასკვნები ემპირულად უნდა შემოწმდეს ენობრივ მასალაზე. ამ საკითხში სიმპოზიუმზე აღიარებული თვალსაზრისი არსებითად განსხვავდება გლოსემატიკის (და, ვფიქრობთ, ნაწილობრივ, აგრეთვე ნ. სტომსკის ტრანსფორმაციული თეორიის) პოზიციისაგან. გლოსემატიკის შემქმნელის ლ. იელმსლევის მიხედვით, როგორც ცნობილია, ლინგვისტიკა მთლიანად დედუქციურ საფუძველზე უნდა აიგოს (მსგავსად ლოგისტიკისა). სწორედ ესაა, ლ. იელმსლევის აზრით, ერთ-ერთი მთავარი განსხვავება გლოსემატიკასა და ტრადიციულ ენათმეცნიერებას შორის, რამდენადაც ეს უკანასკნელი ინდუქციური მეცნიერება იყო.

მრავლისმეტყველია კონფერენციის მონაწილეთა დადებითი დამოკიდებულება დიაქრონიულ უნივერსალიათა მიმართ. როგორც ცნობილია, სტრუქტურალიზმის სკოლები კარგა ხანს სინქრონიული ანალიზით შემოიფარგლებოდნენ და მეტ-ნაკლებად უგულვებელყოფდნენ დიაქრონიულ ძიებებს. ეს ეხება დესკრიფციულ ენათმეცნიერებასაც. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ კონფერენცია ჩატარდა 60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ენათა კვლევის პრაქტიკამ სულ უფრო და უფრო ნათლად წარმოაჩინა აღწერითი შესწავლის უკმარობა, ისტორიზმის აუცილებლობა. ეს ახალი ეტაპი, რომელიც თვით სტრუქტურალიზმის შიგნითაც საკმაოდ გარკვევით ვლინდება ამ ბოლო წლებში, არის ასახული უნივერსალიათა შესახებ კონფერენციაშიც. შემთხვევითი არაა, რომ კონფერენციაზე ექვს არ იწვევს სინქრონიულ უნივერსალიათა არსებობა და მათი ძიების საპირობება. დასაბუთებას მოითხოვს დიაქრონიულ უნივერსალიათა რეალურობა (შდრ. პ. ჰენიგვალდის მოხსენების სათაური: „არსებობს თუ არა ენობრივი ცვალებადობის უნივერსალიები?“). ეს მიუთითებს იმ გზაზე, რომელიც ენათმეცნიერების გარკვეულმა მიმდინარეობებმა განვლეს უკანასკნელ რამდენიმე ათეულ წელში. ეს იყო გზა სინქრონიის ბატონობიდან დიაქრონიის აღიარებისაკენ. კონფერენციის მონაწილენი სწორედ ამ მიმართულებიდან არიან გამოსულნი. ეს რომ არა, მაშინ, შესაძლებელია, ზემოთქმულის საწინააღმდეგო ვითარებაც კი შექმნილიყო, ვინაიდან ენათმეცნიერებაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, უფრო ადრე სწორედ დიაქრონიულ ზოგად კანონებს მიაქციეს ყურადღება და არა სინქრონიულს (აეგ. შლაიხერი, ა. მეიე, ე. ვანდრიესი და სხვ.). სიმპოზიუმის მონაწილენი რომ ამ ხაზის უშუალო გამგრძელებლები ყოფილიყვნენ, მათ 1961 წ. არ გაუჩნდებოდათ კითხვა: არსებობს თუ არა ენობრივი ცვალებადობის უნივერსალიებიო.

როგორც ვნახეთ, კონფერენციის ერთ-ერთ ლაიტმოტივს წარმოადგენდა აგრეთვე უნივერსალურ ძიებათა დაკავშირება ადამიანის ქცევის შესახებ მეცნიერებასთან (ბიჰევიორიზმთან), ფსიქოლინგვისტიკასთან, ფსიქოლოგიასთან, სოციალურ მეცნიერებებთან. აქაც აშკარაა, რომ ამერიკული მეცნიერების ტრადიციათა ნიადაგზე ვდგავართ. ენათმეცნიერების დაკავშირება ანთროპოლოგიასთან, ე. ი. კულტურის-ფორმათა შემსწავლელ სოციალურ მეცნიერებასთან, მომდინარეობს ჭერ კიდევ ფ. ბოასისა და მისი მოწაფის ედ. სეპირისაგან, რომელმაც დააფუძნა ახალი მიმართულება — ეთნოფსიქოლოგია. ენობრივი უნივერსალების დაკავშირებას ანთროპოლოგიის, კერძოდ; კულტურის პრობლემებთან მიეჭლება ი. ბ. კასაგრანდეს მოხსენება⁶⁹. ბოასის მეორე მოწაფეს და დესკრიფციული ლინგვისტიკის მამამთავარს ლ. ბლუმფილდს თავისი ზოგადენათმეცნიერული თეორია გამოჰყავდა ბიჰევიორიზმისაგან, — ადამიანის ქცევის შესახებ მეცნიერებისაგან, რომელიც ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მიმდინარეობას წარმოადგენს (შდრ. დესკრიფციული ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლის კ. ლ. პაიკის შრომის სათაური „ენა მის მიმართებაში ადამიანის ქცევის სტრუქტურის ერთიან თეორიასთან“⁷⁰). რაც შეეხება ფსიქოლინგვისტიკას, ის შედარებით გვიან ჩამოყალიბდა და მისი ფუძემდებელი ჩ. ოზგუდი კონფერენციის აქტიური მონაწილე იყო და ავტორი მოხსენებისა: „ენობრივი უნივერსალები და ფსიქოლინგვისტიკა“⁷¹.

ამგვარად, მომიჯნავე მეცნიერებებთან ენათმეცნიერების მიმართების საკითხი არსებითად ახლებურად არ დასმულა კონფერენციაზე, ოღონდ ეს კია, რომ უფრო ადრე ამერიკულ ენათმეცნიერებაში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა იმ პრობლემებს, რომლებსაც საკუთრივ ენის სტრუქტურის აღწერის გარეთ გავყავართ. ბოლო წლებში კი პრობლემატიკა გაფართოვდა და სხვა მეცნიერებებთან ურთიერთობის საკითხიც უფრო კონკრეტულად დადგა.

ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ 1961 წ. კონფერენცია ამოსავალი პრინციპების თვალსაზრისით არ დაპირისპირებია დესკრიფციულ ენათმეცნიერებას. ის ახალი ტენდენციები, რომლებმაც ამ კონფერენციაზე იჩინა თავი, დამახასიათებელია დღევანდელი ამერიკული ენათმეცნიერებისათვის საერთოდ. ამიტომ ჩვენ არ ვფიქრობთ,

⁶⁹ Joseph B. Casagrande, Language Universals in Anthropological Perspective. «Universals of Language», გვ. 279—298.

⁷⁰ K. L. Pike, Language in Relation to a Unified Theory of the Structure of Human Behavior. 1967, II edit.

⁷¹ Charles E. Osgood, Language Universals and Psycholinguistics, გვ. 299—328.

თითქოს ლინგვისტურ უნივერსალიათა ძიება უპირისპირდებოდეს სტრუქტურალიზმს⁷² (მხედველობაში გვაქვს დესკრიფციული ლინგვისტიკა მისი ინდუქტივიზმით, ბიჰევიორიზმითა და ა. შ.).

„მემორანდუმის“ სიტყვები, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ენობრივი უნივერსალები ქმნიან ენათმეცნიერების ყველაზე ზოგად კანონებს, რითაც უპირისპირდებიან სპეციფიკური დესკრიფციული კვლევის⁷³ მეთოდსა და მიმართულებას, ჩვენ გვესმის არა როგორც დესკრიფციულ ენათმეცნიერებასთან არსებითი და პრინციპული დაპირისპირება, არამედ როგორც იმის გახაზვა, რომ დესკრიფციული ძიებანი ცალკეულ ენებს აღწერენ და მათ სპეციფიკურ კანონებს ადგენენ, უნივერსალები კი ენათა ზოგად კანონებს გამოხატავენ. ამ მხრივ მათ შორის მართლაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა და ისიც ფაქტია, რომ უნივერსალიათა ძიება ამერიკაში ბოლო წლებში გაიშალა. ამაზე მიუთითებს თავის მოხსენებაში რ. იაკობსონიც, რომლის სიტყვითაც 40-იან წლებში ამერიკელი ენათმეცნიერები სკეპტიკურად უყურებდნენ ენათა ყოველგვარ ტიპოლოგიურ შეპირისპირებას⁷⁴. ეგვევ მოვლენა უნდა ჰქონდეს მხედველობაში ოზგუდსაც, როდესაც ის ლაპარაკობს რეეოლუციის შესახებ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ლინგვისტიკა ენის აღწერის უბრალო მეთოდიდან იქცევა ენის შესახებ ქეშმარიტ მეცნიერებად⁷⁵.

მართლაც, ფართო მასშტაბით უნივერსალიათა ძიება ახალ ეტაპს წარმოადგენს ენათმეცნიერებაში. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სინქრონიული უნივერსალები ემყარება ენათა აღწერითი კვლევის შედეგებს და ამდენად ისინი შეამზადა აღწერითი ენათმეცნიერების განვითარებამ. ამასთან სხვადასხვა ენის სტრუქტურული შედარება იმთავითვე ივარაუდებოდა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ ლ. ბლუმფილდის მოძღვრებაში. აქ საკამათო მხოლოდ ის შეიძლებოდა ყოფილიყო, რამდენად მზადაა ნიადაგი ასეთი კვლევისათვის.

1961 წ. კონფერენციის შემდეგ ენობრივ უნივერსალიათა ძიებანი კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა სხვადასხვა ქვეყანაში. ჩამოყალიბდა

⁷² სხვათვალაზრისზე დგას ვ. ზეეგინცევი, შტრ. В. А. Звегинцев, Теоретическая и прикладная лингвистика, Лингвистика универсалий (универсализм), გვ. 295—297.

⁷³ და არა დესკრიფციული ენათმეცნიერების. Memorandum. «Universals of Language», გვ. XV. შტრ. ვ. ზეეგინცევი, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

⁷⁴ Roman Jakobson, Implications of Language Universals for Linguistics, გვ. 264.

⁷⁵ Charles E. Osgood, Language Universals und Psycholinguistics, გვ. 299.

რიგი უნივერსალური კანონი ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში... უნდა აღინიშნოს, რომ ამ უნივერსალიათა მეტი წილი სინქრონიულია. ამასთან თავიანთი შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით ისინი ტოლფასოვანი როლი არიან. ბევრი მათგანი მეტისმეტად ტრივიალურია (ასეთია, მაგ., „ყველა ენას აქვს ფონემები“, „ყველა ენას აქვს ხმოვნები“, „ყოველი ენის ბგერითი სისტემა შეიძლება გამოიხატოს დისტინქციური თვისებებით“⁷⁶, „ყოველი ენა განიცდის ცვალებადობას“⁷⁷, „ყოველ ენას აქვს საკუთარი სახელები“⁷⁸ და ა. შ.), ზოგი ამთავითვე ექვს აღძრავს (მაგ., ზემომოყვანილი უნივერსალია: „თუ ენას აქვს ორობითი კატეგორია, მას ექნება აგრეთვე მრავლობითის კატეგორია“ ეწინააღმდეგება მეცნიერებაში აღიარებულ თვალსაზრისს, რომ ორობითი რიცხვი, როგორც კონკრეტული, უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე აბსტრაქტული მრავლობითი რიცხვი. საექვეო ჩანს აგრეთვე უნივერსალია „ძირითადი ლექსიკის ცვალებადობის ტემპი დროში მუდმივია“⁷⁹, რასაც მ. სვოდემის გლოტოქრონოლოგიური მეთოდი ემყარება. ამ ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ ამ პოსტულატზე დამყარებულმა მეთოდმა ვერ გაამართლა მოლოდინი). ზოგი უნივერსალია კი შედარებით უფრო საყურადღებოა და ისეთ ენობრივ მოვლენებს ან მათ შორის მიმართებებს ასახავს, რომლებზეც აქამდე ყურადღება არ მახვილდებოდა, ზოგი კი შენიშნულიც არ ყოფილა (მაგ., „თუ ენას აქვს ფლექსია, მას უეჭველად ექნება დერივაცია“⁸⁰. „ენას არასოდეს არა აქვს სქესის მეტი კატეგორიები არამხოლოდობით რიცხვში, ვიდრე მხოლოდობითში“⁸¹. „წინდებულიან ენებში ნათესაობითი ბრუნვა თითქმის ყოველთვის მოსდევს მმართველ სახელს, მაშინ როდესაც თანდებულიან ენებში ნათ. ბრ. თითქმის ყოველთვის სახელის წინაა“. „ენები, რომლებშიაც სკარბობს რიგი VSO (ზმნა, სუბიექტი, ობიექტი — თ. შ.), თითქმის ყოველთვის წინდებულიანი ენებია“⁸²). სამწუხაროდ, უკანასკნელი ტიპის

⁷⁶ Memorandum, გვ. XVIII.

⁷⁷ იქვე, გვ. XXIII.

⁷⁸ Charles F. Hockett, The Problem of Universals In Language, 83-21.

⁷⁹ Memorandum, გვ. XXIII, შტრ. J. H. Greenberg, Some Universals of Grammar with Particular Reference to the Order of Meaningful Elements. «Universals of Language», გვ. 94.

⁸⁰ იქვე, გვ. 93.

⁸¹ იქვე, გვ. 95.

⁸² J. Greenberg, დასახ. ნაშრ., გვ. 78. ფონოლოგიასა და მორფოლოგიაში სხვადასხვა ავტორის მიერ დადგენილ უნივერსალიათა სია ფორმალისტული სახით მოცემული აქვს ბ. უსპენსკის ნაშრომში: Структурная типология языков, გვ. 186—222.

უნივერსალიათა რიცხვი ჯერჯერობით ძალიან ცოტაა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად მათი რაოდენობა გაიზრდება.

4. ზოგადი ანუ უნივერსალური გრამატიკის საკითხი. ენათმეცნიერები, რომლებიც ენობრივ უნივერსალიებს იკვლევენ, ხშირად სვამენ საკითხს ზოგადი ანუ უნივერსალური გრამატიკისა და ფონოლოგიის შექმნის შესახებ. რ. იაკობსონის აზრით, მხოლოდ ამჟამად აქვს ენათმეცნიერებას თავის განკარგულებაში აუცილებელი მეთოდოლოგიური წინამძღვრები ადეკვატური უნივერსალური მოდელის შესაქმნელად⁸³. ბ. უსპენსკიც თვლის, რომ ტიპოლოგიას მიეყვართ უნივერსალური გრამატიკის პრობლემამდე. ტიპოლოგიის საფუძველზე შეიძლება შევქმნათ ყველა ენისათვის საერთო სისტემა; ხოლო დამატებითი წესების შემოტანით აიკვება კონკრეტულ ენათა დამახასიათებელი ზესისტემები⁸⁴; მაგრამ მკვლევრები უფრო კონკრეტულად არ მიუთითებენ, თუ როგორ უნდა შეიქმნეს ეს ზოგადი გრამატიკა და რა ხასიათისა იქნება იგი.

ამ საკითხზე მსჯელობისას პირველ რიგში მოგვაგონდება ფილოსოფიური ზოგადი გრამატიკები, რომლებიც ჯერ კიდევ ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე იქმნებოდნენ. სწორედ მათ და აგრეთვე შემდეგდროინდელ ანალოგიურ გამოკვლევებს მიიჩნევს უნივერსალურ გრამატიკათა წინამორბედებად ზოგი ენათმეცნიერი.

მხოლოდ რამდენიმე ფილოსოფიურ ნაშრომში იყო მოცემული ცდა ჩაეყარათ საფუძველი უნივერსალური გრამატიკისათვის, — წერს რ. იაკობსონი და ასახელებს იან ამოს კომენიუსის „გლოტოლოგიას“, XVII—XVIII საუკუნეთა რაციონალურ გრამატიკებს, ჰუსერლისა და მარტის ფილოსოფიურ შრომებს და, ბოლოს, სიმბოლური ლოგიკის თანამედროვე გამოკვლევებს⁸⁵.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ბ. უსპენსკიც, რომელიც თვლის, რომ უნივერსალური გრამატიკის პრობლემა აინტერესებდათ ყველა დროის ენათმეცნიერებს(!) კომენიუსიდან, ლაიბნიციდან და პორ-როიალის გრამატიკის ავტორებიდან მოყოლებული კოპენჰაგენის სტრუქტურალიზმამდე⁸⁶.

⁸³ R. Jakobson, Implications of Language Universals for Linguistics, 33-264.

⁸⁴ Б. А. Успенский, Структурная типология языков, гл. 17—18.

⁸⁵ R. Jakobson, დასახ. ნაშრ., გვ. 275.

⁸⁶ Б. А. Успенский დასახ. ნაშრ., გვ. 17.

ფილოსოფიური ზოგადი გრამატიკის ტიპობრივ სახეს წარმოადგენს პორ-როიალის გრამატიკა, ამიტომ საკითხის გასარკვევად შეიძლება სწორედ მასზე შეეჩერდეთ. ეს გრამატიკა ემყარება პრინციპს, რომ რამდენადაც ენა აზროვნებას გამოხატავს, ამდენად გრამატიკაც ისევე ერთი და ზოგადი უნდა იყოს ყველა ენისათვის, როგორც ერთიანია ლოგიკა აზროვნებისათვის. პორ-როიალის გრამატიკის ავტორების წინაშე არ იდგა საკითხი ენობრივ მრავალფეროვნებაში საერთო კანონზომიერებათა დადგენის შესახებ, ისინი, საერთოდ, ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ ამ ემპირიულ მრავალფეროვნებას. მათთვის ამოსავალი იყო ლოგიკის კატეგორიები, რომელთა შესაბამისად უნდა ჩამოყალიბებულიყო ენობრივი კატეგორიები.

ამჟამად, რომ ეს კვლევის სრულიად სხვა მიმართულებაა, ვიდრე ის, რომელიც 1961 წ. სიმპოზიუმზე იყო წარმოდგენილი. თანამედროვე ენათმეცნიერებაში ფილოსოფიური ზოგადი გრამატიკების მიერ გაკვალულ გზას მიჰყვება კოპენჰაგენის სტრუქტურალიზმი, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, ენობრივ კატეგორიებს საფუძვლად ლოგიკურს უდებს. ეს ის სკოლაა, რომელიც უარყოფს ინდუქტივიზმს ენათმეცნიერებაში, არ აღიარებს ისტორიზმის საკიროებას, უარს ამბობს ენობრივ სუბსტანციათა შესწავლაზე. ამ სკოლის თვალსაზრისი მიუღებელი უნდა იყოს იმ მიმდინარეობათათვის, რომლებსაც უნივერსალური კანონები ენობრივი მასალიდან გამოჰყავთ და არა აზროვნებითი კატეგორიებიდან.

რომ რ. იაკობსონის ზემომოყვანილი შეხედულება არ გამოხატავს კონფერენციის მონაწილეთა საერთო თვალსაზრისს, ეს თვით მისი მომდევნო მსჯელობიდანაც ჩანს. იგი აღნიშნავს, რომ ენათმეცნიერებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა უგულებელყონ ძველ და თანამედროვე ფილოსოფოსთა შინაარსიანი კონცეფციები იმ მოსაზრებით, რომ თითქოს ამ ლიტერატურაში წარამარა გვხვდებოდეს აპრიორული მტკიცებანი და უყურადღებობა იმ რეალობათა მიმართ, რომელთა შემოწმება შესაძლებელია⁸⁷.

როგორც ჩანს, კონფერენციაზე ამ უკანასკნელი შეხედულების მომხრენიც იყვნენ. მართლაც, სწორედ ეს თვალსაზრისი ჩანს ჯ. გრინბერგის „წინასიტყვაობაში“. როდესაც ეს მკვლევარი გახსნავს, რომ დიდმა ემპირიულმა მასალამ, რაც დაგროვდა ენათმეცნიერებაში, მოამზადა ნიადაგი ფართო განზოგადებათათვის, იგი განაგრძობს: ეს ცდები არ უნდა გავაიგივეოთ უფრო ადრინდელ ცდებთან, რომლებიც ემსახურებოდნენ ნორმატიული ლოგიკის მიერ გამოყვანილი, სავალ-

⁸⁷ R. Jakobson, დასახ. ნაშრ., გვ. 276.

დებულოდ მიჩნეული აზროვნების კატეგორიებიდან აპრიორულად ჩამოყალიბებულ კატეგორიებს⁸⁸.

საყურადღებოა ვ. ზეეგინცევის მოსაზრებაც: უნივერსალიები, რომლებიც შეიძლება დავინახოთ ენის სემიოტიკური და მათემატიკური შესწავლისას გამოყენებული ფორმალური აპარატის კატეგორიებში, აგრეთვე პრინციპულად განსხვავდებიან იმ უნივერსალიათაგან, რომლებსაც დღეს ენათმეცნიერები ეძიებენ; პირველთაგან განსხვავებით მეორენი ლინგვისტური უნივერსალიები უნდა იყვნენ, ე. ი. ისინი გარეგანი კი არ უნდა იყვნენ ენის მიმართ, არამედ თვით ენისაგან უნდა იქნენ გამოყვანილი⁸⁹.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ფილოსოფიური ზოგადი გრამატიკების აპრიორული უნივერსალური დებულებები და ენათმეცნიერებაში ენობრივ ზოგად კანონთა ძიებანი (მიუხედავად იმისა, ან იქნებ, განსაკუთრებით იმიტომაც, რომ ენათმეცნიერების ზოგი მიმდინარეობა შეიძლება სწორედ იმ ფილოსოფიურ გრამატიკათა პოზიციებზე იდგეს). ფილოსოფიურ გრამატიკებს არც აინტერესებთ და არც სათანადო აპარატი მოეპოვებათ იმისათვის, რომ ენობრივ მასალაზე დამყარებით აწარმოონ განზოგადდებიანი. ისინი ეფუძნებიან მკდარ პოსტულატს, თითქოს არსებობდეს ურთიერთცალსახა შესატყვისობა ენობრივსა და ლოგიკურ კატეგორიებს შორის. უნივერსალურ ძიებებს ენათმეცნიერებაში ფილოსოფიურმა გრამატიკებმა კი არ მოუშადა ნიადაგი, არამედ ენათმეცნიერების შინაგანმა განვითარებამ. კერძოდ, ცალკეული ენებისა და ენათა ჯგუფების აღწერითმა და ისტორიულმა ანალიზმა დასვა დღის წესრიგში შემდგომ განზოგადებათა საკითხი.

მაინც პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, შეიძლება თუ არა ენობრივ უნივერსალიებზე დამყარებით შევქმნათ ზოგადი გრამატიკა?

მთელი სირთულე ის არის, რომ ენებში არა მხოლოდ საერთო, ზოგადი კანონები შეინიშნება, არამედ მეტად არსებითი ხასიათის განსხვავებებიც. ეს განსხვავებები ზოგჯერ გარკვეულ ტიპებში თავსდება და ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შესაძლებლობას გვაძლევს. სხვა შემთხვევებში კი ტიპოლოგიის ფარგლებსაც კი სცილდება, იმდენად მრავალფეროვანია ენობრივ ერთეულთა კომბინაციების შესაძლებლობანი. ბსეთ ვითარებაში სრულიად აშკარაა, რომ შეუძლებელია

⁸⁸ J. Greenberg, Introduction, გვ. XI.

⁸⁹ В. А. Звегинцев, Теоретическая и прикладная лингвистика. Лингвистика универсалий (универсализм), გვ. 297.

ენათა მრავალფეროვნების გამოხატვა ერთიანი ფორმულებით, შეუძლებელია შეიქმნეს ერთიანი სტრუქტურის მქონე ზოგადი გრამატიკა და ფონოლოგია, რომელსაც თანაბარი ძალა ექნება ყველა ენის მიმართ.

ამ თვალსაზრისით, ეფიქრობთ, დაზუსტება ესაჭიროება „მემორანდუმში“ გამოთქმულ აზრს: „ყველა ენა ერთი და იმავე მოდელის მიხედვით არის შექმნილი“. თუ ამ მოდელს საფუძვლად მხოლოდ ისეთ უნივერსალიებს დაუდებთ, როგორცაა: „ყველა ენას აქვს ფონემები“, „ყოველ ენაში გაირჩევა ფორმა და შინაარსი“ და ა. შ., ისეთ მოდელს მივიღებთ, რომელიც ენათა კვლევას მნიშვნელოვანს ვერაფერს მისცემს. ხოლო თუ ენობრივი მასალის სრულად გათვალისწინებას მოვისურვებთ, აქ ზოგადი კანონების გვერდით იმდენი სპეციფიკური შეგვხვდება, რომ ერთიანი გრამატიკული მოდელის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელი გახდება.

მაინც ჩვენ ეფიქრობთ, რომ ზოგადი გრამატიკა შეიძლება შეიქმნეს სპეციფიკური გაგებით. თუ ცალკეული ენის აღწერა ამ ენის კონკრეტულ გრამატიკას მოგვცემს, ზოგადი გრამატიკა იქნება ზოგადი ენათმეცნიერების ნაწილი, რომელშიაც წარმოდგენილი იქნება როგორც ენათა სტრუქტურის საერთო კანონზომიერებანი, ისე სხვადასხვა ენობრივი კატეგორიის გამოხატვის ძირითადი ტიპები და, საერთოდ, ის საკითხები, რომლებიც ჩნდება მრავალი ენის ტიპოლოგიური შედარებისას. ამთავითვე ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთი გრამატიკა არ მოერგება არც ერთ კონკრეტულ ენას, მაგრამ რამდენადაც ის გამოყოფს და განაზოგადებს კონკრეტულ ენათა კვლევის დროს წამოჭრილ ზოგად გრამატიკულ საკითხებს, ამდენად მისი გათვალისწინება საყურადღებო იქნება კონკრეტულ ენათა შესწავლისთვისაც.

5.1. ენათა ტიპოლოგიური შედარება და ტიპოლოგიური კლასიფიკაციები. აქამდე ჩვენ ვამახვილებდით ყურადღებას ისეთ ზოგად ენობრივ კანონებზე, რომელთაც მართლაც საყოველთაო ან თითქმის საყოველთაო ხასიათი აქვთ. მაგრამ ენებში გვხვდება მეორე რიგის ზოგადი მოვლენებიც. ხშირად შედარება გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს მრავალრიცხოვანი და მეტად მრავალფეროვანი ენები ამა თუ იმ სტრუქტურული ნიშნის მიხედვით შედარებით მცირერიცხოვან ტიპებს ქმნი-

ან. ასეთ შემთხვევებში შედარება იძლევა საფუძველს ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის⁹⁰.

ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პირველ ნიშნულს ენათმეცნიერებაში წარმოადგენს ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც თავისი ხნოვანებით არ ჩამოუვარდება ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას. ტიპოლოგიურია ნ. მარისა და ი. მეშჩანინოვის სტადიური კლასიფიკაციები, ედ. სეპირის კონცეფტური კლასიფიკაცია, პრალის სკოლის ენათა კავშირები და სხვ.

ენათა კლასიფიკაციას, საერთოდ, შესაძლებელია საფუძველად დაედოს ენობრივი მასალა ან ენობრივ ფაქტთა სტრუქტურა და ფუნქციები. მასალობრივ ერთიანობას (ბგერითს შესატყვისობებს) ემყარება ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. ტიპოლოგიური კლასიფიკაცია კი აჩვენებს ენებს იმ სტრუქტურულ ან ფუნქციურ თავისებურებათა საფუძველზე, რომლებიც გამოვლინდება ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, სემანტიკაში... სტრუქტურული ნიშნების მიხედვით არის გამოყოფილი მორფოლოგიური კლასიფიკაცია, წინადადების კონსტრუქციითა სინტაქსური კლასიფიკაცია და სხვ. ფუნქციურია არა მხოლოდ სიტყვათა სემანტიკური კლასიფიკაცია, არამედ კლასიფიკაცია გრამატიკული კლასების მიხედვით, ედ. სეპირის კონცეფტური კლასიფიკაცია, სადაც ენები ჩგუფდება ფორმალურ ანუ გრამატიკულ ელემენტთა ფუნქციების მიხედვით (გამოიყოფა: I. ძირითადი, კონკრეტული ცნებები, II. დერივაციული ცნებები, III. კონკრეტულ-რელაციური ცნებები, IV. წმინდა რელაციური ცნებები. მათ კომბინაციითა საფუძველზე წარმოებს ენათა კლასიფიკაცია)⁹¹.

ანალიზის ყოველ დონეზე კლასიფიკაციას შეიძლება საფუძველად დაედოს სხვადასხვა სტრუქტურული ან ფუნქციური ნიშანი, ან არადა

⁹⁰ ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციები და ტიპოლოგიური ძიებანი ენათმეცნიერების არსებობის მთელ მანძილზე იქცევა მეტ-ნაკლებ ყურადღებას (საბჭოთა კავშირში ტიპოლოგიურ ძიებებს მიმართავენ ნ. მარის მიმდევრები მის საენათმეცნიერო თეორიაზე დამყარებით). უკანასკნელ ათეულ წლებში ტიპოლოგიური კვლევისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა ყველგან. ამ საკითხზე იმდენი სამეცნიერო ლიტერატურა დაგროვდა, რომ მხოლოდ კრებულებისა და მონოგრაფიების ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა.

⁹¹ Эд. Сепир, Язык. Введение в изучение речи. 1934. ედ. სეპირის კლასიფიკაცია გადაამუშავა გ. გრინბერგმა, რომელმაც სეპირის მიერ გამოყოფილ მახასიათებლებს რაოდენობრივი გამოხატულება მისცა. იხ. Дж. Гринберг, Квантитативный подход к морфологической типологии языков. კრებულში: „Новое в лингвистике“, вып. III, 1963, გვ. 60—94.

ურთიერთგაპირობებულ ნიშანთა ერთობლიობა. მაგ., მორფოლოგიაში საკლასიფიკაციო კრიტერიუმად შეიძლება მოგვევლინოს სიტყვათა სტრუქტურა, სიტყვათა გრამატიკული კლასები, მეტყველების ნაწილები, სახელთა ფორმაცვალებადობა, ზმნის ესა თუ ის კატეგორია და ა. შ. სხვადასხვა კრიტერიუმზე დამყარებული კლასიფიკაციები ერთმანეთს არ ემთხვევა: ენები, რომლებიც ერთი რომელიმე კრიტერიუმის მიხედვით ერთ ჯგუფში ერთიანდებიან, სხვა ნიშნის თვალსაზრისით სხვადასხვა ტიპში შეიძლება მოექცნენ. მაგ., ქართულ ენას აქვს ბრუნვათა მდიდარი სისტემა, მაშინ როდესაც აფხაზურში სახელები არ იბრუნვის, მაგრამ სიტყვის აგებულების პრინციპის თვალსაზრისით ორივე ენა აგლუტინაციურ ტიპს განეკუთვნება, თუმცა სიტყვაში გრამატიკულ ელემენტთა სინთეზის ხარისხით ეს ენები კვლავ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ქართული ენის სიტყვა სინთეზურია. აფხაზურისა კი — პოლისინთეზური.

ტიპების სხვადასხვა რაოდენობა და ამ ტიპებში ენათა სხვადასხვაგვარი განაწილება შეინიშნება სხვადასხვა დონეზე წარმოებულ კლასიფიკაციებშიაც, თუ საქმე არა გვაქვს ურთიერთგაპირობებულ ნიშნებთან. ამის ნიმუშია ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია, რომელშიაც 4 ტიპს გამოყოფენ (იზოლირებული, აგლუტინაციური, ფლექსიური, ინკორპორაციული) და წინადადების კონსტრუქციათა მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც, ი. ი. მეშჩანინოვის მიხედვით, 7 ტიპისაგან შედგება (სიტყვა-წინადადება, უობიექტო, პოსესიური, ერგატიული, აფექტური, ლოკატიური, ნომინატიური წყობა წინადადებისა)⁹².

აგლუტინაციური თურქული და იბერიულ-კავკასიური ენები მორფოლოგიური კლასიფიკაციის ერთსა და იმავე კლასში ხვდებიან, მაგრამ სინტაქსურ კლასიფიკაციაში ისინი სხვადასხვა ჯგუფში აღმოჩნდებიან, ვინაიდან ერგატიული კონსტრუქცია, რომელიც სპეციფიკურია იბერიულ-კავკასიურ ენათათვის, არ ახასიათებს თურქულ ენებს. მეორე მხრივ, თუ თურქული ენები უპირისპირდებიან ინდო-ევროპულს, როგორც აგლუტინაციური ენები ფლექსიურს, სინტაქსური თვალსაზრისით ისინი ერთიანდებიან ნომინატიური კონსტრუქციის წინადადების ტიპში.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ თუმცა ტიპოლოგიური კლასიფიკაციები ენათა სისტემებს ემყარებიან, ისინი სისტემებს მთლიანად კი ვერ მოიცავენ, არამედ აჯგუფებენ ენებს სისტემათა ცალკეუ-

⁹² И. И. Мешанинов, Общее языкознание. К проблеме стадильности в развитии слова и предложения. 1940.

ლი ან ერთმანეთთან შინაგანად მკიდროდ დაკავშირებული რგოლების მიხედვით.

ყოველ ცალკე აღებულ კლასიფიკაციაში ტიპების რაოდენობა არც თუ დიდია. ეს მოვლენა ამგვარად აიხსნება: ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატავად ენებს სხვადასხვა საშუალებები აქვთ, მაგრამ ეს საშუალებანი განსაზღვრულია. მაგ., საგნებს შორის მიმართებათა გადმოსაცემად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აფიქსაცია, შინაგანი ფლექსია, სიტყვათა განლაგება, რედუქლიკაცია, დამხმარე სიტყვები, ინტონაცია, მახვილი... ამა თუ იმ ენის მიერ გამოყენებულ საშუალებათა ერთობლიობა განსაზღვრავს მის მორფოლოგიურ ტიპს. არ არის გასაკვირი, რომ სხვადასხვა ენაში დამოუკიდებლად ენთარდება მიმართებათა გამოხატვის ერთნაირი ტიპები. იგივე შეიძლება ითქვას სახელთა გრამატიკული კლასების შესახებ, რომლებიც მეტ-ნაკლებად ასახავენ საგანთა დაყოფას გარკვეული პრინციპის მიხედვით. ასეთია დაყოფა სულიერად და უსულოდ, სქესების მიხედვით, ადამიანისა და ნივთის კლასების, საგანთა ფორმის მიხედვით და ა. შ. აქაც ბუნებრივია, თუ ერთი და იგივე პრინციპი დამოუკიდებლად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ენაში.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ კლასიფიკაციებში ტიპების რაოდენობა არ არის დიდი, ენები მთლიანად, შესაძლებელია, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან როგორც სტრუქტურული, ისე ფუნქციური თვალსაზრისით. ეს გამომდინარეობს ზემოაღნიშნული ფაქტიდან, რომ სხვადასხვა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში ენები სხვადასხვაგვარად ნაწილდებიან და, მაშასადამე, სხვადასხვა კლასიფიკაცია არ ემთხვევა ერთმანეთს. ისინი რომ ერთმანეთზე დავაფენოთ, მივიღებთ ენათა მრავალ კლასს, რომლებიც გადაკვეთენ ერთმანეთს ან გახლეჩილი არიან. ხოლო თუ ორ ან მეტ ენას მთლიანად შევადარებთ ერთმანეთს, მაშინ მათ სტრუქტურულ და ფუნქციურ თავისებურებათა მთელი ერთობლიობა მრავალრიცხოვან განსხვავებებს გამოავლენს (სხვა ნიშნების მიხედვით მსგავსებათა გვერდით).

ზემოთქმულთან დაკავშირებით უნდა გავმიჯნოთ გარკვეული ნიშნის ან ნიშანთა ერთობლიობის მიხედვით ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ისეთი შემთხვევებისაგან, როდესაც ვახდენთ სხვა პრინციპის საფუძველზე უკვე გამოყოფილ ენათა ტიპოლოგიურ დახასიათებას. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ტიპოლოგიურად აღწერთ ენათა მონათესავე ჯგუფებს ან გეოგრაფიულად მეზობელ ენებს, ასეთი აღწერა ერთდროულად სხვადასხვა ტიპოლოგიური ნიშნის მიხედვით წარმოებს. ამ მიზნისათვის ყველა ნიშანი გამოდგება, მიუხედავად იმისა, ურთიერთგაპირობებული არიან ისინი თუ არა. ასეთი

შედარება დასაშვებია არა მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ენებისა, არამედ ნებისმიერი ორი ან მეტი ენისა. ცხადია, იგი ვერ მოგვცემს ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შექმნის შესაძლებლობას.

5.2. ენათა კლასიფიკაცია ძირითადი პრინციპის თვალსაზრისით შეიძლება იყოს ან დიაქრონიული ან სინქრონიული. პირველი ასახავს ენათა შორის ისტორიულ ურთიერთობებს, მეორე კი აჯგუფებს ენებს მათ ისტორიულ ურთიერთობათა გაუთვალისწინებლად.

დიაქრონიულია ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია, რომელიც ემყარება დივერგენციის პროცესებს ენათა განვითარებაში.

დიაქრონიული მომენტები ჰქონდათ მხედველობაში, როდესაც პრალის საენათმეცნიერო წრეში წამოაყენეს ენათა კავშირების იდეა: ენათა კავშირები ცხადდებოდა კონვერგენციის პროცესის, მეზობელ ენათა ურთიერთგავლენისა და დაახლოების შედეგად. მაგრამ ენობრივი კავშირები სინამდვილეში გამოიყოფოდა მეზობელ ენათა შორის სტრუქტურულ მსგავსებათა დადგენის საფუძველზე ამ მსგავსებათა წარმოშობის მიზეზებისა და გზების გარკვევის გარეშე. ამავე დროს არავინ უარყოფდა, რომ სტრუქტურულ მსგავსებათა მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ კონვერგენცია. ისტორიზმის პრინციპის არასაკმარისად გათვალისწინებამ ენათა კავშირების თეორიის დამუშავებისას პრალის საენათმეცნიერო წრეში გამოიწვია ის, რომ მოიშალა განსხვავება დივერგენციისა და კონვერგენციის პროცესებს შორის. მაგ., ინდო-ევროპულ ენათა ოჯახი ნ. ტრუბეტკოიმ მიიჩნია კავშირად, ე. ი. კონვერგენციის და არა დივერგენციის შედეგად⁹³, ხოლო რ. იაკობსონმა ენათა ოჯახი გამოაცხადა ენათა კავშირის ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევად⁹⁴. უნდა დავეთანხმოთ ა. მეიეს რეცენზიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ რ. იაკობსონის წიგნში „ევრაზიის ენათა კავშირი“ პრალის სკოლის ტენდენციათა შესაბამისად ფაქტები სინქრონიულ ასპექტშია წარმოდგენილი⁹⁵.

ჩვენი აზრით, ენათა კავშირების გამოყოფის ცდებმა პრალის წრეში მარცხი განიცადა. ამ მარცხის ერთ-ერთი მიზეზი იყო შინაგანი წინააღმდეგობა განზრახვასა, რომელიც დიაქრონიულ მიდგომას მოითხოვდა, და რეალიზაციას შორის, რომელიც სინქრონიული აღმოჩნდა.

⁹³ N. S. Trubetzkoy, Gedanken über das Indogermanenproblem. «Acta Linguistica», v. 1, f. 2.

⁹⁴ R. Jakobson, Sur la théorie des Affinités phonologiques des langues.. «Actes du quatrième Congrès international de Linguistes». Copenhague. 1938, გვ. 50

⁹⁵ A n t o i n M e i l l e t, R. O. Jakobson. K charakteristike evrazijskovo jazikovovo sojuza. BSLP, t. 32, f. 3 (№ 97), გვ. 7.

გარდა ამისა, ივარაუდებოდა, რომ ენობრივ კავშირებს საფუძვლად დაედება მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ფონოლოგიურ მსგავსებათა ერთობლიობა (საერთო კულტურის სიტყვებთან ერთად). სინამდვილეში კი შეუძლებელი აღმოჩნდა ისეთი კლასიფიკაციის შექმნა, რომელიც ერთდროულად გაითვალისწინებდა სხვადასხვა ტიპოლოგიურ ნიშნებს. კავშირების მიხედვით კლასიფიკაციის შეუძლებლობის მთავარ მიზეზს, ჩვენი აზრით, ის წარმოადგენს, რომ ურთიერთგავლენა სხვადასხვაგვარად ხორციელდება ენათა თითოეულ წყვილში, რაც გამორიცხავს რაიმე ფართო დაჯგუფებათა შექმნის შესაძლებლობას.

ისტორიულ კლასიფიკაციად აცხადებდა ნ. მარი ენათა სტადიურ კლასიფიკაციას, რომელიც მიზნად ისახავდა დაედგინა ერთმანეთის მონაცვლე სტადიები ენათა განვითარებაში. მაგრამ ნ. მარმა ვერ შეძლო გამოეყვანა კრიტერიუმები სტადიებად ენების განაწილებისათვის. ფაქტობრივად ნ. მარის სტადიური კლასიფიკაციის სქემები ახალ კლასიფიკაციას კი არ წარმოადგენს, არამედ გენეალოგიური და მორფოლოგიური კლასიფიკაციების გაერთიანებას⁹⁶. გარდა იმისა, რომ ორი სხვადასხვა კლასიფიკაციის გაერთიანება ხელოვნურად ხდებოდა, ნ. მარის თეორია ერთიანი გლოტოგონიური პროცესის შესახებ, რაც საფუძვლად ედო სტადიურ კლასიფიკაციას, ვერ ასახავდა ენათა განვითარების რეალურ სურათს⁹⁷.

ა.მ. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციები უფრო ზშირად სინქრონიულია. ასეთია, მაგ., ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაცია, ედ. სეპირის კონცეფტური კლასიფიკაცია და სხვ. ისინი გარკვეულ ტიპებში აჯგუფებენ ერთდროულად არსებულ ენებს მათ ისტორიულ ურთიერთობათა გათვალისწინების გარეშე. გასული საუკუნის პირველი ნახევრის ენათმეცნიერთა ცდები, განეხილათ მორფოლოგიური ტიპები, როგორც ენათა განვითარების აღმავალი საფეხურები, მარცხით დამთავრდა. აღმოჩნდა, რომ მორფოლოგიური ტიპები აუცილებლობით არ ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ არ არსებობს საფუძველი მივიჩნიოთ რომელიმე ტიპი (მაგ., ფლექსიური) უფრო განვითარებულად და სრულყოფილად, ვიდრე სხვა ტიპები (მაგ., აგლუტინაციური ან იზოლირებული). გამოდის, რომ მორფოლოგიურ ტიპთა განსხვავებანი ენების სხვადასხვაგვარ გამომხატველობით საშუალებათა ილუსტრაციას წარმოგვიდგენს.

⁹⁶ Н. Я. Марр, О происхождении языка. 1926. ИР, т. II, მიხვე, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком. 1928, ИР, т. II.

⁹⁷ დაწერილებით ენათა სხვადასხვა კლასიფიკაციების შესახებ იხ. ჩვენს—ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, 1959.

ეს სრულიადაც არ მოასწავებს იმას, თითქოს ტიპოლოგიური კლასიფიკაცია არ საჭიროებდეს ისტორიულ განხილვას. ტიპოლოგიური კლასიფიკაციის დროს სინქრონიული მიდგომით, ე. ი. ტიპების დადგენითა და მათი აღწერით დაკმაყოფილება ისევე გაუმართლებელია, როგორც გაუმართლებელია საერთოდ ენათა მეცნიერული შესწავლის დაყვანა მათ აღწერით ანალიზამდე. არ არის საკმარისი ვიცოდეთ, ენათა რა ტიპები გამოიყოფა ამა თუ იმ კრიტერიუმის თვალსაზრისით. აუცილებელია ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ინტერპრეტაცია, კერძოდ, იმის გარკვევა, თუ რით აიხსნება კლასიფიკაციაში წარმოდგენილ ენებს შორის მსგავსებები და ვანსხვავებანი. ამ საკითხთა გადაწყვეტა შეუძლებელია ისტორიული მიდგომის გარეშე.

ამგვარად, თავიანთი ბუნებით სინქრონიული ტიპოლოგიური კლასიფიკაციებიც საჭიროებენ ისტორიულ მიდგომას, რაც აუცილებელია გამოვლენილ ტიპებს შორის ურთიერთობათა და აგრეთვე დაჯგუფებულ ენებს შორის მსგავსებათა და განსხვავებათა ასახსნელად.

6.1. ენობრივ ტიპებს შორის მსგავსება-ვანსხვავებათა შესახებ.
ენობრივ ტიპებს შორის განსხვავებები შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით იყოს გამოწვეული:

ა) როგორც უკვე აღნიშნული იყო, გარკვეულ შემთხვევებში ისინი წარმოდგენენ ადამიანური ენის გამომხატველობით საშუალებათა მრავალფეროვნების გამოვლენას და, მაშასადამე, წარმოიშებიან სხვადასხვა ენებში დამოუკიდებლად. ამის ნიმუშია ზემოხსენებულ მორფოლოგიურ ტიპებს გარდა სახელთა გრამატიკული კლასების მიხედვით დაჯგუფებანი, ენათა ფონოლოგიური სისტემების ტიპები და ა. შ. მსგავს შემთხვევებში სხვადასხვა ტიპებს ან სხვადასხვა ტიპებში გაერთიანებულ ენებს შორის ისტორიული კავშირი არ არსებობს.

ბ) ენათა სხვადასხვა ტიპოლოგიური კლასები ქმნიან ერთიანი პროცესის განვითარების სხვადასხვა ეტაპს. ამის მაგალითები ზშირად გვხვდება მონათესავე ენებში, მაგრამ მათი არსებობა არაა გამორიცხული არც არამონათესავე ენებში. მაგ., იბერიულ-კავკასიურ ენებში შეინიშნება ზმნის უღვლილების სამი ტიპი: I კლასოვანი, როდესაც ზმნა იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით⁹⁸, II კლასოვან-პი-

⁹⁸ გაირჩევა ადამიანისა და ნითვის კლასები. ეს უკანასკნელი, რომელსაც განეკუთვნება ცხოველებიც, თავისი მხრივ, შეიძლება გაიყოს 2 კლასად. ხოლო ადამიანის კლასში შესაძლებელია გამოიყოს მამაკაცისა და ქალის აღნიშნული ქვეკლასები, რაც გვიანდელი რეინტერპრეტაციის შედეგია.

როვანი, როდესაც კლასის ფორმანტების გვერდით იხმარება პირის ნიშნებიც, და III პიროვანი, სადაც ზმნა იუღვლება მხოლოდ პირის მიხედვით. ეს სამი ტიპი წარმოადგენს სამ ერთმანეთის მომდევნო ეტაპს იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის უღვლილების განვითარებაში. პირველადია კლასოვანი უღვლილება, მეორეული — კლასოვანი-პიროვანი, მესამეული — პიროვანი⁹⁹. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ენებშიაც პიროვანი უღვლილება კლასოვანისაგან წარმოიშვა.

მეორე მაგალითს გვაწვდის გრამატიკული რიცხვის წარმოქმნა არამონათესავე ენებში. ბევრ ენაში არსებობს ორი გრამატიკული რიცხვი: მხოლობითი და მრავლობითი. მაგრამ არსებობს ენები, რომლებიც სამ რიცხვს განასხვავებენ: მხოლობითს, ორობითსა და მრავლობითს (მაგ., ბერძნული, ძველი სლავური), ზოგ ენაში კი ოთხი რიცხვია. აღიარებულია, რომ მხოლოდ მხოლობითისა და მრავლობითის დაპირისპირება უფრო გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე სამი ან ოთხი რიცხვის დაპირისპირება. ეს ტიპები ასახავენ ადამიანური აზროვნების განვითარებას კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ.

გ) ბოლოს, ენებში ტიპოლოგიური განსხვავებები წარმოიშვება ერთი და იმავე ამოსავალი სისტემის სხვადასხვაგვარი ცვალებადობის შედეგად. ეს მოვლენაც შეინიშნება როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებში.

ასეთი განსხვავების შემთხვევა გვხვდება ქართველურ ენათა ხმოვნების ფონოლოგიურ სისტემებში. სვანურის ფონოლოგიური სისტემა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ქართულისა და ზანურისა. ამ სირთულის ერთ-ერთი მიზეზია უმლაუტიანი ხმოვნები (ა, ო, უ, ზ, რ, ჟ), რომლებიც არ დასტურდება არც სალიტერატურო ქართულში, არც ზანურში. უმლაუტიანი ხმოვნები სვანურში წარმოიშვა უკანაენისმიერი ხმოვნების (ა, ო, უ) წინაენისმიერი ხმოვნებთან ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად¹⁰⁰. მაშასადამე, განსხვავებას წინ უსწრებდა ერთიანობა.

მეორე მაგალითი: ზმნის მესამე პირის სუბიექტი ქართველურ ენებში უფრო გვიან გაფორმდა, ვიდრე 1 და 2 პირის სუბიექტი. ეს პროცესი სხვადასხვაგვარად განხორციელდა ამ ენებში: სვანურში მე-

⁹⁹ Арн. Чикобава, Основные типы спряжения глаголов и их исторические взаимоотношения в иберийско-кавказских языках. «Доклады делегации СССР на XXV Международном конгрессе востоковедов», 1960.

¹⁰⁰ ა. შ ა ნ ი ძ ე, უმლაეტი სვანურში. „არლი“, 1925.

სამე პირი არამარკირებულია, ქართულმა და ზანურმა კი სუბიექტის მესამე პირის აღსანიშნავად გამოიყენეს სუფიქსაცია: არც ანომალიას ქმნის პირთა პრეფიქსული წარმოების საერთო სისტემაში. არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სხვა სისტემის, კერძოდ, ინდო-ევროპულ ენათა გავლენას, რამდენადაც ამ უკანასკნელთ პირთა სუფიქსური წარმოება ახასიათებთ¹⁰¹.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ მონათესავე ენათა შორის განსხვავებები რიგ შემთხვევაში სხვა ენათა გავლენის შედეგია.

თუ (ა) შემთხვევაში ისტორიული ურთიერთობა ენობრივ ტიპებს ან თვით ენებს შორის გამორიცხული იყო, (ბ) და (გ) შემთხვევებში, როგორც მაგალითებიდან ჩანს, შესაძლებელია საქმე გვექონდეს ენობრივი განვითარების პროცესში ტიპების ისტორიულ მონაცვლეობასთან ანდა კონკრეტულ ენებს შორის გარკვეულ ისტორიულ ურთიერთობებთან. ამ შემთხვევათა გამიჯვნა ზოგჯერ ძალიან ძნელია. ამასთან ცხადია, რომ მათი გამიჯვნა სრულიად შეუძლებელია შესატყვის ენათა ისტორიის გათვალისწინების გარეშე.

6.2. ენათა შორის ტიპოლოგიური მსგავსებებიც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული:

ა) ეს მსგავსებანი, შესაძლებელია, საერთო წარმომავლობის შედეგი იყოს, ვინაიდან მონათესავე ენები დიდხანს ინახავენ ფუძე-ენისაგან ნამემკვიდრე ზოგ ტიპოლოგიურ თვისებას.

ასეთ გამძლე თვისებებს განეკუთვნება სიტყვის აგებულების მორფოლოგიური პრინციპი. ის ფაქტი, რომ ინდო-ევროპული ენები ძირითადად ფლექსიურია, იბერიულ-კავკასიური კი — აგლუტინაციური, აიხსნება თითოეული დასახელებული ოჯახის ფუძე-ენის მორფოლოგიური აგებულებით. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევოლუციის ხანგრძლივ პერიოდში თვით ენის მორფოლოგიური ტიპიც შეიძლება მთლიანად შეიცვალოს. ამის შედეგად მონათესავე ენებში საწყისი ტიპოლოგიური მსგავსება ადგილს უთმობს სხვადასხვაობას. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ახალ ინდო-ევროპულ ენათა დეფლექსაცია სინთეზური წყობიდან ანალიზურზე გადასვლასთან ერთად¹⁰².

¹⁰¹ არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში. ენიკის მოამბე, 1940, ტ. V—VI, გვ. 15—16.

¹⁰² სწორედ ასეთი ცვალებადობის შესაძლებლობის გამო (და აგრეთვე იმიტომაც, რომ ერთნაირი სტრუქტურული ნიშნები დამოუკიდებლად წარმოიშვება არამონათესავე ენებში) სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსებანი ან განსხვავებანი ვერ წყვეტენ ენათა ნათ ესაობის საკითხს ვერც დადებითად და ვერც უარყოფითად.

მონათესავე ენებში ტიპოლოგიური მსგავსებანი ყოველთვის არ არის დასაბამიერი. გარკვეულ შემთხვევებში ისინი წარმოიშვება დიფერენციაციის შემდეგ, რაც ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას:

ა) ფუძე-ენაში მის დიფერენციაციამდე ჩაისახა გარკვეული ტენდენციები, რომლებიც შემდგომში ერთნაირად განხორციელდნენ მისგან წარმოშობილ მონათესავე ენებში.

ბ) რამდენადაც მონათესავე ენებს საფუძვლად უდევს ერთნაირი ამოსავალი სისტემა ფუძე-ენისა, მათში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვება ზოგი მსგავსი სტრუქტურული ნიშანი.

უკანასკნელ შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე იბერიულ-კავკასიურ ენებში გრამატიკულ კლასებთან მრავლობითი რიცხვის წარმოქმნისას. დასახელებულ ენათა უმრავლესობაში მრავლობით რიცხვში ხდება გრამატიკულ კლასთა სხვადასხვაობის ნეიტრალიზაცია ნივთთა კლასის ერთ-ერთი მაწარმოებლის გენერალიზაციის შედეგად¹⁶³. მაგრამ სხვადასხვა ენა, რომლებიც ამ ოჯახის ერთსა და იმავე ჯგუფში შედის, სხვადასხვაგვარად განხორციელებს ამ პროცესს.

ამგვარად, მონათესავე ენები ან ინარჩუნებენ საერთო ტიპოლოგიურ ნიშნებს, რომლებიც ჯერ კიდევ მათ ფუძე-ენას ახასიათებდა, ან არადა ივითარებენ რიგ ერთნაირ ნიშანს დამოუკიდებელი განვითარების შემდგომ პერიოდში.

ბ) ტიპოლოგიურ მსგავსებათა წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს კონვერგენციის პროცესები. კონვერგენციის დროს ორი შემთხვევა უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან:

1) როდესაც ენა (ან ენათა ჯგუფი) გავლენას ახდენს სხვა ენაზე (ან ენებზე) და გადასცემს მათ თავის თავისებურებებს. როგორც ცნობილია, ასეთი გავლენა განიცადეს იბერიულ-კავკასიურ ენათა გარემოცვაში ინდო-ევროპულმა ენებმა — სომხურმა და ოსურმა. მაგ., შეითვისა რა იბერიულ-კავკასიურ ენათათვის სპეციფიკური აბრუპტივები, სომხურმა შექმნა ხშულთა სამეულბერივი სისტემა.

მეტად საინტერესოა სახელთა ბრუნების აგლუტინაციური ბუნება ოსურ ენაში. სწავა ინდო-ევროპულ ენათაგან განსხვავებით ოსურში ბრუნებისას ძირები არ იცვლება, ბრუნვის ნიშნები მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვში ერთი და იგივეა, მრავლობითის ნიშანი დაინამის ძირსა და ბრუნვის ნიშანს შორის. ბრუნების ეს ტიპი სავსებით

¹⁶³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ნეიტრალიზაციისა და გენერალიზაციის პროცესების შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენათა გრამატიკულ კლასებში. საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტ. XXIII სამეცნიერო სესიის თეზისები, 1967.

ემთხვევა იბერიულ-კავკასიურ ენათა აგლუტინაციურ ბრუნებას. ივარაუდება, რომ იგი ოსურში ამ უკანასკნელთა გავლენით შეიქმნა¹⁰⁴.

როგორც ამ მაგალითზე ვხედავთ, ენათა ერთმანეთზე გავლენას ორი ასპექტი აქვს: ერთი მხრივ, მან შეიძლება წარმოშვას ტიპოლოგიური განსხვავებანი ენებში, რომლებიც მანამდე მსგავსნი იყვნენ (მაგ., მონათესავე ენებში), იმავდროულად გავლენამ შესაძლებელია მოგვეცეს მსგავსებანი ისეთ ენებში, რომლებიც ტიპოლოგიურად ერთგვაროვანი არ ყოფილან.

2. კონვერგენციის პროცესში მეზობელ ენებში ჩნდება მსგავსი ტიპოლოგიური ნიშნები. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს ინოვაციათა ისეთ გავრცელებასთან, რაც მოიცავს კონტაქტში მყოფ ენათა მეტნაკლებად ფართო არეალს.

ნიმუშად შეიძლება გამოვიყენოთ თავისებური თურმეობითის ფორმები ქართველურ ენებში. ეს ფორმები (თურმეობითი III, თურმეობითი IV და კავშირებითი IV) III სერიის ანალოგიური ფუნქციის მქონე ფორმებთან (თურმ. I, თურმ. II, კავშ. III) შედარებით ახლად წარმოქმნილია. ისინი გვხვდება დასავლეთ საქართველოს არეალში, რომელიც მოიცავს ქართული ენის რიგ დიალექტს, აგრეთვე ზანურსა და სვანურ ენებს¹⁰⁵. მიუხედავად მსგავსებისა, დასახელებულ ფორმათა ფუნქციებში და წარმოებაში ისეთი განსხვავებები გვხვდება არა მხოლოდ სხვადასხვა ენებში, არამედ ერთი ენის დიალექტებშიც კი (მაგ., ჭანურსა და მეგრულში), რომ ჩნდება ვარაუდი არა ერთი ენის მეორეზე გავლენის შესახებ, არამედ ზოვადი საფუძვლის შესახებ, რომელიც მოცემულ ენებში მოქმედებს სხვადასხვა დროს ან ერთდროულად¹⁰⁶.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია მრავალი ფაქტი, რომლებიც გავრცელებულია გარკვეულ არეალებში და მოიცავს ენათა მნიშვნელოვან რიცხვს.

კონვერგენციის ორივე ზემოდასახელებულ შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებში.

გ) მსგავსი ტიპოლოგიური ნიშნები ენებში წარმოიქმნება პარალელური, ე. ი. დამოუკიდებელი განვითარების შედეგადაც. ამ მოვლენის მიზეზზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი: ენათა გამომხატველობითი საშუალებანი შეზღუდულია, ამიტომ სხვადასხვა ენაში დამოუკი-

104 В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор. I. 1949, გვ. 387.

105 გ. როგაეა, დრო-კლითა მეთხე ქჯუფის ნაკეთები ქართველურ ენებში, იკე, 1953, ტ. V.

106 ვ. თოფურიია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. იკე, 1954, ტ. VI, გვ. 453.

დებლად ვითარდება ერთნაირი ტიპოლოგიური ნიშნები. რიგ შემთხვევაში იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ენობრივი კატეგორიები მეტნაკლებად ასახავენ ობიექტურ სამყაროს მოვლენათა შორის მიმართებებს (მაგ., რიცხვის, დროის, გრამატიკული კლასისა და სხვ. კატეგორიები).

ზემოგანხილულ შემთხვევათა გარდა სხვადასხვა ენაში მსგავსი ტიპების დამოუკიდებლად განვითარების ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ: წინადადების ერგატიული კონსტრუქცია იბერიულ-კავკასიურ, პალეოაზიურ და ზოგ სხვა ენაში, ნომინატიური კონსტრუქცია ინდო-ევროპულ და თურქულ ენებში, აგლუტინაციური წყობა თურქულ და იბერიულ-კავკასიურ ენებში და ა. შ.

დამოუკიდებლად წარმოიშვა, ერთი მხრივ, გერმანულ ენებში, ხოლო, მეორე მხრივ, სვანურში უმლაუტიანი ხმოვნები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მსგავსება სცილდება დასახელებულ ენათა ფონოლოგიურ სისტემებს: როგორც გერმანულ ენებში, ისე სვანურში უმლაუტის გამომწვევ სუფიქსთა მოკვეცის შემდეგ უმლაუტიანი და უუმლაუტო ხმოვანთა დაპირისპირებამ მორფოლოგიური დატვირთვა მიიღო.

მ. შ. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ტიპოლოგიური მსგავსებები და განსხვავებები ენებში სხვადასხვა წარმოშობისა შეიძლება იყოს. ჭერ ერთი, ო რ ი ვ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა გ ვ ქ ო ნ დ ე ს ა ნ ა რ გ ვ ქ ო ნ დ ე ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი უ რ თ ი ე რ თ მ ი მ ა რ თ ე ბ ა ტ ი პ ე ბ ს ა და ე ნ ე ბ ს შ ო რ ის. ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა ა მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა თ ა ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს ა გ ა ნ გ ა მ ი ჭ ვ ნ ა. როგორც აღნიშნული იყო, საკითხი ენათა განვითარების პროცესში მორფოლოგიურ ტიპებს შორის ისტორიული კავშირის შესახებ ენათმეცნიერებაში უარყოფითად გადაწყდა. მაგრამ თვით ამ საკითხის დასმა კანონზომიერად გვეჩვენება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოირიცხა მორფოლოგიურ ტიპებს შორის ისტორიულ მიმართებათა არსებობა, გახდა შესაძლებელი საწინააღმდეგოს მტკიცება.

თუ ტიპოლოგიურ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდება ისტორიული მიმართებანი, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია კონკრეტულ ენათა ტრანსფორმაცია ერთი ტიპიდან მეორეში. უფრო მეტიც, სწორედ ასეთ შემთხვევებში გამოირიცხება ცალსახა გადასვლები (მაგ., იზოლაცია—აგლუტინაცია—ფლექსია). მაშასადამე, დასაშვებია მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით. მართლაც: ფლექსიის დაკარგვა უახლოვებს რიგ ინდო-ევროპულ ენას იზოლირებულ ენებს. მეორე მხრივ, ზოგ ინდო-ევროპულ ენაში (მაგ., სლავურ ენებში) ვითარდება აგლუტინაციური წარმონაქმნები. თავისი მხრივ, აგლუტინაციურ

ენებში შეიძლება წარმოიშვან ფლექსიური ფორმები (მაგ., სვანურ ენაში) და ა. შ. თითოეული ენის კონკრეტულმა ისტორიამ უნდა გავკეცს პასუხი კითხვაზე, რა არის ამ ენისათვის პირველადი, რა — მეორეული და რა გზით წარმოიშვა ესა თუ ის ტიპოლოგიური ნიშნები.

რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ტიპებსა ან ენებს შორის შეინიშნება ისტორიული მიმართებანი, აქ ვითარება კიდევ უფრო რთულია. როგორც ნაჩვენებია იყო, ყველა პროცესი, რომელიც ენის განვითარებაში იჩენს თავს (როგორცაა: დივერგენციის, კონვერგენციისა და პარალელური განვითარების სხვადასხვა სახეობანი), ასე თუ ისე აისახება ენათა ტიპოლოგიურ ნიშნებში. ისინი იწვევენ ან მსგავსებებს ან განსხვავებებს. ამიტომ გამოყოფილ დაჯგუფებათა ან კონკრეტულ ენათა ისტორიის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მივიღოთ საკმარის ინფორმაცია ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციისაგან.

განვმარტოთ ეს მოსაზრება მარტივი მაგალითებით: ბრუნების თვალსაზრისით ენათა კლასიფიკაციის დროს გამოიყოფა ბრუნების არ მქონე ენათა ჯგუფი. ამ ჯგუფში მოექცევა აფხაზური და ფრანგული ენები. ამის იქით სინქრონიული კლასიფიკაცია არ მიდის. მაგრამ საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად აუცილებელია თვალი მივადევნოთ ბრუნების ისტორიას თითოეულ დასახელებულ ენაში. ისტორიის მსგავსების მიღმა გამოავლენს ღრმა განსხვავებებს: ფრანგულ ენას, რომელიც ვულგარული ლათინურისაგან მომდინარეობს; წარსულში ჰქონდა ბრუნვათა-მდიდარი სისტემა, რომელიც შემდგომში მოიშალა. ხოლო აფხაზურში, რომელიც აგლუტინაციურ-პოლისინთეზურ ენას წარმოადგენს, ბრუნების სისტემა არ გამოვლენილია: ბრუნების არარსებობა ამ ენაში კომპენსირებულია ზმნური ფორმებით, რომლებიც ასრულებენ ძირითად ბრუნვათა ფუნქციებს. თითოეული ენის ისტორიის ამ თავისებურებათა მხედველობაში მიღების გარეშე ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შემეცნებითი ღირებულება ძალიან მცირე იქნება.

იმავე დასკვნამდე მივყავართ შემდეგ მაგალითს: ქართველურ ენებში, ისევე როგორც რიგ თანამედროვე ინდო-ევროპულ ენაში (მაგ., ინგლისურში) ამჟამად არ არსებობს გრამატიკული სქესები. მაგრამ გრამატიკული კლასების არარსებობა ქართველურ ენებში, როგორც გაირკვა, მეორეული მოვლენაა: ამ ენებში გარჩეული იყო ადამიანის (პიროვნების) და ნიეთთა კლასები¹⁰⁷, ხოლო ინდო-ევროპულ

¹⁰⁷ ი. ჯ ა ვ ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. 1937; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. 1942.

ენებს ჰქონდათ სულიერის (რომელიც შემდეგ გაიყო მდებარეობით და მამრობით სქესად) და არასულიერის კლასები. ამ შემთხვევაშიაც წარსულში არსებული სხვაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამჟამინდელი მსგავსება. აღრინდელი მდგომარეობის გათვალისწინება იმიტომაც არის აუცილებელი, რომ თითოეული ოჯახის იმ ენებში, რომელთაც დაკარგეს გრამატიკული კლასები, შემოგვრჩა თითოეული მათგანისათვის ოდესღაც დამახასიათებელი კატეგორიების გადმონაშთები.

ბოლოს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ფარგლებში შეიძლება შეგვხვდეს ყველა ზემოაღნიშნული შემთხვევა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ენათა სინქრონიული კლასიფიკაცია არ არის საკმარისი. სტრუქტურულ ტიპთა გამოყოფისა და ამ ტიპებში ენათა გენაწილების შემდეგ ჩნდება რიგი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს ისტორიის გათვალისწინებას, მოითხოვს დიაქრონიულ ანალიზს. ამ შემთხვევაშიაც სინქრონიული და დიაქრონიული შესწავლა ისევე უკავშირდება ერთმანეთს, როგორც საერთოდ სხვა თვალსაზრისით ენათა კვლევისას.

7. ტიპოლოგიური შედარება და ისტორიულ-შედარებითი კვლევა. ახლა ისევ ტიპოლოგიური შედარების მეთოდს რომ მივუბრუნდეთ, შემდეგი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: ტიპოლოგიური შედარება გამოიყენება როგორც აღწერითს, ისე ისტორიულ ენათმეცნიერებაში. პირველ შემთხვევაში ვაღარებთ ერთმანეთს სინქრონიულად მოცემულ მოვლენებს და ვიკვლევთ მათ შორის მსგავსება-განსხვავებებს. თუ მსგავსება ყველა ენას (ან ენათა დიდ უმრავლესობას) მოიცავს, ვაყალიბებთ სინქრონიულ უნივერსალიებს (ან თითქმის უნივერსალიებს). თუ მსგავსებებთან ერთად განსხვავებებიც დასტურდება ენათა ჯგუფებს შორის, მაშინ ვქმნით ენათა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას.

დიაქრონიულ ენათმეცნიერებაში ტიპოლოგიური შედარება ენათა განვითარების კანონზომიერებებს უღარებს ერთმანეთს ან ისეთ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას ახდენს, სადაც გარკვეული ჯგუფები ისტორიულად ერთმანეთს მოსდევენ.

ორივე შემთხვევაში ტიპოლოგიური შედარება განაზოგადებს აღწერითი ან ისტორიული კვლევის შედეგებს.

როდესაც ტიპოლოგიური შედარება აღწერითს ენათმეცნიერებაში გამოიყენება, იგი ვერ ამოწურავს საკვლევ პრობლემებს. მაგ., ტი-

პოლოგიურ კლასიფიკაციაში ისმის გამოყოფილ კლასებს ან ცალკეულ ენებს შორის მსგავსებათა და განსხვავებათა ახსნის საკითხი, რაც ისტორიულ ძიებას საჭიროებს. ამგვარად, გარკვეულ შემთხვევებში თვით ტიპოლოგიური შედარება იძლევა ბიძგს შესადარებელ ფაქტთა ისტორიის გათვალისწინებისათვის.

არნ. ჩიქობავა¹⁰⁸ საგანგებოდ განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც არამონათესავე ენათა შედარება ისტორიულ მიზნებს ისახავს, კერძოდ, იგი ცდილობს გაარკვიოს სხვადასხვა ენაში მოქმედ პროცესთა ისტორია ან სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვაგვარი გრამატიკული წყობის მქონე ენებში დადასტურებული კატეგორიების წარმოშობისა და განვითარების ისტორია. სანიმუშოდ მოყვანილია გრამატიკულ კლასთა შესწავლის საკითხი. ინდო-ევროპულ და სემიტურ ენათა გრამატიკული სქესის შეპირისპირებამ სრულიად სხვაგვარი სტრუქტურის ბანტუ ენებთან, ამერიკის ინდიელთა ენებთან, პოლინეზიურ და სხვა ენებთან მიიყვანა ეუნდტი დასკვნამდე, რომ ყველა ამ ენაში საქმე გვაქვს სიტყვებით აღნიშნულ საგანთა დაჯგუფებასთან, ოღონდ დაჯგუფების პრინციპი სხვადასხვა ენაში შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ზოგი ენა განასხვავებს მალალსა და დაბალ არსებებს, ზოგი — ადამიანსა და ნივთს, ზოგი — ცოცხალსა და არაცოცხალს და ა. შ. შეპირისპირებამ არა მხოლოდ გრამატიკული კლასის რაობა გაარკვია, არამედ მან შესაძლებელი გახადა ინდო-ევროპულ ენებში დადგენილიყო გრამატიკული სქესის გამოყოფის საფუძველი და ამაზე დაყრდნობით გამოყოფილიყო ორი ეტაპი დასახელებული კატეგორიის განვითარებაში. კერძოდ, გაირკვა, რომ დაყოფა მამრობით, მდედრობით და „საშუალო“ სქესად მეორეულია. ამოსავალია ცოცხლისა (სულიერისა) და არაცოცხლის (უსულოს) დაპირისპირება, ხოლო მდედრობითი და მამრობითი სქესები ცოცხალთა კლასის ქვეჯგუფებს წარმოადგენენ.

ავტორის აზრით, ენათა შეპირისპირებითი შესწავლა უეჭველად ფასეულია გარკვეულ გრამატიკულ კატეგორიათა ფორმირებისა და განვითარების ზოგად კანონთა, ისეთ ზოგად პროცესთა და კანონზომიერებათა შესწავლისათვის, რომელნიც აქტუალური არიან ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით. ასეთი შეპირისპირებითი კვლევა გამართლებულია ისტორიული ენათმეცნიერების ამოცანათა თვალსაზრისით¹⁰⁹.

¹⁰⁸ Арн. Ч и к о б а в а, Сопоставительное изучение языков как метод исследования и как метод обучения. „Русский язык в национальной школе“, 1957, № 6.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 3.

ენათა ტიპოლოგიური შედარების განხილვისას ბუნებრივად ის-
ნის ტიპოლოგიური და ისტორიული შედარების ურთიერთმიმართების
საკითხი. ჩვეულებრივ, ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ რა მნიშ-
ვნელობა შეიძლება ჰქონდეს ტიპოლოგიურ შედარებას ისტორიულ-
შედარებითი კვლევისათვის. ამ საკითხის აქტუალურობა ექვს არ იწ-
ვევს, მაგრამ, ჩვენი აზრით, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, რა ადგი-
ლი უჭირავს ტიპოლოგიურ შედარებას ისტორიულ ენათმეცნიერება-
ში და რას გვაძლევს იგი ახალს ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა-
გან განსხვავებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ტიპოლოგიური
შედარების შესახებ იყო ზემოთ ნათქვამი, ამ საკითხს შემდეგნაირად
შეიძლება ვუპასუხოთ: ტიპოლოგიური შედარება სხვა ამოცანებს ისა-
ხავს, ვიდრე ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ამიტომ იგი გამოიყე-
ნება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის
გამოყენება გამორიცხულია. ისტორიული შედარება ენათა ლიფერენ-
ციაციის პროცესის შედეგებს, სწავლობს, ამიტომ იგი შესაძარებლად
მონათესავე ენებს მიმართავს. შეპირისპირების მეთოდს ზოგადი ენობ-
რივი კანონები და ენობრივი ტიპები აინტერესებს, ამ მიზნით იგი ყვე-
ლა ენას ადარებს ერთმანეთს, განურჩევლად მათი ნათესაობისა. ამი-
ტომ ტიპოლოგიური შედარება ისტორიულ ენათმეცნიერებაში შეიძ-
ლება გამოყენებულ იქნეს არა ენათა ლიფერენციაციის პროცესის,
არამედ ენათა პარალელური განვითარებისა და ენათა დაახლოების
პროცესების კვლევის დროს. ეს ანიჭებს შეპირისპირების მეთოდს
დამოუკიდებელ მნიშვნელობას დიაქრონიულ ენათმეცნიერებაში ის-
ტორიულ-შედარებითი მეთოდის გვერდით.

ისტორიულ ენათმეცნიერებაში ამ ორი მეთოდის ხმარების დროს
ერთი არსებითი ხასიათის განსხვავება იჩენს თავს. ისტორიულ-შედა-
რებითი მეთოდი ემყარება გარკვეულ წესებს, რომელთა გამოყენება
იძლევა შესაძლებლობას გათვალისწინებულ იქნეს მონათესავე ენათა
შესაძარებელი მასალის ისტორია. აქ ისტორიული ძიება შედარების
ორგანული ნაწილია. საყოველთაო აღიარებით, შედარება საშუალე-
ბაა ისტორიის მისაღწევად.

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ტიპოლოგიურ შედარებას გარ-
კვეული ადგილი უჭირავს ისტორიულ ენათმეცნიერებაში, მაგრამ ის-
ტორიული ანალიზი თან კი არ ახლავს შეპირისპირებას, როგორც ეს
ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შემთხვევაში გვაქვს, არამედ ან
წინ უსწრებს (განვითარების ზოგადი კანონების დადგენის დროს) ან
მოსდევს მას (ტიპოლოგიურ კლასიფიკაციათა ისტორიული ანალიზის
დროს). ამგვარად, ტიპოლოგიური შედარება ან ისტორიული კვლევის
შედეგებს განაზოგადებს, ან მასალას იძლევა და გარკვეულ პრობლე-

მებს სვამს ისტორიული ანალიზისათვის, მაგრამ საგანგებო ხერხები ისტორიული ძიებისათვის მას ამჟამად არ მოეპოვება.

რაც შეეხება ტიპოლოგიური შედარებისა და ისტორიული შედარების დამოკიდებულებას, მათი კავშირი ორმხრივია: რამდენადაც ტიპოლოგიური შედარება ენათა ისტორიული კვლევის განზოგადებას იძლევა, ამდენად, ცხადია, იგი ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შედეგებს უნდა ემყარებოდეს, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში თვით ისტორიულ-შედარებითი კვლევაც შეიძლება წარმატებით იყენებდეს ენათა ტიპოლოგიური შედარების მონაპოვარს, როგორც ეს არაერთგზის ალუნიშნავთ სპეციალურ ლიტერატურაში. ეს ორმხრივი კავშირი უფრო მეტად გახაზავს თითოეული ამ მეთოდის დამოუკიდებლობას ენათმეცნიერებაში.

ენათა მორფოლოგიური ანალიზი ი. ნაიდას მიხედვით სხვა დესკრიპტივისტთან კოზიციებთან შეპირისპირებით¹

ი. ნაიდა დესკრიფციული ენათმეცნიერების ენ-არბორის სკოლას მიეკუთვნება. იგი 40-იანი წლების მეორე ნახევარში ძირითადად ენის მორფოლოგიური ანალიზის საკითხებზე მუშაობდა. მორფოლოგიას უძღვნა მან წერილები „გრამატიკულ შემადგენელთა ანალიზი“ (1948)², „მორფემათა იდენტიფიკაცია“ (1948)³ და მონოგრაფია „მორფოლოგია, სიტყვათა⁴ დესკრიფციული ანალიზი“. ეს ნაშრომი მიმოგრაფიული წესით გამოიცა 1944 წ. ორ ტომად⁴. 1946 წ. გამოქვეყნდა ამ ნაშრომის ლითოგრაფიული გამოცემა⁵. როგორც ჩ. ჰოკეტი მიუთითებს თავის რეცენზიაში⁶, ამ გამოცემაში გარკვეული ცვლილებებია შეტა-

¹ მოხსენდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ლია სხდომას 29. XI. 1962 წ.

² Eugene A. Nida, *The Analysis of Grammatical Constituents*. «Language», 1948, v. 24, № 2, გვ. 168—177.

³ E. A. Nida, *The Identification of Morphemes*, «Language», 1948, v. 24, № 4, გვ. 414—441.

⁴ *Morphology, The Descriptive Analysis of Words*. By Eugene A. Nida, v. I, pp. 126; v. II, pp. 165. Glendale, Calif.: Summer Institute of Linguistics. 1944. ამ ნაშრომისა და ი. ნაიდას მეორე გამოცემაზე *Linguistic Interludes* (1944) შესახებ გამოქვეყნდა ჩ. ჰოკეტის მოკლე რეცენზია («Language», 1944, v. 20, გვ. 252—255, აგრეთვე ქ. ტრეიგერის რეცენზია (SIL, v. 2, 1944, გვ. 73—77).

⁵ *Morphology: The Descriptive Analysis of Words*. By Eugene A. Nida, Ann Arbor: University of Michigan Press. 1946.

⁶ იხ. ჩ. ჰოკეტის რეცენზია «Language»-ში 1947 წ., v. 23, f. 3, გვ. 273—285.

ნილი. 1949 წ. გამოვიდა მეორე ლითოგრაფიული გამოცემა, რომელიც მთლიანად გადაშუშავებულია პირველთან შედარებით. შემდგომი გამოცემები (1952, 1953, 1956, 1957 წწ.) უცვლელად იმეორებს მეორე გამოცემას.

ნაშრომში გამოყენებულია 50-მდე ენის მონაცემები. ავტორი ემყარება როგორც საკუთარი კვლევის შედეგებს, ისე სხვა მეცნიერთა ნაშრომებს სხვადასხვა ენის შესახებ.

ქვემოთ შევეცდებით წარმოვადგინოთ ი. ნაიდას მორფოლოგიური კონცეფცია და რიგ შემთხვევაში შევუპირისპიროთ ი. ნაიდას შეხედულებები დესკრიფციული ენათმეცნიერების იმ წარმომადგენელთა თვალსაზრისს, რომლებიც მასზე ადრე ან დაახლოებით იმავე წლებში აქვეყნებდნენ ნაშრომებს ანალოგიურ საკითხებზე.

1. ზოგადი შეხედულებები და მორფოლოგიის ძირითადი ცნებები

1. დესკრიფციული ანალიზის ძირითადი პრინციპები ი. ნაიდას მიხედვით შემდეგია:

ა) დესკრიფციული ანალიზი უნდა დაემყაროს იმას, რასაც ხალხი ლაპარაკობს. დესკრიპტივისტი პირველ ყოვლისა სალაპარაკო ენას განიხილავს. იგი აღწერს ყოველგვარ ენებს და ნებისმიერი ენის ყოველგვარ დიალექტებს. იგი არ აწარმოებს ენობრივ მონაცემთა მოწესრიგებას ან მათ დაფასებას რომელიმე ლიტერატურული დიალექტის საფუძველზე. მისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რას ამბობს ხალხი და არა ის, თუ რას ფიქრობს ზოგი ადამიანი იმის შესახებ, რაც უნდა ითქვას. ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ დესკრიპტივისტი ენათმეცნიერს აინტერესებდეს პრაქტიკული პრობლემები, მაგრამ პრაქტიკულ პრობლემები უნდა დაემყაროს ენის მეცნიერულ ანალიზს⁷.

ბ) ფორმები პირველადია, ხოლო გამოყენება მეორეული, დესკრიპტივისტი ჯერ ფორმებს აღწერს, ხოლო შემდეგ იმ გრამატიკულ პოზიციებს, რომლებშიაც ისინი იხმარებიან⁸.

გ) ენის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება აიწეროს ყველა დანარჩენ ნაწილებთან მიმართების გარეშე. ეს ნიშნავს, რომ ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი არ შეიძლება აიწერონ ერთმანეთთან მიმართების გარეშე. ენა არ წარმოადგენს შედარებით იზოლირებულ სტრუქტურათა უწყებრივ დაჯგუფებას. ის არის მოქმედი მთლიანი და ნაწილები შეიძლება აიწერონ მხოლოდ მთლიანთან მათი მიმართე-

⁷ E. N i d a, Morphology, გვ. 1—2.

⁸ იქვე, გვ. 2.

ბის ტერმინებით. ამასთან, რადგანაც ყოველი ენა რთულსა და თავისებურ სტრუქტურას წარმოადგენს, ამიტომ არ შეიძლება ერთი ენა აიწეროს რომელიმე სხვა ენის ტერმინებით⁹.

2. სინქრონიული ენათმეცნიერების დარგები და მორფოლოგიის ადგილი მათ შორის. ნაიდას შეხედულებები სინქრონიული ენათმეცნიერების დარგების შესახებ გაფანტულად არის წარმოდგენილი მისი ნაშრომის სხვადასხვა ადგილას. ავტორი აღწერითს ენათმეცნიერებას ყოფს ორ ძირითად ნაწილად: გრამატიკად და ლექსიკონად. გრამატიკაში მას შეაქვს არა მხოლოდ მორფოლოგია და სინტაქსი, არამედ ფონოლოგიაც¹⁰.

ფონოლოგიის ობიექტი ნაიდას განსაზღვრული არა აქვს. რაც შეეხება დანარჩენ დარგებს, მორფოლოგია სწავლობს მორფემათა ისეთ კომბინაციებს (არანეირებას), რომლებიც სიტყვებს ქმნიან, სინტაქსი შეისწავლის მორფემათა ისეთ კომბინაციებს, რომლებიც ფრაზებს და წინადადებებს შეადგენენ¹¹, ლექსიკონი კი აღწერს მორფემათა სემემებს, მორფემათა ყველა მუდმივად გამეორებულ კომბინაციებს, რაშია ავტორი სიტყვებსა და ფრაზებს გულისხმობს და აგრეთვე ყველა გრამატიკულ თანმიმდევრობებს. ამგვარად, ლექსიკა მოიცავს ყველა იმ ერთეულთა მნიშვნელობებს, რომლებიც მორფოლოგიასა და სინტაქსში განიხილება: მორფემებს (როგორც ძირეულს, ისე არაძირეულს), სიტყვებს და მათ კონფიგურაციებს (მაგ., კომპოზიტებს) და ისეთ ფრაზებს, რომელთა მნიშვნელობა არ გამოიყვანება შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობებიდან¹².

აღწერითი ენათმეცნიერების ასეთი აგებულება რამდენიმე თვალსაზრისით იქცევა ყურადღებას:

ა) თავისებურია ფონოლოგიის შეტანა გრამატიკის დარგებში. ჩვეულებრივ, სხვა დესკრიპტივისტებთან ფონოლოგია გრამატიკისაგან გამოყოფილია¹³. ის ფაქტი, რომ ფონეტიკა სრულიად არ არის მოხსენიებული, ალბათ იმით აიხსნება, რომ ეს დარგი საბუნებისმეტყველო დისციპლინად ითვლება.

⁹ იქვე, გვ. 2—3. ავტორს მეოთხე პრინციპად გამოყოფილი აქვს ისტორიულ ენათმეცნიერებასთან მიმართების საკითხი. მაგრამ ჩვენ ამ საკითხზე აქ არ ვჩერდებით, ვინაიდან იგი ცალკე გვაქვს განხილული.

¹⁰ იქვე, გვ. 162.

¹¹ იქვე, გვ. 1, 78.

¹² იქვე, გვ. 162.

¹³ შდრ. მაგ. L. Bloomfield, *Language*, New York, 1933, გვ. 138. B. Bloch and G. L. Trager, *Outline of Linguistic Analysis*. 1942, გვ. 53; Г. Глассон, *Введение в дескриптивную лингвистику*, გვ. 43.

ბ) განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლექსიკონის აღიარება ცალკე დარგად. თვითონ ეს იღეა არ ეკუთვნის ნაიდას. ჭერ კიდეე ლ. ბლუმფილდმა შეიტანა ლექსიკონი აღწერითი ენათმეცნიერების დარგებს შორის. ბლუმფილდის სქემა ასეთია: ენის აღწერა იწყება ფონოლოგიით, რომელიც განსაზღვრავს თითოეულ ფონემას და ფონემათა კომბინაციებს. როდესაც ფონოლოგია დადგენილია, ისმის ამოცანა, გაირკვეს, თუ რა მნიშვნელობები უკავშირდება გარკვეულ ფონეტიკურ ფორმებს. აღწერის ამ საფეხურს ბლუმფილდი უწოდებს სემანტიკას, რომელიც იყოფა გრამატიკად და ლექსიკონად¹⁴. როგორც ვხედავთ, აქ ლექსიკონი ენათმეცნიერების დარგად ცხადდება. იმავე ავტორის სხვა განსაზღვრების მიხედვით, ლექსიკონი წარმოადგენს ენის მორფემათა ერთობლიობას¹⁵.

ლექსიკონის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, ამოცანა, ბლუმფილდის მიხედვით, ის არის, რომ მოგვეცეს ენის მორფემათა სრული სია მათი მნიშვნელობებითურთ. ამგვარად, ასეთი ლექსიკონი სიტყვებისაგან კი არ შედგება, არამედ მორფემებისაგან, რომელთა შორის ძირებიც იქნება და აფიქსებიც. ამის საჭიროებას ბლუმფილდი იმით ხსნის, რომ რთული ფორმები ენაში შედგება მთლიანად მორფემებისაგან, ამიტომ მორფემათა ცოდნა და მათი სემემების ცოდნა შესაძლებლობას მოგვცემს გავიგოთ მთელი ენა. მაგრამ ბლუმფილდი იქვე შენიშნავს, რომ მორფემათა მნიშვნელობა არ ამოწურავს მთელი გამოთქმის მნიშვნელობას. გამოთქმის მნიშვნელობის ნაწილი დაკავშირებულია მორფემათა განლაგებასთან (arrangement). მორფემათა მნიშვნელობის მქონე განლაგებები ენის გრამატიკას ქმნიან¹⁶.

ამჟამად, რომ ნაიდა. ბლუმფილდს ემყარება, მაგრამ მისი შეხედულება ლექსიკონზე ნაწილობრივ მაინც განსხვავდება ბლუმფილდის შეხედულებისაგან. თუ ბლუმფილდის მიხედვით ლექსიკონი მხოლოდ მორფემებისაგან შედგება, ნაიდას აზრით, ლექსიკონი მორფემათა გარდა შეიცავს სიტყვებს და ფრაზეოლოგიურ გამოთქმებსაც. ეს, როგორც ჩანს, იმით არის გამოწვეული, რომ რთულ სიტყვათა ან ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა მნიშვნელობები ყოველთვის არ გამოიყვანება შემადგენელ ელემენტთა მნიშვნელობათაგან.

თუმცა ბლუმფილდმა ლექსიკონი აღწერითი ენათმეცნიერების დამოუკიდებელ დარგად მიიჩნია (და საგანგებო თავიც მიუძღვნა თა-

¹⁴ L. Bloomfield, Language, 1933, გვ. 138.

¹⁶ იქვე.

¹⁸ იქვე, გვ. 162—163.

ვის ნაშრომში მას)¹⁷, მისმა მიმდევრებმა, რომლებმაც ენის ფორმალურ ანალიზზე და ამასთან დაკავშირებით მორფემათა არანეირებაზე გაამახვილეს ყურადღება, ფაქტობრივად ამოადგეს ლექსიკონი ენათმეცნიერების დარგებიდან¹⁸. უკეთეს შემთხვევაში შემოგვრჩა ბლუმფილდის განსაზღვრება, რომ ლექსიკონი არის ენის მორფემათა ერთობლიობა¹⁹. ლექსიკონის და საერთოდ ლექსიკოლოგიის დამუშავებაზე უარის თქმა დაკავშირებულია დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში მნიშვნელობის შესწავლის უარყოფასთან. ეს შეხედულება ბლუმფილდისაგან მომდინარეობს. იგი გულისხმობს, რომ სემემების შესწავლა პრაქტიკული სამყაროს (ე. ი. აღსანიშნების) შესწავლას მოითხოვს და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების საქმეა (მაგ., სიტყვების „მგელი“, „მელა“, „ძალი“ მნიშვნელობები ზოოლოგმა უნდა განსაზღვროს). მორფემათა მნიშვნელობის საკითხი ენათმეცნიერს არაფერს აძლევს, რადგან მორფემათა შემადგენელ ფონემებსა და პრაქტიკული სამყაროს თვისებებს (ე. ი. სემემებს) შორის მხოლოდ ნებისმიერი მიმართება არსებობს. ამიტომ ენათმეცნიერი უნდა ამოვიდეს ყოველთვის ფონეტიკური ფორმიდან და არა მნიშვნელობიდან. ფონეტიკური ფორმები უნდა აიწეროს ფონემებისა და მათ თანმიმდევრობათა ტერმინებით, უნდა მოხდეს აგრეთვე მათი კლასიფიკაცია²⁰. მიუხედავად ასეთი მსჯელობებისა, ბლუმფილდი თავის ნაშრომში სრულიადაც არ უვლის გვერდს მნიშვნელობას (არც სიტყვათა შესწავლის, არც გრამატიკულ ერთეულთა შესწავლის დროს). მის მიმდევართა ერთმა ფრთამ, უფრო ზუსტად, იელის სკოლამ, კი მიზნად დაისახა მხოლოდ ენის სტრუქტურის აღწერა, მნიშვნელობის სრული უგულებელყოფა. ამ მიმართულების დესკრიპტივისტების მიხედვით (მათ რიცხვს განეკუთვნებიან ბ. ბლოკი, ჯ. ტრეიგერი, ჰ. სმიტი, ზ. ჰარისი) ლექსიკოლოგია დესკრიფციული ენათმეცნიერების დარგი ვერ იქნება. ი. ნაიდა როგორც ენ-არბორის სკოლის წარმომადგენელი, არ ამბობს უარს საერთოდ მნიშვნელობის შესწავლაზე. უნდა ვიფიქროთ, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ მან შესაძლებლად მიიჩნია ლექსიკონის, როგორც ენათმეცნიერების ცალკე დარგის, გამოყოფა.

¹⁷ L. Bloomfield, Language, Ch. 16, Form-Classes and Lexicon.

¹⁸ ეს დარგი არა გვაქვს, მაგ., ბ. ბლოკისა და ჯ. ტრეიგერის ნარკვევში.

¹⁹ იხ. მაგ., Г. Мюллер, Языкознание на новых путях. Дескриптивная лингвистика в США კრებულში: «Общее и индоевропейское языкознание», 1956. გვ. 73.

²⁰ L. Bloomfield, Language, გვ. 162.

გ) ენათმეცნიერების აგებულების დანარჩენი საკითხებიდან ყურადღებას იქცევს ის, რომ დესკრიპტივისტების საერთო ტრადიციის შესაბამისად ნაიდაც თვლის, რომ არ არსებობს მკაფიო საზღვრები მორფოლოგიასა და სინტაქსს შორის²¹. ამის მიზეზი ის არის, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს დამთხვევებს მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებს შორის. გარკვეული სინტაქსური თანმიმდევრობის კლასები ავტორს მორფოლოგიაშიც შემოაქვს²². ამასთან ის იმასაც აღნიშნავს, რომ მორფოლოგია — სინტაქსის დიქოტომია ზოგი ენისათვის შეიძლება არ იყოს სასარგებლო²³.

დ) ბევრი სხვა დესკრიპტივისტისაგან განსხვავებით ნაიდა არ მოითხოვს ენობრივი დონეების იერარქიის მკაცრად დაცვას ენის აღწერის დროს.

ე) დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში არ არის ერთგვარობა მორფოფონემიკის ადგილის შესახებ. ნაიდა თვითონ მიუთითებს, რომ ზოგ გრამატიკაში მორფოფონემიკა ფონოლოგიაში განიხილება, ზოგში — მორფოლოგიაში, ზოგში კიდევ ცალკე სექციად არის გამოყოფილი.

ამას თავისი მიზეზი აქვს: მორფოფონემიკა ხომ იმ ფონოლოგიურ პროცესებს (ასიმილაციას, დისიმილაციას, ბგერის დაკარგვას და ა. შ.) აღწერს, რომლებიც მორფოლოგიისათვისაა მნიშვნელოვანი, ე. ი. რომლებიც ფონოლოგიურად განაპირობებს ალომორფთა ალტერნაციას. ეს გარემოება მორფოფონემიკას ფონოლოგიასთანაც აკავშირებს და მორფოლოგიასთანაც და სწორედ ამ ორმხრივი კავშირის გამო შეიძლება დაისვას საკითხი მორფოფონემიკის ცალკე გამოყოფის შესახებ. მორფოფონემიკის შეტანას ფონოლოგიაში ერთი დაბრკოლება ხვდება. ანალიზის ფონოლოგიურ დონეზე მორფემათა გათვალისწინება არ ხდება, ამიტომ ფონოლოგიას არ შეუძლია თავისი საშუალებებით განსაზღვროს, რომელი პროცესები განაპირობებენ მორფემულ ალტერნანტებს. მორფოლოგიას კი, რომელიც მოსდევს ფონოლოგიას, აქვს შესაძლებლობა ფონოლოგიის მიერ დადგენილი პროცესებიდან შეარჩიოს ისინი, რომლებიც ფასეულია მორფოლოგიური ალტერნაციისათვის.

ნაიდა მორფოფონემიკას ეხება ანალიზური პროცედურებისა და მორფოლოგიის დესკრიფციული დებულების განხილვასთან დაკავშირებით. მას მორფოფონემიკის გვერდით შესაძლებლად მიაჩნია გამო-

²¹ E. Nida, Morphology, გვ. 1.

²² იქვე, გვ. 102—106.

²³ Eugene A. Nida, The Analysis of Grammatical Constituents. «Language», 1948, v. 24, № 2, გვ. 168.

იყოს აგრეთვე სინტაქსოფონემიკა იმ შემთხვევაში, თუ მორფოლოგიურ კონსტრუქციებში დადასტურებული ალომორფული ალტერნაცია არ ემთხვევა სინტაქსურ კონსტრუქციებში დადასტურებულ ალომორფულ ალტერნაციას²⁴.

რაც შეეხება მორფოფონემიკის ადგილს, ნაიდა თვლის, რომ მორფოფონემიკა განხილული უნდა იქნეს ან ცალკე სექციაში, ან მორფოლოგიაში²⁵. მეორე შემთხვევაში ის მორფოლოგიას უოფს: A. მორფოფონემიკად და B. საკუთრივ მორფოლოგიად²⁶. ასე რომ, მორფოფონემიკა აქაც ცალკე ნაწილად გამოდის.

ამის შემდეგ გაუგებარია, რომ თავისი ნაშრომის ძირითად ნაწილში ნაიდა სრულიად არ გამოყოფს მორფოფონემიკას. მაშინაც კი, როდესაც იგი ლაპარაკობს მორფემათა ფონოლოგიურად გაპირობებულ ალტერნანტებზე, ე. ი. საკუთრივ მორფოფონემიკის საკითხებზე, ავტორი არ ახსენებს ამ დარგს.

ვ) ზემოთ საგანგებოდ გვქონდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ნაიდა ლექსიკონს ენათმეცნიერების დამოუკიდებელ დარგად მიიჩნევს მორფოლოგიისა და სინტაქსის გვერდით. ამის საფუძველს გვაძლევდა ავტორის თეორიული მსჯელობა. სინამდვილეში კი ნაიდამ ლექსიკოლოგიის (და სემანტიკის) საკითხები მორფოლოგიაში განიხილა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა ის, რომ მორფოლოგიური ანალიზის დროს იგი არაერთგზის მიმართავს მნიშვნელობის კრიტერიუმს (ამაზე ქვემოთ საგანგებოდ ვიმსჯელებთ), არამედ ის, რომ ნაშრომის მეექვსე თავი (მორფემათა და მორფემების თანმიმდევრობათა მნიშვნელობა) მთლიანად მნიშვნელობისადმი არის მიძღვნილი და აქ სწორედ ლექსიკოლოგია-სემასიოლოგიის საკითხებია განხილული. ამგვარად, ლექსიკონი მთლიანად მორფოლოგიაში აღმოჩნდა.

ავტორი მიზნად ისახავს იმ გზების დადგენას, რომლებითაც ენა ფენომენტა სიმბოლიზაციას ახდენს. იგი გამოყოფს სიგნალებს ობიექტებისათვის, სიგნალთა კლასებისათვის და სიგნალთა შორის მიმართებათათვის. ნაიდა ვრცლად განიხილავს სემანტიკური ანალიზის სამ პრინციპს: 1) სინონიმთა არარსებობას, 2) გარემოცვის საშუალებით მნიშვნელობის განსაზღვრის შესაძლებლობას. ყურადღებას იქცევს ის, რომ აქ გარემოცვა ფართოდ არის გაგებული და მოიცავს არალინგვისტურ (ობიექტურ და სუბიექტურ) და ლინგვისტურ (სტრუქტურულ და კონტექსტურ) გარემოცვებს, 3) სხვადასხვა ენის სიმბოლი-

²⁴ E. N i d a, Morphology, გვ. 200.

²⁵ იქვე, გვ. 230.

²⁶ იქვე, გვ. 204—5.

ზაციის სისტემათა განსხვავებულობას. ნაიდა იმ საკითხსაც განიხილავს, თუ რა პირობებში ხდება სიმბოლოთა გამოყენება: უშუალო სიტუაციაში, ჩანაცვლებულში თუ გადატანითში. უფრო ფასეულია ის, რომ ნაიდას მიხედვით, მნიშვნელობის განსაზღვრა თუმცა ძნელია, მაგრამ მაინც შესაძლებელია და ეს არის ლექსიკონის და არა სხვა მეცნიერებათა საქმე. ამასთან, ბლუმფილდისებურად ლექსიკონისაგან ნაიდა მოითხოვს არა მხოლოდ სიტყვათა საგნობრივი მნიშვნელობის განსაზღვრას. არამედ აგრეთვე ყველა მორფემებისას, როგორც დერევაციულის, ისე ფლექსაურის, და უფრო მეტი, მორფემათა თანმიმდევრობებისასაც. ამიტომ არის, რომ სწორედ ამ ნაწილში აქვს მას განხილული გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც მნიშვნელობის მიხედვითაა განსაზღვრული და აქვე ეხება იგი გრამატიკულ თანმიმდევრობათა მნიშვნელობას.

შეიძლება ეს მიმოხილვა არ იყოს სრული (აქვე შევნიშნოთ, რომ ნაიდა სრულიად არ სვამს მნიშვნელობის რაობის საკითხს), არც ის არის გამართლებული, რომ მნიშვნელობის შესწავლა მორფოლოგიაშია შემოტანილი, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენელი ასე ფართოდ განიხილავს მნიშვნელობის საკითხებს ჯერ კიდევ 1949 წ., ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს. ბლუმფილდის შემდეგ მნიშვნელობის კვლევა 50-იანი წლების II ნახევრამდე არ წარმოებდა დესკრიფციული ენათმეცნიერების იელის სკოლაში. რომ ნაიდას ინტერესი მნიშვნელობის საკითხებისადმი არ არის შემთხვევითი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1951 წ. მან უჩრნალ «Word»-ში გამოაქვეყნა წერილი „სემანტიკურ ელემენტთა აღწერის სისტემა“²⁷. უკვე „მორფოლოგიაში“ ჩანს ავტორის ტენდენცია ისეთსავე პრინციპებზე ააგოს სემანტიკა, როგორსაც მორფოლოგია და ფონოლოგია ემყარება. ამის მაჩვენებელია სემემების გვერდით ალოსემების და ეპისემემების (გრამატიკულ თანმიმდევრობათა მნიშვნელობების) გამოყოფა. სტრუქტურულ დონეზე მათ შეესაბამება მორფემები, ალომორფები და გრამატიკული თანმიმდევრობები²⁸.

3. მნიშვნელობის კრიტერიუმი ენის მორფოლოგიური ანალიზის დროს. როგორც აღნიშნული იყო, დესკრიფციული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა (იელის სკოლა) ემყარება დებუ-

²⁷ E. N i d a, A System for the Description of Semantic Elements. «Word» 1951, v. 7, fasc. 1.

²⁸ E. N i d a, Morphology, გვ. 174. თვით ტერმინები სემემა, ეპისემემა და მათი განსაზღვრა ბლუმფილდისაგან მომდინარეობს. იხ. Language: „მორფემის მნიშვნელობა არის სემემა“, გვ. 162. „გრამატიკული ფორმის უმცირეს მნიშვნელობის მქონე ერთეულს ეწოდება ტემემა, ხოლო მის მნიშვნელობას — ეპისემემა“ (გვ. 166).

ლებას, რომ ენის ანალიზი უნდა იყოს ფორმალური და არ უნდა ემყარებოდეს მნიშვნელობას. მნიშვნელობის კრიტერიუმები არარელევანტურად ითვლება და მათი გამოყენება გაუმართლებლად არის მიჩნეული როგორც ფონოლოგიაში, ისე გრამატიკაში.

3. მიულერის მიხედვით, დესკრიფციული სკოლის ენათმეცნიერთა ყველა პრინციპულ შეხედულებებში მეორდება ნოთხონილება, გამოვიდნენ ფორმიდან და არა მნიშვნელობიდან. ამ შეხედულების მიხედვით, მხოლოდ ამ გზით ხდება შესაძლებელი ენის ობიექტური გაშუქება და სისტემატური აღწერა, რომელსაც არ ახასიათებს ცალკეულ კერძო მოვლენათა სუბიექტური გაგება²⁹.

ბ. ბლოკი და ჯ. ტრეიგერიც აღნიშნავენ: ყველა ჩვენი კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ფორმას — განსხვავებებსა და მსგავსებებს ძირისა და აფიქსების ფონემურ სტრუქტურაში ან სიტყვათა გამოვლენას ფრაზებისა და წინადადებათა ცალკეულ ტიპებში. ჩვენი კლასიფიკაციების წარმოებისას არ უნდა მივმართოთ მნიშვნელობას, აბსტრაქტულ ლოგიკას ან ფილოსოფიას³⁰.

განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებს მნიშვნელობის გათვალისწინების წინააღმდეგ ზ. ჰარისი, რომლის მიხედვითაც დესკრიფციული ლინგვისტიკის სიმბოლოები და მტყიცებები ვერ მოგვცემენ ინფორმაციას მეტყველების მოვლენათა შინაარსეული სიტუაციის შესახებ³¹.

მიუხედავად ასეთი თვალსაზრისისა, დესკრიპტივისტებმა ვერ შეძლეს მნიშვნელობის გვერდის ავლა. ყველა მათ გამოკვლევაში მნიშვნელობა მონაწილეობს, მაგრამ მონაწილეობს ფარულად, იძულებით³², მნიშვნელობის გათვალისწინებას შესასწავლ ობიექტთა ბუნება ახვევს თავს მკვლევრებს მათი კონცეფციის საწინააღმდეგოდ.

ი. ნაიდა იმით გამოირჩევა ზემომოყვანილი ჯგუფის დესკრიპტივისტებისაგან, რომ იგი იმთავითვე პრინციპულად აღიარებს მნიშვნელობის გათვალისწინების საჭიროებას. ამიტომ იგი თავისუფლად იყენებს სემანტიკურ კრიტერიუმებს როგორც მორფემათა იდენტიფიკაციის, ისე მათი კლასიფიკაციისა და თანმიმდევრობათა შესწავლის დროს. თითოეულ ამ საკითხზე ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით ქვემოთ, ახლა კი ავტორის ზოგადი თვალსაზრისი გვანტერესებს.

²⁹ Г. Мюллер, Языкознание на новых путях. გვ. 80.

³⁰ B. Bloch and G. Trager, Outline of Linguistic Analysis, გვ. 68

³¹ Zellig S. Harris, Methods in Structural Linguistics, 1955, გვ. 22.

³² ამას გარკვევით აღიარებს, მაგ., პ. მიულერი, იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 80.

ეხება რა დესკრიფციული ანალიზისათვის ენობრივ მონაცემთა შეგროვებას, ავტორი აღნიშნავს, რომ მორფოლოგიისათვის ფასეულია: 1) მორფემები, 2) მორფემათა მნიშვნელობანი და 3) მორფემათა დისტრიბუციები. შემდეგ ი. ნაიდა დასძენს:

მონაცემები მნიშვნელობის შესახებ მხოლოდ არაპირდაპირ არიან ფასეულნი მორფოლოგიური სტრუქტურისათვის, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ რაიმე მნიშვნელობის შესახებ იმისათვის, რომ გამოვყოთ მორფემები. გარდა ამისა, სრული დებულება დისტრიბუციის შესახებ შეიცავს ბევრ თვისებას, რომლებიც მოითხოვენ მეტად ან ნაკლებ ადეკვატურ სემანტიკურ ანალიზს. მაგრამ მორფემათა მნიშვნელობები წარმოადგენენ ლექსიკონის და არა სტრუქტურის პრობლემას³³.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მორფემათა მნიშვნელობების შესასწავლად ნავარაუდევია ცალკე დარგი — ლექსიკონი, საკუთრივ სტრუქტურის საკითხების (ე. ი. მორფემათა გამოყოფისა და მათი დისტრიბუციის) კვლევა მოითხოვს მნიშვნელობის გათვალისწინებას.

ჩვენი აზრით, ავტორი საესებით მართებულად მსჯელობს. მნიშვნელობა მორფემის ერთ-ერთი არსებითი მხარეა. მორფემა მნიშვნელობის მქონე ენობრივ ერთეულს წარმოადგენს და ამიტომ მორფემათა ფორმალური შესწავლის დროსაც გვერდს ვერ ავუვლით მნიშვნელობის ასე თუ ისე გათვალისწინებას. ეს არ ნიშნავს, რომ მნიშვნელობა მორფოლოგიის საკვლევ ობიექტად იქცევა. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ სემანტიკური კრიტერიუმების გამოყენების გარეშე ენის მორფოლოგიური ანალიზი ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი.

4. მორფოლოგიის ძირითადი ცნებები. მორფოლოგიის ძირითადი ცნებებს, ი. ნაიდას მიხედვით, წარმოადგენს მორფემა, ალომორფები და სიტყვა. მათი ხვედრითი წონა თანაბარი არ არის. დესკრიფციულმა ლინგვისტიკამ გრამატიკას საფუძვლად დაუდო მორფემის ცნება, ხოლო ალომორფები მორფემის ნაირსახეობებად, ვარიანტებად მიიჩნია.

მორფემა. ნაიდა იღებს მორფემის ბლუმფილდისეულ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც მორფემა არის მნიშვნელობის მქონე მინიმალური ერთეული³⁴ ანუ ლინგვისტური ფორმა, რომელიც არ

³³ E. N i d a, Morphology, გვ. 198—199.

³⁴ შტრ. ლ. ბლუმფილდის პოსტულატებში: „მორფემა არის გამეორებადი (მნიშვნელობის მქონე) ფორმა, რომელიც არ შეიძლება დაიყოს უფრო მცირე გამეორებად (მნიშვნელობის მქონე) ფორმებად“. Л. Б л у м ф и л д, Ряд постулатов для науки о языке. «В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях», ч. II, 1965, გვ. 202.

ავლენს ნაწილობრივ ფონეტიკურ-სემანტიკურ მსგავსებას რომელიმე სხვა ფორმასთან³⁵.

აქ ყურადღებას იქცევს მორფემის განსაზღვრა მნიშვნელობაზე დამყარებით, რაც სავსებით ეგუება ნაიდას თვალსაზრისს. იგი აღნიშნავს კიდევ, რომ მორფემის განსაზღვრა მოითხოვს როგორც ფორმის, ისე მნიშვნელობის თვისებათა გათვალისწინებას³⁶. მაგრამ მორფემის განსაზღვრა მნიშვნელობაზე დამყარებით მიუღებელია იმ დესკრიპტივისტებისათვის, რომლებიც მნიშვნელობას გამოირიცხავენ ენობრივი ანალიზიდან. ამიტომ, რომ ზ. ჰარისი განსაზღვრავს მორფემულ სეგმენტებს, როგორც თითოეულ გამოთქმაში დამოუკიდებელ ფონემურ თანმიმდევრობებს³⁷. ამ თანმიმდევრობათა გამოყოფა უნდა ხდებოდეს გამოთქმათა დაპირისპირების გზით, მაგრამ არა მნიშვნელობის გამოყენებით³⁸. „მორფემა წარმოადგენს ერთი ან მეტი დამატებითი ან თავისუფლად ვარირებული მორფემული სეგმენტის კლასს“³⁹.

აღსანიშნავია, რომ 1942 წ., როგორც ჩანს, ჰარისისათვის ჯერ კიდევ არ იყო მიუღებელი მნიშვნელობის გამოყენება. ამ დროს ისიც იმეორებდა ბლუმფილდის განსაზღვრებას, რომ ფონემათა ყოველი თანმიმდევრობა, რომელსაც აქვს მნიშვნელობა და რომელიც არ შედგება მნიშვნელობის მქონე უფრო მცირე თანმიმდევრობათაგან, არის მორფემა⁴⁰.

მორფემის განსაზღვრისას მნიშვნელობას გვერდს უვლიან ჯ. ტრეიგერი და ჰ. სმიტი, რომელთა მიხედვით, მორფემებია „გამეორებული ტიპობრივი ნაწილაკები, რომლებიც შედგებიან ერთი ან მეტი ფონემისაგან (ან ნულოვანი ელემენტებისაგან, რომლებიც ავსებენ ხარვეზებს მოდელში)“⁴¹.

ეს განსაზღვრება 1951 წ. გამოქვეყნებული ნაშრომიდან არის. 1942 წ. ბლოკთან ერთად გამოქვეყნებულ „ლინგვისტური ანალიზის ნარკვევში“ კი იგივე ჯ. ტრეიგერი წერდა: „თავისუფალი ან დაკავში-

³⁵ იხ. L. Bloomfield, *Language*, გვ. 161.

³⁶ E. Nida, *Morphology*, გვ. 15, მშ. 11.

³⁷ Z. S. Harris, *Methods in Structural Linguistics*, გვ. 157.

³⁸ იქვე, გვ. 173.

³⁹ იქვე, გვ. 219.

⁴⁰ Z. S. Harris, *Morpheme Alternants in Linguistic Analysis*. «*Language*», 1942, v. 18, № 3, გვ. 169. ატორი მიუთითებს ლ. ბლუმფილდის შრომის 161 გვერდზე.

⁴¹ G. L. Trager, L. Smith, *An Outline of English Structure*, Norman, Oklahoma, 1951, გვ. 53.

რებული ფორმა, რომელიც არ შეიძლება დაიყოს მნიშვნელობის მქონე უფრო მცირე ნაწილებად, არის მორფემა⁴².

როგორც ჩანს, მნიშვნელობის როლის დაყვანა ნულამდე ერთბაშად არ მომხდარა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. საფიქრებელია, რომ მნიშვნელობის უგულებელყოფა ძლიერდებოდა დისტრიბუციული პრინციპის წინ წამოწევასთან დაკავშირებით, რაც, თავისი მხრივ, ფორმალისაციისაკენ მზარდ მისწრაფებასთან იყო დაკავშირებული.

ნაიდა, მიუხედავად საერთო ტენდენციისა, მაინც არ მივიდა მნიშვნელობის უარყოფამდე.

ცნობილია, რომ ბოლო ხანებში დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში შეინიშნება მობრუნება მნიშვნელობისაკენ. ეს მეორეული მოვლენაა და გამომდინარეობს დესკრიპტივისტების მიერ საკუთარი კვლევის პრაქტიკის შედეგთა გათვალისწინებიდან: ვერავენ (მათ შორის ისეთმა უკიდურესმა დისტრიბუციონალისტმაც კი, როგორიცაა ზ. ჰარისი) ვერ მოახერხა მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე ენის რაიმე მხარის აღწერა. ზოგი მკვლევარი აქედან სათანადო დასკვნასაც აკეთებს და თეორიულადაც აღიარებს მნიშვნელობის კვლევის კანონზომიერებას დესკრიფციული ანალიზის დროს⁴³.

ალომორფები ანუ მორფემული ალტერნანტები. თანამედროვე დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ ძირითად ცნებას წარმოადგენს ცნება ალომორფისა ანუ მორფემული ალტერნანტისა. ალომორფები მორფემის ვარიანტებია. ალომორფთა კლასი შეადგენს მორფემას.

ტერმინი ალომორფი ალოფონის ანალოგიითაა შექმნილი. ჯერ ფონოლოგიაში დამუშავდა ალოფონთა შესახებ მოძღვრება და შემდეგ ძირითადი პრინციპები განაერთეს მორფოლოგიაზედაც.

⁴² B. Bloch and G. L. Trager, *Outline of Linguistic Analysis*. I გამოც., 1942 წ. (II გამოც. 1947 წ.), გვ. 54.

⁴³ იხ. მაგ. Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 44—45, 204. Ch. F. Hockett, *A Course in Modern Linguistics*. Firthe Printing, 1963, გვ. 138. პ. მიულერი თუმცა იძულებულია აღიაროს მნიშვნელობის გათვალისწინების აუცილებლობა, მაინც ცდილობს შეინარჩუნოს დაპირისპირება ტრადიციულ სემანტიკასთან. Языкзнание на новых путях, გვ. 80. დესკრიფციული ენათმეცნიერების განვითარების ამ გვიანდელ საფეხურს ასახავს 1958 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში ნაიდას სიტყვები: „მნიშვნელობა, სრულიად აუცილებელი, თუმცა ხშირად უარყოფილი დამხმარე და მეგობარი მეცნიერებისა, თანდათანობით აღწევს აღიარებასო“ (E. A. Найдя, Анализ значения и составление словарей. «Новое в лингвистике», II, გვ. 45). არ იქნებოდა სამართლიანი ნაიდას საკუთარი თავისათვის ესაყვედურებინა მნიშვნელობის უგულებელყოფა.

თვითონ ტერმინები „ალოფონები“ და მით უფრო „ალომორფები“ შედარებით გვიან იხმარეს. მანამდე ალომორფთა მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი „ალტერნანტები“. ნაიდას განსაზღვრით, ფორმებს, რომლებიც ერთ მორფემას შეადგენენ, მორფემული ალტერნანტები ანუ ალომორფები ეწოდება. ავტორი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „ალომორფი“, რადგან ის ანალოგიურია ალოფონისა, რომელიც ფონემის მიმართ იხმარება. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ მიმართებები ალომორფებისა მორფემებთან და ალოფონებისა ფონემებთან მთლად პარალელური არ არის⁴⁴.

ალოფონთა შესახებ მოქმედებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში იმის გამოც, რომ ალოფონების გამოყოფა დისტრიბუციულ პრინციპს დაემყარა. სწორედ აქ იქნა პირველად გამოყენებული დისტრიბუციის ერთ-ერთი სპეციფიკური სახე — დამატებითი დისტრიბუცია⁴⁵, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

თუმცა უკვე ბლუმფილდს ჰქონდა საკმაოდ ვრცლად მსჯელობა მორფემული ალტერნანტების შესახებ, იგი განასხვავებდა კიდევაც ერთმანეთისაგან ფონეტიკურ და გრამატიკულ ალტერნანტებს⁴⁶, მაგრამ მთლიანი თეორია ალტერნანტთა შესახებ შექმნა ჰარისმა 1942 წ. წერილში „მორფემული ალტერნანტები ლინგვისტურ ანალიზში“⁴⁷. ავტორი შესავალშივე აღნიშნავს, რომ მისი მიზანია მოგვეცეს ისეთივე ზუსტი ტექნიკა მორფემათა განსაზღვრისათვის, როგორიც გამოყენებულია ამჟამად ფონემათა პოენის დროს⁴⁸.

ჰარისის ამ წერილის ძირითადი დებულებები შემდეგში მდგომარეობს: ლინგვისტური გამოხატულების უმცირეს ნაწილებს, რომლებიც ერთი და იმავე მნიშვნელობით მეორდებიან სხვადასხვა გამოთქმაში, ეწოდებათ მორფემული ალტერნანტები. ერთი და იმავე მნიშვნელობის, მაგრამ განსხვავებული ფონემებისაგან შედგენილი ალტერნანტები შეიძლება დაჯგუფდნენ მორფემულ ერთეულებად. „მორფემული ერთეული არის ერთი ან მეტი ისეთი ალტერნანტისაგან შედგენილი ჯგუფი, რომელთაც აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა და რომლე-

⁴⁴ E. N i d a, Morphology, გვ. 14.

⁴⁵ მორის სვოდენის მიერ სტატიაში The Phonemic Principle. «Language», 1934, v. X, № 2.

⁴⁶ იხ. Л. Б л у м ф и л д, Ряд постулатов для науки о языке, გვ. 150—151 და განსაკუთრებით: Language, გვ. 164, 211—218.

⁴⁷ Zellig S. Harris, Morpheme Alternants in Linguistic Analysis. «Language», 1942, v. 18, № 3, გვ. 169—180.

⁴⁸ იქვე, გვ. 169.

ბიც დამატებითს დისტრიბუციაში იმყოფებიან⁴⁹. დამატებითი დისტრიბუცია გულისხმობს, რომ ალტერნანტებიდან არც ერთი არასოდეს არ გვხვდება იმავე გარემოცვაში, რაშიაც სხვა ალტერნანტები⁵⁰.

ამ სტატიაში ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ ერთმანეთისაგან გარჩეული ფონოლოგიურად გაპირობებული და მორფოლოგიურად გაპირობებული ალტერნანტები, თუმცა ავტორს ორივე შემთხვევის მაგალითები აქვს განხილული⁵¹.

როგორც ჩანს, მოძღვრებას მორფოლოგიურ ალტერნანტთა შესახებ ერთბაშად არ გაუკაფავს გზა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში⁵². ყოველ შემთხვევაში, თავის რეცენზიაში ნაიდას მორფოლოგიის პირველი გამოცემის გამო ჩ. ჰოკეტი უსაყვედურებს ნაიდას, რომ იგი მოითხოვს მიჩნეულ იქნეს ერთი მორფემის ალტერნანტებად მხოლოდ ისეთები, რომელთა შორისაც რაიმე ფონემური მსგავსება დასტურდება და არ აერთიანებს ყველა მორფემას, რომელთა შორისაც დამატებითი დისტრიბუცია არსებობს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გარკვეული სიძნელეები წარმოიშვებაო. დამატებითს დისტრიბუციაში მყოფ სერიათა განხილვა ნაიდას ამ ნაშრომში ფორმალურ კლასებთან გადააქვს⁵³.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ი. ნაიდას 1946 წ. ერთი მორფემის ალტერნანტებად მიაჩნდა მხოლოდ ფონოლოგიურად გაპირობებული ვარიანტები. მაგ., მრავლობითის /s/, /z/ და /ez/ და მათგან განსხვავებულ მორფემად მიაჩნდა /æŋ/⁵⁴.

უკვე 1948 წ. სტატიაში „მორფემათა იდენტიფიკაცია“⁵⁵ ნაიდა ფონოლოგიურად გაპირობებულ ალტერნანტთა გვერდით გამოყოფს აგრეთვე მორფოლოგიურად გაპირობებულ ალტერნანტებს ანუ ალომორფებსაც. ამ სტატიაში ნაიდა ეკამათება ბ. ბლოკსა და ჩ. ჰოკეტს ალომორფთა მორფემებად გაერთიანების პრინციპებზე.

1949 წ. „მორფოლოგიაში“ ნაიდა კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა სხვა დესკრიპტივისტებს ალომორფთა გაგებაში. იგი ალო-

⁴⁹ Z. S. Harris, Morpheme Alternants..., გვ. 171.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ შტრ. დასახ. ნაშრ., გვ. 179.

⁵² ბლოკისა და ტრეიგერის „ლინგვისტური ანალიზის ნარკვევი“ ცდაც კი არ არის, გამოიყოს მორფემული ალტერნანტები, მაგრამ ეს გასაგებია, მათი ნაშრომი ხომ 1942 წ. გამოვიდა, ე. ი. იმავე წელს, როდესაც პარისის სტატია, ხოლო მეორე გამოცემა (1947 წ.) პირველის ფოტოლითოგრაფიულ რეპროდუქციას წარმოადგენს.

⁵³ Ch. F. Hockett, Review: Morphology: the descriptive analysis of words. By Eugene A. Nida. 1946. «Language», 1947, v. 23, № 3, გვ. 281.

⁵⁴ მაგალითი ჰოკეტის რეცენზიიდანაა.

⁵⁵ E. Nida, The Identification of Morphemes. «Language», 1948, v. 24, გვ. 414—441.

მორფებს დამატებითს დისტრიბუციასზე ამყარებს, ოღონდ ფონოლოგიურად გაპირობებული ალომორფები დამატებითია ფონოლოგიური გარემოცვის საფუძველზე. ასეთია ინგ. მრ. რიცხვის სუფიქსები /s, -z, -əz/, რომელთაგან პირველი ყრუების შემდეგ გვხვდება, მეორე — მელერების შემდეგ, ხოლო მესამე — /s, z, ʒ, ʒ, j/ ფონემების შემდეგ. მორფოლოგიურად განსაზღვრულ ალომორფებთან დამატებითობა მორფოლოგიურ გარემოცვას ემყარება. მაგ., მრავლობითობას აღნიშნავს -en სუფიქსი სიტყვასთან ox „ხარი“, ნულ-სუფიქსი — სიტყვებთან: sheep „ცხვარი, ცხვრები“, elk „ცხენ-ირემი, ცხენ-ირემები“. ნაიღამ ფონოლოგიურად გაპირობებული ალომორფებისათვის იხმარა ნიშანი ~, ხოლო მორფოლოგიურად გაპირობებულისათვის — ɔ, ასე რომ, მრავლობითის მაწარმოებლებს იგი ასე წერს:

/(-əz~-z~-s)ɔ-əɪɔ-0/⁵⁶.

სპეციალურ წერილში⁵⁷ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ არ არის გამართლებული ფონოლოგიურად სრულიად სხვადასხვა შედგენილობის, მაგრამ ერთი და იმავე ფუნქციის მქონე ერთეულების მიჩნევა ერთი და იმავე მორფემის ალომორფებად. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მორფემულ სინონიმებთან, რაც იმის შედეგია, რომ არ არსებობს სრული პარალელიზმი ფონემურ ფორმასა და მნიშვნელობას შორის (ამ მოვლენის მეორე შედეგია მორფემული ომონიმების არსებობა).

ამიტომ, ვფიქრობთ, ნაიღას უფრო მართებული პოზიცია ეკავა 1948 წ.-მდე, როდესაც მას მხოლოდ ფონოლოგიურად გაპირობებული, ე. ი. ამოსავალში ერთი და იმავე ფონემური შემადგენლობის, მაგრამ სხვადასხვა გარემოცვის გავლენით სხვადასხვაგვარად სახეცვლილი ალომორფები შეჰქონდა ერთ მორფემაში.

მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფების გაერთიანებას ერთ მორფემაში გარკვეული წინააღმდეგობები ხვდება. მათგან დესკრიპტივისტებისათვის მთავარი ისაა, რომ მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფებთან ყოველთვის არ იჩენს თავს დამატებითი დისტრიბუცია, რაც ფონოლოგიაში დამკვიდრებულ ოპერაციათა მიბაძვით ალომორფთა გაერთიანების მთავარ კრიტერიუმად არის აღიარებული. მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფები, შესაძლებელ-

⁵⁶ E. Nida, Morphology, გვ. 44—45. აღსანიშნავია, რომ ჩ. პოკეტი მიუთითებს ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად გაპირობებული ალტერნანტების შესახებ ნაიღას „მორფოლოგიას“ 1949 წ. როგორც პირველწყაროს. Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 283.

⁵⁷ იხ. აქვე ჩვენი „დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი და მისი მნიშვნელობა ფონოლოგიაში და მორფოლოგიაში“.

ლია. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ერთსა და იმავე გარემოცვაში, რასაც ზოგჯერ მნიშვნელობის ნაწილობრივი (ვთქვათ, სტილისტური) ცვლილებაც ახლავს. სწორედ ისეთ ხელოვნურ ოპერაციებს, რომლებსაც მიმართავენ ბლოკი და ჰოკეტი ერთი ფუნქციის მქონე, მაგრამ დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში არ მყოფი ერთეულების მიმართ, აკრიტიკებდა ნაიდა თავის სტატიაში „მორფემათა იდენტიფიკაცია“⁵⁸, მაგრამ ამან მას არ შეუშალა ხელი საბოლოოდ პარისის შემოთავაზებულ თვალსაზრისზე დამდგარიყო. „მორფოლოგიაში“ ნაიდა წერს, რომ არ არსებობს არავითარი საზღვრები ალომორფთა შორის ფონოლოგიური განსხვავებისათვის. ალომორფები შეიძლება შედგებოდნენ ძლიერ განსხვავებული ფონემებისაგან (როგორც ეს არის მრავლობითის ზემომოყვანილ ფორმანტებში) ან არადა, შესაძლებელია, ისინი ძალიან მსგავსი იყვნენ (მაგ., დაკავშირებული ფუძეები მხოლოდობითა და მრავლობითში: weife „ცოლი“: wives; house „სახლი“: houses)⁵⁹. ეს ის თვალსაზრისია, რომელიც ტრადიციულად იქცა დესკრიფციულ მორფოლოგიაში.

ამ თვალსაზრისის მიღებისას გარკვეულ სიძნელეს ქმნის ძირითადი ალომორფის შერჩევა. ფონოლოგიურად ძირითადი და მორფოლოგიურად ძირითადი ალომორფის შერჩევა სხვადასხვაგვარად ხდება. ნაიდა დესკრიპტივისტთა საერთო თვალსაზრისის შესაბამისად გვაფრთხილებს, რომ ფონოლოგიურად ძირითადი ალომორფის გამოყოფა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მისგან „ნაწარმოებად“ მიჩნეული ალომორფები ისტორიულად (დიაქრონიულად) მისგან მომდინარეობდნენ. მაგ., მრავლობითის ფორმანტებიდან /-əz~-z~-s/ ძირითადად შესაძლებელია მივიჩნიოთ /-əz/. ამის ერთ-ერთ მიზეზად ისაა დასახელებული, რომ ფონოლოგიურად უფრო ადვილია ავხსნათ ან აღვწეროთ ფონემის დაკარგვა, ვიდრე ფონემის დართვა⁶⁰.

მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფებთან ძირითადი ალომორფის გამოყოფას განსაზღვრავს: (1) სტატისტიკური სიჭარბე; (2) ახალ წარმოებათა პროდუქტიულობა და (3) წარმოების რეგულარობა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა აზრი აქვს ძირითადი ალომორფის გამოყოფას ფონოლოგიურად გაპირობების დროს, თუ ის არ ასახავს ისტორიულ მიმართებებს ამ ალომორფებს შორის? თუ ძირითა-

⁵⁸ E. N i d a, The Identification of Morphemes, გვ. 414—418.

⁵⁹ E. N i d a, Morphology, გვ. 44—45.

⁶⁰ იქვე, გვ. 45.

დად არ არის მიჩნეული ის სახეობა, რომლიდანაც სხვადასხვა ფონოლოგიურ გარემოცვაში მივიღეთ დანარჩენები?

მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფების მიმართ ისტორიული მიდგომა თავისთავად გამორიცხულია, ვინაიდან ეს ალომორფები გენეზისურად ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან. მაგრამ გასარკვევია, საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს ძირითადი ალომორფის შერჩევას, რა საჭიროებამ წარმოშვა იგი? — მით უფრო, რომ ენის მორფოლოგიურ ანალიზს დესკრიპტივისტები ფონოლოგიური ანალიზის ყაიდაზე აგებენ. ეს ძირითად ცნებათა გაგებაშიაც იჩენს თავს: მორფემა ალომორფთა კლასია, ისევე როგორც ფონემა წარმოდგენს ალოფონთა კლასს. მაგრამ ალოფონთა მიმართ დესკრიპტივისტები არ სვამენ ძირითადის გამოყოფის საკითხს, მაშინ როდესაც ალომორფთა მიმართ ეს სავალდებულოდ ითვლება.

ამ, ერთი შეხედვით, არათანმიმდევრულ ქცევას თითქოს ნაიდას ქვემომოყვანილი სიტყვები აგვიხსნის: ძირითადი ფორმის განსაზღვრა შესაძლებლობას გვაძლევს აღვნიშნოთ მთელი მორფემა ცალკეული ალომორფული ფორმით, რომელიც { } -შია მოთავსებული, მაგ., {-əz}⁶¹. მაშასადამე, მთელი ამოცანა ალომორფთა კლასის მოკლედ ჩაწერაში ყოფილა. ფიგურულ ფრჩხილებში მოთავსებული ალომორფი მთელი კლასის, ე. ი. ალტერნანტთა ყველა სახეობის წარმომადგენელია და ასეთი წარმომადგენლობა ძირითად ალომორფს ეკისრება.

გასაგები ხდება ისიც, თუ რატომ არ ისმის ანალოგიური საკითხი ფონოლოგიაში. საქმე ისაა, რომ ფონემის ვარიანტები ანუ ალოფონები დიაკრიტიკული ნიშნებით აღინიშნება (მაგ., ბ. ბლოკისა და ჯ. ტრეიგერის მიხედვით, წინაენისმიერ ხშულ ყრუ ფონემას მ ალოფონი აქვს: ასპირირებული [tʰ], არასპირირებული [tʰ], არაგანხშეითი [tʰ], ლაბიალიზებული არასპირირებული [tʰ], სუსტად პალატალიზებული არასპირირებული [tʰ], ნაზალურად განხშეითი [tʰ], ლატერალურად განხშეითი [tʰ] და მეღერბი [tʰ].⁶²

მაგრამ თუ ძირითადი ალომორფის შერჩევას მხოლოდ ჩაწერის საჭიროება განსაზღვრავს, ღირს კი საგანგებო მსჯელობა იმაზე, თუ რა პრინციპის მიხედვით უნდა გამოვყოთ ძირითადი ალომორფი, როგორ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ფონოლოგიურად ძირითადი და მორფოლოგიურად ძირითადი ალომორფები და ა. შ.? — ვფიქრობთ, რომ არა. ჩაწერის მიზნისათვის ძალიან მარტივად, პირობით შეიძლე-

⁶¹ E. N i d a, Morphology, გვ. 45.

⁶² B. B l o c h, G. L. T r a g e r, Outline of Linguistic Analysis, გვ. 42—43.
10. თინ. შარაძენიძე

ბა გამოვეყნოთ ერთ-ერთი ალომორფი როგორც ფონოლოგიურად, ისე მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფთათვის. თვით ნაიდა წერს: ხშირად არ არსებობს რაიმე საფუძველი ძირითადი ალომორფის დადგენისათვის, მაშინ ნებისმიერად ვარჩევთ მას, როგორც მთელი ალომორფული სერიის დამახასიათებელ ფორმას, რათა გამოვიყენოთ იგი მთელ სერიაზე მითითებისათვის⁶³. თუ ხშირად იძულებული ვართ ნებისმიერად შევარჩიოთ ძირითადი ალომორფი, ამით ფასი ეკარგება მთელ წინა მსჯელობას მისი გამოყოფის კრიტერიუმთა შესახებ.

როგორც ირკვევა, ძირითადი ალომორფის გამოყოფის საკითხი არ წარმოადგენს მეცნიერულ პრობლემას, იგი პრაქტიკული მოთხოვნის საფუძველზეა გაჩენილი და მას დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე იგი იმსახურებს.

მორფმათა ჩაწერის ზემოგანხილული წესი უკავშირდება დესკრიფციული ენათმეცნიერების პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებულ ტენდენციას. ენობრივ კატეგორიათა აღმნიშვნელი ფუნქციონალური ტერმინები შენაცვლებულ იქნეს პირობითი სიმბოლოებით, რომლებიც ამ ენაში გამოყენებულ მორფემებს გამოხატავენ. მაგ., გლისონი შემდეგნაირად წარმოგვიდგენს ინგლისური ენის სახელისა და ზმნის პარადიგმებს:

არსებითი სახელის ფუძე $\{-Z_1\}$	ზმნის ფუძე $\{-Z_3\}$
არსებითი სახელის ფუძე $\{-Z_2\}$	ზმნის ფუძე $\{-D_1\}$
არსებითი სახელის ფუძე $\{-Z_1 Z_2\}$	ზმნის ფუძე $\{-D_2\}$
	ზმნის ფუძე $\{-ing\}$ ⁶⁴

აღწერის ასეთი პრინციპი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ (საქმე ისაა, რომ ბოლომდე განთავისუფლებას ფუნქციონალური ტერმინებისაგან ვერაინ ახერხებს), ძალიან მოუხერხებელია, განსაკუთრებით, თუ ენა მდიდარია აფიქსებით. თვით სპეციალისტებისთვისაც შეუძლებელი იქნებოდა ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის აღქმა, მისი სიტყვაწარმოება და ფორმაცვლილება რომ ამ წესით წარმოგვედგინა. აღნიშნული სიმბოლიზაციის ერთ-ერთი გამართლება ისაა, რომ ტრადიციული ტერმინები (მრავლობითი რიცხვის ნიშანი, კუთ-

⁶³ E. Nida, Morphology, გვ. 45.

⁶⁴ Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 145. ფუნქციური ტერმინებით $\{-Z_1\}$ კუთვნილებითი ფორმანტია, $\{-Z_2\}$ —მრავლობითი რიცხვის ნიშანი, $\{-Z_3\}$ —მესამე პირის ნიშანი, $\{-D_1\}$ —უწყვეტლის მაწარმოებელია, ხოლო $\{D_2\}$ —ნამუს მიღლების ნიშანი. შტრ. აგრეთვე G. L. Trager—H. L. Smith, An Outline of English Structure, გვ. 61—65 და შემდ.

ვნილებითი ფორმანტი, დროის მაწარმოებელი...) მნიშვნელობას ემყარებიან და ამიტომაც არიან მიუღებელი უკიდურესი ფორმალიზაციის მომხრე დესკრიპტივისტებისათვის. მეორე მიზეზი მათემატიზაციის ტენდენცია უნდა იყოს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ნაიდა არ გაურბის მნიშვნელობის გათვალისწინებას, ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ ის არ ხმარობს ზემომოყვანილი ტიპის პირობით სიმბოლოებს და მათ ნაცვლად იყენებს ჩვეულებრივ ტრადიციულ სახელწოდებებს. საერთოდ, ნაიდა არ არის წინააღმდეგი ტრადიციულ ტერმინთა გამოყენებისა, როდესაც ისინი საკირო არიან⁶⁵. იგი ცდილობს მხოლოდ იმ შემთხვევებში იხმაროს ახალი ტერმინები, როდესაც მათი ეკვივალენტი არ არსებობს.

ფორმის მნიშვნელობის მიხედვით შექმნილ ტერმინებს ნაიდა მხარს უჭერს, მაგრამ მაინც შენიშნავს, რომ სხვადასხვა ენაში საერთო სახელწოდებათა გამოყენებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს და სტრუქტურული მსგავსებები გვაყარაუდებინოს იქ, სადაც ისინი არ არსებობენო.

ეს შენიშვნა ანგარიშგასაწევია. მართლაც, ცნობილია, რომ მაგ. სახელობითი ბრუნვა ქართულსა და რუსულში, მიუხედავად საერთო სახელწოდებისა, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (რუსულში სახელობითი მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაა, ქართულში ის ობიექტსაც აღნიშნავს, გარდა ამისა, ქართულს მეორე ბრუნვა: აქვს სუბიექტისათვის). გარდა ამისა, ფუნქციური სახელწოდებები ყოველთვის არ ასახავენ სათანადო მორფემათა რეალურ ფუნქციებს. და, საერთოდ, განა სულერთი არ არის, რა სახელს ვუწოდებთ ფორმანტებს? მთავარია, რომ იყოს შეთანხმება სპეციალისტებს შორის.

რაკი ენათმეცნიერებაში მტკიცედ დამკვიდრდა შეხედულება, რომ სხვადასხვა ენის სტრუქტურა განსხვავდება ერთმანეთისაგან და ყოველი ენა უნდა აიწეროს მისი სპეციფიკის შესაბამისად, ცხადია, სპეციალისტებს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ თითოეული ენის თავისებურებანი. მაგრამ ფუნქციურ ტერმინებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი შესაძლებლობას იძლევიან შევადაროთ სხვადასხვა ენაში ერთი რიგის კატეგორიები და ამ შედარების დროს მათ შორის მსგავსებებიც შევნიშნოთ და განსხვავებებიც. მიუხედავად განსხვავებისა, გარკვეული თვალსაზრისით მაინც გამართლებულია ქართული სახელობითი ბრუნვის შედარება რუსულ სახელობით ბრუნვასთან, ვინაიდან განსხვავებულთან ერთად მათ საერთო ნიშნებიც აქვთ. მაგრამ არავის მოუვა აზრად ერთი ენის ბრუნვის ნიშანი შეადაროს მეო-

⁶⁵ E. N i d a, Morphology, გვ. 4.

რე ენის დროის მაწარმოებელს, ვინაიდან ფუნქციური სახელები გვეუბნება, რომ სულ სხვადასხვა რიგის მოვლენებთან გვაქვს საქმე. მაგრამ თუ ჩვენ ენის შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რომ მას აქვს $\{-Z_1\}$, $\{-Z_2\}$, $\{-Z_3\}$ ფორმანტები, ამ ნიშნის მიხედვით სრულიად შეუძლებელია მოვნახოთ მეორე ენაში მათი ფარდი კატეგორიები, რომლებთან სტრუქტურული შედარებაც შესაძლებელი იქნებოდა.

ს ი ტ ყ ვ ა. ბლუმფილდი სიტყვას განსაზღვრავდა, როგორც მინიმალურ თავისუფალ ფორმას⁶⁶, მაგრამ ენის აღწერითი ანალიზის დროს ყურადღების ცენტრმა მორფოლოგიაში სიტყვიდან მორფემაზე გადაინაცვლა. შემდგომში ეს ტენდენცია დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში უფრო გაძლიერდა და გრამატიკის ობიექტად გამოცხადდა მორფემები და მათი ალტერნანტები ანუ ალომორფები. სიტყვა კი დაიჩრდილა და რიგ მკვლევართან სრულიად ამოვარდა მორფოლოგიის ძირითად ცნებათა ინვენტარიდან. ამ მხრივ დამახასიათებელია ჰარისის სიტყვები სტატიაში „მორფემიდან გამოთქმისაკენ“, სადაც ჯერ კიდევ 1946 წ. ავტორი აცხადებს, რომ იგი არ აღიარებს სხვა ელემენტებს გარდა მორფემებისა და მორფემათა თანმიმდევრობებისა⁶⁷.

თუ სიტყვა, ერთი მხრივ, მორფემამ შეავიწროვა, მეორე მხრივ, იგი გაითქვიფა გამოთქმაში (utterance) ანუ გამოხატულებაში (expression), რომელიც ფართოდ იხმარება დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში და სიტყვასაც მოიცავს და შესიტყვებასაც.

ნაიდა, ერთი შეხედვით, სიტყვას თითქოს არ გამოდევნის მორფოლოგიიდან. მისი ნაშრომის ქვესათაურიც ხომ ასეთია: «სიტყვათა დესკრიფციული ანალიზი». მორფოლოგიის განსაზღვრისასაც ავტორი გვეუბნება, რომ ეს დარგი სწავლობს მორფემათა ისეთ კომბინაციებს, რომლებიც სიტყვებს შეადგენენ. მაგრამ თვით გამოკვლევაში სიტყვას არა მხოლოდ ცენტრალური ადგილი არ უკავია, არამედ იგი საგანგებო განხილვის საგანიც კი არ არის.

ნაიდა არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რა არის სიტყვა. თავისი ნაშრომის დასაწყისში ის გვაფრთხილებს, რომ ხმარობს სიტყვას ჩვეულებრივი, ტრადიციული გაგებით⁶⁸. მოგვიანებით კი განიხილავს მხოლოდ სიტყვის პრაქტიკულ საზღვრებს. ეს საკითხი იმიტომ ჩნდება, რომ მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზის დროს ნაწილაკები იმ

⁶⁶ Л. Блумфилд, Ряд постулатов для науки о языке, „В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков“, ч. II, 1965, гл. 202.

⁶⁷ Zellig S. Harris, From Morpheme to Utterance, «Language», 1946, v. 22. მოკვყავს RiL-ის მიხედვით, გვ. 142.

⁶⁸ E. Nida, Morphology, გვ. 1.

სიტყვებთან ერთად იწერება, რომლებსაც ისინი მორფოლოგიურად უკავშირდებიან, მაგრამ, ავტორის მიხედვით, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკულ ორთოგრაფიაშიც ასე უნდა ვწეროთ. იგი გვაწვდის წესებს იმის შესახებ, განცალკევებით უნდა დაიწეროს თუ არა ნაწილაკები და ჩართული ფრაზები, რომელთაც მორფოლოგიური ფორმანტი აქვთ⁶⁹.

ავტორი საკმაო ყურადღებას უთმობს მორფოლოგიურ სტრუქტურათა საზღვრების საკითხს. ადგენს ფონოლოგიურ და დისტრიბუციულ კრიტერიუმებს, რომლებმაც უნდა განასხვავონ მორფოლოგიური სტრუქტურები სინტაქსურისაგან⁷⁰. მაგრამ მთელ ამ მსჯელობაში სიტყვის საკითხი სრულიადაც არ არის განხილული.

უფრო მეტიც, ირკვევა, რომ სიტყვა და მორფოლოგიური სტრუქტურა არ ემთხვევა ერთმანეთს. ერთ-ერთ შენიშვნაში ავტორი წერს: ტერმინი „სიტყვა“ არ შეიძლება მოხერხებულად იქნეს გამოყენებული, როგორც „მორფოლოგიური სტრუქტურის“ ეკვივალენტი, რადგან მას ახლავს მეტად ბევრი სხვა ტრადიციული ასოციაცია. ამ წიგნში „სიტყვა“ გამოყენებულია ისეთი მორფოლოგიური სტრუქტურის განსაზღვრისათვის, რომელიც არ შეიცავს ფრაზებს, რომლებიც ფონეტიკურად იდენტურია პარალელური სინტაქსური წარმოებისა, მაგრამ შეიძლება შეიცავდეს ნაწილაკებს, რომელთაც აქვს არაშესატყვისი თავისუფალი ფორმები⁷¹.

თუ სიტყვა არ უდრის მორფოლოგიურ სტრუქტურას, მაშინ წინააღმდეგობრივი გამოდის მორფოლოგიის ზემომოყვანილი განსაზღვრება. მაშინ გამოვა, რომ მორფოლოგია მორფემათა ისეთ კომბინაციებს სწავლობს, რომლებიც მორფოლოგიურ სტრუქტურებს ქმნიან და არა სიტყვებს.

ამგვარად, ძნელია დავეთანხმოთ ნაიდას იმაში, თითქოს მისი ნაშრომი წარმოადგენდეს „სიტყვათა დესკრიფციულ ანალიზს“. ეს ქვესათაური ნაშრომის აღრინდელი ვარიანტიდან უნდა იყოს გადმოყოლილი. როგორც ჰოკეტის რეცენზიიდან ჩანს, ნაიდას 1946 წ. გამოცემაში მოჰყავდა სიტყვის ბლუმფილდისეული განსაზღვრება და ამასთან იგი იძლეოდა სიტყვის გამოყოფის მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ფონოლოგიურ კრიტერიუმებს⁷². უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაშრომის გადამუშავების დროს სიტყვამ ნაიდასათვის დაკარგა მორფოლო-

⁶⁹ E. N i d a, Morphology, გვ. 106.

⁷⁰ იქვე, გვ. 1C2—1C5.

⁷¹ იქვე, გვ. 1C5.

⁷² იხ. ჩ. ჰოკეტის რეცენზია ი. ნაიდას შრომაზე, «Language», 1947, № 3, გვ. 275—280.

გის ერთ-ერთი წამყვანი ცნების ღირებულება. სწორედ მაშინ გაითიშა ერთმანეთისაგან სიტყვა და „მორფოლოგიური სტრუქტურა“, რაც სავსებით შეესაბამებოდა დესკრიფციული ენათმეცნიერების თვალსაზრისს ამ საკითხზე.

რამდენად გამართლებულია ენის მორფოლოგიისა და საერთოდ გრამატიკის აღწერა „სიტყვის“, როგორც სპეციალური ცნების, გარეშე? — ვფიქრობთ, რომ არ არის გამართლებული. სიტყვა ენის სრულიად რეალური ერთეულია, რომელიც დამოუკიდებლადაც კი ფუნქციონირებს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ბლუმფილდი სიტყვას განსაზღვრავდა, როგორც მინიმალურ თავისუფალ ფორმას, ე. ი. ისეთს, რომელიც ცალკეც შეიძლება შეგვხვდეს მეტყველების აქტში. ძირითადი, რაც სიტყვას მორფოლოგიის ობიექტად მიგვაჩნევენებს, ისაა, რომ სიტყვა ენის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. ის ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებათა მიხედვით არის აგებული მორფემებისაგან.

ცალკე აღებულ მორფემას მხოლოდ ფონოლოგიური სტრუქტურა და მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. სიტყვაა ის უფრო დიდი კონსტრუქცია, რომელშიაც ერთიანდება მორფემები. სიტყვის ფარგლებში ადგილი აქვს მორფემათა გარკვეულ დისტრიბუციებს, მათ ურთიერთზე მოქმედებას, სიტყვის დასაწყისი და დასასრული გარკვეულ შეზღუდვებს ადებს არა მხოლოდ ფონემათა, არამედ აგრეთვე მორფემათა გამოყენებას.

სიტყვა ქმნის იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც უნდა იქნეს გამოკვლეული მორფემები და მათი განაწილება. ამიტომ, ბუნებრივია, მორფოლოგიის ძირითად ერთეულად „სიტყვა“ ვაღიაროთ, მორფემები კი მის შემადგენლებად მივიჩნიოთ.

დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში მორფემის ხვედრითი წონა გაზვიადდა. მორფემა მიჩნეულ იქნა გრამატიკის ძირითად ცნებად. იგი საფუძვლად დაედო არა მხოლოდ მორფოლოგიას, არამედ სინტაქსსაც, რომელიც, ჰარისის განსაზღვრების მიხედვით, შეისწავლის მორფემათა თანმიმდევრობებს. ამით შეიქმნა რეალური საფრთხე მორფოლოგიასა და სინტაქსს შორის ზღვრის მოშლისა, თუმცა თვით დესკრიპტივისტები აღიარებენ, და სავსებით სამართლიანადაც, რომ ენათა უმრავლესობაში მორფოლოგიისა და სინტაქსის გარჩევა მიზანშეწონილია⁷³.

⁷³ ის ფაქტი, რომ ზოგ ენას, შესაძლებელია, სიტყვები სრულიად არ ჰქონდეს, არაფერს ამბობს ზემოთყვანილი მსჯელობის საწინააღმდეგოდ. ასეთი ენები მათი სტრუქტურის შესაბამისად სხვა ცნებებით აიწერება. მათთან მორფოლოგიის საკითხი საერთოდ არ დაისმის.

გაუმართლებლად გვეჩვენება სინტაქსის ობიექტად მორფემათა თანმიმდევრობის მიჩნევა. სინტაქსი შესიტყვებებს (ანუ დესკრიპტივისტთა ტერმინოლოგიით — ფრაზებს), ე. ი. სიტყვათა სტრუქტურულ შეკავშირებებს შეისწავლის. ამგვარად, სინტაქსისათვის უმცირეს და უშუალოდ ერთეულებს სიტყვები წარმოადგენს და ამდენად შესიტყვებათა შემადგენლები სიტყვებია, ისევე როგორც სიტყვათა შემადგენლები მორფემები იყო.

შეიძლება შემოგვედავონ, სიტყვა ხომ მორფემათა თანმიმდევრობაა! — მაგრამ საქმე ისაა, რომ გამოთქმა „მორფემათა თანმიმდევრობა“ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში (პარისთან მაინცდამაინც!) არ არის დაზუსტებული. რამდენადაც ცნება „სიტყვა“ ამოვარდნილია, „მორფემათა თანმიმდევრობა“ თანაბრად იხმარება როგორც ტრადიციული გაგებით „სიტყვის“, ისე „შესიტყვების“ მიმართ. ასეთი ორაზროვანი გამოთქმა კი ენათმეცნიერების დარგთა ობიექტების გარკვევაში ძნელად თუ დაგვეხმარება.

ასევე ორაზროვანია ტერმინი გამოთქმა (utterance), რომელსაც ასე ხშირად მიმართავენ დესკრიპტივისტები. პრაქტიკულად იგი ზოგჯერ შეიძლება საჭიროც იყოს, მაგრამ ის არ არის სპეციფიკური შინაარსის მქონე ცნება. რამდენადაც მასში სიტყვაც შეიძლება იგულისხმებოდეს და შესიტყვებაც, ამდენად იგი აერთიანებს ორი სხვადასხვა დონის ერთეულებს და ქმნის მათი აღრვევის საფრთხეს. ცხადია, ეს ტერმინი ვერც „სიტყვას“ შეცვლის და ვერც „შესიტყვებას“ (ფრაზას), რამდენადაც ეს უკანასკნელები სხვადასხვა დონის სპეციალურ ცნებებს წარმოადგენენ.

II. ენის მორფოლოგიური აღწერა

ენის მორფოლოგიურ აღწერას ნაიდა ორ საფეხურად ყოფს: (1) ენის მორფემული ინვენტარის დადგენა და (2) მორფემათა დისტრიბუციის შესწავლა⁷⁴.

ენის მორფემული ინვენტარი

ენის მორფემული ინვენტარის შესწავლა თავისი მხრივ მოითხოვს მორფემათა იდენტიფიკაციას და მორფემათა ტიპების გამოყოფას.

⁷⁴ E. N i d a, Morphology, გვ. 78.

1. მორფემათა იდენტიფიკაცია. მორფემათა იდენტიფიკაცია გულისხმობს მორფემულ ერთეულთა გამოყოფას და შემდეგ ამ ერთეულთა ანუ ალომორფთა დაჯგუფებას მორფემებად.

მორფემულ ერთეულთა გამოყოფისათვის მიმართავენ ისეთ სიტყვათა შეპირისპირებას, რომელთაც აქვთ როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული ნაწილები. შეპირისპირების რამდენიმეჯერ ჩატარება შესაძლებლობას იძლევა დაიშალოს სიტყვა მნიშვნელობის მქონე შემადგენელ ნაწილებად. სიტყვათა დაშლის ეს წესი არ არის დესკრიფციული ენათმეცნიერების მიერ შექმნილი, მას მორფოლოგიაში სხვებიც მიმართავენ. კერძოდ, ფ. დე სოსიური და მისი მიმდევრები, ფ. ფორტუნატოვის სკოლის წარმომადგენლები.

დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ყურადღება მახვილდება მეორე საკითხზე, რომელიც სპეციფიკურია ამ სკოლისათვის. ეს არის ალომორფების მორფემებად გაერთიანების საკითხი ანუ საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ალომორფები უნდა მივაკუთვნოთ ერთსა და იმავე მორფემას. ისევე, როგორც ანალიზის სხვა შემთხვევებში, აქაც დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლები ცდილობენ წარმოგიდგინონ პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ალომორფების დაჯგუფებას. გარკვეული წესები ჰქონდა მოცემული ჰარისს. თავისებურ პრინციპებს გვაძლევს ნაიდაც.

ნაიდამ მორფემათა იდენტიფიკაციის საკითხს ჯერ კიდევ თავისი წიგნის გამოსვლამდე საგანგებო წერილი უძღვნა «Language»-ში⁷⁵. თუმცა გამოყოფილ პრინციპთა რაოდენობა ამ ორ ნაშრომში ერთმანეთს არ ხედება („მორფოლოგიურ ანალიზში“ 6 პრინციპია, „მორფემათა იდენტიფიკაციაში“ — 13), თვით პრინციპთა დაფორმულებაც არ არის ყოველთვის სავსებით ერთნაირი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაიდას ორ ნაშრომს შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება. უბრალოდ თავის წიგნში ავტორმა უფრო დახვეწა და დააზუსტა ზოგი რამ. რიგ შემთხვევაში, ის, რაც ცალკე პრინციპად იყო გამოყოფილი სტატიაში, სხვა პრინციპებთან გაერთიანდა წიგნში.

ნაიდა გეთავაზობს მორფემათა გამოყოფისა და იდენტიფიკაციისათვის 6 პრინციპს:

1 პ რ ი ნ ც ი პ ი: „ფორმები, რომელთაც ახასიათებთ საერთო სემანტიკური განსხვავებულობა (distinctiveness) და იდენტური ფონემური ფორმა ყველა მათი გამოვლენისას, შეადგენენ ერთ მორფემას“⁷⁶.

⁷⁵ Eugene A. Nida, The Identification of Morphemes, «Language», 1948, v. 24, № 4, გვ. 414—441.

⁷⁶ E. Nida, Morphology, გვ. 7.

სანიმუშოდ დასახელებულია მორფემა -er, რომელიც ერთვის ინგლისურ ზმნებს worker „მუშა“, dancer „მოცეკვავე“, runner „მორბენალი“... ამ მორფემას აქვს ყოველთვის ერთი და იგივე ფონეტიკური ფორმა და არსებითად ერთი და იგივე მნიშვნელობა (სახელდობრ, მოქმედების ჩამდენის, აგენტის).

„საერთო სემანტიკური განსხვავებულობა“ იმაზე მიუთითებს, რომ მნიშვნელობა⁷⁷, რომელიც საერთოა -er სუფიქსის ყველა გამოვლენისათვის. დისტინქციურად უპირისპირდება ყველა მსგავს ფორმათა მნიშვნელობას. მაგ., სუფიქსური -er მორფემა ზედსართავეებში wider „უფრო ფართო“, smaller „უფრო პატარა“, deeper „უფრო ღრმა“ განსხვავდება ზემოგანხილული -er მორფემისაგან. ამ შემთხვევაში განსხვავების საფუძველს ქმნის არა ფორმა (რადგან ფორმა იდენტურია), არამედ მნიშვნელობის მიხედვით სხვაობა⁷⁸.

2 პ რ ი ნ ც ი პ ი: „ფორმები, რომელთაც ახასიათებთ საერთო სემანტიკური განსხვავებულობა, მაგრამ რომლებიც გაირჩევიან ფონემური ფორმით (ე. ი. ფონემებით ან ფონემათა რიგით), შეიძლება შეადგენდნენ ერთ მორფემას იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ფორმალურ განსხვავებათა დისტრიბუციის ფონოლოგიურად განსაზღვრა“⁷⁹.

მაგ., ინგლისურში უარყოფის პრეფიქსს ორი ფორმა აქვს in- და im-. ამ განსხვავებას განსაზღვრავს იმ სიტყვის ფორმა, რომელსაც პრეფიქსი ერთვის. თუ ეს სიტყვა ალვეოლარი თანხმოვნებით იწყება, მაშინ გვექნება ალვეოლარი ნაზალური n (მაგ., indecent „შეუფერებელი, უკადრისი“), ხოლო თუ სიტყვა იწყება ბილაბიალური თანხმოვნით, მის წინ ბილაბიალური ნაზალური m იქნება (მაგ. impracticable „განუხორციელებელი“). ამგვარად, აქ ასიმილაციის პროცესთან გვაქვს საქმე და in- და im-ის დისტრიბუცია ანუ გამოვლენის პოზიციები განსაზღვრულია იმ ფორმათა ფონოლოგიური მახასიათებლებით, რომლებთანაც ისინი გვხვდებიან⁸⁰.

⁷⁷ ავტორი შენიშნავს, რომ ერთი მორფემის მნიშვნელობა ყველა პოზიციაში ზუსტად ერთნაირი არასოდეს არ არის, მაგრამ შესაძლებელია გამოიყოს განსხვავებულ მნიშვნელობათა ტიპები.

⁷⁸ E. Nida, დასახ. ნაშრ., გვ. 7. ქართულში შესატყვისი მაგალითი იქნებოდა, ერთი მხრივ, მოძღვრების მორფემა მ სიტყვებში: მკერავი, მბეჭდავი, მწერალი, ხოლო, მეორე მხრივ, I ობიექტ. პირის აღმნიშვნელი მ ზმნებში: მწერს, მხატავს...

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ იქვე., გვ. 14.

ნაიდა განიხილავს ასიმილაციის, თანხმოვანი და ხმოვანი ფონემების დაკარგვის, პალატალიზაციის პროცესებს, რომლებიც ალომორფთა შორის განსხვავებებს განაპირობებენ⁸¹.

3 პ რ ი ნ ც ი პ ი: „ფორმები, რომელთაც ახასიათებთ საერთო სემანტიკური განსხვავებულობა, მაგრამ რომლებიც გარჩეული არიან ფონემური ფორმით იმგვარად, რომ მათი დისტრიბუცია არ შეიძლება ფონოლოგიურად განისაზღვროს, შეადგენენ ერთ მორფემას, თუ ისინი იმყოფებიან დამატებითს დისტრიბუციაში“⁸².

ნაიდას რიგი შეზღუდვა შემოაქვს ამ პრინციპის გამოყენებისათვის.

4 პ რ ი ნ ც ი პ ი: „ღია ფორმალური განსხვავება სტრუქტურულ სერიაში შეადგენს ერთ მორფემას, თუ ასეთი სერიის ნებისმიერ წევრში ღია ფორმალური განსხვავება და ნულოვანი სტრუქტურული განსხვავება წარმოადგენენ ერთადერთ სიგნიფიკაციურ თვისებებს ფონეტიკურ-სემანტიკური განსხვავებულობის მინიმალური ერთეულის გარჩევისათვის“⁸³.

ავტორი განსაზღვრავს ღია ფორმალურ განსხვავებას, როგორც კონტრასტს, რომელიც გამოხატულია ფონემების ან ფონემათა რიგის განსხვავებით. მისი მაგალითია დისტინქცია *foot/fut/-სა* „ფეხი“ და *feet /fyt/-ს* „ფეხები“ შორის. მაშინ როდესაც განსხვავება მხოლოდითის *sheep /ʃiyp/-სა* და მრავლობითის *sheep /ʃiyp/-ს* შორის შედგება ნული-საგან და დახურულია⁸⁴.

5 პ რ ი ნ ც ი პ ი: „პომოფონური ფორმები გაიგივებული უნდა იქნენ ერთსა და იმავე ან განსხვავებულ მორფემებად შემდეგი პირობების მიხედვით“⁸⁵:

1. პომოფონური ფორმები, რომელთაც დისტინქციურად განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ, შეადგენენ განსხვავებულ მორფემებს.

⁸¹ E. N i d a, დასახ. ნ.წრ., გვ. 14. თავისი ნაშრომის დამატებაში (გვ. 283—323) მას უფრო დაწვრილებით აქვს მიმოხილული ფონოლოგიური პროცესები.

⁸² დამატებითი დისტრიბუცია, ავტორის განმარტებით, იმას ნიშნავს, რომ ფორმის განსხვავებები პარალელურია დისტრიბუციის განსხვავებებისა. მაგ., თუ რომელიმე მორფემას აქვს სამი ალომორფი, 1, 2, 3 და გვაქვს ფუძეები A-დან J-მდე, ეს ალომორფები დამატებითს დისტრიბუციაში იქნებიან იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ თითოეული მათგანი გვხვდება თითო ფუძესთან. მაგ., თუ გვაქვს A1, B1, C3, D2, E1, F3, G3, H1 J3, J2. E. N i d a, Morphology, გვ. 42.

⁸³ იქვე, გვ. 54.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ იქვე, გვ. 55.

2. „მონათესავე მნიშვნელობათა მქონე ჰომოფონური ფორმები შეადგენენ ერთ მორფემას, თუ მნიშვნელობის კლასებს შეესაბამება დისტრიბუციული განსხვავებები, მაგრამ ისინი შეადგენენ სხვადასხვა მორფემებს, თუ მნიშვნელობის კლასებს არ შეესაბამება დისტრიბუციული განსხვავებები“⁸⁶.

ჰომოფონურ ფორმებად მიჩნეულია ფონემურად იდენტური, მაგრამ მნიშვნელობით განსხვავებული ფორმები, მაგ., ინგ. pear „ძისალი“, pare „მოქრა, მოკვეცა“ და pair „წყვილი“⁸⁷.

დისტინქციურად განსხვავებული და მონათესავე ფორმების განსაზღვრა, ავტორის მიხედვით, ძნელია, მაგრამ მაინც შესაძლებელია.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება დისტრიბუციულ განსხვავებათა ტიპების საკითხზე.

6 პ რ ი ნ ც ი პ ი: მორფემა ცალკე უნდა გამოიყოს, თუ ის გვხვდება შემდეგ პირობებში: 1. იზოლირებულად. მაგ., cow „ძროხა“.

2. მრავალრიცხოვან კომბინაციებში. რომლებშიაც ერთი ერთეული მაინც, რომელთანაც ის არის დაკავშირებული, გვხვდება იზოლირებულად ან სხვა კომბინაციებში. მაგ., -er არასოდეს არ გვხვდება იზოლირებულად, მაგრამ მაინც შეიძლება მისი მიჩნევა მორფემად. რადგან ელემენტები, რომლებთანაც ის გვხვდება (მაგ., dancer „მოცეკვავე“, worker „მუშა“), იზოლირებულადაც იხმარებიან (მაგ., dance „ცეკვა“, work „მუშაობა“).

3. ერთადერთ კომბინაციაში, თუ ელემენტი, რომელთანაც ის არის დაკავშირებული, გვხვდება იზოლირებულად ან სხვა კომბინაციებში არა ერთადერთ შემადგენელთან⁸⁸. ამ პირობის თანახმად ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ისეთი მორფემები, რომლებიც მხოლოდ ერთ კომბინაციაში გვხვდებიან. მაგ., cranecranberry-ში „შტოში“, რადგან berry „კენკრა“ გვხვდება როგორც იზოლირებულად, ისე სხვა კომბინაციებში.

ალომორფთა კლასიფიკაცია მორფემებად დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა იმთავითვე. როგორც აღნიშნული იყო, ი. ნაიდა ეკამათებოდა ამ საკითხზე ბ. ბლოკსა და ჩ. ჰოკეტს.

⁸⁶ E. Nida, Morphology, გვ. 56.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ იქვე, გვ. 58—59.

რა ქმნის სიძნელეს მორფემულ ალტერნანტთა კლასიფიკაციის დროს? სიძნელეს ის ქმნის, რომ მორფემის დამახასიათებელ ორ თვისებას შორის (1. მორფემის ფორმა ანუ ფონემური შედგენილობა და 2. მორფემის მნიშვნელობა ანუ ფუნქცია) ყოველთვის არ არსებობს პარალელიზმი. მნიშვნელობით ერთნაირ მორფემებს შეიძლება ფორმა განსხვავებული ჰქონდეთ და პირუკუ, შესაძლებელია, ფორმით განსხვავებული მორფემები იდენტური მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდნენ. სწორედ ამიტომ ჩნდება საკითხი, რა შემთხვევაში უნდა მივაკუთვნოთ ალტერნანტები ერთსა და იმავე მორფემას და როდის ჩავთვალოთ ისინი სხვადასხვა მორფემის წარმომადგენლებად?

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ნაიდას პრინციპებს, აღმოჩნდება, რომ ყველა შემთხვევაში გადამწყვეტია მნიშვნელობის იდენტურობა. ნაიდას ექვსი პრინციპიდან უკანასკნელი სხვა სიბრტყეზე დგას, ვიდრე დანარჩენები. მეექვსე პრინციპი ეხება სიტყვის დაშლას მორფემებად, ანუ, უფრო ზუსტად, მორფემულ ალტერნანტებად. დანარჩენი ხუთი პრინციპი კი განიხილავს მორფემის მნიშვნელობისა და ფორმის მიმართების სხვადასხვა შემთხვევას:

1. მნიშვნელობით ერთნაირი და ფონემურადაც ერთნაირი მონაცემი, თავისთავად ცხადია, ერთ მორფემას შეადგენს. ჩვენ რომ მხოლოდ ასეთი შემთხვევები გვქონდეს, საქმე ძალიან გაადვილდებოდა. მაგრამ მნიშვნელობით ერთნაირი მორფემები შეიძლება ფორმით განსხვავებული იყვნენ. ქვემოთ სწორედ ასეთი შემთხვევებია განხილული:

2. მნიშვნელობით ერთნაირი — ფონემურად განსხვავებული, ოღონდ იმგვარად, რომ ფონემური დისტრიბუცია გაპირობებულია ფონოლოგიურად. ასეთ შემთხვევაში ერთი მორფემის ალომორფებთან გვაქვს საქმე.

3. მნიშვნელობით ერთნაირი — ფონემურად განსხვავებული, მაგრამ დამატებითს დისტრიბუციაში მყოფი ანუ, სხვაგვარად, მორფოლოგიურად გაპირობებული. აქაც ერთი მორფემის ალომორფები გვექნება.

4. მნიშვნელობით ერთნაირი — ფონემურად განსხვავებული, როდესაც ფონემური სხვაობა ღია ფორმალურ განსხვავებას ანუ ფუძის ფლექსიას წარმოგვიდგენს. ასეთ ალომორფებსაც ერთ მორფემად ავგუფებს ავტორი.

ამგვარად, სამივე შემთხვევაში, როდესაც მნიშვნელობით იდენტური ალომორფები ფონემური შედგენილობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, საკითხი მნიშვნელობის სასარგებლოდ წყდება. მეხუთე შემთხვევაში ავტორი ფორმის იგივეობიდან ამოდის, ჰომოფონურ ალტერნანტებს განიხილავს:

5. ა) ფორმებით ერთნაირი (ჰომოფონური), მაგრამ მნიშვნელობით განსხვავებული ალტერნანტები სხვადასხვა მორფემას განეკუთვნებიან⁸⁹.

ბ) ფორმით ერთნაირი და მონათესავე მნიშვნელობის მქონე ალტერნანტები ერთ მორფემას შეადგენენ, თუ მნიშვნელობის განსხვავებას შეესაბამება დისტრიბუციული განსხვავებები (მაგ., fish — სახელი „თევზი“ და to fish — ზმნა „თევზაობა“).

როგორც ვხედავთ, უკანასკნელ შემთხვევაშიაც მნიშვნელობის იგივეობა ან განსხვავებაა გადამწყვეტი და ამიტომ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ალომორფთა დაჯგუფების ძირითად პრინციპს წარმოადგენს მნიშვნელობის იდენტობა ან მსგავსება. ეს ნაიდას ნაშრომში ძალიან ნათლად ჩანს, ვინაიდან ის საერთოდ აღიარებს მნიშვნელობის შესწავლის საჭიროებას და ამიტომ თავისუფლად იყენებს მნიშვნელობის კრიტერიუმს.

მორფმათა იდენტიფიკაციისათვის ნაიდა მნიშვნელობის გვერდით დამატებითს დისტრიბუციასაც იყენებს. მაგრამ დისტრიბუცია, ნაიდას მიხედვით, არ არის ერთადერთი და ყველაფრის მომცველი პრინციპი. იგი ამ მხრივაც განსხვავდება ზოგი დესკრიპტივისტისაგან⁹⁰.

ნაიდას ნაშრომში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს, რომ ალომორფების გაერთიანებას მორფემებად საფუძვლად უდევს მნიშვნელობის (ფუნქციური) ერთგვარობა. რაც შეეხება დამატებითს დისტრიბუციას, ის ყველა შემთხვევაში არც გამოიყენება, ხოლო იქ, სადაც მისი გამოყენება საჭიროდაა მიჩნეული, ყველა ენაში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ალომორფთა მნიშვნელობა იდენტურია, მათ შორის დამატებითი დისტრიბუცია კი არა გვაქვს. სწორედ ასეთი შემთხვევების ინტერპრეტაცია იწვევდა დავას დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში (კერძოდ, ბ. ბლოკს, ჩ. ჰოკეტსა და ი. ნაიდას შორის). დამახასიათებელია, რომ ნაიდას რიგი შეზღუდვა შემოაქვს დამატებითი დისტრიბუციის პრინციპის მიმართ. საერთოდ, როდესაც ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ალომორფებს შორის არა გვაქვს დამატებითი დისტრიბუცია, იგი საკითხს მნიშვნელობის სასარგებლოდ წყვეტს. მაგ., ზმნა to

⁸⁹ საინტერესო დეტალია, რომ ტერმინს დამატებითი დისტრიბუცია ნაიდა ხმარობს მხოლოდ მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფებთან. ფონოლოგიურად გაპირობებულებთან კი იგი უბრალოდ დისტრიბუციის სხვაობაზე მიუთითებს.

⁹⁰ მაგ., ჰარისისაგან, რომელიც ერთადერთ რელევანტურ მიმართებად დესკრიფციული ენათმეცნიერების თვალსაზრისით დისტრიბუციულ მიმართებას თვლის (იხ. Z. S. Harris, *Methods in Structural Linguistics*, გვ. 5), მნიშვნელობას კი საერთოდ გამორიცხავს პრინციპულად, თუმცა ამის პრაქტიკულად განხორციელებას ვერ ახერხებს.

show „ჩვენება“ ნამყოს მიმღეობაში ორი ფორმით გვხვდება: shown და showed. ამ თვალსაზრისით -n-სა და -ed-ის დისტრიბუცია არაა დამატებითი, იგი კონტრასტულია, მაგრამ ეს კონტრასტი, ავტორის სიტყვით, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ -n და -ed ცალკე მორფემებად მივიჩნიოთ⁹¹.

საკითხავია, რატომ არ უნდა მივიჩნიოთ -n და -ed სინონიმურ მორფემებად? მით უმეტეს, რომ იქვე, თავის ნაშრომში ნაიდა ლაპა-რაკობს ჰომოფონური მორფემების შესახებ.

2. მორფემათა ტიპები: მორფემათა დაჯგუფებას მოსდევს მორფემათა ტიპების გამოყოფა. აქ ავტორი საკითხთა ორ წყებას განიხილავს: (1) მორფემათა შინაგანი კომპოზიცია და (2) მორფემათა ურთიერთმიმართებანი.

(1) მორფემათა შინაგანი კომპოზიციის თვალსაზრისით სამი შემთხვევაა განხილული:

ა) მორფემათა შემადგენელი ფონემების ტიპები. ნაიდას მიხედვით, მორფემები შეიძლება შედგენილი იყვნენ სეგმენტური ფონემებისაგან, სუპრასეგმენტური ფონემებისაგან (მაგ., ინტონაციური მოდელეები) და სეგმენტურ და სუპრასეგმენტურ ფონემათაგან ერთდროულად⁹².

ბ) მორფემათა სხვადასხვა ფორმები და მოცულობა (size). თეორიულად არ არსებობს რაიმე შეზღუდვა მორფემათა ფორმებისა და მოცულობისათვის, მაგრამ ყოველ ენაში გამოიყოფა სეგმენტურ მორფემათა გარკვეული მოდელეები. ინგლისურისათვის ნაიდა მორფემათა სამ მთავარ ტიპს გამოყოფს: C, VC და CVC⁹³.

გ) მორფემათა ნაწილების ფორმალური მიმართებანი. მორფემების ნაწილები შეიძლება წარმოგვიდგნენ უწყვეტი თანმიმდევრობით, თუ ყველა მათგანი სეგმენტურია. თუ სეგმენტური მორფემების შემადგენელი ფონემები არ იმყოფებიან უწყვეტ თანმიმდევრობაში, მაშინ გვექნება წყვეტილი მორფემები (მაგ., მე...ე მებაღე-ში). ხოლო სეგმენტურ და სუპრასეგმენტურ ფონემათაგან შედგენილი მორფემები ერთმანეთზე დადებული⁹⁴.

(2) მორფემათა შორის ფორმალური ურთიერთობანი შეიძლება იყოს სტრუქტურული და პოზიციური.

⁹¹ E. Nida, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

⁹² იქვე, გვ. 65.

⁹³ იქვე.

⁹⁴ იქვე, გვ. 67—68.

ა) მორფემათა შორის სტრუქტურული მიმართებანი სამი ტიპისაა: (1) დართვითი ანუ ადიციური (additive) მორფემები. იგულისხმება: ძირები, პრეფიქსები, სუფიქსები, ინფიქსები, სუპრაფიქსები და რედუპლიკაციები⁹⁵. (2) შენაცვლებითი მორფემები. აქ შემოდის ფუძის ფლექსია, თანხმოვანთა გრამატიკული ცვლილებები, ტონის შეცვლა და ა. შ.⁹⁶ (3) დაკარგვითი (სუბტრაქტიული subtractive) მორფემები. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც გარკვეულ მნიშვნელობათა აღსანიშნავად ფუძეებს გამოაკლდება მორფემები. ამის ნიმუშს წარმოადგენს სქესის გამოხატვა ფრანგულ ზედსართავებში: მდედრ. /movez/ mauvaise—მამრ. /move/ mauvais „ცული“. ასეთ ფორმათა აღწერისას მდედრობითის ფორმები ჩათვლილია ძირითადად, ხოლო მამრობითის ფორმები ნაწარმოებად სუბტრაქტიული მორფემით, რომელიც შედგება ბოლო თანხმოვნისაგან ან თანხმოვანთა კომპლექსისაგან⁹⁷.

ბ) მორფემათა ურთიერთმიმართებანი აგრეთვე სამ ტიპს ქმნის: (1) თანმიმდევრული, (2) ჩართული და (3) ერთდროული. ერთდროული გამოვლენა ახასიათებს ზოგ სეგმენტურ და სუპრასეგმენტურ მორფემას. სეგმენტურ მორფემათა სრული ერთდროული გამოვლენის მაგალითია ფრანგ. au /o/, რომელიც მომდინარეობს a და le-ს კომბინაციისაგან⁹⁸.

ნაიდას მიერ შინაგანი კომპოზიციის თვალსაზრისით მორფემათა ტიპების გამოყოფისას ყურადღებას იპყრობს სეგმენტური და სუპრასეგმენტური ფონემებისაგან შედგენილი მორფემების გარჩევა, რასაც ყველა დესკრიპტივისტი არ მიიჩნევს საჭიროდ⁹⁹.

საერთოდ, ჩვენთვის არ არის ნათელი, რატომ არ შედის მორფემათა ტიპები ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც დისტრიბუციათა შესახებ არის მსჯელობა. ეს ტიპები არსებითად სწორედ დისტრიბუციულ მიმართებათა საფუძველზეა გამოყოფილი და მათ შესახებ მსჯელობა დისტრიბუციებთან დაკავშირებითაც არა ერთხელ მეორდება.

⁹⁵ E. N i d a, Morphology, გვ. 68—69.

⁹⁶ იქვე, გვ. 71—72.

⁹⁷ იქვე, გვ. 75—76. ფრანგულ ზედსართავთა ასეთი აღწერა მოცემული ჰქონდა ლ. ბლუმფილდს, რომელიც ლაპარაკობდა მინუს თვისების შესახებ (minus-feature). «Language», გვ. 217—218.

⁹⁸ იქვე, გვ. 77.

⁹⁹ იხ. ჩ. პოკეტის რეცენზია ი. ნაიდას წიგნის შესახებ «Language», 1947, № 3, გვ. 280. თვით ნაიდა ასახელებს რულონ უელსს, რომელიც არ განასხვავებს სეგმენტურ და სუპრასეგმენტურ თვისებებსო. R u l o n S. W e l l s, Immediate Constituents. «Language», 1947, v. 23. იხ. E. N i d a, The Analysis of Grammatical Constituents. «Language», 1948, v. 24, № 2, გვ. 169.

მორფოლოგიური ანალიზის მეორე საფეხურზე, გვეუბნება ნაიდა. შეისწავლება გამოყოფილ მორფემათა დისტრიბუცია. მათი განლაგებები ანუ, სხვაგვარად, ის, თუ როგორ ხდება მორფემათა შეერთებები. ამგვარად, თუ მორფემათა ინვენტარის გამოყოფისას ენის სტრუქტურის დაშლას ვაწარმოებთ და ანალიზური ოპერაციების ჩატარება გვჭირდება, დისტრიბუციის შესწავლა სინთეზურ პროცედურებს მოითხოვს, ის ხელახლა აგვაწყობინებს სტრუქტურას¹⁰⁰.

მორფემათა დისტრიბუციის აღწერის მიზნით ნაიდა შემდეგ საკითხებს გამოყოფს: (I) მორფემათა ტიპები, განსაზღვრულნი მათი დისტრიბუციით, (II) საშუალებები, რომელთა შემწეობითაც მორფემები ფორმალურად შეერთდებიან, (III) დისტრიბუციული გარემოცვის მიმართება უშუალო შემადგენელთა ტერმინებით, (IV) მორფოლოგიურ სტრუქტურათა ტიპები, რომლებიც წარმოიქმნებიან უშუალო შემადგენელთა სხვადასხვა კომბინაციის შედეგად, (V) ძირითადი სტრუქტურული ფენები, (VI) მორფოლოგიურ სტრუქტურათა საზღვრები¹⁰¹.

ნაიდას „მორფოლოგიაში“ წარმოდგენილ დისტრიბუციულ ანალიზთან დაკავშირებით ჩვენ მხოლოდ ორიოდ საკითხზე შევჩერდებით.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დესკრიფციულმა ენათმეცნიერებამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება დისტრიბუციულ მიმართებათა შესწავლაზე და სწორედ ამ სფეროში მას ყველაზე თვალსაჩინო მიღწევები აქვს. ეს ხელშესახებია ნაიდას „მორფოლოგიაშიც“. ავტორი დაწერილებით განიხილავს მორფემათა ურთიერთმიმართ განაწილების სხვადასხვა შემთხვევას, რაც უეჭველად სასარგებლოა ენის მორფოლოგიური ანალიზისათვის.

ისევე როგორც საერთოდ მორფოლოგიაში, ამ ნაწილშიაც ძირითადი ცნებები ნაიდას ბლუმფილდისაგან აქვს აღებული. ასეთია. მაგ., თავისუფალი და დაკავშირებული ფორმები, ენდოცენტრული და ეგზოცენტრული, კოორდინაციული და სუბორდინაციული კონსტრუქციები, უშუალო შემადგენლები და ა. შ. ი. ნაიდა ცდილობს სისტემაში მოიყვანოს ეს და რიგი სხვა ცნება და დაამუშაოს პროცედურები იმ მოვლენათა თუ მიმართებათა შესასწავლად, რომლებსაც ისინი გულისხმობენ.

¹⁰⁰ E. N i d a, Morphology, გვ. 5.

¹⁰¹ იქვე, გვ. 81.

შეიძლება სწორედ ბლუმფილდთან სიახლოვეთ აიხსნებოდეს ის, რომ რიგ შემთხვევაში ნაიდა არც კი განსაზღვრავს ძირითად ცნებებს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განსაზღვრა მზამზარეულად არსებობს დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში (პირველ რიგში იმავე ლ. ბლუმფილდის ნაშრომში). ასეთ განუსაზღვრელად დაჩენილ ცნებათა რიგს განეკუთვნება მაგ., დისტრიბუცია, ძირი, ბირთვი და ა. შ.

საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ უშუალო შემადგენელთა და მეტყველების ნაწილთა საკითხები.

უშუალო შემადგენლები. დისტრიბუციული ანალიზის დროს დიდი ყურადღება ექცევა უშუალო შემადგენელთა დადგენას. უშუალო შემადგენლები შემოიღო ბლუმფილდმა რთული ფორმების გასაანალიზებლად¹⁰². მორფემები (მორფოლოგიურ დონეზე) და სიტყვები (სინტაქსურ დონეზე) თანაბარ მონაწილეობას არ იღებენ რთულ კონსტრუქციათა შექმნაში. მათ შორის იერარქიული დამოკიდებულება არსებობს. უშუალო შემადგენლები მოწოდებულია იმისათვის, რომ რთული კონსტრუქციის ანალიზი აწარმოოს ერთმანეთის მომდევნო საფეხურებად, თითოეულ საფეხურზე უშუალოდ მონაწილე შემადგენლების გამოყოფით.

ბლუმფილდის მიხედვით, უშუალო შემადგენლები არ წარმოადგენს სპეციფიკურ მორფოლოგიურ ან სინტაქსურ ცნებას. იგი ორივე სფეროში თანაბრად შეიძლება იქნეს გამოყენებული, ოღონდ სინტაქსური უშუალო შემადგენლები იქნება სიტყვები ან შესიტყვებები, მორფოლოგიური კი — მორფემები. ბლუმფილდის შემდეგ უშუალო შემადგენლები განსაკუთრებით ფართოდ იქნა გამოყენებული სინტაქსში. სინტაქსური ანალიზი ბევრი მკვლევრის ნაშრომში მთლიანად დაფუძნდა უშუალო შემადგენლებს¹⁰³. მორფოლოგიის შესახებ ეს არ ითქმის. აქ უშუალო შემადგენლები არ ქცეულა ძირითად ცნებად, თუმცა დესკრიპტივისტები მეტ-ნაკლებად ამ სფეროშიაც იყენებენ მას.

ნაიდა ერთ-ერთი მათგანია, ვინც ცდილობს უშუალო შემადგენლები დაუდოს საფუძვლად მორფოლოგიაში დისტრიბუციულ ანალიზს. აი, მისი სიტყვები: „მორფოლოგიის ფორმალურმა აღწერამ უნდა ასახოს რამდენადაც შეიძლება ზუსტად ენის სტრუქტურა. სტრუქტურის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ მორფემებს და მორფემათა

¹⁰² L. Bloomfield, Language, გვ. 161.

¹⁰³ სინტაქსში უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის პრინციპთა დამუშავება ორმოციან წლებში სცადეს კ. პაიკმა, ზ. პარისმა, ბ. ბლოკმა, რ. უელზმა, რ. პიტმენმა და სხვ.

კომბინაციებს, რომლებიც აღწერილია მათი კლასების შესაბამისად და მათ შესატყვის გარემოცვათა ტერმინებით, ე. ი. უშუალო შემადგენელთა საშუალებით¹⁰⁴.

ნაილამ საგანებო გამოკვლევა უძღვნა უშუალო შემადგენლებს¹⁰⁵.

ნაილა მორფოლოგიაში გვთავაზობს 5 პრინციპს უშუალო შემადგენლებად კონსტრუქციის დაყოფისათვის. ეს პრინციპები შემდეგია:

1 პრინციპი: დაყოფები უნდა ეთანხმებოდნენ მნიშვნელობის მქონე მიმართებებს¹⁰⁶.

2 პრინციპი: დაყოფები კეთდება უფრო ფართო ერთეულთა შენაკვლების (სუბსტიტუციის) საფუძველზე უფრო მცირე ერთეულებით, რომლებიც ეკუთვნიან იმავე ან განსხვავებულ გარეგან დისტრიბუციულ კლასს. მაგ., სიტყვაში formalizer „გამაფორმებელი“ უშუალო შემადგენლები იქნება -er და formalize. ეს უკანასკნელი სამმორფემიანი ზმნა არის. მისი გამოყოფის საფუძველს ის იძლევა, რომ მას შეიძლება შევუწავლოთ ერთმორფემიანი ზმნა dance. მივიღებთ dancer-ს „მოცეკვავე“¹⁰⁷.

3 პრინციპი: დაყოფები რამდენადაც შეიძლება მცირერიცხოვანი უნდა იყოს. ამიტომ ძირითად სახედ ნაილა ბინარულ დაყოფას მიიჩნევს, თუმცა ის არ გამოორიხებას. ორზე მეტ შემადგენლიანი კონსტრუქციების არსებობასაც¹⁰⁸.

4 პრინციპი: დაყოფები უნდა დადასტურდეს ენის მთლიანი სტრუქტურით¹⁰⁹.

5 პრინციპი: სხვა თანაბარ პირობებში უწყვეტ უშუალო შემადგენლებად დაყოფას უპირატესობა აქვს წყვეტილ უშუალო შემადგენლებად დაყოფასთან შედარებით¹¹⁰.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ უშუალო შემადგენელთა გამოყოფის პირველ პრინციპად ნაილა მნიშვნელობას ასახელებს. მართალია, ავტორი შენიშნავს, რომ მნიშვნელობას ბრმად არ უნდა მივსდიოთ, როდესაც ის ეწინააღმდეგება სტრუქტურულ მიმართებებს, მაგრამ იგი იმაზედაც მიუთითებს, რომ ზოგ შემთხვევაში მხოლოდ კონსტ-

¹⁰⁴ E. N i d a, Morphology, გვ. 122.

¹⁰⁵ E u g e n e A. N i d a, The Analysis of Grammatical Constituents. «Language», 1948, v. 24, № 2, გვ. 168—177.

¹⁰⁶ E. N i d a, Morphology, გვ. 91 .

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 92.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ იქვე, გვ. 92—93.

რუქციის მნიშვნელობის გათვალისწინება გვაძლევს უშუალო შემადგენელთა გამოყოფის შესაძლებლობას¹¹¹.

მხოლოდ მეორე ადგილას განიხილავს ი. ნაიდა რთული ფორმების მარტივით შენაცვლებადობის პრინციპს, რაც ზოგი დესკრიპტივისტისათვის (განსაკუთრებით სინტაქსში) ერთადერთ აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს¹¹².

ჩვენი აზრით, უშუალო შემადგენლები სასარგებლო ცნებას წარმოადგენს მორფოლოგიისათვის. ის შესაძლებლობას გვაძლევს მოვაწესრიგოთ მორფემათა ურთიერთობა კონსტრუქციებში, სწორხაზობრივად კი არ დავშალოთ რთული ფორმები, არამედ იერარქიულად, საფეხურების მიხედვით (მაგ., „აღმასრულებელი“ დაიშალოს არა აღ-მა-სრულ-ებ-ელ-ი, არამედ ჭერ აღ-მასრულებელ, შემდეგ: მა-სრულ-ებ-ელ; შემდეგ: სრულ-ებ) და თითოეულ საფეხურზე გამოვყოთ ამ კონსტრუქციის შემქმნელი კომპონენტები.

ამასთან, ნაიდას ნაშრომიდან აშკარად ჩანს, რომ „უშუალო შემადგენლები“ არ გამორიცხავს არც ერთ ძირითად მორფოლოგიურ ცნებას (როგორცაა: მორფემები, ძირები, ფუძეები, აფიქსები, დერივაციული და ფლექსიური წარმოებები, მეტყველების ნაწილები და ა. შ.). ის აწესრიგებს ამ ერთეულთა შორის მიმართებებს და ნაყოფიერია სწორედ მორფოლოგიურ ერთეულთა შორის ურთიერთობის ხარისხის განსაზღვრისათვის.

მეტყველების ნაწილები. მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრება ჭერ კიდევ დიონისე თრაკიელის ტექნე გრამატიკეში შეიქმნა. დიონისეს სქემამ, რომელიც ბერძნულ ენას ითვალისწინებდა, გარკვეული ცვლილებები განიცადა ჭერ ლათინურ გრამატიკებში, ხოლო შემდეგ შუა საუკუნეებში ფილოსოფიის გავლენით. საბოლოოდ მივიღეთ ტრადიციული გრამატიკის უნივერსალური სქემა, რომელსაც ხელოვნურად არგებდნენ სხვადასხვა სტრუქტურის ენებს.

მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის კრიტიკამ XIX—XX საუკ. ისტორიულ-შედარებითს ენათმეცნიერებაში ფართო ხასიათი მიიღო. მას იწუნებდნენ სწორედ მისი უნივერსალური ხასიათის გამო და იმიტომაც. რომ მოუგვარებელია საკლასიფიკაციო ნიშნების საკითხი. ყველაზე გავრცელებულია ნარევი თვალსაზრისი: სემანტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური ან სემანტიკურ-სინტაქსური, მაშინ რო-

¹¹¹ E. N i d a, Morphology, გვ. 91, 89, შნშ. 20.

¹¹² ასე, მაგ., ზ. პარისი წერს, რომ იგი არ აღიარებს სხვა ოპერაციას გარდა სუბსტრუქციისა, რომელიც მრავალჯობს მეორდება. Z. S. H a r r i s, From Morpheme to Utterance. «Language», 1946, v. 22. მოგვეყვას RiL-ის მიხედვით, გვ. 142.

დესაც მეტყველების ნაწილები ტრადიციულად მორფოლოგიის საგნად ითვლება, ხოლო სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ნაწარმოები დაჯგუფება ერთნაირ შედეგებს არ გვაძლევს.

ბუნებრივი იქნებოდა, რომ მეტყველების ნაწილთა გამოყოფის პრინციპული საკითხები დესკრიფციულ ენათმეცნიერებაშიც დასმულიყო. მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი იმთავითვე გაემიჯნა ტრადიციულ გრამატიკას და ამასთან მიზნად დაისახა ენის ანალიზი ფორმალურ მახასიათებლებზე დაემყარებინა.

როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მეტყველების ნაწილთა საფუძვლების საკითხი დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში საგანგებო განსჯის საგნად არ ქცეულა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბლუმფილდის ორიოდე გაკვრით გამოთქმულ „შენიშვნას“)¹¹³, მიუხედავად იმისა, რომ მეტყველების ნაწილები მეტად მნიშვნელოვან კლასებად არის მიჩნეული. დესკრიპტივისტები არსებითად მეტყველების ნაწილთა ტრადიციული სქემით სარგებლობენ.

ეგვევ ითქმის ნაიდას შესახებაც. იგი, ისევე როგორც სხვა დესკრიპტივისტები, ტრადიციულ სქემას იყენებს მცირეოდენი ცვლილებებით. ავტორი გვეუბნება, რომ მეტყველების ნაწილები დისტრიბუციით განსაზღვრული ფორმალური კლასებია. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ენაში სხვადასხვა რაოდენობის მეტყველების ნაწილები გვხვდება, მაგ., თურქულში ორ მეტყველების ნაწილს — არსებით სახელსა და ზმნას გამოყოფენ, მაიაში ოთხი ძირითადი სიტყვათა კლასია: არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავეები, ნაწილაკები. ინდო-ევროპულ ენებში კი შეჩვეული ვართ გამოვყოთ არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავეები, წინდებულები, ნაცვალსახელები, კავშირები და შორისდებულები¹¹⁴. ავტორი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებულია ეს ტრადიციული კლასიფიკაცია. ყველა ინდო-ევროპულ ენაში ერთნაირი იქნება მეტყველების ნაწილთა რაოდენობა თუ არა? რაც შეეხება მათი გამოყოფის საფუძველს, ნაიდას აზრით, ბერძნულსა და ლათინურში მეტყველების ნაწილები შინაგანი სტრუქტურით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ინ-

¹¹³ ამ მხრივ არსებითი განსხვავებაა დესკრიფციულ ენათმეცნიერებასა და მოსკოვის (ფ. ფორტუნატოვის) სკოლას შორის. ეს სკოლა ოც იან წლებში ამუშავებდა გრამატიკის საკითხებს. მან თავისი კრიტიკის მახვილი განსაკუთრებით მწვავედ და სავსებით სამართლიანად სწორედ მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაციის წინააღმდეგ წარბართა და მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საფუძვლად მორფოლოგიური პრინციპი დაუდო.

¹¹⁴ E. Nida, Morphology, გვ. 147.

გლისურში კი — გარეგანი დისტრობუციით¹¹⁵. მაშ, სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა კრიტერიუმთან გვეკონია საქმე. მივიღებთ კი ასეთ შემთხვევაში ერთსა და იმავე კლასიფიკაციას? ასეთ საკითხებს ავტორი არ სვამს და, ცხადია, მათზე პასუხსაც ვერ გავცემს. როგორც ვხედავთ, ნაიდა მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაციის ფარგლებს არ სცილდება.

დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებით ერთი საკითხიც ჩნდება: ჯერ კიდევ ბლუმფილდმა მეტყველების ნაწილები სინტაქსის ფუნდამენტალურ კლასებად გამოაცხადა. ეს შეხედულება შემდეგ ბევრმა სხვა დესკრიპტივისტმაც გაიზიარა. მაშ, სადავოა, სად არის მეტყველების ნაწილთა ადგილი მორფოლოგიაში თუ სინტაქსში? ნაიდა, როგორც ჩანს, ტრადიციულად მორფოლოგიისაკენ იხრება, მაგრამ, ამას საგანგებოდ არ ასაბუთებს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრებისათვის დესკრიფციულ ენათმეცნიერებას ახალი არაფერი შეუმატებია. ეს მიმდინარეობა უკრიტიკოდ იღებს მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაციას, რომლის არსებითი ნაკლოვანებები კარგა ხანია შენიშნულია სხვადასხვა მიმართულების ენათმეცნიერთა მიერ.

III. ზოგადი დასკვნები

1. ი. ნაიდას მორფოლოგიის მიმართება ტრადიციული გრამატიკის მორფოლოგიასთან

ცნობილია, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერების, როგორც ენათა აღწერის თავისებური მიმართულების, ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საკვლევი ობიექტი, — ამერიკელ ინდიელთა ენები, რომლებიც თავიანთი სტრუქტურით არსებითად განსხვავდებოდნენ იმ ენათაგან, რომლებსაც მანამდე სწავლობდნენ ენათმეცნიერები, განსაკუთრებით კი — ინდო-ევროპულ ენათაგან, რომლებიც მუდამ რჩებოდნენ ევროპელ მკვლევართა ყურადღების ცენტრში.

ამიტომ ჯერ კიდევ ფ. ბოასიდან მოყოლებული ამერიკელ ენათმეცნიერთა დევიზი იყო აეწერათ ენები არა სხვა ენათათვის გამომუშავებული ტერმინებითა და მოდელებით, არამედ ობიექტური მეთოდით.

¹¹⁵ გარეგან დისტრობუციულ კლასს ნაიდა განსაზღვრავს, როგორც ისეთ ფორმათა მწკრივისაგან შედგენილ კლასს, რომლებიც ერთსა და იმავე გარემოებაში გვხვდებიან (Morphology, გვ. 110). ასეთ გარემოებას ქმნის მაგ., ინგლის. არსებით სახელათათვის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი (იქვე, გვ. 99).

დებით, თვით საკვლევ ენათა სპეციფიკის გათვალისწინებით. ამან განაპირობა კავშირის გაწყვეტა ტრადიციულ აღწერითს გრამატიკასთან, რომელსაც ბევრ სხვა ნაკლოვანებასთან ერთად ისიც ახასიათებდა, რომ ევროპულ ენათა, პირველ რიგში ლათინურის, თარგზე იყო გამოჭრილი და შემდეგ უსაფუძვლოდ იქცა ყველა ენის გრამატიკული წყობის აღწერის უნივერსალურ სქემად. ამიტომ დაპირისპირება ტრადიციულ გრამატიკასთან, რომელშიაც ბევრი პრინციპული საკითხი მოუგვარებელია, გამართლებული იყო.

ამჟამად, როდესაც დესკრიფციულ ენათმეცნიერებას ენათა აღწერის არც თუ მცირე ხნის ტრადიცია აქვს, ისმის კითხვა: რა ახალ შედეგებს მიიღწია ამ მიმდინარეობამ ენათა კვლევის საქმეში? რამდენად დასცილდა იგი ტრადიციულ გრამატიკას? ვინაიდან ამ საკითხზე ძირითადად ნაიდას ნაშრომის მიხედვით ვმსჯელობთ, ამიტომ დასმულ საკითხს განვიხილავთ არა მთლიანად გრამატიკის, არამედ მხოლოდ მორფოლოგიის მიმართ.

ყველაზე თვალში საცემი, რაც დესკრიფციული ლინგვისტიკის სპეციფიკას განსაზღვრავს, არის ენობრივ ერთეულთა დისტრიბუციის შესწავლა. დისტრიბუციის გარკვევა გულისხმობს ენობრივ ერთეულთა განლაგების, განაწილების, სხვადასხვა კომბინაციებში მათ ურთიერთობათა შესწავლას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიმართებები არც ტრადიციულ მორფოლოგიას რჩებოდა სრულიად უყურადღებოდ. მაგრამ. მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, რომ დისტრიბუციაზე ყურადღების გამახვილებამ გამოიწვია ამ მიმართულებით ანალიზის დახვეწა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. ნაიდა თავის „მორფოლოგიაში“ ცდილობს აღწეროს მორფემათა კომბინირების ყოველგვარი ტიპები. მის მიერ გამოყოფილი კლასები და ქვეკლასები საყურადღებოა, ისინი ხელს უწყობენ ენის მორფემული ანალიზის სისრულეს. სხვა დესკრიპტივისტებთან შედარებით ნაიდას ეს უპირატესობა აქვს, რომ იგი არ გაუარბის მნიშვნელობის შემოტანას იქ, სადაც ანალიზი ამას მოითხოვს.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერების მორფოლოგია წარმოადგენს სრულიად ახალ დისციპლინას, რომელიც საფუძველშივე განსხვავდება ტრადიციული ენათმეცნიერების მორფოლოგიისაგან? — ვფიქრობთ, რომ არა. ეს ნათლად ჩანს ნაიდას ნაშრომის განხილვიდანაც.

ამ ნაშრომში დესკრიფციული ენათმეცნიერების პრინციპთა შესაბამისად მეტად თავისებურია აღწერის ფორმა. ამასთან მასში ბევრი ახალი ტერმინია. ეს ტერმინები რიგ შემთხვევაში ახალ, ენათმეცნიერებისათვის აქამდე შეუძენველად დარჩენილ მოვლენებს ან მი-

მართებებს აღნიშნავს, მაგრამ უფრო ხშირად ისინი იმ ცნებათათვისაა გამოყენებული, რომლებიც ტრადიციულ მორფოლოგიაშიც ვეჭონდა.

რა არის ძირითადი ცნებები, რომელთა გარშემო ტრიალებს მთელი მორფოლოგიური ანალიზი? ესაა: მორფემა, ძირი, ფუძე, აფიქსი, რედუქლიკატივი, ფუძის ფლექსია; პრეფიქსი, სუფიქსი, ინფიქსი; დერივაცია ანუ სიტყვაწარმოება და ფლექსია ანუ სიტყვაეცვლილება (მათ ავტორი ძირითად სტრუქტურულ ფენებს უწოდებს); მეტყველების ნაწილები (საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ყართო დისტრიბუციულ კლასებს სწორედ მეტყველების ნაწილები წარმოადგენენ). მორფოლოგიური კატეგორიები. სწორედ მათ ემყარება ნაიდას ნაშრომი, ისევე როგორც ტრადიციული მორფოლოგიაც. რომ ეს მართლაც ასეა, ძალიან კარგად ჩანს იმ სქემიდან, რომელსაც ავტორი იძლევა ენის მორფოლოგიური ანალიზის ჩატარებისათვის:

ნაიდას აზრით, მორფოლოგიაში უნდა გამოიყოს: 1) მორფემათა ინვენტარი კლასების მიხედვით და 2) მორფემათა დისტრიბუცია. მორფემათა ინვენტარი თავისი მხრივ იყოფა: ა) ძირებად და ბ) არაძირებად. ავტორის განმარტებით, მეტი წილი ენებისათვის ეს არის ძირითადი სტრუქტურული დაყოფა. იგი ფორმალურ ინვენტარში წინასწარ განკვეთს დისტრიბუციულ დებულებებს, რომლებიც მოგვიანებით კეთდება გრამატიკაში¹¹⁶. ძირები იყოფა მათი მთავარი დისტრიბუციული გარემოცვების საფუძველზე მეტყველების ნაწილებად¹¹⁷. მორფემათა დისტრიბუციის სექციაც ძირითად სიტყვათა კლასებად ანუ მეტყველების ნაწილებად დაყოფას ემყარება¹¹⁸. შემდეგ ეს ძირითადი სტრუქტურული კლასები, თავიანთი მხრივ, იყოფა დერივაციულ და ფლექსიურ წარმოებებად¹¹⁹. ამგვარად, ენის მორფოლოგიური ანალიზი შემდეგი სქემის მიხედვით წარმოებს:

A. მორფემათა ინვენტარი

1. ძირები

- a. არსებითი სახელი
- b. ზმნა
- c. არსებითი სახელი და ზმნა
- d. ზედსართავი
- e. ზედსართავი და არსებითი სახელი

¹¹⁶ E. N i d a, Morphology, გვ. 201.

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ იქვე.

1. ნაწილაკი
 - და ა. შ.
2. არაძირები
 - a. რომლებიც არსებით სახელებთან გვხვდებიან
 - b. რომლებიც ზმნებთან გვხვდებიან
 - c. რომლებიც არსებით სახელებთან და ზმნებთან გვხვდებიან და ა. შ.
- B. მორფემათა დისტრიბუცია
 1. არსებითი სახელები
 - a. დერივაციული წარმოებები
 - 1¹ ძირი პლუს ძირი
 - a¹. არსებ. სახელი პლუს არსებ. სახელი
 - b¹. არსებ. სახელი პლუს ზმნა
 - c¹. არსებ. სახელი პლუს ზედსართავი და ა. შ.
 - 2¹. ძირი პლუს არაძირი
 - b. ფლექსიური წარმოებები
 2. ზმნები
 - a. დერივაციული წარმოებები
 - b. ფლექსიური წარმოებები
 3. ზედსართავები
 - a. დერივაციული წარმოებები
 - b. ფლექსიური წარმოებები
 4. ნაწილაკები
 - a. დერივაციული წარმოებები¹²⁰.

ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებას ამ სქემასა და ტრადიციული მორფოლოგიის სქემას შორის.

ახლა რაც შეეხება თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც მორფოლოგიის ერთეულები შეისწავლება. არც ამ მხრივ არსებობს პრინციპული დაპირისპირება. ნაიდა სწავლობს მორფემათა ფონემურ ფორმას, ადგენს ამ თვალსაზრისით გარკვეულ კლასებს (მაგ., ფუძემოვნიანი, ფუძეთანხმოვნისი და ა. შ.), ითვალისწინებს ფონეტიკურ პროცესებს, რომელთაც ადგილი აქვთ მორფემათა შეერთებისას, ანალიზებს მორფემათა თანმიმდევრობებს და ა. შ. აქაც იმ საკითხთა სფეროში ვართ, რომლებითაც დაინტერესებული იყო ტრადიციული მორფოლოგია.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს დესკრიფციულ ენათმეცნიერებას არაფერი შეემატებინოს ენის მორფოლოგიური ანალი-

¹²⁰ E. N i d a, Morphology, გვ. 203—204.

ზისათვის. ჩვენ ახლა იმაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომ დესკრიფციული მორფოლოგია და ტრადიციული მორფოლოგია სხვადასხვა სიბრტყეზე არ არიან მოთავსებული. მათ შორის ბევრად მეტი შინაგანი კავშირია, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აღიარებენ. ამიტომ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ჰ. მიულერის სიტყვები: „მაშინ როდესაც ფონემურ ანალიზს მივყავართ უპირველეს ყოვლისა ტრანსკრიფციის ტრადიციული სისტემის შეცვლისაკენ, მორფემული ანალიზი კიდევ უფრო შორს მიმავალ ცვლილებებს გვპირდება ჩვენს გრამატიკებში“¹²¹.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ დესკრიფციულ ენათმეცნიერებას კი არ დაუნგრევია ტრადიციული მორფოლოგიის შენობა და მის ნაცვლად ახალი კი არ აუგია, როგორც ეს დასაწყისში ივარაუდებოდა, არამედ მან ზოგიერთი არც თუ არსებითი ცვლილება შეიტანა ამ შენობის შინაგან განლაგებაში, მის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთდამოკიდებულებაში, ზოგი ახალი ნაგებობაც მიაშენა ძველს, ზოგი კიდევ მოანგრია. ჩატარებულ რეკონსტრუქციაში ზოგი რამ მისაღებია, ზოგი კი სადავოა. პირველი რიგის მოვლენებს მივაკუთვნებთ ფონოლოგიურად გაპირობებული ალომორფების გამოყოფას, უშუალო შემადგენელთა პრინციპის შემოღებას (რაც ყველა დესკრიპტივისტის ნაშრომში არც არის მოცემული), განსაკუთრებით კი დისტრიბუციული ანალიზის ფართოდ გაშლასა და დამუშავებას. მეორე რიგისაა: სინონიმური მორფემებისადმი ალომორფების სტატუსის მინიჭება და საერთოდ ამ საკითხის განხილვაზე მეტისმეტად დიდი ენერჯის დახარჯვა, ძირითადი ალომორფის გამოყოფის აუცილებლობის აღიარება და სხვ.

არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ დესკრიპტივისტები სრულიად არ შეხებიან ტრადიციული გრამატიკის ზოგიერთ უბანს, რომელიც აშკარად გარდაქმნას საჭიროებდა. ასეთია, პირველ რიგში, მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შესახებ.

რაც მთავარია, უპასუხოდ დარჩა კითხვები, რა ახალი პრობლემები წარმოშვა ინდო-ევროპულ ენათაგან განსხვავებული სტრუქტურის მქონე ინდიელთა ენების შესწავლამ? რა განსხვავებული ცნებები დაგვეპირდა მათ თავისებურებათა აღწერისათვის? ამის შესაბამისად როგორ და რა მიმართულებით გაფართოვდა ან გარდაიქმნა მორფოლოგიის მოდელი? ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ასეთი ცვლილებები არც მომხდარა. ამიტომ, ვფიქრობთ, გვაქვს უფლება დავასკვნათ, რომ დესკრიფციული მორფოლოგია არსებითად ტრადიცი-

¹²¹ Г. Мюллер, Языкознание на новых путях, гл. 70.

ული მორფოლოგიის ჩარჩოებს არ გასცილებია. მან ზოგი დაზუსტება, გაუმჯობესება ან სადავო ხასიათის ცვლილება შეიტანა ამ მორფოლოგიაში, მაგრამ პრინციპულად მის პოზიციებზე დარჩა.

ის გარემოება, რომ სხვა დარგებთან შედარებით სწორედ მორფოლოგიაში აღმოჩნდა განსაკუთრებული სიახლოვე დესკრიფციულსა და ტრადიციულ გრამატიკას შორის, არ უნდა იყოს შემთხვევითი. ეს, საფიქრებელია, იმით იყოს გამოწვეული, რომ მორფოლოგია თავისი საგნისა და თვალსაზრისის შესაბამისად ენათმეცნიერების დარგებს შორის ყველაზე უფრო მეტად არის აგებული ფორმალური პრინციპების მიხედვით და ამით უახლოვდება დესკრიფციული ენათმეცნიერების ამოსავალ თვალსაზრისს.

2. დესკრიფციული ენათმეცნიერების მიმართება ისტორიულ ენათმეცნიერებასთან ი. ნაიდას მიხედვით

40-იანი წლების ბოლოსათვის, როდესაც ნაიდას გამოკვლევა დაიწერა, დესკრიპტივისტები მთლიანად იყვნენ გატაცებული ენათა აღწერის მეთოდების დამუშავებით, ხოლო ისტორიული კვლევის საკითხები მათი ყურადღების გარეთ რჩებოდა. ამას ხელს უწყობდა ის ფაქტორი, რომელმაც ამერიკული ენათმეცნიერების დესკრიფციული ბუნება განსაზღვრა იმთავითვე: უმწერლობო ამერიკის ინდიელთა ენები ძნელად ექვემდებარებოდნენ ისტორიულ შესწავლას.

ამ პერიოდში დესკრიპტივისტები თუ შეეხებოდნენ ისტორიულ ენათმეცნიერებას, პირველ ყოვლისა იმ თვალსაზრისით, რომ არ შემოპარვოდათ აღწერისას ისტორიული თვალსაზრისი.

შეიძლებოდა სრულიად არ შეეჩერებულყოფით ამ კონტექსტში ისტორიული ენათმეცნიერების პრობლემაზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ნაიდას ნაშრომი გამოირჩევა იმავე ეპოქის ან უფრო ადრინდელი სხვა გამოკვლევებისაგან იმით, რომ ავტორი საკმაოდ ხშირად და ფართოდ სვამს აღწერითი კვლევის ისტორიულთან მიმართების საკითხს.

იმ ძირითად პრინციპებს შორის, რომლებსაც დესკრიფციული ენათმეცნიერება ემყარება, ნაიდა ენის ცვალებადობასაც ასახელებს. იგი წერს: ენები განუწყვეტლივ ცვალებადობის პროცესში იმყოფებიან. ისინი არ წარმოადგენენ სტატიკურ, ფიქსირებულ სტრუქტურებს. ამაზე მიუთითებს (1) მერყევ ფორმათა არსებობა (მაგ., roots და rooves „სახურავეები“, huofs და hooves „ჩლიქები“) და (2) ლექსიკონის ახალ ერთეულთა წარმოქმნა (მაგ., cyclotron). მერყევ ფორმათა არსებობა იმის მომასწავებელია, რომ გარკვეული სტრუქ-

ტურები იმარჯვებენ სხვებზე, რადგან ალტერნანტული ფორმები არასოდეს არ იმყოფებიან წონასწორობაში დიდხანს. დესკრიპტივისტი ენათმეცნიერი არ უნდა ცდილობდეს მიიღოს მხედველობაში ენის ტენდენციები და მიდრეკილებანი. მაგრამ როდესაც ის აღნიშნავს ალტერნანტულ ფორმათა არსებობას და მათი გამოვლენის გარკვეულ შეფარდებითს სიხშირეს, იგი ეხება ენობრივი ცვლილების დინამიკას¹²².

ჩვენს ყურადღებას აქ ის იქცევს, რომ ნაიდას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დესკრიპტივისტთა ამოცანას არ შეადგენს ცვალებადობის კვლევა, მათ ზოგჯერ მაინც უხდებათ ცვლილებათა დინამიკის გათვალისწინება.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ისმის დესკრიფციული ენათმეცნიერების მიმართების საკითხი ისტორიულ და შედარებითს ენათმეცნიერებასთან. ავტორის აზრით, დესკრიფციული ენათმეცნიერება შეიძლება საფუძვლად დაედოს ისტორიულ და შედარებითს ენათმეცნიერებას, ამგვარად, ისტორიული ან შედარებითი ენათმეცნიერება დამოკიდებულია დესკრიფციულ მონაცემებზე, დესკრიფციული ენათმეცნიერება კი არ არის დამოკიდებული ისტორიული ან შედარებითი ენათმეცნიერების მონაპოვრებზე.

მოყვანილი გამონათქვამი ბლუმფილდს ეკუთვნის¹²³ და დესკრიპტივისტები ხშირად იმოწმებენ მას. რა დასკვნა გამომდინარეობს ბლუმფილდის ამ გამონათქვამისაგან? — მხოლოდ ის, რომ აღწერა კვლევის პირველ, დაწყებითს საფეხურს წარმოადგენს, ისტორია კი — მომდევნოს. მომდევნო საფეხური ემყარება წინამდევალს, მაგრამ ეს არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს ამ უკანასკნელს პირველთან შედარებით.

ნაიდა აღიარებს, რომ ვარჯიში ისტორიულ და შედარებითს ენათმეცნიერებაში ფასეულია დესკრიპტივისტისათვის, მაგრამ ამასთანავე დასძენს, რომ რომელიმე ენის მონაცემთა სისტემატური ორგანიზაცია არ არის დამოკიდებული იმ ფაქტებზე, რომლებიც მიღებულია ამ ენის ან მონათესავე ენათა ისტორიული და შედარებითი შესწავლის საფუძველზე. სანიმუშოდ დასახელებულია კავშირებითი კილო ინგლისურში, რომელიც ძველად არსებობდა, ამჟამად კი აღარ იხმარება. ამიტომ თანამედროვე ინგლისურის აღწერისას მას ვერ გამოვიყენებთ. ასევე

¹²² E. Nida, Morphology, გვ. 3.

¹²³ L. Bloomfield, Language, გვ. 19—20.

ვერ ვილაპარაკებთ მიცემითი ბრუნვის შესახებ იმავე ინგლისურში იმის გამო, რომ იგი აქვს მის მონათესავე გერმანულ ენას¹²⁴.

როგორც ვხედავთ, ავტორი მოითხოვს, რომ აღწერის დროს ენას არ მოვახვიოთ თავს ისეთი კატეგორიები, რომლებიც მას ოდესღაც ჰქონია. მაგრამ ამჟამად აღარ მოეპოვება. ეს მოთხოვნა სავსებით კანონზომიერია და ამ მხრივ ისტორიული და აღწერითი მიდგომა მართლაც გარკვევით უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან.

უფრო საინტერესოა ნაიდას მსჯელობა იმის შესახებ, რომ ისტორიული ენათმეცნიერება იძლევა მოვლენათა ახსნას, უპასუხებს კითხვაზე „როგორ“, აღწერითს ენათმეცნიერებას კი ახსნა არ აინტერესებს. იგი კმაყოფილდება იმ პირობების დადგენით, რომლებშიაც ენობრივ ფორმათა მოდიფიკაციები ხდება. საქმე ეხება ფონოლოგიურად გაპირობებულ ალომორფთა შორის განსხვავებებს.

ჩვენ არ შეგვიძლია „ავხსნათ“ ამ განსხვავების მიზეზები, — წერს ნაიდა, — ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ ფორმათა დისტრიბუცია ფონოლოგიურ გარემოცვათა ტერმინებით. დესკრიპტივისტ ენათმეცნიერებს არ სჭირდებათ შეეხონ ზოგიერთი ფორმის ახსნისას საკითხს „როგორ“. თვით ისეთი მიმართებები ბგერათა შორის, როგორცაა ასიმილაცია, დისიმილაცია, კომპლექსთა რედუქცია, პალატალიზაცია და ნაზალიზაცია, არ წარმოადგენენ მოდიფიკაციის მიზეზებს... თუ ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ დისტრიბუციის საფუძველი, ჩვენ ვაკმაყოფილებთ ჩვენი დესკრიფციული ანალიზის მოთხოვნებს. ალბათ შედარებითი და ისტორიული კვლევის სპეციალისტები შეძლებენ იპოვონ გასაღები ცვლილებებისა, რომლებმაც მოგვცეს ეს განსხვავებები... მაგრამ ასეთი პრობლემები ჩვენი დესკრიფციული პროცედურების მიღმა იმყოფება¹²⁵.

ასიმილაცია, დისიმილაცია და მისთ. პროცესები ზემოთ შემთხვევით არ არის დასაზღვრებული. როგორც ცნობილია, ისინი გამოიყენება დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ფონოლოგიურად გაპირობებულ ალომორფთა ერთ მორფემაში გასაერთიანებლად. ამიტომ ნაიდა კვლავ უბრუნდება ამ საკითხს¹²⁶.

ასიმილაციის განხილვის დროს ის შენიშნავს, რომ ეს არის ისტორიული პროცესი. თუ მაგ., ზოკ (Zoque) ენაში პრეფიქსულ ფორმებში გვხვდება ალტერნანტი III-ბილაბიალურ ხშულთა წინ, II-დენტალურ ფონემათა წინ, ხოლო V-ველართა წინ, იღვსდაც ამ

¹²⁴ E. N i d a, Morphology, გვ. 3—4.

¹²⁵ იქვე, გვ. 15—16. ხაზი ჩვენია—თ. შ.

¹²⁶ იქვე, გვ. 21—37.

ენას შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ ერთი ფორმა (ალბათ, *n-*), რომლისგანაც ასიმილაციის პროცესის შედეგად მივიღეთ დანარჩენები. მაგრამ, განაგრძობს ნაიდა, ისტორიის ეს რეკონსტრუქცია ვარაუდია და იგი იმყოფება ჩვენი დესკრიფციული ანალიზის ფარგლებს მიღმა. მიუხედავად ამისა, მრავალრიცხოვანი შემთხვევებიდან, როდესაც ჩვენ ვიციტ ფორმათა ისტორია, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ ზოგი შესაძლებელი საფეხური ცვლილების პროცესში. მაგრამ დესკრიპტივისტი ენათმეცნიერისათვის მნიშვნელოვანია საბოლოო პროდუქტი და თუმცა ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ასიმილაციაზე, როგორც ერთგვარ ისტორიულ პროცესზე, ჩვენი პირველადი ინტერესი უბრალოდ იმაში მდგომარეობს, რომ შევძლოთ გამოვიცნოთ ფონოლოგიური გარემოცვის ტიპები, რომლებიც შესაძლებელია განმსაზღვრელი იყვნენ ალომორფებს შორის მიმართებათა დადგენისათვის¹²⁷.

მაინც ნაიდას საპიროდ მიაჩნია იმ ფორმათა რეკონსტრუქცია, რომლებიც წინ უსწრებდნენ ცვლილებებს¹²⁸. ამასთანავე ის შენიშნავს, რომ რეკონსტრუქცია სწორია იმ შემთხვევაში, თუ რეკონსტრუირებული ფორმები ავლენენ არსებით კორელაციებს თანამედროვე ფორმებთან შედარებისას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს აღვწეროთ სავსებით ავტომატური ცვლილებები. მაგრამ ეს ნიშნავს არა იმას, თითქოს რეკონსტრუირებული ფორმები წარმოგვიდგენდნენ ჰემზაბიტ ისტორიულ ფორმებს, არამედ იმას, რომ ისინი შესაძლებელია ქმნიდნენ საფუძველს ჩვენი აღწერითი ანალიზისათვის¹²⁹.

ჩვენ საკმაოდ დიდი ამონაწერები მოვიყვანეთ ნაიდას ნაშრომიდან. ეს იმისათვის, რომ მოყვანილი ადგილებიდან ნათლად ჩანს ის მერყეობა, რასაც იწვევს, ერთი მხრივ, ნაიდას მისწრაფება შეინარჩუნოს დესკრიფციული ენათმეცნიერების ამოსავალი პოზიციები, ხოლო, მეორე მხრივ, ანგარიშის გაწევა ფაქტობრივი ვითარებისათვის, რამდენადაც ცნებები „ასიმილაცია“, „დისიმილაცია“, „ბგერის დაკარგვა“ და ა. შ. ისტორიული ენათმეცნიერებიდანაა აღებული.

დესკრიპტივისტებმა ფონოლოგიურად გაპირობებული ალომორფების დაჯგუფებისათვის მიმართეს ფონეტიკურ პროცესებს და ეს სავსებით გამართლებულიც იყო, ვინაიდან ამ ალომორფებს შორის სხვაობას ქმნის ბგერათცვალებადობა, რაც ფონოლოგიური გარემოცვითაა გაპირობებული. მრავლობითის სუფიქსი *-s-* ინგ.-ში მქდერე-

¹²⁷ E. N i d a, Morphology, გვ. 22.

¹²⁸ იხ. მაგ., გვ. 25, 27, 28, 33.

¹²⁹ იქვე, გვ. 26.

ბის შემდეგ შელერდება. II- ზოც (Zoque) ენაში წყვილბაგისმიერების წინ III-დ იქცევა და ა. შ.

მაგრამ ამან შექმნა წინააღმდეგობა იმ ძირითად პრინციპთან, რომ აღწერითი ენათმეცნიერება არ არის დამოკიდებული ისტორიულზე, ე. ი. არ უნდა იყენებდეს მის ცნებებს. გამოვიდა, რომ მორფემათა იდენტიფიკაციისათვის ვსარგებლობთ ფონეტიკური პროცესებით, ე. ი. ისტორიული ცნებებით.

ამ წინააღმდეგობის მოსახსნელად დესკრიპტივისტებმა ალომორფთა შემადგენელ ფონემათა ალტერნაცია მორფოფონემატურ ცვლილებებად გამოაცხადეს და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იგი არ ემთხვევა ისტორიულ პროცესებს. როდესაც ვლაპარაკობთ ასიმილაციის შესახებ, ჩვენ ძირითად, ე. ი. ამოსავალ ფორმად მართლაც იმას კი არ ვიღებთ, რომელიც ისტორიულად წინ უსწრებდა დანარჩენებს და რომლისგანაც მიღებულია დანარჩენები, არამედ იმას, რომელიც უფრო მოსახერხებელია აღწერის თვალსაზრისით. მაგ., შესაძლებელია, ისტორიულად მრ. /z/—/s/, მაგრამ მორფოფონემიკაში უფრო მოსახერხებლად ჩავთვალოთ ძირითად ალომორფად /z/-ს მიჩნევა და მისგან გამოვიყვანოთ /s/. ეს თვალსაზრისი მკაფიოდ არის გატარებული ჰ. გლისონის „დესკრიფციული ენათმეცნიერების შესავალში“¹³⁰, მას ი. ნაიდაც უერთდება.

მოყვანილი შეხედულება აშკარა წინააღმდეგობის შემცველია, ვინაიდან ტერმინები ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის დაკარგვა და ა. შ. ორაზროვანი გამოდის: ისტორიულ ენათმეცნიერებაში ისინი აღნიშნავენ ბგერათცვლილებებს, მორფოფონემიკაში კი თითქოს დაკლილი არიან ისტორიული გაგებისაგან. ძნელია გამართლება მოვეუპოვოთ ხანგრძლივი ტრადიციით დამკვიდრებული ამ ტერმინების სრულიად სხვა გაგებით შემოტანას აღწერითს ენათმეცნიერებაში, მით უფრო, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ისტორიული ენათმეცნიერებიდან მათი ამოღებისათვის.

მეორეცა და, თვით „პროცესიც“, როგორი შენიშვნაც არ უნდა გავუკეთოთ მას, ისტორიული შინაარსის მქონე ცნებაა და ამგვარად შემომოყვანილი წინააღმდეგობა მაინც ვერ მოიხსნება იმის განცხადებით, რომ პროცესები ცვალებადობას არ ასახავენო.

ნაიდა გლისონისაგან განსხვავებით არ უარყოფს, რომ ასიმილაცია, დისიმილაცია, და ა. შ. ისტორიული პროცესებია, რომ ხშირად ჩვენ გვაქვს ამოსავალ ფორმათა რეკონსტრუქციის შესაძლებელობა, მაგრამ იგი იმასაც აღნიშნავს, რომ რეკონსტრუქციები დესკრიფცი-

¹³⁰ Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, стр. 127—129.

ული ენათმეცნიერების ფარგლებს გარეთ რჩება, დესკრიფციულ ენათმეცნიერებას მხოლოდ გარემოცვის ტიპები აინტერესებს. რეკონსტრუირებული ფორმები კი მხოლოდ შესაძლებელია ქმნიდნენ საფუძველს აღწერითი ანალიზისათვის.

აღსანიშნავია, რომ დესკრიპტივისტებმა თვითონ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ აღწერითს კვლევაში ისტორიული ენათმეცნიერების ცნების „პროცესის“ შემოტანა შინაგან წინააღმდეგობას ქმნიდა მათ მსჯელობაში. ამიტომ მათ საერთოდ ამოაგდეს აღწერითი გრამატიკიდან ცნება „პროცესი“ და შეეცადნენ შეექმნათ გრამატიკის ახალი მოდელი, რომელიც „პროცესის“ ნაცვლად „ვანლაგების“ ცნებას დაემყარებოდა. ენის აღწერის ეს ორი მოდელი საგანგებოდ განიხილა ჰოკეტმა, რომელმაც ნაიდა იმ ენათმეცნიერთა შორის მოიხსენია, რომლებიც ქმნიდნენ ამ ახალ მოდელს („ერთეული და ვანლაგება“) ნაცვლად ძველისა („ერთეული და პროცესი“)¹³¹. ნაიდას „მორფოლოგიის“ მიხედვით ამის დაჭერება ძნელია. ნაიდა უფრო მეტად და თანმიმდევრულად, ვიდრე რომელიმე სხვა დესკრიპტივისტი, იყენებს „პროცესებს“ (და, რაც მთავარია, სწორედ ისტორიული გაგებით) თავის „მორფოლოგიაში“¹³².

ნაიდა არა მხოლოდ მორფემათა იდენტიფიკაციის დროს მიმართავს ისტორიულ პროცესებს, არამედ ის თავის ნაშრომში სხვა შემთხვევებშიაც არა ერთგზის იძლევა ისტორიულ ექსკურსებს¹³³. ავტორი მასალის ანალიზის დროს თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ენის აღწერისას ისმის რიგი საყურადღებო პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ ისტორიულ კვლევას შეუძლია. ამით ხელშესახები ხდება ენის აღწერითი და ისტორიული შესწავლის შინაგანი კავშირი.

¹³¹ Ch. F. Hockett, *Tow Models of Grammatical Description*, «Word», 1954, v. 10, გვ. 210. უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. აქვე ჩვენი: „დესკრიფციული ენათმეცნიერების სისტემა ჩ. ჰოკეტის შრომებში“.

¹³² ჰოკეტი თავის რეცენზიაში ნაიდას „მორფოლოგიის“ პირველი გამოცემის გამო იმასაც კი უსაყვედურებდა ავტორს, რომ მისი განმარტებით baked „წვეადა“ ნაწარმოებია bake-ისაგან სუფიქსაციის პროცესითო. უარც რომ ვთქვათ ისტორიზმზე, მაინც შეუძლებელია არ დავასკვნათ, რომ bake-ს ენიჭება ერთგვარი პრიორიტეტი როგორც baked-თან, ისე სუფიქსთან შედარებითო, — წერს ჰოკეტი და სვამს კითხვას: „თუ ეს პრიორიტეტი არ არის ისტორიული, მაშ, რა ხასიათისა იგიო?“ (Ch. F. H o c k e t t, *Review of E. N i d a, Morphology*, «Language», 1947, v. 23, გვ. 211). რაღას იტყოდა რეცენზენტი ისეთი აშკარად ისტორიული პროცესების შესახებ, როგორც ცაა ასიმილაცია, დისიმილაცია და მისთა?

¹³³ მაგ., გვ. 75, სადაც ლაპარაკია ფრანგულ ენაში მდებარეობით სქესის ზედსართავებთან ისტორიულად არსებული e-ს დაკარგვაზე, გვ. 82, სადაც ავტორი მსჯელობს ძირების ქვევაზე არაძირებად და არაძირების ქვევაზე ძირებად და სხვ.

ამასთანავე ირკვევა, რომ ზოგი ისტორიული პრობლემა თვით ენის აღწერის დროსვე შეიძლება გადაწყდეს, თუ საკმარისი მონაცემები გვაქვს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში მკვლევარი არ დაელოდოს მთელი ენის ისტორიის შექმნას და არ მოერიდოს ისტორიული ხასიათის დასკვნების გაკეთებას იქ, სადაც ფაქტები ამის შესაძლებლობას იძლევა.

ასეთი ისტორიული ექსკურსები ზიანს კი არ აყენებენ ენის აღწერითს ანალიზს, არამედ მეტ წონასა და ღირებულებას ანიჭებენ მას. ისტორიული და აღწერითი ენათმეცნიერების გამიჯვნა საჭიროა იმისათვის, რომ ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ სხვადასხვა თვალსაზრისით შევისწავლოთ ენა, სხვადასხვაგვარ მეთოდებს და ძირითად ცნებებს მოითხოვენ კვლევისათვის. მაგრამ სრულიადაც არ არის გამართლებული ენისადმი აღწერითსა და ისტორიულ მიდგომას შორის გარდაუვალი ზღვარის შექმნა. ერთი მეორეს უნდა ავსებდეს, ერთი მეორის მონაცემებს უნდა ითვალისწინებდეს კვლევის ყოველ საფეხურზე. ამასთან, მათ შორის გარკვეული იერარქიული მიმართებაც არსებობს. ზოგადად რომ ვთქვათ, აღწერით იწყება ენათა მეცნიერული შესწავლა, ისტორიული კვლევა მეორე და უფრო გაღრმავებული კვლევის საფეხურს წარმოადგენს. მისი განსაკუთრებული ძალა ისაა, რომ იგი ამხსნელი მეცნიერებაა.

ის, რაც ზემოთ ითქვა, აღწერითი და ისტორიული ენათმეცნიერების ერთმანეთში გათქვეფას კი არ გულისხმობს, არამედ ენათმეცნიერების ერთიანობისაკენ სწრაფვას გამოხატავს. ასეთი თვალსაზრისი მესამოცე წლების დასაწყისისათვის, როგორც ჩანს, სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეებს იძენს ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობაში.

დესკრიფციული ენათმეცნიერების სისტემა ჩ. ჰოკეტის ნაშრომებში¹

ცნობილი ამერიკელი ენათმეცნიერი ჩარლზ ჰოკეტი ლ. ბლუმფილდის მიმდევარია. მას გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი დესკრიფციული ენათმეცნიერების განვითარების საქმეში. ჰოკეტი დესკრიპტივისტების იმ ჯგუფში შედის, რომელიც იელის სკოლის სახელწოდებით არის ცნობილი. ამ სკოლის წარმომადგენლებია ჯ. ტრეიგერი, ბ. ბლოკი, ზ. პარისი, ჰ. სმიტი, ჰ. გლისონი, მ. ჯოსი და სხვ.

დასახელებულ ავტორთა ნააზრევში მნიშვნელოვან მსგავსებებთან ერთად საყურადღებო განსხვავებებიც შეინიშნება.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მთავარ ყურადღებას იქცევს არა იმდენად საკუთრივ ჰოკეტის შეხედულებათა ანალიზი, რამდენადაც დესკრიფციული ენათმეცნიერების პრინციპთა მიმოხილვა ჰოკეტის ნაშრომებზე დამყარებით. ამიტომ შევეცდებით გავმიჯნოთ ის, რაც ჰოკეტის ნააზრევში დესკრიფციული ენათმეცნიერების მაგისტრალურ ხაზზე მდებარეობს, იმისაგან, რაც სპეციფიკურია ამ ავტორისათვის.

ვინაიდან ნაშრომი დიდი მოცულობისა გამოვიდა, იძულებული ვიყავით შეგვეკუმშა მისი ზოგიერთი ნაწილი და მთლიანად ამოგვეღოთავი „ენათმეცნიერების მიმართება მათემატიკასთან და მათემატიკურ ლოგიკასთან“ მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს ჰოკეტი კარგა ხანია ყურადღებით ეკიდება და ბოლო ხანებში სპეციალური მონოგრაფიაც კი უძღვნა მას².

საკუთრივ დესკრიფციული ენათმეცნიერების პრობლემატიკით არ ამოიწურება ჰოკეტის მეცნიერული ინტერესები. კერძოდ, მას საყურადღებო კვლევა აქვს ჩატარებული ენათა ტიპოლოგიური შედარების, ენობრივ უნივერსალიათა ძიების მიმართულებით. ავტორი სვამს მსმენელის თვალსაზრისით: გრამატიკის შექმნის პრობლემას³, განიხი-

¹ ძირითადი დებულებები მოხსენდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას 1965 წ. 13. V.

² Ch. F. Hockett, *Language, Mathematics and Linguistics*. 1966.

³ Ch. F. Hockett, *Grammar for the hearers* (Proceedings of Symposium in Applied Mathematics, vol. XII). 1961. რუს. თარგმ.: *Грамматика для слушающего*. „Новое в лингвистике“, вып. IV.

ლავს აგრეთვე ისტორიული ენათმეცნიერების რიგ საკითხს. ამ საკითხებს ჩვენ სრულიად არ ვეხებით, ვინაიდან ისინი სცილდებიან ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანის საზღვრებს.

რა თქმა უნდა, ერთ სტატიაში შეუძლებელია შეჩერება ყველა იმ საკითხზე, რომელიც ჰოკეტის ნაშრომებშია წამოჭრილი. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო ძირითადი პრობლემები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთოდ დესკრიფციული ენათმეცნიერების, ისე კერძოდ ჰოკეტის ნააზრევის დახასიათებისათვის. ამ ფარგლებშიაც ჩვენს მიმოხილვას არა აქვს პრეტენზია იყოს ამომწურავი თუნდაც იმიტომ, რომ ჰოკეტის ყველა ნაშრომი ჩვენთვის არ იყო ხელმისაწვდომი⁴.

ჰოკეტის ზოგად შეხედულებებს გარდა ქვემოთ მოცემულია ენის ფონოლოგიური და მორფოლოგიური ანალიზის საკითხები. სინტაქსი აქ არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში სინტაქსის საკითხების შესახებ ცალკე გვაქვს მსჯელობა⁵.

1. ენათმეცნიერების ზოგადი დახასიათება

1.1. დესკრიფციული ენათმეცნიერება კლასიფიკაციის მომხდენი მეცნიერებაა. სხვა დესკრიპტივისტთა მსგავსად ჩ. ჰოკეტი ენათმეცნიერებას კლასიფიკაციის მომხდენ მეცნიერებად მიიჩნევს⁶. ასეთმა მეცნიერებამ უნდა განსაზღვროს მეტყველების სამყარო და კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება კლასიფიკაციის მოხდენისას⁷.

სტრუქტურული ენათმეცნიერების ამოცანაა არსებითად კლასიფიკაცია, — წერს ავტორი სხვა ნაშრომში⁸. ეს ამოცანა მას ესაჩება

⁴ როდესაც ნაშრომი უკვე გადაცემული იყო დასაბეჭდად, მოგვეცა შესაძლებლობა გავცნობოდით ჰოკეტის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გამოკვლევას *The State of the Art*. Moulton. The Hague. 1968. ამიტომ მხოლოდ სქოლიოებში მივუთითებთ მასზე. ზოგიერთი არსებითი ხასიათის თავისებურება კი განხილული იქნება ბოლოს. დანართში.

⁵ იხ. აქვე: „მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია და სუბსტიტუციის მეთოდი დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსში“ და „ზოგიერთი შენიშვნა სინტაქსში უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის შესახებ“.

⁶ Ch. F. Hockett, *A System of Descriptive Phonology*. «Language». 1942, vol. 18, № 1, გვ. 3.

⁷ იქვე.

⁸ Ch. F. Hockett, *A Note on 'Structure'*, *RiL*, გვ. 279. (პირველად დაიბეჭდა *ეურნალში IJAL*, 1948).

არა როგორც უბრალო აღრიცხვა ყველა გამოთქმისა, რომლებიც შეადგენს ენათმეცნიერის კორპუსს მოცემულ დროს. ამას უბრალო ანბანური სიაც გააკეთებდაო. — შენიშნავს ჰოკეტი. ანალიზი ისეთი უნდა იყოს, რომ ენათმეცნიერს შეეძლოს აგრეთვე გაითვალისწინოს ის გამოთქმებიც, რომლებიც არ არიან მოცემულ დროს მის კორპუსში, ე. ი. თავისი კვლევის შედეგად მას უნდა შეეძლოს იწინასწარმეტყველოს, რა სხვა გამოთქმები შეუძლია წარმოთქვას მოლაპარაკებ და, იდეალურ შემთხვევაში, ის გარემოებებიც, რომლებშიაც ეს სხვა გამოთქმები შეიძლება წარმოითქვან⁹.

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ დესკრიფციული ლინგვისტიკის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლოვანებას წარმოადგენს საენათმეცნიერო თეორიის ახსნითი ასპექტის უგულვებელყოფა¹⁰. ეს თავისებურება შინაგანად არის დაკავშირებული იმ გარემოებასთან, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერება თავისთავში ჩაკეტილ, დამოუკიდებელ დისციპლინად არის გააზრებული. როდესაც ლაპარაკია, ენათმეცნიერება კლასიფიკაციის მომხდენი მეცნიერებააო, იგულისხმება სწორედ და მხოლოდ დესკრიფციული ენათმეცნიერება.

მართლაც, დესკრიფციული ენათმეცნიერების ფარგლებში ენობრივ მოვლენათა ახსნა ვერ მოხერხდება. ახსნა აღწერითი ენათმეცნიერების ფარგლებიდან გასვლას, ისტორიული თვალსაზრისის მომარჯვებას მოითხოვს¹¹. ვინაიდან დესკრიპტივისტების სიტყვახმარებაში ენათმეცნიერება ხშირად გატოლებულია დესკრიფციულ ენათმეცნიერებასთან და მის ორგანულ ნაწილს არ შეადგენს ისტორიული ენათმეცნიერება¹², ამიტომ ენათმეცნიერების ამოცანა დავიწროებულია, იგი მხოლოდ ფაქტების აღრიცხვითა და დაჯგუფებით შემოიფარგლება, რაც არც მეცნიერების დანიშნულების თვალსაზრისით არის გამართლებული და არც ფაქტობრივ ვითარებას შეესაბამება.

1.2. დესკრიფციისა და სინქრონიის, ისტორიისა და დიაქრონიის გამიჯვნის ცდა. 1948 წ. ჰოკეტი განასხვავებდა ენათა სამგვარ ანალიზს:

⁹ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 279. აქაც და ქვემოთაც, თუ საგანგებოდ არ არის აღნიშნული, ხაზი თვით ავტორისაა.

¹⁰ Н. Д. Арутюнова, Г. А. Климов, Е. С. Кубрякова, Американский структурализм. წიგნში: Основные направления структурализма. 1964. გვ. 210.

¹¹ შდრ. В. Bloch and G. Trager, An Outline in Linguistic Analysis, გვ. 8—9.

¹² შდრ. Ch. F. Hockett, The State of the Art, გვ. 16—17 და 31, სადა ც ავტორი აღიარებს, რომ 40-იან — 50-იან წლებში დესკრიპტივისტები მხოლოდ აღწერით იყვნენ დაინტერესებული.

სინქრონიულს, კონტრასტულსა და დიაქრონიულს. მისი განსაზღვრების მიხედვით: სინქრონიული ანალიზი აღწერს ცალკე ინდივიდის ან შედარებით ჰომოგენური ჯგუფის სამეტყველო ჩვევებს ერთ რომელიმე დროს. იგი უგულვებელყოფს ინდივიდთა შორის განსხვავებებს და არ ითვალისწინებს ჩვევათა ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვთ იმ ხნის განმავლობაში, რომლებიდანაც მონაცემები თარიღდება¹³.

კონტრასტული შესწავლა ადარებს სხვადასხვა ინდივიდების ან ჯგუფების სამეტყველო ჩვევებს და გამოყოფს მსგავსებებსა და განსხვავებებს — დროსა და სივრცეში მოლაპარაკეთა ან ჯგუფთა შეფარდებითი პოზიციის გათვალისწინებლად¹⁴.

დიაქრონიული ანალიზი ადგენს ცვლილებებს ცალკეული კოლექტივის სამეტყველო ჩვევებში დროის ერთი მომენტიდან უფრო გვიანდელ პერიოდამდე¹⁵.

სინქრონიული, კონტრასტული ან დიაქრონიული ინფორმაციის შეგროვებისას გვხვდება ზოგი განსხვავებული მეთოდი. კონტაქტური მეთოდი ვარაუდობს მოლაპარაკებებზე უშუალო დაკვირვებას. ფილოლოგიური მეთოდი მდგომარეობს წერილობითი ჩანაწერების ინტერპრეტაციაში. შედარებითი მეთოდი ახდენს ექსტრაპოლაციას უკან ორი ან მეტი მონათესავე დიალექტის ან ენის ყველაზე ადრინდელი არსებული საბუთიდან (ან ყველაზე ადრინდელი ხმარებიდან). ამ მეთოდებს შორის არ არსებობს მკვეთრი სადემარკაციო ხაზი¹⁶.

სინქრონიული ანალიზი შეიძლება ემყარებოდეს ერთ-ერთს დასახელებული სამი მეთოდიდან ან მათ კომბინაციას.

აქ ჰოკეტი თვითონ ჯერ კიდევ არ განასხვავებს ერთმანეთისაგან 'დესკრიფციასა' და 'სინქრონიას'. 1955 წ. „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ კი ეს ცნებები გამიჯნულია. ავტორი მიუთითებს, რომ იგი არ ეხება ენობრივი ცვალებადობის ლინგვისტურ ასპექტს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ნაშრომი სინქრონიულია. მაგრამ ის არა მხოლოდ სინქრონიულია, არამედ დესკრიფციულიცაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორი ეხება არა ფონოლოგიური მოდელის ვარიაციებს სამეტყველო კოლექტივში ინდივიდიდან ინდივიდში ან ერთი ჯგუფიდან მეორეში, არამედ ერთგვაროვან ლინგვისტურ სისტემებს, რომლებიც განხი-

¹³ Ch. F. Hockett, *Implications of Bloomfield's Algonquian Studies*. *Language*, 1948, ტ. 24. RiL, გვ. 282. ჰოკეტი მიუთითებს, რომ ტერმინები სინქრონიული და დიაქრონიული თარიღდება ფ. დე სოსიურით მაინც.

¹⁴ იქვე, გვ. 282. ავტორის სიტყვით, 'კონტრასტული' უორფის მიერ არის შემოტანილი.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე.

ლულია დიალექტებად ან იდიოლექტებად დიფერენციების გარეშე¹⁷.

სისტემის ასეთი აბსტრაქცია მოლაპარაკეთა რეალური ქსელისაგან და მოლაპარაკებთან მიმართებათაგან, რომლებშიაც ის არის ამათუ იმ სახით მანიფესტირებული, ჩემი გაგებით, ქმნის წმინდა დესკრიფციულ (ანუ „სტრუქტურულ“) მიდგომას საპირისპიროდ წმინდა სინქრონიულისაგან, რომელიც მეტია, ვიდრე წმინდა დესკრიფციული. სხვა სიტყვებით, დესკრიფციული კვლევა წარმოადგენს სინქრონიული კვლევის ფაზას, მაგრამ უკანასკნელი უფრო მეტის მომცველია, ვიდრე პირველი, — აღნიშნავს ავტორი¹⁸.

ასეთივე აზრია გამოთქმული „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსშიაც“. ავტორის მიხედვით, დესკრიფციული ენათმეცნიერება სწავლობს რომელიმე საზოგადოების ენის აგებულებას. იგი უგულვებელყოფს იმ განსხვავებებს, რომელთაც ადგილი აქვთ პიროვნებათა შორის და ჯგუფებს შორის. ასეთი განსხვავებები კი ყოველ სალაპარაკო ენაშია, რადგან ორ ადამიანსაც კი არა აქვს ზუსტად ერთნაირი სამეტყველო ჩვევები. სინქრონიული ენათმეცნიერება უფრო ფართოა, ვიდრე დესკრიფციული. იგი შეიცავს დესკრიფციულ ენათმეცნიერებას და აგრეთვე კვლევის გარკვეულ სხვა ტიპებს, განსაკუთრებით სინქრონიულ დიალექტოლოგიას. ეს უკანასკნელი სისტემატურად შეისწავლის სამეტყველო ჩვევათა განსხვავებებს პიროვნებათა შორის და ჯგუფებს შორის¹⁹.

ანალოგიურ განსხვავებას ამყარებს პოკეტი დიაქრონიულ და ისტორიულ ენათმეცნიერებას შორისაც. დიაქრონიულ ენათმეცნიერებას ორი ასპექტი აქვს, ერთია სამეტყველო ჩვევათა განვითარების პროცესი ცალკე პიროვნებაში დაბადებიდან სიკვდილამდე, რასაც ლინგვისტური ონტოგენეზი ეწოდება. მეორე იქნება ენების, როგორც მთლიანობათა, ისტორია თანმიმდევრული ათეული წლებისა და საუკუნეების მიხედვით. ეს არის ლინგვისტური ფილოგენეზი, რომლისთვისაც ჩვეულებრივია ტერმინი ისტორიული ენათმეცნიერება²⁰.

ამგვარად, სინქრონიული და დესკრიფციული, დიაქრონიული და ისტორიული ენათმეცნიერება არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თვალსაზრისით. პირველი წყვილი არ ითვალისწინებს დროში ენის ცვალებადობას, მეორე წყვილი კი სწორედ ამ მხარეს სწავლობს. არსებითად არც ობიექტებშია განსხვავება. მაგ., როგორც სინქრონიული,

17 Ch. F. Hockett, A Manual of Phonology. 1955, გვ. 1.

18 იქვე, გვ. 22.

19 Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 321.

20 იქვე, გვ. 353.

ისე დესკრიფციული ენათმეცნიერება ენის სისტემას აღწერს, განსხვავება კი მათ შორის ისაა, რომ პირველი ენის სისტემას მოლაპარაკებებისაგან მოწყვეტილად განიხილავს, მეორე კი მოლაპარაკებებთან მიმართებასაც ითვალისწინებს, რის გამოც ის ანგარიშს უწევს ინდივიდუალურ და არაინდივიდუალურ (დიალექტურ) განსხვავებებს ენობრივ სისტემაში. ვფიქრობთ, ეს არ იძლევა საკმაო საფუძველს იმისათვის, რომ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან დესკრიფციული და სინქრონიული (ისტორიული და დიაქრონიული) ენათმეცნიერება. მათი გარჩევა ჰოკეტთან ხელოვნური ჩანს. მით უმეტეს, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერება სინქრონიულის ნაწილი გამოდის, ისტორიული კი — დიაქრონიულის ნაწილი. შემთხვევითი არაა, რომ თვით ავტორსაც გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებად მიაჩნია მათი სინონიმურად ხმარება. იგი წერს:

დესკრიფციული ანუ სინქრონიული ლინგვისტიკა შეისწავლის, თუ როგორ მოქმედებს ენა მოცემულ დროს მიუხედავად მისი წარსული ისტორიისა და მომავალი ბედისა, ხოლო ისტორიული ანუ დიაქრონიული ლინგვისტიკა სწავლობს, თუ როგორ იცვლება მეტყველების ჩვევები დროთა განმავლობაში²¹.

1.3. ენათმეცნიერება კი არ ქმნის ენის სტრუქტურას, არამედ სწავლობს მოლაპარაკეთა მიერ შექმნილი ენის სტრუქტურას. ამ საკითხისადმი ჰოკეტს მიძღვნილი აქვს საგანგებო წერილი²², სადაც ის ცხარედ ეკამათება პრესტონს, რომელსაც გამოუთქვამს მოსაზრება, სტრუქტურა წარმოადგენს მტკიცებათა სერიასო და მოცემული ენის ან ენის კორპუსის სტრუქტურა არ არსებობს მანამ, სანამ ის არ დადგინდება.

ჰოკეტის აზრით, ენათმეცნიერება, — განსაკუთრებით დესკრიფციული ანუ სტრუქტურული ენათმეცნიერება, — შეიძლება განხილულ იქნეს როგორც თამაში და როგორც მეცნიერება. თამაშის წესები ის წესებია, რომელთაც მოთამაშენი ანიჭებენ უპირატესობას, ოღონდ ერთი შეზღუდვით. თამაშის მიზანია კორპუსის გამოთქმათა შედარება და ანალიზი და მათი ხელახლა აღწერა, როგორც უფრო მკირე, გამეორებული (ან შემთხვევით არაგამეორებული) ნაწილებისაგან შედგენილისა. წესების შეზღუდვა, რასაც ყოველი მოთამაშე ეთანხმება, ისაა, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კორპუსის ყველა გამოთქმა. თამაშისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მიმართება შეიძლება არსებობდეს მოთამაშის მიერ წარმოქმნილ სტრუქტურას.

²¹ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 303.

²² Ch. F. Hockett, A Note on 'Structure.'

ტურას, როგორც იგი თავის სათამაშოს მანიპულაციას ახდენს, და იმას შორის, რაც ენაზე მკვიდრმა მოლაპარაკემ შეიძლება თქვას ენაზე ან ენის შესახებ, გარდა იმ გამოთქმებისა, რომლებსაც შეიცავს კორპუსი.

არავის არ შეუძლია შეედავოს თამაშს, როგორც თამაშს, — განაგრძობს ჰოკეტი. თამაშით ექსპერიმენტაციას, გარდა გართობითი ღირებულებისა, მნიშვნელობა აქვს წმინდა მათემატიკის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. მაგრამ ეს პრაქტიკული ღირებულება რომ ავწეროთ, ამისათვის ჩვენ უნდა დავშორდეთ თამაშ-ენათმეცნიერებას და განვიხილოთ ენათმეცნიერება, როგორც მეცნიერება: სწორედ ამის უგულვებელყოფას უსაყვედურებს ჰოკეტი პრესტონს²³.

ჰოკეტი ეთანხმება პრესტონს იმაში, რომ ენათმეცნიერების, როგორც მეცნიერების, ამოცანას არსებითად კლასიფიკაცია წარმოადგენს, მაგრამ ეს გულისხმობს არა მხოლოდ ისეთ გამოთქმათა აღრიცხვას, რომლებიც მოცემულ კორპუსში შედიან, არამედ სხვა გამოთქმათა წინასწარმეტყველებასაც, რომელთა წარმოთქმა შეუძლია მოლაპარაკეს. სწორედ ეს უქანასკნელი გარემოება იძლევა კრიტერიუმს აღწერის ღირებულების შესაფასებლად.

ენათმეცნიერს, როგორც თამაშის მონაწილეს, — გვეუბნება ჰოკეტი, — არა აქვს კრიტერიუმი, რომლითაც ის განსჯის ერთი ანალიზის შეფარდებითს ღირებულებას მეორესთან შედარებით. ეს მას ანიჭებს ექსპერიმენტაციის თავისუფლებას, რაც ფასეულია. მაგრამ, როგორც ითქვა, არა რაიმე ისეთი თვალსაზრისით, რომლის დადგენა შეიძლება თამაშის, როგორც თამაშის სტრუქტურის შიგნით. ენათმეცნიერებაში, როგორც მეცნიერებაში, მომუშავეს აქვს ასეთი კრიტერიუმი: წინასწარმეტყველების სისწორე ერთი კორპუსის შიგნით და ასეთი წინასწარმეტყველების საფუძვლის გასაგებობა სხვებისთვის²⁴.

ჰოკეტი დაასკვნის: ზემოთქმულის მიხედვით, პრესტონის ზემომოყვანილი დებულების რელევანტურობა და აბსურდულობა ნათელია. ენის სტრუქტურა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თამაშის საბოლოო პროდუქტი: ამ გაგებით სტრუქტურა წარმოქმნილია იმ პირის მიერ, ვინც თამაშობს ამ თამაშს. მაგრამ ყველა მოლაპარაკე თამაშობს სწორედ ასეთ თამაშს და საბოლოო პროდუქტი არის მოვლენათა მდგომარეობა მის ნერვულ სისტემაში და არა დებულებათა მწკრივი. ლინგვისტიკის მეცნიერმა უნდა განიხილოს ენის

²³ Ch. F. H o c k e t t, A Note on 'Structure', გვ. 279. 'თამაშის' ენათმეცნიერებას (game-playing linguistics) ჰოკეტი პირველ რიგში ზ. ჰარისის სახელთან აკავშირებს. The State of the Art, გვ. 16.

²⁴ Ch. F. H o c k e t t, A Note on 'Structure', გვ. 280.

სტრუქტურა, როგორც შედგენილი ზუსტად მოვლენათა ამ მდგომარეობისაგან. მისი ამოცანაა ენის ანალიზის დროს არა სტრუქტურის წარმოქმნა, არამედ ენაზე მოლაპარაკეთა მიერ რეალურად შექმნილი სტრუქტურის განსაზღვრა. მაშასადამე, მეცნიერისათვის 'ენობრივი სტრუქტურა' მიმართებაშია რაღაცასთან, რაც არსებობს საკმაოდ დამოუკიდებლად მისი ანალიზის მოქმედებისაგან: ენა არის ის, რაც ის არის. მას ის სტრუქტურა აქვს, რომელიც აქვს, იქნება ის შესწავლილი ენათმეცნიერის მიერ თუ არა²⁵.

ამგვარად, გამოდის, რომ გამოთქმა 'ენის სტრუქტურა' ორგვარი გაგებით იხმარება: ერთია მოლაპარაკეთა მიერ ხმარებული ენის სტრუქტურა, რომელიც მკვლევრის ანალიზისაგან დამოუკიდებლად არის შექმნილი, ხოლო მეორე — ენათმეცნიერულა აღწერა, მეცნიერულ დებულებათა სისტემა, რომელიც, როგორც ენაზე, ჰოკეტის აზრით, უნდა შეესაბამებოდეს პირველს.

არ არის რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ არ ვიხმაროთ ტერმინი 'სტრუქტურა' ორივე მნიშვნელობით, — შენიშნავს ჰოკეტი²⁶. მას შესაძლებლად მიაჩნია საჭიროების შემთხვევაში მათი გარჩევა.

ჰოკეტის მსჯელობა ენობრივი სისტემისა და მეცნიერულ დებულებათა სისტემის შესახებ გასაზიარებელია. ოღონდ ერთგვარ გაუგებრობას იწვევს მისი დასკვნითი ფრაზა: „ის, რასაც გვერდი უნდა აეუაროთ, როგორც უსარგებლო არგუმენტაციას, ესაა საკითხი 'ობიექტურია' ან 'სუბიექტურია' თუ არა ლინგვისტური სტრუქტურაო²⁷. ავტორის მთელი ზემომოყვანილი მტკიცება ხომ სწორედ იქით იყო წარმართული, რომ ენის სტრუქტურა ობიექტურია, ე. ი. მკვლევრის ანალიზისაგან დამოუკიდებლად არსებობს მოლაპარაკებებში! ვფიქრობთ, სტრუქტურის 'ობიექტურობის' ან 'სუბიექტურობის' ფუძე საკითხად მიჩნევა ზოგადი, ფილოსოფიური პრობლემატიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით აიხსნება, რაც ესოდენ დამახასიათებელია ამერიკული ენათმეცნიერებისათვის.

თავის სხვა ნაშრომებშიაც ჰოკეტი არაერთგზის აყენებს ენობრივი აღწერის ობიექტურობის მოთხოვნილებას. მაგ., ავტორი წერს: ფონოლოგიურ ნაშრომში მკვლევრის ამოცანაა ენის ფონოლოგიური მოდელის აღწერა. ესაა ემპირიულა ამოცანა. მკვლევარმა უნდა დააფუძნოს თავისი მსჯელობა რეალურ მეტყველებაზე დაკვირვებებს

²⁵ Ch. F. Hockett, A Note on 'Structure', გვ. 280, ხაზი ჩვენია — თ. შ.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე, გვ. 280.

(დაკვირვებებს, რომლებსაც ის თვითონ ატარებს ან სხვები აწარმოებენ); რამდენადაც მას შეუძლია, მან უნდა გააიგივეოს და განასხვავოს ისე, როგორც თვით მოლაპარაკენი იქცევიან²⁸. აღწერა მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს ამა თუ იმ მკვლევარის ესთეტიკურ მიწრაფებათა ხელოვნური შედეგებისაგან, იგი ნაკლებ უნდა ექვემდებარებოდეს პიროვნების კაპრიზს²⁹. მკვლევარი არ უნდა განიცდიდეს „სიმეტრიის დაწოლას“, რაც თვითონ მასშია და არა ფაქტებში³⁰.

1.1. ინდუქციისა და ემპირიული მიდგომის მნიშვნელობა ენათმეცნიერებისათვის. უკვე ზემოთყვანილი გამონათქვამებიდან ჩანდა, რომ ჰოკეტი ენის აღწერისათვის ამოსავლად მიიჩნევს მოლაპარაკეთა მეტყველებაზე დაკვირვებას. სწორედ ამ თვალსაზრისის ასახავს დებულება ენათმეცნიერებისათვის ინდუქციისა და ემპირიზმის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. ორივე ეს პრინციპი საყოველთაოდ არის აღიარებული დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში.

ჰოკეტი წერს: ჩვენი თვალსაზრისი ემპირიული იქნება: მე ვიღებ ბლუმფილდის მტკიცებას, რომ „ერთადერთი ნაყოფიერი განზოგადებები ენის შესახებ არის ინდუქციური განზოგადებები“ და მაშასადამე, ვუერთდები „ღვთის ქეშმარიტების“ სკოლას („God's truth“ school) და არა „ფოკუს-მოკუს“ სკოლას („hocus-pocus“ school) აზროვნებისა.³¹

სხვა ადგილას ნათქვამია: ენათმეცნიერული კვლევა ვერაფერს მიაღწევს, თუ ის მკაცრად ინდუქციური არ იქნება. ფუქია ფილოსოფიური სპეკულაცია იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ენა. ენის აღწერისას ჩვენ უნდა გადმოვცეთ რეალური ხმარება, როგორც განსაზღვრული დაკვირვებით. აღწერთ რა სამეტყველო ქცევას ზოგადად, მეტწილად უნდა მივმართოთ ისეთ თვისებებს, რომლებიც აღმოჩენილი იყვნენ ემპირიულად ყველა ენაში, რომელთა შესახებაც რაიმე ინფორმაცია მოგვეპოვება³².

ჩვენ არ ვაპირებთ განვიხილოთ საკითხი ინდუქტივიზმისა და ემპირიზმის შესახებ ფილოსოფიურ ასპექტში. ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ისინი არც

²⁸ Ch. F. H o c k e t t, A Manual of Phonology, გვ. 176.

²⁹ იქვე, გვ. 178.

³⁰ Ch. F. H o c k e t t, A Course in Modern Linguistics, გვ. 109.

³¹ Ch. F. H o c k e t t, A Manual of Phonology, გვ. 2. ეს ტერმინები ჰუსსოლდერის მიერ უნდა იყოს შემოღებული, — შენიშნავს ჩ. ჰოკეტი. The State of the Art, გვ. 16.

³² Ch. F. H o c k e t t, A Course in Modern Linguistics, გვ. 7.

არიან აყვანილი ფილოსოფიურ სიმაღლემდე. აღნიშნული პრინციპები ფასეულია იმ მხრივ, რომ ისინი მოითხოვენ ენათმეცნიერული ანალიზის დამყარებას ენობრივი მასალის დეტალურ შესწავლაზე. იქნებ ეს საგანგებოდ აღსანიშნიც არ ყოფილიყო, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში არ შეინიშნებოდეს ამის საწინააღმდეგო ტენდენცია. მხედველობაში გვაქვს დანიის სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ლ. იელმსლევის გლოსემატიკა. როგორც ცნობილია, ლ. იელმსლევი გამორიცხავს ენისადმი ინდუქციურ მიდგომას და თავის მოძღვრებას დედუქციურ თეორიად აცხადებს. ბოლო წლებში ხშირად გახაზვენ მსგავსებებს გლოსემატიკასა და დესკრიფციულ ენათმეცნიერებას შორის³³. ასეთი მსგავსებები მართლაც არსებობს აღწერის ტერმინოლოგიაში და ტექნიკაში და მათი საერთო წყარო მათემატიკა და მათემატიკური ლოგიკაა. მაგრამ როგორი თვალსაჩინოც არ უნდა იყოს ეს მსგავსებები, ჩვენი აზრით, ისინი ვერ გადასძლევენ იმ არსებით განსხვავებას, რაც მთლიანად ენისადმი მიდგომის თვალსაზრისით დასტურდება სტრუქტურალიზმის დასახელებულ ორ სკოლას შორის.

2. ენის გრამატიკული აღწერის მოდელები

2.1. გრამატიკული აღწერის ორი მოდელი — ეგ და ეპ. გრამატიკული აღწერის მოდელს ჰოკეტი უწოდებს მიმართებათა ქსელს. რომლის ფარგლებშიც მკვლევარი სწავლობს ენის გრამატიკულ ფაზას და აყალიბებს თავისი გამოკვლევების შედეგებს³⁴. არსებობს გრამატიკული მოდელის რამდენიმე ტიპი. ამათგან ჰოკეტი საკანგებოდ განიხილავს ორს, რომლებიც ამერიკულ ენათმეცნიერებაშია გავრცელებული. ერთს ის უწოდებს ერთეულსა და პროცესს, შემოკლებით — ეპ. ხოლო მეორეს — ერთეულსა და განლაგებას, შემოკლებით — ეგ.

ეპ უფრო ძველია. იგი ჩამოაყალიბა ამერიკაში ბოასმა³⁵ და დაამუშავა სეპირმა³⁶, გვხვდება სეპირის მიმდევართა ნაშრომებში.

ეპ-ში ძირითადი ტერმინია „პროცესი“. ჰოკეტს მოჰყავს ეპ-ს დახასიათება ჰარისის ერთ-ერთი ნაშრომის მიხედვით³⁷. აქ ნათქვამია:

³³ იხ. მაგ., Э й и а р Ха у г е и, Направления в современном языкознании „Новое в лингвистике“, I.

³⁴ Ch. F. Hockett, Tow Models of Grammatical Description, გვ. 210.

³⁵ ჰოკეტი მიუთითებს: Franz Boas, Introduction, Handbook of American Indian Languages, part 1. 1911. Washington. დასახ. ნაშრ., გვ. 211.

³⁶ მიუთითებულა: Ed. Sapir, Language. New York. 1921 (იქვე).

³⁷ მიუთითებულა: Z. S. Harris, Yokuts structure and Neuman's grammar. IJAL. 10. 196—211. დასახ. ნაშრ. გვ. 210.

განსხვავება, რომელიც არსებობს ორ ნაწილობრივ მსგავს ფორმას შორის, ხშირად აიწერება... როგორც პროცესი, რომელიც აწარმოებს ერთ ფორმას მეორისაგან. ასეა, როდესაც ფუძეებს (bases) ან თემებს აქვთ რამდენიმეხმოვნიანი ფორმა, სხვადასხვა ფორმა მიჩნეულია ფუძეზე ან თემაზე მოქმედი ხმოვნის ცვალებადობის პროცესის შედეგად. განსხვავება ფუძესა და ფუძე—პლუს—სუფიქსს შორის აიწერება, როგორც შედეგი სუფიქსაციის პროცესისა. ჰარისი იქვე შენიშნავს, რომ ამას არაფერი აქვს საერთო ისტორიულ ცვალებადობასთან ან პროცესთან დროში: ესაა უბრალოდ პროცესი კონფიგურაციაში, რომელიც მოძრაობს მოდელის ერთი ნაწილიდან მეორისაკენ ან უფრო დიდი ნაწილისაკენ³⁸.

ამგვარადვე, ეპ-ში პროცესებად არის მიჩნეული მირთვა (juxtaposition), აფიქსაცია, რედუქციაცია. სუპლექტივიზმი.

ჰოკეტი თვლის, რომ „პროცესების“ ტერმინოლოგია ისტორიული ხასიათის მსჯელობებიდან გადმოაქვთ ეპ-ში³⁹. სწორედ ეს ისტორიული ანალოგიები იწვევდა უკმაყოფილებას. ეპ-ის კრიტიკოსები ცდილობენ საერთოდ აიცილინონ თავიდან ასეთი მტკიცებანი⁴⁰.

ეს და ზოგიერთი სხვა კრიტიკული შენიშვნა ეპ-ის მიმართ იყო მიზეზი იმისა, რომ შეიქმნა გრამატიკის ახალი მოდელი — ეგ, რომელიც ამგვარად ეპ-ზე ახალია.

ეგ-ს საფუძველი ჩაუყარა ბლუმფილდმა თავის „ენაში“. იგი განავითარეს ჰარისმა და მისმა მოწაფეებმა: ბლოკმა, უელზმა, ნაიდამ⁴¹.

ეგ-ს არსი, ავტორის სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ ვილაპარაკოთ მარტივად საგნებზე და მიმართებებზე, რომლებშიაც ეს საგნები გვხვდებიან. აღიარებულია, რომ ნებისმიერი გამოთქმა მოცემულ ენაში შედგება მთლიანად გრამატიკულად რელევანტური ელემენტების გარკვეული რაოდენობისაგან. ამ ელემენტებს მორფემები ეწოდებათ და ისინი გარკვეულად არიან განლაგებული ერთმანე-

³⁸ Ch. F. Hockett, Tow Models of Grammatical Description, გვ. 211.

³⁹ იქვე.

⁴⁰ ჰოკეტი იმწმებს ერთ-ერთ თავის აღრიზულ გამოხატუებას. ი. ნაიდას „მორფოლოგიის“ რეცენზიაში ის წერდა: თუ ნათქვამია, რომ ინგ. ნამყო დროის ფორმა baked 'ნაწარმოება' bake-ისაგან სუფიქსაციის პროცესით, მაშინ ჩვენ უარყოფით ვთქვით ისტორიზმზე, მაინც შეუძლებელია არ დავასკვნათ, რომ bake-ს ენაზე ერთგვარი პრიორიტეტი როგორც baked-ის, ისე სუფიქსის საპარისპიროდ და თუ ეს პრიორიტეტი არ არის ისტორიული, მაშ, რა ხასიათისაა ის? (Ch. F. Hockett, Review of E. Nida, Morphology. «Languages». 1947. 23. 274—851). იქვე, გვ. 211.

⁴¹ იქვე, გვ. 211, 213. ამ სიას თვით ჰოკეტიც უნდა დაემატოს.

თის მიმართ. გამოთქმის სტრუქტურა ხასიათდება მორფემებისა და განლაგების დადგენის გზით. ენის მოდელი აღწერილია, თუ ჩვენ ჩამოვთვლით მორფემებს და განლაგებებს, რომლებშიაც ისინი ერთმანეთის მიმართ გვხვდებიან გამოთქმებში. ამას ერთვის დებულებები იმ ფონემურ ფორმათა შესახებ, რომლებიც ვლინდებიან ნებისმიერ შეხვედრილ კომბინაციაში⁴².

ჰოკეტი გვაცნობს „ეგ-ის ნახევრად ფორმალურ“ მონახაზს, როგორც ის ამჟამად არსებობს⁴³. იგი შენიშნავს, რომ ცნებები „ერთეული“ და „განლაგება“ ვერ გვაძლევს ეგ-ის სრულ სურათს⁴⁴. ამათ გარდა არსებობს ოთხი ფაქტორი, რომლებიც აგრეთვე დამოუკიდებელი და ძირითადია. ესენია: (1) ფორმები, (2) (ხაზოვანი) რიგი, (3) კონსტრუქციები და (4) უშ-თა ანუ იერარქიული სტრუქტურა⁴⁵. მაგრამ შემთხვევათა დიდ რაოდენობაში მთელი ეს მექანიზმი არ არის საკმარისი. მეტწილ შემთხვევებში ორი ან სამი ფაქტორის განსაზღვრა არ ტოვებს არჩევანს დანარჩენებისათვის. ეს ფაქტი წარმოშობს მეტწილ მძიმე ტაქტიკურ სიძნელეებს, რომლებიც ახასიათებს ეგ-ს⁴⁶. ეგ-ს მორფოფონემური სიძნელეებიც ხვდება. ეს სიძნელეები იმასთანაა დაკავშირებული, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია საკითხთა მრავალგვარი გაშუქება, რომელთაგან არც ერთი არ ჩანს მეორეზე უკეთესი, ან არადა ზოგჯერ ინტუიციურად საუკეთესო გაშუქება აშკარად არღვევს ეგ-ის საფუძველს⁴⁷. ამ უქანასკნელის მაგალითად ჰოკეტი ასახელებს შენაცვლებითს მორფებს (replacive morphs მაგ., /u/ ← /ey/took ← take-ში) და სუბტრაქტივებს — მორფებს, რომლებიც მდგომარეობს ბოლო თანხმოვნის დაკარგვაში (ფრ. bon მამრ. სქ. და bonne მდედრ. სქ.). ისინი არ არიან ფონემური მასალისაგან შედგენილი, რაც ეწინააღმდეგება ეგ-ის პრინციპებს. მოდელი იწყებს ნგრევას. მისი კრიტერიუმები ახალი პუნქტებით შევსებას მოითხოვენ⁴⁸. ჰოკეტი იმასაც აღნიშნავს, რომ აშკარად ტრივიალურ შემთხვევებშიაც კი გვხვდება სიძნელე იმის გარკვევისას, თუ რა უნდა მივიჩნიოთ „ერთეულად“ და რა „განლაგებად“⁴⁹.

⁴² Ch. F. Hockett, Tow Models of Grammatical Description, გვ. 212.

⁴³ იქვე, გვ. 214—217.

⁴⁴ იქვე, გვ. 218.

⁴⁵ იქვე, გვ. 218—222. უშ შემოკლებაა გამოთქმისა: უშუალო შემადგენლებით. შ.

⁴⁶ იქვე, გვ. 223.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ იქვე, გვ. 224.

⁴⁹ იქვე, გვ. 212.

განათვალისწინებულია ავტორის შენიშვნა, რომ ეგ წმინდა სახით იშვიათად გვხვდება⁵⁰.

ჰოკეტის აზრით, ის ფაქტი, რომ ამჟამად საყოველთაოდ ამჟობინებენ ეგ-ს, ვიდრე ეპ-ს, აიხსნება არა იმიტომ, რომ ეგ-ს მართლაც აქვს რაიმე დიდი უპირატესობა, არამედ იმიტომ, რომ ამჟამად ჩვენ გვიყვარს, რაც შეიძლება მეტად ფორმალური ვიყოთ. ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს ეგ, რომელიც ფორმალიზებულია, ეპ კი არ არის ფორმალიზებული. მაგრამ ეპ-ის ფორმალიზაცია ჰოკეტს შესაძლებლად მიაჩნია⁵¹ და ის თვითონ გვთავაზობს ეპ-ის ფორმალიზებულ ვარიანტს⁵².

2.2. ენის აღწერის მოდელთა შეფასების კრიტერიუმები. ამგვარად, მივიღეთ ენის აღწერის ორი მოდელი, ორავე ფორმალიზებული. ჰოკეტის აზრით, შესაძლებელია ნაწილობრივი თარგმნა ეპ-სა და ეგ-ს შორის⁵³. ხოლო გარკვეულ შემთხვევებში მათ შორის განსხვავება არ დასტურდება. ეპ, გვეუბნება ავტორი, თავიდან იცდენს მთავარ ტაქტიკურ და მორფოლოგიურ სიძნელებებს, რომლებიც ეგ-ს ახასიათებს, მაგრამ სამაგიეროდ ის ქმნის ზოგ სიძნელეს, რომლებიც თავიდანაა აცილებული ეგ-ში⁵⁴.

როგორ უნდა შევადგინოთ ეს მოდელები? რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? ჰოკეტი გარკვეულ მოთხოვნილებებს უყენებს ენის აღწერას და აღწერისათვის გამოყენებულ მოდელებს, რაც იძლევა საფუძველს მათი შეფასებისათვის.

გრამატიკული აღწერა უნდა გვაწვდიდეს პრინციპებს, რომელთა მიხედვით ენაში შესაძლებელი იქნება გამოთქმათა ნებისმიერი რაოდენობის წარმოშობა (generate). ამ თვალსაზრისით აღწერას ჰოკეტი ოპერაციულად ადარებს ადამიანურ არსების იმ ნაწილის სტრუქტურას, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს აწარმოოს (produce) გა-

⁵⁰ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 213.

⁵¹ იქვე, გვ. 213—214.

⁵² იქვე, გვ. 227—228. ჰოკეტი შენიშნავს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეპ-ის მოდელი ზედპირულად მაინც განსხვავდება ყველაფერი იმისაგან, რაც მოიპოვება სეპირის შრომებში. ეს ნაწილობრივ იმიტომაცა, რომ ეპ-ის ყველაზე ფორმალიზებულ ვარიანტში შეტანილია ზოგი შედევი ახალი გამოკვლევებისა, რომლებიც ჩატარდა ეგ ყალიბის ფარგლებში. მთვან უმთავრესია ტაქტიკისა და მორფოლოგიის დაპირისპირება, რაც არ ელინდება არც სეპირის ნაშრომებში და არც ბლუმფილდის 1933 წ. განხილვაში (იქვე, გვ. 229—230). თვით ტერმინი 'პროცესის' გამოყენებაც განსხვავდება სეპირის ხმარებისაგან (იქვე, გვ. 230).

⁵³ იქვე, გვ. 213.

⁵⁴ იქვე, გვ. 230—232.

მოთქმები ენაში, ე. ი. ილაპარაკოს⁵⁵. მეორე მხრივ, როდესაც მკვლევარს საქმე აქვს ისეთ გამონათქვამთან. რომლის მოდელი განსაზღვრული იყო, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დაადგინოს მისი სტრუქტურაც⁵⁶.

სხვა სიტყვებით: გრამატიკული აღწერა უნდა იყოს გზის მაჩვენებელი ენაში მასალის ანალიზისათვის — როგორც აღწერამდე მკვლევრის მიერ გამოკვლეული მასალისა, ისე მის შემდეგ შესწავლილი მასალისაც. ლექსიკურად მოცულობა არ არის საჭირო იყოს სრული, რადგან შეიძლება აღმოჩნდეს ახალი მორფემები, როდესაც განვარდობთ ენის ჩაწერას. სხვა მხრივ, იგი სრული უნდა იყოს. აღწერა უნდა იყოს აგრეთვე წინასწარმეტყველებითი იმ გაგებით, რომ თუ ვინმე გაჰყვება დებულებებს, მან უნდა შეძლოს წარმოთქვას გამოთქმათა ნებისმიერი რაოდენობა ენაში იმათ გარდა, რაც წინასწარ შეისწავლა მკვლევარმა. ახალი გამოთქმები, რომელთა მეტი წილი, თუ ყველა არა, მისაღები იქნება ადგილობრივი მოლაპარაკისათვის⁵⁷.

ეს არის კრიტერიუმები გრამატიკული აღწერის შეფასებისათვის, რაც შეეხება მოდელების შეფასებას, აქ ავტორი ხუთ მეტაკრიტერიუმს გვთავაზობს⁵⁸.

(1) მოდელი უნდა იყოს ზოგადი: იგი გამოსაყენებელი უნდა იყოს ნებისმიერი ენისათვის და არა მხოლოდ გარკვეული ტიპის ენებისათვის.

(2) მოდელი უნდა იყოს სპეციფიკური: როდესაც გამოყენებულია მოცემული ენისათვის, შედეგი განსაზღვრული უნდა იყოს მთლიანად მოდელის ბუნებით და ენის ბუნებით, მაგრამ არა მკვლევრის კაპრიზით. სპეციფიკურობის ნაკლოვანება არ არის მიზეზი იმისა, თუ მოდელი მოითხოვს მივაკუთვნოთ გარკვეული ფაქტები: რაიმე კატეგორიას ერთზე მეტჯერ სხვადასხვა თვალსაზრისით. სპეციფიკის ნაკლოვანება იქნებოდა, თუ მოდელი ნებას მოგვცემდა ასეთ შემთხვევებში ჩვენ გაგვეკეთებინა არჩევანი, ნაცვლად იმისა, რომ ვეიძულე-ბინეთ მიგველო ესა თუ ის არჩევანი.

(3) მოდელი ინკლუზიური უნდა იყოს: როდესაც მოდელი გამოყენებულია მოცემული ენისათვის, შედეგებმა უნდა დაფარონ ყველა

⁵⁵ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 217.

⁵⁶ იქვე, გვ. 218.

⁵⁷ იქვე, გვ. 232.

⁵⁸ იქვე. პოკეტი იქვე შენიშნავს, რომ ეს სია ალბათ არ არის სრული, ამასთან მე-ხუთე კრიტერიუმის აუცილებლობაში არა ვარ დარწმუნებულიო.

გამოკვლეული მონაცემი და, ყოველ შემთხვევაში ძალიან დიდი პროცენტი ყველა ჯერ კიდევ გამოუკვლეველი მონაცემებისა. ავტორის სიტყვით, ეს მეტაკრიტიერიუმი წარმოადგენს ზემონახსენები 'გზის მაჩვენებლის' კრიტიერიუმის ანალოგს⁵⁹.

(4) მოდელი პროდუქტიული უნდა იყოს: როდესაც გამოყენებულია მოცემული ენისათვის, შედეგებმა შესაძლებელი უნდა გახადონ ფასეულ ახალ გამოთქმათა განუსაზღვრელი რაოდენობის წარმოშობა. ეს მეტაკრიტიერიუმი ანალოგიურია აღწერისათვის დასახელებული 'წინასწარმეტყველების' კრიტიერიუმისა⁶⁰.

(5) მოდელი ეფექტური (efficient) უნდა იყოს: მისმა გამოყენებამ ნებისმიერი ენისათვის უნდა მოგვეცეს აუცილებელი შედეგები მინიმალური მექანიზმით⁶¹.

რას გვაძლევს ზემოგანხილული ორი მოდელის შეფასება ამ მეტაკრიტიერიუმების მიხედვით? ჰოკეტის სიტყვით, არც ერთი ამჟამად არსებული ვერსია ეგ-ისა და ეპ-ისა არ აკმაყოფილებს ყველა კრიტიერიუმს. მაგრამ ეპ ისევე უახლოვდება ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, როგორც ეგ. ამდენად მოდელის ამ ორი ძირითადი ტიპიდან არც ერთი არაა მთლიანად დამაკმაყოფილებელი⁶². ავტორს სასურველად მიაჩნია. რაც შეიძლება მეტი ექსპერიმენტი ტარდებოდეს როგორც ერთი. ისე მეორე მოდელით, ამასთანავე შეიქმნას ახალი მოდელებიც, რაც მოამზადებს ნიადაგს მათი საბოლოო შეერთებისათვის ერთ უფრო დამაკმაყოფილებელ მოდელად⁶³.

2.3. ენის აღწერის სხვა მოდელები. ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ, ჰოკეტის მიხედვით, ენის აღწერის მოდელები ორზე მეტიც შეიძლება იყოს. მართლაც, განხილული ნაშრომის შესავალშივე ის ასახელებს ტრადიციული გრამატიკის მოდელს, რომელსაც სიტყვას და

⁵⁹ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 232.

⁶⁰ იქვე, გვ. 232—233.

⁶¹ იქვე, გვ. 233.

⁶² სამართლიანი ჩანს ჰოკეტის შენიშვნა, რომ მისი თვალსაზრისი არა მართებულად იქნა გაგებული, როდესაც მას მიაწერეს, თითქოს დასახელებულ ნაშრომში იგი თავს ესხმოდა ერთეულისა და პროცესის მოდელს და იცავდა ერთეულისა და განლაგების მოდელს (Hall e M., Phonology in a generative grammar. «Word», 1962, ტ. 18, №5, 9 და Teeter K., Descriptive linguistics in America: trivially versus irrelevance. «Word», 1964, ტ. 20, გვ. 203). Ch. F. Hockett, The State of the Art. გვ. 29. ამასთან ჰოკეტი არც იმას უარყოფს, რომ 50-იან წლებში ის ერთეულისა და განლაგების მოდელის შექმნაში მონაწილეობდა, თუმცა მას, ისევე როგორც სხვებსაც, ეს მოდელი მთლიანად არ აკმაყოფილებდა.

⁶³ Ch. F. Hockett, Tow Models of Grammatical Description, გვ. 233.

პარადიგმას (შემოკლებით — სპ. Word and Paradigm: WP) უწოდებს. ავტორის სიტყვით, 1949—1951 წწ., როდესაც ის თავის ნაშრომს წერდა, იგი იმყოფებოდა მცდარი შთაბეჭდილების ქვეშ, თითქოს არსებობდეს მხოლოდ მოდელების ორი არქეტიპი, რომლებიც ღირსია განხილვისა. მაგრამ 1951 წ. მან აღმოაჩინა, რომ ეპ-ისა და ეგ-ის სხვადასხვა ვარიანტების გარდა და იმ მოდელების გარდა, რომლებიც მომავალში შეიძლება იქნენ აღმოჩენილი, არსებობს ერთი მოდელი, რომელიც აშკარად განსხვავდება როგორც ეგ-საგან, ისე ეპ-საგან და რომელიც ორივეზე უფრო ძველია და მნიშვნელოვანი. ესაა სიტყვა და პარადიგმა (სპ), ტრადიციული მოდელი ლათინურის, ბერძნულის, სანსკრიტის და ბევრი უფრო ახალი ენობილი ენის განსახილველად. არ იქნებოდა მართებული უარგვეყო ეს მოდელი იმ მოსაზრებით, რომ ის აშკარად არ არის საკმარისად ზოგადი და მას არ შეუძლია ეფექტურად მოაწესრიგოს ისეთი ენის ფაქტები, როგორცაა ჩინური. რადგანაც ჯერჯერობით არ მოგვეპოვება მთლიანად ადეკვატური მოდელი, სპ იმსახურებს ისეთსავე განხილვას, როგორცაა ეპ და ეგ. ამიტომ ავტორი ბოდიშს იხდის, რომ ამ წერილში მან ვერ წარმოადგინა ასეთი განხილვა სპ-ისა. მიზეზად ის ასახელებს დროის უქონლობას და იმასაც დაურთავს, რომ სპ-ის გაუთვალისწინებლობის გამო დააყოვნა მან თავისი ნაშრომის გამოქვეყნება 1951 წ.-დან 1954 წ.-მდე⁶⁴.

ეს, რაც შეეხება ძველ მოდელს. მეორე მხრივ, გამართლდა ჰოკეტის ვარაუდი, რომ შესაძლებელია შეიქმნას გრამატიკის ახალი მოდელები. ერთ-ერთ ასეთ ახალ მოდელს წარმოადგენს ჯერ ჰარისის, ხოლო შემდეგ ზომსკისა და ლიზის მიერ ჩამოყალიბებული ტრანსფორმაციული გრამატიკა. როდესაც ჰოკეტი თავის სტატიას წერდა (და აქვეყნებდა), ტრანსფორმაციული გრამატიკა ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ მის შესახებ ჰოკეტს აქ არაფერი აქვს თქმული⁶⁵. მოგვიანებით კი, ჰოკეტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ტრანსფორმაციულ გრამატიკას არ შეუძლია სხვა საშუალებით მიღწიოს რაიმეს ისეთს, რის მიღწევასაც ვერ შეძლებს 'ფრაზის' გრამატიკა. ამგვარად, გრამატიკული თეორიის შეხედულება, რომ ტრანსფორმაციული გრამატიკა უფრო ძლიერია, ვიდრე ფრაზის გრამატი-

⁶⁴ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 210.

⁶⁵ 1958 წ. გამოსულ „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ ჰოკეტი ასახელებს ტრანსფორმაციულ მიდგომას, მაგრამ საგანგებოდ არ განიხილავს მას, ვინაიდან ასეთი მიდგომა საკმაოდ გვიან განვითარდაო (ამ საკითხისადმი მიძღვნილი ჰარისისა და ზომსკის ნაშრომები 1957 წ. გამოქვეყნდა). Course in Modern Linguistics, გვ. 208.

კა როგორც ჩანს, მომდინარეობს ევრისტიკული შეცდომისაგან, აღმოჩენილ იქნეს მორფემები ერთი გზით და არა მეორე გზითო, — დასძენს ჰოკეტ⁶⁶. 1968 წ. ჩ. ჰოკეტმა ტრანსფორმაციულ გრამატიკას უძღვნა სპეციალური გამოკვლევა, სადაც ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ ნ. ხომსკის თეორიები მცდარია⁶⁷.

2.4. დასკვნა. ჰოკეტის მსჯელობა აღწერითი გრამატიკის მოდელების შესახებ აღძრავს გარკვეულ საკითხებს, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთზე შევჩერდებით:

მისაღებად გვეჩვენება ჰოკეტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ შესაძლებელია არსებობდეს ენის აღწერის რამდენიმე მოდელი. რომლებიც მეტ-ნაკლებად ან თანაბრად აკმაყოფილებენ მეცნიერული აღწერის მოთხოვნილებებს. ამასთან დაკავშირებით ფასეულია ავტორის ცდა განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომელთაც მეცნიერული აღწერა უნდა აკმაყოფილებდეს. ჰოკეტი ამით ახორციელებს მის მიერვე წამოყენებულ პრინციპს, რომ აღწერა მკვლევრის სუბიექტურ მისწრაფებებს კი არ უნდა ექვემდებარებოდეს, არამედ ენის ობიექტურ სტრუქტურას უნდა ასახავდეს. აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში, როდესაც ლაპარაკია სხვადასხვაგვარი აღწერის შესაძლებლობაზე, ჩვეულებრივ არ არის წარმოდგენილი ის მოთხოვნილებები, რომელთაც უეჭველად უნდა აკმაყოფილებდეს მეცნიერული აღწერა. ეს ქმნის ნებისმიერობის შთაბეჭდილებას, თითქოს არ არსებობდეს კრიტერიუმი მეცნიერული და არამეცნიერული აღწერის გასარჩევად. ასეთი რამ ჰოკეტთან გამორიცხულია.

საყურადღებოა ჰოკეტის მოთხოვნა, რომ აღწერის მოდელი, რომელიც აღწერისათვის საჭირო პრინციპებს, ინვენტარსა და პროცედურებს გვაწვდის, უნდა იყოს ზოგადი, ე. ი. მან უნდა მოგვცეს ნებისმიერი ენის აღწერის შესაძლებლობა, მაგრამ როდესაც საქმე ეხება რომელიმე ცალკეულ ენას, აქ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვლინდეს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და არაფერი მიეწეროს მას ისეთი, რაც უცხოა მისი სტრუქტურისათვის.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ სამართლიანად გვეჩვენება ჰოკეტის საყვედური ტრადიციული გრამატიკის მიმართ, რომ ის არ იყო საკმარისად ზოგადი. აქ ის იგულისხმება, რომ ტრადიციული გრამატიკა მხოლოდ გარკვეული ტიპის მცირერიცხოვან ენებს ითვალისწინებდა და მას არ ჰქონდა საშუალება გამოეყვანიებინა სხვა ტიპის ენათა თავისებურებანი. ეს საყვედური არ გამორიცხავს მის მეორე ნაკლს,

⁶⁶ Ch. F. Hockett, Linguistic Elements and their Relations, გვ. 52.

⁶⁷ Ch. F. Hockett, The State of the Art, 1968.

რომელსაც ხშირად აღნიშნავენ. სახელდობრ, რომ ტრადიციული გრამატიკა უნივერსალური იყო. ეს უნივერსალიზმი მდგომარეობდა მცირერიცხოვან ენათა საფუძველზე გამომუშავებული გრამატიკული სქემის გადატანაში სხვა ტიპის ენებზე. რაც, რა თქმა უნდა, ვერ მოგვცემდა დადებით შედეგებს.

ჰოკეტი ბევრად მეტ შემწყნარებლობას იჩენს ტრადიციული გრამატიკის მიმართ, ვიდრე ეს მიღებულია დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. დასაძინია, რომ მან ვერ შეძლო ტრადიციული გრამატიკის მოდელის ფორმალიზება. საინტერესო იქნებოდა მისი შედარება დანარჩენ ორ მოდელთან, განსაკუთრებით კი ეპ-სთან. ჩვენ გვეჩვენება. რომ ამ უკანასკნელთან მას ბევრი რამ აღმოაჩნდებოდა საერთო.

ეგ-ისა და ეპ-ის შედარებაც გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა მოდელები მთლიანად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ისინი გარკვეულ ნაწილებში ემთხვევიან კიდევაც ერთმანეთს, რაც სათანადო დასკვნების გაკეთებას მოითხოვს.

საყურადღებო ფაქტია ჰოკეტის მიერ ეპ-ის ფორმალიზება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰოკეტი ერთ-ერთი მათგანია, ვინც ადრე მკაცრად ილაშქრებდა ენის აღწერისას 'პროცესის' გამოყენების წინააღმდეგ⁶⁸. მოგვიანებით კი ის ეპ-ს არა მხოლოდ გვერდით უყენებს ეგ-ს. არამედ გარკვეულ უპირატესობასაც კი ანიჭებს მას იმ მხრივ. რომ ეპ დინამიკურია, ეგ კი — სტატიკური.

მათვარი საბუთი ეპ-ის წინააღმდეგ ის იყო, რომ პროცესის ცნება ისტორიული ენათმეცნიერებიდან გადმოტანილად და დესკრიფციული თვალსაზრისისათვის უცხოდ მიაჩნდათ. მაგრამ ტერმინების შეცვლით საქმის ვითარება არ შეიცვლება. ფაქტია, რომ ენობრივი ურთიერთობა მართლაც პროცესს წარმოადგენს. ენობრივ აქტებში ერთეულები მზამზარეულად კი არ არის განლაგებული ერთმანეთის მიმართ. არამედ მოლაპარაკე მათ წარმოშობს გარკვეული კანონზომიერებით, თანმიმდევრულად. ასევე ერთიმეორის მიყოლებით ხდება მათი აღქმაც მსმენელის მიერ. მხოლოდ წერილობით ფიქსირებულ გამოთქმებშია ერთეულები ერთდროულად განლაგებული ერთმანეთის მიმართ. მაგრამ ეს მეორეული მოვლენაა, უკვე წარმოქმნილი გამოთქმის ანაბეჭდია. ამგვარად, ენის ფუნქციონირების ვითარებას უფრო ზუსტად სწორედ ეპ ასახავს, ეგ კი წარმოქმნილი და ფიქსირებული ენობრივი გამოთქმების ანალიზს შეესაბამება. ამასთან ეგ-შიაც არ

⁶⁸ იხ. მ. ს. რეკენზია ი. ნაიდას „მორფოლოგიის“ შესახებ. «Language», 1947, ტ. 23, № 3, გვ. 281—283.

ხერხდება ბოლომდე თანმიმდევრულად პროცესის, ე. ი. დროში თანმიმდევრობის გამორიცხვა, რასაც დესკრიპტივისტებიც აღიარებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჰოკეტმა წარმოადგინა ეპ-ის ფორმალზებული ვარიანტი და იგი ეგ-ის ტოლფასოვნად მიიჩნია, თავის „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ იგი ეპ-ის მოდელით კი არ სარგებლობს, არამედ ისევ ეგ-ს იყენებს.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ ჰოკეტი გრამატიკას წარმოშობის ფუნქციასაც აკისრებს (გრამატიკამ უნდა წარმოშვას ენის გამოთქმები, რომლებიც მისაღები იქნება ამ ენაზე მკვიდრი მოლაპარაკისათვის). ჩვეულებრივ, ეს პრინციპი მიეწერება ტრანსფორმაციულ გრამატიკას, რომელიც ანალიზური დესკრიფციული გრამატიკის საპირისპიროდ სინთეზურია. როგორც ჩანს, წარმოშობის მოთხოვნილება დესკრიფციულ გრამატიკაში ჩაისახა. ეს კარგად ეგუება როგორც დესკრიპტივისტებისათვის დამახასიათებელ პრაქტიციზმს, ისე წინასწარმეტყველების მოთხოვნილებას, რომელსაც ისინი ენის აღწერას უყენებენ. მეტიც შეიძლება ითქვას: გრამატიკის წარმომშობი ფუნქცია ძველისძველ ტექნიკურ გრამატიკებშიაც არ ყოფილა უგულებელყოფილი. იგი ასახულია თუნდაც გრამატიკის ტრადიციულ განსაზღვრებაში: გრამატიკა გვასწავლის სწორად წერასა და სწორად ლაპარაკს. ეს ხომ იმის თქმას ნიშნავს, გრამატიკა ამ ენის სწორ წინადადებებს წარმოგვათქმევინებსო. სხვა საკითხია, თუ რა დონეზე იღვა სხვადასხვა ეპოქაში იმ კანონზომიერებათა შესწავლა, რომელთა გათვალისწინებაც სწორი გამოთქმების წარმოქმნას უზრუნველყოფდა.

3. ენის სტრუქტურა და მოდელი (resp. სისტემა). ძებუვლება და ენა. ფორმა და სუბსტანცია

3.1. სტრუქტურა და მოდელი (resp. სისტემა). ბოლო ხანებში ზოგი ენათმეცნიერი ცდილობს განასხვაოს ერთმანეთისაგან სტრუქტურისა და სისტემის ცნებები. ასეთი ცდა ჰოკეტის შრომებშიაც გვხვდება. ჰოკეტი აიგივებს მოდელსა (pattern) და სისტემას და უპირისპირებს მათ სტრუქტურას. ეს საკითხი ავტორს ვრცლად განხილული აქვს „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ — 1954 წ. აქ იგი საგანგებოდ ეხება ენის ფონოლოგიურ სტრუქტურას და ფონოლოგიურ მოდელს ანუ სისტემას, მაგრამ ექვს არ იწვევს ის, რომ მსჯელობა მთლიანად ენაზედაც ვრცელდება.

ნებისმიერ გამოთქმას მოცემულ ენაში აქვს ფონოლოგიური სტრუქტურა, — წერს ჰოკეტი⁶⁹. ფონოლოგიური სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება ის, რომ გამოთქმა შედგება უშ-ებისაგან მოცემული განლაგებით, ეს უშ-ები თავიანთი მხრივ შედგებიან უფრო მცირე უშ-ებისაგან მოცემული განლაგებით და ა. შ. მანამ, სანამ არ მივაღწევთ საბოლოო ფონოლოგიურ შემადგენლებს. ნებისმიერი გამოთქმა ან გამოთქმის უშ ან უშ-ის უშ და ა. შ. არის ფონოლოგიური ელემენტი. ნებისმიერ ფონოლოგიურ ელემენტს ან აქვს ფონოლოგიური სტრუქტურა (მისი საკუთარი უშ-ების ტერმინებით), ან იგი არის საბოლოო შემადგენელი⁷⁰.

ენის ფონოლოგიური მოდელი (ანუ სისტემა), ავტორის სიტყვით, შედგება საბოლოო ფონოლოგიური შემადგენლების ერთობლიობისაგან და იერარქიულ განლაგებათა მწკრივისაგან, რომელ განლაგებაშიაც ეს შემადგენლები იმყოფებიან ამა თუ იმ გამოთქმაში. მოცემულ ფონოლოგიურ ელემენტს (თუ ის საბოლოო არაა) აქვს სტრუქტურა. ის შეესაბამება მოდელს⁷¹.

სხვაგვარად: სტრუქტურა არის სპეციფიკური ისტორიული მოვლენის ნაწილთა სივრცით-დროითი განლაგება. მოდელი არის ის, რასაც სტრუქტურა მეტად ან ნაკლებ შეესაბამება. რომ ნათქვამი გასაგები იყოს, ავტორი ანალოგიას ავლებს ტანსაცმელთან. ტანსაცმელს აქვს სტრუქტურა — ქსოვილის სხვადასხვა ნაწილები. შეკავშირებული გარკვეული გზით. „ტანსაცმლის მოდელი“ წარმოადგენს ქაღალდის ნაწილების მწკრივს მსგავსი სტრუქტურით. ჩენი გაგებით, ქაღალდის სტრუქტურა და ტანსაცმლის სტრუქტურა ერთ მოდელს შეესაბამებო, — ასკვნის ჰოკეტი⁷².

განსხვავებას სისტემასა და სტრუქტურას შორის ჰოკეტი იმაშიაც ხედავს, რომ სტრუქტურას პირდაპირი დაკვირვება უხერხდება, მოდელი კი შეიძლება მხოლოდ გამოყვანილ იქნეს რეალური გამოთქმების სტრუქტურათა შედარების გზით⁷³.

ფონოლოგიური მოდელი მიიღება იმ არტიკულატორული და ნაწილობრივ აკუსტიკური ჩარჩოსაგან აბსტრაქციის გზით, რომელშიაც დაკვირვების შედეგად შესწავლილი მოვლენები გვხვდებოდნენ⁷⁴.

⁶⁹ Ch. F. Hockett, A Manual of Phonology, გვ. 175.

⁷⁰ იქვე, გვ. 175—176.

⁷¹ იქვე, გვ. 175.

⁷² იქვე, გვ. 176.

⁷³ იქვე.

⁷⁴ იქვე.

ამგვარად, ენის ფონოლოგიური მოდელი (სპეციფიკური ელემენტების ფონოლოგიური სტრუქტურის საპირისპიროდ) არის აბსტრაქტული სისტემა. მთავარი საფუძველი არტიკულატორული საშუალებებისგან აბსტრაქციისათვის, ავტორის აზრით, ისაა, რომ ფონოლოგიური მოდელის აღწერა სხვა გზით არ შეიძლება⁷⁵.

სტრუქტურისა და მოდელის დაპირისპირება, თუმცა არა ასე მკაფიოდ, მაგრამ მაინც მოცემულია „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსშია“⁷⁶. ავტორის სიტყვით, გამოთქმას აქვს ფონემური სტრუქტურა და გრამატიკული სტრუქტურა. მისი ფონემური სტრუქტურა რამდენადმე ასახავს ენის ფონემურ მოდელს ანუ სისტემას. მისი გრამატიკული სტრუქტურა რამდენადმე ასახავს ენის გრამატიკულ მოდელს ანუ სისტემას⁷⁶.

3.2. ფორმა და სუბსტანცია. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ, ჰოკეტის მიხედვით, ფონოლოგიური მოდელი ანუ სისტემა მიიღება არტიკულატორულ და აკუსტიკურ საშუალებათაგან აბსტრაქციის გზით. ეს უკანასკნელები წარმოადგენენ სუბსტანციას, რომელშიაც ხდება მოდელის მანიფესტაცია. ეს აზრი ჰოკეტს არა ერთგზის აქვს გამოთქმული.

მაგ., იგი წერს: იმისათვის, რომ მოვახდინოთ ფონოლოგიურა მოდელის აბსტრაქცია „ფონიკური სუბსტანციისაგან“, რომელშიაც ის მანიფესტირებულია მეტყველებაში, ჩვენ ვადგენთ აბსტრაქტულ ელემენტთა გარკვეულ რაოდენობას⁷⁷.

სხვაგან ნათქვამია, რომ ფონოლოგიური მოდელი მანიფესტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ „ფონიკურ სუბსტანციაში“, არამედ აგრეთვე „გრაფიკულ სუბსტანციაში“⁷⁸.

ამგვარად, ენობრივი მოდელი, როგორც აბსტრაქცია, დაუპირისპირდა მის მანიფესტაციას ბგერით სუბსტანციაში. აქ ჰოკეტი მიადგა ფორმისა და სუბსტანციის ურთიერთობის საკითხს, რომელიც ევროპის სტრუქტურალიზმისათვის მეტად აქტუალურია და სოსიურის კონცეფციიდან მომდინარეობს. ჰოკეტის 'მოდელი' შესაბამისი იქნება სოსიურის 'წმინდა ფორმისა', 'მიმართებათა' სისტემისა. რომ ეს ასეა,

⁷⁵ Ch. F. Hockett, A Manual of Phonology, გვ. 179.

⁷⁶ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 142.

⁷⁷ იქვე, გვ. 177.

⁷⁸ იქვე, გვ. 178. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ფონოლოგიური მოდელის მანიფესტაცია ხდება არა მხოლოდ არტიკულატორული მოძრაობებით, არამედ აგრეთვე მათი საშუალებით წარმოქმნილი ბგერითი ტალღების მახასიათებლებით სმენაში და მსმენელის ნერვული სისტემის ასოციაციურ ტრაქტში და მოლაპარაკის ნერვულ სისტემაში. იქვე, გვ. 179.

კარგად ჩანს ჰოკეტის მიერ ანალოგიისათვის მოყვანილი მაგალითი-
დან. ჰოკეტი ენის მოდელს ადარებს მორზეს კოდს, რომლის „წერ-
ტილები“, „ხაზები“ და „სიჩუმეები“ ტელეგრაფში სხვადასხვა საშუ-
ალებებით შეიძლება გადმოიცენ (სხვადასხვა ძაბვის იმპულსებით,
დროშების სხვადასხვა მიმართულებით დაქნევით...). მიუხედავად ამ
საშუალებებისა, კოდი ერთი და იგივე რჩება. აბსტრაქტული წერტი-
ლი მორზეს კოდში შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ როგორც ერ-
თეული. რომელიც კონტრასტულია ხაზისა ან სიჩუმისაო, — წერს
ჰოკეტი. მისი სიტყვით, მორზეს კოდის სიმბოლოს ერთეული ან სა-
ბოლოო ფონოლოგიური შემადგენელი თავისთავად არაფერია: იგი
შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ, როგორც რაღაც განსხვავებული
სხვადასხვა ერთეულებისაგან, რომლებთანაც ის კონტრასტულია ან
სხვა რაიმე მიმართებაშია⁷⁹.

როგორც სოსიურთან, ისე ევროპის სტრუქტურალისტურ სკო-
ლებში ენის სისტემაზე ყურადღების გამახვილებამ გამოიწვია სუბ-
სტანციის მნიშვნელობის მეტ-ნაკლები დაჩრდილვა სრულ უარყო-
ფამდე (გლოსემატიკაში). ამერიკის დესკრიფციულ ლინგვისტიკას,
რომელიც ბლუმფილდის ფიზიკალისტურ თეორიას ემყარება, სუბს-
ტანციის როლის დამცირება საერთოდ არ ახასიათებს. ამ მხრივ არც
ჰოკეტი განსხვავდება სხვა დესკრიპტივისტებისაგან. იგი არაერთგზის
გახაზავს. რომ ენის მოდელის დადგენა მეტყველების აქტებზე დაკ-
ვირვების გზით ხდება. ამ გზას მისდევს როგორც მკვლევარი, ისე
ენის შემსწავლელი ბავშვი⁸⁰.

რომ არავითარი ეჭვი არ დარჩეს, ავტორი პირდაპირ წერს: სისუ-
ლელეა ვიფიქროთ, რომ რადგან ჩვენ აბსტრაქცია უნდა მოვახდინოთ
ფონოლოგიური სისტემისა იმ არტიკულატორულ-აკუსტიკური სუბ-
სტანციისაგან. რომელშიც ის მანიფესტირებულია, ამიტომ პირველი
არის ჩვენი ინტერესის ერთადერთი ობიექტი, ხოლო უკანასკნელი კი
ჩვენ ღირსებას არ ეკადრება. მკვლევარი არ არის ერთადერთი პირი,
რომელმაც ყოველ შემთხვევაში უნდა დაიწყოს აშკარად დაკვირვება-
დი სამეტყველო სიგნალით და არტიკულაციის მოძრაობებით. ბავშვსაც
იგივე ამოსავალი პუნქტი აქვს ენის შესწავლისას. ასევე მოზრდილსაც
ახალი ენის შესწავლისას. აბსტრაქტული ფონოლოგიური სისტემების
არავითარი შედარება არ გვეტყვის რაიმეს მოვლენათა შესაძლებელ
მსვლელობაზე, როდესაც A ენაზე მოლაპარაკე მიმართავს B ენას. ამი-

⁷⁹ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 179.

⁸⁰ Ch. F. Hockett, A Manual of Phonology, გვ. 176: A Course in Modern
Linguistics, გვ. 137.

სათვის ჩვენ უნდა ვაწარმოოთ თითოეული ენის ფიზიკურ მანიფესტაციათა დაკვირვებითი შედარება⁸¹.

სრულიად აშკარაა, რომ ჰოკეტი ენობრივ სუბსტანციათა შესწავლას არანაკლებ მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს, ვიდრე ენობრივი სისტემის შესწავლას.

8.3 ენა და მეტყველება. სისტემისა და სტრუქტურის ჰოკეტისეულ დაპირისპირებას არა მხოლოდ ფორმისა და სუბსტანციის საკითხამდე მივყავართ, არამედ იგი ენისა და მეტყველების სოსიურისეულ დაპირისპირებასაც ეხმაურება. ამას თვით ჰოკეტიც გახაზავს.

მისი განმარტებით, მოდელი არის ენა (langue), სტრუქტურა — მეტყველება (parole)⁸².

ენისა და მეტყველების დაპირისპირება არ არის აღიარებული დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. ჩვენი აზრით, არც ჰოკეტის კონცეფციის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ეს დაპირისპირება. ჩვენ აქ საქმე გვაქვს ევროპის სტრუქტურალისტური ტერმინოლოგიის ერთგვარ გამოძახილთან, რომელსაც ღრმა კვალი ვერ დაუჩნევია ჰოკეტის ნააზრევზე. რომ ეს ასეა, ეს კარგად ჩანს იმ კონტექსტიდან, რომელშიაც ზემომოყვანილი ადგილია „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“. ავტორი წერს:

მოდელი არის ჩვევა (habit), სტრუქტურა — ქცევა (behavior). მოდელი არის ენა (langue), სტრუქტურა — მეტყველება (parole), მოდელი არის კულტურა, სტრუქტურა — კულტურის ქცევითი მანიფესტაცია. ეს თანმიმდევრული დებულებები დაახლოებით სინონიმურია და მკითხველს შეუძლია აირჩიოს თავისთვის ის ტერმინი, რომელიც მისი თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია⁸³.

კიდევ უფრო გარკვევით არის თქმული სხვა ნაშრომში: ფლოიდ ლოუნსბერიმ მიმითითა (პირად საუბარში), რომ ჩვენ შეგვიძლია ნაყოფიერად ვილაპარაკოთ სიტყვის ან გამოთქმის „სტრუქტურაზე“, მაგრამ ენის „მოდელზე“. ამ მითითებას ჩვენ აქ ვიზიარებთ (ეს კონტრასტი, რასაკვირველია, პარალელურია იმისა, რასაც აღნიშნავენ ტერმინებით — ენა და მეტყველება)⁸⁴.

⁸¹ Ch. F. Hockett, A Manual of Phonology, გვ. 180.

⁸² იქვე, გვ. 176.

⁸³ იქვე.

⁸⁴ Ch. F. Hockett, Two Models of Grammatical Description, გვ. 212, 255.

3. აქ, სხვათა შორის, ისიც ირკვევა, რომ სტრუქტურისა და მოდელის დაპირისპირებამ ჰოკეტისათვის ლოუნსბერის შთაუგონებია.

ამ გამონათქვამებიდან აშკარაა, რომ ენისა და მეტყველების გარეჯვა არ წარმოადგენს ჰოკეტის ლინგვისტური ინვენტარის აუცილებელ ნაწილს. ავტორი მხოლოდ მიუთითებს იმაზე, თუ რა შეესაბამება მოდელსა და სტრუქტურას ენათმეცნიერების სხვა სკოლებში.

რამდენად საფუძვლიანია სისტემისა და სტრუქტურის ჰოკეტისეული გაგების გატოლება ენისა და მეტყველების ანტინომიასთან? პირველი შეხედვით, ანალოგია თითქოს ექვს არ იწვევს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის არ არის სრული. ჰოკეტის სისტემა ანუ მოდელი მართლაც შეიძლება გაუეტოლოთ სოსიურისა და მის მიმდევართა ენას, მაგრამ სტრუქტურა არ ემთხვევა მეტყველებას. სტრუქტურა გამოთქმის აგებულებას, გამოთქმის შემადგენელთა ურთიერთმიმართებას გულისხმობს და არ მოიცავს გამოთქმის სუბსტანციას (შდრ. ჰოკეტის სიტყვები: გამოთქმას აქვს სტრუქტურა), მაშინ როდესაც ევროპის სტრუქტურალიზმთან მეტყველება წარმოადგენს ენის მანიფესტაციას და ის განუყრელია სუბსტანციისაგან.

მეტყველების შესატყვისი ჰოკეტთან უნდა იყოს გამოთქმა (utterance), რომელსაც ჭერ კიდევ ბლუმფილდი განსაზღვრავდა, როგორც მეტყველების აქტს⁸⁵.

ძნელია იმის თქმა, იგრძნო თუ არა ჰოკეტმა შეუსაბამობა სტრუქტურასა და მეტყველებას შორის, მაგრამ ის კი სიმპტომატურია, რომ თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ იგი სწორედ გამოთქმას უტოლებს მეტყველებას (act of speech, speaking) და უპირისპირებს რა ენას, გამოთქმაზე გადააქვს ის, რასაც, ადრე სტრუქტურას მიაწერდა.

აქ ენა განსაზღვრულია, როგორც ჩვევათა მწყრივი. მეტყველების აქტი ანუ გამოთქმა კი არის არა ჩვევა, არამედ ისტორიული მოვლენა, თუმცა ის ნაწილობრივ ეთანხმება, ასახავს ამ ჩვევებს და კონტროლდება მათ მიერ. მეტყველების აქტები სხვა ისტორიულ მოვლენათა მსგავსად, შესაძლებელია, პირდაპირ იქნენ დაკვირვების საგანი. ჩვევების პირდაპირ დაკვირვება კი არ შეიძლება, ისინი გამოყვანილი უნდა იქნენ დაკვირვებადი მოვლენებისაგან⁸⁶.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჰოკეტი დადგა სოსიურიანელთა თვალსაზრისზე? ვფიქრობთ, რომ არა. ენისა და მეტყველების დაპირისპირება სოსიურიანელებთან მოასწავებს ორი ერთმანეთისაგან დამოუ-

⁸⁵ Л. Блумфилд, Ряд постулатов для науки о языке, в. Зевеинцевის წიგნში «История языкознания XIX и XX веков в очерках и извлечениях», ч. II, გვ. 145.

⁸⁶ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 141.

კიდებული კვლევის ობიექტისა და შესაბამისად ორი მეცნიერების (ენის ლინგვისტიკისა და მეტყველების ლინგვისტიკის) აღიარებას. ეს შეხედულება არ არის გაზიარებული დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში და მას არც ჰოკეტი უჭერს მხარს. ენათმეცნიერების ობიექტი მისთვის ერთ მთლიან წარმოადგენს. ამ მთლიან ობიექტს აქვს სხვადასხვა მხარეები (სისტემა და მისი მანიფესტაცია სუბსტანციაში), რომელთა გათიშვა მხოლოდ მეცნიერული აბსტრაქციის გზით ხერხდება. თუ სოსიურისათვის და მისი მიმდევრებისათვის სუბსტანციისაგან მოწყვეტილი ენა არის კვლევის ძირითადი (გლოსემატიკაში კი ერთადერთი) ობიექტი, ჰოკეტი, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, არანაყოლები გულისყურით ეკიდება ენობრივი სუბსტანციების შესწავლას. მისი აზრით, მხოლოდ ორივე მხარის გათვალისწინება გვაძლევს ენის სრულ აღწერას.

ბოლოს, ენისა და მეტყველების სოსიურისეული დაპირისპირება დამახასიათებელი რომ იყოს ჰოკეტის კონცეფციისათვის, მაშინ მას მრავალგზის უნდა ეჩინა თავი მის შრომებში. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. სპეციალურ საკითხებზე მსჯელობისას ჰოკეტი არ მიმართავს და არ ითვალისწინებს ენისა და მეტყველების ანტინომიას.

4. მის აზრზე და დესკრიფციული ენათმეცნიერების სტრუქტურა

4.1. დესკრიფციული ენათმეცნიერების სქემა. მთლიანად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ენის აგებულებისა და მის შესაბამისად დესკრიფციული ენათმეცნიერების დარგების შესახებ ჰოკეტს მოკლედ მოცემული აქვს „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ 1954 წ.⁸⁷, ხოლო უფრო სრულად — „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ 1958 წ. ვინაიდან ამ ორ შრომას შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება. ჩვენ მეორე მათგანის მიხედვით გადმოვცემთ ჰოკეტის შეხედულებებს.

ჰოკეტი განსაზღვრავს ენას. როგორც ჩვევთა რთულ სისტემას⁸⁸. მთელი სისტემა შეიძლება დაიყოს ხუთ ძირითად ქვესისტემად, რომელთაგან სამი ცენტრალურია და ორი — პერიფერიული.

ცენტრალური ქვესისტემებია:

1. გრამატიკული სისტემა: მორფემათა ერთობლიობა და განლაგებები, რომლებშიაც ისინი იმყოფებიან.

⁸⁷ Ch. F. Hockett, A Manual of Phonology, გვ. 14.

⁸⁸ საერთოდ, ჰოკეტის ცალკეულ გამონათქვამებში აშკარად იგრძნობა ბიპევიორისტული კონცეფციის გავლენა, მაგრამ მთლიანად თავის თვალსაზრისს ენის რაობის შესახებ ჰოკეტი არ გადმოგვეცხს, ამიტომ ამ საკითხზე არ ვჩერდებით.

2. ფონოლოგიური სისტემა: ფონემათა ერთობლიობა და განლაგებები, რომლებშიაც ისინი იმყოფებიან.

3. მორფოფონემური სისტემა: კოდი, რომელიც აკავშირებს გრამატიკულ და ფონოლოგიურ სისტემებს⁸⁹.

ავტორის განმარტებით, ამ სისტემებს ცენტრალური ეწოდება იმის გამო, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო პირდაპირ არასამეტყველო სამყაროსთან, რომელშიც ლაპარაკი მიმდინარეობს. მართალია, მკვლევარს ან ენის შემსწავლელ ბავშვს შეუძლია გამოიყვანოს ან ისწავლოს ცენტრალური ქვესისტემის დეტალები მხოლოდ როგორც თვითონ მეტყველებაზე, ისე იმ კონტექსტებზე დაკვირვებით, რომლებშიც ისინი გვხვდებიან, მაგრამ ის, რაც მას გამოჰყავს, ან არასაც ის სწავლობს ამ დაკვირვებებით, აბსტრაქტიზებულია მეტყველებიდან და სიტუაციებიდან და დადგენილია, როგორც მოდელთა მწკრივი ბავშვის გონებაში, მკვლევრის გონებაში ან წიგნაკებში⁹⁰.

პერიფერიული ქვესისტემებია:

(4) სემანტიკური სისტემა, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა მორფემებს, მორფემათა კომბინაციებს და განლაგებებს, რომლებშიაც მორფემები შეიძლება იყვნენ, საგნებთან და სიტუაციებთან ან საგნებისა და სიტუაციების სახეობებთან.

(5) ფონეტიკური სისტემა. ესაა გზები, რომლებითაც ფონემათა თანმიმდევრობანი გარდაიქმნებიან ბგერით ტალღებად მოლაპარაკის არტიკულაციის მიერ⁹¹.

ავტორის განმარტებით, პერიფერიული ქვესისტემები ცენტრალურისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ურთიერთობაში არიან როგორც არასამეტყველო სამყაროსთან, ისე ცენტრალურ ქვესისტემებთან. სემანტიკური სისტემა ურთიერთობაშია, ერთი მხრივ, უშუალოდ დაკვირვებად ფიზიკურ და სოციალურ სამყაროსთან, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ, ხოლო, მეორე მხრივ, ენის გარკვეულ სისტემასთან. ფონეტიკური სისტემა ურთიერთობაშია, ერთი მხრივ, სამეტყველო სიგნალის ფიზიკურად გაანალიზებად ტალღებთან, მაგრამ აგრეთვე ენის ფონემურ სისტემასთან⁹².

პოკეტი ერთმანეთისაგან განასხვავებს ენას, როგორც ჩვევას და გამოთქმას ანუ მეტყველების აქტს, როგორც ისტორიულ მოვლენას⁹³.

⁸⁹ Ch. F. H o c k e t t, A Course in Modern Linguistics, გვ. 137.

⁹⁰ ი ქ ვ ე.

⁹¹ ი ქ ვ ე, გვ. 138.

⁹² ი ქ ვ ე.

⁹³ ი ქ ვ ე, გვ. 141.

გამოთქმას, გვეუბნება ჰოკეტი, აქვს ფონემური სტრუქტურა და გრამატიკული სტრუქტურა. მისი ფონემური სტრუქტურა ასახავს ენის რომელიმე ფონემურ მოდელს ანუ სისტემას. მისი გრამატიკული სტრუქტურა ასახავს ენის რომელიმე გრამატიკულ მოდელს ანუ სისტემას. მიმართება მისი ფონემური სტრუქტურისა მის გრამატიკულ სტრუქტურასთან ასახავს ენის რომელიმე მორფოფონემურ მოდელს. იქვე ავტორი შენიშნავს, რომ მეტყველების აქტს არა აქვს „მორფოფონემური სტრუქტურა“. მორფოფონემიკა მთლიანად ჩვევების სფეროში რჩება და მანიფესტირებულია ისტორიულ მოვლენებში არა სტრუქტურის სხვა სახესხვაობით, არამედ უკვე აღნიშნული სტრუქტურის ორი სახესხვაობის ურთიერთმიმართებით. ასევე გამოთქმას არა აქვს არც „სემანტიკური სტრუქტურა“, არც „ფონეტიკური სტრუქტურა“. სემანტიკა და ფონეტიკა ჩვევათა სფეროში რჩებიან: ისინი გამოვლინდებიან ისტორიულ მოვლენებში არა სტრუქტურის შემდგომი ორი სახესხვაობით, არამედ ერთ შემთხვევაში გამოთქმის გრამატიკული სტრუქტურის მიმართებით კონტექსტთან, რომელშიც გამოთქმა გვხვდება, მეორე შემთხვევაში კი გამოთქმის ფონემური სტრუქტურის მიმართებით არტიკულატორულ მოძრაობებთან და ხმის ტალღებთან, რომლებიც მეტყველების დროს გვაქვს⁹⁴.

4.2. ფონეტიკა და სემანტიკა დესკრიფციული ენათმეცნიერების დარგებია. როგორც დავრწმუნდით, ჰოკეტს ფონეტიკა და სემანტიკა დესკრიფციული ენათმეცნიერების დარგებად მიაჩნია. ამით ის განსხვავდება ბევრი სხვა დესკრიპტივისტისაგან, რომელთაც არც ერთი ეს დარგი არ შეაქვთ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. ჰოკეტი საგანგებოდ ჩერდება საკითხზე, რომ ენათმეცნიერების ყურადღება ყოველთვის კონცენტრირებული იყო ცენტრალურ ქვესისტემებზე, პერიფერიულ ქვესისტემებს კი ნაკლებ ეხებოდნენ. ზოგი მკვლევარი მართლაც ამჯობინებდა იმგვარად განესაზღვრა „ენა“, რომ მასში მხოლოდ ცენტრალური ქვესისტემები შეეტანა. ასეთი მკვლევარები მნიშვნელობისა და არტიკულატორულ-აკუსტიკური ფონეტიკის პრობლემებს ენათმეცნიერებას კი არ მიაკუთვნებდნენ, არამედ მოსაზღვრე მეცნიერებებს. თვითონ ჰოკეტს მიაჩნია, რომ პერიფერიული სისტემები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ცენტრალური ქვესისტემები. ამასთან მათი კვლევა უფრო ძნელია და ამდენად ისინი ნაკლებადაა შესწავლილი⁹⁵.

⁹⁴ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 142.

⁹⁵ იქვე, გვ. 138.

ავტორი არც იმ ფაქტს ტოვებს უყურადღებოდ, რომ მკვლევარს შეუძლია შეაღწიოს ცენტრალურ ქვესისტემებში მხოლოდ ბგერებისა და მნიშვნელობათა გათვალისწინების გზით. ჩვენ იძულებული ვართ გამოვიყენოთ ფონეტიკური კრიტერიუმები ფონემური ანალიზის დროს, რადგან უნდა აღმოვაჩინოთ, „ერთნაირად ჟღერს“ თუ „განსხვავებულად ჟღერს“ მოლაპარაკესთან ორი გამოთქმა ან გამოთქმის ნაწილები. ასევე ჩვენ იძულებული ვართ გამოვიყენოთ სემანტიკური კრიტერიუმები გრამატიკული სისტემის შესწავლისას, რადგან უნდა აღმოვაჩინოთ, ორი გამოთქმა ან გამოთქმის ნაწილები, რომლებიც ერთნაირია ფონემური ფორმებით, „ერთსა და იმავეს ნიშნავს“ თუ „მათ აქვთ განსხვავებული მნიშვნელობები“ მკვიდრი მოლაპარაკისათვის. მაგრამ, გვაფრთხილებს ავტორი, ერთია ფონეტიკისა და სემანტიკის ევრისტიკული გამოყენება ცენტრალური ქვესისტემების შესასწავლად და სულ სხვაა თავისთავად პერიფერიული ქვესისტემების კვლევა. ამასთან ფონეტიკური და სემანტიკური კრიტერიუმების გამოყენების დროს ცენტრალური ქვესისტემების აღწერისას ადვილად შეიძლება დავუშვათ შეცდომა⁹⁶. ასეთი შეცდომისაგან ენის არც ერთი აღწერა არ არის თავისუფალი, — გვაუწყებს ჰოკეტი⁹⁷.

მისი აზრით, ფონეტიკური ან სემანტიკური ქვესისტემების აღწერას უნდა უსწრებდეს ცენტრალური ქვესისტემების აღწერა. ფუჭია ცდა გავაანალიზოთ ფონეტიკური სისტემა არტიკულაციის ან აკუსტიკური ტერმინებით ისე, რომ არ ვიცნობდეთ იმ ფონემურ სისტემას, რომელთანაც ის არის დაკავშირებული. ასევე ფუჭია ცდა გავაანალიზოთ სემანტიკური სისტემა მასთან დაკავშირებული გრამატიკული სისტემის გაგების გარეშე. აკუსტიკოსებმა ცადეს ზოგჯერ პირველი და დაამთავრეს იმით, რომ ფონემური სისტემის ზუსტი და დეტალური გაგების ნაცვლად იყენებდნენ არაზუსტ, არასისტემატიზებულ გაგებას. ანთროპოლოგები და ფილოსოფოსები ცდილობდნენ მეორეს და იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ ფსევდოლინგვისტური „მენტალური“ ერთეულები, როგორცაა „იდებები“ ან „ცნებები“, ნაცვლად იმისა, რომ ცხადად და ემპირიულად აღმოეჩინათ ენის მორფემები და უფრო ფართო გრამატიკული ფორმები⁹⁸.

ამგვარად, ჰოკეტის მიხედვით, ფონეტიკური და სემანტიკური მოვლენები ორი თვალსაზრისით უნდა იქნენ გათვალისწინებულნი ენათმეცნიერებაში: 1. ფონეტიკური და სემანტიკური კრიტერიუმები

⁹⁶ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 138—139. •

⁹⁷ იქვე, გვ. 139.

⁹⁸ იქვე.

გამოიყენება სხვა მოვლენების შესწავლისას. 2. ენის ფონეტიკური და სემანტიკური სისტემები თავისთავადი კვლევის ობიექტებად იქცევა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჰოკეტი დესკრიპტივისტების იმ ფრთას განეკუთვნება, რომლის წარმომადგენლები (პარისი, ბლოკი, ტრეიგერი...) პრინციპულად უარყოფდნენ ენის ანალიზის დროს მნიშვნელობის გათვალისწინებას და სემანტიკის შემოტანას ენათმეცნიერებაში⁹⁹. თუ ჰოკეტი ამჟამად აღიარებს მნიშვნელობის შესწავლის აუცილებლობას დესკრიფციული ენათმეცნიერებისათვის, ეს ამ სკოლის ადრინდელი თვალსაზრისის გადასინჯვას, ახალ პოზიციაზე დადგომას მოასწავებს¹⁰⁰ და მისი მიზეზი საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკაში უნდა ვეძებოთ. სწორედ კვლევა-ძიების პრაქტიკამ ნათელყო, რომ ენის სრული ანალიზი სემანტიკის გათვალისწინების გარეშე 'მე-უძაღუბელია'. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ჰოკეტის კამათი პარისთან.

ჰოკეტი შენიშნავს, რომ იმ ცდებს შორის, რომლებსაც მიმართავენ მორფემათა აღმოჩენისათვის სემანტიკური კრიტერიუმებისაგან თავისუფალი პროცედურის დასადგენად, ყველაზე მნიშვნელოვანია პარისის ცდა¹⁰¹. ეს პროცედურა არაფერს შეიცავს გარდა ენაში ძალიან ფართო გამოთქმათა ნიმუშის ფონემური სტრუქტურისა პლუს გარკვეული სტატისტიკური ან შეპირისპირებითი ოპერაციები¹⁰².

პარისის პროცედურა, ჰოკეტის აზრით, არ აღმოაჩენს მორფემებს. რამდენადაც ჩვენ ვიწყებთ ფონემებით და არ შემოგვაქვს ახალი კრიტერიუმი, ჩვენ სხვას არაფერს ვაგროვებთ, თუ არ უფრო მეტ — ხშირად ძალიან სულელურ—ინფორმაციას ფონოლოგიური ფენის შესახებ. იმისათვის, რომ გადავიდეთ ფონოლოგიური ფენიდან გრამატი-

⁹⁹ ამ მიმდინარეობის მეორე ფრთა—ენ-არბორის სკოლა (ფრიზი, პაიკი, ნაიდა...)—საერთოდ არ უარყოფდა მნიშვნელობის შესწავლის საჭიროებას.

¹⁰⁰ 1948 წ. ჰოკეტი წერდა: ენის სტრუქტურული ანალიზი შეიძლება მეცნიერული იყოს ისე, რომ არ იყოს სემანტიკური. A Note on 'Structure' გვ. 279. ჰოკეტი, სხვებთან ერთად, მონაწილეობას იღებდა ტრეიგერის ნაშრომის „ენათმეცნიერების საგანი“ G. L. Trager, The Field of Linguistics, 1949) განხილვაში და, როგორც ჩანს, იზიარებდა ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილ სქემას, რომლის მიხედვითაც, არც ფონეტიკა და არც სემანტიკა არ შედიან დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში.

¹⁰¹ ჰოკეტი მიუთითებს Z. S. Harris, From Phoneme to Morpheme. «Language», ტ. 31, გვ. 190—222 (1955). ნაშრომში The State of the Art ჰოკეტი აღიარებს, რომ 40-იან წლებში ის თვითონაც იმ მკვლევართა შორის იყო, ვინც ცდილობდა მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე ეწარმოებინა ენის ფორმების გრამატიკული ანალიზი. გვ. 24—25.

¹⁰² Ch. F. Hockett, Linguistic Elements and their Relations, გვ. 45.

კულზე, გამოყენებული უნდა იქნეს სეგმენტაციისა და იდენტიფიკაციის რალატინარი დამატებითი კრიტერიუმი¹⁰³.

ჰოკეტის აზრით, ჰარისის პროცედურას რომ შეეძლოს მორფემების აღმოჩენა სემანტიკის გათვალისწინების გარეშე, მაშინ მისი საშუალებით უნდა ხერხდებოდეს ჯერ კიდევ გაუშიფრავი უძველესი წარწერების გაშიფრა. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. მართალია, შეპირისპირება მეტად მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია გაშიფვრისას, მაგრამ არა საკმარისი. ყოველთვის საჭიროა სემანტიკური ბუნების დამატებითი გასაღები (ბილინგვალური ტექსტი ან სხვა რამ).

დამატებითი კრიტერიუმი, რომელიც სჭირდება ფონოლოგიურ ინფორმაციას გრამატიკული ფენის მისაღწევად, ყოველთვის საფუძველში სემანტიკურია, როგორც არ უნდა იყოს იგი შენიღბული, — შენიშნავს ჰოკეტი¹⁰⁴.

ჰოკეტი განიხილავს ჰარისის ორ არგუმენტს მნიშვნელობის წინააღმდეგ: 1) თითქოს მნიშვნელობისადმი მიმართვა წარმოადგენდეს შემოკლებას იმისათვის, რომ დავემყაროთ დისტრიბუციას შედარებით ფართო გარემოცვების მიმართ და არა მცირე გარემოცვებს, რომლებიც ფონოლოგიური სისტემის განსაზღვრისას გვაქვს. ამის საპირისპიროდ ჰოკეტი აცხადებს, რომ ფართო ლინგვისტური გარემოცვებისადმი მიმართვა წარმოადგენს შემოკლებას დენოტაციებში გარკვევისათვის¹⁰⁵.

2) თითქოს მნიშვნელობისადმი მიმართვა საბოლოოდ დაიყვანებოდეს თარგმანისადმი მიმართვაზე. სიტყვისიტყვიტ რომ გავიგოთ, ეს უაზრობაა, — წერს ჰოკეტი. მე არ ვიცი ინგ. apple უნდა ვთარგმნო ფრანგულად როგორც pomme, თუ როგორც pomme de terre, თუ არ ვიცი სამივე ფორმის მნიშვნელობა. ამგვარად, ეს არგუმენტი დაიყვანება (1)-ზე¹⁰⁶.

სრულიად აშკარაა, რომ საენათმეცნიერო პრაქტიკამ არ გაამართლა დისტრიბუციონალისტ-დესკრიპტივისტების ძირითადი დებულება. რომლის მიხედვითაც მნიშვნელობა არ არის რელევანტური ენათმეცნიერებისათვის. ეს მარცხი იგრძნო ამ სკოლის ზოგმა წარმომადგენელმა, მათ შორის ჰოკეტმაც. მნიშვნელობის როლის აღიარებით იგი ცდილობს გამოასწოროს ის ჩავარდნა, რომელიც ამ საკითხში დასახელებულ სკოლას ჰქონდა.

¹⁰³ Ch. F. Hockett, Linguistic Elements and their Relations, გვ. 46.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 46. 1947 წ. „მორფემული ანალიზის პრობლემებში“ ჰოკეტი იმეორებდა ჰარისს, ეთანხმებოდა მას, რომ მნიშვნელობა შემოკლებაა და აღნიშნავდა, ჩვენს წერილში ის სწორედ ამ გაგებით იხმარება..

¹⁰⁵ იქვე, გვ. 46—47.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 47.

4.3. როგორ არის წარმოდგენილი დესკრიფციული ენათმეცნიერების დარგები ჰოკეტის ნაშრომებში: 4.3.1. ფონეტიკა და სემანტიკა-რაკი ფონეტიკა და სემანტიკა არ მიიჩნეოდა დესკრიფციული ენათმეცნიერების დარგებად, ბუნებრივია, თუ ისინი არ აღმოჩნდებიან სათანადოდ დამუშავებული ამ მიმდინარეობის ფარგლებში. მართლაც, ჰოკეტი შენიშნავს, ფონეტიკური და სემანტიკური ქვესისტემების შესწავლა ამჟამად საწყის ხანაშია, ვინაიდან მხოლოდ ახლახან იქნა აღიარებული ზოგადადაც კი საქმის შედგომისათვის აუცილებელი წინამძღვრები და შესაბამისი თვალსაზრისი. როდესაც მეტი იქნება მიღწეული, მაშინ მეტი შედეგები გვექნება წინამდებარე ხასიათის შრომაში წარმოსადგენად¹⁰⁷.

მიუხედავად ამ განცხადებისა, ჰოკეტის „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“, საიდანაც ეს ამონაწერია მოყვანილი, ფონეტიკის საკითხები საკმაოდ ვრცელადაა განხილული. სემანტიკა კი მასში სრულიად არ არის წარმოდგენილი ცალკე დარგის სახით. ენის აგებულების შესახებ მსჯელობისას ავტორი ეხება სემანტიკის ერთ საკითხს. ესაა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებლად უნდა განვასხვაოთ მორფემათა და გამოთქმათა მნიშვნელობები და მეტყველების სპეციფიკური აქტების ანტიცედეენტები და კონსეკვენტები¹⁰⁸. აქა-იქ, გაკვრით ზოგსხვა ნაშრომშიაც არის ნახსენები სემანტიკის ესა თუ ის საკითხი¹⁰⁹. მაგრამ საგანგებო ძიებას ამ მიმართულებით ჰოკეტი არ აწარმოებს. არც სხვა დესკრიპტივისტების მიერ არის დამუშავებული სემანტიკის საკითხები იმდენად. რომ მათ დაეყრდნოს მკვლევარი. სემანტიკურ ძი-

¹⁰⁷ Ch. F. Hockett, *Linguistic Elements and their Relations*, გვ. 139.

¹⁰⁸ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 139—141. ჰოკეტი მნიშვნელობას შემდეგნაირად განსაზღვრავს: მორფემათა და მორფემების კომბინაციათა მნიშვნელობები წარმოადგენს ასოციაციურ კავშირებს ამ მორფემებსა ან მორფემულ კომბინაციებსა და საგნებსა და სიტუაციებს ან საგანთა და სიტუაციათა ტიპებს შორის ჩვენს გარემო სამყაროში. იქვე, გვ. 139—140.

¹⁰⁹ მაგ., ნაშრომში „ლინგვისტური ელემენტები და მათი მიმართებები“ ჰოკეტი აღნიშნავს, რომ ენისათვის, ისევე როგორც სხვა საკომუნიკაციო სისტემებისათვის, დამახასიათებელია სემანტიკობის თვისება. სემანტიკურ კომუნიკაციურ სისტემაში ცნობები აერთიანებენ ანტიცედეენტებს და კონსეკვენტებს ასოციაციური კავშირების საშუალებით, რომლებიც არსებობს ცნობებსა ან ცნობებში ზოგ ელემენტებსა და საგნებს ან სიტუაციებს ან საგნების ან სიტუაციების სახეობებს შორის სისტემის მომხმარებელთა გარემოცვებში. ცნობები ან ცნობის ელემენტები, რომელთაც ასეთი კავშირები აქვთ, წარმოადგენენ პლერემებს. გარემოცვითი საგნები ან სიტუაციები, ან სიტუაციების საგნები არიან პლერემების დენოტატები (*Linguistic Elements and their Relations*, გვ. 45).

ებებს მხოლოდ ამჟამად ეყრება საფუძველი დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში.

რაც შეეხება ფონეტიკას, მიუხედავად იმისა, რომ ის დესკრიფციული ენათმეცნიერების გარეთ გაქმნდათ, თითქმის ყველა დესკრიპტივისტი მეტ-ნაკლები სისრულით განიხილავდა მას, რადგან ფონოლოგიის საკითხებზე მსჯელობა ფონეტიკის გათვალისწინების გარეშე სრულიად შეუძლებელია. ჰოკეტის ნაშრომებშიც ფონეტიკა მაღალ დონეზეა წარმოდგენილი.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ ფონეტიკა და ფონოლოგია არ არიან მკაფიოდ გამოიხილი ერთმანეთისაგან. იმ ნაწილის საერთო სათაური, სადაც ჩვენთვის საინტერესო საკითხებია განხილული, ასეთია: „სიგნალიზაცია ბგერის საშუალებით: ფონოლოგია“: იგი 13 თავისაგან შედგება. ამათგან თ. 7—9 და თ. 13 ფონეტიკას აქვს დათმობილი, დანარჩენი კი — ფონოლოგიას. ასე რომ ფონეტიკა და ფონოლოგია თითქოს შექრილი არიან ერთმანეთში.

4.3.2. ფონოლოგია. დესკრიფციული ენათმეცნიერების დარგებს, რომლებზედაც ყველაზე მეტი ენერგია და შრომა აქვთ დახარჯული ამერიკელ ენათმეცნიერებს, წარმოადგენს ფონოლოგია და გრამატიკა. ჰოკეტის შრომებშიაც ეს დარგებია ძირითადად მოცემული.

ფონოლოგიის სინონიმად ჰოკეტი ხმარობს აგრეთვე ფონემიკას¹¹⁰, მაშინ როდესაც ზოგი დესკრიპტივისტი განასხვავებს ამ ტერმინებს (ფონოლოგია = ფონეტიკა + ფონემიკა ან ფონოლოგია = ფონემიკა + მორფოფონემიკა)¹¹¹.

4.3.3. გრამატიკა. გრამატიკა, ჰოკეტის მიხედვით, იყოფა მორფოლოგიად და სინტაქსად. ენის გრამატიკული სისტემა, გვეუბნება ის, შედგება ორი ქვესისტემისაგან. მორფოლოგია შეიცავს სეგმენტურ მორფემათა ერთობლიობას და იმ გზებს, რომლებითაც სიტყვები არიან შედგენილი ამ მორფემებისაგან. სინტაქსი შეიცავს გზებს, რომლებითაც სიტყვები და სუპრასეგმენტური მორფემები არიან განლაგებული ერთმანეთის მიმართ გამოთქმებში¹¹². სადემარკაციო ხაზი მორფოლოგიასა და სინტაქსს შორის ყოველთვის არაა აშკარა¹¹³. თვით

¹¹⁰ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 15.

¹¹¹ ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ქოსის შენიშვნა, რომ ტერმინი ფონემიკა პოპულარული გახდა ამერიკაში, როგორც ნიშანი ევროპული ფონოლოგიისაგან დამოუკიდებლობისა. RiL, გვ. 108.

¹¹² Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 177.

¹¹³ იქვე, გვ. 209.

მორფოლოგიასაც ჰოკეტი ორ ნაწილად ყოფს: ერთია ფლექსია, ხოლო მეორე — დერივატია¹¹⁴.

გრამატიკული მასალის განლაგების პრინციპი ასეთია: ჰოკეტი ჯერ მსჯელობს მორფემებზე, უშუალო შემადგენლებზე, ფორმალურ კლასებზე და კონსტრუქციებზე, სიტყვებზე. ამის შემდეგ ლაპარაკია მორფოლოგიისა და სინტაქსის რაობის შესახებ. გამოდის, რომ წინ განხილული საკითხები არც მორფოლოგიას განეკუთვნება, არც სინტაქსს, ანუ, სხვაგვარად, მორფოლოგიითა და სინტაქსით არ ამოიწურება გრამატიკა. ამის შემდეგაც მორფოლოგიისა და სინტაქსის პრობლემები არაა თანმიმდევრულად გამიჯნული ერთმანეთისაგან. ავტორი, საერთოდ, ჯერ სინტაქსის საკითხებს განიხილავს, შემდეგ კი — მორფოლოგიისას.

4.3.4. მორფოფონემიკა. დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ერთნაირი აზრი არ არსებობს მორფოფონემიკის ადგილის შესახებ. ზოგ მკვლევარს ის ფონოლოგიაში შეაქვს, ზოგს — გრამატიკაში, ზოგი კი დამოუკიდებელ დარგად გამოყოფს. ჰოკეტი ამ უკანასკნელებს ემხრობა.

დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში მორფოფონემიკის ადგილის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს ანალიზის პროცედურათა თანმიმდევრობისათვის. ჰოკეტი „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ მორფოფონემიკის ოთხ ასპექტს გამოყოფს. ესენია: (1) მეთოდები, რომელთა საშუალებითაც მკვლევარი ცდილობს გადაწყვიტოს, თუ რომელი ფორმები რომელ მორფემათა წარმომადგენლებად უნდა მიიჩნიოს, (2) წარმომადგენელთა შორის მიმართებათა სხვადასხვა ტიპები. ანუ, სხვაგვარად, ალტერნაციის ტიპები, (3) წარმომადგენელთა ტიპობრივი ფორმები (ანუ კანონიკური ფორმები) და არსებულ ფორმურ განლაგებათა გამოყენების ეკონომია, (4) ფონემურ ფორმათა პირდაპირი სემანტიკური ეფექტები¹¹⁵.

¹¹⁴ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 209.

¹¹⁵ იქვე, გვ. 272. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრინდელ ნაშრომებში ჰოკეტს მორფემის იდენტიფიკაცია მორფემებად არ შექჷნდა მორფოფონემიკაში. ასეთი ვითარებაა, მაგ., „მორფემული ანალიზის პრობლემებში“, სადაც მხოლოდ მორფემული ანალიზის უკანასკნელ (მეექვსე) საფეხურზე ხდება მორფემის, როგორც მორფემათა ალტერნანტების, ფონემურ ყალიბთა შორის განსხვავების მოწესრიგება და დადგენა, რაც ქმნის მორფოფონემიკას. Problems of Morphemic Analysis, გვ. 342. იმავე 1947 წ. ჰოკეტი შემდეგნაირად აყალიბებს მორფოფონემიკის ამოცანებს: მორფოფონემიკა, როგორც ეს ტერმინი აქ არის გამოყენებული, გულისხმობს მორფემათა ფონემური ყალიბის ყოველ ფაზას: ალტერნანტთა ტიპობრივ ყალიბებს, ალტერნაციის ტიპებს და სხვადასხვა გარემოცვითს ფაქტორებს (ფონოლოგიურს ან გრამატიკულს), რომლებიც იწვევს ისეთი მორფემების ამა თუ იმ ალტერნანტს, რომ-

როგორც ვხედავთ, ჰოკეტს მორფოფონემიკის ამოცანად მიაჩნია არა მხოლოდ მორფების ალტერნაციათა შესწავლა, არამედ თვით მორფების მორფებებად დაჯგუფებაც (გარკვევა იმისა, თუ რომელი მორფები განეკუთვნებიან ერთსა და იმავე მორფემას). ამის შედეგად მორფებათა იდენტიფიკაციის ერთიანი პროცედურა ჰოკეტთან გაწყვეტილია და გათიშული: გამოთქმათა სეგმენტირება მორფებად გრამატიკული ანალიზის პირველსავე საფეხურზე წარმოებს, მორფების მორფებებად კლასიფიკაცია კი გრამატიკული ანალიზის შემდეგ ხდება მორფოფონემიკაში. მათ შორის მოქცეულია მთელი სინტაქსი და მორფოლოგია. გამოდის, რომ სინტაქსსა და მორფოლოგიას საქმე ექნებათ მორფებთან, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან გაერთიანებული მორფებათა კლასებში, რაც სრულიად გაუმართლებელია¹¹⁶. მართალია, ჰოკეტი შენიშნავს, რომ გრამატიკული და მორფოფონემიკური ანალიზი პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს¹¹⁷, მაგრამ ფიქრობთ, ეს საკმარისი არ არის. ლოგიკური თანმიმდევრობის თვალსაზრისით, მორფოფონემიკის პროცედურა, რომელიც მორფებს მორფებებად აჯგუფებს, აუცილებლად უნდა მოსდევდეს მორფების სეგმენტაციას, ე. ი. ის საკუთრივ მორფოლოგიისა და სინტაქსის წინ უნდა იყოს. მაშინ მორფოფონემიკა გრამატიკაში აღმოჩნდება ჩართული და მისი მიჩნევა დამოუკიდებელ დარგად ძნელად თუ დასაბუთდება.

ლბიცი ელინდებიან ერთზე მეტი ყალიბით. იქვე ავტორი შენიშნავს, რომ ასეთი ხმარება უფრო ფართოა, ვიდრე ეს ბლოკისა და უელზის ნაშრომებშია. ბლოკის მიხედვით, მორფოფონემიკა არის ალტერნაციის შესწავლა ერთი და იმავე მორფემის ალტერნატულ ყალიბებში შესატყვის ფონემებს შორის (B. Bloch, English Verb Inflection, «Language», 1947, ტ. 23, გვ. 414 = RiL, გვ. 251). აქ იგულისხმება მხოლოდ ალტერნაციები, ყალიბები კი — არა, ამასთან ალტერნაციები ისეთ ყალიბებს შორის, რომელთა შედარება მეტ-ნაკლებად შესაძლებელია ფონემურად (knife და knife-s). ჰოკეტი კი ცდილობს ისეთ შემთხვევებში მოიკვას, როგორცაა go და went. მისი სიტყვით, რ. უელზი ტერმინს 'მორფოფონემიკა' ფაქტთა უფრო ვიწრო კლასით შემოფარგლავს, რადგან რ. ს. უელზის მიხედვით, მორფებთა ალტერნატულ ყალიბებს შორის განსხვავებები წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს ფაქტთა უფრო ზოგადი კლასისა ეს ფაქტების ზოგადი კლასია საერთოდ ამ ენაში მორფების ფონემური ყალიბები. R. S. Wells, Automatic Alternation, «Language», 1949, ტ. 25, გვ. 100 (შნშ. 5). (Ch. F. Hockett, Peiping Morphophonemics. «Language». 1950, ტ. 26 = RiL, გვ. 315).

¹¹⁶ თვით ისეთი ძირითადი ცნებებზეც კი, როგორცაა მორფი, ალომორფი, ალტერნაცია, ჰოკეტს გრამატიკული ანალიზის დამთავრების შემდეგ აქვს განსაზღვრული მორფოფონემიკაში.

¹¹⁷ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 274. ჰოკეტი შენიშნავს, რომ გრამატიკული და მორფოფონემური ანალიზის ერთიან პროცესს ზოგჯერ უწოდებენ მორფემიკას. მისი აზრით, ეს ტერმინი გამოიყენება პროცედურის სახეობისათვის და არ აღნიშნავს («გრამატიკისა» და «მორფოფონემიკის» მსგავსად) ენის აგებულების თაზას (ი ქ ე, გვ-276).

საქმეს არც ის უშველიდა, მორფების კლასიფიკაცია მორფემებად რომ გრამატიკაში დაგვეტოვებინა, ვინაიდან ალტერნაციების შესწავლა, რაც საყოველთაო აღიარებით მორფოფონემიკის ძირითადი ამოცანაა, ბუნებრივია, მოსდევდეს მორფემათა იდენტიფიკაციას. ასე რომ, ამ თვალსაზრისითაც, მორფოფონემიკის ადგილი მორფოლოგია-სინტაქსის წინაა.

რჩება ერთი გაუთვალისწინებელი შესაძლებლობა: მორფოფონემიკაში შევიდეს არა მხოლოდ მორფების დაჯგუფება მორფემებად, არამედ თვით გამოთქმათა სეგმენტაციაც მორფებად. მაშინ ყველაფერი, რაც წინ უსწრებს მორფოლოგიას და სინტაქსს, გაერთიანებული იქნებოდა მორფოფონემიკაში და შემდეგ კი მორფოლოგია და სინტაქსი იქნებოდა, რომელთაც, შესაძლებელია, კიდევაც შერჩენოდათ ტრადიციული გამაერთიანებელი სახელწოდება — გრამატიკა. მთლიანად დარგების თანმიმდევრობა ასეთი იქნებოდა: ფონეტიკა, ფონოლოგია, მორფოფონემიკა, გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი). რამდენადაც ვიცით, ასეთი გაგება ამ დარგთა ურთიერთობისა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში არ გვხვდება. მორფოფონემიკა ან ფონოლოგიაში შეიტანება, ან გრამატიკაშია ჩართული, ან არადა ცალკე დარგად ცხადდება და გრამატიკის შემდეგ ექცევა.

მორფოფონემიკის ჰოკეტისეულ გაგებას ის თავისებურებაც ახასიათებს, რომ მასში არ არის შემოტანილი ე. წ. მორფოფონემური პროცესები, ე. ი. ის ფონეტიკური პროცესები (ასიმილაცია, დისიმილაცია და ა. შ.), რომლებიც საფუძვლად უდევს ფონოლოგიურად გაპირობებულ ალტერნაციებს. ყველა ეს პროცესი ჰოკეტს ენის ცვალებადობის საკითხთან აქვს განხილული.

4.3.5. ტაქტიკა. ჰოკეტმა შემოიტანა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ახალი ტერმინი 'ტაქტიკა'. ყველაზე ადრინდელი განსაზღვრების მიხედვით, ტაქტიკა აღგენს მორფემათა განლაგებებს¹¹⁸. როგორც ჩანს, ეს ტერმინი შთაგონებულია ბლუმფილდის ტერმინებით 'ტაქსემა' და 'ტაგემემა'¹¹⁹. ტაქტიკა უფრო მარტივია, ვიდრე ბლუმფილდის დასახელებული ტერმინებიდან ნაწარმოები 'ტაქსემიკა' (taxemics) ან

¹¹⁸ Ch. F. Hockett, Review of E. A. Nida: The descriptive analysis of words. «Language», 1947, ტ. 23, № 3, გვ. 272.

¹¹⁹ ბლუმფილდის მიხედვით, ტაქსემა არის გრამატიკული განლაგების მარტივი თვისება ანუ ფორმის უმკაცრესი ერთეული, ხოლო ტაგემემა არის გრამატიკული ფორმის უმკაცრესი მნიშვნელობის მქონე ერთეული. L. Bloomfield, Language, 1933, გვ. 166.

'ტაგმემიკა' (tagmemics) იქნებოდა, შენიშნავს ჰოკეტი¹²⁰. მისი აზრით, გრამატიკა ტაქტიკასთან ერთად მორფოფონემიკასაც შეიცავს¹²¹.

„მორფემული ანალიზის პრობლემების“ მიხედვით, ტაქტიკას საქმე აქვს მორფემული ანალიზის უკანასკნელ ფაზასთან, როდესაც აიწერება განლაგებები, რომლებშიაც მნიშვნელობის მქონე მინიმალური ელემენტები გვხვდება და, — როდესაც ერთი და იგივე ელემენტები შეიმჩნევა ერთზე მეტ განლაგებაში განსხვავებული მნიშვნელობით (მაგ., John hit Bill და Bill hit John), — მორფემებისაგან განსხვავებული თვისებები ('ტაგმემები')¹²².

არც ერთი ამ განსაზღვრების მიხედვით ნათელი არ არის ტაქტიკის მიმართება მორფოლოგიასთან. ყოველ შემთხვევაში, ის თითქოს გამორიცხული არ უნდა იყოს, ვინაიდან მორფემული ანალიზის პირველ საფეხურზე (რომელიც ტაქტიკაში არ შედის) იგულისხმება მნიშვნელობის მქონე მინიმალური ელემენტების ანუ მორფემების გამოყოფა და მათი მიკუთვნება მორფემებისადმი¹²³.

ტერმინს 'ტაქტიკა' ჰოკეტი ხმარობდა 1954 წლამდე. ნაშრომში „გრამატიკული აღწერის ორი მოდელი“ ჰოკეტი წერს: მორფოფონემური და ტაქტიკური მოდელები ერთად ქმნიან გრამატიკულ მოდელს. ეს უკანასკნელი ფონოლოგიურ მოდელთან ერთად ავსებს ენის სინქრონიულ მოდელს¹²⁴. არც ამ ნაშრომშია გარკვევით მოხაზული ტაქტიკის სფერო. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ტაქტიკა არ ამოწურავს ენის მორფემულ ანალიზს, იგი კონსტრუქციებს სწავლობს თითქოს¹²⁵. მაგრამ რა არის ის, რაც მის შიღმა რჩება (ვთქვათ, მორფოლოგიაა ის თუ არა), ამის შესახებ ავტორი არაფერს გვეუბნება.

1955 წლიდან ჰოკეტმა უკუაგლო ტერმინი 'ტაქტიკა'. „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ — ვკითხულობთ: ტერმინი ტაქტიკა, რომელსაც მე ვხმარობდი ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, არ გამოვლინდება ამ სახელმძღვანელოში. მისი მოქმედების არე იგივე იყო, რაც ამჟამად განეკუთვნება ტერმინს „გრამატიკა“, მაშინ როდესაც უკანასკნელი ტერმინი გამოყენებული იყო ტაქტიკისა და მორფოფონემიკისათვის ერთად. მაგრამ სიტყვას „ტაქტიკა“ ჰქონდა მოუხერხებელი ობერტო-

¹²⁰ Ch. F. Hockett, დასახ. რეცენზია, გვ. 274, შნშ. 4.

¹²¹ იქვე.

¹²² Ch. F. Hockett, *Problems of Morphemic Analysis*, გვ. 321.

¹²³ იქვე.

¹²⁴ Ch. F. Hockett, *Two Models of Grammatical Description*, გვ. 216.

¹²⁵ იქვე, გვ. 215.

ნები და არ ჩანს რეალური საკიროება ზოგადი ტერმინისათვის, რომელიც დაფარავს „ტაქტიკას“ და მორფოფონემიკას¹²⁶.

ანალოგიური აზრია გამოთქმული უფრო მოგვიანებითაც. ავტორის სიტყვით, ტერმინს 'გრამატიკა' ამჟამად ფართო მნიშვნელობით ხმარობენ. ესაა ენის მთლიანი აგებულება ან ამ მთლიანი აგებულების თეორია ან აღწერა. ამ სტატიამში მე მას ვხმარობ ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც გამორიცხავს ფონოლოგიას და მორფოფონემიკას, — რასაც მე ერთ ღროს ვუწოდებდი ტაქტიკასო, — წერს ჰოკეტი¹²⁷.

ამ ავტორისეული განცხადების შემდეგაც ჩვენ არ გვეჩვენება, რომ აღრინდელ ნაშრომებში ტაქტიკა მოიცავდა გრამატიკას ვიწრო გაგებით. ტაქტიკა უფრო ამგვარად გაგებული გრამატიკის ერთი ნაწილი იყო. მას ეკისრებოდა მორფემათა განლაგებების შესწავლა, მაგრამ მორფემათა იდენტიფიკაცია და ზოგი სხვა საკითხი არ შედიოდა ტაქტიკაში.

4.3.6. როგორ არის დამუშავებული ეს დარგები? ჰოკეტი არ გაურბის იმის აღნიშვნას, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერების ზემოჩამოთვლილი დარგები სრულიადაც არ არის თანაბრად დამაკმაყოფილებლად დამუშავებული. იგი არ ეთანხმება იმ ენათმეცნიერებს, რომელთაც წამთ, რომ გრამატიკული ანალიზი გადაიქცა მთლიანად ობიექტურ ოპერაციად. მისი აზრით, ფონემური ანალიზი უფრო ახლოს მივიდა ამ საფეხურთან. თუმცა აქაც არ არის მთლიანი სიზუსტე ყოველთვის შესაძლებელი, მაგრამ ის მაინც შეგვიძლია, რომ ზუსტად გავარკვიოთ განუსაზღვრელი არეები და გავიგოთ, თუ რატომ რჩებიან ისინი განუსაზღვრელი. გრამატიკული ანალიზი კი ჯერ კიდევ მეტწილად ხელოვნებაა (art)¹²⁸.

ეხება რა გრამატიკული და მორფოფონემური ანალიზის ერთიან პროცესს, ჰოკეტი წერს: ოპერაციული მტკიცებანი, რომლებიც ამ შეერთებულ ანალიზში შედის, მხოლოდ ნაწილობრივია კოდიფიცირებული. ჯერჯერობით არ არსებობს არავითარი სრული შეთანხმება სპეციალისტებს შორის, მაგრამ არსებობს რამდენიმე პრინციპი, რომლებიც თითქმის საყოველთაოდაა აღიარებული¹²⁹.

ანალოგიური აზრია გამოთქმული უფრო გვიანდელ ნაშრომშიაც, სადაც ვკითხულობთ: ფონოლოგიისათვის აუცილებელი ევრისტეკული ტექნიკა და მტკიცებები საკმაოდ კარგადაა გაგებული და შეთანხმებუ-

126 Ch. F. H o c k e t t, A Manual of Phonology, გვ. 16—17.

127 Ch. F. H o c k e t t, Linguistic Elements and their Relations, გვ. 36.

128 Ch. F. H o c k e t t, A Course in Modern Linguistics, გვ. 147.

129 ი კ ე ე, გვ. 274.

ლი. მნიშვნელოვანი ხანგრძლივი დებატები ამ სფეროში მიუთითებს უთანხმოებაზე არა ევრისტიკაში, არამედ ფონემურ თეორიაში (ანუ მეტათეორიაში). ევრისტიკული ტექნიკა და მტკიცებები გრამატიკისათვის მიახლოებითაც კი არაა ისე კარგად გაგებულნი¹³⁰.

5. ენის ანალიზის დონეები და ფენები. ორობითობის პრინციპი.
იერარქიული ანუ უზუალო შიგადაგნეულთა სტრუქტურა

5.1. ენის ანალიზის დონეები და ფენები. დესკრიფციული ენათმეცნიერების საერთო ტრადიციის შესაბამისად ჰოკეტი გამოყოფს ენობრივი ანალიზის ორ ძირითად დონეს: ფონოლოგიურსა და გრამატიკულს. მისი სიტყვით, ანალიზის დონეებს განსაზღვრავს კრიტერიუმების არჩევანი¹³¹. ავტორი მოითხოვს დონეებს შორის თანმიმდევრობის დაცვას. ფონოლოგიური ანალიზი წინ უნდა უსწრებდეს გრამატიკულს და არ უნდა ვარაუდობდეს ამ უკანასკნელს, არ უნდა იყოს დამოკიდებული მასზე. ეს თავიდან აგვაცდენინებს მოჭადრობულ წრეს¹³².

თანმიმდევრობა დაცული უნდა იქნეს არა მხოლოდ ერთი დონიდან მეორეზე გადასვლისას, არამედ ერთი და იმავე დონის შიგნითაც, სადაც გვხვდება სხვადასხვა სიდიდის ერთეულები. ასეთებია ფონოლოგიაში: მაკროსეგმენტები, მიკროსეგმენტები, ფონემები, კომპონენტები. გრამატიკაში: წინადადებები, კლაუზები, ფრაზები, სიტყვები, მორფემები.

ამგვარად, საჭირო ხდება ორი რიგის მოვლენათა გარჩევა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. ჩვეულებრივ, მათთვის სხვადასხვა ტერმინები არ იხმარება. ჰოკეტმა კი თავის ბოლოდროინდელ ნაშრომში განასხვავა ერთმანეთისაგან ორი ცნება: ფენა (stratum) და დონე (level) ან, უფრო ზუსტად, სიდიდის დონე (size-level)¹³³. ფენით ავტორი აღნიშნავს იმას, რასაც ჩვეულებრივ დონეს უწოდებენ. ფენებია ფონოლოგიური¹³⁴ და მორფოლოგიური¹³⁵. თითოეული ფენის შიგნით კი სხვადასხვა სიდიდის ერთეულები ქმნიან სიდიდის დონეებს (სხვადასხვა სიდიდის დონეებია ფონოლოგიურ ფენაში: მაკროსეგმენტი, მიკროსეგმენტი, ფონემა..., გრამატიკულ ფენაში: წინადადება, კლაუზა, ფრაზა, სიტყვა, მორფემა).

¹³⁰ Ch. F. Hockett, Linguistic Elements and their Relations, გვ. 50.

¹³¹ Ch. F. Hockett, A System of Descriptive Phonology, გვ. 3.

¹³² იქვე, გვ. 21, Peip'ng Phonology, გვ. 218.

¹³³ Ch. F. Hockett, Linguistic Elements and their Relations, გვ. 37.

¹³⁴ იქვე.

¹³⁵ იქვე, გვ. 40.

5.2. მოდელის ორობითობა. ჰოკეტის მიხედვით, ენას მხოლოდ ორი დამოუკიდებელი ფენა აქვს. ფონოლოგიური და გრამატიკული. აქედან ის დასკვნის მოდელის ორობითობის შესახებ: ენას ახასიათებს მოდელის ორობითობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივ სიგნალებს აქვთ როგორც ფონოლოგიური, ისე გრამატიკული (მორფემული) სტრუქტურა¹³⁶.

5.8. იერარქია, უშ მიდგომა. ფენებად და სიდიდის დონეებად ენობრივ ერთეულთა დაყოფას მიეყავართ მათი იერარქიული განხილვისაკენ, სადაც გარკვეული თანმიმდევრობაა დაცული (მცირედან ფართოსაკენ: კომპონენტი, ფონემა, მიკროსეგმენტი, მაკროსეგმენტი, ან პირიქით). იერარქიას ადგილი აქვს ფენებს შორისაც.

იერარქიული სტრუქტურა ახასიათებს გასაანალიზებელ ენობრივ ერთეულებსაც. იერარქიული სტრუქტურის გამოვლენა მოითხოვს ანალიზს უშუალო შემადგენლებად. ამიტომ ჰოკეტი იერარქიულ სტრუქტურას უტოლებს უშ სტრუქტურას. უშ მიდგომის თავისებურება ისაა, რომ იგი ენობრივ ერთეულებს (მაგ., წინადადებებს) ხაზოვანი მდინარებით კი არ განიხილავს, არამედ სიღრმით, საფეხურებად¹³⁷.

„ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ ეკითხულობთ: ფონოლოგიური სტრუქტურა გვიჩვენებს იერარქიულ ორგანიზაციას, რომელიც შეიცავს სხვადასხვა შეფარდებითი სიდიდის დონის ერთეულებს: ნებისმიერი სიდიდის დონე, ყველაზე მცირის გამოკლებით, შედგება უახლოესი უფრო მცირე სიდიდის დონის ერთეულთა განლაგებისაგან. თეორიულად ასეთი იერარქიული სტრუქტურის აღწერა ორგვარად შეიძლება: უდაბლესი დონიდან ზემოთ და პირიქით. ორივეს ახლავს სიმწელები; ჩვენ ვარჩევთ მეორე გზას¹³⁸.

მეორე გზას, ე. ი. მაღალი დონიდან ქვემოთ მიჰყვება ჰოკეტი „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსშიც“ გრამატიკის განხილვისას (ჩერ სინტაქსი, შემდეგ — მორფოლოგია).

6. ფონოლოგიის ძირითადი ერთეულები

6.1. ფონოლოგიის ძირითადი ერთეულები 1942 წ. ფონოლოგიისათვის ძირითადია ფონემა და მასთან დაკავშირებული ცნებები. ამ ცნებათა რაოდენობა და თითოეული მათგანის განსაზღვრა ჰოკეტის

¹³⁶ Ch. F. H o c k e t t, A Manual of Phonology, გვ. 17. შტრ. Linguistic Elements and their Relations, გვ. 45 და შემდ.

¹³⁷ Ch. F. H o c k e t t, A Course in Modern Linguistics, გვ. 152.

¹³⁸ Ch. F. H o c k e t t, A Manual of Phonology, გვ. 43.

სხვადასხვა ნაშრომში არ არის ერთნაირი. ამიტომ თანმიმდევრულად განვიხილავთ სხვადასხვადროინდელ ნაშრომებს.

თავისი ფონოლოგიური შეხედულებები ავტორს ყველაზე ადრე ჩამოყალიბებული აქვს სტატიაში „დესკრიფციული ფონოლოგიის სისტემა“ (1942 წ.). მისი თვალსაზრისი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ავტორი ფონეტიკას ორი მნიშვნელობით ხმარობს: **ა-ფონეტიკა** და **ბ-ფონეტიკა**. **ა-ფონეტიკა** აწარმოებს მეტყველების აქტების ბიოფიზიკურ ანალიზსა და კლასიფიკაციას. **ა-ფონეტიკა** იყენებს ფიზიოლოგიურ და აკუსტიკურ პროცედურებს¹³⁹.

სემანტი ორ თანმიმდევრულ შეცვლის პუნქტს შორის არის **ა-ბგერა**¹⁴⁰. **ა-ბგერა** სხვა არაფერია, თუ არ სხვადასხვა ორგანოების ფუნქციონირებათა ერთდროულობა. მაგრამ ტერმინოლოგიური მიზნებით მოსახერხებელია ვილაპარაკოთ ამ ფუნქციონირებებზე, როგორც კვალიტეტებზე და არა როგორც საგნებზე ან მოვლენებზე: **peat**-ისა და **beat**-ის საწყის ბგერებს აქვთ ბაგეების ხშვის კვალიტეტი. ყველა ასეთ კვალიტეტს შეიძლება ეწოდოს **ა-ფონემური ელემენტები**.

შემდგომ საფეხურზე ხდება დესკრიფციული რანგის ყველა გამოთქმათა კლასიფიკაციის აღწერა ფონოლოგიურად ეკვივალენტურ კლასებად¹⁴¹. ფონოლოგიური ეკვივალენტობა შეიცავს ორ ფაქტორს: **ა-ფონეტიკურ მსგავსებას** და ბიოსოციალურ ეკვივალენტობას. მათ შორის კორელაცია არ არის აბსოლუტური¹⁴².

ა-ფონეტიკურად მსგავსი არის ორი გამოთქმა, რომელთაც აქვთ დაახლოებით ერთი და იგივე ელემენტები ერთი და იმავე განლაგებებით¹⁴³. ორი მეტყველების აქტი ბიოსოციალურად ეკვივალენტურია, თუ ისინი წარმოიქმნებიან მსგავს პირობებში და მოქმედებენ მსგავსად, როგორც ბიოსოციალური სტიმულები¹⁴⁴ (ე. ი. აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა — თ. შ.).

შემდგომ კლასიფიკაციაში ფონოლოგიურ დონეზე გამოყენებულია ტრანსკრიფცია ფონოლოგიურად ეკვივალენტური კლასის ნებისმიერი წევრის დაუზუსტებლად აღსანიშნავად. ასეთ დაუზუსტებელ სახელს, რომელიც აღნიშნავს სპეციფიკური კლასის განუსაზღვრელ ცალკეულ წევრს, ლოგოკაში ეწოდება ცვლადი. ასე, ტრანსკრიფციები:

¹³⁹ Ch. F. H o c k e t t, A System of Descriptive Phonology, გვ. 5.

¹⁴⁰ ი ქ ვ ე.

¹⁴¹ ი ქ ვ ე.

¹⁴² ი ქ ვ ე, გვ. 6.

¹⁴³ ი ქ ვ ე, გვ. 5—6.

¹⁴⁴ ი ქ ვ ე, გვ. 6.

/si/ და /sij/ ცვლადებია¹⁴⁵. ფონოლოგიური ანალიზი არ ითვალისწინებს ეკვივალენტური კლასის წევრთა შორის განსხვავებებს.

ა-ფონეტიკური ელემენტები იყოფა დისტინქტურად და არადისტინქტურად.

დისტინქტურია ისეთი ა-ფონეტიკური ელემენტი, რომელიც გვხვდება გარკვეულ პოზიციაში გარკვეული ეკვივალენტური კლასის ყველა წევრში¹⁴⁶.

დისტინქტური ელემენტი დისტინქტურია ყველგან, სადაც არ უნდა იყოს ის ნაპოვნი რანგის შიგნით, თუნდაც ზოგ პოზიციაში ის ხან ვლინდებოდეს და ხან არა. მაგ., ინგ.-ში ხშული თანხმოვნის ასპირაციული განხშვა დისტინქტური ელემენტია, რადგან იგი გვხვდება ყოველთვის პირველი თანხმოვნის შემდეგ. მაგ., გამოთქმებში put, tack და keep. ზოგი გამოთქმის ბოლოში ასპირაცია ხან არის და ხან არა. რადგან ვარაიაცია ქვეფონემურია, მიუხედავად იმისა, რომ დისტინქტური ელემენტი ხან ვლინდება და ხან არა, მას შეიძლება ეწოდოს თავისუფალი ვარიაცია¹⁴⁷.

ელემენტი, რომელიც არსად არ არის დისტინქტური, იქნება არადისტინქტური. არადისტინქტური ელემენტები ყოველთვის გადაჯაჭვულია დისტინქტურთან, მაგრამ ისინი არ არიან ლინგვისტურად მნიშვნელოვანი¹⁴⁸.

ზოგი დისტინქტური ა-ფონეტიკური ელემენტი დაკავშირებულია ერთმანეთთან ჯგუფებად, ისე რომ ერთი მათგანი ვლინდება ყოველთვის მაშინ, თუ სხვებიც ვლინდებიან. ასეთი ორი ან მეტი ელემენტი ქმნის მინიმალურ ერთეულს. ასეთ მინიმალურ ერთეულებად შეიძლება გაანალიზდეს რანგის გამოთქმები. ამ ერთეულებს ეწოდება თვისებები. ისევე როგორც ელემენტები, ისინი ტერმინოლოგიურად განხილული უნდა იყვნენ, როგორც კვალიტეტები¹⁴⁹.

ბ-ფონეტიკა განსაზღვრავს თვისებებს და პოზიციებს, რომლებშიაც ისინი გვხვდებიან. თვისებათა განსაზღვრისათვის სასარგებლოა

¹⁴⁵ ავტორი შენიშნავს, რომ ტრანსკრიფცია ევადრატულ ფრჩხილებში ბ-ფონეტიკურია, დიაგნოზებში კი — ფონემური — და მიუთითებს, რომ მათი ამგვარად გარჩევა გადმოდებული აქვს ტრევიერსს და ზლოის სტატიიდან (The Syllabic Phonemes of English. «Language», 1941, ტ. 17, გვ. 222—41). დასახ. ნაშრ., გვ. 6.

¹⁴⁶ ი ქ ე ე, გვ. 7.

¹⁴⁷ ი ქ ე ე.

¹⁴⁸ ი ქ ე ე.

¹⁴⁹ ი ქ ე ე. ინგ.-ში სიყრუე და სიძლიერე დისტინქტური თვისებებია და ქმნიან ერთ თვისებას. გვ. 8.

კონტრასტული წყვილების მეთოდი, რადგან ბევრ ენაში მინიმალური წყვილები ტრადიციული გავებით იშვიათადაა. კონტრასტული წყვილი გულისხმობს ნებისმიერ წყვილს, რომელშიაც არსებობს განსხვავებები მსგავსების ტერმინებში¹⁵⁰.

როცა ყველა თვისება განსაზღვრულია და ჩამოთვლილი, ისინი იქცევიან რამდენიმე კლასიფიკაციის საგნად. ერთ-ერთი ასეთი კლასიფიკაციის მიხედვით გამოიყოფა სეგმენტური და სუპრასეგმენტური თვისებები.

სეგმენტურია ისეთი თვისებები, რომლებიც აშკარად მოსდევენ ერთიმეორეს მეტყველების ნაკადში. სუპრასეგმენტურია ისეთი თვისებები, რომლებიც აშკარად ვრცელდებიან რამდენიმე სეგმენტური ჯგუფის სერიაზე. მაგ., crypt-ში ბოლო ორი თანხმოვნის არტიკულაციის პოზიციები სეგმენტურია, მაშინ როდესაც არტიკულაციის გვარობები — სიყრუე და სიძლიერე სუპრასეგმენტურია¹⁵¹.

β-ბგერას პოკეტი განსხვავებს α-ბგერისაგან ორი თავისებურებით: (1) β-ბგერების დახასიათებისას ვეხებით მხოლოდ დისტინქტურ თვისებებს, (2) სუპრასეგმენტური თვისება განიხილება, როგორც β-ბგერა თავისთავად, სეგმენტური ფაზა კი, რომელსაც ის ფარავს, განხილულია მასზე დადებული თვისების გარეშე, როგორც დამოუკიდებელი β-ბგერა. ამგვარად, თვისებათა მსგავსად, β-ბგერებიც იყოფა ორ კლასად, სეგმენტურად და სუპრასეგმენტურად. მაგ., ბოლო ორი თანხმოვანი crypt-ში შედგება ხუთი β-ბგერისაგან. აქედან სამ სეგმენტურ ბგერას ახასიათებს შესაბამისად ბილაბიალური ხშულობა, აპიკალური ხშულობა და ასპირაცია. პირველი ორის ხშული ხასიათი არ ვრცელდება ერთიდან მეორეზე და ამგვარად არაა სუპრასეგმენტური თვისება. სუპრასეგმენტური β-ბგერებია ნაზალობის არ არსებობა და ჯგუფის ძლიერი ყრუ ხასიათი. დამატებით მთელ გამოთქმას აქვს ძლიერი მახვილის სუპრასეგმენტური β-ბგერა და ეს ახასიათებს აგრეთვე თითოეულ სეგმენტს გამოთქმის ბოლოს¹⁵².

ზოგი სუპრასეგმენტური თვისება მუდამ სუპრასეგმენტურია. მაგ., ძლიერი მახვილი. ზოგი კი ზოგჯერ შეიძლება სეგმენტური იყოს. მაგ., hearl-ში ბოლო თანხმოვანი შედგება ორი სეგმენტური β-ბგერისაგან [t'], რომელთაგან თითოეულს აქვს რამდენიმე თვისება. პირველ β-ბგერას აქვს აპიკალური პოზიცია, ხშულობა, სიყრუე, სიძლიერე, ნაზა-

¹⁵⁰ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

¹⁵¹ იქვე, გვ. 8.

¹⁵² იქვე.

ლობის არარსებობა. ამგვარად, სიყრუე და სიძლიერე აქ სეგმენტურია და არა სუპრასეგმენტური, როგორც ეს crypt-ში იყო¹⁵³.

ჰოკეტი განასხვავებს ერთმანეთისაგან β -ბგერას და ფონს. ფონი ფონემის წევრია. ფონებიც ორგვარია: სეგმენტური და სუპრასეგმენტური. ამ უკანასკნელში გამოიყოფა აქცენტისა და შეერთების ფონები. მაშინ, როდესაც β -ბგერა შეიძლება იყოს ზოგჯერ სეგმენტური და ზოგჯერ სუპრასეგმენტური, ფონი ყოველთვის ერთ-ერთი მათგანია. ის, რაც β -ფონეტიკურად სეგმენტურია, შეიძლება ფონემიკურად იყოს სუპრასეგმენტური და პირუკუ, რადგან ეს კლასიფიკაცია ფონებისათვის დამოკიდებულია ფუნქციაზე, ისევე როგორც β -ფონეტიკურ ხასიათზე. სეგმენტურ ფონებს შორის საზღვრები აუცილებლად არ ემთხვევა β -ბგერათა შორის საზღვრებს: ცალკე ფონი შეიძლება შეიცავდეს ორ ან მეტ მეზობელ β -ბგერას და პირუკუ¹⁵⁴.

ფონეზიკა აწარმოებს β -ფონეტიკის მასალის ანალიზს ფონებად და ფონების კლასიფიკაციას ფონემებად.

ფონემა წარმოადგენს ფონების კლასს, რომელიც განსაზღვრულია ექვსი კრიტერიუმით:

(1) მსგავსება: თუ a და b ერთი ფონემის წევრებია, მათ აქვთ ერთი ან მეტი საერთო თვისება. (2) არა გადაკვეთადობა: ნებისმიერი ფონი, რომელსაც ახასიათებს ეს თვისება ან თვისებათა ერთობლიობა, არის ფონემის წევრი.

(3) კონტრასტული და დამატებითი დისტრიბუცია: თუ a და b გვხვდება სხვადასხვა ეკვივალენტური კლასის გამოთქმებში შესატყვის პოზიციებში, ისინი წარმოადგენენ განსხვავებული ფონემების წევრებს: თუ a და b იმყოფებიან დამატებით დისტრიბუციაში (ე. ი. თუ ისინი გვხვდებიან ურთიერთგამომრიცხველ პოზიციებში), ისინი შეიძლება იყვნენ. თუმცა არა აუცილებლად. ერთი და იმავე ფონემის წევრები. (4) სისრულე: ყოველი თვისება, რომელიც ახასიათებს თითოეულ β -ბგერას, უნდა განხილულ ჰქნეს, როგორც კლასიფიკაციის შემქმნელი. ყოველი β -ბგერა უნდა იყოს მთლიანად ან ნაწილობრივ ტოლი ფონისა ან უფრო მეტი, ვიდრე ცალკეული ფონი. ხოლო ყოველი ფონი უნდა იყოს ფონემის წევრი¹⁵⁵.

ჰოკეტი შენიშნავს, რომ დასახელებულმა ოთხმა კრიტერიუმმა შეიძლება დაუშვას რამდენიმე ალტერნატიული კლასიფიკაცია. რომ პრო-

¹⁵³ Ch. F. Hockett, დაახ. ნაშრ., გვ. 8.

¹⁵⁴ იქვე. გვ. 8—9.

¹⁵⁵ იქვე. გვ. 9.

ცედურა ნებისმიერი არ გახდეს, ამისათვის უნდა მივმართოთ დანარჩენ ორ კრიტერიუმს:

(5) მოდელის შეთანხმებულობა (Pattern congruity): ორი კონტრასტული წ-სეგმენტი (ცალკე წ-ბგერები ან ასეთ ბგერათა თვისებები), რომლებიც გვხვდებიან მსგავს წ-ფონეტიკურ გარემოცვებში, გაანალიზებულ უნდა იქნენ, როგორც მსგავსი სტრუქტურის მქონენი. ან ორივე წარმოადგენს ერთეულ ფონებს, განსხვავებული ფონემების წევრებს, რომლებიც ეკუთვნიან ერთსა და იმავე ფუნქციურ კლასს, ან ისინი არიან ორი ან მეტი ფონის მსგავსი კომპლექსები. ეს დებულება განაზავს სტრუქტურული პარალელიზმის მნიშვნელობას: მსგავსი ფუნქცია — მსგავსი სტრუქტურა. მაგრამ როდესაც ასეთ პარალელიზმს არა აქვს ადგილი, წ-ფონეტიკურ სეგმენტთა ორ მწკრივს შორის წ-ფონეტიკურმა პარალელიზმმა შეიძლება მოგვეცეს საფუძველი პარალელური ანალიზისათვის¹⁵⁶.

(6) ეკონომია: თუ რამდენიმე განსხვავებული ანალიზი თანაბრად აკმაყოფილებს სხვა მოთხოვნილებებს, უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც ადგენს ფონემათა ნაკლებ რაოდენობას¹⁵⁷.

ჰომეოფონი არის ისეთი ფონების კლასი, რომ კლასის ყველა წევრს ახასიათებს ყველა თვისება, რომელიც დამახასიათებელია რომელიმე ერთი წევრისათვის. ჰომეოფონის ყველა წევრი ერთსა და იმავე ფონემას განეკუთვნება¹⁵⁸.

ალოფონი არის ისეთი ფონების კლასი, რომ ყველა მათგანი წარმოადგენს ერთი და იმავე ფონემის წევრებს და ყველა გვხვდება მსგავს წ-ფონეტიკურ გარემოცვებში (ერთსა და იმავე პოზიციაში)¹⁵⁹.

თავისუფალი ალტერნაციის განხილვა ფონემიკის საქმეა. ვინაიდან ალტერნაციის პირობები მხოლოდ ფონოლოგიური ტერმინებით შეიძლება იქნეს მოცემული¹⁶⁰.

ფონებს შორის მინიმალური კონტრასტი გვაქვს, თუ ეს ფონები მხოლოდ ერთი განმსაზღვრელი თვისებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კონტრასტის კონტექსტი წარმოადგენს განმსაზღვრელ თვისებათა კომპლექსს. არამინიმალური კონტრასტები შეიცავენ ერთზე მეტ განმსაზღვრელ თვისებას¹⁶¹.

156 Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

157 იქვე.

158 იქვე.

159 იქვე. ჰომეოფონისა და ალოფონის ურთიერთობის შესახებ იხ. გვ. 12.

160 იქვე, გვ. 12.

161 იქვე, გვ. 18—19.

ფონებს შორის პირდაპირი კონტრასტი მაშინ გვაქვს, როდესაც ამ ფონებს საერთო აქვთ რომელიმე განმსაზღვრელი თვისება. მაგ., /p:/; არაპირდაპირი კონტრასტის დროს ფონებს არა აქვთ საერთო განმსაზღვრელი თვისება, მაგ., /p/ და ძლიერი მახვილი¹⁶².

ფონების და ფონემების სტრუქტურული კლასიფიკაცია ემყარება პრინციპს, რომ ორი ფონემა ეკუთვნის ერთ სტრუქტურულ კლასს, თუ მისი წვერი ფონები გვხვდება მსგავს გარემოცვებში¹⁶³.

ჰოკეტის ზემოაღნიშნულ ნაშრომში ყურადღებას იქცევს ტერმინოლოგიის სიქარბე: ა-ფონეტიკა, ბ-ფონეტიკა, ა-ბგერა, ბ-ბგერა, ფონი, ალოფონი, ჰომეოფონი. ამთგან განსხვავება ა-ფონეტიკასა და ბ-ფონეტიკას შორის, და შესაბამისად ა-ბგერასა და ბ-ბგერას შორის, აგრეთვე ჰომეოფონი ჰოკეტის უფრო გვიანდელ შრომებში აღარ გვხვდება და ამიტომ მათზე აღარ შევიჩრდებთ. როგორც ჩანს, ავტორმა იგრძნო, რომ ისინი არ იყვნენ საჭირო.

ასევე ზედმეტად გვიჩვენება ა-ფონეტიკური ელემენტების, როგორც კვალიტეტების, და თვისებების, როგორც რამდენიმე ა-ელემენტის მუდმივი შეერთების, გარჩევა. ე. ი. ა-ბგერა და ბ-ბგერა ფაქტობრივ არ წარმოადგენენ ბგერებს. ბგერა არის ფონი. ამიტომ არ არის გამართლებული ბ-ბგერის დაპირისპირება ფონთან; არ არის გამართლებული როგორც ბ-ბგერებში, ისე ფონებში სეგმენტურ და სუპრასეგმენტურ თვისებათა გამოყოფა სხვადასხვა თვალსაზრისით.

ჰოკეტის კონცეფციას ამ ნაშრომში ემჩნევა ტრუბეცკოს ფონოლოგიური მოძღვრების გავლენა, რაც თავს იჩენს დისტინქტურ და არადისტინქტურ ა-ფონეტიკურ ელემენტთა გამოყოფაში. ტრუბეცკოს თეორიასთან მიმართება ვლინდება არა მხოლოდ პოზიტიურ ნაწილში, არამედ ნეგატიურშიც. ჰოკეტი ტრუბეცკოს საპირისპიროდ უარყოფს ნეიტრალიზაციისა და არქიფონემის ცნებათა საჭიროებას¹⁶⁴. თავისი ნაშრომის დასაწყისში ჰოკეტი თვითონვე აღნიშნავს, ეს სტატია წარმოდგება ბლუმფილდის, სეპირის, ტრუბეცკოსისა და მათ მიმდევართა ფონემური სისტემებისაგან¹⁶⁵.

¹⁶² Ch. F. Hockett, დასახ. ნაშ., გვ. 19.

¹⁶³ იქვე.

¹⁶⁴ იქვე, გვ. 10.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 3. „პიპინგის ფონოლოგიის“ კომენტარებში ჯოსი გამოთქვამს ვარაუდს, რომ გარკვეული გავლენა უნდა გქონდეს, ყოველ შემთხვევაში, სტიმულის სახით ტრუბეცკო-იაკობსონის თეორიისა დისტინქტურ თვისებათა შესახებ, ვინაიდან ასეთ გავლენას ჰოკეტა სხვებთან ერთად განიცდიდაო. მაგრამ ჯოს არც ის მიაჩნია შეუძლებლად, რომ ეს მოძღვრება ავტონომიურ ამერიკულ განვი-

ამ კონტექსტში შეიძლება ტრუბეცკოის გავლენას მიეწეროს ისიც, რომ ფონოლოგიური ეკვივალენტობა, ჰოკეტის მიხედვით, გულისხმობს როგორც ა-ფონეტიკურ მსგავსებას, ისე ბიოსოციალურ. ე. ი. მნიშვნელობის მიხედვით ეკვივალენტობას. ვფიქრობთ, ტრუბეცკოის გავლენა აგრეთვე, რომ დამატებითს დისტრიბუციაში: მყოფი ანუ ურთიერთგამომრიცხველი ბგერები (ეს გამოთქმა: სწორედ ტრუბეცკოის ეკუთვნის) შეიძლება ერთი და იმავე ფონემის წევრები იყვნენ, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი. დესკრიფციული ენათმეცნიერების სხვა წარმომადგენლები, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია. დამატებითს დისტრიბუციაში მყოფ მსგავს ბგერებს კატეგორიულად ერთი ფონემის წევრებად თვლიან.

ფონემის განსაზღვრა ჰოკეტთან პროცედურულია. ამიტომ არის ის ასე გრძელი და ძნელად აღსაქმელი. ჰოკეტის მიერ დასახელებული ექვსი კრიტერიუმიდან მეოთხე (სისრულე), ჩვეულებრივ; არ გვხვდება სხვა დესკრიპტივისტებთან. დანარჩენები სხვადასხვა ხედრითი წონით მეორდება სხვა ავტორებთანაც. მაგრამ თვით ფონემის განსაზღვრაში; როგორც წესი, (1) და (3) შეაქვთ (ფონეტიკური მსგავსება და დამატებითი დისტრიბუცია). თავისებურია ის, რომ ჰოკეტი დამატებითს დისტრიბუციასთან ერთად კონსტრასტულ დისტრიბუციასაც ასახელებს. ამ საკითხს კვლავ მოვუბრუნდებით პროცედურათა განხილვის დროს. ფონემის მიჩნევა ფონების (ბგერათა) კლასად ჩვეულებრივი მოვლენაა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჰომეოფონს, რომელსაც ჰოკეტი შემდეგდროინდელ ნაშრომებში აღარ იყენებს, გვრჩება სამწევროვანი დაყოფა: ფონი—ალოფონი—ფონემა. ასეთი დაყოფა დამახასიათებელია ჰოკეტისათვის და იგი უპირისპირდება უფრო გავრცელებულ დაყოფას: ალოფონი—ფონემა. ჰოკეტისეული ფონები წარმომადგენენ გამოთქმათა სეგმენტაციის შედეგად გამოყოფილ ბგერითს ერთეულებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დაჯგუფებული ფონემებად. ალოფონები კი ისეთ ფონთა გაერთიანებებია, რომლებიც ერთ ფონემაში შედიან. სხვა დესკრიპტივისტები ორივე მნიშვნელობით ტერმინ 'ალოფონს' ხმარობენ. საჭიროა თუ არა სამწევროვანი დაყოფა, ამ საკითხს უფრო

თარებად ჩათვალოთ, ვინაიდან იგი განსხვავდება როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატიურად დასახელებულ ავტორთა თვალსაზრისისაგან. მაგრამ როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ნაწილში ჯოსი უპირისპირებს ჰოკეტის შეხედულებებს იაკობსონისას (დისტინქტურ თვისებათა უნივერსალიებად მიჩნევა, ცხრა პოლარული მწკრივის გამოყოფა ყველა ენისათვის და სხვ. იხ. RiL, გვ. 228), ჩვენ კი ვვარაუდობთ ტრუბეცკოის „ფონოლოგიის საფუძვლების“ გავლენას.

გვიან შევეხებით სხვა შრომათა განხილვისა და მორფემულ ელემენტთა გაცნობის შემდეგ.

6.2. ფონოლოგიის ძირითადი ერთეულები 1947—1955 წწ. დასახელებული თარიღები გამოყოფილია ორი ნაშრომის გამოქვეყნების მიხედვით. პირველია „პიპინგის ფონოლოგია“ 1947 წ., ხოლო მეორე „ფონოლოგიის სახელმძღვანელო“ 1955 წ. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ის, რასაც ჯოსი უწოდებს ფონემიკას უფონემოდ¹⁶⁶. მართლაც, დასახელებულ ნაშრომებში ფონემა არა მხოლოდ არ წარმოადგენს ძირითად ცნებას, არამედ ავტორი საერთოდ გაუბრუნებს მის ხმარებას.

„პიპინგის ფონოლოგიაში“, მართალია, ჰოკეტი იმოწმებს თავის „დესკრიფციული ფონოლოგიის სისტემას“, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ § 6—7 ამჟამად შეცვლილია¹⁶⁷. 6—7 პარაგრაფებში მოცემული იყო ფონემის განსაზღვრება 6 კრიტერიუმის საფუძველზე, β-ბგერისა და ფონის, ალოფონისა და ჰომეოფონის დახასიათება. ეს ცნებები „პიპინგის ფონოლოგიაში“ არ არის გამოყენებული. ნაშრომის ზოგად, შესავალ ნაწილში ავტორი მსჯელობს დისტინქტური და არადისტინქტური მოვლენების, განმსაზღვრელი და განსაზღვრული თვისებების შესახებ.

ნებისმიერი არტიკულაციური მოვლენა, რომელიც გვხვდება გარკვეულ პოზიციაში ენის ზოგ გამოთქმაში, მაგრამ არა ყველაში, არის დისტინქტური. ნებისმიერი თვისება, რომელიც ახასიათებს ენის ყველა გამოთქმას, არადისტინქტურია. ასევე თვისება, რომელიც რეგულარულად არ გვხვდება ცალკეული გამოთქმის ყველა გამეორებისას მიინც, არის არადისტინქტური¹⁶⁸.

ენის დისტინქტურ მასალაში, ჰოკეტის მიხედვით, გამოიყოფა მცირე მწკრივი განმსაზღვრელი თვისებებისა, რომელთაც ახასიათებს შემდეგი: (a) თუ ორი არტიკულატორული მოვლენა A და-B იმგვარადაა განაწილებული, რომ A გვხვდება მხოლოდ და ყოველთვის B-სთან კავშირში, ისინი შეადგენენ ერთ განმსაზღვრელ თვისებას; (b) თუ ორი არტიკულატორული თვისება A და B იმგვარადაა განაწილებუ-

¹⁶⁶ RiL, გვ. 108, 22E.

¹⁶⁷ Ch. F. Hockett, Peiping Phonology, RiL, გვ. 217.

¹⁶⁸ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 217. ავტორის სიტყვით, მისი განსაზღვრა დისტინქტურისა რამდენამდე უფრო ფართოა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ იყო მიღებული. მაგ., განსხვავება ინგ. ასპირირებულ t-სა till-ში და არასპირირებულ t-ს შორის still-ში ჩვეულებრივ მიჩნეული იყო არადისტინქტურად (ანუ არა ფონემიკურად). ჩვენ არ შეგვიძლია ამას დაეთანხმოთ, რადგან still-ის გამოთქმისას ასპირაცია არასოდეს არა გვაქვს, ხოლო till-ის წარმოთქმისას ასპირაცია ყოველთვის არის. ასეთი თვისებები აღრიცხული უნდა იყოს ფონოლოგიური აღწერისას. — წერს ჰოკეტი.

ლი, რომ A გვხვდება მხოლოდ მაშინ, როდესაც B გვხვდება, მაგრამ B გვხვდება აგრეთვე A-ს გარეშე, მაშინ ისინი წარმოადგენენ ორ განმსაზღვრელ თვისებას. (c) თუ A გვხვდება როგორც B-სთან, ისე მის გარეშე და პირუკუ, მაშინ A და B ორი განმსაზღვრელი თვისებაა. მაგრამ A არ არის არც განმსაზღვრელი თვისება, არც მისი ნაწილი, თუ მისი გამოვლენა წინასწარმეტყველებადია განმსაზღვრელ თვისებათა გამოვლენისა და განლაგების ტერმინებით. მაგ., თუ A გვხვდება B-სთან, C-სთან და D-სთან, მაგრამ არსად სხვაგან და არც B, არც C, არც D არ მოიპოვება A-ს გარეშე, მაშინ A არ არის განმსაზღვრელი თვისება. დისტინქტური თვისებები, რომლებიც არაა განმსაზღვრელი, იქნება განსაზღვრული თვისებები¹⁶⁹.

ფონოლოგიური დესკრიფცია, გვეუბნება ჰოკეტი, შედგება: (a) განმსაზღვრელ თვისებათა სიისაგან (ალტერნანტული დებულებებით, თუ ალტერნანტები არსებობს). (b) იმ განლაგებათა შესახებ დებულებისაგან, რომლებშიაც განმსაზღვრელი თვისებები გვხვდება გამოთქმებში; (c) იმ პირობათა შესახებ დებულებისაგან, რომლებშიაც თითოეული განმსაზღვრელი თვისება გვხვდება¹⁷⁰.

როგორც ვხედავთ, ფონოლოგიის ამოცანათა შორისაც არ არის დასახელებული ფონემების გამოყოფა, მაშინ როდესაც „დესკრიფციული ფონოლოგიის სისტემაში“ ფონემიკას ეკისრებოდა ფონების კლასიფიკაცია ფონემებად.

რაკი ტერმინ ფონემას არ ხმარობს, ჰოკეტი პირდაპირ ასახელებს ჩინურისათვის შეერთებებს, კონტურებს, ინტონაციებს, მახვილებს, ტონებს. ამათ გარდა ის გამოყოფს 15 განმსაზღვრელ თვისებას, რომელთაც ასოითი სიმბოლოებით აღნიშნავს (ასე: p-ბილაბიალური პოზიცია, t-აპიკო-ალვეოლარული პოზიცია, k-დორსო-ველარული პოზიცია, c-წინაენის პოზიცია..., S-არაასპირირებული სრული ხშვა ნახალიზაციის გარეშე, F-ფრიკატიული სპირანტული კონტაქტი, N-ნახალიზაცია და ა. შ.¹⁷¹ ამ თვისებებიდან, ავტორის სიტყვით, ზოგი ერთდროულად გვხვდება). იგი ხმარობს ტერმინებს: ხმოვანი, ნახევარხმოვანი, სრული თანხმოვანი¹⁷².

პიპინგის ფონოლოგიაში ჰოკეტი პირველად ხმარობს ტერმინებს მაკროსეგმენტი, მეზოსეგმენტი (mesosegment), მიკროსეგმენტი, მაკ-

¹⁶⁹ Ch. F. Hockett, Peiping Phonology, გვ. 217.

¹⁷⁰ იქვე, გვ. 218.

¹⁷¹ იქვე, გვ. 220.

¹⁷² იქვე, გვ. 221.

როშეერთება, მეზოშეერთება, მიკროშეერთება. ავტორი შენიშნავს, რომ ეს ერთგვარად მოუხერხებელი სისტემატიკა შემოღებულია აქ უმთავრესად იმიტომ, რომ არამიზანშეწონილი ჩანს ტერმინი 'მარცვლის' მნიშვნელობის გავრცელება იმგვარად, რომ ის ფარავდეს სეგმენტებს, რომლებიც ტრადიციული გაგებით შეიძლება ორმარცვლიანი იყვნენ (ე. ი. ჰქონდეთ სონორობის ორი მწვერვალი)¹⁷³. ამთავან ჰოკეტის შემდეგდროინდელ შრომებში შემორჩა მაკროსეგმენტი და მიკროსეგმენტი.

რატომ დაკარგა ფონემამ ფონოლოგიის ცენტრალური ცნების მნიშვნელობა? ეს უფრო ნათელი ხდება ჰოკეტის შრომიდან „ფონოლოგიის სახელმძღვანელო“. საქმე ის არის, რომ ამ ნაშრომში ჰოკეტი ფონოლოგიაში იყენებს უშუალო შემადგენელთა მიდგომას, რაც მას გრამატიკიდან გადმოაქვს¹⁷⁴.

ჰოკეტის სიტყვით, უშ ანალიზის საკითხი იქ დაისმის, სადაც საქმე გვაქვს ისეთ ერთეულებთან — მაკროსეგმენტებთან, მიკროსეგმენტებთან, მარცვლის მწვერვალთან და მისთ., — რომლებიც შეიძლება დაიყონ მათ უშ-ებად¹⁷⁵. გამოთქმის ფონოლოგიური სტრუქტურა შედგება უშ-ებისაგან მოცემული განლაგებით; ეს უშ-ები თავის მხრივ შედგებიან უფრო მცირე უშ-ებისაგან მოცემული განლაგებით და ა. შ. მანამ, სანამ არ მივალწევთ საბოლოო ფონოლოგიურ შემადგენლებს¹⁷⁶.

ამგვარად, უშ-თა მიხედვით ანალიზმა უნდა მიგვიყვანოს საბოლოო ფონოლოგიურ შემადგენლებამდე. მაგრამ ფონემები არ წარმოადგენენ ასეთ საბოლოო ფონოლოგიურ შემადგენლებს. რომლებიც აღარ დაიშლებიან უფრო მცირე შემადგენლებად.

¹⁷³ Ch. F. Hockett, Peiping Phonology, გვ. 218.

¹⁷⁴ ჰოკეტი შენიშნავს, რომ ეს არ არის ახალი ამოცანა. ბლუმფილდის ტერმინოლოგია „მარტივი პირველადი ფონემები“, „რთული პირველადი ფონემები“ და „მეორეული ფონემები“ წარმოადგენს მითითებას იფარჩიული მიდგომის მიმართულებით. იელსსლევის მტკიცება, რომ არსებობს ერთგვარი პარალელიზმი („იზომორფიზმი“ თუმცა არა ჩვეულებრივი, მათემატიკური გაგებით) გამოხატულების დონესა და შინაარსის დონეს შორის იძლევა შესაძლებლობას გადმოტანილ იქნეს ფონოლოგიაში (გამოხატულებაში) უშუალო შემადგენელთა მიდგომა, რასაც დიდხანს ეკავა წამყვანი ადგილი გრამატიკულ კვლევაში (შინაარსის შესწავლა). რამდენიმე წლის წინ კ. პაიკმა და ე. პაიკმა გამოაქვეყნეს, მაზატეკოს ფონოლოგიის უშ ანალიზი. Pike K. and Pike E. V., Immediate Constituents of Mazateco Syllables. IJAL. 1947, ტ. 13, 78—91. ჰოკეტს ეს გამოკვლევა მნიშვნელოვან ექსპერიმენტად მიაჩნია. ამასთან ის თელის, რომ უშ მიდგომას დიდი მნიშვნელობა ექნება ფონოლოგიური ტაქსონომიის განვითარებისათვის, გვ. 2.

¹⁷⁵ Ch. F. Hockett, A Manual of Phonology, გვ. 150.

¹⁷⁶ იქვე, გვ. 175—176.

ჰოკეტი წერს: ზოგი მაკროსეგმენტი შედგება ერთი მარცვლისაგან. ზოგი მარცვალი—ერთი მწვერვალისაგან, ზოგი მწვერვალი, შემართვა, დამართვა შედგება ერთეული ფონემისაგან. ასევე ფონემები შედგება ერთი საბოლოო შემადგენლისაგან (ანუ კომპონენტისაგან ანუ თვისებისაგან), მაშინ როდესაც ფონემათა მეტი წილი ნებისმიერ ენაში შედგება რამდენიმე საბოლოო კომპონენტის კონსიგან¹⁷⁷. ერთი კომპონენტისაგან შეიძლება შედგებოდნენ ე. წ. „სუპრასეგმენტური ფონემები“¹⁷⁸. მაგ., ტრმინალური კონტური / | / შედგება ორი კომპონენტისაგან // და 'აწევა'; // კი—ერთი საბოლოო შემადგენლისაგან. მახვილებიც საბოლოო უშუალო შემადგენლებია. (სეგმენტურ) ფონემებს შორის ერთშემადგენლიანი ერთეულები უფრო იშვიათია, მრავალშემადგენლიანი კონები კი უფრო საყოველთაო. საბოლოო შემადგენლებია: ბაგისმიერობა, წინაენისმიერობა, უკანაენისმიერობა, სპიონანტობა, ხშულობა, სიმოკლე და ა. შ.

ზემომოყვანილი ადგილიდან ვხედავთ, რომ ჰოკეტის მიხედვით, უშ ანალიზი ვერ შეჩერდება ფონემათა გამოყოფაზე. ფონემათა გამოყოფა მხოლოდ ერთ-ერთი საფეხურია ანალიზისა, საბოლოო, და უშლელ ერთეულებს კი კომპონენტები წარმოადგენენ. ამიტომ ჰოკეტი უშ მიდგომას კომპონენტურ ანალიზსაც უწოდებს¹⁷⁹. აქედან გასაგებია, რომ ფონემა უშ მიდგომის ანუ კომპონენტური ანალიზის დროს კარგავს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც მას, ჩვეულებრივ, ფონოლოგიაში აქვს, როდესაც იგი ანალიზის საბოლოო შედეგს წარმოადგენს.

საბოლოო ფონოლოგიური შემადგენლები ანუ კომპონენტები იგივე დისტინქტური თვისებებია¹⁸⁰, რომელთაც ჰოკეტი აღრინდელ ნაშრომებშიაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. სწორედ დისტინქტურ თვისებათა ანუ კომპონენტთა წინ წამოწევამ დაჩრდილა ფონემის პრობლემა. ჰოკეტი ამ ნაშრომშიაც გამოყოფს განმსაზღვრელ და განსაზღვრულ თვისებებს¹⁸¹. მეორე მხრივ, აშკარაა, რომ კომპონენტები არტიკულატორული თვისებებია. ჰოკეტი მათ შესახებ წერს:

ენის ფონოლოგიური ანალიზის დროს ჩვენ ვიპოვით საბოლოო ფონოლოგიურ შემადგენელთა უაღრესად მცირე ერთობლიობას. ამ

177 Ch. F. Hockett, A Manual of Phonology, გვ. 126.

178 ჰოკეტი ამ ნაშრომში ფონემას, ევროპული ტრადიციის შესაბამისად ხმარობს მხოლოდ სეგმენტური ფონემებისათვის. იქვე, გვ. 74—75.

179 იქვე, გვ. 129.

180 ამას თვით ჰოკეტიც გახაზავს. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 157.

181 იქვე, გვ. 174.

შემადგენელთაგან თითოეული არის არტიკულატორული მოძრაობის „მიზნის არე“, ისეთი, რომ ნებისმიერი მოკლე ან გრძელი გამოთქმა ენაში შედგება ამ ერთობლიობიდან არჩეული ელემენტების რაიმე განლაგებისაგან. ინგლისურში (და ბევრ ენაში) ბაგეების ერთბაში ხშვა არის ერთი საბოლოო ფონოლოგიური შემადგენელი. საბოლოო ფონოლოგიურ შემადგენელთა ერთობლიობა და განლაგებები, რომლებშიც ისინი გვხვდებიან გამოთქმებში ერთმანეთის მიმართ, ქმნიან ენის ფონოლოგიურ მოდელს. სხვადასხვა ენაში ელემენტთა ერთობლიობა და შეხვედრილი განლაგებები ძალიან განსხვავებულია. საბოლოო ფონოლოგიური შემადგენლები გამოთქმებში გვხვდებიან კომპლექსების სახით, შედიან უფრო ფართო კომპლექსებში და ა. შ.¹⁸²

ფონემის ზემომოცემული გაგება თავს იჩენს ფონემის განსაზღვრაშიც: „სეგმენტური ფონემები წარმოადგენენ სტრუქტურულ ერთეულებს, რომელთა საშუალო სიდიდე უფრო დიდია, ვიდრე საბოლოო ფონოლოგიური კომპონენტებისა, მაგრამ უფრო მცირეა, ვიდრე მარცვლებისა“¹⁸³.

ამ განსაზღვრებას თვით ავტორი უხეშ დეფინიციას უწოდებს, ვინაიდან ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია ამ მონოგრაფიაში გამოყენებული რელატივისტური მიდგომისასო¹⁸⁴.

ცნება „ფონემის“ გამოყენების სიდიდის დონის შეფარდებითობა (რელატიურობა), ჰოკეტის მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ ეს ცნება სხვადასხვაგვარი სირთულის ერთეულთა მიმართ იხმარება სხვადასხვა ავტორთა მიერ:

ზოგი მკვლევარი ამჯობინებს ჩამოთვალოს თანხმობან ფონემათა დიდი რაოდენობა და ჰქონდეს მცირერიცხოვანი კომპლექსები ან სრულიად არ ჰქონდეს ისინი. სხვები ამჯობინებენ. რამდენადაც შეიძლება მეტი სეგმენტები მიიჩნიონ კომპლექსებად და გამოყონ უფრო მცირე რაოდენობა „ფონემებისა“. მესამე ჯგუფი ვერ იყენებს მომჭირნეობას თავისი პოზიციის დასაცავად. მათ შორის განსხვავებას ქმნის ტერმინი „ფონემის“ სირთულის დონე. თუ „ფონემა აღნიშნავს რალაცას უფრო მაღალი სტრუქტურის მქონეს იერარქიულ მოდელში, ვიდრე საბოლოო ფონოლოგიური შემადგენლებია. მაშინ თვით ფონემის შემადგენელ ელემენტთა სპეციფიკაცია აღწერის მთლიანი ამოცანის ნაწილია. მკვლევარმა, რომელაც ადგენს „ფონემათა“ უფრო ფართო რაოდენობას, უნდა წარმოადგინოს ასეთი ხასიათის უფრო მეტი ინფორ-

¹⁸² Ch. F. Hockett, დასაბ. ნაშრ., გვ. 42—43.

¹⁸³ იქვე, გვ. 74.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 239.

მაცია და უფრო ნაკლები—„სუპერფონემურ“ დონეზე (კომპლექსები და ა. შ.). მკვლევარმა, რომელიც ადგენს „ფონემათა“ უფრო მცირე რაოდენობას, ნაკლები უნდა თქვას „ქვეფონემურის“ (სუბფონემურის) შესახებ და შესატყვისად მეტი—„ზეფონემურის“ (სუპერფონემურის) შესახებ. ცხადია, თანაბრად სწორი აღწერა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ორივე გზით და არ შეიძლება ვუჩვენოთ, რომ ერთი უფრო ეკონომიურია, ვიდრე მეორე¹⁸⁵.

ფოქსი ენის თანხმომავთა უშ-თა მიხედვით ანალიზის დროს პოკეტი გაურბის ტერმინი „ფონემის“ ხმარებას. ანალიზის დამთავრების შემდეგ იგი სვამს კითხვას: ცალკე ფონემას წარმოადგენს, თუ ფონემათა კომპლექსს?— ჩვენ არ გამოვიყენებთ ტერმინი „ფონემა“ ჩვენს უშ ანალიზში, რადგან არ ვიცით, სად შემოვიტანოთ იგი¹⁸⁶. კითხვა „ფონემას წარმოადგენს /ჲ/ თუ კომ.ლექსს?“ მეტად ვიწროა და არანაყოფიერი. უფრო პროდუქტიულია ვიკითხოთ, „რომელ იერარქიულ დონეზე ან დონეებზე ფუნქციობს მოცემული ელემენტი და უშ სკალის მოქმედების რომელ საფეხურზე უნდა დაიყოს იგი უფრო მცირე შემადგენლებად?“ ამ კითხვებზე ვცდილობდით გაგვეცა პასუხი ზემოთ. რას ნიშნავს ტერმინი „ფონემა“ და როგორ უნდა ვიხმაროთ ის, განხილულია, როგორც დამხმარე მნიშვნელობის მქონე¹⁸⁷.

ანალოგიურ აზრს გამოთქვამს პოკეტი ფონოლოგიური ანალიზის პრინციპთა განხილვის დროსაც. იგი წერს: სეგმენტები, რომლებიც იდენტურ გარემოცვებში გვხვდება, აუცილებლად ფონოლოგიურად განსხვავებულია, მაგ., /p/ და /b/ ინგ. pit და bit-ისა. ჩვენ ვამბობთ „ფონოლოგიურად განსხვავებული“ და არა „განსხვავებული ფონემები“, რადგან კონტრასტული სეგმენტები შეიძლება იყვნენ ან ფონემები ან რაიმე სახის ფონემური თანმიმდევრობანი. ასე, წყვილი blown და grown ავლენს ფონოლოგიურად განსხვავებულ /b/-ს და /gr/-ს, რომელთაგან ორივე ორ-ორი ფონემის თანმიმდევრობაა. თვით /p/ და /b/ pit-ისა და bit-ისა ფონოლოგიურად რთული არიან და არა მარტივი: ვუწოდებთ მათ „ფონემებს“ თუ არა, ეს ერთგვარად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ ამ ტერმინს¹⁸⁸.

როგორც ვხედავთ, დესკრიფციული ენათმეცნიერების ზოგ წარმომადგენელთან¹⁸⁹ ამ მიმდინარეობის განვითარების გარკვეულ ეტაპ-

¹⁸⁵ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 160.

¹⁸⁶ იქვე, გვ. 163.

¹⁸⁷ იქვე, გვ. 161.

¹⁸⁸ იქვე, გვ. 155.

¹⁸⁹ ჯოსი აღნიშნავს, რომ პოკეტი ამ შემთხვევაში მართო არ არის.

ზე ფონემა კარგავს ფონოლოგიის ცენტრალური ცნების მნიშვნელობას. ეს დაკავშირებული ჩანს ფონოლოგიაში უშ ანალიზის გამოყენებასთან და ფონემის დაშლასთან საბოლოო შემადგენლებად ანუ კომპონენტებად¹⁹⁰. ამ თვალსაზრისის დასაბუთების ცდა ჰოკეტს მოცემული აქვს 1961 წ. ნაშრომში „ლინგვისტური ელემენტები და მათი მიმართებანი“. მაგრამ ამაზე ადრე მან გამოაქვეყნა „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსი“, რომელშიაც უშ მიდგომა ფონოლოგიაში არ არის გამოყენებული და ფონემაც ინარჩუნებს თავის ტრადიციულ მნიშვნელობას. ქრონოლოგიური პრინციპის დაცვის მიზნით ჯერ ამ ნაშრომს შევეხოთ.

6.8. ფონოლოგიის ძირითადი ერთეულები 1058 წ. „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ ფონოლოგიის ანუ ფონემიკის ამოცანად მიჩნეულია იმის გარკვევა, თუ როგორია მეტყველებაში გამოყენებულ ბგერათა სახეები, როგორ წარმოითქმიან და როგორ გამოიცნობიან ისინი¹⁹¹.

ჰოკეტის აზრით, ინგ. p ბგერა pin-ის დასაწყისში შეიძლება ორგვარად აიწეროს: იგი შეიძლება აღვწეროთ არტიკულატორული ფონეტიკის ტერმინებით, როგორც „ყრუ ბილაბიალური ხშული“, მაგრამ ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ბგერის აღწერას ფუნქციონალური განხილვის საფუძველზე: ენის ბგერის ერთადერთი დანიშნულებაა განასხვავოს ერთმანეთისაგან გამოთქმები. მაშასადამე, ენის ფონოლოგიური სისტემა არის არა იმდენად „ბგერათა მწკრივი“, რამდენადაც ბგერებს შორის განსხვავებათა ბაღე. ამ მიმართებაში ფონოლოგიური სისტემის ელემენტები შეიძლება განისაზღვროს არა პოზიტიურად, ტერმინებით, თუ რას „წარმოადგენენ“ ისინი, არამედ მხოლოდ ნეგატიურად, ტერმინებით, თუ რას არ წარმოადგენენ, რას უპირისპირდებიან ისინი¹⁹²; p რომ „ყრუ ლაბიალურ ხშულს“ წარმოადგენს, ეს ჰუმარიტია და არა ირელევანტური, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ p განსხვავდება გარკვეული სხვა ელემენტებისაგანო, — დასძენს ავტორი¹⁹³.

ჰოკეტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ინგლისურში წარმოთქმის სხვადასხვა ვარიაციები არსებობს. მაგრამ ამ ენაზე მოლაპარაკენი ბავშვობიდანვე ეჩვევიან იმას, რომ არ შეამჩნიონ წარმოთქმის გარკვეული ვარიაციები და გაამახვილონ ყურადღება არსე-

¹⁹⁰ დასახელებულ საკითხთა შორის ასეთ შინაგან კავშირზე ჯოსი არ მიუთითებს.

¹⁹¹ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 15.

¹⁹² იქვე, გვ. 24.

¹⁹³ იქვე, გვ. 24—25.

ბით განსხვავებებზე. ამიტომ, რომ ინგლისურად მოლაპარაკე ვერ ამჩნევს p-ს მსგავს ელემენტთა საკმაოდ დიდ ცვალებადობას თავის წარმოთქმაში. სამაგიეროდ ადვილია რიგი ირელევანტური ვარიაციების დაქვრა სხვა ენაში. ავტორს მხედველობაში აქვს უცხო ენის ისეთი ვარიაციები, რომლებიც ამ ენისათვის ირელევანტურია, დამკვირვებლის ენაში კი რელევანტურია, ფუნქციონალურია და ამიტომ მათი გარჩევის უნარი დამკვირვებელს აქვს¹⁹⁴.

ამ ფუნქციონალური მიდგომით, გვეუბნება ჰოკეტი, თუ ჩვენ საქმე გვაქვს ცალკე ენის ფონოლოგიურ სისტემასთან, ჩვეულებრივ, არ ვიყენებთ ტერმინს „სამეტყველო ბგერა“. მაგ., ამ კონტექსტში ჩვენ არ ვუწოდებთ ინგ. p-ს „სამეტყველო ბგერას“, რადგან, „ერთსა და იმავე“ სამეტყველო ბგერას წარმოადგენს ინგ. p-ს ყველა გამოვლენა, თუ ზოგი მათგანი ერთი სამეტყველო ბგერაა და ზოგი მეორე, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ისმენს და როგორ აღწერთ ჩვენ იმას, რაც ისმის. სამაგიეროდ ინგ. p-ს ფონემას ვუწოდებთ¹⁹⁵.

ჰოკეტის მიხედვით, ფონემები წარმოადგენენ ელემენტებს, რომლებიც ერთმანეთის კონტრასტული არიან ენის ფონოლოგიურ სისტემაში. ფონემა მოცემულ ენაში განისაზღვრება მხოლოდ იმავე ენის სხვა ფონემებისაგან მისი განსხვავების ტერმინებით¹⁹⁶.

ფონემის განსაზღვრა მხოლოდ სხვა ფონემისაგან მისი ფუნქციური განსხვავების მიხედვით, ე. ი. არა პოზიტიური, არამედ ნეგატიური, არ არის დამახასიათებელი ამერიკული ფონოლოგიური ტრადიციისათვის. ეს არის სოსიურისა და ევროპის სტრუქტურალისტური სკოლების (განსაკუთრებით გლოსემატიკის) თვალსაზრისი და ალბათ ამ უკანასკნელთა გავლენას უნდა მიეწეროს. მაგრამ ჰოკეტი ერთგული რჩება ამერიკული ტრადიციისა იმით, რომ დაპირისპირების გზით ნეგატიურად გამოყოფილ ფონემებს ის საბოლოოდ მაინც უკავშირებს არტიკულატორულ თვისებებს.

ჰოკეტის მიხედვით, არტიკულატორული ფონეტიკა არ აქცევს ყურადღებას კონტრასტს, იგი აღწერს სამეტყველო ბგერებს მათი წარმოთქმის მექანიზმების ტერმინებით. მაგრამ შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მიმართების არტიკულატორული ყალიბი, მიუხედავად ფონემური სისტემის ანალიზს და ვთქვათ, თუ როგორ განსხვავდებიან ფონემები ერთმანეთისაგან. მაგ., ინგ. /p/ და /b/ კონტრასტული არიან სიყრუე-მკლერობით. იგივე კონტრასტი მეორდება ინგ-

¹⁹⁴ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 25.

¹⁹⁵ იქვე.

¹⁹⁶ იქვე, გვ. 26.

ლისურ ფონემათა ზოგ სხვა წყვილში. ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე ვაჩვენოთ, რომ კონტრასტულ ფონემათა გარკვეული წყვილები უფრო მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე სხვა წყვილები. ინგ. /p/ და /d/ განსხვავდებიან დისტინქტურად არა მხოლოდ არტიკულაციის სახეობით (ყრუ მელერის საპირისპიროდ), არამედ აგრეთვე პოზიციითაც (ბილაბიალური აპიკალურ-ველარულის საპირისპიროდ)¹⁹⁷.

ევროპული ფონოლოგიის გავლენა ჰოკეტის ნაშრომში არა მხოლოდ ფონემის ფუნქციურ განსაზღვრაში იჩენს თავს. ამ ნაშრომში, ისევე როგორც „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“, ევროპული ტრადიციის შესაბამისად ის არ ხმარობს ტერმინს „სუპრასეგმენტური ფონემა“¹⁹⁸, თუმცა ამერიკულ ტრადიციას ბოლომდე მაინც ვერ უვლის გვერდს და ხან „სეგმენტურ ფონემას“ იხმარს, ხან კი ინტონაციურ ან შეერთების ფონემებს ასახელებს. გამოთქმას „სეგმენტური ფონემა“ გამართლება აქვს მხოლოდ „სუპრასეგმენტურ ფონემასთან“ დაპირისპირებით, ხოლო ინტონაცია, შეერთება და მისთ. ევროპულ ფონოლოგიაში საერთოდ არ ითვლება ფონემებად.

ისევე, როგორც „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“, „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსშიაც“ არ გვხვდება ტერმინი „ფონი“. იხმარება მხოლოდ „ალოფონები“. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ „კურსში“ ჰოკეტი სისტემატურად ლაპარაკობს ბგერათა შესახებ (იქ, სადაც ის სხვა შემთხვევებში ფონებს ხმარობდა).

გამართლებულად მიგვაჩნია ავტორის მიერ ტერმინი „ალოფონების“ განსაზღვრა ფონეტიკაში. „ალოფონები“ მართლაც ფონეტიკური ცნებაა. ესაა ბგერები, რომლებიც სხვადასხვა პოზიციაში წარმოითქმებიან. თვით ჰოკეტი შემდეგნაირად ახასიათებს მათ:

ინგ. pin-ში, ისევე როგორც spin-ში გვხვდება ფონემა /p/, მაგრამ იგი ამ ორ სიტყვაში სხვადასხვაგვარად ჟღერს: /p/-ს pin-ში ახლავს „ასპირაცია“, მაშინ როდესაც /p/-ს spin-ში ასპირაცია არა აქვს. ვინაიდან ეს განსხვავება არ არის ფონემურად რელევანტური ინგლისურში. ამიტომ ფონემურ ნოტაციაში ორივე შემთხვევაში იწერება /p/. მაგრამ რადგანაც სამეტყველო ბგერაში განსხვავება არსებობს, იგი უნდა აღინიშნოს ფონეტიკურ ნოტაციაში. მართლაც pin-ის ბგერისათვის იწერება [p'], ხოლო spin-ის ბგერისათვის [p] ან [p'] და მისთ.

¹⁹⁷ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

¹⁹⁸ „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ ავტორი წერდა, ევროპულ ხმარებას უპირატესობას ვანიკებ მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მოხერხებულია ერთსიტყვიანი „ფონემა“, ვიდრე ფრაზა, „სეგმენტური ფონემა“ (რომელიც იხმარება „სუპრასეგმენტური ფონემის“ საპირისპიროდ). A Manual of Phonology, გვ. 74.

ეს ორი ბგერა ერთი და იმავე ფონემის /p/-ს ალოფონებს წარმოადგენენ. ჰოკეტის განსაზღვრით: როდესაც ფონეტიკურად გაწვრთნილ მკვლევარს შეუძლია გაიგონოს ორი ან სამი აშკარად განსხვავებული ბგერის ტიპი, რომლებიც წარმოადგენენ მოცემული ენის ერთსა და იმავე ფონემას, ამ განსხვავებულ ტიპებს ხშირად ეწოდება ალოფონები¹⁹⁹.

მაკროსეგმენტი და მიკროსეგმენტი „კურსშიაც“ აქტუალურ ცნებათა რიგს განეკუთვნება. მაკროსეგმენტი, ავტორის მიხედვით, ეწოდება ერთი ინტონაციით წარმოთქმული მასალის მონაკვეთს²⁰⁰. მაკროსეგმენტი შეიძლება დაიყოს ორ ან მეტ თანმიმდევრულ უფრო მცირე ნაწილად შეერთების ფონემის /+/-/ გამოვლენით. თითოეულ ასეთ ნაწილს ეწოდება მიკროსეგმენტი. თუ მაკროსეგმენტი არ შეიცავს /+/-/-ის გამოვლენას, მაშინ ის შედგება ერთი მიკროსეგმენტისაგან. მახვილების გარდა მიკროსეგმენტი შედგება სეგმენტური ფონემებისაგან²⁰¹.

„თანამედროვე ენათმეცნიერების კურსი“ ერთგვარად გამოვარდნილია ჰოკეტის ფონოლოგიური კონცეფციისაგან იმ მხრივ, რომ როგორც მასზე აღრე, ისე მის შემდეგაც ჰოკეტი ფონემებს არ მიიჩნევდა ძირითად ერთეულებად. რით აიხსნება ეს, ძნელი სათქმელია, შესაძლებელია, სახელმძღვანელოს მოთხოვნილებები აიძულებდა ჰოკეტს გვერდი აეხვია ფონოლოგიაში საკმაოდ რთული კომპონენტური ანალიზისათვის? როგორიც არ უნდა იყოს მიზეზი, ფაქტია, რომ „კურსში“ წარმოდგენილ კონცეფციას ვერ ვუწოდებთ „ფონოლოგიას უფონემოდ“. აქ არც ფონემათა კომპონენტებზეა ლაპარაკი²⁰². მაგრამ ცოტა მოგვიანებით 1961 წ. ჰოკეტი კვლავ უბრუნდება და ავითარებს იმავე თვალსაზრისს, რაც „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ იყო წარმოდგენილი. ეს არის ნაშრომში „ლინგვისტური ელემენტები და მათი მიმართებანი“. ამ ნაშრომს ჩვენ მხოლოდ გრამატიკის ძირითად ერთეულთა შემდეგ განვიხილავთ, ვინაიდან მასში ფონოლოგიური და

¹⁹⁹ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 63. „დესკრიფციული ფონოლოგიის სისტემაში“ ჰოკეტი ბგერის ტიპის ნაცვლად ამბობდა „ფონემის კლასი“.

²⁰⁰ A Course in Modern Linguistics, გვ. 38.

²⁰¹ იქვე, გვ. 59—60.

²⁰² არ შეიძლება არ მოვიგონოთ ჟოსის შენიშვნა ჰოკეტის მიმართ სხვა საკითხთან დაკავშირებით: ჟოსის სიტყვით, ჰოკეტი ისე ექცევა თავის ახალ იდეებს, თითქოს ვიდაცას სხვას გამოეთქვას ისინი და შემდეგდროინდელ ნაშრომებში აღარ იყენებს მათ. ასეთი ქცევა საკმაოდ ჩვეულებრივია ამერიკელ ენათმეცნიერ თეორეტიკოსებს შორის და მან გამოიწვია უსიამოვნო კრიტიკა უპასუხისმგებლო ზიგზაგების შესახებო, — წერს ჟოსი. RIL, გვ. 242.

გრამატიკული ელემენტები ისე მკიდროდა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი გამოცალკევება არ არის მიზანშეწონილი.

7. ბრამატიკის ძირითადი ერთეულები

მორფემა, მორფი, ალომორფი. გრამატიკის ძირითად ერთეულს დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში მორფემა წარმოადგენს. ისევე, როგორც ფონოლოგიაში, ჰოკეტი გრამატიკაშიაც სამწევროვან დაყოფას მისდევს: მორფემა, მორფი, ალომორფი. ამათგან „მორფი“ თვით ჰოკეტის მიერ არის შემოტანილი დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. ეს ტერმინი მან პირველად იხმარა ნაშრომში „მორფემული ანალიზის პრობლემები“ 1947 წ. ჰარისის „ალტერნანტის“, „მორფემული ალტერნანტის“ ან „მორფემული ერთეულის“ ნაცვლად²⁰³. ავტორი შენიშნავს, რომ ამ ნაშრომში სამწევროვანი სისტემა არ ჩანს. ავტორი ხმარობს მხოლოდ მორფს და მორფემას, მაშინ როდესაც დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ტერმინი „ალოფონი“ უკვე 1938 წლიდან იხმარებოდა. კეროლის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის პირველად უნდა ეხმარა უორფს²⁰⁴. ალომორფის გამოუყენებლობა მით უფრო იქცევის ყურადღებას, რომ სრული ანალოგია არ გამოდის. ერთი მხრივ „(ალო)ფონი“, ხოლო მეორე მხრივ „მორფი“ და არა „(ალო)-მორფი“²⁰⁵.

მორფები შემდგენიად არის დახასიათებული: ენის გამოთქმებში გვხვდება გამეორებული ნაწილები მუდმივი მნიშვნელობით. გამეორებული ნაწილები, რომლებიც არ შედგება უფრო მცირეთაგან, წარმოადგენს ალტერნანტებს ანუ მორფებს. განმარტებით მორფს ყველა გამოვლენისას ერთი და იგივე ფონემური ფორმა აქვს. მორფები ყოველთვის არ არიან შედგენილი ფონემათა გაბმული უწყვეტი მონაკვეთებისაგან, მაგრამ ყოველთვის შედგებიან ფონემებისაგან. ყოველი გამოთქმა მთლიანად შედგენილია მორფებისაგან²⁰⁶.

²⁰³ Ch. F. Hockett, Problems of Morphemic Analysis, გვ. 322.

²⁰⁴ იხ. მაგ., Э. Хэмп, Словарь американской лингвистической терминологии, გვ. 35.

²⁰⁵ ნაშრომში The State of the Art ჰოკეტი აღნიშნავს, რომ მან 1947 წ. „მორფემული ანალიზის პრობლემებში“ რომელსაც ეეროპული გამოცევის გაუღწივით ალოფონის პარალელურად იხმარა ტერმინი „ალომორფი“ (გვ. 28). ფაქტობრივად კი მას ამ ნაშრომში მორფი აქვს ნახმარი და არა ალომორფი.

²⁰⁶ Ch. F. Hockett, Problems of Morphemic Analysis, გვ. 322. მართალია, აქ ჰოკეტი ჰარისის შეხედულებებს გადმოგეცემს თავისი ტერმინებით, მაგრამ ამ შეხედულებებს ის თვითონაც იზიარებს.

მორფემის განსაზღვრას ჰოკეტი მხოლოდ სქოლიოში იძლევა: „მორფემა არის მორფემების კლასი“²⁰⁷.

როგორც ვხედავთ, არც მორფემის, არც მორფის განსაზღვრაში არ შემოდის მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ არის. ეს ის პერიოდია, როდესაც ჰოკეტი იელის სკოლის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ცდილობდა მნიშვნელობის გამორიცხვას გრამატიკული ანალიზიდან. საგულისხმოა, რომ ამ სკოლის მეორე წარმომადგენელი ბ. ბლოკი იმავე 1947 წ. დაწერილ წერილში იმეორებს ბლუმფილდისეულ განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც მორფემა არის ლინგვისტური ფორმა, რომელიც არ ავლენს ფონეტიკურ-სემანტიკურ მსგავსებას ნებისმიერ სხვა ფორმასთან²⁰⁸.

მართალია, მორფისა და მორფემის ჰოკეტისეულ განსაზღვრებებში მნიშვნელობა არ შედის, მაგრამ მნიშვნელობა მაინც გვევლინება მორფემის გამოყოფის კრიტერიუმად. ამასთან დაკავშირებით ჰოკეტი შემდეგ შენიშნავს აკეთებს:

ჭერ კიდევ გამოუქვეყნებელ ხელნაწერში ჰარისი უჩვენებს, თუ როგორ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში თეორიულად, მნიშვნელობის კრიტერიუმის ელიმინაცია, მიმართავს რა სემანტიკურ განხილვებს მხოლოდ დესკრიფციული ანალიზის მთლიანი პროცესის პირველ საფეხურზე, როდესაც უნდა გადაწყდეს, ორი გამოთქმა, როგორც ისტორიული მოვლენები, „ერთი და იგივეა“, თუ არა. ამგვარად, მნიშვნელობის მოთხოვნილება იქცევა პრაქტიკულ შემოკლებად (shortcut) და ამგვარადაა ის აქ გამოყენებული²⁰⁹.

მორფემის ფორმალური განსაზღვრა, მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე, არის მოცემული „გრამატიკული აღწერის ორ მოდელშიაც“. ამ ნაშრომში უკვე სამი ერთეულია წარმოდგენილი: მორფემა, მორფი. ალომორფი. ავტორი მათ შემდეგნაირად განსაზღვრავს: „მორფემა არის მარტივი ფორმა“²¹⁰.

²⁰⁷ Ch. F. Hockett, Problems of Morphemic Analysis, გვ. 324, 262. 12.

²⁰⁸ B. Bloch, English Verb Inflection. «Language», 1947, ტ. 23=RiL, გვ. 243. ჯოსის სიტყვით, ეს სტატეები ჰოკეტმა და ბლოკმა ერთდროულად დაწერეს. ორივე წაკითხული იყო ერთსა და იმავე ზაფხულს საინათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე. RiL, გვ. 242.

²⁰⁹ Ch. F. Hockett, Problems of Morphemic Analysis, გვ. 327—328, 262. 20. როგორც ვნახეთ, მოგვიანებით ჰოკეტმა უარყო ასეთი დამოკიდებულება მნიშვნელობის მიმართ.

²¹⁰ Ch. F. Hockett, Two Models of Grammatical Description, გვ. 214.

თვით ფორმა არ არის განსაზღვრული, მხოლოდ ნათქვამია, რომ ფორმა შეიძლება იყოს მარტივი და რთული. ავტორი შენიშნავს, ლინგვისტური ფორმა სხვა ტერმინების მიერ განისაზღვრება და აქ ჩვენი საერთო გაგებით იგულისხმება²¹¹.

ჰოკეტის მიხედვით, მორფემა შეიძლება მოგვევლინოს ერთზე მეტი ფონემური ფორმით. მორფემის ცალკეული ფორმა არის მორფი. სხვადასხვა მორფები, რომლებიც წარმოადგენენ ერთი და იმავე მორფემის ფორმებს ანუ წარმომადგენლებს (representations). არიან ალომორფები²¹².

„ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“, სადაც მნიშვნელობის როლი აღიარებულია ავტორის მიერ, მორფემა განსაზღვრულია მნიშვნელობაზე დაყრდნობით.

მორფემებია ინდივიდუალურად მნიშვნელობის მქონე უმცირესი ელემენტები ენის გამოთქმებში²¹³.

როდესაც მორფემა წარმოდგენილია ზოგჯერ ერთი ფონემური ფორმით და ზოგჯერ სხვით ან სხვებით, ჩვენ ვამბობთ, რომ ფორმები ერთმანეთთან ალტერნაციაში იმყოფებიან, ან მოკლედ, რომ მორფემა ავლენს ალტერნაციას. თითოეული წარმომადგენელი არის მორფი. ყველა მორფს, რომლებიც წარმოადგენენ რომელიმე მოცემულ მორფემას, ეწოდება ამ მორფემის ალომორფები²¹⁴.

8. როგორი ბუნებისაა ფონოლოგიისა და გრამატიკის ერთაშუაში. მორფემებისა და ფონემების ურთიერთმიზიდვანი

ლინგვისტურ ერთეულთა ბუნების შესახებ ჰოკეტის შეხედულებანი უკავშირდება ავტორის ზოგად კონცეფციას. „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ ეს საკითხები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

ტრადიციული თვალსაზრისით, ფონოლოგიური და გრამატიკული ერთეულები განსხვავდებიან პირველ ყოვლისა სიდიდის დონით, ასე რომ ენის მთელი აგებულება შეიცავს მხოლოდ ერთ იერარქიას: მორფემა შედგება ერთი ან მეტი ფონემისაგან, სიტყვა შედგება ერთი ან მეტი მორფემისაგან, ფრაზა შედგება ერთი ან მეტი სიტყვისაგან და ა. შ. თანამედროვე თვალსაზრისი რადიკალურად განსხვავებულია. მორფემები საერთოდ არ არიან შედგენილი ფონემებისაგან. მორფე-

²¹¹ Ch. F. Hockett, Two Models of Grammatical Description, გვ. 214.

²¹² იქვე, გვ. 215.

²¹³ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 123.

²¹⁴ იქვე, გვ. 272.

მები დაუშლელი ერთეულებია. მოცემული მორფემა წარმოდგენილია (ist represented) ფონოლოგიური მასალის გარკვეული მეტად ან ნაკლებ კომპაქტური განლაგებით ან ზოგჯერ ასეთი განლაგებით და ზოგჯერ კი სხვაგვარით. თუ ჩვენ ასეთ რეპრეზენტაციას მორფს ვუწოდებთ, მაშინ სწორი იქნება ითქვას, რომ მორფს აქვს ფონოლოგიური სტრუქტურა, რომ ის შედგება ფონემათა განლაგებისაგან²¹⁵.

ასევე ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფონემა ან სხვა ფონოლოგიური ერთეული ფიზიკურად არის მოცემული სამეტყველო სიგნალში: ის. რაც მოცემულია სიგნალში, რაზედაც პირდაპირ დაკვირვება შეიძლება, ესაა ფონემის რეპრეზენტაცია²¹⁶.

ამგვარად, არც მორფემები, არც ფონოლოგიური ერთეულები არ შეიძლება იყვნენ პირდაპირი დაკვირვების საგანი. ორივე უნდა გამოყვანილ იქნეს იმისაგან, რაზედაც პირდაპირი დაკვირვება ხდება: ადამიანის ქცევა იქნება ის, მეტყველება თუ სხვა რამ²¹⁷. ნორმალურად ჩვენ ვიყენებთ მეტყველების რეალურ მაგალითებს, პლუს თანმხლები ქცევის გამოკვლევები, ან ინფორმანტის აღწერებს გამოთქმათა „მნიშვნელობებზე“, რომ შევქმნათ როგორც გრამატიკული, ისე ფონოლოგიური სისტემის მონახაზი²¹⁸.

პოკეტი თავის თვალსაზრისს უფარდებს იელმსლევის ტერმინოლოგიას გამოხატულებისა და შინაარსის შესახებ. მისი აზრით, მორფემები შინაარსის ერთეულებია: შინაარსის (content) სფეროს ანალიზი არის გრამატიკული ანალიზი. ფონემები და სხვა ფონოლოგიური ერთეულები გამოხატულების ერთეულებია. შინაარსი არ უნდა აირიოს „მნიშვნელობაში“, რომელსაც საქმე აქვს იმ გზასთან, რომლითაც გამოცდილება არის კოდირებული მორფემათა განლაგებებად. არც გამოხატულება უნდა აირიოს „ბგერაში“, ეს უკანასკნელი ტერმინი მიმართებაშია უფრო ფიზიკურად გაზომვად ბგერით ტალღებთან, რომლებიც ქმნიან სამეტყველო სიგნალს. არ არის არც შეცდომა, არც ტერმინოლოგიის განსხვავება, თუ მორფემებს მივიჩნევთ გამოხატულების „სფეროს“ ელემენტებად: თუ ეს არის უბრალოდ ტერმინოლოგიის განსხვავება, მაშინ ის შეიცავს ტერმინი „მორფემის“ გამოყენებას ჩვენი „მორფისათვის“. იელმსლევიც განასხვავებს „ფორმას“ და „სუბსტანციას“ — განაგრძობს პოკეტი, — სუბსტანციას საქმე აქვს იმასთან, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ენის ფონეტიკური და სემანტიკური

²¹⁵ Ch. F. Hockett, A Manual of Phonology, გვ. 15.

²¹⁶ იქვე.

²¹⁷ იქვე.

²¹⁸ იქვე, გვ. 16.

ქვესისტემები, მაშინ როდესაც ფორმა ეხება ფონოლოგიას და გრამატიკას. იელმსლევის „მოდელს“ (pattern) ჰოკეტი უფარდებს, თუმცა არა ისე დაბეჭდვით, „ქცევას“, ხოლო „ხმარებას“ (usage) — „ჩვევებს“ (habits). მხოლოდ ქცევაზე შეიძლება დაკვირვება, ჩვევათა შესახებ კი დასკვნები უნდა გაკეთდეს. ლინგვისტური ანალიზის მეთოდოლოგია წარმოადგენს ასეთი დასკვნების გამოყვანის მეთოდოლოგიასო, — დასძენს იგი²¹⁹.

ჰოკეტი „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსშიაც“ ეხება იმავე საკითხებს. იგი წერს:

ფონემა თავის დროზე განსაზღვრული იყო არა როგორც სამეტყველო ბგერა ანუ ალოფონი, არამედ როგორც რანგი სამეტყველო ბგერისა, რომელიც ფუნქციობს, როგორც კონტრასტის პუნქტი კონტრასტთა გადამკვეთ ქსელში. ფონემა განსაზღვრულია არა იმდენად იმ ტერმინებით, თუ რა „არის“ ის ან რა „ბგერას ჰგავს“ ის, რამდენადაც ტერმინებით, თუ რა არ არის ის, — რისგან განსხვავდება იმავე ენის შიგნით²²⁰.

ანალოგიური ვითარებაა, ჰოკეტის სიტყვით, მორფემათა მიმართაც. მორფემა მოცემულ ენაში განსაზღვრულია მხოლოდ ენის მთელ მორფემულ სისტემასთან მიმართებით: მორფემა არის რაღაც ენის ყველა დანარჩენი მორფემისაგან განსხვავებული. არავითარ შემთხვევაში პასუხი არ არის სუბსტანციის ტერმინებით, — გვაფრთხილებს ავტორი. არ შეიძლება მიეუთითოთ და ვთქვათ, „ესაა ფონემა“ ან „ესაა მორფემა“, არამედ შეიძლება მხოლოდ განისაზღვროს, თუ როგორია ერთეულის ესა თუ ის ტიპი და როგორია ცალკე ენის ცალკეული ფონემა ან მორფემა იმ ოპერაციათა და კრიტერიუმთა ტერმინებით, რომლებიც გამოიყენება მათ აღმოსაჩენად. ოპერაციები და კრიტერიუმები, ცხადია, განსხვავებულია ფონემებისა და მორფემებისათვის. ფონემისათვის კრიტერიუმი მთელი გამოთქმების იდენტობა ან განსხვავება ბგერითი თვალსაზრისით მკვიდრ მოლაპარაკესთან მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე. მორფემისათვის კი კრიტერიუმებია მნიშვნელობაც და (წინასწარ განსაზღვრული) ფონემური ფორმაც²²¹.

რაც შეეხება მორფემისა და ფონემის მიმართებას, ავტორის სიტყვით, ამ საკითხს ემპირიული გზით ვერ გადავწყვეტთ, ის უნდა დავუშვათ განსაზღვრით.

²¹⁹ Ch. F. Hockett, A Manual of Phonology. გვ. 15.

²²⁰ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 134.

²²¹ იქვე.

მორფემის მიმართებისთვის მის ნებისმიერ ფონემურ ფორმასთან გამოიყენება ფრაზა წარმოდგენილია ...-ით: ინგლისური სახელის მრავლობითის მორფემა წარმოდგენილია /z/ ფონემური ფორმით /d/-ს შემდეგ და წარმოდგენილია /s/-ით /l/-ს შემდეგ. ეგვეე ფრაზა გამოიყენება ფონემასა და მის ალოფონებს შორის მიმართებისათვის: ინგ. ფონემა /p/ წარმოდგენილია ყრუ არაასპირირებული ბილაბიალური ხშულით /s/-ს შემდეგ ხმოვნის წინ, მაგრამ ყრუ ასპირირებული ბილაბიალური ხშულით დასაწყისში მახვილიანი ხმოვნის წინ²²².

ავტორის სიტყვით, გზები, რომლებითაც მოცემული ენის მორფემებია წარმოდგენილი ფონემური ფორმებით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც კოდის სახეობანი. ეს კოდი არის ენის მორფოფონემური სისტემა. როდესაც შეგნებულად იგონებენ კოდებს და ციფრებს. მეტწილად ქმნიან ე. წ. მარტივი შენაცვლების ტიპის სისტემებს. ეს ნიშნავს, რომ კოდირებული ცნობის ყოველი ელემენტი შენაცვლებულია ერთი ფიქსირებული ელემენტით კოდირებულ ფორმაში, ხოლო ეს ფიქსირებული ელემენტი ყოველთვის წარმოგვიდგენს ერთსა და იმავე ელემენტს ორიგინალში. ენის მორფოფონემიკა არასოდეს არაა ასე მარტივიო, — აღნიშნავს ჰოკეტი. ყოველთვის არსებობს მრავალი შემთხვევა, როდესაც ორი ან მეტი მორფემა წარმოდგენილია ერთი და იმავე ფონემური ფორმით (მაგ., meel და meal) და ყოველთვისაა შემთხვევები, რომლებშიაც ერთი მორფემა წარმოდგენილია ხან ერთი ფონემური ფორმით, ხან კი — სხვით (/s/ და /z/ მრავლობითი). ეს იმას ნიშნავს, რომ ენის მორფოფონემიკა არასოდეს არაა ტრივიალური და ნებისმიერი ენის ნებისმიერმა სისტემატურმა აღწერამ უნდა გამოავლინოს იგი²²³.

9. კოკაბის კონცეფცია ენობრივი ირთაულებიხისა და მათ მიგარტეგათა
შესახებ 1961 წ.

1961 წ. ჰოკეტმა ჟურნალ «Language»-ში გამოაქვეყნა სტატია „ლინგვისტური ელემენტები და მათი მიმართებანი“. ეს სტატია მეტად მნიშვნელოვანია ავტორის შეხედულებათა ბოლო ეტაპის გასათვალისწინებლად. ჰოკეტი აღნიშნავს, რომ ენათმეცნიერთა მეტი წილის მიხედვით, ენაში ორი რიგის ძირითადი ელემენტები გვაქვს: მორფემები და ფონემები. მაგრამ მათ შორის მიმართებანი სხვადასხვაგვარად გაი-

²²² Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

²²³ იქვე.

გება. ავტორი გვპირდება ზოგი ასეთი შეხედულების განხილვას. ჩვენ საკითხთა ჰოკეტისეულ დანაწევრებას მივყევით.

9.1. მორფემები და ფონემები. მორფემათა და ფონემათა შორის მიმართებაზე ყველაზე ადრინდელი და უმარტივესი მტკიცების მიხედვით, მორფემა შედგება (is composed) ფონემებისაგან. ასეთი მტკიცება გვხვდება პრალის სკოლის ადრინდელ განხილვებში და ბლუმფილდის პოსტულატებში²²⁴.

ჰოკეტის სიტყვით, თუ ვალიარებთ მორფემებსა და ფონემებს შორის 'შედგება' მიმართებას, მაშინ ქვემოთყვანილი სამი მტკიცება ქმნის ანტილოგიზმს, — მტკიცებათა ტრიადას, რომელთაგან ნებისმიერი ორი შეიცავს მესამის უარყოფას:

- (1) knife და knive — ერთი და იგივე მორფემა.
- (2) knife და knive — ფონემურად განსხვავებულია.
- (3) მორფემა შედგება ფონემებისაგან²²⁵.

თუ ჩვენ (I) ვუშვებთ პირველ და მესამე მტკიცებას წანამძღვრებად, გამოდის დასკვნა, რომ knife და knive — ფონემურად იდენტური არიან. თუ (II) დაუშვებთ მეორეს და მესამეს წანამძღვრებად, დასკვნაა, რომ knife და knive არ არიან მორფემულად ერთი და იგივე. თუ ჩვენ გვინდა (III) დაუშვათ პირველი და მეორე წანამძღვრებად, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მორფემა არ შედგება ფონემებისაგან²²⁶.

თითოეული ამ სამ შესაძლებლობათაგანი გამოკვლეული იყო, — გვეუბნება ჰოკეტი. ზოგი მკვლევარი იღებდა (II) ალტერნატივას, უარყოფდა რა ამგვარად knife-ისა და knive-ის და სხვა მისთ. წყვილებისა და სამეულების მორფემულ იდენტიფიკაციას. ადრე თუ გვიან მათ აღმოაჩინეს, რომ ეს მოითხოვს შემდგომი სახის ელემენტის დადგენას. ამ ელემენტს ჰოკეტი უწოდებს 'მაკრომორფემას'. იგი გამოყენებული იყო საწყისში უარყოფილი იდენტიფიკაციებისათვის. ასე, knife და knive არ ითვლებოდნენ ერთ მორფემად, მაგრამ ისინი შეადგენდნენ ერთ 'მაკრომორფემას'. ეს ჰოკეტს არ მიაჩნია პრობლემის გადაწყვეტად. აქ საკითხი გადატანილ იქნა 'მაკრომორფემისა' და ფონემის კონტექსტში²²⁷.

ტრილემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ადრინდელი ცდათაგანი იმაში მდგომარეობდა, რომ მიეღოთ (I) ალტერნატივა სხვაგვარი ფონე-

²²⁴ Ch. F. Hockett, Linguistic Elements and their Relations, გვ. 29.

²²⁶ იქვე, გვ. 29—30.

²²⁸ იქვე, გვ. 30.

²²⁷ იქვე.

მიზაციის კანონების დადგენით, ვიდრე აქამდე იყო მიღებული. ასე. გადაწყვიტეს, რომ knife-ის /f/ არ იყო იგივე ფონემა, რაც fife-ის /f/, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აკუსტიკურად არ განსხვავდებიან. უფრო მეტი, იგი არც იგივე ფონემაა, რაც hive-ის /v/. ფონემა /f/ fife-ში ყოველთვის ყრუა; ფონემა /v/ hive-ში ყოველთვის მქლერია, ფონემა /F/ knife-ში და knive-ში ხან ყრუა და ხან მქლერია. ფონემიკის ეს ვარიანტი, ჰოკეტის სიტყვით, არ გამოდგა სასარგებლო²²⁸.

თავის სტატიაში ის გვპირდება გამოიყენოს 'ფონემა' და 'ფონემიკა' შემდეგი პრინციპით: ორი მოვლენა არ არის ფონემურად განსხვავებული, თუ მკვიდრ მოლაპარაკეს არ ესმის განსხვავება. ესაა აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა ფონემური ანალიზისათვის. რადგან ყველა განსხვავება, რომელიც მკვიდრ მოლაპარაკეს ესმის, არ შეიცავს ფონემურ განსხვავებას²²⁹.

ეს პრინციპი, გვეუბნება ჰოკეტი, აღიარებული იყო ოცდაცხრამეტ წელს²³⁰, ხოლო ტრილემის პირველი გაშუქების შეუძლებლობა გამოძინარეობდა, როგორც დასკვნა. მაინც ტრილემაზე პირველი სერიოზული თავდასხმა მას არასაფუძვლიანად მიაჩნია. ჰოკეტს მხედველობაში აქვს მორფოფონემური მიდგომა, რომელიც ცხარე დისკუსიის საგანი იყო. ასეთი მიდგომის დროს, მკვლევარი უცვლელად ტოვებდა ენის ფონემურ სისტემას, მაგრამ ქმნიდა აგრეთვე ფსევდოფონემურ სისტემას, რომელიც აშკარად არ იყო დაშვებული, როგორც რეალური ფონემური სისტემა, მაგრამ დაკავშირებული იყო მასთან თავისებური გზით²³¹. ამ ფსევდოფონემურ სისტემაში ელემენტებს წარმოადგენდნენ მორფემათა ფონემის სიდიდის მონაკვეთები, რომელთაც ეწოდებოდა მორფოფონემები. მაშინ შესაძლებელი იყო თქმულიყო, რომ fife ბოლოვდება მორფოფონემით ^m/f/, hive — მორფოფონემით ^m/v/, ხოლო knife/knive — მორფოფონემით ^m/F/. მორფოფონემა ^m/f/ ფონემურად ყოველთვის არის /f/; ^m/v/ ყოველთვის არის /v/, მაგრამ ^m/F/ გარკვეულ სპეციფიკურ პირობებში არის /f/, ხოლო სხვებში — /v/. ცოტა ხნის შემდეგ განვითარდა საკითხისადმი სხვაგვარი მიდგომა. იგი წარმოდგენილი იყო ჰარისის სტატიაში „მორფემული ალტერ-

²²⁸ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

²²⁹ იქვე.

²³⁰ Morris Swadesh and Carl F. Voegelin, A problem in phonological alternation, «Language», 1939. ტ. 15, გვ. 1—10. გადაბეჭდილია RiL-ში.

²³¹ სკოდლეში და ვეგლინი 'რეალურ' და 'ფსევდო' ფონემურ სისტემათა ნაცვლად ლაპარაკობენ 'აშკარა' (patent) და 'არა აშკარა' (non-patent) ფონოლოგიურ სისტემებზე. Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

ნანტები ლინგვისტურ ანალიზში²³². ამ მიდგომის მიხედვით, ფსევდო-ფონემური სისტემის ნაცვლად დაშვებულია ფსევდომორფემული სისტემა. ამ სისტემის ელემენტებს წარმოადგენს მორფემის სიდიდის ფონემური კომპლექსები, რომელთაც შემდეგ მორფები ეწოდა²³³.

მორფული მიდგომის მიხედვით, მორფემა [ɪfɪ] წარმოდგენილია ყოველთვის ერთი და იმავე მორფით ^ɹ/ɪfɪ/. [hɪvɪ] წარმოდგენილია ყოველთვის ^ɹ/hɪvɪ/-ით, მაგრამ [knɪfɪ] წარმოდგენილია ორი სხვადასხვა მორფით ^ɹ/nɪfɪ/ და ^ɹ/nɪvɪ/. ამ პირობათა დაღვენა, რომლებშიაც მორფემა ვლინდება ამა თუ იმ მორფის სახით, შესაძლებელია. მორფემა შედგება არა ფონემებისაგან, არამედ მორფემებისაგან²³⁴.

დამატებითი ტერმინია ალომორფი. ნებისმიერი მორფი არის ალომორფი და პირუკუ, მაგრამ ტერმინები გამოყენებული იყო ოდნავ განსხვავებულად. ერთ-ერთი ხმარების მიხედვით. — გვეუბნება ჰოკეტი, თუ მორფემა წარმოდგენილია გარკვეული მორფებით (ერთით ან მეტით), მაშინ მორფებს, რომლებიც წარმოადგენენ მორფემას, ეწოდება მისი ალომორფები. ფონენათა ორი კომპლექსი ერთი და იგივე მორფია, თუ თითოეული წარმოადგენს რომელიმე მორფემას და თუ ორივე ფონემურად იდენტურია. მაგრამ ორი მორფი არის ერთი და იგივე ალომორფი მხოლოდ მაშინ, თუ ისინი წარმოგვიდგენენ ერთსა და იმავე მორფემას (გარდა იმისა, რომ ფონემურად იდენტური არიან). ასე ^ɹ/bɪɪt/, რომელიც წარმოადგენს (representing) [beat]-ს და ^ɹ/bɪɪt/, რომელიც წარმოადგენს [beet]-ს, ერთი და იგივე მორფია, მაგრამ ორი განსხვავებული ალომორფი. ჰოკეტი შენიშნავს, რომ შემდგომი განხილვისას იგი მორფებს შეეხება²³⁵.

განსხვავებები მორფოფონემურ მიდგომასა და მორფულ მიდგომას შორის, ჰოკეტის სიტყვით, არ ყოფილა განხილული რამდენიმე წლის განმავლობაში. ასეთ განხილვას წარმოადგენს ლოუნსბერის წერილი²³⁶.

9.2. მორფოფონემები, მორფები და სხვა ცვლადები. წინა პარაგრაფში ჰოკეტმა განიხილა მორფემებსა და ფონემებს შორის მიმარ-

²³² Zellig S. Harris, Morpheme alternants in linguistic analysis. «Language». 1942, ტ. 18, გვ. 169—180. გადაბეჭდილია RiL-ში.


²³³ ეს ტერმინი მე შემოვიღე, მიუთითებს ჰოკეტი და ასახელებს Problems of morphemic analysis.

²³⁴ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

²³⁵ იქვე, გვ. 32.

²³⁶ Floyd Lounsbury, The method of descriptive morphology: the introductory chapter of his Oneida verb morphology 11—24 (Yale University publications in Anthropology, 1953, № 48). გადაბეჭდილია RiL-ში.

თების ორი მეთოდი: მორფოფონემური და მორფული. ეს მეთოდები გამოხატულია შემდეგი დიაგრამით:



პირველი მეთოდის მიხედვით, მიმართება გაშუამავლებულია მორფოფონემებით (მივლივართ რა მარცხენა ზემოთა მხრიდან მარჯვნივ და შემდეგ ქვემოთ). მეორის მიხედვით, იგი გაშუამავლებულია მორფებით (მივლივართ რა ჯერ ქვემოთ და შემდეგ მარჯვნივ). ორივე შემთხვევაში მიმართება რთულია. მორფემათა მიმართება მორფოფონემებთან იგივეა, რაც მორფებისა ფონემებთან და წარმოდგენილია 'C'-თი. მორფემების მიმართება მორფებთან იგივეა, რაც მორფოფონემების მიმართება ფონემებთან და სიმბოლიზებულია 'R'-ით²³⁷.

'C'. ავტორის განმარტების თანახმად, შეიძლება წავიკითხოთ, როგორც "შედგება" ...ისაგან (...ის განლაგებისაგან) (is composed of (an arrangement of): მორფემა შედგება სამი ან მეტი მორფოფონემის განლაგებისაგან, მორფი შედგება ნულის ან მეტი ფონემის განლაგებისაგან²³⁸.

'R' შეიძლება წავიკითხოთ 'წარმოდგენილია ...ით' (is represented by).

მორფოფონემა სხვა მორფოფონემათა ნებისმიერ სპეციფიკურ გარემოცვაში წარმოდგენილია ფონემათა ერთი ინვარიანტული განლაგებით — ერთი ფონემით, კომპლექსით ან საერთოდ არავითარი ფონემით. მორფემა სხვა მორფემათა ნებისმიერ სპეციფიკურ გარემოცვაში წარმოდგენილია ფიქსირებული მორფით²³⁹.

დიაგრამა გვიჩვენებს, რომ მორფების ტერმინებს ვიყენებთ თუ მორფოფონემებისას, მორფემა არ არის შედგენილი ფონემებისაგან. ჰოკეტის სიტყვით, ორივე მეთოდი ემყარება ზემომოცემული ანტილოგიზმის მესამე არჩევანს. მორფოფონემები წარმოდგენენ იმგვარად გამოჯონებულ ფსევდოფონემებს; რომ მორფემები შეიძლება მიჩნეულ

²³⁷ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

²³⁸ იქვე, გვ. 32—33.

²³⁹ იქვე, გვ. 33.

იქნენ მათგან შედგენილად. მორფები კი ამგვარად გამოგონებული ფსევდომორფებია, რომ შესაძლებელი იყოს მათი მიჩნევა ფონემებისაგან შედგენილად²⁴⁰.

ჰოკეტის სიტყვით, ფონემებისა და მორფემების მიმართების გაშუამავლებული განხილვა იძლევა შესაძლებლობას ვალიართ ნული. მორფოფონემა, რომელიც მოცემულ გარემოცვაში წარმოდგენილია ფიქსირებულად ფონემურად, შესაძლებელია ზოგიერთ გარემოცვებში წარმოდგენილი არ იყოს საერთოდ რაიმე ფონემით. ასევე მორფი, რომელიც შედგება ფონემათა ინვარიანტული განლაგებისაგან, შეიძლება შედგენილი არ იყოს საერთოდ არავითარი ფონემისაგან. მაგ., თუ sheep (მრ.)-ს მივიჩნევთ sheep (მხ.)-ის მრავლობითად²⁴¹, მაშინ ის ბოლოვდება ან ალომორფით *“/ნული/*, რომელიც ფონემურად ნულისაგან შედგება, ან მორფოფონემით *“/X/*, რომელიც ფონემურად ნულითაა წარმოდგენილი. მაგრამ, გვეუბნება ავტორი, არ არსებობს მორფემა, რომელიც ზოგჯერ მაინც არ იყოს წარმოდგენილი რომელიმე ალომორფით და არ არსებობს მორფემა, რომელიც არ შედგებოდეს არავითარი მორფოფონემებისაგან²⁴².

როგორც მორფოფონემურ, ისე მორფემულ მეთოდში მოცემულია მიმართებები C და R, განსხვავება მათი გამოყენების რიგშია. თუ მორფემებიდან ფონემებამდე მისალწევად ჯერ C-ს გამოვიყენებთ, ხოლო შემდეგ R-ს, მაშინ სხვა ცვლადებთან გვექნება საქმე, ხოლო თუ ჯერ R-ს მივმართავთ და შემდეგ C-ს, მაშინ სხვა ცვლადებია გამოყენებული. ამიტომ ენის ორი აღწერა, რომელთაგან ორივე აღიარებს მორფემათა ზუსტად ერთსა და იმავე ერთობლიობას, მაგრამ ერთი იყენებს ცვლადების სახით ალომორფებს, ხოლო მეორე — მორფოფონემებს, შესაძლებელია საოცრად განსხვავდებოდნენ გარეგნულადო, — წერს ჰოკეტი²⁴³.

მაგრამ რადგანაც ორივე რიგს მივყავართ მორფემებიდან ფონემებამდე, მას მიაჩნია, რომ გამოყენების ორივე რიგი ეკვივალენტურია გარკვეული აზრით. ჰოკეტი დიაგრამის მიმართ იყენებს მიმართებათა ალგებრის დებულებას, რომლის მიხედვითაც, თუ a A მიმართებაშია b-სთან და b B მიმართებაშია C-სთან. მაშინ A-სა და B-ს 'ურთიერთ-ნამრავლი' AB არის აგრეთვე მიმართება და ფაქტობრივად ის მიმართებაა, რომელშიაც a იმყოფება c-სთან. ჰოკეტის მიხედვით, $CR = RC$.

²⁴⁰ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

²⁴¹ თეოთონ ჰოკეტს ეს საეჭვო ნაბიჯად მიაჩნია. დასახ. ნაშრ., გვ. 33.

²⁴² იქვე.

²⁴³ იქვე. გვ. 33.

ეს ურთიერთნამრავლი, რომელიც ერთი და იგივეა მიუხედავად გამოყენების რიგისა, წარმოადგენს მიმართებას, რომელშიაც მორფემები იმყოფებიან ფონემებთან. იგი წარმოდგენილია დიაგრამაზე დიაგონალური ისრით და აღნიშნულია P-თი²⁴⁴.

ჰოკეტის აზრით, ყოველ ცალკეულ ენაში უნდა აიწეროს P მიმართების დეტალები. ამისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ტექნიკა. ავტორი იმორწმებს ლოუნსბერის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ერთ ენაში შესაძლებელია უფრო მოხერხებული აღმოჩნდეს ცვლადებად მორფემის გამოყენება, მეორეში კი — მორფოფონემებისა. თავისი მხრივ, იგი უმატებს, რომ ზოგ ენაში შესაძლებელია ორივეს გამოყენება დაგვიკირდეს. ავტომატური ალტერნაციისათვის მორფოფონემები ისევე გამოსადეგი არიან, როგორც ალომორფები. უაღრესად საფუძვლიანი ჩანან მორფოფონემები არაავტომატური, მაგრამ რეგულარული ალტერნაციების დროსაც. სუპლექციის შემთხვევაში კი ალომორფები უფრო ნათელია. ძალიან ადვილია განვიხილოთ go და wen-, როგორც [gɔ] მორფემის ^o/gow/ და ^o/wen/ ალომორფები. მორფოფონემური მიდგომა კი აქ არაა მოსახერხებელი, ვინაიდან ჩვენ დაგვიკირდება ისეთი მორფოფონემების მოგონება, რომლებიც არაა გამოსადეგი ენაში სხვა ალტერნაციისათვის²⁴⁵.

ზემომოყვანილ ენაში P მიმართება იშლება ორ ორსაფეხურიან მიმართებად. მაგრამ, ჰოკეტის თქმით, ეს არ არის აუცილებელი. მაგ., პოტავატომისათვის (Potawatomi) მოსახერხებელია P-ს დაშლა სამ მიმართებად R₁, C, R₂²⁴⁶. მეორე მხრივ, ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც P-ს დაშლა საერთოდ ზედმეტი ჩანს. ეს მაშინ, როდესაც მორფემა ყველა გარემოცვაში ერთი მორფით არის წარმოდგენილი ან თუ მორფემის შემადგენელ მორფოფონემებს მხოლოდ ერთი ინვარიანტული ფონემური რეპრეზენტაცია აქვთ. ასეთ შემთხვევებში, გვეუბნება ჰოკეტი, ცვლადები (ე. ი. მორფები და მორფოფონემები) იქცევიან მოსპობად პარამეტრებად²⁴⁷. მაგრამ იგი გვაფრთხილებს, რომ თუ ასეთ შემთხვევებში ჩვენ ვმოქმედებთ პირდაპირ P მიმართების ტერმინებით, არ უნდა ვივარაუდოთ ლოგიკურად დაუშვებელი იდენტიფიკაცია P-სი R-თან ან C-სთან. P მიმართებას ის აღნიშნავს სიტყვით 'დაპროგრამებულია' (is programmed into). მაგ., ვამბობთ: ინგ.

²⁴⁴ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 33—34.

²⁴⁵ ი ქ ვ ე, გვ. 34.

²⁴⁶ ი ქ ვ ე, გვ. 34—35.

²⁴⁷ ი ქ ვ ე, გვ. 35.

{fix} დაპროგრამებულია (ინვარიანტულად) /fiks/-ად. ამ მტკიცებაში გამოყენებული ფრჩხილები გვიჩვენებს, რომ მორფემებიდან გადავიდვართ ფონემებზე. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, ინგ. {knife} დაპროგრამებულია /naɪf/-ად და /naɪv/-ად და დეტალების გათვალისწინებით შეგვიძლია დავშალოთ დაპროგრამება გამოყენებულ მორფებად ან მორფოფონემებად ან ნებისმიერ სხვა ცვლადებად, რაც მოსახერხებელი იქნება²⁴⁸. ჰოკეტი თვლის, რომ მნიშვნელოვანია, ცალკეულ ენაში აღწეროთ რამდენადაც შეიძლება ნათლად P მიმართების დეტალები, ხოლო მორფები, მორფოფონემები ან სხვა ცვლადები უბრალოდ საშუალებებია ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს არჩევანი ნებისმიერი იყოს. თუ ენა (ან ენის ნაწილი) უფრო ადვილად დასამუშავებელი ჩანს P მიმართების ერთი დაშლით, ხოლო სხვა ენა (ან ენის ნაწილი) უფრო ადვილად დასამუშავებელია სხვა დაშლით, მაშინ ესა ენებს (ან ენათა ნაწილებს შორის) განსხვავებები. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გამოსადეგად მიაჩნია ავტორს ალტერნაციის ტიპების ტერმინოლოგია: რეგულარული და ირეგულარული; ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად გაპირობებული; გარეგანი (სიტყვათა მიმართ) და შინაგანი. ეს ტერმინოლოგია გამომუშავდა მორფული მეთოდის ჩარჩოების მიმართ, მაგრამ მისი გადართაგმნა ადვილია ნებისმიერ სხვა ჩარჩოებში, როგორცაა მაგ., მორფოფონემებიო, — დასძენს იგი²⁴⁹.

შემდეგ ჰოკეტი განაგრძობს: ენებსა და ენათა ნაწილებს შორის ახლახან აღმოჩენილი განსხვავებები არაა გრამატიკული ღირებულების მქონე. ენის გრამატიკა შეიცავს მორფემებს, მაგრამ არა ფონემებს და არა მიმართებებს მორფემებსა და ფონემებს შორის. ეს განსხვავებები არც ფონოლოგიური ღირებულებისაა. ენის ფონოლოგია შეიცავს ფონემებს, მაგრამ არა მათ მიმართებას მორფემებთან. მაგრამ ზუსტად დეტალური ბუნება P მიმართებისა ნებისმიერი ენისათვის წარმოადგენს აგრეთვე ენის მთლიანი აგებულების ნაწილს. მე ვფიქრობ, ენის აგებულების ამ ნაწილს შეიძლება ეწოდოს მორფოფონემიკა, ცნობილი ტერმინი, რომლის ხმარებები, ყოველ შემთხვევაში აქ აღნიშნული სპეციფიკური მნიშვნელობის ახლოს ტრიალებდაო, — წერს იგი²⁵⁰.

9.3. C მიმართება. "შედგება (…ის განლაგებ)ისაგან (Is composed of (an arrangement of) წარმოადგენს მიმართებას, რომელიც არსებობს მთელსა და მის ნაწილს შორის, — გვეუბნება ჰოკეტი²⁵¹.

²⁴⁸ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

²⁴⁹ იქვე, 35—36.

²⁵⁰ იქვე, გვ. 36.

²⁵¹ იქვე.

როგორც ნაჩვენები იყო, მორფი იმყოფება C მიმართებაში ფონემებთან. ჰოკეტს აინტერესებს იმის გარკვევა, თუ რა ელემენტებს შორის გვაქვს კიდევ C მიმართება ენაში.

ფონემა იმყოფება C მიმართებაში: კომპონენტებთან. ვინაიდან ფონემა შედგება უფრო მცირე ელემენტების განლაგებისაგან ('ერთდროული კონსიგან' ან მისთ.), რომელ ელემენტებსაც უწოდებენ კომპონენტებს ანუ დისტინქტურ თვისებებს. მაგ., ინგ. /p/ შედგება ხშულობის, ბაგისმიერობისა და სიყრუის ერთდროული კონსიგან²⁵².

რაც შეეხება სხვა ფონოლოგიურ ერთეულებს, ჰოკეტი წარმოგვიდგენს მათ შემდეგ იერარქიულ თანმიმდევრობას:

მაკროსეგმენტები—C→მიკროსეგმენტები—C→ფონემები—C→ კომპონენტები²⁵³.

ყველა ეს ელემენტი ერთი და იმავე ფენისაა (stratum), მაგრამ სხვადასხვა სიდიდის დონისა (size levels). ჰოკეტს შესაძლებლად მიაჩნია გამოიყოს აგრეთვე ელემენტთა შემდეგი ტიპები:

მარცვლები მიკროსეგმენტებსა და ფონემებს შორის და მარცვლოვანი შემადგენლები, როგორცაა დასაწყისები, ბოლოები და მარცვლოვანი მარცვლებსა და ფონემებს შორის. ყველა ისინი ქმნიან 'იერარქიულ ორგანიზაციას' ანუ 'უშ სტრუქტურას' ფონოლოგიაში²⁵⁴.

ამ იერარქიულ თანმიმდევრობაში, ავტორის აზრით, მორფებისათვის ადგილი არ დაიძებნება. მორფი შედგება ფონემებისაგან ან ფონემური მასალის განლაგებისაგან მაინც. ეს კეშმარიტია განსაზღვრით და მორფემები შექმნილი იყვნენ სწორედ იმისათვის, რომ ის კეშმარიტი ყოფილიყო, — წერს ჰოკეტი²⁵⁵. მაგრამ ზოგადად არ არის კეშმარიტი ის, რომ მიკროსეგმენტი შედგება მორფებისაგან, არც ისაა კეშმარიტი, რომ მორფი შედგება მიკროსეგმენტებისაგან²⁵⁶.

მორფები არ შედიან გარკვევით ფონოლოგიის იერარქიულ მოდელირებაში, — წერს ჰოკეტი. მორფები სპეციფიკური ბუნებისაა

²⁵² Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

²⁵³ ი ქ ვ ე, გვ. 37. ავტორის განსაზღვრით, ინგლისურში 'ფონემური სიტყვა' ანუ 'მიკროსეგმენტი' შედგება სეგმენტურ ფონემათა მწკრივისაგან (string) ფიქსირებული რიგით, ჩვეულებრივ, ერთი ან მეტი მახვილის ფონემისაგან და დაკავშირებულია პლუს შეერთებით. 'ფონემური ფრაზა' ანუ 'ინტონაციური ფრაზა' ანუ 'მაკროსეგმენტი' შედგება მიკროსეგმენტების მწკრივისაგან, ტონის დონის ფონემათა ორი, სამი ან ოთხი (დაახლოებით ხუთი) გამოვლენისაგან და დაბოლოებულია ტერმინალური კონტურით. დასახ. ნაშრ., გვ. 36.

²⁵⁴ ი ქ ვ ე, გვ. 37.

²⁵⁵ ი ქ ვ ე.

²⁵⁶ ი ქ ვ ე.

ცვლადებია და არა ლინგვისტური ელემენტები. ისინი დესკრიფციულად სასარგებლო არიან, მაგრამ ემპირიულ აუცილებლობას არ წარმოადგენენ. ისინი ფონოლოგიური ელემენტებია განსაზღვრით, მაგრამ არ არიან განსაზღვრული წმინდა ფონოლოგიური კრიტერიუმებით. ისინი გამოყოფილი არიან ფონოლოგიური თანმიმდევრობისაგან ზუსტად იმისათვის, რომ შეესატყვისებოდნენ მორფემებს, — ელემენტებს, რომლებიც ენის განსხვავებულ ფენაზე იმყოფებიან, ვიდრე ფონემები, — განმარტავს ავტორი²⁵⁷.

ანალოგიურად ისმის საკითხი მორფემებისა და მორფოფონემების მიმართ. C მიმართება დასტურდება მორფემებსა და მორფოფონემებს შორის²⁵⁸. მორფემები წარმოადგენენ ერთ-ერთ ელემენტს იმ ელემენტების სახეობათა მთლიან მწკრივში, რომლებიც დაკავშირებული არიან C-თი. უხეშად რომ ვთქვათ, როგორც ამტკიცებდნენ წლების წინ და როგორც ხელახლა მტკიცდებოდა ამ სტატიის დასაწყისში, — სიტყვები შედგება მორფემებისაგან, ფრაზები — სიტყვებისაგან, კლაუზები — ფრაზებისაგან და ა. შ. — განმარტავს ჰოკეტი. ამგვარად, ისევე როგორც ფონოლოგიაში, ჩვენ გვაქვს ენის მორფემულ ანუ გრამატიკულ ფენაში ელემენტების სახეობათა იერარქია სხვადასხვა სიღრმის დონეებზე:

წინადადებები — C → კლაუზები — C → ფრაზები — C → სიტყვები — C → მორფემები.

ჰოკეტის აზრით, მორფოფონემები თუმცა ნამდვილად და განსაზღვრით ეკუთვნიან გრამატიკულ ფენას, წარმოადგენენ კვაზიგრამატიკულ და არაქვეშარიტ გრამატიკულ ელემენტებს. ისინი ისევე მოხერხებულად შედიან გრამატიკულ ელემენტთა იერარქიაში, როგორც მორფემები ფონოლოგიურ ელემენტთა იერარქიაში. როგორც არ უნდა იყოს გრამატიკულ ანალიზში და გრამატიკული ელემენტების აღმოჩენისას გამოყენებული კრიტერიუმები, ისინი არ ქმნიან მორფოფონემებს. არ არსებობს მკაცრი გრამატიკული მოტივაცია მორფემის მორფოფონემებად დაყოფისათვის. ჩვენ ასე ვიქცევით მხოლოდ სპეციფიკური მოსაზრებით, რომ მივალწიით ზოგჯერ მოსახერხებელ, მაგრამ არასოდეს სავალდებულო. გზას მორფემებსა და ფონემებს შორის მიმართებათა განაწილებისათვის²⁵⁹.

9.4. ფონემები და ფონები. ტერმინები 'მორფი' და 'ალომორფი' შემოღებულ იქნა 'ფონისა' და 'ალოფონის' ანალოგიით. თუ ანალოგიას ადგილი აქვს, მაშინ ფონემები იმყოფებიან R მიმართებაში ფონ-


²⁵⁷ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

²⁵⁸ იქვე, გვ. 39.

²⁵⁹ იქვე, გვ. 40.


ნებთან. ისევე როგორც მორფემები იმყოფებიან ამ მიმართებაში მორფეტანო, — აღნიშნავს ჰოკეტი.

ფონემების, კომპონენტებისა და ფონების მიმართებები მას შემდეგი დიაგრამით აქვს გადმოცემული:



ინგლისური /p/, ავტორის განმარტებით, შედგება კომპონენტებისაგან: ბაგისმიერობა, ხშულობა და სიყრუე; /p/ წარმოდგენილია პლუს შეერთების შემდეგ მახვილიანი ხმოვნის წინ [p'] ალოფონით. ეს ვარაუდობს ელემენტების არსებობას ან შესაძლებლობას უფრო დაბლა მარჯვნივ. ამ ელემენტებს ჰოკეტი 'თვისებებს' უწოდებს. იგი შემდეგნაირად განმარტავს დიაგრამას: ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპონენტი ლაბიალურობა ხშულობის გარემოცვაში წარმოდგენილია ბილაბიალური არტიკულაციით (მაშინ როდესაც სპირანტობის გარემოცვაში ის წარმოდგენილია ლაბიოდენტალური არტიკულაციით). ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე ვთქვათ, რომ ფონი [p'] შედგება ბილაბიალური, ხშული, ყრუ და ასპირატული განხშვითი არტიკულაციებისაგან²⁶⁰.

არტიკულაციის მოძრაობები წარმოქმნიან სამეტყველო სიგნალს (ბგერით ტალღათა მწკრივს), რომელიც შეიძლება აგრეთვე შესწავლილ იქნეს და დაყოფილი მონაკვეთებად. ამიტომ ჰოკეტს შესაძლებლად მიაჩნია ზემომოცემული დიაგრამა შემდეგნაირად განავრცოს:



²⁶⁰ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 41. ყურადღებას იქცევს ჰოკეტის შენიშვნა: განსხვავება კომპონენტებსა და თვისებებს შორის გარკვეულ იქნა ჩემთვის არაოფიციალურ საუბრებში გ. ლ. ტრეივერთან 1958 წ. გაზაფხულზე. ისტორიულად იმ საუბრების სტიმული იყო ბიძგი მთელი ამ სტატიისათვის.

9.5 R მიმართება. ჰოკეტი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ელემენტები, რომლებიც დაკავშირებული არიან C-თი, განსაზღვრით წარმოადგენენ ენის ერთი და იმავე ფენის, მაგრამ განსხვავებული სიდიდის დონის ელემენტებს. ხოლო R-ით დაკავშირებული ელემენტები განსაზღვრით წარმოადგენენ უხეშად ერთი და იმავე სიდიდის დონის, თუმცა განსხვავებული ფენების ელემენტებს²⁶¹.

ჰოკეტის სიტყვით, როდესაც ენის ერთ ფენაზე აღმოვაჩინთ ელემენტებს, რომლებიც სილიდით შეესაბამებიან სხვა ფენაზე მოცემულ ელემენტებს, ჩვენ ვნახავთ, რომ ახლად აღმოჩენილ ელემენტებს გარკვეული ხელოვნურობა ახასიათებს. მორფები შეუფერებელია ფონოლოგიური ფენისათვის, მორფოფონემები შეუფერებელია გრამატიკულ ფენაზე. ასევე ხშირად მოუხერხებელია ფონები, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ფონემათა არტიკულატორული წარმომადგენლები, და აკუსტიკური ფონები²⁶².

ავტორი ასკვნის: მორფოფონემები, მორფები, ფონები და აკუსტიკური ფონები წარმოადგენენ ანალიზის ხელოვნურ ფაქტებს ანუ მოხერხებულობას აღწერისათვის და არა ენის ელემენტებს. ასევე R მიმართება, რომლის ამოსავალიც შეესაბამება ასეთ ფსევდოელემენტებს, შეცდომაა. მას არა აქვს სტატუსი ენაში, არამედ გამოწვეულია ჩვენი სურვილით, ნათელი გაეხადოთ ფენის გადამკვეთი მიმართებები²⁶³.

9.6. სიდიდის დონის მოწესრიგება ფონოლოგიაში და გრამატიკაში. ფონოლოგიურ დონეზე ძირითად ელემენტებად ტრადიციულად აღიარებულია ფონემები, გრამატიკულ დონეზე კი — მორფემები. R მიმართების უარყოფასთან ერთად ჰოკეტი ამ შეხედულების გადასინჯვასაც მოითხოვს²⁶⁴.

როგორც ადრევე იყო აღნიშნული, მორფემები არ შედგებიან ფონემებისაგან (ან კომპონენტებისაგან ან სხვა სახის ფონოლოგიური ელემენტებისაგან). 'მორფმა' დაუშლელი ელემენტია, რომლისაგანაც შედგება უფრო ფართო ელემენტები მთლიან წინადადებად. ჰოკეტს გაუმართლებლად მიაჩნია ლაპარაკი მორფემული კომპონენტების შესახებ. კოველი გრამატიკული ელემენტი ან მორფემაა, ან შედგება მორფემებისაგან²⁶⁵.

261 Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

262 ი ქ ვ ე, გვ. 42.

263 ი ქ ვ ე.

264 ი ქ ვ ე.

265 ი ქ ვ ე, გვ. 43.

სხვაგვარი ვითარებაა ფონოლოგიურ ფენაზე. ჰოკეტს მოჰყავს ამონაწერი ბლუმფილდის პოსტულატებიდან: „განსხვავებული მორფემები შეიძლება იყვნენ მსგავსი ან ნაწილობრივ მსგავსი ხმიერი თვისებებით. ასე — book: table [b]; stay: west [st]. 'ფონემა' არის ხმიერი თვისებების მინიმალური იგივეობა“²⁶⁶.

ჰოკეტი შენიშნავს: იგი დიდხანს მოაკებდა, როგორც უცნაური და არსებითად შეუსაბამო იმისათვის, რომ ამ განსაზღვრების მიხედვით /b/, /s/, /l/ და ა. შ. ფონემებად ყოფილიყო ჩათვლილი. მისი აზრით, ინგ. მორფემების big და pig შედარებისას დასტურდება უფრო მკირე 'ხმიერი თვისების იგივეობა', ვიდრე ამ სიტყვების ხშულება. ასევე big-ის და fig-ის ან big-ის და mig-ის შედარებით ეიპოვით უფრო მკირე ხმიერ თვისებათა იგივეობას, ვიდრე შესატყვისი საწყისი თანხმოვნებია. თუ მოყვანილ განსაზღვრებას თანმიმდევრულად დავიცავთ, მაშინ, ბლუმფილდის გაგებით, ფონემებად უნდა მივიჩნიოთ ბაგისმიე რობა, ხშულობა, სიყრუე, მკლერობა, სპირანტობა და ცხვირისმიერობა. მაგრამ ამას ბლუმფილდი და მეტი წილი სხვა ენათმეცნიერები ოციან და ოცდაათიან წლებში გვიკრძალავდნენო — აღნიშნავს ჰოკეტი²⁶⁷.

ამ აკრძალვას, მისი აზრით, ორი მოტივი ჰქონდა: ერთი ანგარიშს უწევდა ტრადიციული ორთოგრაფიის გარკვეულ თავისებურებებს, ხოლო მეორე ფონემიკისა და მორფოფონემიკის აღრევისაგან მომდინარეობდა. არც ერთი ეს მოტივაცია არ ეჩვენება მას რელევანტურად²⁶⁸.

ამგვარად, გვეუბნება ავტორი, ფონემები ტრადიციული გაგებით არ წარმოადგენენ, მეტწილ ენებში მაინც, ფონოლოგიური ელემენტის უმცირეს სახეს. მისი სიტყვით, სისულელე ექნებოდა ის, რომ ყველაზე მკირე ელემენტებისათვის გვეწოდებინა 'ფონემები'. მას უმჯობესად მიაჩნია უმცირესი ელემენტისათვის შემოვიღოთ განსხვავებული ტერმინი, მაგ., 'კომპონენტი', სწორედ ასე მოხდა ჩვენს ტერმინოლოგიაში დაახლოებით ბოლო ათეულ წლებშიო, — განაგრძობს ჰოკეტი და ანალოგიას ავლებს ფიზიკის ტერმინ 'ატომთან'. როდესაც XIX საუკუნეში აღმოაჩინეს, რომ მატერიის უმცირესი ნაწილაკები, რომელთაც უწოდეს ატომები, არ არიან დაუშლელნი, ტერმინის ეტიმოლოგია უგულებელყოფილ იქნა; ხოლო მისი დენოტაცია დაარჩა, ახლად აღმო-

²⁶⁶ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

²⁶⁷ იქვე.

²⁶⁸ იქვე, გვ. 43—44.

ჩენილი უფრო მცირე ნაწილაკებისათვის კი შემოღებულ იქნა ახალი ტერმინები²⁶⁹.

ყველა ენას აქვს გარკვეული რაოდენობა კომპონენტებისა, რომლებიც განსაზღვრით წარმოადგენენ შემდგომად დაუშლელ ელემენტებს, რომელთაგან შედგენილია ყველა უფრო ფართო ფონოლოგიური ელემენტები მთელ გამოთქმებამდე (და შემდეგ). ავტორის დაკვირვებით კომპონენტები არც ერთ ენაში არ წარმოადგენენ მთელი გამოთქმების ინდივიდუალურ სხვადასხვაგვარ შემადგენლებს. ისინი გვხვდებიან მცირე გამეორებული კომპლექსების სახით, რომლებიც თავიანთი მხრივ გვხვდებიან უფრო ფართო გამეორებულ კომპლექსებში და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს იერარქიული ორგანიზაცია ფონოლოგიურ ფენაზე. ტერმინი 'ფონემა' მიისწრაფვის გამოყენებულ იქნეს ელემენტთა მიმართ მომდევნო შემაერთებელ სიდიდის დონეზე კომპონენტებს ზემოთ. ჰოკეტი ფიქრობს, რომ ზოგ ენაში შესაძლებელია 'ფონემა' (ან 'მარცვალი') ზედმეტი აღმოჩნდეს. ე. ი. ასეთ ენაში არ იყოს კომპონენტებზე უფრო ფართო და მარცვლებზე უფრო მცირე ფონოლოგიური ერთეული. ასეთი უნდა იყოს ჩრდ. კავკასიის ზოგი ენაო, — გამოთქვამს მოსაზრებას ჰოკეტი²⁷⁰.

სიდიდის დონის ზემომოყვანილი მოწესრიგება, ავტორის სიტყვით, არღვევს უკანასკნელ კვალს ხანგრძლივი პარალელიზმისა ტერმინებს 'მორფემა' და 'ფონემა' შორის. უმცირესი ელემენტები გრამატიკულ და ფონოლოგიურ ფენებზე არ არიან მსგავსი ფორმის მქონე²⁷¹.

10. ზომიერადი შენიშვნა კოკაბის მიერ გამოყოფილ ერთეულთა და მათ მიმართებათა შესახებ

10.1. საჭიროა თუ არა ძირითად ერთეულთა სამეულები? როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ჰოკეტი ძირითად ლინგვისტურ ერთეულებთან გამოყოფს სამეულებს: ფონი — ალოფონი — ფონემა; მორფი — ალომორფი — მორფემა. ფონი პოზიციური ბგერაა, სხვა ასეთ ბგერებთან მიმართების გარეშე, ალოფონები ისეთი ფონებია, რომლებიც ერთ ფონემაში შედიან. ასევე მორფი კონკრეტული გამოთქმის სეგმენტია, ალომორფები კი ისეთი მორფებია, რომლებიც ერთ მორფემას ქმნიან. ამგვარად, ამ ტერმინთა მნიშვნელობა არ არის იდენტური.

²⁶⁹ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

²⁷⁰ იქვე. იგი ასახელებს W. S. Allen, Structure and System in the Abaza verbal complex. Transactions of the Philological Society. 1956, 127—76.

²⁷¹ იქვე, გვ. 44.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორ-ორი ტერმინი არ არის აუცილებელი. სავსებით შესაძლებელია ნახმარი იქნეს ერთი მათგანი ორივე მნიშვნელობით. კონტექსტის მიხედვით მნიშვნელობის გარჩევა ყოველთვის შესაძლებელი იქნება. რომ სამ-სამი ტერმინი ზედმეტია, ეს ჰოკეტის შრომებიდანაც ჩანს. იგი იშვიათად ხმარობს ერთსა და იმავე შრომაში სამივეს ერთად. ასე მაგ., „მორფემული ანალიზის პრობლემებში“, სადაც ჰოკეტმა პირველად იხმარა მორფი, არ არის გამოყენებული ალომორფი, მიუხედავად იმისა, რომ ალოფონთან ანალოგია ბიძგს იძლეოდა ამისათვის. „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ და „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ ჰოკეტი ხმარობს ალოფონებს და არ ხმარობს ფონებს. მაგრამ იმავე „კურსში“ მორფიც არის ნახმარი და ალომორფიც. თუმცა მორფი მხოლოდ განსაზღვრულია, ანალიზის დროს კი ალომორფებზეა ლაპარაკი მხოლოდ (ალბათ ამით აიხსნება, რომ ტერმინთა საძიებელში მორფი არ არის შეტანილი).

ნაშრომში „ლინგვისტური ელემენტები და მათი მიმართებანი“ ჰოკეტი ასახელებს როგორც ფონებსა და მორფებს, ისე ალოფონებსა და ალომორფებს და განსაზღვრავს მათ, მაგრამ ელემენტებზე საგანგებოდ მსჯელობის დროს მხოლოდ ფონებსა და მორფებს განიხილავს.

როგორც ცნობილია, დესკრიპტივისტთა უმრავლესობა ორ-ორი ტერმინით კმაყოფილდება ფონემა—ალოფონი (ან ფონი), მორფემა—ალომორფი (ან მორფი). ვფიქრობთ, ეს სავსებით საკმარისია.

10.2 რამდენად გამართლებულია ფონებისა და მორფების ამოღება ენათმეცნიერების ძირითად ერთეულთა სიიდან? 1961 წ. ნაშრომში „ლინგვისტური ელემენტები და მათი მიმართებანი“ ჰოკეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მორფები, მორფოფონემები და ფონები არ წარმოადგენენ ენის ელემენტებს, ისინი ხელოვნურად შექმნილი ფსევდო-ელემენტები არიან.

მთავარი საბუთი, რომელიც ავტორს მოჰყავს, ის არის, რომ მორფებისათვის არ დაიძებნება ადგილი ფონოლოგიის იერარქიულ ორგანიზაციაში (მაკროსეგმენტები — C → მიკროსეგმენტები — C → ფონემები — C → კომპონენტები), ხოლო მორფოფონემებისათვის — გრამატიკის იერარქიულ ორგანიზაციაში (წინადადებები — C → კლავუზები — C → ფრაზები — C → სიტყვები — C → მორფემები). ეს საბუთი ჩვენ არადამაჯერებლად გვეჩვენება. გაუგებარია, რატომ ეძებს ჰოკეტი მორფის ადგილს ფონოლოგიაში, მორფოფონემისას კი — გრამატიკაში? პირველი მათგანი გრამატიკის სფეროში უნდა მოთავსებულიყო, მეორე კი — ფონოლოგიაში. მაშინ არ შეიქმნებოდა შეუსაბა-

მოზისა და ხელოვნურობის ის შთაბეჭდილება, რომელზედაც ჰოკეტი ლაპარაკობს.

მაგრამ, უფრო არსებითი, ჩვენი აზრით, სხვა არის. ჰოკეტის მიხედვით, მორფები და მორფოფონემები შეიქმნა იმისათვის, რომ გადაეღებინათ წინააღმდეგობა. რომელიც წარმოიქმნებოდა მტკიცებისას, თითქოს მორფმა შედგებოდეს ფონემათა განლაგებისაგან, ვინაიდან სხვადასხვა ფონემების განლაგებებიც გვაძლევენ ერთ მორფემას (knife—knive). ჩვენ ეს წინააღმდეგობა არ გვეჩვენება პრინციპულ ხასიათის მქონედ. დებულებისაგან. მორფმა შედგება ფონემებისაგან. არ გამოძინარეობს, რომ სხვადასხვა ფონემების განლაგებანი აუცილებლად სხვადასხვა მორფემები უნდა იყვნენ. მორფმა არა მხოლოდ შედგება ფონემათა თანმიმდევრობისაგან, არამედ მას მნიშვნელობაც აქვს და ამ ორ მხარეს შორის მიმართება არ არის ურთიერთცალსახა. ერთი მხრივ, ფონემათა ნაწილობრივ ან მთლიანად განსხვავებულმა განლაგებებმა, შესაძლებელია, ერთი და იგივე მორფმა მოგვეცეს თუ მნიშვნელობა ერთნაირი აქვთ (knife—knives) და, მეორე მხრივ, ისიც ხდება, რომ ფონემების ერთნაირი განლაგებანი სხვადასხვა მორფემებს ქმნიან, რადგანაც მათ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ (ქართ. /ს/ — მიც. ბრ. და მესამე სუბ. პირის; ინგ. /s/, /z/, /ʒ/ მრავლ. რიცხ. კუთვნილების და მესამე პირის).

როგორც ცნობილია, მორფები ანუ ალტერნანტები შეიქმნა ალოფონების და არა მორფოფონემების ანალოგიით. ფონებისა და მორფების გამოყოფის ძირითადი აზრი, ჩვენი ფიქრით, იმაში მდგომარეობდა. რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი რიგის მოვლენები: ერთი მხრივ, სუბსტანციისაგან აბსტრაქტიზებული სისტემა ანუ ფორმა ანუ, დესკრიპტივისტების ტერმინით, ჩვევა, მეორე მხრივ კი,—მისი მანიფესტაცია, რეალიზაცია მეტყველების ნაკადში სუბსტანციის სახით. ფონემა და მორფემა სისტემის ანუ ფორმის ერთეულებია. ფონი და მორფი კი მანიფესტაციის სფეროს განეკუთვნებიან. ამიტომ სუბსტანციური არიან. ჰოკეტი არაერთგზის გახაზავს, რომ არც მორფემები, არც ფონოლოგიური ერთეულები არ შეიძლება იყვნენ პირდაპირი დაკვირვების საგანი. ისინი არ აიწერებიან სუბსტანციის ტერმინებით, ისინი გამოყვანილ უნდა იქნენ იმისაგან, რაზედაც დაკვირვება შეიძლება. ხოლო დაკვირვების ობიექტს, სამეტყველო სტრუქტურაში ფიზიკურად მოცემულს, წარმოადგენენ ფონები და მორფები. ფონემებისა და მორფემების საპირისპიროდ ფონებისა და მორფების გამოყოფა შესაძლებლობას იძლეოდა მანიფესტაციის მრავალფეროვნების (ვარიანტების) მიღმა შემჩნეული ყოფილიყო ფორმის იგივეობა (ფონემა როგორც ფონების კლასი და მორფემა როგორც მორფების კლასი). ამგვარად

მივიღეთ ორი რიგის ერთეულთა წყვილები, რომლებიც, ჰოკეტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ერთი სიდიდის დონეს განეკუთვნებიან.

ფორმა (სისტემა)

მანიფესტაცია

ფონემა

ფონი

მორფემა

მორფი

ჩვენი აზრით, გაუმართლებელია იმის თქმა, თითქოს არა მორფემა, არამედ მორფი შედგებოდეს ფონემებისაგან. ეს სხვადასხვა რიგის მოვლენათა გაუმართლებელი დაკავშირებაა. მორფი მანიფესტაციის სფეროს განეკუთვნება, ფონემა კი — ფორმას. მორფი გამოთქმის ერთეულია, მასზე დაკვირვება შეიძლება, ფონემა კი ასეთი არ არის. მორფი ფონემებისაგან კი არ შედგება, არამედ ფონებისაგან, რომლებიც მორფების მსგავსად მეტყველების ნაკადში არიან მოცემული.

ჰოკეტი გაურბის გამოთქმას, მორფემა შედგება ფონემებისაგან, იმ მოსაზრებით, რომ მორფემა დაუშლელი ერთეულია. მართლაც მორფემა, როგორც ფონემური ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობა, დაუშლელია გრამატიკის (მორფოლოგიის) თვალსაზრისით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ანალიზის სხვა დონეზე, კერძოდ ფონოლოგიურზე, მისი დაშლა არ შეიძლებოდეს²⁷².

სწორედ ფონემებისაგან არის შედგენილი მორფემა.

ჰოკეტმა მაინც ვერ აუარა გვერდი 'შედგება' მიმართებას, ოღონდ ის მორფემიდან მორფზე გადაიტანა: „მორფი შედგება ფონემებისაგან“. გარდა ზემოაღნიშნული შეუსაბამობისა, რასაც სხვადასხვა ხასიათის ერთეულთა (მორფი და ფონემა) აღრევა იწვევს, აქ ის წინააღმდეგობაცაა, რომ თუ მორფი შედგება უფრო მცირე ერთეულთაგან, მაშინ მორფემაც უეჭველად შედგენილი უნდა იყოს. მართლაც, მორფები ხომ მორფემათა რეპრეზენტაციას წარმოადგენენ. მორფები იმავე სიდიდის დონის არიან, როგორისაც მორფემები, ოღონდ სხვა სფეროს (გამოხატულებას) განეკუთვნებიან. მორფემები მორფებზე დაკვირვების გზით გამოიყვანება. ამიტომ გაუგებარი იქნებოდა მორფები შედგენილი ყოფილიყვნენ ბგერითი ერთეულებისაგან, მორფემები კი დაუშლელი აღმოჩენილიყვნენ. ამგვარად იმ დასკვნამდე მივიღივართ, რომ

მორფემა შედგება ფონემებისაგან.

მორფი შედგება ფონებისაგან.

ზემომოყვანილ მსჯელობას სხვა ასპექტიც აქვს: თუ მორფემები მორფებზე დაკვირვების გზით გამოიყვანება, ხოლო ფონემები ფო-

²⁷² ანალოგიურად სიტყვები დაუშლელი არიან სინტაქსური დონისათვის, მაგრამ იშლებიან მორფოლოგიურ დონეზე.

ნებზე დაკვირვების გზით. მაშინ როგორღა იქნება გამართლებული უარი ვთქვათ მორფებზე და ფონებზე და დაეტოვოთ მორფემები და ფონემები, როგორც ენათმეცნიერების ძირითადი ერთეულები?

იმავე დასკვნამდე მივალთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფონემა განსაზღვრულია, როგორც ფონების კლასი, ხოლო მორფემა,—როგორც მორფების კლასი. თუ კლასის წევრებს (ე. ი. ფონებსა და მორფებს) ამოვრიცხავთ ენათმეცნიერების ერთეულთა სიიდან, მაშინ თვით კლასებიც (ფონემები და მორფემები) ცარიელი გამოგვივა. ასეთი კლასების არსებობას კი ენათმეცნიერებაში არავითარი გამართლება არა აქვს.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფონები და მორფები უნდა დარჩნენ ენათმეცნიერების ერთეულთა შორის. მათი ამორიცხვით ჰოკეტი უარს ამბობს გამოხატულების სფეროს, მანიფესტაციის ერთეულებზე, რაც სრულიად არ შეესაბამება მის საკუთარ (და საერთოდ დესკრიპტივისტების) ზოგად თვალსაზრისს.

განსახილველი დაგვრჩა მორფოფონემები. მათი მოქცევა ფონებთან და მორფებთან ერთ სიბრტყეზე არ ჩანს გამართლებული. მორფოფონემები მართლაც ხელოვნური კონსტრუქტების შთაბეჭდილებას ახდენენ. ისინი გამოგონებული არიან იმისათვის, რომ ფონემური ფორმით ნაწილობრივ განსხვავებული მორფები (knife—knife) გააერთიანონ. მორფემათა ასეთი ვარიანტების დაკავშირება მორფოფონემატური პროცესების საშუალებითაც შეიძლება. ამიტომ მორფოფონემები მართლაც არ არიან აუცილებელი საენათმეცნიერო ინვენტარისათვის. მორფოფონემატური პროცესები უფრო ადეკვატურად ასახავენ იმ მიმართებებს, რომლებსაც ერთი მორფემის ფონოლოგიურად გაპირობებულ ვარიანტებს შორის აქვს ადგილი.

10.3. წარმოადგენს თუ არა ფონემა ფონოლოგიის ძირითად ერთეულს? უკვე 1947 წლიდან ჰოკეტის შრომებში ფონემა არ წარმოადგენს ფონოლოგიის ძირითად ერთეულს. ჯოსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, საფუძველი ეყრება ფონოლოგიას უფონემოდ. 1961 წ. ჰოკეტმა თეორიულად დაასაბუთა თავისი თვალსაზრისი²⁷³.

ფონემის ხვედრითი წონის შემცირება, როგორც ზემოთ ვნახეთ. დაკავშირებული იყო ფონოლოგიაში კომპონენტური ანალიზის ანუ უშუალოდ მიდგომის გამოყენებასთან (საყურადღებო ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გრამატიკიდან ფონოლოგიაში ანალიზის პრინცი-

²⁷³ ჰოკეტის შეხედულებათა ევოლუციის ამ გზაზე, როგორც ვნახეთ, გამოწყლის კმის 1958 წ. გამოქვეყნებული „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსი“, სადაც ფონემა ტრადიციულად არის წარმოდგენილი, როგორც ფონოლოგიის ძირითადი ერთეული.

პის გადმოტანასთან. ჩვეულებრივ, დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში პირუკუ ხდება!).

პოკეტიანთის თავიდანვე დამახასიათებელი იყო ფონემის დის-ტინქტურ თვისებებზე ყურადღების გამახვილება. სწორედ ეს თვისე-ბები იქნა მიჩნეული ფონემის კომპონენტებად (მაგ., მკლერობა, ხშუ-ლობა, წინაენისმიერობა და მისთ.), ე. ი. იმ უმცირეს დაუშლელ ერთე-ულებად, რომლებისგანაც შედგება ფონემა და მასზე უფრო დიდი ფონოლოგიური ერთეულები. ამგვარად, ფონემა არ აღმოჩნდა ფონო-ლოგიის უმცირესი დაუშლელი ერთეული. ის მხოლოდ ერთ-ერთი ფონოლოგიური ერთეულია, რომელიც კომპონენტებისაგან შედგება. ავტორს თუ ვერწმუნებით. ზოგ ენაში შეიძლება სულაც არ იყოს სა-ქირო ფონემების გამოყოფა.

ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ უდავოა ფონემის კომპო-ნენტებად დაშლის შესაძლებლობა, ფონემის ხვედრითი წონა ფონო-ლოგიაში ძველებურად უნდა დარჩეს. საქმე ისაა, რომ სწორედ ფონე-მები და არა კომპონენტები წარმოადგენენ იმ ერთეულებს, რომლე-ბიც ფუნქციობენ ენაში, როგორც კომუნიკაციისა და აზროვნების სა-შუალებაში. გამოთქმებს ერთმანეთისაგან ფონემები განასხვავებს და არა კომპონენტები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ფონემას, შესაძ-ლებელია, მხოლოდ ერთი კომპონენტი ჰქონდეს განსხვავებული, და-ნარჩენი კი საერთო იყოს (მაგ., გამოთქმები 'ზარი' და 'სარი' განსხვავ-დება ფონემებით /ზ/—/ს/ და არა კომპონენტებით მკლერობა — სიყ-რუე). პოკეტი თვითონვე აღნიშნავს სავსებით სამართლიანად, რომ კომპონენტები არასოდეს არ გვევლინებიან დამოუკიდებელ ინდივი-დუალურ ელემენტებად ენაში. ისინი ყოველთვის ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და გარკვეულ ერთდროულ კონებს შეადგენენ. სწო-რედ ეს კონები გვაძლევენ ფონებს, რომელთა კლასები ფონემებს ქმნიან.

პოკეტი ფონემის კომპონენტებად დაშლას ადარებს აღმოჩენას ატომის რთული აგებულების შესახებ. ანალოგია არ არის ზუსტი. ფო-ნემა რომ კომპონენტებისაგან შედგება, ეს არ არის ახალი აღმოჩენა. პოკეტი თვითონ მიუთითებს, რომ ბლუმფილდმა და სხვა ფონოლო-გებმა ეს კარგად იცოდნენ²⁷⁴. თუ ისინი ფონემას მაინც ენას უმცირესს ერთეულად თვლიდნენ, ეს მათი უცოდინარობის შედეგი კი არ არის, არამედ ისინი ანგარიშს უწყევდნენ იმ ფაქტს, რომ კომპონენტები ერთ-დროული კონის სახით არიან წარმოდგენილი ფონემაში და მართებუ-

²⁷⁴ ბგერათა აკუსტიკურ-არტიკულაციური თვისებები, რომლებიც ივლისსხვება კომპონენტებში, კარგად იყო ცნობილი კლასიკური ფონოლოგიისათვისაც.

ლად ფიქრობდნენ, რომ ფონემა, როგორც ენის გამოთქმათა შემადგენელი ნაწილი, დაუშლელია, ის ფუნქციობს ენაში, როგორც ერთიანი ელემენტი.

ფონემის დაშლა კომპონენტებად მეცნიერული ანალიზის შედეგია და არა ამ უკანასკნელთა დამოუკიდებელი მოქმედებისა. ფონემათა კომპონენტების ცოდნა ბევრ რასმე გავიწყვეს ფონემების ქცევაში. მაგ., რატომ იძენს ესა თუ ის ფონემა ასეთ თუ ისეთ ელფერს ამა თუ იმ გარემოცვაში. მაგრამ მიუხედავად სირთულისა, ფონემა უნდა დარჩეს ფონოლოგიის ძირითად ერთეულად, როგორც ეს მიაჩნდათ აღრინდელ ფონოლოგებს. გაუგებარია, რას გულისხმობს ჰოკეტი, როდესაც ამბობს, ზოგ ენაში, შესაძლებელია, ფონემები საერთოდ არ იყოს საჭიროო.

გარკვევას საჭიროებს საკითხი, თუ ანალიზის რომელ დონეს განეკუთვნება ფონემის დაშლა შემადგენელ კომპონენტებად და ამ კომპონენტთა შესწავლა: ფონეტიკურს თუ ფონოლოგიურს. რამდენადაც კომპონენტები აკუსტიკურ-არტიკულაციური თვისებებია, ბუნებრივია, მათი შესწავლა ფონეტიკაში წარმოებდეს, მაგრამ რამდენადაც საქმე ეხება ფონემის კომპონენტებს, აქ აუცილებელია ფონოლოგიური მიდგომა, რომელიც გამოგვაცოფინებს რელევანტურ თვისებებს არარელევანტურთაგან. მხოლოდ პირველნი შევლენ ფონემაში.

10.4. ენობრივ ერთეულებს შორის მიმართებათა შესახებ. ჰოკეტი ენობრივ ერთეულებს შორის სამ მიმართებას განიხილავს: C—'შედგება', R—'წარმოდგენილია' და P—'დაპროგრამებულია'.

C მიმართებასთან დაკავშირებით ზემოთ უკვე ითქვა, რომ არ არის გასაზიარებელი მტკიცება. თითქოს მორფი შედგებოდეს ფონემებისაგან. მორფი, როგორც მანიფესტაციის სფეროს ერთეული, ფონემისაგან შედგება. ხოლო ფონემებისაგან შედგება მორფემა, ვინაიდან ფონემებიც და მორფემებიც ერთსა და იმავე სფეროს, — ფორმას, — განეკუთვნებიან.

საჭიროა გაიხაზოს, რომ „შედგება“ მიმართება ვერ დააკავშირებს სხვადასხვა სფეროს ერთეულებს.

სადავოდ გვეჩვენება ჰოკეტის მტკიცება, რომ „შედგება“ მიმართება გამოიყენება მხოლოდ ერთი და იმავე ფენის, ოლონდ სხვადასხვა სიდიდის დონის ელემენტების მიმართ. არ არის გამორაცხული, რომ „შედგება“ სხვადასხვა ფენის ერთეულებსაც აკავშირებდეს. მაგ., სიტყვა სინტაქსისათვის დაუშლელი შემადგენელია, მორფოლოგიურ დონეზე კი ის შედგება მორფებისაგან.

საბოლოოდ, მორფებთან, მორფოფონემებთან, ფონებთან ერთად ჰოკეტმა R მიმართებაც უარყო, რაც არ არის გასაზიარებელი. 'წარმო-

დგენილია' გადმოგვეცემს მიმართებას ენის ორი სფეროს—ფორმისა და მისი მანიფესტაციის— ერთმანეთის შესატყვის ერთეულებს შორის (ფონემა — ფონი, მორფემა — მორფი)²⁷⁵. ვინც აღიარებს ენაში ამ ორ მხარეს და თვლის, რომ ენათმეცნიერების ამოცანა ორივეს შესწავლაა. მან არ უნდა თქვას უარი 'წარმოდგენილია' მიმართებაზე. ჰოკეტთან შემოგვრჩა მხოლოდ ფორმის ერთეულები (მორფემა, ფონემა...). მეტყველების აქტებში მათი რეალიზაციის საკითხი კი მოიხსნა მიმართებისა და მანიფესტაციის ერთეულთა (მორფის, ფონის) უარყოფასთან ერთად. ასეთი შედეგი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, არ შეესაბამება ჰოკეტის ზოგად თვალსაზრისს ენობრივი სუბსტანციების მნიშვნელობის შესახებ.

გაუგებარია P მიმართების ლინგვისტური აზრი. ჰოკეტი მას მიიჩნევს C-სა და R-ის ნამრავლად და შლის კიდევაც მას C და R მიმართებულად, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჰოკეტმა R მიმართება შეცდომად გამოაცხადა, არ არის ნათელი; დარჩება: თუ არა. P მიმართება და, თუ დარჩება, — რა სახით.

P მიმართება, ჰოკეტის მიხედვით, აკავშირებს მორფემას ფონემასთან. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ მორფემა ფონემასთან 'შედგება' მიმართებით არის დაკავშირებული. ამიტომ შთაბეჭდილება ისეთია, რომ P მიმართებისათვის C და R მიმართებათა გვერდით ადგილი აღარ რჩება. ყოველ შემთხვევაში მის რაიმე თავისებურ შინაარსზე ავტორი არ მიუთითებს.

11. ენის დესკრიპციული ანალიზის პროცედურები

11.1. ფონემიკური ანალიზის პრინციპები. ფონემიკური ანალიზის კრიტერიუმები ჰოკეტს 1942 წ. შეტანილი ჰქონდა ფონემის განსაზღვრაში (იხ. აქვე, გვ. 219—20). იგი ასახელებდა ექვს კრიტერიუმს: (1) მსგავსება, (2) არაგადაკვეთადობა, (3) კონტრასტული და დამატებითი დისტრიბუცია, (4) სისრულე, (5) მოდელის შეთანხმებულობა, (6) ეკონომია²⁷⁶. მოგვიანებით ეს კრიტერიუმები ოთხამდე იქნა დაყვანილი.

²⁷⁵ ეტიკობთ, უზუსტობა არის დაშვებული, როდესაც „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ ჰოკეტი, ერთი მხრივ, წერს, მორფემა წარმოდგენილია ფონემური ფორმით, ხოლო, მეორე მხრივ, ფონემა წარმოდგენილია ალოფონებით ანუ ბგერებით (იხ. აქვე, გვ. 238). ეს სხვადასხვა მიმართებებია. პირველი შემთხვევისათვის 'წარმოდგენილია' შეუფერებელია.

²⁷⁶ Ch. F. H o c k e t t, A System of Descriptive Phonology, გვ. 9.

ამ აღრინდელ ნაშრომში ჰოკეტი განიხილავს ორ საკითხს. რომელ-
 თაც შემდგომშიაც არ დაუკარგავთ აქტუალურობა. პირველი მათგანი
 ეხება ნაწილობრივ დამატებითობას. ჰოკეტი განიხილავს შემდეგ მა-
 გალითს: ესპანური ფონემებიდან /r, ʀ/ მხოლოდ მეორე გვხვდება
 მარცვლის დასაწყისში და მხოლოდ პირველი მარცვლის ბოლოს, მაგ-
 რამ ორივე დასტურდება შუაში ხმოვანთა შორის ან /d, b, k, l/-ს
 შემდეგ. ამგვარად, /r/ და /ʀ/ გარკვეულ პოზიციებში დამატებითს დის-
 ტრიბუციაში იმყოფებიან, სხვა პოზიციებში კი კონტრასტული არიან.
 ჰოკეტს მიაჩნია, რომ კონტრასტულ პოზიციებში /r/ და /ʀ/ ფონემუ-
 რად განსხვავებული არიან და შეუძლებელია მეორე განვიხილოთ, რო-
 გორც პირველის გემინირებული კომპლექსი, რადგან ის იქცევა ცალკე
 თანხმონის მსგავსად. იმ პოზიციაში, სადაც კონტრასტი არაა, ვიბრან-
 ტის ტიპი თითოეულ შემთხვევაში ჰგავს ან [r]-ს, ან [ʀ]-ს კონტრას-
 ტულ პოზიციას და შესაბამისად მიეკუთვნება ან ერთ, ან მეორე ფონე-
 მას. ავტორის სიტყვით, დისტრიბუციის ეს მარტივი დებულება იძ-
 ლევა ფაქტებს ყოველგვარი გართულების გარეშე. ყოველგვარი ლა-
 პარაკი ნეიტრალიზაციაზე, ან კონსტელაციაზე, ან არქიფონემაზე²⁷⁷ აღ-
 რევს ფაქტებს და არაფერს შემატებს მათ²⁷⁸. მეორე საკითხია მრავალ-
 გზისი დამატებითობა. ჰოკეტი ეკამათება ტვოდელს, რომელმაც ეს
 საკითხი განიხილა²⁷⁹, და პრობლემას არარეალურად მიიჩნევს. მისი
 სიტყვით, თუ a ფონი გარკვეულ პოზიციაში დამატებითს დისტრიბუ-
 ციაშია ორ სხვა b და c ფონთან, და ფონეტიკურად ორივეს მსგავსია,
 მაშინ ან (1) a და b, ან a და c უეჭველად შეიძლება მიეკუთვნონ ერ-
 თსა და იმავე ფონემას, ან არადა (2) a, b და c წარმოადგენენ სამი
 ცალკე ფონემის წევრებს.

პირველი შემთხვევისათვის ჰოკეტი ასახელებს ინგ. spin-ის (ყრუ,
 ძლიერ, არაასპირირებულ) ხშულს, რომელიც დამატებითს დისტრიბუ-
 ციაშია როგორც pin-ის ხშულთან (ყრუ, ძლიერი, ასპირირებული), ისე
 bin-ის ხშულთან (მკდერი, სუსტი, არაასპირირებული). რადგანაც /p/
 განსაზღვრულია, როგორც ძლიერი არტიკულაციის მქონე ყრუ, spin-
 ის ხშულიც მას უნდა მიეკუთვნოსო, ასევენი ჰოკეტი.

მეორე შესაძლებლობის საილუსტრაციოდ ავტორი ხელოვნურად
 იგონებს მაგალითს: გარკვეულ ენაში /i/ და /e/ კონტრასტულ პოზი-

²⁷⁷ ჰოკეტი მიუთითებს ნ. ტრუბეცკოს Grundzüge der Phonologie. Prague, 1939, გვ. 206—18.

²⁷⁸ A System of Descriptive Phonology, გვ. 10.

²⁷⁹ დასახელებულია: F. T w o d d e l l, On Defining the Phoneme. «Lan-
 guage» Mcn. 1935, ტ. 16, გვ. 30—2.

ციაში არიან ყველგან, გარდა ერთი შემთხვევისა: /n/-ს წინ არის ხმოვანი ფონი, რომელიც გარდამავალია /i/-სა და /e/-ს შორის და სხვაგან არსად არ გვხვდება. თუ ეს ასეა, გვეუბნება ჰოკეტი, მაშინ გარდამავალი ხმოვანი (მიუხედავად მისი შეზღუდული დისტრიბუციისა) შეადგენს ცალკე ფონემას²⁸⁰.

ფონემიკური ანალიზის პრინციპები ჰოკეტს ვრცლად აქვს აღწერილი „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ და „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“. ამ ორ შრომას შორის ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვისას არსებითი სხვაობა არ შეინიშნება. ამიტომ ჩვენ „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსის“ მიხედვით გადმოვცემთ ავტორის შეხედულებებს.

ფონემური ანალიზის ოპერაციებს ჰოკეტი ორ ჯგუფად ყოფს: ერთია შეგროვება (gathering) და მეორე შეპირისპირება (collation). შეგროვება საველე პირობებში ხდება ენის მცოდნე ინფორმანტთან უშუალო კონტაქტის შედეგად. მკვლევარი ინფორმანტის გამოთქმებს გარდაქმნის გრაფიკულ ნიშნებად და შედარებისა და გადაადგილებისათვის გამოსადეგ ფორმას აძლევს მათ. შეპირისპირება წარმოადგენს შედარებისა და გადაადგილების სახეობას, რომელიც უნდა ჩატარდეს მანამ, სანამ ფონოლოგიური სისტემა გამოვლინდებოდეს. ჰოკეტი მიუთითებს, რომ პრაქტიკულად შეპირისპირება მხოლოდ მაშინ კი არ იწყება, როდესაც შეგროვება დამთავრდება, არამედ ანალიზის ეს ორი საფეხური ხშირად პარალელურად მიმდინარეობს²⁸¹.

შეგროვება. მკვლევარი ეკითხება ინფორმანტს საგნების სახელებს და იწერს მათ რამდენადაც შეუძლია ზუსტად ფონეტიკური ფორმით. პირველ ჩანაწერებში უეჭველად იქნება შეცდომები, რომლებიც თანდათანობით სწორდება. ჰოკეტი იძლევა იმის ილუსტრაციას, თუ როგორ ახდენს მკვლევარი მის მიერ ჩაწერილი სიტყვების შეპირისპირებას მინიმალურ ფუნქციონალურ განსხვავებათა გამოსავლინებლად. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ინფორმანტის წარმოთქმის ვარიაციები, რაც გამეორების გზით შეიძლება დადგინდეს.

მკვლევარი მუშაობს ცდისა და შეცდომის გზით. იგი ადარებს ერთმანეთს მინიმალურად განსხვავებულ წყვილებს²⁸². საბოლოოდ ჩა-

²⁸⁰ Ch. F. Hockett, A System of Descriptive Phonology, გვ. 10.

²⁸¹ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 102—103. შტრ. A Manual of Phonology, გვ. 143—144.

²⁸² აღსანიშნავია, რომ „დესკრიფციული ფონოლოგიის სისტემაში“ ჰოკეტი მინიმალური წყვილის ნაცვლად ხშირად კონტრასტულ წყვილს, ენაიდან მანამალურა წყვილები ბევრ ენაში იშვიათად გვხვდება. კონტრასტულ წყვილს ის განსახლავდა, როგორც ნებისმიერ წყვილს, რომლის წევრებს შორის არსებობს განსხვავება მსგავსების კონტექსტში. დასახ. ნაშრ., გვ. 7.

იწერება დიდი რაოდენობის ფორმები, რომლებშიც წარმოდგენილია თითოეული გარემოცვისათვის რელევანტური ყველა კონტრასტები და არა სხვები²⁸³.

შეპირისპირება. სრული და ზუსტი შეგროვების შედეგად მიღებული ჩაწერა, გვეუბნება ჰოკეტი, ალოფონურად სწორი და სრულია. ამის შემდეგ ისმის ორი კითხვა, რომელთაც პასუხი შეპირისპირებამ უნდა გასცეს. ეს კითხვებია:

(1) რომელი ალოფონები წარმოადგენენ განსხვავებულ გარემოცვებში ერთსა და იმავე ფონემას?

(2) როგორ უნდა გამოვყოთ არტიკულაციისა და ბგერის სეგმენტი ცალკე ფონემის ცალკე ალოფონად? მაგ., ინგ. საწყისი [t'] ცალკე ალოფონად უნდა მივიჩნიოთ, თუ უნდა დავყოთ არაასპირირებულ [l]-დ და განსწვით ასპირატად [l']-დ ან [h]-დ?

ამ საკითხების გადაწყვეტისას მკვლევარი მკაფიოდ დადგენილ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს. არსებულ კრიტერიუმთაგან აუტორი განიხილავს ოთხ ძირითად პრინციპს, რომელთაც, მისი სიტყვით, თითქმის ყველა სპეციალისტი იზიარებს²⁸⁴.

I. კონტრასტისა და დამატებითობის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, ორი ალოფონი არ შეიძლება წარმოადგენდეს ერთსა და იმავე ფონემას, თუ ისინი კონტრასტული არიან. მაგ., ინგ. საწყისი [t'] და [d] ვერ იქნებიან ფონემურად ერთი და იგივე, რადგან არსებობს წყვილები ten და den, time და dime. ეს პრინციპი უშუალოდ ფონოლოგიის განსაზღვრისაგან გამომდინარეობს²⁸⁵.

თუ ორი ალოფონი არ არის კონტრასტული, ისინი იმყოფებიან დამატებითობაში ანუ დამატებითის დისტრიბუციიაში, ე. ი. არც ერთი არ გვხვდება რომელიმე ისეთ გარემოცვაში, რომელშიც დანარჩენები დასტურდებიან. მაგრამ უბრალო დამატებითობა ჰოკეტს არ მიაჩნია საკმარისად იმისათვის, რომ ორი ალოფონი ერთ ფონემას მივაკუთვნოთ. მართლაც, ინგ. საწყისი [p'] დამატებითია ექვსივე ბოლო ხშულისა [p t k b p' d' g^h] და აგრეთვე სხვა ბგერითი ტიპებისა. იმის გადასაწყვე-

²⁸³ Ch. F. Hockett, A Course..., გვ. 103—107. შტრ. A Manual..., გვ. 144—145.

²⁸⁴ Course..., გვ. 107. შტრ. Manual..., გვ. 149. „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ ამას მოსდევს უშუალოდ პრინციპთა განხილვა (გვ. 150—155), რის შემდეგაც აუტორი გადადის ქვემოთ ჩამოთვლილ ოთხ ევრისტოკულ პრინციპზე.

²⁸⁵ Course..., გვ. 107.

ტად, თუ რომელ მათგანთან უნდა მოვახდინოთ [p']-ს იდენტიფიკაცია, მიემართავთ შემდგომ პრინციპს²⁸⁶.

(II) ფონეტიკური მსგავსების პრინციპი. ეს პრინციპი ვარაუდობს, რომ თუ ფონემა წარმოდგენილია ორ ან მეტ გარემოცვაში, მასში შემავალ ალოფონებს შორის იქნება დიდი ფონეტიკური მსგავსება. ჰოკეტი იქვე შენიშნავს, რომ „ფონეტიკური მსგავსების ხარისხის“ ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, რის გამოც ამ პრინციპის გამოყენება ყოველთვის ნათელი არაა, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ის გვეხმარება. მაგ., ინგ. საწყისი [p'] აშკარად უფრო ჰგავს ბოლო [p]-ს, ვიდრე ზემოჩამოთვლილ რომელიმე სხვა ბოლო ბგერის ტიპს. ამ მსგავსებას დამატებითობასთან ერთად თითქმის ყველა მკვლევარი იმ დასკვნამდე მიყავს, რომ ეს ორი ალოფონი ერთსა და იმავე ფონემას შეადგენს.

ამ ალოფონთა შორის განსხვავებას ([p']-ს ახასიათებს ძლიერი ასპირაცია, [p]-ს კი — სუსტი) ჰოკეტი ადარებს ნიღბებს, რომლებიც ფარავენ მათ შორის იდენტობას. თუ ამ ნიღბებს ჩამოვაცილებთ, დაგვრჩება ყრუ ბილაბიალური ხშული, რაც იმას ნიშნავს, რომ განსხვავების მიღმა აბსოლუტური იგივეობა იმალება. განსხვავება კი გარემოცვის განსხვავების შედეგია²⁸⁷.

ეს პროცედურა, ჰოკეტის სიტყვით, ყოველთვის არ გვაძლევს შედეგს. ზოგჯერ ორი ფონეტიკურად მსგავსი ალოფონი კონტრასტულია ერთ გარემოცვაში, მაგრამ ისინი საერთოდ არ გვხვდებიან რომელიმე მეორე გარემოცვაში, სადაც შეინიშნება მხოლოდ მესამე, ფონეტიკურად აგრეთვე მსგავსი ალოფონი. ეს ქმნის მრავალგზის დამატებითობას. ნიმუშად დასახელებულია ინგ. ასპირირებული ყრუ [t'] და არასპირირებული მკლერი [d], რომლებიც გვხვდებიან დასაწყისში მანვილიანი ხმოვნის წინ (tale, dale), მაგრამ საწყისი /s/-ს შემდეგ მანვილიანი ხმოვნის წინ დასტურდება მხოლოდ ყრუ არასპირირებული [t] (stale).

ისმის საკითხი, [t']-სა და [t]-ს ფონემური იდენტიფიკაცია უნდა მოვახდინოთ, თუ [d]-სა და [t]-სი? ავტორის სიტყვით, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მივიჩნევთ „ნიღბად“ და რას შენიღბულად. იგი თვითონ მხარს უჭერს პირველ ალტერნატივას, ე. ი. [t']-სა და [t]-ს აიგივებს, როგორც იქცეოდა ტრადიციული ინგლისური დანაწევრე-

²⁸⁶ Course..., გვ. 107—108. შდრ. Manual..., გვ. 155—156.

²⁸⁷ Course..., გვ. 108. შდრ. Manual..., გვ. 156—158, სადაც ავტორი „ფონეტიკური მსგავსების“ ნაცვლად ხმარობს გამოთქმას „ფონეტიკური რეალიზმი“.

ბაო. მაგრამ მას ასევე შესაძლებლად მიაჩნია მიღებულ იქნეს მეორე ალტერნატივა და არც მესამე შესაძლებლობაა გამორიცხული, რომლის მიხედვითაც ასეთ ვითარებაში არც ერთი იდენტიფიკაცია არ უნდა მოხდეს²⁸⁸.

(III) მოდელის სიცხადის პრინციპი. ეს პრინციპი, რომელსაც, ავტორის შენიშვნით, ხშირად უწოდებენ მოდელის შეთანხმებულობას²⁸⁹, შემდეგში მდგომარეობს: თუ არსებობს ალოფონების ფონემებად იდენტიფიკაციის ორი ან მეტი გზა, რომლებიც თანაბრად კარგად აკმაყოფილებენ დანარჩენ კრიტერიუმებს, მაშინ ჩვენ უნდა შევარჩიოთ ის ალტერნატივა, რომელიც სისტემის უფრო სიმეტრიულ აღწერას იძლევა. ავტორის აზრით, ამ პრინციპის გამოყენებისას ყოველთვის რჩება იმის საფრთხე, რომ მკვლევარი განიცდის „სიმეტრიის დაწოლას“, რაც თვითონ მასშია და არა ფაქტებში. მაგრამ არც ეს შედეგი მიაჩნია მას არასასურველად, თუკი სხვებიც იცნობენ იმ მონაცემებს, რომელთაც მან დააფუძნა თავისი გადაწყვეტილებათა²⁹⁰.

მაგალითი ჰოკეტს ისევ ინგლისური ენიდან მოჰყავს: პირველი პრინციპის მიხედვით, ინგლისური ნებისმიერი საწყისი ხშული შეიძლება გაიგივებულ იქნეს ნებისმიერ ბოლო ხშულთან, ასე რომ არსებობს მონაცემთა „ფონემიზირების“ 720 სხვადასხვა გზა (საწყისი [p'] ნებისმიერთან ექვსი ბოლო ხშულიდან; შემდეგ საწყისი [l'] რომელიმესთან ჯერ კიდევ მიუყუთუნებელი ხუთი ხშულიდან და ა. შ.). ფონეტიკური მსგავსების პრინციპი ბოლოს უღებს ამ ფართო არჩევანს. ხოლო მოდელის სიცხადე იმავე მიმართულებით მოქმედებს. საწყისი და ბოლო [p']-სა და [p]-ს, [t']-სა და [t]-ს და ა.შ. იდენტიფიკაციით ჩვენ ვიღებთ ექვსი ფონემის მწკრივს /p t k b d g/, რომლებიც ერთმანეთის კონტრასტული არიან ორივე გარემოცვაში ზუსტად ერთნაირი ფონეტიკური საფუძვლის მიხედვით. მათი ალოფონები პარალელურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთი გარემოცვიდან მეორეში, ე. ი. საწყისი /p/ განსხვავდება საწყისი /l/-საგან იმით, რომ ერ-

²⁸⁸ Course..., გვ. 108—109. „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ ჰოკეტი დაწვრილებით განიხილავს მრავალგზის დამატებითობას. იგი ერთმანეთს უპირისპირებს ამ საკითხის გადაწყვეტის ამერიკულსა და პრალის ტრადიციებს. გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს პრალის სკოლის მიერ არქიფონემისა და ნეიტრალიზაციის ტერმინების შემოღებას. მაგრამ მიდის დასკვნამდე, რომ მათი გამოყენება ყოველთვის ვერ ხერხდება. თვითონ ჰოკეტი უმეტი მადგომით ცდილობს საკითხის გადაწყვეტას. Manual..., გვ. 164—167.

²⁸⁹ „ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ იგი სწორედ „მოდელის შეთანხმებულობას“ ხმარობს. Manual..., გვ. 158—159.

²⁹⁰ Course..., გვ. 109.

თი ბილაბიალურია, ხოლო მეორე — აპიკო-ალვეოლარული. ეგვეე განსხვავებაა ბოლო /-p/-სა და /-l/-ს შორისაც. ანალოგიური ვითარებაა ყველა სხვა წყვილებისათვის. ასევე საწყისი /p-/ განსხვავდება ფონეტიკურად ბოლო /-p/-საგან ზუსტად ისევე, როგორც საწყისი /l-/ და /k-/ განსხვავდებიან ბოლო /-l/-სა და /-k/-საგან. ხოლო ფონეტიკური განსხვავება საწყის /b/-სა და ბოლო /-b/-ს შორის მეორდება საწყის /d- g/-სა და ბოლო /-d -g/-სთან. სწორედ ასეთი პარალელიზმის ანუ გამეორებისათვის არის გამოსადეგი ტერმინი „სიმეტრია“ ანუ „მოდელის სიცხადე“²⁹¹.

მეორე მაგალითი, რომელიც ჰოკეტს მოჰყავს, ეხება აფრიკატებს [tʃ]-სა და [j]-ს choose, pitcher, juice, ledger-ში. ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნენ ერთეულ ფონემებად /tʃ/, /j/, ან კომპლექსებად /tʃ/, /dʒ/. ავტორის სიტყვით, ფონეტიკური მსგავსება არ ანიჭებს გადამწყვეტ უპირატესობას არც ერთ ინტერპრეტაციას, მაგრამ მოდელის სიცხადის პრინციპს მიჰყავს მკვლევართა მეტი წილი პირველი ინტერპრეტაციისაკენ. თუ /tʃ/-ს და /j/-ს კომპლექსებად [tʃ] და [dʒ] მივიჩნევთ, მაშინ ინგლისურში მხოლოდ ეს ორი ორთანხმოვნიანი კომპლექსი იქნება ისეთი, რომელიც შედგება ხშული + სპირანტისაგან და გვხვდება დასაწყისში. ვინაიდან ინგლისურში ამ ტიპის საწყისი კომპლექსების მოდელი არ არსებობს, ეს ორი ელემენტიც არ უნდა იქნეს ამგვარად გაგებული. გერმანულში კი პირუკუა: [tʃ] კომპლექსად [tʃ] უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან ამ ენას აქვს ხშული + სპირანტი კომპლექსების მთელი მწკრივი: /pf/, ps, ts, ks/ და /tʃ/ ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდება²⁹².

(IV) ეკონომიის პრინციპი. ავტორის სიტყვით, ეს პრინციპი ყველაზე ნაკლებ გამოსაყენებელი და მეტად გაურკვეველია. მის მიხედვით, არასოდეს არ უნდა დაეუშვათ ენის ფონემური სისტემა 30 ფონემის შემადგენლობით, თუ სხვა კრიტერიუმების მიხედვით ეკვივალენტური ალტერნანტული გადაწყვეტილება მოითხოვს უფრო მცირე რიცხვს, მაგალითად, 28-ს ან 25-ს²⁹³.

11.2. რა თავისებურებები გვხვდება ჰოკეტის შრომებში ფონემიკური ანალიზის პროცედურათა განხილვისას? ჰოკეტი სამართლიანად მიუთითებს, რომ მის მიერ განხილული კრიტერიუმები, რომელთაც ფონემიკური ანალიზის დროს იყენებენ, საყოველთაოდ არის აღიარე-

²⁹¹ Course..., გვ. 109—110.

²⁹² იქვე, გვ. 110—111. შდრ. Manual..., გვ. 159—160.

²⁹³ Course..., გვ. 110—111. შდრ. Manual..., გვ. 159—160.

ბული დესკიფციულ ენათმეცნიერებაში: ავტორის თავისებური გაგება ელინდება სხვადასხვა კრიტერიუმების ურთიერთმიმართებაში და თითოეული მათგანის ხვედრითი წონის შეფასებაში.

ყველაზე მნიშვნელოვნად ის ფაქტი გვეჩვენება, რომ დამატებითი დისტრიბუცია, ჰოკეტის მიხედვით, არ წარმოადგენს არც ერთადერთ, არც წამყვან პრინციპს. ამ მხრივ ჰოკეტის თვალსაზრისი საგრძნობლად განსხვავდება ბევრი სხვა დესკრიპტივისტის შეხედულებისაგან, რომლის თანახმადაც დამატებითი დისტრიბუცია ანალიზის ძირითად კრიტერიუმად ცხადდება არა მხოლოდ ფონოლოგიაში, არამედ გრამატიკაშიაც.

დამატებითი დისტრიბუციის გადამეტვასებას ჰოკეტი თავს აღწევს. ორი გზით: ერთი მხრივ, იგი დამატებითი დისტრიბუციის გვერდით და მასთან თანაბარი ღირებულებით განიხილავს კონტრასტულ დისტრიბუციას, რაც სხვა დესკრიპტივისტებთან იშვიათად გვხვდება. ხოლო, მეორე მხრივ, იგი გახაზავს, რომ მხოლოდ დამატებითი დისტრიბუცია არ კმარა ალოფონების ფონემებად დასაჯგუფებლად, საჭიროა ფონეტიკური მსგავსების პრინციპის მოშველიება.

ორივე შემთხვევაში ავტორის თვალსაზრისი სავსებით მისაღებია: იგი ერიდება დამატებითი დისტრიბუციის მნიშვნელობის გაზვიადებას, რაც ესოდენ დამახასიათებელია დისტრიბუციონალისტებისათვის.

მართლაც, დამატებითი დისტრიბუციის არა აქვს მეტი ღირებულება, ვიდრე კონტრასტულ დისტრიბუციას. თუ პირველი ერთი ფონემის ალოფონთა დაჯგუფებისას გვშველის. მეორე აუცილებელია ფონემათა გამოყოფისათვის. დესკრიპტივისტთა მეტი წილი რატომღაც კონტრასტულ დისტრიბუციას არც კი იხსენიებს დისტრიბუციის ძირითად სახეობათა შორის. ისინი ჩვეულებრივ ასახელებენ ორ სახეს: დამატებითი დისტრიბუციის და თავისუფალ ვარირებას.

რაც შეეხება ფონეტიკური მსგავსების პრინციპს, მისი გამოყენების გარეშე შეუძლებელია ალოფონთა დაჯგუფება ფონემებად. ჰოკეტი მართებულად აღნიშნავს, რომ დამატებითი დისტრიბუციის მიმართება შესაძლებელია რამდენიმე ალოფონს შორის არსებობდეს. ამათგან ერთ ფონემად ის ალოფონები გაერთიანდებიან, რომლებიც ფონეტიკურად მეტ მსგავსებას იჩენენ ერთმანეთთან. ამ შემთხვევაშიაც ჰოკეტი სცილდება უკიდურეს დისტრიბუციონალისტებს. მაგალითად, ჰარისს, რომელიც ფონეტიკური მსგავსების პრინციპს სრულიად უგულებელყოფს²⁹⁴.

²⁹⁴ ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით იხ. აქვე. „დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი და მისი მნიშვნელობა ფონოლოგიისა და მორფოლოგიისათვის“.

11.3. მორფემიკული ანალიზის პრინციპები:

11.3.1. ჰარისის მორფემიკული ანალიზის პრინციპთა შესწორება ჰოკეტის მიერ. როგორც ცნობილია, ჰარისმა 1942 წ. სტატიაში „მორფემული ალტერნანტები ლინგვისტურ ანალიზში“²⁹⁵ ჩამოაყალიბა მორფემიკული ანალიზის პროცედურები ფონემიკური ანალიზის ანალოგიით. ჰარისმა ერთი მორფემის ალტერნანტებად მიიჩნია ერთი და იმავე ფუნქციის მქონე მაწარმოებლები. 1947 წ. სტატიაში „მორფემული ანალიზის პრობლემები“ ჰოკეტმა მიუთითა ზოგიერთ სიძნელეზე ჰარისის პროცედურებში და გარკვეული შესწორებები შეიტანა მათში.

ჰარისმა მორფემის მორფემებად დაჯგუფებისათვის სამი მოთხოვნილება წამოაყენა. ჰოკეტი შემდეგნაირად გადმოგვცემს ამ მოთხოვნებებს: ორი ან მეტი მორფეი ჯგუფდება ერთ მორფემად, თუ მათ (ა) აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა, (ბ) არასოდეს არ გვხვდებიან იდენტურ გარემოცვებში და (გ) არა აქვთ უფრო დიდი კომბინირებული გარემოცვები, ვიდრე რომელიმე ცალკე ალტერნანტის გარემოცვებია ენაში²⁹⁶.

ჰოკეტის მიხედვით, ჰარისის სისტემის მკაცრად დაცვა ძნელდება შემდეგ შემთხვევებში:

(1) ზოგჯერ გვხვდება აშკარად იდენტური მნიშვნელობის მქონე ალტერნანტები, რომლებიც იმყოფებიან თითქმის, მაგრამ არა მთლიანად დამატებითს დისტრიბუციაში. ასეა ორი ალტერნანტი, რომლებიც ნიშნავს 'სახელი მრავლობითი': /:oʊfz/ და /hooʊvz/ ან /lathz/ /θ/-თი და /d/-თი. ეს ხელს უშლის ტაქტიკურად სასურველ დასკვნას, რომ ინგლისურში არსებობს მხოლოდ სახელის მრავლობითის ერთი მორფემა.

(2) ზოგჯერ იდენტური მნიშვნელობის მქონე და დამატებითს დისტრიბუციაში მყოფი ალტერნანტები უნდა დაიყონ, ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია ვიპოვოთ ერთი ალტერნანტი, რომლის რანგი მოცემული ჯგუფის პარალელურია. მაგ., ლათინურში არ არსებობს ბრუნვა-რიცხვის კომბინაცია, წარმოდგენილი ყველა სახელის ფუძის შემდეგ ერთი და იმავე სუფიქსით. მაშასადამე, ჰარისის თანახმად, ვერ ვილაპარაკებთ 'ნომინატიურ' მხოლოდობითის მორფემაზე ან ცალკე მორფემაზე რომელიმე სხვა ბრუნვა-რიცხვის მნიშვნელობით²⁹⁷.

²⁹⁵ Z. S. Harris, Morpheme Alternants in Linguistic Analysis. «Language», 1942, ტ. 18.

²⁹⁶ Ch. F. Hockett, Problems in Morphemic Analysis, გვ. 322.

²⁹⁷ იქვე, გვ. 323.

(3) ზოგჯერ მეტყველების მონაკვეთი შესაძლებელია გაიყოს ორ ადგილას, ისე რომ თანაბრად დამაკმაყოფილებლად ან თანაბრად არადამაკმაყოფილებლად მივიღოთ მორფები. ამის მაგალითი ავტორს მოჰყავს მენომინიდან. ამ ენაში თუ თანხმონით დაბოლოებულია ელემენტი წინ უძღვის იმავე სიტყვაში თანხმონით დაწყებულ ელემენტს, მათ შორის ჩნდება /e/. თანაბრად შესაძლებელია გაყოფა როგორც ამ /e/-ს შემდეგ, ისე მის წინ. მაგრამ ორივე არჩევანი ნებისმიერია. ჰარისის მიხედვით, გაყოფა უნდა მოვახდინოთ, როგორც /e/-ს წინ, ისე მის შემდეგ და /e/ უნდა განვიხილოთ, როგორც /-/ მორფემული შეერთების ალტერნანტი. აქ ჰარისი არ მიჰყვება თავის საკუთარ წესებს, ვინაიდან მორფემულ შეერთებას არა აქვს მნიშვნელობა და ის არ არის მორფემაო, — წერს ჰოკეტ²⁹⁸.

(4) რადგან არ არსებობს ფრანგ. /ɔ/-ს (= à le) დაყოფის შესაძლებლობა, ის ცალკე მორფემად უნდა ჩავთვალოთ, — გვეუბნება ჰოკეტი, მაგრამ მას ტაქტიკური თვალსაზრისით უმჯობესად მიაჩნია დაიყოს /o/ ორ თანმიმდევრულ მორფემად à პლუს le (მაშრ.). ჰარისის კრიტერიუმები კი ამის შესაძლებლობას არ იძლევა²⁹⁹.

(5) ჰოკეტის სიტყვით, ჰარისის პროცედურის მიხედვით მხოლოდ ღია ფონემური შინაარსის მორფემები (ე. ი. ფუძეები და აფიქსები — თ. შ.) მიიღება. მაგრამ მორფის განსაზღვრა უნდა გავრცელდეს აგრეთვე მიხუს თვისებებზე, როგორიცაა ფრანგ. bonne 'კარგი (მდღერ.)', რომლისაგანაც წარმოიქმნება bon 'კარგი (მაშრ.)', შენაცვლებითს თვისებებზე, როგორიცაა man: men; ნულ თვისებებზე, როგორიცაა sheep (მხ.) : sheep (მრ.) და მათ კომბინაციებზე, როგორიცაა განსხვავება child-სა და children-ს შორის³⁰⁰.

ჰოკეტი გახაზავს, რომ ის არ ისახავს მიზნად ჰარისის კრიტიკას, მისი ამოცანაა ჰარისის სქემის გაუმჯობესება³⁰¹. ამისათვის მას გარკვეული ცვლილებები შეაქვს იმ პირობებში, რომლებიც ჰარისმა საფუძვლად დაუდო მორფების მორფემებად დაჯგუფებას. პირველ მოთხოვნილებას, რომელიც მნიშვნელობას ეხება, ჰოკეტი უცვლელად ტოვებს, ვინაიდან ის ყველაზე ძნელი დასამუშავებელია³⁰². რაც შეეხება მეორე და მესამე მოთხოვნილებას, ისინი წმინდა დისტრიბუციულია და სწორედ მათ ცვლის ნაწილობრივ ჰოკეტი.

²⁹⁸ Ch. F. Hoekett, Problems in Morphemic Analysis, გვ. 323.

²⁹⁹ იქვე.

³⁰⁰ იქვე, გვ. 323—324.

³⁰¹ იქვე, გვ. 324.

³⁰² მნიშვნელობას, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ჰოკეტი ხმარობს ჰარისისებურად, როგორც პრაქტიკულ შემოკლებას. გვ. 327—328

ჰარისის მეორე მოთხოვნის დამატებით დისტრიბუციას. გულისხმობს. ერთად ჯგუფდება ალტერნანტები, რომლებიც არასოდეს არ გვხვდებიან იდენტურ გარემოებებში. ჰოკეტი დამატებითი დისტრიბუციის ნაცვლად გვთავაზობს არაკონტრასტულ დისტრიბუციას და იქვე შენიშნავს, ჰარისი თვითონ იყენებს ამ პრინციპს, მაგრამ თეორიული განხილვის გარეშე³⁰³.

არაკონტრასტულ დისტრიბუციას ჰოკეტი მოითხოვს არა მხოლოდ ერთი მორფემის ალომორფებისათვის, არამედ ერთი ფონემის ალომორფებისთვისაც. იგი ამ პრინციპს შემდეგნაირად განსაზღვრავს:

ორი ერთი სახის ელემენტი (ორი ალოფონი, ორი მორფი და მისთ.) იმყოფება არაკონტრასტულ დისტრიბუციაში, თუ ან (1) ისინი იმყოფებიან დამატებით დისტრიბუციაში, ან (2) იმყოფებიან ნაწილობრივ; დამატებითობაში და ისეთ გარემოებებში, რომლებშიც ორივე გვხვდება, ისინი არიან თავისუფალ ალტერნაციაში. თავისუფალ ალტერნაციაში აქტორი გულისხმობს: (ა) რომ არ შეიძლება წინასწარმეტყველება, ალბათ სტატისტიკურის გარდა, თუ რომელი ფორმა შეგვხვდება ცალკეულ შემთხვევაში და (ბ) რომ ერთ-ერთი გამოვლენა არ უცვლის გამოთქმას მნიშვნელობას³⁰⁴.

ჰოკეტის სიტყვით, არაკონტრასტული დისტრიბუცია ხშირად გამოუყენებიათ ფონემიკური ანალიზის დროს, როგორც კრიტერიუმი ალომორფების ფონემებზე დასაჯგუფებლად. მაგ., როგორც stick-ის არასპირირებული [t], ისე tick-ის ასპირირებული [tʰ] გვხვდება გამოთქმის ბოლოს და ზოგ სხვა პოზიციაში: He's in the skit 'შეიძლება ბოლოვდებოდეს [t]-თი ან [tʰ]-თი. მაგრამ ეს გამოთქმა 'ოგივე' გამოთქმაა. მიუხედავად იმისა, გვაქვს ასპირაცია თუ არა. გარკვეულ გარემოებებში ორივე ალოფონის გამოვლენა არ შეგვიშლის ხელს; რომ ორივე დავაჯგუფოთ ერთ /t/ ფონემად.³⁰⁵

მორფემიკიდან ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითი მოყვანილია სომხურიდან, სადაც 'მხოლ. ნათ.' ზოგ ფუძესთან იხმარება როგორც /van/, ისე /i/ : /irigun 'დილა'—ნათ. /irig.wan/ და /irigun.i/.

'ნათ. მხოლ.'-ის მნიშვნელობის მქონე მორფები არ არიან დამატებით დისტრიბუციაში და ამიტომ ჰარისის მეორე მოთხოვნის მიხედვით ვერ ჩაითვლებიან ერთ მორფემად, წერს ჰოკეტი. არც მო-

³⁰³ მოითხოვს Z. S. Harris, *Yokuts Structure and Newman's Grammar*. IJAL. 1944, ტ. 10, გვ. 196—211, § 6 (ჩ. ჰოკეტი, დასახ. ნაშრ., გვ. 328).

³⁰⁴ Ch. F. Hockett, *Problems in Morphemic Analysis*, გვ. 328.

³⁰⁵ იქვე.

ლაპარაკის არჩევანის წინასწარმეტყველება შეიძლება, თუ არ სტატისტიკურად. მაშასადამე, ეს მორფები არაკონტრასტულ დისტრიბუციაში იმყოფებიან და მეორე მოთხოვნების შეცვლის შედეგად ისინი ერთ მორფმად დაჯგუფდებიან, — დაასკვნის იგ³⁰⁶.

ასევე ინგ. სახელის მრავლობითი მორფემის იდენტიფიკაციის დროს სიძნელეს აღარ შექმნის hoof:hooves, რადგან ეს მორფები (hoof და hoove-, /s/ და /z/) იმყოფებიან არაკონტრასტულ დისტრიბუციაში: hoofs და hooves არ განსხვავდებიან მნიშვნელობით³⁰⁷.

უფრო რთულია ინგ. brothers: brethren-ის ანალიზი, ვინაიდან აქ მნიშვნელობაშიც არის განსხვავება. Brethren ნიშნავს ლოკისა და ეკლესიის 'მამრობითი სქესის წევრ თანამომძეებს', brothers-ს კი ეს მნიშვნელობაც აქვს და ზოგადად 'ძმებსაც' აღნიშნავს. ამგვარად, brethren-ის მრავლობითის მორფი არ არის თავისუფალ ალტერნაციაში brothers-ის /z/-სთან.

ჰოკეტი ამ საკითხის შემდეგნაირ გაშუქებას გეთავაზობს: მრავლობითიდან ამოსვლით დაუშვათ ორი განსხვავებული, თუმცა ჰომოფონური მორფმა: brother₁ 'იმავე მშობლების მამრობითი შვილი' და brother₂ 'ლოკის ან ეკლესიის მამრობითი სქესის თანამომძე წევრი'. Brother₁-ის მრავლობითია brothers, brother₂-ისა — brothers ან brethren თავისუფალი ვარიაციით. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ერთ მორფმად დაეჯგუფოთ 'სახელის მრავლ.' მორფები, ვინაიდან ისინი სხვა მორფებთან ერთად არაკონტრასტულ დისტრიბუციაში იმყოფებიან³⁰⁸.

ჰოკეტის აზრით, ერთადერთი დაბრკოლება, რომელიც ამგვარად შეცვლილი მოთხოვნების დროს გვხვდება, ისაა, რომ ჩვენ ვარღვევთ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში მიღებულ სამუშაო დებულებას, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია არსებობდეს ჰომოფონური მორფემები, მაგრამ ზუსტად სინონიმური მორფემები არ არსებობს³⁰⁹.

ჰარისისეული დაჯგუფების მესამე მოთხოვნის დროს ჰოკეტი შემდეგნაირად ასწორებს: ნაცვლად იმისა, რომ მოვითხოვოთ, რომ დაჯ-

³⁰⁶ Ch. F. Hockett, Problems in Morphemic Analysis, გვ. 329.

³⁰⁷ იქვე, გვ. 329—330.

³⁰⁸ იქვე, გვ. 330.

³⁰⁹ იქვე. მითითებულია Bloomfield, Language, §9. 5. ნიმუშები მოყვანილია ფუძისეული მორფებისა: twenty და score (Z. S. Harris, Morpheme Alternants, § 2. 2). საინტერესოა, რომ „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ ჰოკეტი განსხვავებას ამყარებს სინონიმურ სიტყვებსა (არსებითად ფუძეებსა) და სინონიმურ მორფემებს (რომლებშიც გრამატიკული ელემენტები ივლენსხვება) შორის (იხ. აქვე, გვ. 274—5).

გუფებულ მორფებს ჰქონდეთ. კომბინირებული გარემოცვები არა უფრო დიდი, ვიდრე რომელიმე ცალკე ალტერნანტის გარემოცვაა ენაში, ჩვენ მოვითხოვთ. რომ მათ ჰქონდეთ მთლიანი რანგი, რომელიც არაა ერთადერთი³¹⁰.

მორფემის რანგს ავტორი განსაზღვრავს, როგორც ყველა იმ გარემოცვათა კლასს, რომლებშიაც ამ მორფემის წევრი მორფები გვხვდებიან. ჩვენი შესწორებული მოთხოვნა უკვე განაპირობებს, რომ რამდენიმე მორფის დაჯგუფებით მიღებულ მორფემას ჰქონდეს რომელიმე სხვა მორფემის იდენტური (ან პარალელური) რანგი, მაგრამ აღარ მოითხოვს, რომ ეს მეორე მორფემა (ტესტი მორფემა) შედგებოდეს ერთი მორფისაგან, — განმარტავს იგი³¹¹.

ავტორის სიტყვით, მოთხოვნილების გადასინჯული ფორმა შესაძლებლობას გვაძლევს მივალწიოთ ტაქტიკურ უპირატესობას ისეთ შემთხვევებში, როდესაც იგი შეუძლებელია ძველი ფორმის დროს, მაგ., მოთხოვნილების ძველი ფორმის დროს შეუძლებელია ერთ ცალკე მორფემად დაჯგუფოთ ყველა მორფები ლათინურის ნებისმიერი ცალკეული ბრუნვა-რიცხვის კომბინაციისათვის, რადგან არც ერთი ცალკე ბრუნვა-რიცხვის კატეგორია არ არის წარმოდგენილი ყველა სახელის ფუძის შემდეგ ერთი და იმავე მორფით. ახალი მოთხოვნის დროს ჩვენ შეგვიძლია ასე მოვიქცეთ. ერთი ბრუნვა-რიცხვის კომბინაციისათვის იმ პირობით, რომ ასევე ვიქცევით სხვა ბრუნვა-რიცხვის ერთი კომბინაციისათვის მაინც. ბუნებრივია, ამგვარად მოვიქცეთ ყოველი ასეთი კომბინაციისათვის. რვა. ან. ათი ბრუნვა-რიცხვის მორფემა ამჟამად შეიძლება ტექნიკურად ჩამოყალიბდეს, როგორც ერთი კლასი: ისინი გვხვდებიან სახელის ფუძეების შემდეგ, და სახელის ფუძე გვხვდება ბრუნვა-რიცხვის მორფემის წინ³¹².

გარდა დაჯგუფების მოთხოვნილებებისა, ჰოკეტს ცვლილება შეაქვს მორფისა და მორფემის ურთიერთობის გაგებაშიც. თუ აქამდე ყოველი მორფი ეკუთვნოდა ერთსა და მხოლოდ ერთ მორფემას და გამოთქმაში იმდენი მორფემა იყო, რამდენიც მორფია, ახალი გაგების მიხედვით, გამოთქმაში მორფებისა და მორფემების რაოდენობა შეიძლება არ იყოს ერთნაირი: ზოგი მორფი და, მასასადამე, მორფემულა მასალის ზოგი ნაწილი ზოგიერთ გამოთქმაში მორფემულად ირელევანტურია. ჰოკეტი გამოყოფს მორფების ორ სახეობას, რომლებიც განაპირობებენ იმას, რომ გამოთქმაში მორფემათა რაოდენობა ზოგ-

³¹⁰ Ch. F. Hoekett, Problems in Morphemic Analysis, გვ. 331.

³¹¹ იქვე.

³¹² იქვე.

ჯერ არ ემთხვევა მორფების რაოდენობას. ესენია: ცარიელი მორფები, რომელთაც არა აქვთ მნიშვნელობა (ასეთია, მაგ., შემაერთებული ხმოვანი ზოგ ენაში) და კონტამინირებული მორფები: (portmanteau morphs), რომლებიც ერთდროულად ეკუთვნიან ორ (ან თეორიულად მეტ) მორფებს და აქვთ ერთდროულად ორივეს მნიშვნელობა³¹³ (ფრანგ. /o/, რომელიც ზიღებულაა à le-საგან).

საბოლოოდ ჰოკეტი შემდეგი სახით აყალიბებს მორფემიკული ანალიზის პროცედურას:

1. საფეხური. ვაგროვებთ რაიმე ფონემური ნოტაციით ჩაწერილ ენის გამოთქმებს. თუ წინასწარი გამოკვლევა გამოავლენს, რომ განსხვავებული (აგრეთვე ფონემური) ნოტაცია ამოცანას უფრო მარტივს გახდის, ვახდენთ ყველაფრის ხელახალ ტრანსკრიფციას. ეს შეიძლება რამდენიმეჯერ გამეორდეს. დროდადრო შესაძლებელია ამ საკითხს სხვა საფეხურებიდან უკან მივუბრუნდეთ.

2. საფეხური. ამჟამად გამოთქმები შეისწავლება საბოლოოდ შერჩეული ნოტაციით. აღმოჩნდება მუდმივი მნიშვნელობის მქონე გამეორებული ნაწილები. ზოგი ნაწილი არ მეორდება, მაგრამ რჩება ყველა გამეორებული ნაწილის აღრიცხვის შემდეგ. მაშასადამე, ფონემური მასალის ყველა ნაკვეთი ეკუთვნის ამა თუ იმ მორფს. განსაზღვრით მორფს აქვს ერთი და იგივე ფონემური ფორმა ყველა თავის გამოვლენისას. (ამ ეტაპზე) ყოველ მორფს აქვს ღია ფონემური ყალიბი, მაგრამ მორფი აუცილებლად არ შედგება ფონემათა გაბმული უწყვეტი მონაკვეთისაგან. ხაზი ორ მეზობელ მორფს შორის არის დაყოფა (cut).

3 საფეხური. საექვო შემთხვევათა ამოღება. მორფები დაჯგუფებულია ფორმის საფუძველზე და სავარაუდოდ განსაზღვრულია კანონიკური ფორმები³¹⁴.

4 საფეხური. ორი ან მეტი მორფი ჯგუფდება ერთ მორფემად, თუ ისინი აკმაყოფილებენ დაჯგუფების შემდეგ მოთხოვნილებებს: (ა)

³¹³ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 332.

³¹⁴ ი ქ ვ ე, გვ. 342. კანონიკურ ფორმათა საკითხი ავტორის საგანგებოდ აქვს განხილული (§ 16). მისი სიტყვით, სუბმორფემული მოდელირების შესაძლებელი მნიშვნელობის გამო აუცილებელია განვიხილოთ მორფემათა ტიპობრივი ფონემური ყალიბები ანუ კანონიკური ფორმები. კარგად ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერ ცალკეულ ენაში სხვადასხვა მორფებს აქვთ ერთი და იგივე ზოგადი ფონემური ფორმა. ეს საკითხი დეტალურად განიხილა სხვადასხვა გამოუქვეყნებელ მასალაში და ზეპირად ბენამინ ლ. უორფმაო, შენიშნაეს ჰოკეტი. კანონიკური ფორმის უმარტივესი მაგალითი მას მ.პყავს ფიჯიანიდან, რომელშიაც მორფემათა დიდ რაოდენობას აქვს ფორმა: $\neq C_1 V_1 C_2 V_2 (C_3)$, სადაც \neq შეერთებაა, C — თანხმოვანი, V — ხმოვანი, ხოლო C_3 არ გვხვდება, როდესაც მომდევნოდაა შეერთება ან თანხმოვანი. ი ქ ვ ე, გვ. 333—334.

აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა, (ბ) იმყოფებიან არაკონტრასტულ დისტრიბუციაში, (გ) რეზულტანტური მორფემის რანგი არაა ერთადერთი, მაგრამ ზოგი მორფე შეიძლება საერთოდ არ მიეკუთვნოს მორფემას და ზოგი ერთდროულად მიეკუთვნოს ორ (ან მეტ) მორფემას. ცარიელ მორფს, რომელიც არც ერთ მორფემას არ მიეკუთვნება, არ უნდა ჰქონდეს არავითარი მნიშვნელობა და იგი წინასწარმეტყველებადი უნდა იყოს არაცარიელი მორფების ტერმინებით. კონტამინაციურ მორფს უნდა ჰქონდეს ერთდროულად ორი ან მეტი მორფემის მნიშვნელობები და ის არაკონტრასტულ დისტრიბუციაში უნდა იყოს მორფემების ერთ-ერთი წევრის რომელიმე ალტერნანტისა და მეორის რომელიმე ალტერნანტის კომბინაციასთან (რადგან ასეთი კომბინაცია ჩვეულებრივ არ გვხვდება).

5 საფეხური. როდესაც ალტერნანტული შესაძლებლობებია, არჩევანი ემყარება: (ა) ტაქტიკურ სიმარტივეს, (ბ) მორფოფონემურ სიმარტივეს და (გ) კანონიკურ ფორმასთან შეთანხმებულობას.

6 საფეხური. წარმოებს მორფების, როგორც მორფემათა ალტერნანტების, ფონემურ ფორმებს შორის განსხვავებათა მოწესრიგება და დადგენა. ეს ქმნის მორფოფონემიკას. განსაკუთრებით კონტამინირებული ფორმები შეუდარდება ამ მორფემის სხვა ალტერნანტებს და თუ ფონემური ფორმის მსგავსებები და შემთხვევათა რაოდენობა ამართლებენ ამას, გამოიცნობა ღია ფონემური შინაარსისაგან განსხვავებული მორფები, რითაც ხდება ზოგი კონტამინირებული ფორმის ელიმინაცია³¹⁵.

11.3.2. მორფემიკული ანალიზი „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“. „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ პოკეტი განიხილავს წინადადების შემადგენელ მორფემათა განსაზღვრის საკითხს. ამ მიზნის მისაღწევად უნდა გამოვყოთ ნებისმიერი ნაწილები და გავარკვიოთ:

(I) მეორდება თუ არა ეს ნაწილი სხვადასხვა გამოთქმებში დაახლოებით იმავე მნიშვნელობით? თუ პასუხი უარყოფითია, მაშინ ჩვენ მიერ აღებული ნაწილი არ გამოდგება და ახლა სხვა ნაწილს ვსინჯავთ. თუ პასუხი დადებითია, მაშინ ნაწილი სავარაუდოდ გრამატიკულ ფორმას (ანუ მოკლედ ფორმას) წარმოადგენს, მაგრამ იგი, შესაძლებელია, ცალკე მორფემა კი არ იყოს, არამედ ერთზე მეტი მორფემისაგან შედგებოდეს.

(II) ამის გასარკვევად უნდა ვნახოთ, ხომ არ შეიძლება ფორმა დაიყოს უფრო მცირე ნაწილებად, რომელთაგან თითოეული მეორედ-

³¹⁵ Ch. F. Hockett, Problems in Morphemic Analysis, გვ. 342.

ბა დაახლოებით იმავე მნიშვნელობით იმგვარად, რომ მთლიანი ფორმის მნიშვნელობა მონათესავეა უფრო მცირე მონაკვეთების მნიშვნელობისა? თუ პასუხი დადებითია, მაშინ ფორმა შედგენილია, იგი ერთზე მეტ მორფემას შეიცავს და თითოეული ნაწილი ხელახლა უნდა შევამოწმოთ ორივე ტესტის მიხედვით. მაგრამ თუ პასუხი უარყოფითია, მაშინ ფორმა ერთ მორფემას წარმოადგენს.

ამ ოპერაციათა მრავალგზის გამოყენებით შესაძლებელია აღმოჩენილ იქნეს გამოთქმის ყველა მორფემა³¹⁶.

მაგრამ I და II ტესტების გამოყენების შემდეგ მაინც შეიძლება დაგვრჩეს გაუანალიზებელი ნარჩენები. მაგ., წინადადებაში: ²Please pass the ²cranberries¹, cranberries აშკარად იშლება cranberry-დ და მრავლობითობის მორფემად /z/. თავისი მხრივ, cranberry-ც შედგენილი ჩანს ელემენტისაგან /bərij/, რომელიც მეორდება strawberry-ში, raspberry-ში, goosberry-ში, blackberry-ში, blueberry-ში და ა. შ. მაგრამ cran არ გვხვდება სხვა კომბინაციაში იმავე მნიშვნელობით. თუ მკაცრად გავყევებით I და II ტესტებს, მაშინ cranberry ერთ მორფემად უნდა ჩავთვალოთ, მაგრამ ეს არასასურველად მიაჩნია ჰოკეტს. ვინაიდან, ჯერ ერთი, cranberry-ს მეორე ნაწილის იდენტობა არ იწვევს ეჭვს. მეორეცა და cran აშკარად ატარებს მნიშვნელობას, თუნდაც ის არსად არ გვხვდებოდეს სხვა კომბინაციაში. Cranberries განსხვავდება strawberries, raspberries, goosberries-გან და ა. შ. ამ მნიშვნელობის აღწერა ძნელია, მაგრამ ადვილია მისი დემონსტრირება ხილის ბაზარშიო, — წერს იგი³¹⁷. ამიტომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ cran ერთეულ მორფემად იქნეს მიჩნეული³¹⁸.

ჰოკეტი გახაზავს, რომ ფორმათა და გამოთქმათა გამოყოფისათვის არ არის საკმარისი ცალკეულ გამოთქმათა კვლევა, აუცილებელია ისეთ გამოთქმათა შედარება, რომელთა შორის დასტურდება ნაწილობრივი მსგავსება როგორც მნიშვნელობით, ისე ფონემური შედგენილობით. ასეთ გამოთქმათა შედარება შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ მათი განსხვავებული ნაწილები და მნიშვნელობის განსხვავებაც ამ ნაწილებს მივაწეროთ³¹⁹. ამ ოპერაციის საჭიროება უფრო აშკარად იგრძნობა უცხო ენის ანალიზის დროს, ვინაიდან მშობლიურ ენაში ადვილად და ავტომატურად ვახდენთ მას, ისე რომ საგანგებოდ არ ვამახვილებთ ყურადღებას³²⁰.

³¹⁶ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 123—124.

³¹⁷ იქვე, გვ. 126.

³¹⁸ იქვე, გვ. 127.

³¹⁹ იქვე, გვ. 127—128.

³²⁰ იქვე, გვ. 129.

ჰოკეტი სპეციალურად ჩერდება მორფემათა მნიშვნელობისა და ფონემური შემადგენლობის მიმართების თავისებურ შემთხვევებზე:

ჯერ ერთი, შესაძლებელია, ფონემური ფორმით იდენტური მორფემები განსხვავებული იყვნენ მნიშვნელობით. ასეთ მორფემებს სხვადასხვა მორფემებად ვთვლით. ასეთია, მაგ., boys-ში სიმრავლის აღმნიშვნელი /z/, men's room-ში კუთვნილების აღმნიშვნელი /z/ და He runs fast-ში მესამე სუბიექტური პირის მრ. რიცხვის აღმნიშვნელი /z/. განსხვავებული მორფემებია აგრეთვე bear 'დათვი', bear 'ტარება, გაჩენა' და bare 'შიშველი'; meet 'შეხვედრა, შეკრება' და meat 'ხორცი'; beat 'ჭარხალი' და beat 'ცემა'³²¹.

საპირისპირო შემთხვევა გვაქვს, როდესაც ფონემური ფორმით განსხვავებულ მორფემებს იდენტური მნიშვნელობა აქვთ.

ავტორი ჯერ განიხილავს სინონიმურ სიტყვებს. მაგ., ინგ. big და large. მათთვის შეიძლება დაიძებნოს გამოთქმათა მინიმალური წყვილები, რომელთა მნიშვნელობა განსხვავებულია. ასეთია მაგ., He's a big man და He's a large man. ამათგან მეორე გულისხმობს ფიზიკურ მოცულობას, მაშინ როდესაც პირველი შეიძლება აღნიშნავდეს სოციალურ, ინტელექტუალურ ან პოლიტიკურ სიდიდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ big და large არ არიან სრული სინონიმები. ეს დამახასიათებელია საერთოდ ლექსიკისათვის.

მორფემებთან კი სხვაგვარი ვითარება გვაქვს. თუ ავიღებთ სინონიმურ წყვილს: /z/-ს, რომელიც აღნიშნავს 'მრავლობითს' dogs, girls, tables, chairs, ideas-ში და /s/-ს, რომელიც აღნიშნავს 'მრავლობითს' cats, desks, cliffs, tops, pots-ში, მათ შორის მნიშვნელობის განსხვავებას ვერ დავადასტურებთ. არ დაიძებნება მინიმალური წყვილები, სადაც ეს მორფემები ერთმანეთს შეენაცვლებიან: /dɒgz/, /bɔɪz/, /gɜːrlz/ და ა. შ. ისევე შეუძლებელია, როგორც /kæɪtʃ/, /dɛskz/, /klɪtʃ/ და ა. შ.³²² ეს იმას ნიშნავს, რომ /s/ მრავლობითი და /z/ მრავლობითი არ არიან კონტრასტული. მინიმალური კონტრასტის დახმარების გარეშე კი ჩვენ ვერ აღმოვაჩინებთ განსხვავებას /s/-სა და /z/-ს მნიშვნელობაში, კიდევაც რომ არსებობდეს იგი³²³.

მოლაპარაკის თვალსაზრისით ლექსიკურ სინონიმებსა და მორფემულ სინონიმებს შორის შემდეგი განსხვავება არსებობს: მეტწილ შემთხვევებში big და large ერთსა და იმავე გარემოცვებში იხმარება.

³²¹ Ch. F. H o c k e t t, Course..., გვ. 130.

³²² ი ქ ვ ე, გვ. 131.

³²³ ი ქ ვ ე, გვ. 132..

ამიტომ მოლაპარაკე თავისუფალია აირჩიოს ერთი მათგანი მეორის ნაცვლად. /s/ და /z/ მორფემათა ხმარებისას ასეთი არჩევანი არ არსებობს. აქ არჩევანი გაკეთებულია მოლაპარაკისათვის და არა მის მიერ, — ამბობს ჰოკეტი³²⁴. თუ მოლაპარაკე წარმოთქვამს /t/-თი დაბოლოებულ გამოთქმას, მან აუცილებლად /s/ უნდა აირჩიოს მრავლობითში. ხოლო თუ გამოთქმა /d/-თი ბოლოვდება, მაშინ მრავლობითის მორფემა აუცილებლად /z/ იქნება³²⁵.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც არჩევანი სინონიმურ მორფემათა შორის გაკეთებულია მოლაპარაკისათვის და არა მის მიერ, ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ /s/ 'მრავლობითი' და /z/ 'მრავლობითი' წარმოადგენენ ორ განსხვავებულ მორფემას, ჩვენ ვიტყვი, რომ /s/ და /z/ წარმოადგენენ ერთი მორფემის ორ განსხვავებულ ფორმას³²⁶.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ჰოკეტის „კურსის“ მიხედვით, გამოთქმათა დაყოფა მორფებად გრამატიკული ანალიზის პირველსავე საფეხურებზე ხდება, ალომორფების დაჭეუება მორფემებად კი გადატანილია მორფოფონემიკაში, რომელიც ცალკე დარგადაა წარმოდგენილი და მოსდევს გრამატიკას. თუმცა ავტორი შენიშნავს, რომ გრამატიკული და მორფოფონემიკური ანალიზი აუცილებლად ერთდროულად უნდა მიმდინარეობდეს და გრამატიკული და მორფოფონემიკური ანალიზის ერთიან პროცესს მორფემიკას უწოდებს³²⁷.

ოპერაციული მტკიცებანი, რომლებიც ამ შეერთებულ ანალიზში შედის, მხოლოდ ნაწილობრივია კოდიფიცირებული, — გვეუბნება ჰოკეტი. ჭერჭერობით არ არსებობს არავითარი სრული შეთანხმება სპეციალისტებს შორის. მაგრამ არსებობს რამდენიმე პრინციპი, რომლებიც თითქმის საყოველთაოდაა აღიარებული³²⁸. იგი განიხილავს სამ ასეთ პრინციპს, რომლებიც, მისივე სიტყვით, შეიძლება შედარებულ იქნეს ფონემიკური ანალიზის პირველ სამ კრიტერიუმთან:

(I) ორი მორფი არ შეიძლება წარმოადგენდეს ერთი მორფემის ალომორფებს, თუ ისინი კონტრასტული არიან. მაგ., *stricken* და *struck* — *stricke* ზმნის ნამყოს მიმღობის ფორმებია. პირველი ნაწარმოებია ისე, როგორც *ridden* — *ride*-ისაგან, ხოლო მეორე — როგორც *stuck* — *stick*-ისაგან. მაგრამ *stricken* და *struck* არ შეიძ-

³²⁴ Ch. F. Hockett, Course..., გვ. 132.

³²⁵ იქვე.

³²⁶ იქვე.

³²⁷ იქვე, გვ. 276.

³²⁸ იქვე, გვ. 274.

ლება იყენენ მორფემულად იდენტური. ასე, თუ ისინი ერთსა და იმავე ფუძეს ემყარებიან, მაშინ ფლექსიური აფიქსები აუცილებლად სხვადასხვა მორფემებია³²⁹.

(II) ორი მორფე ვერ იქნება ერთი მორფემის ალომორფები, თუ მათ არა აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა. რადგან მნიშვნელობის განსაზღვრა საუკეთესო შემთხვევაში უხეშია, ამ კრიტერიუმმა შეიძლება გამოიწვიოს უთანხმოებანი. პრაქტიკულად გაურკვეველობა არც ისე მრავალრიცხოვანიაო, — შენიშნავს ავტორი. მაგ., cats-ის /s/, dogs-ის /z/ და oxen-ის /ən/ იმდენად მსგავსია მნიშვნელობით, რომ ერთსა და იმავე მორფემას უნდა განეკუთვნონ, თუ სხვა კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია³³⁰.

(III) როდესაც დანარჩენი კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, მაშინაც კი ორი მორფე არ უნდა მივაკუთვნოთ ერთ მორფემას, თუ მიღებული მორფემა არ შეესაბამება ენის გრამატიკულ სქემას. სხვაგვარად, ავტორი ვარაუდობს, რომ არ არის გამართლებული მორფემათა გამოყოფა მკვლევრის მიერ მოხერხებული მანიპულაციების შედეგად.

მაგ., შეიძლება ვინმემ აღიაროს, რომ ორი აშკარად განსხვავებული დერივაციული აფიქსი — dom (kingdom-ში 'სამეფო') და -y (duchy-ში 'საგრაფო') „იდენტური“ მნიშვნელობისაა და ისეთი დისტრიბუციის მქონეა, რომ არც ერთი არ გვხვდება ისეთ ფუძესთან, რომელთანაც მეორე დასტურდება. მაგრამ ამ ორი აფიქსის მიჩნევა ერთი მორფემის ალომორფებად, ავტორის აზრით, გაართულებს და არ გაამარტივებს ენის მიმოხილვას. ბევრ დერივაციულ აფიქსს აქვს უაღრესად განსაზღვრული დისტრიბუცია და ისინი არ გამოიყენებიან თავისუფლად ახლად შექმნილ დერივატივებში. მიუხედავად ამისა, ახალი დერივატივები შემთხვევით არიან შექმნილი თვით ყველაზე უფრო ლიმიტირებული აფიქსებითაც კი და ზემომოყვანილ ორ სუფიქსს შორის კონტრასტის არარსებობა შეიძლება მხოლოდ მოჩვენებითი იყოს ან მხოლოდ დროებითი ან შემთხვევითიო, — დასძენს პოკეტი³³¹.

მეორე მხრივ, ავტორს გამართლებულად მიაჩნია went-ის აღიარება *ვო*-ს ნამყო დროდ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმები ისევე მთლიანად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც *-dom* და *-y*. ამის მიზეზი ის არის, რომ ინგლისურში უსასრულოდ ბევრ ზმნას

³²⁹ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 274—275.

³³⁰ იქვე, გვ. 275.

³³¹ იქვე.

აქვს ფუძეზე სუფიქსის დართვით რეგულარულად ნაწარმოები ნამყო. Went მიჩნეული უნდა იქნეს ნამყოს ფორმად იმიტომ, რომ იგი სინტაქსურად ისევე იქცევა, როგორც სხვა ფორმები, რომლებიც უდავოდ ნამყოს წარმოადგენენ. იმავე მიზეზის გამო *ცო* უნდა ჩაითვალოს აწმყოს ფორმად³³².

ჰოკეტის სიტყვით, ზემოგანხილული სამი კრიტერიუმი არ არის საკმარისი ნებისმიერი ცალკე ენის მონაცემთა დასამუშავებლად. ყოველი მოცემული ენისათვის აუცილებელია ვეძებოთ შემდგომი კრიტერიუმები. ერთიანი მეთოდოლოგიის მიღწევა ყველა ენისათვის ავტორს მომავლის საქმედ მიაჩნია³³³.

11.3.8. მორფემიკული ანალიზის თავისებურებანი ჰოკეტის შრომებში. ჯერ კიდევ ფონემიკური ანალიზის განხილვისას ვნახეთ, რომ ჰოკეტი სხვა დესკრიპტივისტებისაგან განსხვავებით დამატებითს დისტრიბუციას არ ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ეს ტენდენცია კიდევ უფრო მკაფიოდ მკლავნდება მორფემიკული ანალიზის დროს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესწორება, რომელიც ჰოკეტს ჰარისის სქემაში შეაქვს, სწორედ დამატებითს დისტრიბუციას ეხება. თუ, ჰარისის მიხედვით, ერთი მორფემის ალომორფები დამატებითს დისტრიბუციაში უნდა იმყოფებოდნენ, ჰოკეტის შესწორების შემდეგ ერთი მორფემის ალომორფებს შორის მოთხოვნილია არაკონტრასტული დისტრიბუცია. არაკონტრასტული დისტრიბუცია გულისხმობს ან დამატებითს დისტრიბუციას, ან ნაწილობრივს დამატებითობას, რომლის დროსაც ალომორფებს შორის ზოგ გარემოცვაში შესაძლებელია თავისუფალი ვარირება გვექონდეს.

ჰოკეტის შესწორებანი გამოწვეულია იმ სიძნელეებით, რომლებიც დამატებითი დისტრიბუციის პრინციპის გამოყენებისას ჩნდება გრამატიკაში.

დამატებითი დისტრიბუცია ალომორფებს შორის გაპირობებულია იმიტომ, რომ ალომორფთა განსხვავებები გამოწვეულია სხვადასხვა გარემოცვებით. გრამატიკაში არ არსებობს ასეთი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გარემოცვებსა და მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფებს შორის. ამიტომ, რომ ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე მორფები ყოველთვის არ იმყოფებიან დამატებითს დისტრიბუციაში, ე. ი. ყოველთვის არ გვხვდებიან ერთმანეთის გამომრიცხველ გარემოცვებში. მართალია, მეტწილად სხვადასხვა ალომორფები მიმაგრებულინი არიან განსხვავებულ ფუძეებთან, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ერთ ფუძესთან დუბლეთური ფორმები გვხვდებოდეს.

³³² Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 276.

³³³ იქვე.

ყველა ენაში გვაქვს იმის შემთხვევები, რომ ერთი ფუნქციის მქონე გრამატიკული ელემენტები ერთმანეთს ენაცვლებიან ერთსა და იმავე გარემოცვაში. ასეთი შენაცვლების დროს ზოგჯერ მნიშვნელობის მხრივ არავითარი განსხვავება არ დასტურდება (მაგ. hoofs || hooves), ზოგჯერ კი მცირეოდენი განსხვავება იჩენს თავს (შდრ. brothers 1. ძმები, 2. ეკლესიის ან ლოჯის თანამომძმენი || brethren — ეკლესიის ან ლოჯის თანამომძმენი).

როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევებში? თუ მრავლობითის მორფებს მაინც ერთ მორფემაში გავაერთიანებთ, მაშინ დამატებითი დისტრიბუცია არ ყოფილა აუცილებელი ალომორფების კლასიფიკაციისათვის. ხოლო თუ მათ არ შევიტანთ ერთ მორფემაში, მაშინ საფუძველი ეცლება ჰარისის მიერ შემოღებულ პრინციპს ერთი ფუნქციის მქონე მორფების ერთ კლასად გაერთიანების შესახებ³³⁴.

სიძნელის გადალახვის მიზნით ჰოკეტმა 1947 წ. უფრო სუსტი მოთხოვნილება წამოაყენა, ვიდრე ჰარისს ჰქონდა: ან უნდა გვქონდეს დამატებითი დისტრიბუცია, ან ნაწილობრივი დამატებითობა (თავისუფალ ვარიაციასთან ერთად) მაინც. შველის თუ არა ეს საქმის? ვფიქრობთ, გამოსავალი მაინც არ არის დაძებნილი.

ეს ნათლად ჩანს იმ შემთხვევათა ანალიზიდან, როდესაც დუბლეტური ფორმები მნიშვნელობის გარკვეულ გადახრასთანაც არის დაკავშირებული. ამის ნიმუშია brothers || brethren. იმისათვის, რომ მრავლობითის ალომორფები გააერთიანოს, ჰოკეტი brother ფუძეს ხელოვნურად ყოფს ორ ერთეულად 'brother₁, 'ძმა' და brother₂, 'ეკლესიის ან ლოჯის თანამომძმე'. პირველის მრავლობითია brothers, ხოლო მეორისა — brethren ან brethren თავისუფალი ვარიაციით. ამ გზით ჰოკეტი შეეცადა მიეღწია დამატებითი დისტრიბუციისათვის. ასეთი ხელოვნური ოპერაცია გვიჩვენებს, რომ დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი ვერ გამოდგება მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფების გასაერთიანებლად.

რომ ზემოაღწერილი ანალიზი (ერთი ფუძის გახლეჩა ორად) თვით ჰოკეტსაც არ აკმაყოფილებდა, ეს იქიდან ჩანს, რომ უფრო გვიან „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ მას სრულიად არ შეაქვს დამატებითი დისტრიბუცია ძირითად კრიტერიუმებს შორის. იგი ლაპარაკობს მხოლოდ კონტრასტულობის შესახებ, რაც სხვადასხვა მორფე-

³³⁴ დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. აქვე „დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი და მისი მნიშვნელობა ფონოლოგიისა და მორფოლოგიისათვის“.

მებს გამოგვაყოფინებს. დუბლეტური წარმოების შესახებ კი შენიშნავს, რომ *stricke* ზმნის ნამყოფი მიმღეობის ფორმები *stricken* || *struck* არ შეიძლება იყენონ მორფემულად იდენტური. თუ ისინი ერთსა და იმავე ფუძეს ემყარებიან, მაშინ ფლექსიური აფიქსები აუცილებლად სხვადასხვა მორფემებიან. ეს იმის საწინააღმდეგოა, რასაც ჰოკეტი „მორფემული ანალიზის პრობლემებში“ ამტკიცებდა. იქ მთავარ ამოცანად სწორედ ის იყო მიჩნეული, რომ მრავლობითობის ყოველი მორფი ერთ მორფემად გაეერთიანებინა და ამისათვის ფუძის დაშლასაც არ ერიდებოდა. ამქამად იგი აღიარებს ფუძის ერთიანობას და ამიტომ იძულებული ხდება ერთი ფუნქციის მქონე აფიქსები, რომლებიც ერთმანეთთან არ იმყოფებიან დამატებითის დისტრიბუციაში, გამოაცხადოს სხვადასხვა მორფემებად.

ამგვარად, ბოლოს და ბოლოს ჰოკეტი იქამდე მიდის, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს ერთი ფუნქციის მქონე ყველა მაწარმოებლის ერთ მორფემად გაერთიანების შესაძლებლობას, ე. ი. სწორედ იმას, რასაც ჰარისმა ჩაუყარა საფუძველი 1942 წ. და რაც დესკრიპციული გრამატიკის ყველაზე თვალსაჩინო თავისებურებას წარმოადგენდა წლების განმავლობაში.

ჰოკეტის შრომების განხილვა განსაკუთრებით ნათლად გამოავლენს, რომ მორფემების იდენტიფიკაციის დროს დესკრიპტივისტები იფარგლებოდნენ ფლექსიური ელემენტებით. დამატებითი დისტრიბუციის პრინციპიც სწორედ მათ მიმართ იქნა გამოყენებული ჰარისის მიერ. თუ ფუძეებს ეხებოდნენ დესკრიპტივისტები, ეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც გრამატიკულ ფორმათა წარმოებისას ფუძეებში ადგილი აქვს ალტერნაციას ან ვკვებდება სუპლემენტური (ფუძემონაცვლე) ფორმები. თავისთავად ფუძისეული მორფემის იდენტიფიკაციის საკითხი არ დამდგარა. ვფიქრობთ, აქ უფრო ნათლად გამოვლინდებოდა დამატებითი დისტრიბუციის გამოყენებასთან დაკავშირებული სიძნელებები.

მეორე მხრივ, არც დერივაციული ელემენტების იდენტიფიკაცია უცდიათ ფართო მასშტაბით. როგორც ჩანს, აქაც დამატებითი დისტრიბუცია ვერ იქნება გამოსადეგი. ამას თვითონ ჰოკეტიც აღიარებს, როდესაც წერს, რომ არ არის გამართლებული ერთ მორფემად გაერთიანება ინგ. *-dom* (*kingdom*-ში 'სამეფო') და *-y* (*duchy*-ში 'საგრაფო'), მიუხედავად იმისა, რომ მათ მნიშვნელობა ერთნაირი აქვთ და თითოეული მათგანი სხვადასხვა ფუძეებთან გვხვდება. ჰოკეტის სიტყვით, დერივატივებს შორის კონტრასტის არარსებობა შესაძლებელია

მხოლოდ მოჩვენებითი იყოს ან მხოლოდ დროებითი ან შემთხვევითი (აქვე- გვ. 276).

ამგვარად, ალომორფების მორფემებად კლასიფიკაციის პრინციპები, რომელთაც უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში იყენებდნენ დესკრიპტივისტები, მიმართული იყო მხოლოდ ფლექსიურ მაწარმოებელთა დაჯგუფებისაკენ. ამასთან, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ ვიწრო ფარგლებშიაც ის მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა, რადგან ფონოლოგიიდან ხელოვნურად გადმოტანილი დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი ვერ მოერგო გრამატიკას. დესკრიპტივისტები ან ცდილობდნენ ხელოვნურად შეექმნათ დამატებითობის შთაბეჭდილება (ერთიანი ამოსავალი ფუძის ორ ჰომოფონურ ფუძედ გახლეჩის გზით), ან არადა არ გაეწიათ ანგარიში დამატებითობის არარსებობისათვის და მაინც ერთ მორფემად გაეერთიანებინათ ერთი ფუნქციის მქონე გრამატიკული ელემენტები (მაგ. hoofs || hooves).

ასეთ ვითარებაში ჰოკეტის მიერ დამატებითი დისტრიბუციის შეუტანლობას მორფემული ანალიზის კრიტერიუმებში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, ეს ავტორის მიერ გახაზული არაა, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ იგი შეგნებულად ამბობს უარს დამატებითი დისტრიბუციის გამოყენებაზე მორფემიკაში, ვინაიდან საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკამ არ გაამართლა იგი. ეს კი მეტად მნიშვნელოვან ცვლილებას მოასწავებს დესკრიფციული ენათმეცნიერების პროცედურებში.

ჰოკეტი დესკრიფციული ენათმეცნიერების ტრადიციის შესაბამისად „მორფემული ანალიზის პრობლემებში“ უარყოფდა სინონიმური მორფემების არსებობას. ხოლო „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ ის აღიარებს, რომ ზუსტად სინონიმური სიტყვები არ არსებობს, სინონიმური მნიშვნელობის მორფემები კი დასტურდება. პირველ შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს ფუძისეული მორფემები (big და large), მეორეში კი გრამატიკული ელემენტები (მრავლობითობის /s/ და /z/). ავტორის მსჯელობა თავისთავად არ არის მოკლებული ინტერესს, ოღონდ ჩვენ არათანმიმდევრულად გვეჩვენება მისი მოსაზრება, სინონიმური მორფემები ერთი მორფემის ალომორფებს ქმნიანო. თუ ჰოკეტი, ერთი მხრივ, აღიარებს, რომ ომონიმური მორფემები სხვადასხვა მორფემებია მათი მნიშვნელობის განსხვავების გამო, მეორე მხრივ, ვფიქრობთ ასევე გამართლებული იქნებოდა გვეთქვა, რომ სინონიმური მორფემები, რომლებიც მნიშვნელობით იდენტური არიან, მაგრამ ფონემური ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სხვადასხვა მორფემებს წარმოადგენენ. სწორედ ამ შემთხვევაში აქვს აზრი ჰინონიმთა შესახებ მსჯელობას. რაც

შეეხება ალომორფებს, ისინი დამოუკიდებელ ერთეულებს არ ქმნიან, ერთი ერთეულის ვარიანტები არიან და ასეთ ვარიანტებად, ვფიქრობთ, მიჩნეული უნდა იქნენ მხოლოდ ისეთები, რომლებიც მნიშვნელობითაც და ფონემური ფორმითაც იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ არ არის მიზანშეწონილი მათი ცალკე ერთეულებად გამოყოფა. ასეთია ე. წ. ფონოლოგიურად გაპირობებული ალომორფები. მორფოლოგიურად გაპირობებულები კი სინონიმებს წარმოადგენენ და არა ერთი მორფემის ალომორფებს.

11. 3. 4. მორფოფონემიკის პრინციპები „ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“. როგორც არაერთგზის იყო აღნიშნული, ჰოკეტი მორფოფონემიკას ფართო გაგებით ხმარობს. იგი მოიცავს როგორც მორფემის მორფემებად კლასიფიკაციის პროცედურებს, ისე მორფოფონემური ალტერნაციის შემთხვევებსაც. ვინაიდან პირველ საკითხზე უკვე გვქონდა მსჯელობა, ამჟამად მორფოფონემური ალტერნაციების საკითხს შევეხებით. მით უმეტეს, რომ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ჩვეულებრივ სწორედ ეს საკითხი განიხილება საკუთრად მორფოფონემიკაში.

ჰოკეტი იძლევა მორფოფონემური ალტერნაციების სხვადასხვაგვარ დაჯგუფებას: შინაგანი და გარეგანი სანდჰის ტერმინებით აიწერება ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთ სიტყვაში შემავალ მორფემათა ფონემური წარმომადგენლების ცვალებადობა. დამოკიდებულია იმავე სიტყვაში არსებულ სხვა მორფემებზე ან როდესაც მთლიანი სიტყვების ფორმათა ცვალებადობა დამოკიდებულია ერთმანეთის მიმართ მათ პოზიციებზე და მეზობელი სიტყვების ფორმებზე³³⁵.

გარეგანი სანდჰის მაგალითი მოყვანილია ფოქსი ენიდან. ამ ენაში ყოველ სიტყვას პოტენციურად ორი ფორმა აქვს: ერთი მთავრდება მოკლე ხმოვნით, მეორეში ბოლო მოკლე ხმოვანი მოკვეცილია. სრული ფორმა გვევლინება პაუზის წინ ან ისეთი სიტყვის წინ, რომელიც იწყება თანხმოვნით. უფრო მოკლე ფორმა ვლინდება ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ. მაგ., კავშირი 'და' არის: /mi·na/ და /mi·n:/ /ihkwe·wa mina šeka.kwa/ 'ქალი და სკუნსი', მაგრამ /ihkwa·wa min unemo·ha/ 'ქალი და ძაღლი'. მოკლე ფორმა შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, თუ ვიცით სრული ფორმა. მაგრამ სრული ფორმის წინასწარმეტყველება არ შეიძლება მოკლე ფორმიდან, რადგან ენაში ოთხი სხვადასხვა მოკლე ხმოვანია და არ გვეცოდინება, რომელი უნდა და-

³³⁵ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 277.

ეერთით. ამიტომ უფრო სრულ ფორმას ეწოდება ძირითადი (ბაზისური) ფორმა³³⁶.

შინაგანი სანდჰის მაგალითიც იმავე ენიდან მოჰყავს ავტორს. შინაგანი სანდჰის დროს სიტყვის შიგნით ერთმანეთს ხედება მეზობელი მორფემების ბგერები. მაგ., ფოქსში /l/-თი დაბოლოებულ ყოველ მორფემას აქვს პოტენციალურად მისი წყვილეული ალომორფი, დაბოლოებული /t/-ს ნაცვლად /t/-თი. /t/ გვხვდება /t/-ს ნაცვლად, როდესაც მომდევნო ელემენტი სიტყვაში იწყება /i/-თი, /i/-თი ან /j/-თ. ასე, /pja-te/ 'თუ ის მოდის' და /pia-ti/ 'ის რომ მოდის' შეიცავენ /pia.-/ ფუძის შემდეგ [t/] ფლექსიურ მორფემას. პირველ მათგანში მას მოსდევს ფლექსიური ელემენტი, წარმოდგენილი /e/ ფორმით, მეორეში კი დართული ელემენტი წარმოდგენილია /i/-თი, რაც იწვევს /t/-ს წენაცვლებას /t/-თი³³⁷.

ცალკე გამოყოფს ჰოკეტი ფაკულტატიური (optional) გარეგანი სანდჰის შემთხვევებს. იგი გარეგან სანდჰის ჰგავს, მაგრამ მისგან განსხვავებით არ არის მორფოფონემიკური³³⁸.

ავტომატური და არავტომატური ალტერნაცია. ავტომატურია ისეთი ალტერნაცია, რომელიც გამოწვეულია ენის ფონემური მოდელის მოთხოვნილებით. ამის მაგალითია ფოქსის შინაგანი სანდჰი. ფოქსის ფრაზაში არასოდეს არ გვხვდება ხმოვანთა თანმიმდევრობანი. გამოხატულებაში, რომელიც ნიშნავს 'ქალი და ძალი', ვინმეს რომ ეხმარა სრული ფორმა /mi-na/ 'და', — მივიღებდით /ihkwe-wa mi-na anemo.ha/-ს, ე. ი. გვექნებოდა ფრაზის შიგნით ორი ხმოვანი ერთმანეთის მეზობლად³³⁹.

ერთ-ერთი ალტერნანტული ფორმა არის ძირითადი ფორმა, ხოლო მეორე ან სხვები ენაცვლებიან ძირითად ფორმას სპეციფიკურ პირობებში. რომ არ მივიღოთ ფონემათა ისეთი განლაგება, რომელიც ენის ფონემურ მოდელს უპირისპირდება.

არავტომატურია ისეთი ალტერნაცია, რომელიც არ არის ავტომატური. მაგ., ფოქსში /l/-ს წენაცვლება /t/-თი შინაგან სანდჰიში თუმცა საკმაოდ რეგულარულია, მაგრამ არ არის ავტომატური, რადგან ფონემათა თანმიმდევრობა /li/ გვხვდება ამ ენაში. მაგ., /netoti/ 'ერთი'³⁴⁰.

³³⁶ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 277.

³³⁷ ი ქ ვ ე, გვ. 278.

³³⁸ ი ქ ვ ე, გვ. 278—279.

³³⁹ ი ქ ვ ე, გვ. 279.

³⁴⁰ ი ქ ვ ე, გვ. 280.

რეგულარული და ირეგულარული ალტერნაცია. ალტერნაცია რეგულარულია, თუ ის უფრო ხშირად დადგენილ პირობებში გვხვდება. ნებისმიერი სხვა ალტერნაცია, რომელიც შემთხვევით გვხვდება ერთსა და იმავე პირობებში, იქნება ირეგულარული. მეტი წილი ავტომატური ალტერნაცია რეგულარულია, თუმცა გამონაკლისები ლოგიკურად არაა შეუძლებელი. მაგრამ ზოგი არაავტომატური ალტერნაციაც რეგულარულია, ამ უკანასკნელის მაგალითია ფოქსის /t/—/ʔ/.

ინგლისურში სახელის მრავლობითობის მორფემა წარმოდგენილია რამდენიმე განსხვავებული ფორმით: /z/, /s/ და /əz/; /ɒn/ oxen-ში, ინფიქსი /e/ men-ში და ზოგი სხვა. ამათგან რეგულარულ მოდელს შეიცავს /z/, /s/ და /əz/. ესენი ავტომატურ ალტერნაციაშია ერთმანეთთან, ძირითადი ფორმაა /z/. ამათი შენაცვლება ნებისმიერი სხვა ფორმით ირეგულარულია: მაგ., oxen, men, children, data, phenomena, cases, gladioli და ა. შ. შეუძლებელი იქნებოდა შეგვექმნა სრული სია სახელთა ფუძეებისა, რომლებიც მისდევნენ რეგულარულ მოდელს, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ირეგულარულთა ჩამოთვლა ამომწურავად³⁴¹.

რეგულარობას სხვადასხვა ხარისხი აქვს. ირეგულარობის მწვერვალს ქმნის სუბლეცია ანუ სუბლეტიური ალტერნაცია. ნებისმიერი მოდელი, რომლისთვისაც შეიძლება შეირჩეს ორი მაგალითი, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ნაკლებ ირეგულარულია, ვიდრე ის მოდელი, რომლისთვისაც არსებობს მხოლოდ ერთი იზოლირებული შემთხვევა. — წერს ავტორი³⁴².

ფონემურად და მორფემულად გაპირობებული ალტერნაცია. ფონემურად გაპირობებული ალტერნაციის მაგალითია ინგლისურში განუსაზღვრელი არტიკლი. რომელიც a ფორმით გვხვდება, თუ მომდევნო სიტყვის პირველი ფონემაა ხმოვანი, ხოლო თუ პირველი ფონემა თანხმოვანია, მაშინ an ფორმით ვლინდება.

მორფემულად გაპირობებულია ალტერნაცია /wáɪf/ (მს. wife)—/wáɪvz/ (მრ. wives) მორფემისათვის {wife}³⁴³.

მორფემულად გაპირობებული ალტერნაცია ყოველთვის არაავტომატურია. ავტომატური ალტერნაცია ყოველთვის ფონემურად გაპირობებულია. არსებობს აგრეთვე ფონემურად გაპირობებული ალტერნაციები, რომლებიც არაა ავტომატური. ასეთია ინგ. a/an ალტერნაცია. ხმოვნის წინ a-ს და არა an-ის გამოყენება არ შექმნი-

³⁴¹ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 280.

³⁴² იქვე, გვ. 280—281.

³⁴³ იქვე, გვ. 281.

და ფონემურად შეუძლებელ თანმიმდევრობას, ისევე როგორც an-ის გამოყენება თანხმოვნის წინ არ შექმნიდა დაუშვებელ ფონემურ განლაგებას³⁴⁴.

ძირითადი ფორმები. ავტორი გვაცნობს იმ პრინციპებს, რომლებითაც უნდა ვახელმძღვანელოთ ძირითად ფორმათა შერჩევისას. მისი სიტყვით, მორფემის ან სიტყვის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიჩნევა ძირითად ფორმად ზოგჯერ უბრალოდ მოხერხებულობის საკითხია, ზოგჯერ კი მას უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს.

ასე, მაგ., wife : wives-ში ძირითად ფორმად მიჩნეულ იქნა /wáɪf/, ვინაიდან ალტერნაციის აღწერისას უნდა დადგინდეს პირობები, რომლებიც იწვევენ თითოეულ ალტერნანტულ ფორმას. პირობები, რომლებიც იწვევენ /wáɪv/-ს, ადვილად დასადგენია: ეს ფორმა გვხვდება, როდესაც მას სახელის მრავლობითის მორფემა მოსდევს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში იქნება /wáɪf/. /wáɪf/-ის მიჩნევა ძირითად ფორმად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს ფორმა ვლინდება გარდა სპეციფიკური პირობებისა, რომლებსაც ჩამოვთვლით. /wáɪv/ რომ მიგვეჩნია ძირითად ფორმად, მაშინ სპეციფიკური პირობების განსაზღვრა, რომლებშიაც /wáɪf/ გვხვდება, ბევრად უფრო ძნელი იქნებოდა³⁴⁵.

ავტომატური ალტერნაციის დროს არჩევანი არ არსებობს. ძირითად ფორმად მიჩნეულ უნდა იქნეს ის ალტერნანტი, რომელიც გვევლინება ისეთ გარემოცვებში, რომლებშიც ენის ფონემური ჩვევები არ მოითხოვენ არჩევანს. ინგ.-ში ხმოვნების შემდეგ გვხვდება როგორც /z/, ისე /s/ და /əz/. როდესაც მრავლობითის მორფემა მოსდევს ხმოვნით დაბოლოებულ სახელის ფუძეს, ვლინდება ფორმა /z/: boy:boys /bɔɪ:/ /bɔɪz/; ფონემურ ჩვევათა მიხედვით ამ გარემოცვაში შეიძლებოდა ყოფილიყო /s/ ან /əz/-იც, მაგრამ ეს ასე არაა. მაშასადამე, /z/ უნდა იქნეს მიჩნეული ძირითად ფორმად. /z/ შენაცვლებულია /s/-თი ყრუ თანხმოვნებთან, რომელთა შემდეგ /z/. ფონემურად შეუძლებელია: cliffs, myths, cops... იგი შენაცვლებულია /əz/-ით ექვსი თანხმოვნის შემდეგ, რომელთა შემდეგ შეუძლებელია /z/ ან /s/: matches, judges, passes, wishes, burzes, rouges. ძირითად ფორმად რომ მივიჩნიოთ /s/ ან /əz/, მაშინ თითოეული მათგანის შენაცვლება /z/-თი ხმოვნით დაბოლოებული ფუძის შემდეგ არ იქნება ავტომატური. ავტომატური ალტერნაციის დადასტურება

³⁴⁴ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 281.

³⁴⁵ იქვე, გვ. 281—282.

და ძირითადი ფორმის პონა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ერთი გულისხმობს მეორეს³⁴⁶.

ზოგჯერ ძირითადი ფორმა რეალურად არ გვხვდება. ასეთ ფორმას ეწოდება თეორიული ძირითადი ფორმა³⁴⁷.

საგანგებოდ განიხილავს ჰოკეტი კანონიკურ ფორმებს. იგი წერს: არაიდენტური ფორმები შეიძლება ერთმანეთს ჰგავდნენ რაიმე აღწერითი თვალსაზრისით. მაგ., /bér/ და /sing/ ორივე ერთმარცვლიანია. ჩვენ ვამბობთ, რომ მათ აქვთ ერთნაირი კანონიკური ფორმა. ამგვარად, კანონიკური ფორმა არის ფონემური ფორმის ერთგვარი განზოგადება.

ავტორის სიტყვით, ყოველ ენაში არსებობს ფავორიტული კანონიკური ფორმები, მაგ., ფიჯიანში კანონიკური ფორმებია:

$$\begin{array}{l} C_1 V_1 C_2 V_2 \\ C_1 V_1 C_2 V_2 C_3 \end{array} \text{³⁴⁸ .}$$

ინგლისურში ერთი უპირატესი კანონიკური ფორმაა,—ერთი მხველიანი მარცვალი, რომელსაც ჩვეულებრივ უძღვის შეერთება. მას ავტორი S-ით აღნიშნავს. მაგ., bear, sing, find. უფრო მოკლე ყალიბებით წარმოდგენილი მორფემები დერივაციულია ან ფლექსიური. მეორე უპირატესი კანონიკური ფორმაა ႵS, რომელშიც მეორე უმხველო მარცვლის ყალიბია ხშირად /əz/, /ə/, /əm/, /ən/, /ij/, /ow/: hammer, scotter, bottle, pestle, butten... ამაზე გრძელი ცალკეული მორფემები შედარებით იშვიათია³⁴⁹.

11.წ.5. მორფოფონემიკური ანალიზის თავისებურებანი „ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“. ჰოკეტის მიერ წარმოდგენილ მორფოფონემიკაში პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ალტერნაციათა ტიპოლოგია. თვით ალტერნაციათა ტიპები არ არის ჰოკეტის მიერ დადგენილი. იგი სხვა მკვლევრებს ემყარება³⁵⁰, ცდილობს სისტემაში

³⁴⁶ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

³⁴⁷ იქვე, გვ. 283.

³⁴⁸ იქვე, გვ. 284. C=თანხმოვანს ან ნულს, V=ხმოვანს.

³⁴⁹ იქვე, გვ. 285.

³⁵⁰ ჩ. ჰოკეტი მორფოფონემიკური ალტერნაციის შესახებ მიუთითებს ნაშრომს: R. Wells, Automatic alternation («Language», 25. 99—116) და აღნიშნავს, რომ იგი იყენებს „ავტომატურ ალტერნაციას“ მხოლოდ ერთ-ერთი ტიპის მიმართ იმათგან, რომელთაც უელზი ამ სახელს უწოდებს. განსაზღვრა „რეგულარული“ და „ირეგულარული“ მისდევს ბლუმფილდისას (Language, 1933): „ფონემურად გაპირობებელი“ „მორფემურად გაპირობებელის“ საპირისპიროდ ი. ნაიდას მიხედვითაა E. Nida, Morphology: the descriptive analysis of words, 1949, ხოლო შინაგანი და გარეგანი სანაღი — კვლავ ბლუმფილდს ემყარება (Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 283).

მოიყვანოს სხვადასხვა თვალსაზრისით გამოყოფილი ჯგუფები და ერთმანეთთან მიმართებითაც განიხილოს ისინი.

ერთგული რჩება რა „ერთეულისა და განლაგების“ გრამატიკული მოდელისა, ჰოკეტი ალომორფთა. ერთმანეთთან დასაკავშირებლად არ იყენებს მორფოფონემატურ ცვლილებებს. ამ მხრივ მისი ნაშრომი მნიშვნელოვნად განსხვავდება მაგ., ჰ. გლისონის „დესკრიფციული ენათმეცნიერების შესავალში“ მოცემული ანალიზისაგან. ჰ. გლისონი მიმართავს ასიმილაციას, დისიმილაციას, მეტათეზისს, პალატალიზაციას, ფონემის გაჩენას და დაკარგვას მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფებს შორის მიმართებათა აღსაწერად³⁵¹. შემოაქვს რა სინქრონიულ აღწერაში ცნება „ცვალგზადობა“, ჰ. გლისონი აღნიშნავს, რომ მორფოფონემატური ცვლილებები არ გულისხმობს ენის ისტორიაში მომხდარ ცვლილებებს³⁵². მაგრამ, ვფიქრობთ, ეს საქმეს ვერ შევლის, ვინაიდან ცვლილება ისტორიული შინაარსის მქონე ცნებაა.

რაკი ჩ. ჰოკეტი არ იყენებს მორფოფონემატურ ცვლილებებს, ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი გვერდს უვლის იმ სიძნელეს, რომელიც გლისონის ნაშრომში ჩნდება წმინდა დესკრიფციული მიდგომისას ისტორიული ცნების გამოყენებით. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა, ვინაიდან ესაა ობიექტური ხასიათის სიძნელე, რომელიც არ არის დამოკიდებული მკვლევრის თვალსაზრისზე.

ფონოლოგიურად გაპირობებული ალომორფების შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ერთი და იმავე მორფემის შემადგენელ ფონემათა მონაცვლეობასთან, რაც გამოწვეულია გარემოცვით (სხვა ფონემების მეზობლობით ან პოზიციით). ამიტომ ერთი და იმავე მორფემის სახესხვაობები ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით, ერთ სისტემაშია განლაგებული გარკვეული კანონზომიერებით. ასეთ ვითარებაში იმის მიჩქმალვა, რომ ცვლილებასთან, პროცესთან გვაქვს საქმე, მხოლოდ გააბუნდოვნებს დესკრიფციულ ანალიზს. ეს ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანია, როდესაც აშკარად ჩანს, რომ წმინდა

³⁵¹ Г. Г л и с о н, Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 128—133.

³⁵² ამით გლისონი ედილობს არ უღალატოს დესკრიპტივიზმს. როგორც ამის შესახებ სპეციალურად გვაქვს მსჯელობა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცნება „ცვლილების“ ხმარებას მხოლოდ მაშინ აქვს გამართლება, თუ ის მართლაც ცვლილებას ასახავს და სწორედ ასეთია ვითარება მორფოფონემატურ ცვლილებათა შემთხვევაშიც (იხ. აქვე, „დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი და მისი მნიშვნელობა ფონოლოგიისა და მორფოლოგიისათვის“).

აღწერა, რომელიც სრულიად დაცლილი იქნება ისტორიული მიდგომისაგან, პრაქტიკულად ვერ ხორციელდება ენობრივ მოვლენათა ცვალებადობის თავისებურა ხასიათის გამო.

რადგანაც ჰოკეტმა გამოიციხა მორფოფონემატური აღწერიდან ისეთი პროცესები, როგორცაა ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა და ა. შ., იგი არც სვამს საკითხს ალომორფებს შორის არსებულ მიმართებათა შესახებ, ე. ი. იმის შესახებ, თუ რომელი რომლისგანაა მიღებული და რა გზით. ამის გარკვევა კი სწორედ ანალოგიურ შემთხვევებში საკმაოდ ადვილად ხერხდება ენის მეცნიერული შესწავლის პირველსავე საფეხურზე და ეს მხოლოდ ამდიდრებს და აღრმავებს ენის ანალიზს.

მორფოფონემატურ ცვლადებათა უგულვებლყოფა აახლოვებს ჰოკეტს ზ. ჰარისთან. ეს უკანასკნელიც თავის „სტრუქტურული ენათმეცნიერების მეთოდებში“ მორფოფონემიკაში არ განიხილავს ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზისისა და სხვ. პროცესებს. მაგრამ ამ ავტორთა დასახელებულ შრომებს შორის ერთი თვალსაჩინო განსხვავებაც იჩენს თავს. ჰარისი მორფემის ალტერნანტებს მორფოფონემებით აკავშირებს ერთმანეთთან³⁵³. ამასთან, მორფოფონემა მისთვის სხვა არაფერია, თუ არ წერილობითი სიმბოლო, რომელიც ერთ მორფემაში ერთმანეთის მონაცვლე ფონემებს აერთიანებს. მაგ., ფუძისეული მორფემა {knife} მრავლ. რიცხვში {s}-ს წინ /f/-ს ნაცვლად /v/ ფონემითაა წარმოდგენილი. მისი მორფოფონემური ჩაწერა იქნება /naɪf/, სადაც /F/ მორფოფონემა /V/ და /f/ ფონემების გამაერთიანებელია³⁵⁴.

ადრინდელ შრომებში, მაგ., „მორფემული ანალიზის პრობლემებში“ ჰოკეტიც მიმართავდა მორფოფონემებს, მაგრამ შემდეგში მან უარი თქვა მათზე და „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ მორფოფონემები აღარ არის გამოყენებული.

სამაგიეროდ ჰოკეტი იყენებს „ძირითად ფორმას“, რომელსაც ჰარისის შრომაში ვერ ვხვდებით. როდესაც მორფოფონემას განმარტავს, ჰარისი სქოლიოში შენიშნავს, სხვადასხვა მრავალწევრიანი ერთეულის მორფოფონემურ ჩაწერას ზოგჯერ უწოდებენ ძირითად ფორმას ან თეორიულ ფორმას, რომლისგანაც ნაწარმოებია ფონემურად ჩაწერილი წევრებიო³⁵⁵. ალბათ სწორედ იმიტომ, რომ დანარჩენი ალტერნანტები ძირითადი ფორმისაგან ნაწარმოებად ითვლება და, მაშასადამე, პროცესუალურ გაგებასთან გვაქვს საქმე, რაც „ერთეულისა და პრო-

³⁵³ Z. S. Harris, Methods in Structural Linguistics. Ch. 14. Morphophonemics.

³⁵⁴ ი ქ ვ ე, გვ. 225—226.

³⁵⁵ ი ქ ვ ე, გვ. 226.

„ეკსის“ მოდელს შეესაბამება და არა „ერთეულისა და განლაგებისას“, ჰარისი არ იყენებს ამ ცნებას.

ჰოკეტი კი მაინც გვთავაზობს მას, თუმცა გაუგებარი რჩება, რა როლი ეკისრება მისი თვალსაზრისით ძირითად ფორმას. როდესაც გლისონი ამ ცნებას მიმართავს, ეს შინაგანად გამართლებულია, ვინაიდან როგორი განცხადებაც არ უნდა გააკეთოს ავტორმა მორფოფონემურ ცვლილებათა არაისტორიულობის შესახებ, ეს უკანასკნელები მაინც გულისხმობენ ერთი ალომორფისაგან მეორის წარმოებას, ხოლო ძირითადი ფორმა ისაა, რომელიც ამოსავლადაა მიჩნეული. ჰოკეტთან, რაკი მორფოფონემურ ცვლილებებზე ლაპარაკი არაა, ასეთი საჭიროება გამორიცხებულია.

ი. ნაიდა ძირითადი ფორმის შერჩევის საჭიროებას ჩაწერის მთხოვნილებით ხსნის: ერთი მორფემის რამდენიმე ალომორფიდან მთელი კლასის წარმომადგენლად ფიგურულ ფრჩხილებში ჩაიწერება ძირითადი ფორმა³⁵⁶. ჩ. ჰოკეტი არც ასეთ საჭიროებაზე ჩერდება. ამიტომ აუხსნელი რჩება, რისთვისაა საჭირო ძირითადი ფორმის გამოყოფა. მით უმეტეს, რომ ამ გამოყოფისათვის ხშირად ობიექტური კრიტერიუმები არ არსებობს და მხოლოდ მოხერხებულობა წყვეტს საკითხს³⁵⁷.

დანართი

წინამდებარე ნარკვევში ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა დესკრიფციული ენათმეცნიერების სისტემა ჩ. ჰოკეტის ძირითადი შრომების მიხედვით. როგორც დავრწმუნდით, ჰოკეტის შეხედულებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა დროთა განმავლობაში. ამ ცვლილებებს ძირითადად საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკა განსაზღვრავდა. დესკრიფციული ენათმეცნიერების რიგი დებულება, ცნება, პროცედურა აშკარად არ გააძარტლა საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკამ. ჰოკეტი იმ მკვლევართა რიგს განეკუთვნება, ვინც არ ერიდება ასეთ დებულებათა თუ ცნებათა უკუგდებას, ადრე აღიარებულ შეხედულებათა გადასინჯვას.

გარდა ზემოგანხილულისა, ამის ნათელ დადასტურებას ვპოუვით ჩ. ჰოკეტის 1968 წ. გამოქვეყნებულ შრომაში³⁵⁸. ამ შრომის შესავალ

³⁵⁶ E. Nida, Morphology, გვ. 45.

³⁵⁷ სანტერესო დეტალია, რომ ინგ. მრავლობითის მწარმოებელ ფორმანტაგან ჰოკეტი დაბეჭდვით /z/-ს თვლის ძირითად ფორმად, გლისონის მიხედვით კი თანაბარი უფლებით შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც /z/, ისე /s/ ან /t/. Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 128.

³⁵⁸ Ch. F. Hockett, The State of the Art, 1968.

ნაწილში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს დესკრიფციული ენათმეცნიერების ისტორიას. სამწუხაროდ, დაწვრილებით ვერ შევჩერდებით ამ მიმოხილვაზე, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ ზოგ მომენტს, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს ნარკვევში განხილულ საკითხებთან.

ჰოკეტი განასხვავებს ერთმანეთისაგან 40-იანი და 50-იანი წლების თვალსაზრისს დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში.

ეხება რა მნიშვნელობის საკითხს, ავტორი წერს: 40-იანი წლების განმავლობაში ზოგი ჩვენგანი ვარაუდობდა, რომ შესაძლებელია განისაზღვროს ენის ფორმები და ყველა მოდელეები, რომელთა მიხედვითაც ისინი კომბინირებული არიან უფრო ფართო ფორმებში, საერთოდ მნიშვნელობისადმი რაიმე მიმართვის გარეშე. ზოგი ფიქრობდა, რომ ეს არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ წარმოადგენს ერთადერთ ზუსტ პროცედურას, თუნდაც დროდადრო მიმართვა მნიშვნელობისადმი შეიძლება იყოს სასარგებლო პრაქტიკული შემოკლება (პარისი, ჰოკეტი).

ჰოკეტს მიაჩნია, რომ ასეთი შეხედულება მნიშვნელობის შესახებ არ შეესაბამებოდა ბლუმფილდის თვალსაზრისს. იმის თქმა, თითქოს ბლუმფილდის მიხედვით, ყოველგვარი მიმართვა მნიშვნელობისადმი მენტალისტური და ამდენად ტაბუ იყოს, ბლუმფილდის თვალსაზრისის მცდარი ინტერპრეტაციის შედეგია, როგორც ეს შესანიშნავად უჩვენა ფრიშმა³⁵⁹.

ჰოკეტის სიტყვით, ჰენიგსვალდმა ნათლად ჩამოაყალიბა უკიდურესი თვალსაზრისი, რომ ენის კვლევა უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმას, თუ ბგერათა განლაგების რა კომბინაციები გვხვდება. სწორედ ასეთმა მკვეთრად ჩამოყალიბებულმა დებულებებმა გვიჩვენა ამ თვალსაზრისის აბსურდულობაო, — წერს ავტორი³⁶⁰.

50-იანი წლებისათვის ჩვენ საკმაოდ განვიკუთრნეთ გარკვეული უცნაური თვალსაზრისებისაგან, რომლებიც ერთ დროს ფართოდ იყო გავრცელებულიო, განაგრძობს ჰოკეტი და სანიმუშოდ ასახელებს 30-იან წლებში მიმდინარე დისკუსიას იმის შესახებ. შეიძლება თუ არა გავაანალიზოთ ენა, რომელსაც არ ვიცნობთ? უფროსი თაობის ენათმეცნიერები (ედგერტონი, ჰანი, კენტი, სტერტვეანტი) უარყოფითად უპასუხებდნენ ამ კითხვას. მეორე მხრივ, ბოასი და სეპირი აგზავნი-

³⁵⁹ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 24. შიითებულია: Ch. C. Fries, Meaning and linguistic analysis. «Language», 1954, ტ. 30. რუს. თარგმ.: Ч. Фриш. Значение и лингвистич ский анализ, «Новое в лингвистике», II.

³⁶⁰ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

დნენ თავიანთ ასპირანტებს ერთი წლით (ან ერთი ზაფხულითაც კი) მანამდე აუწერელ ენაზე ველზე სამუშაოდ და მოითხოვდნენ მათგან აადოქტორო დისერტაციების დაწერას. ამბობენ, რომ როდესაც ნიუ-მენი დაბრუნდა ნიუ-იორკში თავისი საველე მუშაობიდან, ბოასმა ჰკითხა მას ღიმილით იუმორის ყოველგვარი ნიშანწყლის გარეშე, „ათვისეთ თუ არა მთელი ენაო?“³⁶¹.

ჰოკეტი თავის თავს მათ მიაკუთვნებს, ვინც შეყვანილი იყო შეცდომაში. როდესაც პოტავატომის საკვლევად მივდიოდი, ვვარაუდობდი, რომ არ უნდა მივისწრაფვოდე ენის პრაქტიკული დაუფლებისაკენ იმისათვის, რომ აღვწერო იგი. ფაქტები დაგროვილი უნდა იყოს წიგნაკებში. ისინი უნდა ავსებდნენ ყუთებს, მაგრამ ასევე არ უნდა იყვნენ დაგროვილი ჩემს თავში, — გვეუბნება ავტორი და დასძინს: არ არის გასაკვირი, რომ ჩემი გამოკვლევა ენის შესახებ ასე არაადეკვატური იყო³⁶². ჰოკეტის სიტყვით, ზაფხულის ინსტიტუტის ჭგუფის ენათმეცნიერები გადაურჩნენ ამას, რადგან მათ იცოდნენ, რომ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ენები იმისათვის, რომ შეასრულონ თავიანთი ამოცანები. ხოლო დანარჩენთათვის ომმა შეწყვიტა დისკუსია, ვინაიდან მან დაგვისვა ამოცანები, რომლებშიაც უბრალოდ არ იყო არჩევანი სწავლასა და ანალიზს შორის — ჩვენ ორივე უნდა გვეწარმოებინაო, — წერს იგი.

ჰოკეტი 50-იანი წლებისათვის არსებულ ვითარებას შემდეგნაირად ახასიათებს: (1) სინქრონული კვლევისას ჩვენ შენიშვნის გარეშე ვიღებდით სოსიურ-ბლუმფილდის მიერ ენის, როგორც მკაცრი (rigid) სისტემის დახასიათებას და ვცდილობდით შეგვეთანხმებინა მისი სიმკაცრე ჩვენს სიმკაცრესთან (rigor). ჩვენ უგულებელვყოფდით ენობრივი აღწერისათვის ლინგვისტური ცვალებადობის ფაქტის მნიშვნელობას და პირუტყვ.

(2) გრამატიკის, ისევე როგორც ფონოლოგიის, ჩვენს მოდელს წარმოადგენდა ერთეული და განლაგება, ბევრად უფრო ვიწროდ და ზუსტად გაგებულნი ვიყავით ბლუმფილდისა და სეპირის მოდელები იყო ოდესმე, თუმცა ზოგი ჩვენგანი გამოთქვამდა ერთგვარ ეჭვს გრამატიკასა და ფონოლოგიას შორის მეტისმეტად მექანიკური და სრული პარალელიზმის შესახებ.

(3) უთანხმოება არსებობდა გრამატიკული ანალიზისა და მნიშვნელობის გამოყენების ღირებულების შესახებ, მაგრამ თანხმობა იყო

³⁶¹ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

³⁶² იქვე, გვ. 30—31. მხედველობაშია ჰოკეტის ნაშრომი Potawatomi, რომელიც 1939 წ. დაწერა, ხოლო გამოქვეყნდა 1948 წ. IJAL, ტ. 14.

იმის გამო, რომ გრამატიკა და სემანტიკა უნდა განცალკევდნენ ერთმანეთისაგან. ტრადიციული (და ბლუმფილდისეული) პირდაპირი კორელაცია მნიშვნელობასა და ფორმალურ თვისებებს შორის არასწორი იყო; სემანტიკასა და ფონოლოგიის შორის იდგა გრამატიკა და ლექსიკონი, როგორც გამოყოფილი და ავტონომიური ქვესისტემები მთლიანი ენისა.

ამჟამად ჩემი აზრია, რომ სამივე ამ საკითხზე თანხმობა მცდარი იყო და რომ ენის შესწავლის ნებისმიერი თეორია, რომელიც იღებს ერთ-ერთს ამ სამთაგან, მცდარიაო, — აცხადებს ჰოკეტი³⁶³.

უნდა ითქვას, რომ ის, რაც აქ არის აღიარებული, სცილდება თეორიის შესწორების, მის ცალკეულ დებულებათა შეცვლის ფარგლებს. აქ უარყოფილია არსებითი, ამოსავალი პრინციპები, რომლებიც წლების განმავლობაში საფუძვლად ედო დესკრიფციულ ენათმეცნიერებას და მის სპეციფიკას განსაზღვრავდა.

მომავალი გვიჩვენებს, როგორ წარიმართება ამ მიმდინარეობის განვითარება. ჩვენი მიმოხილვა იმ ეტაპზე წყდება, როდესაც ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცვლილების მიუხედავად რიგი ფუძემდებელი დებულება ჯერ კიდევ ძალაში რჩებოდა.

დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი და მისი მნიშვნელობა ფონოლოგიისა და მორფოლოგიისათვის¹

1.1. დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში პირველად გამოიყენა 1934 წ. მორის სვოდემმა ფონემათა პოზიციით გაპირობებული ვარიანტების დასაჯგუფებლად.

სვოდემის მიხედვით, თუ ფონეტიკურად მსგავსი ორი ბგერიდან ერთი გვხვდება ისეთ ფონეტიკურ გარემოცვებში, რომლებშიაც მეორე არ გვხვდება, ე. ი. თუ ერთი ბგერის დისტრიბუცია დამატებითია მეორე ბგერის ან სხვა ბგერათა დისტრიბუციისა, ასეთი ბგერები შეადგენენ ერთი და იმავე ფონემის ქვეტიპებს².

შემდგომში დამატებითი დისტრიბუციის პრინციპმა ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა დესკრიფციული ლინგვისტიკის ფონოლოგიაში, ხოლო აქედან ის გადატანილ იქნა მორფოლოგიაში.

წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, რა ენობრივ თავისებურებებს ასახავს დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი და როგორია ამ პრინციპის მნიშვნელობა და ხვედრითი წონა ფონოლოგიისათვის და მორფოლოგიისათვის.

დავიწყოთ ფონოლოგიით. ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ დამატებითს დისტრიბუციაზე დამყარებული პროცედურა წარმატებით გამოიყენება ვარიანტების ანუ ალოფონების ფონემებად დაჯგუფებისათვის.

როგორც ცნობილია, ფონემის მანიფესტაცია სხვადასხვა ფონეტიკურ პირობებში სხვადასხვაგვარია. კერძოდ, პოზიცია ფართო გაგებით, ე. ი. ადგილი სიტყვაში და აგრეთვე სხვა ბგერებთან მეზობლობა გარკვეულ თავისებურებებს ანიჭებს ფონემის რეალიზაციას. რამდენადაც ალოფონები წარმოადგენენ ფონემის პოზიციურ ვარიანტებს,

¹ წაკითხულია მოხსენებად სსრკ მეცნ. აკად. უცხო ენათა კათედრის XI სამეცნიერო მეთოდოლოგიურ სესიაზე, რომელიც ჩატარდა საქ. სსრ მეცნ. აკად. უცხო ენათა კათედრასთან ერთად 1963 წ. 21. X. თბილისში.

² M. S w a d e s h, The Phonemic Principle. «Language», 1934, ტ. X, ნაკვ. 2, გვ. 123—124.

ბუნებრივია, რომ თითოეული ვარიანტის გამოვლენა გაპირობებულია გარემომცველი ბგერებით და, მაშასადამე, სხვადასხვა გარემოცვებში საქმე გვექნება სხვადასხვა ალოფონებთან. სწორედ ამის კონსტატაციას ახდენს დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პრინციპი ასახავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ფონეტიკურ გარემოცვასა და ფონემის ვარიანტებს შორის.

ის მოვლენა, რომელსაც დესკრიპტივისტებმა დამატებითი დისტრიბუცია უწოდეს, უფრო ადრეც იყო ცნობილი ევროპულ ფონოლოგიაში, თუმცა მისთვის სპეციალური სახელი არ დაურქმევიათ.

ასე, მაგალითად, პრალის სკოლის წარმომადგენელი ნ. ტრუბეტკოი 1929 წ. განასხვავებდა რა ფონემათა მუდმივ ანუ კომბინატორულ და ფაკულტატიურ ვარიანტებს, აღნიშნავდა, რომ ამა თუ იმ კომბინატორული ვარიანტის გამოვლენა დამოკიდებულია ფონეტიკურ გარემოცვაზე³. იმავე ავტორმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა კომბინატორულ ვარიანტთა დადგენის წესი:

„თუ ორი არსებითად მონათესავე ენობრივი ბგერიდან ერთი გვხვდება მხოლოდ ისეთ ფონეტიკურ პოზიციებში (Stellungen), რომლებშიაც მეორე არასოდეს არ გვევლინება, მაშინ ეს ორი ბგერა წარმოადგენს მუდმივ ფონეტიკურ ვარიანტებს და ისინი ერთიანდებიან ენობრივ ცნობიერებაში ერთ ფონემად“⁴.

ლონდონის სკოლის მამამთავარი დ. ჯოუნზი იმავე 1929 წ. წერდა: „ენის ორი ბგერა განეკუთვნება ერთსა და იმავე ფონემას, თუ ისინი მონათესავე არიან და თუ ერთ-ერთი მათგანი არასოდეს არ გვხვდება ზუსტად ისეთსავე პოზიციაში, რომელშიაც იხმარება მეორე ბგერა ამ ენის წინადადებებში“⁵.

ამ ნიშანს ჯოუნზი იყენებდა აგრეთვე ფონემის ერთ-ერთი განსაზღვრებისას, რომლის მიხედვითაც, „ფონემა არის ოჯახი მოცემული ენის ბგერებისა, რომლებიც მონათესავე არიან და არც ერთი მათგანი არასოდეს არ გვხვდება იმავე გარემოცვაში. რომელშიაც გვევლინებიან სხვა ბგერები სიტყვებში“⁶.

თუმცა დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი ცნობილი იყო ფონოლოგიის ევროპულ სკოლებში დესკრიფციულ ენათმეცნიერებაზე

³ N. S. Trubetzkoy, Das Phonologische System des Polabischen. TCLP, 1929, I, გვ. 114—115.

⁴ იქვე, გვ. 117.

⁵ Daniel Jones, Le Maître Phonétique. 1929, გვ. 43 (მოგვეყვას კრებულიდან «Readings in Linguistics». Edited by Martin Jccs. 1958, გვ. 64).

⁶ The Course of the Proceedings of the International Congress of Phonetic Sciences at Amsterdam. 1932 (იმავე კრებილიდან, გვ. 64).

უფრო ადრე, მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელში მოიპოვა მან განსაკუთრებული მნიშვნელობა.

1.2. დამატებითი დისტრიბუცია არ წარმოადგენს დამოუკიდებელ პრინციპს. ის ექვემდებარება ფონეტიკური მსგავსების პრინციპს. მხოლოდ ფონეტიკურად მსგავსი ბგერები შეიძლება შეადგენდნენ ერთ ფონემას. ამიტომ დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი მხოლოდ მათ მიმართ გამოიყენება. არა აქვს აზრი იმის შემოწმებას, იმყოფებიან თუ არა დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში, მაგ., ისეთი არამსგავსი ბგერები, როგორცაა ს და გ, ვინაიდან მათი ერთ ფონემაში გაერთიანების საკითხი იმთავითვე გამორიცხულია.

მაგრამ თუ გადამწყვეტი მნიშვნელობა ფონეტიკურ მსგავსებას აქვს, მაშინ რაღა საჭიროა დამატებითი დისტრიბუცია? საქმე ისაა, რომ მსგავსი ბგერები შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც ერთი ფონემის, ისე სხვადასხვა ფონემის ალოფონებს და ეს დამოკიდებულია არა მათ შორის მსგავსების ხარისხზე, არამედ მოცემული ენის ფონოლოგიური სისტემის თავისებურებაზე. მაგალითად, ფშვინვიერ და არაფშვინვიერ ყრუ თანხმოვანთა დაპირისპირება ინგლისურ ენაში ერთი და იმავე ფონემის ალოფონებს გვაძლევს (p^h , t^h , k^h — სიტყვის თავში და p , t , k — შემდეგ), ქართულში კი — სხვადასხვა ფონემებს (ფშვინვიერები ფ, თ, ქ და მკვეთრები პ, ტ, კ). ამიტომ საჭირო ხდება იმის საგანგებოდ გარკვევა, თუ ამ ორი შესაძლებლობიდან რომელი გვაქვს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. სწორედ ამ საკითხის გარკვევა ეკისრება დამატებითს დისტრიბუციას.

ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ ფონეტიკური მსგავსება წარმოადგენს აუცილებელ პირობას დამატებითი დისტრიბუციის პრინციპის გამოყენებისათვის. ამას აღიარებს დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენელთა უმრავლესობა (სვოდეში, ბლოკი, ტრეიგერი, სმიტი, გლისონი, ჰოკეტი), მაგრამ სხვაგვარად ფიქრობს ისეთი უკიდურესი დისტრიბუციონალისტი, როგორცაა ჰარისი.

ჰარისის მიხედვით, დესკრიფციული ენათმეცნიერება მხოლოდ დისტრიბუციულ მიმართებებს სწავლობს, ამიტომ იგი ცდილობს გამორიცხოს ფონოლოგიიდან ფონეტიკური მსგავსების პრინციპი. ჰარისი თვლის, რომ ალოფონები შეიძლება დეაქტუფოთ ფონემებად მხოლოდ დამატებითი დისტრიბუციის საფუძველზე მათ შორის ფონეტიკური მსგავსების გაუთვალისწინებლად. იგი შესაძლებლად მიიჩნევს გაერთიანდეს ერთ ფონემაში არა მხოლოდ $[p] - [p^h]$, $[t] - [t^h]$, $[k] - [k^h]$, არამედ აგრეთვე $[p] - [t^h]$, $[t] - [k^h]$, $[k] - [p^h]$. და მაინც ჰარისი იძულებულია აღიაროს, რომ ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ პირველ

დაჯგუფებას ამ გზით მიღებულ მტკიცებათა სიმარტივისა და ბგერითს სეგმენტებს შორის ფონეტიკური მსგავსების გამო⁷.

თუმცა უკანასკნელ შენიშვნას ავტორი სქოლიოში აკეთებს, მაინც ნათელია, რომ პარისი ფაქტობრივ ვერ ახერხებს ფონეტიკური მსგავსების უგულვებელყოფას ფონემათა იდენტიფიკაციის დროს. ეს საესებით კანონზომიერია. მხოლოდ ფონეტიკური მსგავსების მიხედვით ზეიძლება დაჯგუფდნენ ალოფონები ფონემებად, ვინაიდან ალოფონთა გაერთიანებისათვის აუცილებელია ვიპოვოთ მათი საერთო თვისებები. სწორედ ასეთი საერთო თვისებებია ფონეტიკური თვისებები. რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ ფონემის ყველა ვარიანტს და განასხვავებს ამ ფონემას დანარჩენებისაგან.

1.3. ამგვარად, დამატებითს დისტრიბუციაზე დამყარებული პროცედურა გამოიყენება ფონეტიკურად მსგავსი ბგერების იდენტიფიკაციისათვის. დამატებითი დისტრიბუცია შესაძლებლობას გვაძლევს რავადგინოთ, ერთი და იმავე ფონემის წევრები არიან მსგავსი ბგერები თუ არა. მაგრამ როდესაც მსგავსი ბგერები არ შეადგენენ ერთ ფონემას, მათ მიმართ გამოიყენება სხვა პროცედურა, რომელიც გაგვარკვევინებს, სხვადასხვა ფონემას განეკუთვნებიან ისინი თუ არა. ეს პროცედურა ემყარება უკვე არა დამატებითს დისტრიბუციას, არამედ კონტრასტულობას. მისი საშუალებით მოწმდება, გვევლინებიან თუ არა მსგავსი ბგერები ერთნაირ გარემოცვებში და თუ გვევლინებიან. მაშინ ხომ არ არიან ისინი კონტრასტული ასეთ გარემოცვებში, ე. ი. ერთი ბგერის შეცვლა მეორით ხომ არ გვაძლევს განსხვავებულ მორფემას.

აქედან ცხადია, რომ კონტრასტულობის პრინციპი ფონოლოგიური ანალიზისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე დამატებითი დისტრიბუცია. თუ ეს უკანასკნელი ასახავს ფონემის შიგნით ალოფონთა ურთიერთმიმართებას და ამით უზრუნველყოფს მათ კლასიფიკაციას, კონტრასტულობა გაგვარკვევინებს განსხვავებულ ფონემათა ურთიერთმიმართებას.

თუმცა კონტრასტულობის პრინციპს ყველა დესკრიპტივისტი იყენებს ანალიზის დროს (ამ პრინციპს ემყარება ე. წ. მინიმალური წყვილების დაპირისპირება), მაგრამ დესკრიფტიული ენათმეცნიერების ბევრ წარმომადგენელთან იგი არ არის ისე მკაფიოდ ჩამოყალიბებული, როგორც დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი. ყოველ შემთხვევაში, კონტრასტულობის პრინციპი არ სარგებლობს ისეთი განსა-

⁷ Z. S. H a r r i s, *Methods in Structural Linguistics*. II გამოც. 1955, გვ. 66

კუთრებული ყურადღებით, როგორც სარგებლობს დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი⁸.

რაც შეეხება ე. წ. თავისუფალ ვარირებას, რომლის დროსაც ბერები ენაცვლებიან ერთმანეთს ერთნაირ გარემოცვებში სათანადო მორფემათა მნიშვნელობის შეცვლის გარეშე, მართალია, ამ მოვლენას დესკრიპტივისტები გამოყოფენ, მაგრამ ყოველთვის გაკვრივებული მას. თავისუფალი ვარირების ცნებაში მათ ჩვეულებრივ ესმით წარმოთქმის ინდივიდუალური თავისებურება⁹, რომლებიც არ იქცევა საგანგებო განხილვის საგნად.

ამგვარად, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, დამატებითი დისტრიბუცია არ წარმოადგენს არც ერთადერთ და არც ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს, რომელიც გამოიყენება ფონოლოგიაში ალოფონებისა და ფონემების იდენტიფიკაციის დროს. მასთან ერთად მიმართავენ ფონეტიკური მსგავსების, კონტრასტულობისა და თავისუფალი ვარირების პრინციპებსაც. დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში რატომღაც დამატებითი დისტრიბუცია საგანგებოდ არის გამოყოფილი და მას ენიჭება ბევრად მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ამ პრინციპს აქვს ენის ანალიზისათვის.

2. 1. ახლა გადავიდეთ მორფოლოგიაზე.

მორფოლოგიაში დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი გადატანილ იქნა ფონოლოგიიდან პარისის მიერ. პარისმა 1942 წ. გააერთიანა ერთ მორფემად ალტერნანტები (ანუ, უფრო გვიანდელი ტერმინოლოგიით, ალომორფები). რომლებსაც აქვთ ერთნაირი მნიშვნელობა და რომლებიც იმყოფებიან დამატებითს დისტრიბუციაში, ე. ი. არც ერთი ალტერნანტი არ გვხვდება იმ გარემოცვაში, რომლებშიაც გვევლინებიან დანარჩენი ალტერნანტები⁹.

ამგვარად შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს არსებობს ანალოგია ფონოლოგიასა და მორფოლოგიას შორის. მსგავსად ფონემებისა, რომლებიც ალოფონებისაგან შედგებიან, მორფემები წარმოადგენენ ალომორფების ანუ ალტერნანტების კლასებს. მოთხოვნილია, რომ მსგავსად ერთი ფონემის ალოფონებისა, ერთი მორფემის ალომორფებიც იმყო-

⁸ გამონაკლის წარმოადგენენ ბლოკი და ტრეიგერი (იხ. B. Bloch and G. L. Trager, *Outline of Linguistic Analysis*. I გამოც. 1942) და ჰოკეტი (იხ. Ch. F. Hockett. *A Course in Modern Linguistics*. III გამოც. 1960), რომლებიც განიხილავენ კონტრასტულობას, როგორც დამატებითი დისტრიბუციის ტოლფასოვან პრინციპს.

⁹ Zellig S. Harris, *Morpheme Alternants in Linguistic Analysis*. «Linguage», 1942, ტ. 18, ნაკვ. 3, გვ. 171.

ფებოდნენ დამატებითს დისტრიბუციაში. ე. ი. გამორიცხავდნენ ერთ-მანეთს სხვადასხვა გარემოცვებში.

მაგრამ თავი იჩინა განსხვავებამაც. რაც იმაში მდგომარეობს, რომ ალოფონები ერთიანდებიან ფონემებად ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე, ალომორფები კი შეადგენენ მორფემას მნიშვნელობის იგივეობის მიხედვით. ეს განსხვავება ბუნებრივად გამომდინარეობს ფონოლოგიისა და მორფოლოგიის თავისებურებებიდან. ანალოგია აქ თითქმის არც ირღვევა: ფონეტიკური ნიშნები ისეთსავე გამაერთიანებელ როლს თამაშობენ ფონოლოგიაში, როგორსაც მორფოლოგიაში მნიშვნელობა ასრულებს.

და მაინც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ერთი შეხედვით სრული იზომორფიზმი ფონოლოგიასა და მორფოლოგიას შორის მოჩვენებითია. მორფოლოგიის სპეციფიკა ისაა. რა? მ. ს. საქმე აქვს არა მხოლოდ მორფემათა ბგერითს მხარესთან. არამედ მათ მნიშვნელობასთანაც. ამის გამო მორფოლოგიური ანალიზი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ფონოლოგიური. სიძნელეს ქმნის არა მხოლოდ მნიშვნელობის შესწავლა, არამედ ისიც, რომ არ არსებობს სრული პარალელიზმი ბგერითს ფორმასა და მნიშვნელობას შორის: ერთი და იგივე მნიშვნელობა შეიძლება გამოხატული იყოს სრულიად სხვადასხვა ბგერითი კომპლექსებით (სინონიმები) და პირუკუ. შესაძლებელია, ბგერითი თვალსაზრისით ერთმანეთს დაემთხვეს მორფემები, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვთ მნიშვნელობის მხრივ (ომონიმები). მორფოლოგიის ეს თავისებურებანი გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც ალომორფთა გაიგივებისას, ისე დამატებითი დისტრიბუციის პრინციპის გამოყენების დროსაც.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები. დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი ფონოლოგიაში ასახავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ფონეტიკურ გარემოცვებსა და ფონემათა ვარიანტებს შორის. მაშასადამე, ეს პრინციპი მოგვცემს დადებით შედეგებს ლინგვისტური ანალიზის სხვა დონეებზე იმ შემთხვევაში, თუ ამ დონეებზედაც ვარიანტები დამოკიდებული არიან გარემოცვებზე.

არსებობს თუ არა ასეთი დამოკიდებულება მორფემის ვარიანტებსა და გარემოცვებს შორის? ამ კითხვაზე პასუხი შესაძლებლობას მოგვცემს გავარკვიოთ, რამდენად გამართლებულია და რა ფარგლებშია დასაშვები დასახელებული პრინციპის გამოყენება.

ჩვენი აზრით, ეს საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება ფონოლოგიურად გაპირობებული ალტერნანტებისა და მორფოლოგიურად გაპირობებული ალტერნანტების მიმართ.

2. 2. როგორც ცნობილია, ფონოლოგიურად გაპირობებული ეწოდება ისეთ ალტერნანტებს ანუ ალომორფებს, რომელთა შორისაც შეინიშნება ფონოლოგიური მსგავსება¹⁰ და რომელთა შორის მიმართებები აიწერება მორფოფონემატური პროცესების ტერმინებით (მაგ., ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერათა დაკარგვა ან განვითარება და ა. შ.). ფონოლოგიურადაა გაპირობებული, მაგალითად, ინგლისურ ენაში მრავლობითი რიცხვის ნიშნები /s/, /z/, /əz/. რომელთაგან პირველი გვხვდება ყრუ თანხმოვნების შემდეგ (მაგ., მხ. book „წიგნი“ — მრ. books), მეორე — მჟღერების შემდეგ (მაგ., მხ. dog „ძაღვი“ — მრ. dogs), ხოლო მესამე — სპირანტებისა და აფრიკატების შემდეგ (მაგ., მხ. box „ყუთი“ — მრ. boxes).

ამ მაგალითებში მრავლობითი რიცხვის მორფემა ეხამება გარემოცვას, ე. ი. ფუძის ბოლო თანხმოვანს. გარემოცვა წარმოადგენს ამა თუ იმ ალომორფის გამოვლენის მიზეზს და, მაშასადამე, გარემოცვასა და მორფოფონემის ვარიანტებს შორის შეინიშნება ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომელსაც ასახავს დამატებითი დისტრიბუცია. ნათელია, რომ ასეთ ვითარებაში ერთი ალომორფი არასოდეს არ შეგვხვდება ისეთ გარემოცვაში, როგორშიაც 'გვხვდება დანარჩენი ალომორფები. ეს იმას ნიშნავს, რომ ფონოლოგიურად გაპირობებული ალომორფების მიმართ შესაძლებელია დამატებითი დისტრიბუციის პრინციპის გამოყენება.

ფონემის ვარიანტთა გამოვლენა განსხვავდება მორფოფონემის ვარიანტების გამოვლენისაგან იმით, რომ მეორე შემთხვევაში გარეშოცვის გავლენა უფრო ძლიერია, ვიდრე პირველ შემთხვევაში, რადგან ფონოლოგიაში გარემოცვის გავლენა ვლინდება მხოლოდ იმავე ფონემის ვარიანტთა წარმოქმნაში, მორფოლოგიაში კი გარემოცვა იწვევს ერთი ფონემის გადასვლას მეორეში.

ამ განსხვავებიდან უნდა გამომდინარეობდეს მორფოფონოლოგიური ალტერნაციის მეორე უფრო მნიშვნელოვანი თავისებურება: ფონემის ვარიანტები ვლინებიან გარკვეულ გარემოცვებში ავტომატურად, ვარიანტებსა და გარემოცვებს შორის მიმართება ურთიერთცალსახაა: სხვადასხვა ვარიანტებს ყოველთვის შეესაბამება სხვადასხვა გარემოცვები და პირუკუ. ამიტომ, თუ ვიცით ფონემის ვარიანტები და თითოეული მათგანის გამოვლენის პირობები, უშეცდომოდ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომელი ვარიანტთაგანი გვექნება მოცემულ გარემოცვაში.

¹⁰ მსგავსება აქ გულისხმობს იმას, რომ ალტერნანტებში შემაჯავლი ფონემები შეძლება ენაცვლებოდნენ ერთმანეთს გარკვეულ გარემოცვებში.

მორფოფონოლოგიაში ისეთი ალტერნანტების გვერდით, რომლებსაც აგრეთვე ავტომატური ხასიათი აქვთ (ასეთია ზემომოყვანილი მაგალითი მრავლობითი რიცხვის წარმოებისა ინგლისურში), გვხვდება ისეთებიც, რომლებიც ნაკლებ რეგულარული არიან: ერთნაირ გარემოცვებში ზოგი მორფემა განიცდის ალტერნაციას, ზოგი კი — არა.

ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ გადასვლა /f→v/ ზოგიერთ ინგლისურ სიტყვაში მრავლობითი რიცხვის /z/ ნიშნის წინ (მაგ., მხ. knife „დანა“ — მრ. knives /náyf — náyvz/). ასეთ ალტერნაციას ადგილი არა აქვს ბევრ ისეთ სიტყვაში, რომლებიც მხოლოდობითი აგრეთვე /f/-ით ბოლოვდებიან.

ამგვარად, აქ მიმართება ურთიერთცალსახა კი არ არის, არამედ ცალსახაა მხოლოდ ერთი მიმართულებით: მორფოფონემის სხვადასხვა ვარიანტებს ყოველთვის შეესატყვისება სხვადასხვა გარემოცვები, მაგრამ განსხვავებულ გარემოცვებში შეიძლება შეგვხვდეს როგორც სხვადასხვა, ისე ერთნაირი ფონემები (რომელთაც არ განიცადეს ალტერნაცია).

ეს იმას მოასწავებს, რომ მორფოფონოლოგიაში ყოველთვის ვერ მოხერხდება გარემოცვის მიხედვით ვიწინასწარმეტყველოთ ამა თუ იმ ალტერნანტის გამოვლენა.

როდესაც ლაპარაკია დამატებითი დისტრიბუციის პრინციპის გამოყენების შესახებ ფონოლოგიურად გაპირობებული ალომორფების მიმართ, უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევებში ჩვენ ფაქტობრივად ვრჩებით ფონოლოგიურ დონეზე. მორფოლოგიური დონის სპეციფიკა ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი. საქმე ეხება მორფემათა შემადგენელი ფონემების კომბინატორულ ცვლილებებს. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დავიყვანოთ განსხვავებული, მაგრამ ბგერითი თვალსაზრისით მსგავსი ალომორფები ერთ ძირითად ფორმამდე და ავხსნათ მათი წარმოშობა ამ ფორმიდან სხვადასხვა მორფოფონემატური პროცესებით. მორფოფონოლოგიაში მტკიცდება, რომ სხვადასხვაობა ალომორფთა ბგერითს გამოხატულებაში შედეგია ერთიანი ფორმის დიფერენციაციისა და გაპირობებულია გარემოცვით. სწორედ ეს იგულისხმება, როდესაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ალომორფები წარმოადგენენ ერთი მორფოლოგიური ერთეულის ვარიანტებს.

რადგანაც შევვებით მორფოფონემის ძირითადი ფორმის საკითხს, გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: ძირითადი ფორმის დადგენას და ფონოლოგიურად გაპირობებული ალომორფების ახსნას ამ ფორმიდან ფონეტიკური (resp. მორფოფონემატური, დესკრიპტივისტთა ტერ-

ზინოლოგიით) პროცესების საფუძველზე. ღირებულება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი ისტორიული თვალსაზრისით წყდება.

კლილობენ რა გაემიჯნონ ისტორიზმს ენის აღწერითი ანალიზის დროს. დესკრიპტივისტები გახაზავენ მორფოფონემატური ინტერპრეტაციის ნებისმიერ ხასიათს. გამოდის, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელს მივიჩნევთ ინგლისური ენის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელთაგან ძირითად ფორმად, /s/-ს ჩავთვლით ძირითად ფორმად და მისგან გამეღვრების გზით მიღებულად ვალიარებთ /z/-ს, თუ პირუქუ /z/-საგან გამოვიყვანთ /s/-ს დაყრუების პროცესის გზით. მხოლოდ მოხერხებულობა და სიმარტივე წყვეტს საკითხს.

ჩვენი აზრით, ამ შეხედულების გაზიარება შეუძლებელია. მორფოფონემატური ვარიანტების ურთიერთობის პრობლემა ისტორიულ პრობლემას წარმოადგენს და მისი გადაწყვეტა მხოლოდ ისტორიულ ნიადაგზე უნდა ხდებოდეს. რა აზრი აქვს, ენის აღწერის დროს ვალიაროთ, რომ /z/ წარმოადგენს ძირითად ფორმას და მისგანაა მიღებული /s/, თუ სინამდვილეში ენაში პირუქუ მოხდა?

ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერათა დაკარგვა და ა. შ. წარმოადგენს პროცესებს ენათა განვითარებაში და დაუშვებელია, რომ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ეს ცნებები გამოყენებულ იქნეს რაიმე სხვა აზრით, იმ რწმენის გარეშე, რომ შესაბამის პროცესებს მართლაც ჰქონდა ადგილი მოცემულ ენაში.

აღწერითს ენათმეცნიერებას შეუძლია უარი თქვას ამ პრობლემაზე, რამდენადაც ის არ შემოდის მის კომპეტენციაში, მაგრამ მას არა აქვს უფლება გადაწყვიტოს ისტორიული პრობლემა ნებისმიერად მხოლოდ მოხერხებულობისა და აღწერის სიმარტივის კრიტერიუმთა საფუძველზე.

ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ აღწერითი ენათმეცნიერება უარს იტყვის დასახელებული პროცესების განხილვაზე, მაშინ იგი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ პირობათა რეგისტრაციით, რომელშიაც გვხვდება ესა თუ ის ალომორფი, მაგრამ ვერ დაუკავშირებს მათ ერთმანეთს.

ამიტომ, თუ ცნობილია, რომელი პროცესი უდევს საფუძვლად მორფოფონემატურ ალტერნაციას, მაშინ გამართლებულია დავასახელოთ ეს პროცესი და ამ გზით მოვაწესრიგოთ ალომორფთა შორის მიმართებანი.

ხოლო თუ მოცემული ენის ისტორია არ არის იმდენად შესწავლილი, რომ დაბეჭითებით ვთქვათ, რომელი პროცესი აკავშირებს მორფოფონემებს ერთმანეთთან, მაშინ იძულებული ვიქნებით თავი შევიკა-

ვით კვალიფიკაციისაგან და საკითხი ღიად დაეტოვოთ მანამ, სანამ ისტორიული კვლევა არ გაარკვევს მას. გარკვეულ შემთხვევებში ალბათ შესაძლებელი იქნება წამოყენება ჰიპოთეზისა, რომელიც მომავალში ან დადასტურდება, ან არა. მაგრამ მეცნიერულად გაუმართლებლად გვეჩვენება, მიუკეთ ნებისმიერი ინტერპრეტაცია ფაქტს, რომლის რეალური არსი ჩვენთვის ნათელი არაა.

ჩვენი აზრით, ზემოგანხილულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ერთ-ერთ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, სადაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ მხოლოდ აღწერა ვერ ამოწურავს ენის მეცნიერულ შესწავლას, რომ ენის ანალიზის პროცესში აღწერითი კვლევა შინაგანი აუცილებლობით გადადის ისტორიულში, რადგან აღწერის დროს წამოიჭრება საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ისტორიულ მიდგომას მოითხოვს.

8.1. მორფოლოგიური დონის სპეციფიკა თავს იჩენს მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფებთან, ე. ი. ისეთებთან, რომელთა შორის არ დასტურდება ფონემატური მსგავსება, მაგრამ რომლებსაც ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ. დესკრიპტივისტების მიხედვით. მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფებიც დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში უნდა იყვნენ იმავე მორფემის ყველა დანარჩენი ალომორფების მიმართ. მორფოლოგიურად არის გაპირობებული, მაგ., ინგლისურ ენაში მრავლობითის სუფიქსი -en, რომელიც იხმარება სიტყვაში ox-en (მხ. ox „ხარი“).

ჩვენი აზრით, დამატებითობა მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფებში მოჩვენებითია ან შემთხვევითი და არა აუცილებელი. აქ არა გვაქვს ის პირობები, რომლებიც დამატებითს დისტრიბუციას იწვევენ.

როდესაც მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფებისათვის მოვითხოვთ დამატებითს დისტრიბუციას, ჩვენ ამით მათი ფონემური შედგენილობის განსხვავებას მათ გარემოცვას მივაწერთ. სინამდვილეში კი ასეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ამ მოვლენათა შორის არ არსებობს.

სრულიად ცხადია, რომ ფონემატურ გარემოცვაზე არ არის დამოკიდებული -en სუფიქსის გამოვლენა ox მორფემასთან (შდრ. მხ. box — მრ. boxes).

მაგრამ იქნებ აქ საჭიროა გარემოცვის ცნების გაფართოება და მისი გაგება არა ფონეტიკური, არამედ სემანტიკური მნიშვნელობით?

მართლაც, ცნობილია შემთხვევები, როდესაც გარკვეული ფორმანტები მხოლოდ ფუძეთა გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებს შეეწყობიან. მაგ., სვანურ ენაში შეინიშნება ბრუნების სხვადასხვა ტიპები

ბრუნვათა სხვადასხვა მაწარმოებლებით არსებით სახელებთან, ზედსართავებთან და ნაცვალსახელებთან.

მაგრამ ძნელად თუ ვინმეს მოუვა თავში აზრად ამტკიცოს, რომ სემანტიკური გარემოცვა განსაზღვრავს მორფემის ბგერით ფორმას. მით უმეტეს, რომ ფორმანტი, რომელიც ჩვეულებრივ ფუძეთა გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფთან იხმარება, შეიძლება გამოვლინდეს სრულიად სხვა სემანტიკურ გარემოცვაშიაც. მაგ., იმავე სევანურ ენაში დაბოლოება ნჲმ, რომელიც დამახასიათებელია. მოთხრობით ბრუნვაში, მითითებითი ნაცვალსახელებისათვის, გვხვდება ზოგ არსებით სახელთანაც: მუხებმნჲმ „ძმამ“, მარმნჲმ „კაცმა“ და ა. შ.

ზემომოყვანილის მსგავსი შემთხვევები, როდესაც ფორმანტები მიმაგრებულია ფუძეთა გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებთან, იშვიათად გვხვდება. მეტწილად არ შეიმჩნევა არავითარი მიზეზ-შედგომბრივი კავშირი სემანტიკურ გარემოცვებსა და მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფებს შორის.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ არც ფონეტიკური, არც სემანტიკური გარემოცვა არ წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ალომორფები მთლიანად განსხვავებული არიან ბგერითი თვალსაზრისით. თუ ეს ასეა, მაშინ დამატებით დისტრიბუციას არ უნდა ჰქონდეს ადგილი მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფებს შორის.

მართლაც, მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფებში არ შეინიშნება დამატებითი დისტრიბუცია.

იქ, სადაც დამატებითი დისტრიბუცია გვაქვს, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მეტ-ნაკლებად ზოგადი კანონზომიერებანი, რომლებიც გამოხატავენ დამოკიდებულებას გარემოცვასა და ვარიანტებს შორის (ასეთია, მაგ., ფორმულა, რომ $/z/$ მრავლობით რიცხვში იხმარება მკლერების შემდეგ, ხოლო $/s/$ ყრუების შემდეგ). მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფების მიმართ ასეთ განზოგადებათა მოხდენა არ ხერხდება. აღწერითს გრამატიკაში მოცემულია უბრალოდ იმ ინდივიდუალურ მორფმათა სია, რომლებთანაც გვხვდება ესა თუ ის ალომორფი. განზოგადებები შეუძლებელია იმიტომ, რომ გარემოცვები არ განსაზღვრავენ ალომორფთა გამოვლენას.

მაშ, რით უნდა ავხსნათ, თუ არ დამატებითი დისტრიბუციით, ის ფაქტი, რომ ძალიან ხშირად ერთი მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფი იხმარება იქ, სადაც სხვები გამორიცხულია? მაგ., შეიძლება ითქვას $ox-en$, $box-es$, მაგრამ არ შეიძლება $box-en$ ან $ox-es$.

აქ ჩვენ სრულიად სხვაგვარი მიმართება გვაქვს, ვიდრე დამატებითი დისტრიბუციის დროს. ასეთ შემთხვევებში ვლინდება ენის ტენდენცია ეკონომიისაკენ. როდესაც ენაში არსებობს რამდენიმე ფორმანტი ერთნაირი მნიშვნელობით, მაშინ ან ერთი გამოდგენის მეორეს, ან თითოეული მათგანი მიემაგრება გარკვეულ ფუძეებს, რომლებთანაც სხვები ჩვეულებრივ უკვე აღარ იხმარება. მაგრამ დამატებითი დისტრიბუციისაგან განსხვავებით ასეთ შემთხვევებში სრულიად არ არის გამოორიცხული ორი ან მეტი ალომორფის პარალელური ხმარება ერთსა და იმავე ფუძესთან.

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზოგ სიტყვას აქვს დუბლეტური ფორმები. მაგ., ქართულ ენაში ყოველ არსებით სახელს აქვს მრავლობითი რიცხვის ორი ფორმა: სახ. კაცები || კაცი, მოთხ. კაცებმა || კაცთა, მიც. კაცებს || კაცთა, ნათ. კაცების || კაცთა.

სვანურ ენაში ბევრ სიტყვას აქვს პარალელური ფორმები ბრუნებისას, მაგ.:

სახ. გან „ხარი“	მარე
მიც. განს განტ	მარეს მარა
მოთხ. განდ განტემ	მარედ მარემ მარემნემ

როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევებში: ერთ მორფემას მივაკუთვნოთ დუბლეტური ფორმები თუ განსხვავებულს? დამატებითი დისტრიბუციის მიხედვით ისინი სხვადასხვა მორფემებად უნდა ჩაგვეთვალა, მაგრამ მაშინ ირღვევა მნიშვნელობის იდენტურობის პრინციპი (ყველა დანარჩენ შემთხვევაში მნიშვნელობით იგივეობრივი ალომორფები ერთიანდება ერთ მორფემად). ხოლო თუ მათ მაინც ერთ მორფემად გავაერთიანებთ, მაშინ გამოდის, რომ დამატებითი დისტრიბუცია არ არის აუცილებელი ალომორფთა იდენტიფიკაციისათვის.

ერთი სიტყვით, გვხვდება ისეთი შემთხვევები (და არც თუ მცირერიცხოვანი), როდესაც დამატებითი დისტრიბუცია და ალომორფთა მნიშვნელობა ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

8.2. ასეთი შემთხვევები იმდენად ფართოდაა გავრცელებული ყველა ენაში, რომ დესკრიპტივისტები მათ ვერ აუვლიდნენ გვერდს. მართლაც, ზემომოყვანილის მსგავსი ფაქტების კვალიფიკაციამ ცხარე კამათი გამოიწვია დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. დესკრიპტივისტები, რომლებიც დამატებითი დისტრიბუციის ერთგულნი რჩებოდნენ (მაგ. ბლოკი, ჰოკეტი), ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჭლომოდათ, მოექციათ ალომორფთა შორის მიმართებები ალოფონთათვის შექმნილ სქემებში.

ასე, ბლოკის მიხედვით, ინგლისურ ზმნათა მნიშვნელოვანი რაოდენობა განეკუთვნება უღვლილების ორ ტიპს — რეგულარულსა და ირეგულარულს¹¹: ავტორი გამოყოფს სამ შემთხვევას:

1. უღვლილების სხვადასხვა ტიპს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. მაგ., ზმნისაგან shine „ბრწყინვა“ ნაწარმოებია ნამყო უწყვეტლის ფორმები shined და shone. რომელთაგან პირველი გარდამავალია, მეორე კი—გარდაუვალი.

2. ზოგ ზმნას აქვს ერთნაირი ან დაახლოებით ერთნაირი დენოტაცია, მაგრამ სუსტად განსხვავებული სტილისტური ან სოციალური კონოტაცია. ასეთია, მაგ., ნამყოს მიმღეობა shown || showed ზმნისაგან show „ჩვენება“. ავტორის სიტყვით, shown ბევრი მოლაპარაკისათვის უფრო დახვეწილია, ვიდრე showed.

3. ბოლოს, ზოგ ზმნასთან პარალელური ფორმები იდენტურია როგორც მნიშვნელობით, ისე კონოტაციის თვალსაზრისითაც (მაგ., burned || burnt ზმნისაგან burn „წვა“). მაშასადამე, ისინი მთლიანად თავისუფალი ვარირების მიმართებაში იმყოფებიან, მაშინ როდესაც პირველ ორ შემთხვევაში თავისუფალი ვარირება არა გვაქვს¹².

ბლოკი აცხადებს, რომ ფონემატურად განსხვავებული მორფემები, რომლებიც ერთნაირ გარემოცვებში გვხვდებიან და არ იმყოფებიან მთლიანად თავისუფალი ვარირების მიმართებაში, განსხვავებული არიან მორფემატულადაც¹³. იყენებს რა ამ პრინციპს ზემოგანხილული შემთხვევების მიმართ, ბლოკი წერს: shown და showed-ში /ʃcw-/ს მოსდევს ფონემატურად განსხვავებული ელემენტები /n/ და /d/. ისინი არ იმყოფებიან თავისუფალი ვარირების მიმართებაში, რადგან ორ ფორმას დახვეწილობის განსხვავებული კონოტაცია აქვს და, მაშასადამე, ისინი არ ენაცვლებიან ერთმანეთს. ამიტომ ან /n/ და /d/ განსხვავებული მორფემებია, ან გარემოცვა, რომელშიაც ისინი გვხვდებიან, არ არის ერთნაირი მათთვის.

ავტორი განაგრძობს: რადგანაც ჩვენ გვინდა გავიგივეოთ /n/ და /d/, როგორც ერთი მორფემის ალტერნანტები, ჩვენ ვასკვნით, რომ /ʃcw/ /n/-ს წინ მორფემატულად განსხვავდება /ʃcw/-საგან /d/-ს წინ რომაა. სხვა ჭიტყევებით. ჩვენ ვამჯობინებთ დავადგინოთ ორი განსხვა-

¹¹ Bernard Bloch, English Verb Inflection. «Languages», 1947, ტ. 23. მოვეყავს კრებულიდან «Readings in Linguistics», გვ. 246.

¹² იქვე, გვ. 247.

¹³ იქვე, გვ. 245.

ვებული, მაგრამ ომონიმური მორფემა /ʒoʷ/ და მივაწეროთ მათ, და არა სუფიქსურ ალტერნანტებს, shown და showed ფლექსიურ ფორმათა შორის სტილისტური და კონოტაციური განსხვავება¹⁴.

ამგვარად, ერთიანი ფუძე /ʒoʷ/ გახლეჩილი აღმოჩნდა ორ მორფემად, ხოლო ფონემატურად განსხვავებული ფორმები მიმღეობისა (/n/ და /d/) ერთ მორფემას მიეკუთვნება!

ზუსტად ასევე იქცეოდა ჰოკეტიც, რომელიც გამოყოფდა ორ ომონიმურ მორფემას ფუძეში brother „ძმა“ იმ საფუძველზე, რომ არსებობს მრავლობითი რიცხვის ორი ფორმა brothers || brethren¹⁵.

მთლიანად დისტრიბუციაზე დამყარებული ასეთი ანალოზის წინააღმდეგ გაილაშქრა ი. ნაიდამ, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია ის, რომ მნიშვნელობის განსხვავებები მიეწერებოდეს ფორმალურად იდენტურ და არა განსხვავებულ ერთეულებს¹⁶.

თვით ჰოკეტი თავის ბოლოდროინდელ ნაშრომში სრულიად სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევს პარალელურ ფორმებს. აქ იგი განსხვავებულ მორფემებად თვლის არა ერთ ფუძეს ორი პარალელური ფორმანტის წინ, არამედ თვით ამ ფორმანტებს¹⁷.

მორფოლოგიაში დამატებითი დისტრიბუციის გამოყენებასთან დაკავშირებული სიძნელებები წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ ნაიდა 1948 წ. ერთ მორფემაში აერთიანებდა მხოლოდ ფონოლოგიურად გაპირობებულ ალტერნანტებს და თავს იკავებდა მათთვის მორფოლოგიურად გაპირობებული ალტერნანტების მიკუთვნებისაგან¹⁸. მაგ-

¹⁴ B. Bloch, დასახ. ნაშრ., გვ. 247.

¹⁵ Ch. F. Hockett, Problems in Morphemic Analysis. «Language», 1947, ტ. 23, ნაკვ. 4., გვ. 330.

¹⁶ E. Nida, The Identification of Morphemes. «Language». 1948, ტ. 24, ნაკვ. 4, გვ. 414.

¹⁷ ჰოკეტი წერს: ორი მორფი არ შეიძლება იყოს ერთი მორფემის აღმორფები, თუ ისინი კონტრასტული არიან. მაგ., stri cken და struck, როგორც ჩანს, მიმღეობებიან strike „ცემა“ ზმნისა... მაგრამ stri cken და struck არ შეიძლება მორფემატურად იდენტური იყვნენ. ასე, თუ ისინი ემყარებიან ერთსა და იმავე ფუძეს, მაშინ ფლექსიური აფიქსები უეჭველად განსხვავებულ მორფემებს წარმოადგენენ. Charles F. Hockett, A Course in Modern Linguistics. III გამოც., 1960, გვ. 274—5.

როგორც ვხედავთ, აქ ერთი ფუძე კი არ არის გახლეჩილი ორ მორფემად, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ სხვადასხვა მორფემებადაა მიჩნეული მიმღეობათა მაწარმოებლები, რომლებიც ერთსა და იმავე გარემოცვაში გვევლინებიან.

¹⁸ თავის რეცენზიაში ჰოკეტი აკრიტიკებდა ნაიდას ამის გამო. იხ. Ch. F. Hockett — Morphology: the Descriptive Analysis of Words, By E. A. Nida. «Language», 1947, ტ. 23, ნაკვ. 3, გვ. 281.

გრამ 1948 წ. (შესაძლებელია ჰოკეტის კრიტიკის შედეგად!) ისიც შეუერთდა სხვა დესკრიპტივისტებს ამ საკითხში.

სამაგიეროდ პარისი, რომელმაც პირველად გააერთიანა ერთ მორფემად ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ალტერნანტები, თავის კაპიტალურ შრომაში კატეგორიულად აღარ იცავს ასეთი გაერთიანების აუცილებლობას¹⁹.

3.3. დესკრიპტივისტთა შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა, აგრეთვე ცალკეულ ენათმეცნიერთა მერყეობა პარალელურ ფორმათა კვალიფიკაციის დროს მიუთითებს იმ სიძნელეებზე, რომლებიც გვხვდება მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფების მიმართ დამატებითი დისტრიბუციის პრინციპის გამოყენებისას.

პარალელური ფორმები გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გამოყენებულ იქნეს დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით დაუშვებელია სხვადასხვა ვარიანტის ხმარება თუნდაც ერთ გარემოცვაში. მაშასადამე; თუ არსებობს ერთი ზმნა მინც, სადაც /n/ და /d/ ერთმანეთს ენაცვლებიან მიმლეობაში, ეს გვართმევს უფლებას მივიჩნიოთ /n/ და /d/ ერთი მორფემის ალომორფებად საერთოდ ინგლისურ ენაში და არა მხოლოდ ამ ზმნაში. ხოლო რადგანაც დუბლეტური ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდება, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საერთოდ მორფოლოგიურად გაპირობებულ ალომორფთა ერთ მორფემად გაერთიანების შესაძლებლობა.

ხომ არ უშველის საქმეს დუბლეტური ფორმების აღიარება თავისუფალ ვარიანტებად, როგორც ზოგი დესკრიპტივისტი იქცევა? ვფიქრობთ, რომ არა. თავისუფალი ვარიანტები ფონოლოგიაში ერთმანეთს ენაცვლებიან ყველა გარემოცვაში უგამონაკლისოდ მნიშვნელობის შეუცვლელად, ხოლო /n/ და /d/ სუფიქსები მხოლოდ ზოგიერთ ზმნაში მონაცვლობენ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი გვხვდება. ამასთან ზოგჯერ პარალელური ფორმები მნიშვნელობითაც განსხვავებული არიან. მაშასადამე, აქ არ გვქონია თავისუფალი ვარიანტა.

თუ პარალელურ ფორმებს ვერ ჩავთვლით ერთი მორფემის ალომორფებად, მაშინ ისღა დაგვრჩენია, რომ ისინი სხვადასხვა მორფემას მივაკუთვნოთ. მაგრამ როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, დუბლეტური ფორმების სხვადასხვა მორფემისადმი მიკუთვნებისასაც გვხვდება სიძნელეები, თუ ფონოლოგიის ცნებათა და ოპერაციათა ფარგლებში დავრჩებით.

¹⁹ Z. S. Harris, *Methods in Structural Linguistics*, გვ. 213.

საქმე ისაა, რომ ფონოლოგიური ანალიზის პრინციპთა მიხედვით, ბგერები, რომლებიც ერთ ერთეულს არ შეადგენენ, კონტრასტული არიან, ე. ი. ერთნაირ გარემოცვაში ისინი განასხვავებენ ერთმანეთისაგან მორფემებს.

ესეც კი არა გვაქვს ყველა ზემომოყვანილ შემთხვევაში. მართალია, ზოგჯერ დუბლეტური ფორმები მნიშვნელობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ არა ყოველთვის (მაგ., სვან. ჳანს || ჳანჷ, მჰრეს || მჰრა ერთნაირი მნიშვნელობის მქონეა). მაშასადამე, ძნელია აქ ვილაპარაკოთ კონტრასტულობის შესახებ იმ გაგებით, როგორც ეს ცნება იხმარება ფონოლოგიაში.

ამგვარად, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ არა მხოლოდ დამატებითი დისტრიბუცია, არამედ არც ფონემატური ანალიზის სხვა პრინციპები (თავისუფალი ვარირება, კონტრასტულობა) გამოდგება მორფოლოგიისათვის იმ სახით, როგორც ეს ფონოლოგიაშია. ასეც იყო მოსალოდნელი იმის საფუძველზე, რაც მორფოლოგიური დონის სპეციფიკის შესახებ ითქვა.

დამატებითი დისტრიბუცია, ისევე როგორც ანალიზის სხვა ცნებები და პროცედურები, მექანიკურადაა გადმოტანილი ფონოლოგიიდან მორფოლოგიაში, შინაგანად ისინი არ არიან გამართლებული მორფოლოგიურ ელემენტთა თავისებურებებით.

ფონოლოგიური ანალიზის პრინციპთა უნივერსალიზაცია იმიტომაც არის გაუმართლებელი, რომ ფონოლოგია წარმოადგენს ლინგვისტური ანალიზის ყველაზე დაბალსა და ელემენტარულ დონეს. ამიტომ ფონოლოგიის ფარგლები ვიწროა მორფოლოგიისათვის. მორფოლოგიურ ელემენტთა იდენტიფიკაცია ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ფონოლოგიური ერთეულებისა. შესაბამისად უნდა გართულდეს ანალიზის პრინციპები და ის აპარატიც, რომლის მეშვეობითაც ეს ელემენტები აიწერება.

როგორც აღნიშნული იყო, ფონოლოგიასთან შედარებით მორფოლოგიაში ორი ახალი პრობლემა ჩნდება:

1. მორფემულ ელემენტთა მნიშვნელობის პრობლემა და
2. ბგერით ფორმასა და მნიშვნელობას შორის მიმართების პრობლემა.

ზემომოყვანილი ანალიზი არც ერთ მათგანს არ ითვალისწინებს. თუმცა მნიშვნელობას აშკარად ან ფარულად ყველა დესკრიპტივისტი იღებს მხედველობაში, მაგრამ ალომორფთა იდენტიფიკაციის დროს არ ისმის საკითხი მნიშვნელობის ნიუანსთა შესახებ. ფონოლოგიაში განიხილება ფონემათა ვარიანტები, მორფოფონოლოგიაში

კი მორფოფონემათა ვარიანტები მათი ფონეტიკური მსგავსების თვალსაზრისით, მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფები კი ყოველთვის იდენტურია მნიშვნელობის მიხედვით. მხედველობაში არ არის მიღებული ისეთი შემთხვევები, როდესაც მსგავსი მნიშვნელობები გვხვდება და, მაშასადამე, უნდა გაირკვეს, ერთი მნიშვნელობის ვარიანტებთან გვაქვს საქმე თუ განსხვავებულ მნიშვნელობებთან.

თუ ამ გარემოების უგულებელყოფა პრაქტიკულად არ იწვევს სავალალო შედეგებს, ეს იმის გამო, რომ მორფემათა ანალიზი დესკრიპტივისტებთან ძირითადად ეხება ფორმაციული ელემენტებს (ფლექსიებს), რომელთა მნიშვნელობები მკაფიოდ არის გამოჩენილი. მაგრამ მორფემებში გულისხმობენ არა მხოლოდ ფლექსიას, არამედ სიტყვაწარმოების ელემენტებსა და ფუძეებსაც.

ამ უკანასკნელთა ანალიზის დროს ჩნდება აუცილებლობა იმისა, რომ დადგინდეს იქნეს კრიტერიუმები არა მხოლოდ მნიშვნელობის იგივეობრიობის ან არაიგივეობრიობისათვის, არამედ აგრეთვე მნიშვნელობის ვარიანტებისათვის. როგორც ცნობილია, დერივაციულ ფორმანტებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა მნიშვნელობა სხვადასხვა ფუძეებთან, ხოლო ფუძეებს კიდევ უფრო ხშირად აქვთ მეტ-ნაკლებად განსხვავებული მნიშვნელობა.

როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ დროს? რა შემთხვევებში არ გავყვართ მნიშვნელობის განსხვავებებს ერთი მორფემის ფარგლებიდან და როდის უნდა ვილაპარაკოთ სხვადასხვა მორფემათა შესაწებზე? ეს საკითხები არსებითი მნიშვნელობის მქონეა მორფემულ ერთეულთა იდენტიფიკაციის დროს, მაგრამ ისინი არ განიხილება დესკრიპციულ ენათმეცნიერებაში.

კიდევ უფრო ნაკლებაა გარკვეული ბგერითი ფორმისა და მნიშვნელობის მიმართების საკითხები. სხვადასხვა შემთხვევა არის შესაძლებელი:

1. იდენტური მნიშვნელობა გამოხატულია იდენტური ბგერითი ფორმით.

2. მსგავსი მნიშვნელობები გამოხატულია იდენტური ბგერითი ფორმით.

3. განსხვავებული მნიშვნელობები გამოხატულია იდენტური ბგერითი ფორმით.

4. იდენტური მნიშვნელობები გამოხატულია მსგავსი ბგერითი ფორმებით.

5. მსგავსი მნიშვნელობები გამოხატულია მსგავსი ბგერითი ფორმებით.

6. განსხვავებული მნიშვნელობები გამოხატულია მსგავსი ბგერითი ფორმებით.

7. იდენტური მნიშვნელობები გამოხატულია განსხვავებული ბგერითი ფორმებით.

8. მსგავსი მნიშვნელობები გამოხატულია განსხვავებული ბგერითი ფორმებით.

9. განსხვავებული მნიშვნელობები გამოხატულია განსხვავებული ბგერითი ფორმებით.

სრულფასოვანი მორფოლოგიური ანალიზისათვის აუცილებელია ვიცოდეთ დასახელებული შემთხვევებიდან როდის გვაქვს ერთი მორფემა და როდის — განსხვავებული მორფემები.

აშკარაა, რომ შეუძლებელია დამატებითი დისტრიბუციის მეშვეობით ავსახოთ ზემოაღნიშნული რთული და მრავალფეროვანი მიმართებები მორფოლოგიურ ერთეულთა კომპონენტებს შორის.

თუ დამატებითი დისტრიბუცია ვერ გამოდგება კრიტერიუმად მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფების გაერთიანებისათვის, მაშინ საერთოდ შესაძლებელია და გამართლებულია თუ არა ასეთი გაერთიანება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ არის მიზანშეწონილი მორფოლოგიურად გაპირობებული ალომორფების იდენტიფიკაცია მხოლოდ მათი მნიშვნელობის იგივეობის მიხედვით. რადგანაც მორფემები წარმოადგენენ ბგერითი ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობას, ამიტომ მორფოლოგიურ ელემენტთა ეკვივალენტურობის ან არაეკვივალენტურობის საკითხის გადაწყვეტის დროს ორივე მხარე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.

ერთი მორფემის ალომორფებზე გამართლებულია მსჯელობა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ბგერითი ფორმის ან მნიშვნელობის ვარიანტებთან. ხოლო როდესაც ალომორფები არ დაიყვანება ერთმანეთზე ბგერითი ან მნიშვნელობის თვალსაზრისით, ე. ი. როდესაც ალომორფთა ბგერითი ფორმება და მნიშვნელობანი მთლიანად განსხვავებულია, მაშინ ისინი განსხვავებულ მორფემებად უნდა ვაღიაროთ. წინააღმდეგ შემთხვევებში მათი გაერთიანება ხელოვნური გამოვა და რიგ გადაულახავ წინააღმდეგობას შეხვდება.

რამდენადაც ფონოლოგიურად გაპირობებული ალომორფები წარმოადგენენ ერთი მორფოლოგიური ერთეულის მორფოფონოლოგიურ ვარიანტებს, ბუნებრივია მივაკუთვნოთ ისინი ერთ მორფემას დამატებითი დისტრიბუციის საფუძველზე. ერთ მორფემად უნდა გამოვაცხადოთ აგრეთვე სემანტიკური ვარიანტები, რომელთა ანალიზის პროცედურები ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული.

მაგრამ არა გვაქვს საფუძველი გავაერთიანოთ ბგერითი თვალ-საზრისით ერთმანეთთან დაუკავშირებელი მორფემული სეგმენტები, თუნდაც მათი მნიშვნელობა ერთნაირი იყოს. ასეთი ერთეულები სინონიმურია და ისინი ისევე განეკუთვნებიან სხვადასხვა მორფემებს, როგორც ომონიმები, რომლებიც, პირუკუ, ბგერითი თვალსაზრისით არიან იგივეობრივი, ხოლო მნიშვნელობით კი — განსხვავებული.

ზოგიერთი შენიშვნა სინტაქსში უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის შესახებ

სინტაქსი გრამატიკის უძველესი დარგთაგანია. იგი ჯერ კიდევ ფილოლოგიურ გრამატიკებში იყო გამოყოფილი. მიუხედავად ასეთი ხანდაზმულობისა, სინტაქსის ამოცანები, მისი ძირითადი ცნებები და ანალიზის პროცედურები დღესაც სპეციალისტთა შორის პრაქტიკული დავის საგანს წარმოადგენს. ასეთ ვითარებაში სინტაქსს პრობლემატიკის დამუშავების ყოველი ახალი ცდა საგანგებო ყურადღებას იქცევს. ერთ-ერთი ასეთი ცდა მოცემულია დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში.

აღიარებულა, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსში ცენტრალური ადგილი უკავია უშუალო შემადგენლებს. ამიტომ, ჩვეულებრივ, დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსს უშუალო შემადგენელთა სინტაქსს უწოდებენ. ჩვენა ამოცანაა გავიკვიოთ სინტაქსში უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის რაობა და მნიშვნელობა.

ისევე, როგორც ენობრივი ანალიზის სხვა სფეროებში, აქაც დესკრიპტივისტები ძირითადად ლ. ბლუმფილდის მოძღვრებას ემყარებიან. ამიტომ ჩვენც ლ. ბლუმფილდის შეხედულებათა განხილვით დავიწყებთ. შემდეგ კი შევეცდებით ვუჩვენოთ, თუ რა მიმართულებით ავითარებდნენ ბლუმფილდის იდეებს დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლები.

1. ლ. ბლუმფილდის სინტაქსური მოძღვრება

ლ. ბლუმფილდი გრამატიკის დაყოფას მორფოლოგიად და სინტაქსად გაშართლებულად მიიჩნევს ისეთი ენებისათვის, რომელთაც აქვთ დაკავშირებული ფორმები. მისი აზრით, კონსტრუქციები, რომლებშიაც დაკავშირებული ფორმები იღებენ მონაწილეობას, ირსებითად განსხვავდებიან კონსტრუქციებისაგან, რომლებშიაც ყველა უშუ-

ალო შემადგენელი თავისუფალი ფორმაა¹. პირველი რიგის კონსტრუქციები შეისწავლება მორფოლოგიაში, მეორისა კი — სინტაქსში. სინტაქსური კონსტრუქციები არის კონსტრუქციები, რომლებშიაც არც ერთი უშუალო შემადგენელთაგანი არ არის დაკავშირებული ფორმა². მორფოლოგიაში კი საბოლოო ფორმები ან დაკავშირებული ფორმებია, ან სიტყვები, მაგრამ არასოდეს ფრაზები. ამგვარად, მორფოლოგია შეისწავლის სიტყვებისა და სიტყვათა ნაწილების კონსტრუქციებს, სინტაქსი კი — ფრაზების კონსტრუქციებს³. სინტაქსსა და მორფოლოგიას შორის გარდამავალ სფეროს ქმნის რთული სიტყვები და ფრაზა-სიტყვები⁴.

მართალია, ლ. ბლუმფილდი მორფოლოგიასა და სინტაქსს მიჯნავს ერთმანეთისაგან, მაგრამ იგი რიგ გრამატიკულ ცნებას ორივე ამ დარგისათვის ერთად განიხილავს. ასეთ საერთო ცნებებს განეკუთვნება: ფორმა, შემადგენელი, კონსტრუქცია, ტაქსემა, ტაგმემა...

ლინგვისტური ფორმა წარმოადგენს სასიგნალო ერთეულთა ანუ ფონემათა ფიქსირებულ კომბინაციას. ლინგვისტური ფორმის წარმოთქმისას მოლაპარაკე იწვევს მსმენელში რეაქციას. გარკვეული სიტუაციის მიმართ. ეს სიტუაცია და მის მიმართ რეაქცია წარმოადგენენ ფორმის ლინგვისტურ მნიშვნელობას⁵.

ლინგვისტური ფორმა შეიძლება იყოს რთული და მარტივი.

რთული ფორმა არის ისეთი ლინგვისტური ფორმა, რომელიც ავლენს ნაწილობრივ ფონეტიკურ-სემანტიკურ მსგავსებას რომელიმე სხვა ლინგვისტურ ფორმასთან. მაგალითები მოყვანილია როგორც სინტაქსიდან, ისე მორფოლოგიიდან: John ran, John fell, Bill ran, Bill fell; Johnny, Billy; playing, dancing და ა. შ.⁶

(ორი ან მეტი) რთული ფორმის საერთო ნაწილიც ლინგვისტურ ფორმას წარმოადგენს; ის არის ამ რთულ ფორმათა შემადგენელი (ანუ კომპონენტი). შემადგენელი შედის რთულ ფორმებში⁷. ნებისმიერ

¹ ავტორის განსაზღვრებით: ლინგვისტური ფორმა, რომელიც არასოდეს არ გამოითქმის ცალკე, არის დაკავშირებული ფორმა, ყველა დანარჩენი იქნება თავისუფალი ფორმები. L. Bloomfield, Language, 1933, გვ. 160. შტრ.: ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს გამოთქმა, არის თავისუფალი; ფორმა, რომელიც არ არის თავისუფალი, იქნება დაკავშირებული. A Set of Postulates for the Science of Language. «Language», 1926, v. 2. მოგვეყვას RiL-ის მიხედვით, გვ. 27.

² L. Bloomfield, Language, გვ. 184.

³ იქვე, გვ. 207.

⁴ იქვე, გვ. 184, 207.

⁵ იქვე, გვ. 158. ზაზი ყველგან ავტორისაა — თ. შ..

⁶ იქვე, გვ. 160.

⁷ იქვე.

რთულ ფორმაში თითოეული შემადგენელი ახლავს სხვა შემადგენლებს⁸.

ლინგვისტური ფორმა, რომელიც არ ავლენს ნაწილობრივ ფონეტიკურ-სემანტიკურ მსგავსებას რომელიმე სხვა ფორმასთან, არის მარტივი ფორმა ანუ მორფემა.

ლ. ბლუმფილდის აზრით, რამდენადაც საქმე ეხება ფონეტიკურად განსაზღვრებად შემადგენლებს, ყოველი რთული ფორმა მთლიანად შექმნილია მორფემებისაგან. ამ საბოლოო შემადგენელთა (ultimate constituents) რიცხვი შეიძლება ძალიან დიდი იყოს. ფორმა *Poor John ran away* შეიცავს ხუთ მორფემას: *poor*, *John*, *ran*, *a-* და *way*. მაგრამ რთული ფორმების სტრუქტურა არავითარ შემთხვევაში არ არის ასე მარტივი. ჩვენ ვერ გავიგებთ ენის ფორმებს, თუ უბრალოდ დაიკვირვებთ ყველა რთულ ფორმას მათ საბოლოო შემადგენლებამდე. ყოველი ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანი, რომელსაც აინტერესებს ეს საკითხი, უეჭველად იტყვის, რომ *Poor John ran away*-ს უშუალო შემადგენლებია *poor John* და *ran away*; რომ თითოეული მათგანი, თავის მხრივ, რთული ფორმაა; რომ *ran away*-ს უშუალო შემადგენლებია *ran* მორფემა და *away* რთული ფორმა, რომლის შემადგენლებია მორფემები *a-* და *way*; და რომ *poor John*-ის შემადგენლებია მორფემები *poor* და *John*. მხოლოდ ამ გზით ანალიზს (რომელიც ანგარიშს უწევს მნიშვნელობებს) მივყავართ საბოლოო შემადგენელ მორფემებამდე⁹.

რთული ფორმების აღწერისათვის ბლუმფილდს არ მიაჩნია საკმარისად მათ შემადგენელ მარტივ ფორმათა ანუ მორფემათა გამოყოფა. ყოველი ენა თავის მნიშვნელობათა ნაწილს ავლენს თავის ფორმათა განლაგებით ანუ არანეირებით (arrangement). სწორედ მნიშვნელობის მქონე განლაგებები ფორმებისა ქმნიან ენის გრამატიკას. ავტორი მიუთითებს ფორმათა განლაგების ოთხ შესაძლებელ შემთხვევაზე. ესენია:

(1) რიგი არის თანმიმდევრობა, რომლითაც რთული ფორმის შემადგენლები წარმოითქმინა. მაგ., *John hit Bill*. 'ჯონი სცემს ბილს' და *Bill hit John* 'ბილი სცემს ჯონს'..

(2) მოდულაცია არის მეორეულ ფონემათა გამოყენება: მეორეულ ფონემებს ბლუმფილდი უწოდებს მახვილსა და ინტონაციას, რომლებიც გვევლინებიან მხოლოდ მორფემათა გრამატიკული განლაგებისას..

⁸ L. Bloomfield, *Language*, გვ. 161..

⁹ იქვე.

ასეთია. მაგ., სხვადასხვა ინტონაცია ცალკე წარმოთქმულ მორფემაზე John! John? ან John|.|. აგრეთვე მახვილი, რომლის ადგილი ინგლისურში განასხვავებს ზმნას სახელისაგან: convict მეორე მარცვალზე მახვილით ზმნაა (დამნაშავედ ცნობა), პირველ მარცვალზე მახვილით კი — არსებითი სახელი¹⁰ (ბრალდებული, პატიმარი).

(3) ფონეტიკური მოდიფიკაცია წარმოადგენს ფორმის პირველად ფონემათა ცვლილებას. მაგ., do [duw] + [not] → don't [downt]¹¹.

(4) შერჩევა (სელექცია). ფორმათა შერჩევა იყენებს მნიშვნელობის ფაქტორს, რადგან განსხვავებულ ფორმებს, რომლებშიაც სხვა მხრივ ერთი და იგივე განლაგებაა, შედეგად მოსდევს სხვადასხვა მნიშვნელობები. მაგ., ზოგი მორფემა, წარმოთქმული ძახილის დამამთავრებელი ინტონაციით, წარმოადგენს დაძახებას პიროვნების ყოფნა-არყოფნის შესამოწმებლად ან ყურადღების მისაქცევად (John! Boy!), მაშინ როდესაც იმგვარადვე წარმოთქმული სხვა მორფემები ბრძანებებია (Run! Jump!). ეს განსხვავება ვრცელდება აგრეთვე ზოგ რთულ ფორმაზე (Mr. Smith! Teacher! საპირისპიროდ Run away! Backwater!-ისა). ამიტომ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ფორმები, რომლებსაც ძახილის დამამთავრებელი ინტონაციით წარმოთქმულებს აქვთ დაძახების მნიშვნელობა, ქმნიან ინგლისური ენის ერთ-ერთ ფორმალურ კლასს. ამ ფორმალურ კლასს შეიძლება ვუწოდოთ „პიროვნული სუბსტანტივური გამოხატულება“. მეორე ფორმალურ კლასს ინგლისურში ქმნიან ფორმები, რომლებსაც ძახილის დამამთავრებელი ინტონაციით წარმოთქმულებს აქვთ ბრძანების მნიშვნელობა. ამ კლასს ბლუმფილდი „ინფინიტივურ გამოხატულებებს“ უწოდებს. ამგვარად, დაძახებას წარმოადგენს ძახილი თუ ბრძანებას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ამ ორ კლასთაგანიდან ავირჩევთ ფორმას¹².

რთული ფორმის მნიშვნელობა, ავტორის განმარტებით, ნაწილობრივ დამოკიდებულია შემადგენელ ფორმათა შერჩევაზე. ასე, drink milk და watch John აღნიშნავენ მოქმედებებს და წარმოადგენენ ინფინიტივურ გამოხატულებებს, მაგრამ fresh milk და poor John აღნიშნავენ ობიექტებს და წარმოადგენენ სუბსტანტივურ გამოხატულებებს. მეორე შემადგენლები milk და John ერთი და იგივეა; განსხვავება დამოკიდებულია პირველი შემადგენლის შერჩევაზე. ამ განსხვა-

¹⁰ L. Bloomfield, Language, გვ. 163.

¹¹ იქვე, გვ. 163—164.

¹² იქვე, გვ. 164.

უების მიხედვით drink და watch ეკუთვნიან ინგლისური ენის ერთ ფორმალურ კლასს („გარდამავალი ზმნებისას“), ხოლო ფორმები fresh და poor — მეორეს („ზედსართავეების კლასს“)¹³.

გრამატიკული განლაგების ზემოჩამოთვლილი თვისებები, გვეუბნება ლ. ბლუმფილდი, ვლინდებიან სხვადასხვა კომბინაციებში, მაგრამ ისინი შეიძლება გამოიყონ და განცალკევებით აიწერონ. გრამატიკული განლაგების მარტივი თვისება არის გრამატიკული თვისება ანუ ტაქსემა. ტაქსემა წარმოადგენს ფორმის უმცირეს ერთეულს. მას ცალკე, თავისთავად მნიშვნელობა არა აქვს. ტაქსემათა კომბინაციები, ან, ბევრად უფრო იშვიათად, ცალკეული ტაქსემები გვევლინებიან ჩვეულებრივი გრამატიკული განლაგებების, ტაქტიკური ფორმების როლში. ტაქტიკური ფორმა თავისი მნიშვნელობითურთ არის გრამატიკული ფორმა. გრამატიკული ფორმის უმცირეს მნიშვნელობის მქონე ერთეულებს ბლუმფილდი უწოდებს ტაგმემებს, ხოლო მათ მნიშვნელობებს — ეპისემემებს¹⁴.

მაგალითად, გამოთქმა Run! შეიცავს ორ გრამატიკულ თვისებას (ტაქსემას), სახელდობრ, ძახილის დამამთავრებელი ინტონაციის მოდულაციას და შერჩევის თვისებას, რომელიც მდგომარეობს განსაზღვრული ზმნის ხმარებაში. თითოეული ამ ტაქსემათაგანი ინგლისურში წარმოადგენს ტაქტიკურ ფორმას, რადგან თითოეული ჩვეულებრივ გამოიყენება, როგორც სასიგნალო ერთეული. ვიღებთ რა თითოეულ მათგანს მათი მნიშვნელობიანად, ჩვენ აღვწერთ მათ, როგორც გრამატიკული ფორმის ერთეულებს (ტაგმემებს). ძახილის დამამთავრებელი ინტონაციის ტაგმემა გვხვდება ნებისმიერ ლექსიკურ ფორმასთან და ანიჭებს მას გრამატიკულ მნიშვნელობას (ეპისემემას), რომელიც ჩვენ შეგვიძლია უხეშად აღვწეროთ, როგორც 'ძლიერი სტიმული'. შერჩევის ტაგმემას, რომლის საშუალებითაც აღნიშნულია ინფინიტური ფორმები, როგორც ფორმალური კლასი, აქვს გრამატიკული მნიშვნელობა (ეპისემემა), რომელსაც შეიძლება ეწოდოს კლასის მნიშვნელობა და უხეშად განისაზღვროს, როგორც 'მოქმედება'¹⁵.

ტაგმემა შეიძლება შედგებოდეს ერთზე მეტი ტაქსემისაგან. ეს იქნება შერჩევის, რიგის, მოდულაციის... ტაქსემები. არც ერთ ტაქსემას, აღებულს თავისთავად, არა აქვს რაიმე მნიშვნელობა, მაგრამ

¹³ L. Bloomfield, Language, გვ. 165.

¹⁴ იქვე, გვ. 166.

¹⁵ იქვე.

ყველანი ერთად ქმნიან გრამატიკულ ფორმას, ტაგმემას, რომელსაც: მნიშვნელობა აქვს¹⁶.

ბლუმფილდის მიხედვით, ნებისმიერი რთული ფორმა შეიძლება მთლიანად აიწეროს (მისი მნიშვნელობის გარდა) უშუალო შემადგენელ ფორმათა ტერმინებით და იმ გრამატიკულ თვისებათა (ტაქსემათა) ტერმინებით, რომელთა მიხედვითაც ეს შემადგენელი ფორმებია განლაგებული¹⁷.

ენის გრამატიკულ ფორმებს ბლუმფილდი: სამ დიდ კლასად აჯგუფებს:

(1) როდესაც ფორმა ცალკე წარმოითქმის (ე. ი. არ არის უფრო ფართო ფორმის შემადგენელი), იგი აღმოჩნდება რაიმე წინადადების ტიპში.

(2) მაშინ როდესაც ორი (ან იშვიათად მეტი) ფორმა: გამოითქმის ერთად, როგორც რთული ფორმის შემადგენლები, გრამატიკული თვისებები, რომლებიც მათ აკავშირებს, ქმნიან კონსტრუქციას. ასე, გრამატიკული თვისებები, რომლებითაც duk და -ess არიან შეერთებული ფორმაში duchess ან გრამატიკული თვისებები, რომლებითაც poor John და ran away არიან შეერთებული ფორმაში poor John ran away, ქმნიან კონსტრუქციას.

(3) გრამატიკულ ფორმათა მესამე დიდ კლასს სუბსტიტუტები ანუ შემნაცვლებლები შეადგენენ. ეს ისეთი ფორმებია, რომლებიც სხვა ფორმათა მთელი კლასის ნაცვლად იხმარება. ასეთია ინგლისური ნაცვალსახელი he, რომელიც ენაცვლება ფორმებს: John, poor John, a policeman, the man I saw yesterday, whoever did his და ა. შ.¹⁸

ყველა საკითხი, რომელსაც აქამდე ვეზებოდით, ბლუმფილდს სინტაქსამდე და მორფოლოგიამდე აქვს განხილული. ესაა გრამატიკის ზოგადი საკითხები, რომლებიც თანაბრად ეხება როგორც სინტაქსს, ისე მორფოლოგიას.

გრამატიკულ ფორმათა კლასების შესახებ ავტორი გვეუბნება: წინადადების ტიპებს და სუბსტიტუტებს, ჩვეულებრივ, სინტაქსში განიხილავენ¹⁹, მაგრამ თვითონ მას ეს ფორმები არ შეაქვს სინტაქსში. წინადადების ტიპები სინტაქსის წინა თავშია ცალკე წარმოდგენილი, სუბსტიტუტები კი — სინტაქსისა და მორფოლოგიის შემდგომ.

¹⁶ L. Bloomfield, Language, გვ. 166—167.

¹⁷ იქვე, გვ. 167.

¹⁸ იქვე, გვ. 169.

¹⁹ იქვე, გვ. 184.

მისი განსაზღვრების მიხედვით: როდესაც ლინგვისტური ფორმა გვხვდება, როგორც უფრო ფართო ფორმის ნაწილი, ის იმყოფება ჩართულ პოზიციაში; სხვა შემთხვევაში ის არის აბსოლუტურ პოზიციაში და შეადგენს წინადადებას²⁰. წინადადების მაგალითებია: Poor John! Poor John ran away.

ბლუმფილდის აზრით, სხვადასხვა ენაში წინადადებები სხვადასხვა ტაქსემებით შეიძლება იყოს აღნიშნული. იგი განიხილავს წინადადებას რამდენიმე ტიპს ინგლისურში, იტალიურში, გერმანულში, ფრანგულში, ლათინურში, რუსულში, ქართულში, მენომინიში, ტაგალოგში და ზოგ სხვა ენაში.

წინადადების მთავარი ტიპებია: მტკიცება (მაგ., John ran away[.]), ჰო—ან—არა შეკითხვა (მაგ., John ran away [?]), დამატება-შეკითხვა (მაგ., Who ran away[?]), აგრეთვე ძახილის წინადადება²¹.

ავტორი ასახელებს პარატაქსს, სრულსა და არასრულ წინადადებებს; თხრობით, კითხვით, უარყოფით წინადადებებს.

იგი გვეუბნება, რომ ყოველ ენას ახასიათებს წინადადების უპირატესი (ფავორიტული) ფორმა. ასეთია ინგლისურში მოქმედი-მოქმედების ფრაზები (actor-actions phrases) (მაგ., John ran away. Who ran away?) და ბრძანება, რომელიც შედგება ინფინიტური ზმნისაგან (და განსაზღვრებებისაგან). მაგ., Come! Bee good!²²

ბლუმფილდი აღწერს რიგი ენის ფავორიტულ წინადადების ტიპს. ორწევრიანი სრული წინადადების ტიპს პრედიაკციას უწოდებენ. პრედიაკციაში საგნობრივ (object-like) კომპონენტს სუბიექტი ჰქვია, მეორე ნაწილს — პრედიაკტი²³.

საკუთრივ სინტაქსისადმი მიძღვნილ თავში ბლუმფილდი განიხილავს სინტაქსურ კონსტრუქციებს, რომლებიც უპირისპირდება მორფოლოგიურ კონსტრუქციებს.

მისი განმარტებით, ენის თავისუფალი ფორმები (სიტყვები ან ფრაზები) გვხვდება უფრო ფართო თავისუფალ ფორმებში (ფრაზებში), განლაგებულნი მოდულაციის, ფონეტიკური მოდიფიკაციის, შერჩევისა და რიგის ტაქსემების საშუალებით. ასეთ ტაქსემათა ნებისმიერი, მნიშვნელობის მქონე, გამეორებადი მწკრივი არის სინტაქსური კონსტრუქცია. მაგ., ინგლ. მოქმედი-მოქმედების კონს-

²⁰ L. Bloomfield, Language, გვ. 170.

²¹ ი. ქ. ვ. ე. გვ. 170—171.

²² ი. ქ. ვ. ე. გვ. 172.

²³ ი. ქ. ვ. ე. გვ. 173.

ტრუქცია ვლინდება შემდეგ ფრაზებში: John ran, John fell, Bill ran, Bill fell, Our horses ran away²¹.

ავტორის განმარტებით, ამ მაგალათებში გვაქვს შერჩევის ტაქსემები. ერთი შემადგენელი (John, Bill, our horses) წარმოადგენს ფართო კლასის ფორმას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ნომინატიური გამოხატულებები. მეორე შემადგენელი (ran, fell, ran away) წარმოადგენს მეორე ფართო კლასის ფორმას, რომელსაც განსაზღვრული (ფინიტური) ზმნური გამოხატულებები ეწოდება. გარდა ამისა, მოცემული გვაქვს რიგის ტაქსემა: ნომინატიური გამოხატულება წინ უსწრებს განსაზღვრულ ზმნურ გამოხატულებას. კონსტრუქციის მნიშვნელობა ისაა, რომ ვიღაცა, რომელიც დასახელებულია სუბსტანტივური გამოხატულებით, წარმოადგენს მოქმედს, რომელიც ასრულებს განსაზღვრული ზმნური გამოხატულებით დასახელებულ მოქმედებას. ინგლისური მოქმედი-მოქმედების კონსტრუქციის ორი უშუალო შემადგენელი არ არის ურთიერთშენაცვლებადი: კონსტრუქციას აქვს ორი პოზიცია, რომელთაც შეიძლება ეწოდოს მოქმედისა და მოქმედების პოზიციები. ზოგი ინგლისური ფრაზა მხოლოდ მოქმედების პოზიციაში შეიძლება გამოვლინდეს, სხვები კი მხოლოდ მოქმედის პოზიციაში გვევლინებიან. პოზიციები, რომლებშიაც ფორმა შეიძლება გამოვლინდეს, წარმოადგენენ მის ფუნქციებს ანუ, კრებითად, მის ფუნქციას. ყველა ფორმა, რომელთაც შეუძლიათ შეავსონ მოქმედის პოზიცია მოქმედი-მოქმედების კონსტრუქციაში, შეადგენს დიდ ფორმალურ კლასს, რომელსაც ნომინატიურ გამოხატულებებს ვუწოდებთო, — გვეუბნება ბლუმფილდი. ასევე ყველა ინგლისური სიტყვა და ფრაზა, რომელთაც შეუძლიათ შეავსონ მოქმედების პოზიცია მოქმედი-მოქმედების კონსტრუქციაში, შეადგენს მეორე დიდ ფორმალურ კლასს, რომელსაც განსაზღვრული ზმნური გამოხატულებები ეწოდება²⁵.

ბლუმფილდი ერთიმეორის მიყოლებით განიხილავს ოთხივე გრამატიკულ თვისებას (ტაქსემას), რომლებიც სინტაქსურ კონსტრუქციათა შექმნაში მონაწილეობენ.

აღსანიშნავია, რომ იმ ენებში, რომლებიც ფართოდ იყენებენ შერჩევის ტაქსემებს, ფორმალური კლასები შესაძლებელია დაიყოს უფრო მცირე ქვეკლასებად. მაგ., ნომინატიური და განსაზღვრული ზმნის გამოხატულებები იყოფა მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ქვეკლასებად.

²⁴ L. Bloomfield, *Language*, გვ. 184.

²⁵ იქვე, გვ. 185.

შერჩევის (სელექციური) ტიპები შეიძლება დაიყოს უფრო ვიწრო ქვეკლასებად შეთანხმების (agreement) საფუძველზე. ბლუმფილდი გამოყოფს შეთანხმების სამ ზოგად ტიპს: საკუთრივ შეთანხმებას (concord or congruence)²⁶ (განხილულია რიცხვში, ბრუნვაში, სქესში შეთანხმების შემთხვევები)²⁷, მართვას (government)²⁸ და ჯვარედინ მითითებას (cross-reference), რომლის დროსაც ქვეკლასები შეიცავენ იმ ფორმათა აქტუალიზებულ ხსენებას, რომლებსაც ისინი უკავშირდებიან. ხსენება ხდება სუბსტიტუტთა ფორმებით, რომლებიც ჩვენს ნაკვალასხელებს გვანანო, — წერს ბლუმფილდი. ამ უკანასკნელის მაგალითებია არასტანდარტულ ინგლისურში: John his knife (ჯონი მისი დანა), John he ran away (ჯონი ის გაიქცა), ფრანგ. შეკითხვაში: Jean cù est-il? (ჯანი სადაა ის?)²⁹.

რადგანაც სხვადასხვა ენებს განსხვავებული კონსტრუქციები აქვთ, მათი ფორმალური კლასებიც განსხვავებულია. ენის უდიდესი ფორმალური კლასები შეიძლება აიწეროს სიტყვათა კლასების ტერმინებით (როგორიცაა ტრადიციული „მეტყველების ნაწილები“), რადგან ფრაზის ფორმალური კლასი, ჩვეულებრივ, განისაზღვრება ერთი ან მეტი სიტყვით, რომელიც მასში ვლინდება³⁰. თუ როგორ აქვს წარმოდგენილი ბლუმფილდს ეს პროცედურა, ამას ენახავთ ენდოცენტრულ და ეგზოცენტრულ კონსტრუქციათა გაცნობის შემდეგ.

ბლუმფილდის სინტაქსურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსჯელობას ენდოცენტრულ და ეგზოცენტრულ კონსტრუქციათა შესახებ.

ყოველი სინტაქსური კონსტრუქცია, გვეუბნება ავტორი, ავლენს ორ (ან ზოგჯერ მეტ) თავისუფალ ფორმას, დაკავშირებულს ერთ ფრაზად, რომელსაც ეწოდება რეზულტანტური (საბოლოო) ფრაზა. რეზულტანტური ფრაზა შეიძლება ეკუთვნოდეს სხვა ფორმალურ კლასს, ვიდრე რომელიმე მისი უშუალო შემადგენელი. მაგ., John ran არ წარმოადგენს არც ნომინატიურ გამოხატულებას (როგორიცაა John) და არც განსაზღვრული ზმნის გამოხატულებას (როგორიცაა ran). ამიტომ

²⁶ L. Bloomfield, Language, გვ. 191.

²⁷ იქვე, გვ. 191—192.

²⁸ იქვე, გვ. 192.

²⁹ იქვე, გვ. 193.

³⁰ იქვე, გვ. 190.

ინგლისური მოქმედი-მოქმედების კონსტრუქცია ეგზოცენტრულია. თუ რეზულტანტური ფრაზა ეკუთვნის იმავე ფორმალურ კლასს, რომელსაც ეკუთვნის მისი ერთი (ან მეტი) შემადგენელი, მაშინ კონსტრუქცია იქნება ენდოცენტრული. ენდოცენტრული კონსტრუქციის მაგალითია ინგ. თვისება-სუბსტანციის კონსტრუქცია (character-substance construction). იგულისხმება მსაზღვრელ-საზღვრული. მაგ., poor John საკუთარი სახელის გამოხატულებაა, ისევე როგორც მისი შემადგენელი John; ასევე ენდოცენტრულია fresh milk³¹.

ავტორი გვეუბნება, რომ ეგზოცენტრული კონსტრუქციები ყოველ ენაში ცოტაა. ინგლისურში მოქმედი-მოქმედების კონსტრუქციის გარდა ასეთია მიმართება-ღერძის (relation-axis) კონსტრუქცია, სადაც შემადგენლებია წინდებულური გამოხატულება და აკუზატივის გამოხატულება: beside John, with me, in the house, by running away, რეზულტანტური ფრაზა კი ორივე შემადგენლისაგან განსხვავებულ პოზიციებში გვხვდება. ეგზოცენტრულია აგრეთვე ინგ. ქვეწყობა (subordination) მისი ორივე ქვესახეობით: კლაუზური ქვეწყობით და ფრაზული ქვეწყობით³².

ენდოცენტრული კონსტრუქციები ორგვარია: თანწყობითი (co-ordinative) ანუ სერიული და ქვეწყობითი (subordinative) ანუ ატიბუტული³³.

თუ ყველა სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც ქმნის ფრაზას, ენდოცენტრულია, მაშინ ფრაზის საბოლოო შემადგენლებს შორის იქნება რომელიმე სიტყვა (ან რამდენიმე სიტყვა, რომლებიც წარმოადგენენ თანწყობის წევრებს), რომელთა ფორმალური კლასები იგივეა, რაც ფრაზის ფორმალური კლასი. ეს სიტყვა წარმოადგენს ფრაზის ცენტრს. ფრაზაში all this fresh milk ცენტრია სიტყვა milk, ხოლო ფრაზაში all this fresh bread and sweet butter ცენტრებია bread და butter. რადგან ნებისმიერი ენის კონსტრუქციათა მეტი წილი ენდოცენტრულია, მეტწილ ფრაზებს აქვთ ცენტრი: ფრაზის ფორმალური კლასი, ჩვეულებრივ, იგივეა, რაც რომელიმე იმ სიტყვის ფორმალური კლასი, რომელიც შედის ფრაზაში³⁴.

³¹ L. Bloomfield, Language, გვ. 194.

³² იქვე, გვ. 194—195.

³³ იქვე, გვ. 195.

³⁴ იქვე.

ბლუმფილდი მიდის დასკვნამდე, რომ ფრაზის სინტაქსური ფორმალური კლასები შეიძლება გამოვიყვანოთ სიტყვათა სინტაქსური ფორმალური კლასებიდან. სინტაქსური ფორმალური კლასები ყველაზე უფრო ადვილად აიწერებიან სიტყვათა კლასების ტერმინებით. ასე მაგ., ინგ.-ში სუბსტანტიური გამოხატულება წარმოადგენს ან სიტყვას (მაგ., John). რომელიც ეკუთვნის სუბსტანტივის ფორმალურ კლასს, ან კიდევ ფრაზას (მაგ., poor John), რომლის ცენტრი არის სუბსტანტივი. ინგლისურის მოქმედი-მოქმედების ფრაზა ეგზოცენტრულია (მაგ., John ran, poor John ran away), მაგრამ მისი ფორმალური კლასი განისაზღვრება მისი შემადგენლებით: იგი შედგება ნომინატიური გამოხატულებისაგან და განსაზღვრული ზმნის გამოხატულებისაგან (რომლებიც განლაგებული არიან გარკვეული წესით) და ამას საბოლოოდ კვლავ დაჰყავს საკითხი სიტყვათა კლასების ტერმინებამდე³⁵.

ენის ყველაზე უფრო ფართო და ფუნდამენტალურ ფორმალურ კლასებად ბლუმფილდს მიაჩნია მეტყველების ნაწილები და ამიტომ, მისი აზრით, სინტაქსური ფორმალური კლასებიც უნდა აიწერონ იმ მეტყველების ნაწილთა ტერმინებით, რომლებიც მათში ვლინდებიან. მაგრამ იგი შეუძლებლად თვლის მეტყველების ნაწილთა მთლიანად თანმიმდევრული სქემის შედგენას, რადგან სიტყვათა კლასები ემთხვევიან და გადაკვეთენ ერთმანეთს³⁶.

2. ლ. ბლუმფილდის სინტაქსური მოძღვრების ანალიზი

ლ. ბლუმფილდის მოძღვრების ერთ-ერთ თავისებურებას, რასაც მნიშვნელობა აქვს სინტაქსის საკითხებზე მსჯელობისათვის, შემდეგი წარმოადგენს: მიუხედავად იმისა, რომ ბლუმფილდი საჭიროდ მიიჩნევს მორფოლოგიისა და სინტაქსის გამიჯვნას, გრამატიკის ბევრი საკითხი მას ამ დარგებს გარეთ აქვს გამოტანილი. ეს არ არის შემთხვევითი. საქმე ისაა, რომ რიგი ძირითადი გრამატიკული ცნება ბლუმფილდს მორფოლოგიისა და სინტაქსისათვის თანაბრად გამოსაყენებლად მიაჩნია. ამ ცნებებს ავტორი ერთად განიხილავს, დარგებად დანაწილებამდე. ამგვარად, ბლუმფილდის გრამატიკული მოძღვრება უფრო ფართოა, ვიდრე მორფოლოგიისა და სინტაქსის ჯამი.

მორფოლოგიისა და სინტაქსის საერთო ცნებებია: რთული ფორმა, შემადგენლები (უშუალო, საბოლოო), გრამატიკული თვისებები

³⁵ L. Bloomfield, Language, გვ. 196.

³⁶ იქვე.

ანუ ტაქსემები (რიგი, მოდულაცია, ფონეტიკური მოდიფიკაცია, შერჩევა) და ტაგმემები, კონსტრუქცია (ენდოცენტრული, ეგზოცენტრული), გამოხატულება.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ბლუმფილდი ვერ ავლენდეს სადემარკაციო ზღვარს მორფოლოგიურ და სინტაქსურ მოვლენებს შორის. მათ შორის განსხვავებას ის ქმნის, რომ მორფოლოგია სიტყვას სწავლობს: სიტყვის ფორმას, სიტყვის კონსტრუქციას, სიტყვის შემადგენლებს. სინტაქსი კი — ფრაზას: ფრაზის ფორმას, ფრაზის კონსტრუქციებს, ფრაზის შემადგენლებს. ფრაზა გაგებულა, როგორც შესიტყვება³⁷. ფრაზისა და სიტყვის დაპირისპირება ნათლად ჩანს მათ ავტორისეული განსაზღვრებიდან: თავისუფალი ფორმა, რომელიც შედგება მთლიანად ორი ან მეტი უფრო მცირე თავისუფალი ფორმისაგან, არის ფრაზა. მაგ., poor John, John ran away. თავისუფალი ფორმა, რომელიც არ არის ფრაზა, წარმოადგენს სიტყვას ანუ, სხვაგვარად, სიტყვა არის ძინიშალური თავისუფალი ფორმა³⁸.

ამგვარად, სიტყვისა და ფრაზის დაპირისპირება მოცემულია ბლუმფილდის მიერ მორფოლოგიისა და სინტაქსის გამიჯვნისას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ცნებათა დაპირისპირება არც თუ ადვილად ეცემა კაცს თვალში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფრაზა მხოლოდ სინტაქსს განეკუთვნება. მაგრამ სიტყვა, რომელიც მორფოლოგიის ძირითადი ერთეულია, სინტაქსური ანალიზის დროსაც არის გათვალისწინებული. ფრაზა წარმოადგენს სინტაქსის უმსხვილეს ერთეულს, სიტყვა კი — უმცირესს. სინტაქსურ დონეზე სიტყვა საბოლოო შემადგენელია. ის, როგორც მთლიანი, დაუშლელად განიხილება. სამაგიეროდ მორფოლოგიაში სიტყვა გვევლინება უმსხვილეს კონსტრუქციად. მორფოლოგია სიტყვის ანალიზს აწარმოებს. აქ უმცირესი მოცულობის მქონე დაუშლელი ერთეული ანუ საბოლოო შემადგენელი იქნება მორფემა.

სიტყვისა და ფრაზის დაპირისპირების გვერდით ბლუმფილდის მოძღვრებაში გვხვდება ისეთი ცნებებიც, რომლებიც გაუდიფერენცირებლად მოიცავენ სიტყვასაც და ფრაზასაც. ერთ-ერთი ასეთი ცნებათაგანია წინადადება.

წინადადება, ბლუმფილდის მიხედვით, არ წარმოადგენს სპეციფიკურ სინტაქსურ ცნებას. წინადადების როლში შეიძლება ცალკე სიტ-

³⁷ რუსულად phrase თარგმნილია, როგორც словосочетание.

³⁸ L. Bloomfield, Language, გვ. 178. შტრ.: ძინიშალური თავისუფალი ფორმა არის ს ი ტ ყ ვ ა. არამინიშალური. თავისუფალი ფორმა არის ფ რ ა ზ ა. A Set of Postulates..., RiL, გვ. 27.

ყვაც მოგვევლინოს (მაგ., John) და შესიტყვებაც (poor John ran away). გადამწყვეტი ისაა, დამოუკიდებლად ანუ აბსოლუტურ პოზიციაში გვხვდება ესა თუ ის ლინგვისტური ფორმა, თუ ჩართულ პოზიციაში, ე. ი. სხვა უფრო ფართო ფორმის ნაწილად გვევლინება. ასეთი გაგებისას ძნელია წინადადებას მიენიჭოს გარკვეული ადგილი სინტაქსში. შეიძლება ამითაც იყოს გამოწვეული ის, რომ ავტორი წინადადების ტიპებს სინტაქსს გარეთ განიხილავს, თუმცა შენიშნავს, ტრადიციულად წინადადება სინტაქსში შეისწავლებოდა და მას არც რაიმე მოსახრება მოჰყავს ამ ტრადიციის საწინააღმდეგოდ.

უნდა აღინიშნოს, რომ შესიტყვების გვერდით ცალკეული სიტყვის მიჩნევა წინადადებად არ არის ორიგინალური ბლუმფილდის მოძღვრებაში. იგი ბევრ ევროპელ მკვლევართანაც გვხვდებოდა უფრო ადრე.

წინადადების ბლუმფილდისეული განსაზღვრება ერთგვარად ემაურება მისსავე ხმარებას ტერმინისა „გამოხატულება“ (expression). ეს ტერმინი ბლუმფილდის ნაშრომში „ენა“ საკმაოდ ხშირად გვხვდება, მაგრამ მის განსაზღვრებას ავტორი არ იძლევა. იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ ტერმინი გამოხატულება მოიცავს როგორც სიტყვებს, ისე ფრაზებს: John არის სუბსტანტივი, poor John — სუბსტანტივური ფრაზა, ამასთან ორივე ფორმა წარმოადგენს სუბსტანტივურ გამოხატულებას³⁹.

მაშ, აქაც გამოდის, რომ გამოხატულება. ისევე, როგორც წინადადება, სიტყვაც შეიძლება იყოს და ფრაზაც.

აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, „პოსტულატებში“ ბლუმფილდი გამოხატულების ნაცვლად ხმარობდა ტერმინს „გამოთქმა“ (utterance), რომელიც ერთ-ერთ ძირითად ცნებად იქცა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. აქ გამოთქმას ავტორი შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „გამოთქმა არის მეტყველების აქტი“⁴⁰. მეტყველების აქტი გულისხმობს იმას, რაც ერთ ჯერზე ითქმის, მთლიანია და არ წარმოადგენს სხვა უფრო მსხვილი ერთეულის ნაწილს. ეს არსებითად ემთხვევა წინადადების ავტორისეულ გაგებას.

ამავე შრომაში ბლუმფილდი წერს: „მაქსიმალური კონსტრუქცია ნებისმიერ გამოთქმაში არის წინადადება“. ნიმუშად დასახელებულია ერთსიტყვიანი გამოთქმები: Fire! Ouch!⁴¹

³⁹ L. Bloomfield, Language, გვ. 196.

⁴⁰ L. Bloomfield, A Set of Postulates..., გვ. 26.

⁴¹ იქვე, გვ. 28.

კონსტრუქცია ავტორის მიერ გააზრებულია, როგორც რთული ენობრივი ერთეულის აგებულება, სტრუქტურა. მისი განსაზღვრებით, კონსტრუქციებია განლაგებათა გამეორებადი იგივეობები⁴². მაგრამ ხშირად ის ლაპარაკობს არა ფრაზის და სიტყვის კონსტრუქციის შესახებ, ან სინტაქსური და მორფოლოგიური კონსტრუქციის შესახებ, არამედ კონსტრუქციას ხმარობს საზღვრულთაგან დამოუკიდებლად, როგორც თავისთავადს ცნებას. ამის შედეგად წინადადება, გამოთქმა და კონსტრუქცია არ არიან მკაფიოდ გამიჯნული ერთმანეთისაგან, ისინი არც თუ იშვიათად ფარავენ ერთმანეთს. ავტორი არ მიუთითებს თითოეული მათგანის სპეციფიკაზე, ამიტომაც, რომ ბლუმფილდის შრომაში ხან მოქმედი-მოქმედების წინადადების ტიპზეა ლაპარაკი, ხან მოქმედი-მოქმედების კონსტრუქციაზე, ხან კი — გამოთქმაზე.

ვინაიდან გამოთქმაც, წინადადებაც და კონსტრუქციაც მოიცავს როგორც სიტყვას, ისე შესიტყვებას, ამ ცნებათა ხშირი გამოყენება შლის ზღვარს სიტყვასა და შესიტყვებას (resp. ფრაზას) შორის, რაც მორფოლოგიისა და სინტაქსის განსხვავებას უდევს საფუძვლად.

ბლუმფილდის მიერ ხმარებული დანარჩენი ცნებებიდან არ არის ნათელი ტაქსემებისა და ტაგემების ერთმანეთთან მიმართება. ცალკე აღებულ ტაქსემას, ავტორის სიტყვით, ფონემის მსგავსად არა აქვს მნიშვნელობა; მხოლოდ ტაქსემათა კომბინაციები ატარებენ მნიშვნელობას, ცალკეული ტაქსემები კი იშვიათად არიან აღჭურვილი მნიშვნელობით. მაგრამ თუ ტაქსემები გრამატიკული თვისებებია, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ მნიშვნელობა. ავტორიც სწორედ ისეთ ტაქსემებს (რიგის, მოდულაციის, ფონეტიკური მოდიფიკაციის, შერჩევის) განიხილავს, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა.

მაშინ ტაქსემა და ტაგემა იმითლა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ტაგემა ჩვეულებრივ რთულია, რამდენიმე ტაქსემისაგან შედგება. მართლაც, ავტორს ისეთი მაგალითები მოჰყავს, სადაც კონსტრუქცია რამდენიმე ტაქსემით (შერჩევის, რიგის, მოდულაციის -- მაგ., John ran) არის ნაწარმოები. მაგრამ თუ ფორმას მხოლოდ ერთი გრამატიკული თვისება აწარმოებს, მაშინ ტაქსემა და ტაგემა დაემთხვევა ერთმანეთს. ასეთი დამთხვევის მაგალითი გვაქვს მისი შრომის 178 გვ.-ზე, სადაც ავტორი განლაგებას, ინტონაციას და შერჩევას გამოთქმაში duchess! სამ ტაგემად (და არა ტაქსემად!) აცხადებს.

ისმის კითხვა, საჭიროა თუ არა ორი ტერმინი ტაქსემა და ტაგემა? თუ საკმარისია ერთი მათგანი, მაგ., ტაქსემა, ხოლო იქ, სადაც ერთ-

⁴² L. Bloomfield, A Set of Postulates... გვ. 28.

დროულად რამდენიმეა გამოყენებული, შეიძლება ვილაპარაკოთ რთულ ტაქსემაზე ან ტაქსემათა ერთობლიობაზე?

არ გვეჩვენება გამართლებულად არც ტაქსემის ანალოგია ფონემასთან (თითქოს ორივე მნიშვნელობას მოკლებული უმცირესი ერთეული იყოს) და არც მათი დაპირისპირება (ფონემა უმცირესი ლექსიკური ერთეულია, ტაქსემა — გრამატიკული). ჯერ ერთი, ფონემები არც ლექსიკური ერთეულებია, არც გრამატიკული; ისინი, როგორც მნიშვნელობას მოკლებული ელემენტები, წარმოადგენენ მასალას, რომლისგანაც აგებულია როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული ერთეულები. მეორე, როგორც უკვე ითქვა, ტაქსემები, რამდენადაც ისინი გრამატიკული თვისებებია, მნიშვნელობის მქონენი არიან. მესამე, ტაქსემები, რიგის გამოკლებით, თვითონ არიან გამოხატული ფონემებით.

ამგვარად, ტაქსემისა და ტაგემის ცნებები მოკლებულია გარკვეულობას ბლუმფილდის მოძღვრებაში. ამიტომ, ბუნებრივია, გაჩნდეს მათი სრულიად ამოღების მოთხოვნილება.

ბლუმფილდის სინტაქსურ მოძღვრებაში ახალი და საინტერესო არის კონსტრუქციათა შემადგენლებისა და უშუალო შემადგენლების გამოყოფა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივი კონსტრუქციის ანალიზი უნდა იყოს არა ხაზოვანი და ერთდროული, არამედ სიღრმითი და საფეხურებრივი. ყოველ საფეხურზე უნდა გამოიყოს ის კომპონენტები, რომლებიც ამ გამოხატულებას ქმნიან. ასეთი ანალიზი უეჭველად ფასეულია და პრინციპულად მისაღები, ოღონდ საჭიროა ნათლად მოიხაზოს მისი გამოყენების არე და შესაძლებლობები.

უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზი ანუ კომპონენტური ანალიზი ბლუმფილდმა თანაბრად შემოიტანა როგორც მორფოლოგიაში, ისე სინტაქსში. ამგვარად, უშუალო შემადგენლები არაა წმინდა სინტაქსური ბუნების ცნება. ეს არის სტრუქტურული აღწერისათვის საჭირო ტექნიკური ტერმინი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვაწესრიგოთ გასაანალიზებელი კონსტრუქციის შემადგენელი კომპონენტები და გარკვეულ იერარქიულ ფენებად დავალაგოთ ისინი.

უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის არსი ჩანს ბლუმფილდის გამონათქვამში მორფოლოგიურ კონსტრუქციათა შესახებ. ავტორი გვეუბნება: რთული მორფოლოგიის მქონე ენებში ჩვენ შეიძლება შევნიშნოთ კონსტრუქციათა იერარქია⁴³; რთული სიტყვა შეიძლება აიწეროს მხოლოდ იმგვარად, თითქოს მისი სხვადასხვა შემადგე-

⁴³ ინგლისურადაა ranking, რუსულად თარგმნილია, როგორც иерархия. იხ. Л. Б л у м ф и л д, Я з ы к. 1968. გვ. 240.

ნელი ნაწილები. აფიქსები. მოდიფიკაციები და ა. შ. დაერთვოდნენ გარკვეული რიგით ძირითად ფორმას. მაგ., ინგ. actresses (მსახიობი ქალები) შედგება პირველ რიგში actress-ისა და [-əz]-ისაგან; actress, თავის მხრივ. შედგება actor-ისა და -ess-ისაგან, ბოლოს, actor შედგება act-ისა და [-tɔ]-საგან. მაშასადამე, ამ ტიპის ენებში ჩვენ უნდა განვასხვაოთ მორფოლოგიური სტრუქტურის რამდენიმე იერარქიული საფეხური (ranks)⁴⁴.

ესეველო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის უპირატესობა ხაზოვან ანალიზთან შედარებით ნათლად ჩანს უკვე მორფოლოგიურ დონეზე. ვთქვათ, ვაანალიზებთ სიტყვას „მშენებლები“. ესეველო შემადგენლების პრინციპის მიხედვით უნდა გამოვეყოთ შემდეგი საფეხურები:

I. მშენებლები

II. მშენებლები

III. მ-შენებ-ელ: მ-ელ (წყვეტილი მორფემა) + შენებ

IV. შენებ

და აჩ უნდა დავშალოთ სიტყვა მარცხნიდან მარჯვნივ ერთმანეთის ნომდევნო საბოლოო შემადგენლებად:

მ-შენ-ებ-ელ-ებ-ი.

უშ⁴⁵-ებად დავლა საშუალებას გვაძლევს გამოვეყოთ კონსტრუქციები (საბ. ბრ.-ის, მრავლ. რიცხვის, მიმღობის, აწმყოს ფუძის), რომლებიც უფრო დიდ კონსტრუქციებში შედიან.

ამასთან, უშ-ები კი არ გამოირიცხავენ, არამედ გულისხმობენ ყველა სპეციფიკურ მორფოლოგიურ ერთეულს. კერძოდ, მორფემათა სახესხვაობებს: ძირს. ფუძეს, სიტყვაწარმოებით ელემენტებს, ფორმაციულილების მაწარმოებლებს. უშ-თა მიხედვით ანალიზი სწორედ ამ ერთეულთა ურთიერთობას აწესრიგებს, მათ შორის იერარქიულ მიმართებებს ადგენს.

ბუნებრივია, ანალიზი ვითარებას მოველოდეთ სინტაქსშიც. ვერც სინტაქსში შეცვლის უშ-ები საკუთრივ სინტაქსურ კატეგორიებს, აქაც უშ-ები სინტაქსურ ერთეულებს უნდა დაეფუძნონ და მათი ერთმანეთთან მიმართების მოწესრიგებას უნდა მოემსახურონ.

სრულდება თუ არა ეს მოთხოვნილება სინტაქსში? — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავარკვიოთ, რამდენად დამუშავებული აქვს ბლუმფილდს სინტაქსურ ცნებათა და კატეგორიათა საკითხი.

⁴⁴ L. Bloomfield, Language, გვ. 222.

⁴⁵ უშ — შემოკლება უშუალო შემადგენლებისა. ინგლისურად ასეთი შემოკლება შემოიღო უელზმა: IC — Immediate Constituents.

ყოველი რთული ფორმა, ავტორის სიტყვით, შეიძლება აიწეროს უშუალო შემადგენელთა ტერმინებით და იმ გრამატიკულ თვისებათა (ტაქსემათა) ტერმინებით, რომელთა მიხედვითაც ეს შემადგენელი ფორმებია განლაგებული. ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს დადგენილ იქნეს: 1) კონსტრუქციათა ტიპები, 2) შემადგენელთა ტიპები და 3) გრამატიკულ განლაგებათა ანუ ტაქსემათა სახეობანი.

ეს უკანასკნელი საკითხი ბლუმფილდს სხვებზე უკეთ აქვს დამუშავებული, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თვით ტაქსემისა და ტაგემის ცნებები არ არის საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული. გრამატიკულ განლაგებათა შესწავლა გულისხმობს იმ ფორმალურ მიმართებათა გარკვევას, რომლებიც აკავშირებს ამა თუ იმ კონსტრუქციის შემადგენელ წევრებს. ბლუმფილდს გამოყოფილი აქვს გრამატიკულ განლაგებათა ოთხი სახეობა: რიგი, შერჩევა, მოდულაცია და ფონეტიკური მოდიფიკაცია. ეს სახეობები ახასიათებს არა მხოლოდ სინტაქსურ, არამედ აგრეთვე მორფოლოგიურ კონსტრუქციებს. ფასეულია ის, რომ ამ საკითხის განხილვისას ბლუმფილდი ითვალისწინებს სხვადასხვაგვარი წყობის ენათა მონაცემებს და გამოყოფს მათ თავისებურებებს. მაგრამ შენიშვნას იწვევს მორფოლოგიურ და სინტაქსურ კონსტრუქციებს შორის სრული პარალელიზმის დაშვება, რაც საფუძვლად უდევს ბლუმფილდის მსჯელობას გრამატიკული განლაგების თვისებებზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შერჩევის ქვეტიპებად ბლუმფილდს მითითებული აქვს წმინდა სინტაქსური მიმართებებიც: შეთანხმება, მართვა, ჯვარედინი მითითება. რომლებიც ვერ პოვებენ პარალელს მორფოლოგიაში.

სინტაქსურ მიმართებათა დადგენას ემსახურება აგრეთვე ავტორის მიერ შემოთავაზებული პოზიციური ანალიზი. მან შესაძლებლობა უნდა მოგვცეს გამოვყოთ ისეთ შემადგენელთა კლასები, რომლებიც ამა თუ იმ სინტაქსური კონსტრუქციის ერთსა და იმავე პოზიციას ავსებენ, ე. ი. ერთნაირი სინტაქსური ფუნქციის მქონენი არიან. თავისთავად ცხადია, პოზიციური ანალიზი ნაყოფიერი იქნება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება სინტაქსურ კონსტრუქციათა ტიპები და განისაზღვრება თითოეული ტიპის დამახასიათებელი პოზიციები. პოზიციური ანალიზის ხვედრითი წონა ალბათ ისეთ ენებში იქნება დიდი, რომლებშიაც მიმართებები მატერიალურად (აფიქსებით ან სხვა საშუალებებით) სრულიად არ არის ან ნაკლებად არის გამოხატული. როგორც ცნობილია, სწორედ ასეთ ენებს განეკუთვნება ინგლისური.

რაც შეეხება კონსტრუქციათა ტიპებს და შემადგენელთა ტიპებს, მათი შესწავლის მიმართულებით ბლუმფილდის ნაშრომში მხოლოდ

პირველადი მონახაზები გვაქვს და ამომწურავი კლასიფიკაციის შესახებ ლაპარაკი გამორიცხულია.

როდესაც საქმე ეხება კონსტრუქციათა ტიპებს, ბუნებრივია, პირველ რიგში დაისვას უმსხვილესი სინტაქსური კონსტრუქციების საკითხი. ასეთ კონსტრუქციებს ბლუმფილდი თავისი შრომის სხვადასხვა ადგილას ასახელებს, მაგრამ არც მათ დაწვრილებითს აღწერას იძლევა და არც მათ სისტემატიზაციას. ასეთებია: მოქმედი-მოქმედების კონსტრუქცია, მიმართება-ღერძის კონსტრუქცია, მოქმედი-მიზნის კონსტრუქცია. მათ უნდა დაემატოს წინადადების ტიპები, ვინაიდან ესენიც მაქსიმალურ კონსტრუქციებს მოიცავენ. მაგრამ არც ამ ტიპებს აქვთ მოწესრიგებული სახე. ისინიც მხოლოდ დასახელებულია, მაგრამ მათი დახასიათება მოცემული არ არის.

ამგვარად, კონსტრუქციათა ტიპების სრული, სისტემატური კლასიფიკაცია, თუნდაც ინგლისური ენისათვის, ბლუმფილდის შრომაში არა გვაქვს. დასახელებულია მხოლოდ ტიპები ავტორის ამა თუ იმ დებულების საილუსტრაციოდ. მეტწილად ესაა ტრადიციული გრამატიკის კონსტრუქციები (წინადადებათა ან სინტაგმათა ტიპები), რომლებსაც ზოგჯერ სახელწოდება აქვთ შეეცვლილი. არ იგეძნობა, რომ კონსტრუქციათა გამოყოფისას ერთიანი პრინციპი იყოს გამოყენებული, არ არის ნათელი ზოგიერთ ტიპს შორის მიმართება. მაგ., რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მოქმედი-მოქმედების ფრაზა და სუბიექტისა და პრედიკატისაგან შედგენილი პრედიკაცია, რომელთაც ავტორი თავისი შრომის სხვადასხვა ადგილას ასახელებს?

კონსტრუქციათა ტიპებს უნდა მოსდევდეს შემადგენელთა ტიპების აღწერა. შემადგენლები ორგვარია: ერთი, ისეთი შემადგენლები, რომლებიც, მართალია, უფრო დიდ კონსტრუქციებში შედიან, მაგრამ თვითონაც რთულ ფორმებს წარმოადგენენ, ე. ი. იშლებიან უფრო მცირე შემადგენლებად. ესენიც კონსტრუქციებია, ოღონდ არამაქსიმალური. მეორე ჯგუფს ქმნიან საბოლოო შემადგენლები, რომლებიც დაუშლელი არიან. დავიწყოთ ამ უკანასკნელებით. როგორც ითქვა, სინტაქსურ დონეზე საბოლოო შემადგენლები სიტყვებია. მაშ, საბოლოო შემადგენელთა ტიპების დადგენა გულისხმობს სიტყვათა სინტაქსურ კლასიფიკაციას. ასეთი კლასიფიკაციის ნიმუშს წარმოადგენს ტრადიციულ გრამატიკაში წინადადების წევრები. ბლუმფილდი არ იყენებს წინადადების წევრთა კლასებს. იქნებ ეს იმით არის გამოწვეული, რომ მას არ აკმაყოფილებს წინადადების წევრთა ტრადიციული კლასიფიკაცია? შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ავტორი ამის შესახებ არაფერს გვეუბნება. ის საერთოდ არ ახსენებს წინადადების წევრებს.

სამაგიეროდ სიტყვათა უფართოეს ფორმალურ კლასებად, რომელთა საშუალებითაც აიწერება სინტაქსის საბოლოო შემადგენლები, ბლუმფილდი აცხადებს მეტყველების ნაწილებს. ამგვარად, იგი წინადადების წევრებს ცვლის მეტყველების ნაწილებით. ეს კი არ ჩანს გამართლებული, ვინაიდან წინადადების წევრები სინტაქსური თვალსაზრისით უნდა იყვნენ გამოყოფილი, ხოლო მეტყველების ნაწილები — მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით. სიტყვათა სინტაქსური და მორფოლოგიური კლასები კი არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს კარგად ჩანს თვით ბლუმფილდის მასალაზედაც.

ბლუმფილდი ცდილობს ტრადიციული მეტყველების ნაწილები სინტაქსური თვალსაზრისითაც დაახასიათოს. ის მიუთითებს იმ პოზიციაზე ანუ ფუნქციაზე, რომელსაც სიტყვათა კლასი კონსტრუქციაში ასრულებს. ამ გზაზე ავტორი გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება. იგი იძულებულია აღიაროს, რომ ფორმალური კლასები არ გამოირჩევიან ერთმანეთს, ისინი გადაკვეთენ ერთმანეთს, ნაწილობრივ ემთხვევიან ან ჩართული არიან ერთმანეთში. ეს სიძნელეები ბუნებრივი შედეგია სიტყვათა სინტაქსურ და მორფოლოგიურ კლასებს შორის სრული პარალელიზმის არარსებობისა: ჯერ ერთი, ერთი და იმავე სინტაქსური ფუნქციით შესაძლებელია სხვადასხვა მეტყველების ნაწილები მოგვევლინონ. მეორე მხრივ, ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს შეიძლება რამდენიმე სინტაქსური ფუნქცია ჰქონდეს. ამიტომ, ბუნებრივია, დავასკვნათ, რომ სინტაქსში სიტყვათა ფორმალური კლასები უნდა წარმოადგენდნენ წინადადების წევრებს (ე. ი. სინტაქსური ნიშნის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს) და არა მეტყველების ნაწილებს⁴⁶.

ბლუმფილდი არა მხოლოდ საბოლოო შემადგენლებს აღწერს მეტყველების ნაწილთა ტერმინებით, არამედ იმავე კლასიფიკაციას იყენებს რთულ შემადგენელთა, ე. ი. შესიტყვებათა აღწერისთვისაც. აქ ის ემყარება თავის მოძღვრებას ენდოცენტრულ და ეგზოცენტრულ კონსტრუქციათა შესახებ. ენდოცენტრული კონსტრუქცია ანუ ფრაზა იმავე ფორმალურ კლასს განეკუთვნება, რასაც მისი ერთ-ერთი შემადგენელი სიტყვა, რომელიც ფრაზის ცენტრს ქმნის. ასეთი ფრაზა (მაგ., poor John) იმავე ფორმალურ კლასში შედის, რომელშიაც მისი ცენ-

⁴⁶ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, თითქოს უცვლელად უნდა გამოვიყენოთ ტრადიციული გრამატიკის მოძღვრება წინადადების წევრების შესახებ. საქმე ეხება სინტაქსურ საბოლოო შემადგენელთა გამოყოფის პრინციპს. ეს პრინციპი კი, ცხადია, სინტაქსური უნდა იყოს და არა მორფოლოგიური, როგორც ეს დამახასიათებელია მეტყველების ნაწილებისათვის.

ტრი (ამ შემთხვევაში John, რომელიც სუბსტანტივია, poor John კი — სუბსტანტივეური ფრაზა). რაც შეეხება ეგზოცენტრულ ფრაზას (მაგ., John ran), მართალია, მისი ფორმალური კლასი არ ემთხვევა მისი ერთ-ერთი შემადგენელი სიტყვის კლასს, მაგრამ ის მაინც შეიძლება აიწეროს ამ შემადგენელ სიტყვათა ტერმინებით, ე. ი. ითქვას, რომ John ran შედგება ნომინატიური გამოხატულებისაგან და განსაზღვრული ზმნური გამოხატულებისაგან.

ამგვარად, ფრაზის შემადგენელი თითოეული სიტყვა კი არ აიწერება, არამედ ფრაზაში გამოიყოფა ძირითადი სიტყვა და მის ფორმალურ კლასს უტოლდება მთელი ფრაზა. როგორც ავტორი გვეუბნება, ფრაზების სინტაქსური ფორმალური კლასები გამოიყვანება სიტყვათა ფორმალური კლასებიდან⁴⁷ ანუ მეტყველების ნაწილებიდან.

არ გვეჩვენება დამაჯერებლად შემადგენელ ფრაზათა ფორმალური კლასების დაყვანა სიტყვათა ფორმალურ კლასებამდე ენდოცენტრული და ეგზოცენტრული კონსტრუქციების პრინციპის გამოყენებით. ასეთი დაყვანა გამოყოფს კონსტრუქციაში ძირითად სიტყვებს, ხოლო დანარჩენ სიტყვათა სინტაქსურ ფუნქციებს და მათ მიმართებას სხვა სიტყვებთან სრულიად ჩქმალავს. სინტაქსში კი, რომლის საბოლოო შემადგენლები სიტყვებია, თითოეული სიტყვის სინტაქსური ფუნქცია უნდა იქნეს გარკვეული.

მიუხედავად იმისა, რომ ბლუმფილდის სინტაქსში ასე დიდი როლი ენიჭება სიტყვათა ფორმალურ კლასებს, რომლებიც მეტყველების ნაწილებთანაა გაიგივებული, მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საკითხიც არ არის მოგვარებული. ძირითადად ავტორი ტრადიციულ კლასიფიკაციას იყენებს, მაგრამ იგი აუცილებლად მიიჩნევს ქვეკლასების გამოყოფას. ქვეკლასები კი მას მხოლოდ აქა-იქ აქვს მინიშნებული, არც პრინციპია მითითებული მათ გამოსაყოფად⁴⁸.

ამგვარად, უნდა დაეასკვნათ, რომ არც კონსტრუქციათა კლასები და არც შემადგენელთა კლასები ბლუმფილდის მიერ საბოლოოდ დადგენილი არ არის. ცხადია, ასეთ ვითარებაში უშ-თა მიხედვით ანალიზი ვერ იქნება ეფექტური.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბლუმფილდი არ იძლევა უშ-თა გამოყოფისათვის საჭირო პროცედურათა აღწერას. დამახასიათებელია მისი სიტყვები: ყოველი ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანი, რომელ-

⁴⁷ L. Bloomfield. Language, გვ. 196.

⁴⁸ უფრო დაწვრილებით ამ საკითხების შესახებ იხ. აქვე „მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია და სუბსტრუქციის მეთოდი დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსში“.

საც აინტერესებს ეს საკითხი, უეკველად იტყვის, რომ poor John ran away-ს უშუალო შემადგენლებია poor John და ran away, რომ თითოეული მათგანი, თავისი მხრივ, რთული ფორმაა; რომ ran away-ს უშუალოებია ran და away და ა. შ.⁴⁹ აქ ავტორი მთლიანად მოლაპარაკის ინტუიციას ემყარება და არა ექსპლიციტურად ჩამოყალიბებულ მეთოდს. ძნელი წარმოსადგენი კია, რომ ჩვეულებრივმა ინგლისურად მოლაპარაკემ, სათანადო განსწავლის გარეშე, შეძლოს ფრაზების იერარქიული დაყოფა შემადგენლებად,

როგორც ვხედავთ, ბლუმფილდმა თავის შრომაში წარმოადგინა ენის სინტაქსური ანალიზის თავისებური პროგრამა, განსაზღვრა რიგი ძირითადი ცნება, მაგრამ საკითხი ბოლომდე და თანმიმდევრულად მას არ დაუმუშავებია. სინტაქსური ანალიზის პროცედურები ბლუმფილდს არ ჩამოუყალიბებია, არც კონსტრუქციათა და შემადგენელთა კლასები დაუდგენია საბოლოოდ, მის მიერ აღიარებული ზოგი პრინციპი უაღრესად სადავოა (მაგ., მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის მიჩნევა სინტაქსური კონსტრუქციების საფუძვლად), ზოგი ძირითადი ცნებაც მოითხოვს დაზუსტებას და შემდგომს დამუშავებას (მაგ., ტაქსემა, ტაგმემა). ამასთან ბლუმფილდის სინტაქსურ მოძღვრებაში ახალი იდეების გვერდით საკმაოდ ბევრი რამ არის შემორჩენილი ტრადიციული გრამატიკიდან (წინადადების ტიპები, კონსტრუქციათა ტიპები, მეტყველების ნაწილები...).

რაც შეეხება საკუთრივ უშუალო შემადგენლებს, მათ ბლუმფილდი სრულიადაც არ ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. უშუალო მიხედვით ანალიზი არ წარმოადგენს არც ერთადერთ, არც წამყვან პრინციპს. ესაა ბლუმფილდის გრამატიკული (და არა მხოლოდ სინტაქსური) მოძღვრების თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი მხარე; რომელიც ორგანულადაა ჩართული იმ საკმაოდ ფართო და მრავალფეროვან პროგრამაში, რაც ამ მკვლევარმა ენის აღწერის ანალიზს დაუხსნა. არ იქნებოდა გამართლებული ბლუმფილდის სინტაქსისათვის გვეწოდებინა უშუალო სინტაქსი.

3. სხვადასხვა მიმართულება დესკრიფციულ სინტაქსში

3.1. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბლუმფილდმა მხოლოდ სინტაქსის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა თავისი მოძღვრების შესაბამისად. ამ პრინციპთა მიხედვით კონკრეტულ ენათა კვლევა მას

⁴⁹ L. Bloomfield, Language, გვ. 161.

არ გაუშლია. საჭირო იყო სინტაქსური ანალიზის საგანგებოდ დამუშავება. ამ ამოცანის განხორციელება ბლუმფილდის მიმდევარ დესკრიპტივისტებს დაეკისრა.

დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში სინტაქსის საკითხთა საგანგებოდ დამუშავებას ფონოლოგიისა და მორფოლოგიის შემდგომ მოპკიდეს ხელი 40-იან წლებში.

40-იანი წლების დასაწყისისათვის დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსში არსებული ვითარება ასახულია კ. პაიკის წერილში „ტაქსემები და უშუალო შემადგენლები“. ავტორი დასაწყისშივე შენიშნავს, რომ ბევრ მათგანს, ვინც ლ. ბლუმფილდის „ენის“ შესწავლით იყო შთაგონებული და მის საფუძველზე ცდილობდა ენის დესკრიფციული ანალიზის ჩატარებას, იმედები ერთგვარად გაუცრუვდა, ვინაიდან მასალა ბევრად უფრო რთული დასამუშავებელი აღმოჩნდა. ვიდრე ეს განსაზღვრებებიდან ჩანდა. თვით პაიკს უცდია გამოეყენებინა ბლუმფილდის პრინციპი მექსიკის ინდიელთა ენის მიქსტეკოს რთული სინტაქსის ანალიზისათვის და იმ დასკვნამდე მისულა, რომ საჭიროა ანალიზის პროცედურის ოდნავ განსხვავებული დებულება, რაც გააადვილებს სინტაქსურ აღწერას⁵⁰.

სამიოდე წლის შემდეგ ზ. ჰარისი წერდა: სინტაქსური ანალიზის ერთი მთავარი ამოცანა არის აღწეროს მოცემულ ენებში გამოთქმათა სტრუქტურა. ამ მიმართულებით ექსპლიციტური მეთოდები მცირე რაოდენობით არსებობს. ამის შედეგად სინტაქსური ანალიზი იქცა დამქანცველ და ხშირად უაღრესად ინტუიციურ ამოცანად, კოლექციად დაკვირვებებისა, რომელთა ღირებულება არ არის გარკვეული და რომელთა ურთიერთმიმართება არ არის ნათელი. ნაწილობრივ ამიტომ, რომ ბევრ გრამატიკას ან არავითარი სინტაქსური ანალიზი არ ახლავს, ან ძალიან მცირე ანალიზი ერთვის. ხოლო ბევრ აღწერაში ექსპლიციტური მეთოდების არ არსებობამ შესაძლებელი გახდა სხვადასხვა და განუსაზღვრელი ტერმინების ხმარება და დაყრდნობა სემანტიკურ და არა ფორმალურ დიფერენციაციასზე⁵¹.

40-იან წლებში სინტაქსის საკითხების კვლევა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: 1. მუშავდებოდა ზოგადი პრინციპები, განისაზღვრებოდა ძირითადი ცნებები, ყალიბდებოდა ანალიზის პროცედურები (პაიკის, ჰარისის, ნაიდას, უელზის, პიტმენის, ჩეტმენის და სხვათა მიერ). 2. წარმოდგენილი იყო ცდები მოეცათ კონკრეტულ ენათა

⁵⁰ K. L. Pike, Taxemes and Immediate Constituents. «Language», 1943, v. 19, № 2, გვ. 65.

⁵¹ Z. S. Harris. From Morpheme to Utterance. «Language», 1946, v. 22. მოთხებები მოგვყავს RiL-ის მიხედვით. გვ. 142.

სინტაქსის აღწერა (მაგ., ბლოკის მიერ იაპონურისა, ნაიდას მიერ ინგლისურისა...).

დესკრიპტივისტები ძირითადად ბლუმფილდის მოძღვრებას ემყარებოდნენ, მაგრამ ცალკეული მკვლევრები ამ მოძღვრების სხვადასხვა მხარეს მიიჩნევდნენ ძირითადად და თავისებურადაც ავითარებდნენ მას. ამასთან ბლუმფილდის ზოგ დებულებას მეტ-ნაკლებად ცვლიდნენ, ზოგს კი საერთოდ უგულებელყოფდნენ. ამის შედეგად საკმაოდ განსხვავებული სინტაქსური კონცეფციები მივიღეთ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში.

ვიხაიდან წინამდებარე წერილში ჩვენ უშუალო შემადგენელთა საკითხი გვინტერესებს. ამიტომ შესაძლებელია პირობით დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსური კონცეფციები ორ ჯგუფად გავყოთ: 1) სინტაქსური ანალიზი წარმოებს უშუალოდ დაწყებით, 2) სინტაქსური ანალიზი არ ემყარება უშუალოდ.

მეორე მიმართულება წარმოდგენილია ჰარისის 40-იანი — 50-იანი წლების შრომებში. ჰარისის სტატია „მორფემიდან გამოთქმისაკენ“, რომელიც 1946 წ. გამოქვეყნდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოკვლევად არის მიჩნეული დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. ამ ნაშრომში ავტორი სინტაქსის საკითხების განხილვას იწყებს მორფემებით, შემდეგ კი გადადის მორფემათა თანმიმდევრობებზე, იყენებს რა მათ მიმართ სუბსტიტუციის ოპერაციას. იმ მორფემებს ან მორფემათა თანმიმდევრობებს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან, ე. ი. რომლებიც ერთსა და იმავე პოზიციაში გვხვდებიან გამოთქმებში, ავტორი აერთიანებს ერთსა და იმავე სუბსტიტუციურ კლასებში. იგი აღგენს სუბსტიტუციურ კლასთა ტოლობებს. რომლებიც, მისი აზრით, გვაძლევს შესაძლებლობას გავითვალისწინოთ, თუ მორფემათა რა თანმიმდევრობები გვხვდება ენაში ანუ, სხვაგვარად, ესაა ენაში არსებულ გამოთქმათა (წინადადებათა) ფორმულები.

ამ სტატიაში ჰარისი არ იყენებს უშუალო შემადგენლებს. იგი თვითონ აღნიშნავს, რომ უშუალო შემადგენლებად ანალიზი განსხვავებულ ტექნიკას მოითხოვს⁵².

უშუალო შემადგენლებს გვერდი აქვს ავლილი აგრეთვე ჰარისის ფუნდამენტალურ ნაშრომში „მეთოდები სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში“. მართალია, აქ ავტორს გამოყოფილი აქვს პარაგრაფი უშუალო შემადგენელთა შესახებ, მაგრამ იგი არ წარმოადგენს მის მიერ ჩატარებული სინტაქსური ანალიზის ორგანულ ნაწილს. ამ ნაშრომშიაც, ისევე როგორც წერილში „მორფემიდან გამოთქმისაკენ“, ჰარისი

⁵² Z. S. Harris, From Morpheme to Utterance. RiL, გვ. 144, №5. 9..

მიმართავს სუბსტიტუციის პროცედურაზე დამყარებულ პოზიციურ ანალიზს. იგი მხოლოდ მიუთითებს, თუ რა უშ-ები შეესაბამება მის მიერ მოცემულ ფორმულებს. ამასთან ისიცაა აღნიშნული, რომ უშ-თა მიხედვით ანალიზი იმ პროცედურის საპირისპიროა, რასაც ის იყენებს⁵³.

ჰარისის სტატიის გამოსვლის ერთი წლის შემდეგ რ. უელზი სპეციალურ წერილში „უშუალო შემადგენლები“ ცდილობს შეარჩოს უშ-თა თეორიასთან მოძღვრება ექსპანსიისა და ფოკუსის კლასების შესახებ, რომლებიც მან ჰარისის სუბსტიტუციის კლასების საფუძველზე განავითარა. ავტორი თვლის, რომ ამ ორ მიდგომას შორის პრინციპული დაპირისპირება არ არსებობს⁵⁴.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს რ. პიტმენიც, რომელიც ჰარისის მიდგომას უკვე საკუთარ „ბირთვულ ჰიპოთეზას“ უკავშირებს⁵⁵.

ი. ნაიდა კი წერს: დისტრიბუციულ მახასიათებელთა აღწერა ჰარისის განხილვის მიხედვით ბრწყინვალეა, მაგრამ არაადეკვატური. განიხილავს რა ამ ფუნქციონალურ ერთეულებს, ჰარისი აღიარებს უშ-თა პრინციპს ნაწილობრივ მაინც. მაგრამ ანალიზის ტექნიკა ემყარება შენაცვლებადობის პრინციპს, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთი პრინციპთაგანია მათ შორის, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უშ-თა ძველივე განსაზღვრისას⁵⁶.

სხვა აზრისაა ამ საკითხზე ს. ჩეტმენი, რომლის მიხედვითაც ჰარისის პროცედურები მორფემიდან გამოთქმისაკენ არ შეესაბამება უშ-თა ანალიზს⁵⁷. ამის საპირისპიროდ ჯ. სტრიტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ჩეტმენის შენიშვნა დაკარგავს ძალას, თუ უშ-თა ანალიზში ჩვენ დავუშვებთ კრიტერიუმების შერჩევისა და რანგებად დაყოფის სიფართოვეს⁵⁸.

⁵³ Z. S. Harris, *Methods in Structural Linguistics*, 1955 (I გამოც. — 1951), გვ. 278.

⁵⁴ R. S. Wells, *Immediate Constituents*. RiL., გვ. 198.

⁵⁵ R. S. Pittman, *Nuclear Structures in Linguistics*. «Language», 1948, v. 24, № 3, გვ. 283.

⁵⁶ E. A. Nida, *The Analysis of Grammatical Constituents*. «Language», 1948, v. 24, № 2, გვ. 168.

⁵⁷ S. Chalmers, *Immediate Constituents and Expansion Analysis*. «Words», 1955, v. 11, გვ. 380.

⁵⁸ J. C. Street, *Methodology in Immediate Constituent Analysis. Approaches in Linguistic Methodology*. Edit. by I. Rauch and Ch. T. Scott. 1967, გვ. 112.

რა შეიძლება ითქვას უშ-თა მიმართ ჰარისის დამოკიდებულების შესახებ? — ჰარისის თითქოს პრინციპულად არაფერი უნდა ჰქონდეს უშ-თა გამოყოფის წინააღმდეგ. მაგრამ მისი ანალიზის ტექნიკა მართლაც უპირისპირდება უშ-თა მიდგომას. საქმე ის არის, რომ უშ-თა ანალიზი ძლიერად რთული ერთეულების დაშლას უფრო მცირე მოცულობის ან მარტივ ერთეულებად. სხვაგვარად, ეს არის ანალიზი ზემოდან ქვემოთ, მთლიანი გამოთქმიდან ან წინადადებიდან უფრო მცირე ერთეულებისაკენ. ჰარისს კი შემთხვევით არ დაურქმევია თავისი სტატიისათვის „მორფემიდან გამოთქმისაკენ“. აქ კვლევა მიემართება ქვემოდან ზემოთ. ანალიზი იწყება უმცირესი გრამატიკული ერთეულებით — მორფემებით, შემდეგ კი მორფემებისაგან შედგება სულ უფრო და უფრო მსხვილი ერთეულები მთლიან გამოთქმებამდე ანუ წინადადებამდე. მიუთითებს რა ამ განსხვავებაზე, ჰარისი აღნიშნავს: არ არის ნათელი, რომ არსებობდეს რაიმე ზოგადი მეთოდი უშუალო შემადგენელთა თანმიმდევრულად განსაზღვრისათვის, როდესაც ჩვენ ვიწყებთ მთელი გამოთქმით და ქვემოთ მივდივართ. ყოველ შემთხვევაში, აღმოჩნდება, რომ სუბსტიტუციის კლასების შექმნა წარმოგვიდგენს უფრო მცირერიცხოვან სიმრავლებას, თუ ჩვენ დავიწყებთ მორფემებით და წავალთ ზემოთ⁵⁹. ეს უკვე უშ-თა ანალიზის ერთგვარი კრიტიკაა.

ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ უშ-თა მიხედვით ანალიზსა და ჰარისისეულ სუბსტიტუციის მეთოდს შორის დაპირისპირება არსებობს კვლევის მიმართულებაში. ამიტომ არ გვეჩვენება გამართლებულად უელზის სიტყვები, თითქოს უშ-თა თეორია არ იყოს აუცილებლად დაკავშირებული ქვემოთ წასვლის რიგთან. მიუხედავად იმისა, ზემოთ მიდის თუ ქვემოთ დესკრიფციული გრამატიკის ინტერპრეტაცია, ნებისმიერი გამოთქმის შემადგენლები ერთი და იგივე იქნებიან, — წერს ავტორი⁶⁰.

ჯერ ერთი, შემადგენლური ანალიზი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მთლიანის დაშლის გზით შეიძლება მიმდინარეობდეს, კომპონენტები მთლიანში გამოიყოფა. რაც შეეხება გამოთქმის შემადგენელთა ერთგვარობას, მისი მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ ერთნაირი ენობრივი ერთეულები და ცნებები, აგრეთვე ანალიზის ერთნაირი პრინციპებია გამოყენებული. ამ მხრივ კი სხვაობაა არა მხოლოდ ჰარისსა და იმ დესკრიპტივისტებს შორის, რომლებიც უშ-თა თეორიას იზიარებენ, არამედ ამ უკანასკნელებს

⁵⁹ Z. S. Harris, From Morpheme to Utterance, გვ. 150.

⁶⁰ R. S. Wells, Immediate Constituents. RiL, გვ. 198.

შორისაც. განსხვავება არსებობს თვით ჰარისისა და უელზის შეხედულებათა შორისაც, მიუხედავად იმისა, რომ უელზი მნიშვნელოვანწილად ჰარისის მოძღვრებას ემყარება.

მთავარი განსხვავება ჰარისისა და დანარჩენ დესკრიპტივისტებს შორის, რაც განსაზღვრავს ანალიზის მიმართულებას, მდგომარეობს იმ ამოცანის გაგებაში, რაც ენის აღწერას ეკისრება.

ჰარისის მიხედვით, მისი შრომა „მორფემიდან გამოთქმისაკენ“ გვაძლევს კომპაქტურ მტკიცებას იმის შესახებ, თუ მორფემათა რა თანმიმდევრობები გვხვდება ენაში, ე. ი. ფორმულას თითოეული გამოთქმის (წინადადების) შესახებ ენაში⁶¹.

უელზს კი მიაჩნია, რომ უშ-თა ანალიზის ამოცანაა არა იმის აღწერა, თუ რა გამოთქმები გვხვდება, არამედ, მას შემდეგ, რაც ეს გამოთქმები მოცემული იყო, აღწერა იმისა, თუ რომლებია მათი შემადგენლები⁶².

უელზის შეხედულება ტიპობრივია დესკრიფციული ენათმეცნიერებისათვის: წარმოებს წინასწარ მოცემული ენობრივი მასალის ანალიზი.

ჰარისის თვალსაზრისში კი შეიმჩნევა ერთგვარი მინიშნება წარმომშობ გრამატიკაზე. ამოსავლად აღებულია მარტივი ერთეულები, — მორფემები, — მათზე დამყარებით იქმნება ამ ენაში დასაშვებ გამოთქმათა ფორმულები, რომელთა საფუძველზედაც შეიძლება ავაგოთ ნებისმიერი კონკრეტული გამოთქმა. აქ წარმოებს არა გამოთქმათა ანალიზი, არამედ მათი კონსტრუირება, სინთეზი.

ამიტომ არის, რომ საკუთრივ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში, როგორც წესი, უშ-თა გამოყოფა ხდება ზემოდან ქვემოთ (გამოთქმიდან მორფემისაკენ), მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მკვლევარი თეორიულად არ გამოორიცხავს არც საპირისპირო გზას⁶³.

ერთგვარ გამონაკლისს წრმოადგენს თვით უელზი, რომლის შრომაშიც ერთმანეთთან შერწყმულია კვლევის ორივე გზა: ქვემოდან ზემოთ (რამდენადაც ექსპანსია არის გამოყენებული) და ზემოდან ქვემოთ (რამდენადაც მთლიანი გამოთქმა იყოფა უშ-ებად). ეს გასაგებია, უელზი, როგორც ითქვა, ცდილობდა ჰარისის სუბსტიტუციის მეთოდისა და უშ-თა ანალიზის შეერთებას.

იმ დესკრიპტივისტთა რიცხვი, რომლებიც უშ-თა თეორიაზე დამყარებით აწარმოებენ სინტაქსურ ანალიზს, ბევრად უფრო დი-

⁶¹ Z. S. Harris, *From Morpheme to Utterance*. RiL, გვ. 142.

⁶² R. S. Wells, *Immediate Constituents*. RiL, გვ. 197.

⁶³ იხ. შავ., Ch. F. Hockett, *A Manual of Phonology*, 1955, გვ. 43, J. C. Street, *Methodology in Immediate Constituent Analysis*, გვ. 91.

დია. აქ შეიძლება დაგვესახელებინა პაიკი, უელზი, ნაიდა, ბლოკი, პიტმენი, ჩეტმენი, ფრიზი, ჰოკეტი, გლისონი და ბევრი სხვა. ქვემოთ მოვიყვანთ ზოგიერთი მათგანის გამონათქვამს უშ-თა მიხედვით ანალიზის შესახებ.

რ. პიტმენი გახაზავს, რომ უშუალო შემადგენელთა პრინციპი ფასეულია. მისი აზრით, ეს პრინციპი გვიჩვენებს, რომ არსებობს ერთგვარი გრავიტაციული მიზიდულობა გარკვეულ მორფემებს ან მორფემათა ჯგუფებს შორის, მაგრამ დანარჩენებს შორის მას არა აქვს ადგილი. მას შეიძლება ეწოდოს თანაარსებობა (concomitance) ანუ „ნათესაობა“ (affinity), ან უბრალოდ ტენდენცია თანმიმდევრობათა მოცემული კლასისა შეგვხედეს მხოლოდ თანმიმდევრობათა სხვა შერჩეულ კლასთან.

უშ-თა პრინციპის ნაყოფიერება, — განაგრძობს ავტორი, — მდგომარეობს ანალიზის მეტად თვალსაჩინო გამარტივებაში. ვინც არ მიიღებს უშ-თა პიპოთეზას, იგი თითქმის იძულებულია განიხილოს ყოველი მორფემა გამოთქმაში, როგორც დაკავშირებული ყოველი სხვა მორფემის აღწერასთან. მაგრამ ანალიზი უშ-თა ტერმინებით ჩვეულებრივ ამცირებს მოცემული მორფემის ან მორფემათა თანმიმდევრობის მთლიან შესაძლებელ გარემოცვითს ფაქტორებს ერთამდე: სხვა სიტყვებით, იგი ადგენს, რომ მოცემული უშ-ის ერთადერთი დაკავშირებული გარემოცვა არის მისი თანმხლები (concomitant) მეორე უშუალო შემადგენელი. ასე, წინადადებაში I would like to have gone, უშ-თა პრინციპს ჩამოჰყავს would-თან დაკავშირებული გარემოცვა ერთადერთ მორფემამდე like, to-სა—თანმიმდევრობამდე have gone, have-ისა—gone-ამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი გამოთქმის უშ-თა ანალიზი უნდა დაგვირგვინდეს შრომის მნიშვნელოვანი დაზოგვით, რადგან იგი გამორიცხავს აღწერის თითოეულ დონეზე გამოთქმის იმ ნაწილებს, რომლებიც მასთან არ არის დაკავშირებული⁶⁴.

უშუალო შემადგენელთა პრინციპის მნიშვნელობა ენის ყველა დონის გაგებისა და გამოყენებისათვის არ შეიძლება გადამეტვასებული იქნეს, — წერს ჩ. ფრიზი. კომუნიკაციის ნაკლის მეტი წილი ასეთ თუ ისე დაკავშირებული ჩანს უშუალო შემადგენელთა პრობლემასთან. იმისათვის, რომ გავიგოთ თითოეულ ჩვენს წინადადებაში, როგორც მთლიან ერთეულში, სტრუქტურული მოდელების მთლიან-

⁶⁴ R. S. Pittman, Nuclear Structures in Linguistics, გვ. 287—288.

ნი განლაგება, აუცილებელია, რომ გამოვაცალკევოთ თითოეული ფენა და გავიგოთ თითოეული ფენის უშუალო შემადგენლები⁶⁵.

ჩ. ჰოკეტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გრძელი გამოთქმები არ წარმოადგენს უფრო მცირე გამოთქმათა (სიტყვათა ან მორფემათა) მექანიკურ კომბინაციებს. ამიტომაც, რომ ინდივიდუალურ მორფემათა და მათ მნიშვნელობათა შესწავლა არ არის საკმარისი გამოთქმის მნიშვნელობის გასაგებად. მოლაპრაქეს ესმის წინადადება არა მორფემათა ხაზოვანი მდინარებით, არამედ თითქოს სიღრმით, ავტომატურად აჯგუფებს რა მოვლენებს ერთად სწორად. გამოთქმათა ეს სიღრმითი გაგება ემყარება გამოცდილებას და განსხვავებულია სხვადასხვა ენაში. ამგვარად, რთულ გრამატიკულ ფორმებს იერარქიული სტრუქტურა ანუ უშუალო შემადგენელთა სტრუქტურა აქვს, რაც სათანადო შესწავლასაც მოითხოვს⁶⁶.

ზემომოყვანილ გამონათქვამებში წინადადების სტრუქტურა იერარქიულ, სიღრმით, ფენობრივ სტრუქტურად არის მიჩნეული და სწორედ მის გამოვლენას ემსახურება უშუალო შემადგენელთა საფეხურებრივი გამოყოფა. ასეთი გაგება ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში, მაგრამ ის არ არის ერთადერთი. მას უპირისპირდება ისეთი თვალსაზრისი, სადაც ენობრივი სტრუქტურა (როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური) ხაზოვანად არის მიჩნეული. უფრო სწორად, ის ზოგ შემთხვევაში იერარქიულია, ზოგში კი — ხაზოვანი. ამ შეხედულების ავტორია რ. ლონგაკრი, რომელსაც ეკუთვნის ჭაჭვეური შემადგენლური ანალიზის თეორია.

ლონგაკრის მიხედვით, ზოგი ენობრივი სტრუქტურა ფენობრივია, ზოგი კი განლაგებულია მძივების მსგავსად. ამიტომ ლონგაკრი უარყოფს ტრადიციულ უშუალო შემადგენლურ ანალიზს, რომლის მიხედვითაც ცდილობენ ერთსა და იმავე დონეზე არ გამოყონ ორ შემადგენელზე მეტი. სამაგიეროდ იგი გვთავაზობს ისეთ ანალიზს, რომელიც გამოყოფს ფენებს, სადაც ისინი რელევანტურია, მაგრამ სადაც ფენებად დაყოფა არ არის რელევანტური, იქ კონსტრუქციები აიწერება, როგორც ხაზოვანი თანმიმდევრობები ანუ როგორც ჭაჭვეები. შემდეგ კი წარმოებს ჭაჭვის შიგნით შემადგენელთა გამოყოფა. ასეთ

⁶⁵ Ch. C. Fries, *The Structure of English. An Introduction to the Construction of English Sentences.* 1952. გვ. 261—262.

⁶⁶ Ch. F. Hockett, *A Course in Modern Linguistics,* 1958, გვ. 148—150.

ნარეკ ანალიზს ავტორი უწოდებს ჯაქვერ შემადგენლურ ანალიზს. თითოეულ საფეხურზე სხვადასხვა დონის ჯაქვებთან გვაქვს საქმე⁶⁷.

თუ ლონგაკარი ხაზოვანი სტრუქტურის გვერდით იერარქიულ სტრუქტურის არსებობასაც აღიარებს ენაში, უფრო შორს მიდის ჩაო. იგი ენობრივ ერთეულთა სტრუქტურას კატეგორიულად პორიზონტალურ სტრუქტურად მიიჩნევს. სინტაქსური სტრუქტურა, მისი აზრით, შედგება სიტყვებისა და სიტყვათა ჯაქვებისაგან. ხოლო პორიზონტალურ სტრუქტურაში ძირითადი ცნება არის უშუალო შემადგენელთა ცნება⁶⁸. უშუალო შემადგენელთა ასეთი გაგება სცილდება არა მხოლოდ დესკრიპტივისტთა ტრადიციულ თვალსაზრისს, არამედ ლონგაკარის შეხედულებასაც, ვინაიდან იგი სრულიად გამორიცხავს ენობრივ ერთეულთა ფენობრივ განლაგებას.

თუ ზემომოყვანილ ერთეულ გამონაკლისებს (ლონგაკარი, ჩაო) არ მივიღებთ მხედველობაში, დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში უშ-თა თეორია ენის სტრუქტურის ფენობრივ, იერარქიულ გაგებასთან არის დაკავშირებული. ასეთ გაგებას ემხრობა დესკრიპტივისტთა უმრავლესობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ თვალსაზრისის მქონე მეცნიერებს შორის სინტაქსის სფეროში აზრთა სრული იგივეობა სუფევდეს. განსხვავება ვლინდება მთელ რიგ საკითხებში. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ის, თუ რა ადგილი უკავია უშ-ებს მთლიან სინტაქსურ მოძღვრებაში. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ თეორიათა ორი ჯგუფი: 1) თეორიები, რომლებშიაც უშ-ებს მთავარი, წამყვანი როლი უკავია, უშ-ები ანალიზის ყოველ საფეხურზე იჩენს თავს და გამსჭვალავს მთელ სინტაქსს. 2) უშ-თა მიხედვით დაყოფა სინტაქსური ანალიზის ერთ-ერთი მხარეა მხოლოდ. მას სხვა მხარეებთან შედარებით რაიმე უპირატესობა არ ენიჭება. უშ-ები მარეგულირებელ ცნებას წარმოადგენს და ანალიზის გარკვეულ, ჩვეულებრივ, ბოლო საფეხურებზე ჩნდება.

⁶⁷ R. E. Longacre, *String Constituent Analysis*. «Language», v. 36, № 1 (part 1), 1960, გვ. 63—70. ჩვენ აქ არ ვეხებით ჯაქვერ ანალიზს, რომელიც ზ. პარისის მიერ იყო წარმოდგენილი ბოლო ხანებში (Z. S. Harris, *String Analysis of Sentence Structure*, 1962). ეს ხაზოვანი ანალიზი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმავე ავტორის აღრინდელ შრომებში მოცემული ანალიზისაგან, მაგრამ აქ, ისევე როგორც პარისის სხვა შრომებში, სინტაქსური ანალიზი უშუალო შემადგენელთა მოშველების გარეშე წარმოებს და ამდენად ჩვენი მიმოხილვის ფარგლებს გარეთ რჩება. რუსულად პარისის თეორია განხილულია Н. Д. Арутюнова, Т. А. Климов, Е. С. Кубрякова, *Американский структурализм*. წიგნი: *Основные направления структурализма*. 1964, გვ. 276—278.

⁶⁸ Yuen Ren Chao, *Language and Symbolic Systems*. 1968, გვ. 60.

მეორე ჯგუფის თეორიებს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩ. ფრიზისა და კ. პაიკის სინტაქსური მოძღვრებები. ჩ. ფრიზის ნაშრომში „ინგლისურის სტრუქტურა“, რომელიც ცამეტი თავისაგან შედგება, უშუალო შემადგენლები მხოლოდ მეთორმეტე თავში ჩნდება⁶⁹.

ანალიზის ბოლო საფეხურზე ვლინდება უშ-ები კ. პაიკის გვიანდელ შრომებშიაც. თვით ავტორი წერს: კონსტრუქციების უშ-ები წარმოდგენილია ჩვენს თეორიაში, მაგრამ მკვეთრად განსხვავებულ როლში, ვიდრე ჩვეულებრივ ენათმეცნიერებაში ან ბლუმფილდთან. ნაცვლად იმისა, რომ წარმოადგენდნენ გრამატიკული ანალიზის საწყისს პუნქტს, ისინი გვევლინებიან, როგორც ანალიზის საბოლოო პროექტი⁷⁰.

უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზს წამყვანი ადგილი უკავია 40-იან წლებში საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილ სტატიებში, როგორიცაა კ. პაიკის „ტაქსემები და უშუალო შემადგენლები“, რ. უელზის „უშუალო შემადგენლები“, ი. ნაიდას „გრამატიკულ შემადგენელთა ანალიზი“, აგრეთვე მთელ რიგ მონოგრაფიებსა და კურსებში, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ: ი. ნაიდას „ინგლისური სინტაქსის მოკლე მიმოხილვა“⁷¹. ჰ. გლისონის „დესკრიფციული ენათმეცნიერების შესავალი“, ჩ. ჰოკეტის „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსი“ და სხვ.

სწორედ ამ ჯგუფის ენათმეცნიერთა შრომებში უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზმა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიიღო სინტაქსში. იმდენად, რომ სინტაქსური ანალიზი გატოლებულ იქნა უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზთან.

ჩვენ განვასხვავებთ დესკრიპტივისტთა ორი ჯგუფი იმ ხვედრითი წონის მიხედვით, რომელსაც ისინი უშუალო შემადგენლებს ანიჭებენ. რა თქმა უნდა, ეს დაყოფა შეფარდებითია და ორ მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფს შორის გარდამავალი საფეხურებიც არსებობს. მაგრამ რომელი ჯგუფიც არ უნდა გვექონდეს მხედველობაში, თვალში საცემია ის, რომ საკმაოდ დიდი სხვადასხვაობა შეინიშნება ცალკეულ მკვლევრებს შორის იმ სინტაქსური კონცეფციების (ამოსავალი ცნებებისა თუ ანალიზის პროცედურების) თვალსაზრისით, რომლებსაც უშ-თა თეო-

⁶⁹ Ch. C. Fries, *The Structure of English*. 1952.

⁷⁰ K. L. Pike, *Language in Relation to a Unified Theory of the Structure of Human Behavior*. Second, revised Edition. 1967 (I გამოც.—1954), გვ. 477. ზემოთყვანილი სიტყვები პაიკს ამოღებული აქვს თავისივე შრომიდან: *On Tagmemes née Gramemes*. *IJAL*. 1958, v. 24, გვ. 277.

⁷¹ E. Nida, *A Synopsis of English Syntax*. Second, revised Edition. 1966 (I გამოც.—1943).

რია ემყარება. სანიმუშოდ მოკლედ მივუთითებთ რამდენიმე ფართოდ ცნობილ სინტაქსურ მოძღვრებაზე.

პაიქმა შრომაში „ტაქსემები და უშუალო შემადგენლები“ თავის სინტაქსურ მოძღვრებას საფუძვლად დაუდო ტაქსემისა და ტაგმემის ცხებები. გამოყოფს რა ინგლისურ წინადადებაში სტრუქტურის თანმიმდევრულ ფენებს უშ-თა სახით, ავტორი იქლევა შემადგენელთა დახასიათებას ტაქსემებისა და ტაგმემების ტერმინებით.

რულონ უელზის სისტემის ძირითადი ცნებებია მოდელი და ექსპანსია (გავრცობა). ექსპანსიის ცნება, ავტორისავე მითითებით, ჰარისის სუბსტიტუციის ოპერაციის განვითარებას წარმოდგენს⁷².

უელზი გამოყოფს მორფემათა თანმიმდევრობის კლასებს შემდეგი პრინციპის მიხედვით: თუ მოცემულია თანმიმდევრობა S, თანმიმდევრობის კლასი, რომელსაც ეკუთვნის S, განსაზღვრულია, როგორც ყველა იმ თანმიმდევრობათა კლასი, რომელთა პირველი მორფემა ეკუთვნის იმავე მორფემულ კლასს, რასაც S-ის პირველი მორფემა, მეორე მორფემა ეკუთვნის იმავე მორფემულ კლასს, რასაც S-ის მეორე მორფემა და ა. შ. ამგვარად, ერთი და იმავე თანმიმდევრობის კლასის ყველა წევრი შეიცავს მორფემათა ერთსა და იმავე რაოდენობას. მაგ., blakbird 'მაში' და redcoat 'ინგლისელი ჯარისკაცი' ეკუთვნიან ერთსა და იმავე თანმიმდევრობის კლასს, რადგან black ეკუთვნის იმავე მორფემულ კლასს, რასაც red, ხოლო bird ეკუთვნის იმავე კლასს, რასაც coat 'მუნდირი'⁷³.

თანმიმდევრობა, რომელიც ეკუთვნის ერთ თანმიმდევრობის კლასს, ვთქვათ A-ს, ხშირად შეიძლება შენაცვლებულ იქნეს თანმიმდევრობით, რომელიც ეკუთვნის მთლიანად განსხვავებულ თანმიმდევრობის კლასს — B-ს. მაგ., Tom and Dick შეიძლება შეენაცვლოს they-ს ყველგან, სადაც ეს უკანასკნელი გვხვდება. ასე, They wanted me to come და Tom and Dick wanted me to come⁷⁴.

ამგვარად ზოგჯერ ორი თანმიმდევრობა გვხვდება ერთსა და იმავე გარემოცვებში მაშინაც კი, როდესაც მათ აქვთ განსხვავებული შინაგანი სტრუქტურები. სწორედ აქ შემოაქვს უელზს გავრცობის (ექსპანსიისა) და მოდელის ცნებები. როდესაც ერთ-ერთი თანმიმდევრობა (იგულისხმება იმათგან, რომლებიც ერთსა და იმავე გარემოცვებში გვხვდებიან, ე. ი. ერთმანეთს ენაცვლებიან) ყოველ შემთხვევაში ისევე გრძელი მაინცაა, როგორც მეორე (შეიცავს იმდენ მორფემას მაინც)

⁷² R. S. Wells, Immediate Constituents. RiL, გვ. 186.

⁷³ იქვე.

⁷⁴ იქვე, გვ. 187.

და სტრუქტურულად განსხვავდება მისგან (არ ეკუთვნის ყველა იმ თანმიმდევრობის კლასებს, რასაც მეორე). მას უელზი უწოდებს მეორე თანმიმდევრობის გავრცობას (ექსპანსიას), ხოლო მეორე თანმიმდევრობა თავისთავად კი იქნება მოდელი. თუ A არის B-ს ექსპანსია, B წარმოადგენს A-ს მოდელს. უშ-თა ანალიზს უელზი საფუძვლად უდებს ექსპანსიებს. მისი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული თანმიმდევრობა გაანალიზდეს ნაწილებად, რომლებიც წარმოადგენს ექსპანსიებს. ეს ნაწილები იქნებიან თანმიმდევრობის შემადგენლები.

რ. პიტმენმა შემადგენლები რანგებად დაყო. პირველ ჯგუფში შეიტანა ბირთვული შემადგენლები, რომელთაც ცენტრალური, ძირითადი სტატუსი მიაკუთვნა, ხოლო მეორეში — თანამგზავრები (satelits), რომლებიც დაქვემდებარებულ ანუ არაძირითად შემადგენლებს შეადგენენ. ასეთი დაყოფის გამართლებას ავტორი იმაში ხედავს, რომ ჯერ უნდა აიწეროს უფრო ფართო კლასები ანუ ბირთვები, ხოლო უფრო მკირე კლასები ანუ თანამგზავრები კი უნდა დაჯგუფდნენ თავიანთ ბირთვებთან. პიტმენი შეეცადა წარმოედგინა პროცედურები ბირთვებისა და თანამგზავრების გამოსაყოფად⁷⁵.

ი. ნაიდასათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი ბლუმფილდისებურად უშუალო შემადგენლების საკითხს ერთად განიხილავს როგორც მორფოლოგიის, ისე სინტაქსისათვის. ამიტომ ხმარობს იგი გამოთქმას „გრამატიკული შემადგენლები“. ტერმინით „გრამატიკული ერთეული“ ავტორი აღნიშნავს ენის ნებისმიერ შემადგენელ ერთეულს, რომელიც ფუნქციურად მთლიანია, ე. ი. ყოველ სინგნიფიკაციურ ფუნქციურ ერთეულს მორფემიდან გამოთქმამდე.

ნებისმიერი გრამატიკული ერთეულის განხილვისათვის, მორფოლოგიური იქნება ის თუ სინტაქსური, გვეუბნება ავტორი, მნიშვნელოვანია ძირითადი დიქტომია კომპოზიციასა და კლასს შორის⁷⁶.

გრამატიკული ერთეულის კომპოზიცია განსაზღვრულია შემადგენელი ნაწილის ან ნაწილების ტერმინებით და (თუ ნაწილები გვაქვს) მათი განლაგების ტერმინებით.

გრამატიკული ერთეულის კლასი განსაზღვრულია ერთეულის, როგორც მთლიანის, მიმართების ტერმინებით ენის ყველა სხვა გრამატიკულ ერთეულთან. კლასის განსხვავებები შეიძლება ემყარებოდნენ: (1) კომ-

⁷⁵ R. S. Pittman, Nuclear Structures in Linguistics. «Language», 1948, v. 24, № 3, გვ. 287—292.

⁷⁶ E. A. Nida, The Analysis of Grammatical Constituents. «Language», 1948, v. 24, № 2, გვ. 169.

პოზიციის განსხვავებას (მაგ., მარტივია ერთეული თუ რთული) ან (2) ლისტრიბუციულ განსხვავებებს.

მაგ., სიტყვაში *friendly* კომპოზიცია შედგება უშუალო შემადგენლებისაგან *friend* და *-ly* და მათი განლაგებისაგან. ეს სიტყვა ეკუთვნის ზედსართავთა კლასს. შინაგანი კომპოზიციის მიხედვით ის რთული გრამატიკული ერთეულია, რადგან ერთზე მეტ მორფემას შეიცავს⁷⁷.

გრამატიკული ერთეულის კომპოზიცია, ნაიდას მიხედვით, შედგება ორგვარი კომპონენტებისაგან: (1) მორფემული ანუ სიტყვობრივი კომპონენტები და (2) სუპრამორფემული ანუ სუპრასიტყვობრივი კომპონენტები⁷⁸. ამ უკანასკნელებში ავტორი გულისხმობს ინტონაციურ მოდელებს, მახვილის მოდელებს.

უშუალო შემადგენელთა აღწერა მოცემული უნდა იქნეს: (1) უშუალო შემადგენლის ფორმის საფუძველზე (რაც ნიშნავს უშ-ის გაიგივებას) და (2) უშუალო შემადგენლის კლასის საფუძველზე. მაგ., კონსტრუქციაში *friendly* მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უშ-თა — *friend* და *-ly* — გაიგივება, არამედ აგრეთვე აღწერა *friend*-ის კლასის, როგორც არსებითი სახელის კლასისა და *-ly*-სი, როგორც კლასის შემცველი სუფიქსის კლასისა (*-ly* არსებით სახელს ცვლის ზედსართავლ გამოხატულებად)⁷⁹.

ერთნაირ სტრუქტურულ მიმართებათა მქონე უშუალო შემადგენელთა მწკრივების ერთობლიობისაგან შეიძლება განვსაზღვროთ კონსტრუქციის მოდელი⁸⁰.

ბევრი კონსტრუქცია განიცდის მეორეულ კლასის შეზღუდვებს. ასეთ შეზღუდვებს მიაკუთვნებს ავტორი შეთანხმებას, მართვას და წყარედინ მითითებას.

კონსტრუქციის შედგენილობას ნაიდა მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ფუნქციონალური ღირებულების განსაზღვრისას, ვიდრე ნაწილთა განლაგებას.

განლაგება ორი ტიპისაა: ფორმალური და ტაქტიკური.

ფორმალური განლაგება მოიცავს: (1) უშუალო შემადგენელთა შეფარდებითს რიგს და (2) მათ ფონოლოგიურ შეერთებას, რაც თავისი მხრივ, შეიცავს (ა) ფონემათა ცვლილებებს, რასაც ადგილი აქვს

⁷⁷ E. A. Nida, *The Analysis of Grammatical Constituents*, გვ. 169.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ იქვე, გვ. 171.

⁸⁰ იქვე.

უშ-თა კომბინაციებში და (b) საბოლოო კომბინაციის ფონოლოგიურ სტატუსს⁸¹.

კონსტრუქციის უშ-თა ტაქტიკური ანალიზი, ავტორის აზრით, წარმოადგენს აღწერითი ანალიზის არსებით ნაწილს. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ტაქტიკური განლაგების გამოცნობას სინტაქსურ კონსტრუქციათა ანალიზის დროს. ამისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს სამი დიქტომია: (1) კოორდინაციული სუბორდინაციულის სპირისპიროდ, (2) ენდოცენტრული ეგზოცენტრულის სპირისპიროდ და (3) პარატაქსული ჰიპოტაქსურის სპირისპიროდ⁸².

ჩ. ფრიზისათვის ამოსავალია გაგება ენისა, როგორც საზოგადოების ფუნქციონალური იარაღისა. ბიპევიორისტულ მოძღვრებაზე დამყარებით ავტორი თვლის, რომ ენათმეცნიერმა ყურადღება უნდა მიაქციოს; 1) სამეტყველო ბგერებს იმ სიტუაციებთან მიმართებით, რომლებიც ჩვეულებრივ მათ წარმოქმნიან და 2) სამეტყველო ბგერებს იმ პასუხებთან (რეაქციებთან) მიმართებით, რომლებსაც ისინი იწვევენ⁸³.

გამოთქმის ერთეულებს ფრიზი ყოფს ორ კლასად: 1) ზოგი გამოთქმა იწყებს საუბარს. 2) ყველა დანარჩენი გამოთქმის ერთეული გვხვდება მას შემდეგ, რაც საუბარი დაწყებულია, როგორც პასუხი წინა გამოთქმის ერთეულებზე. პირველი ჯგუფის გამოთქმის ერთეულები იქნება „სიტუაციური გამოთქმის ერთეულები“, ხოლო მეორისა — „საპასუხო გამოთქმის ერთეულები“⁸⁴.

ცალკეულ გამოთქმის ერთეულებს ავტორი აჯგუფებს იმ რეაქციების მიხედვით, რომლებიც მათ მოსდევს. გამოყოფილია:

კომუნიკაციური გამოთქმები:

I. გამოთქმები, რომლებიც მოითხოვენ „ზეპირ“ პასუხებს: ა) მისალმებები, ბ) მიმართვები, გ) შეკითხვები.

II. გამოთქმები, რომლებიც მოითხოვენ „მოქმედებითს“ რეაქციებს; ზოგჯერ მათ ახლავს სიტყვიერ რეაქციათა შეზღუდული რაოდენობა: თხოვნა ან განკარგულებანი.

III. გამოთქმები, რომლებიც მოითხოვენ ყურადღების გამომხატველ პირობით სიგნალებს: მტკიცებები.

⁸¹ E. A. Nida, დასახ. ნაშრ... გვ. 172..

⁸² იქვე, გვ. 173.

⁸³ Ch. C. Fries, The Structure of English, გვ. 35.

⁸⁴ იქვე, გვ. 37.

არაკომუნიკაციური გამოთქმები:

გაკვირვების, უეცარი ტკივილის, ხანგრძლივი ტკივილის, ზიზღის, გაჭაყრების, სიცილის, წუხილის სიტუაციის დამახასიათებელი გამოთქმები.⁸⁵

ფრიზის განმარტებით, ინგლისურა წინადადება წარმოადგენს არა უბრალოდ სიტყვათა ჯგუფს, არამედ სტრუქტურას, რომელიც შექმნილია ფორმალური კლასების ანუ მეტყველების ნაწილების მიერ. ამიტომ სტრუქტურულ მოდელებს ის აღწერს ფორმალური კლასების ანუ მეტყველების ნაწილებისა და იმ ფორმალურ განლაგებათა ტერმინებით, რომლებშიც მეტყველების ნაწილები გვხვდებიან.⁸⁶

მეტყველების ნაწილთა გამოყოფის ძირითადი კრიტერიუმია წინადადებაში მათი ფუნქცია ანუ პოზიცია. ინგლისურისათვის დადგენილია 4 კლასი: 1, 2, 3 და 4⁸⁷. ეს კლასები, როგორც თვით ავტორი მიუთითებს, ნაწილობრივ შეესატყვისება ტრადიციულ მატყველების ნაწილებს: არსებით სახელებს; ზმნებს, ზედსართავეებს და ზმნისართებს. მაგრამ შესატყვისობა სრული არ არის, ვინაიდან თუ, მაგ., ზედსართავი ქვემდებარის როლში მოგვევლინა, იგი არსებით სახელთა (ე. ი. 1) კლასს მიეკუთვნება. ეს იმიტომ, რომ ფრიზისათვის გადაძწყვეტია მეტყველების ნაწილის სინტაქსური ფუნქცია და არა მორფოლოგიური ფორმა.

წინადადებაში, ავტორის აზრით, მთავარია 1 და 2 ჯგუფის სიტყვათა (ე. ი. არსებითი სახელისა და ზმნის) კავშირი:

ფრიზი იმ სიტყვებს, რომლებიც წმომხსენებულ 4 მეტყველების ნაწილში არ შევიდა, ფუნქციურ სიტყვებად მიიჩნევს და 15 ჯგუფად ყოფს. მათ დაჯგუფებას საფუძვლად უდევს პოზიციები, რომლებშიაც ისინი ვლინდებიან.

ავტორი გამოყოფს ინგლისურის წინადადებათა ტიპებს; ფორმალური თვალსაზრისით განიხილავს სუბიექტსა და ობიექტს, მსაზღვრელებს.

სტრუქტურული მოდელების დასახასიათებლად იგი ითვალისწინებს მნიშვნელობის მქონე კონტრასტულ თვისებებს: (1) მეტყველების ნაწილთა ერთეულების შერჩევას (სელექციას), (2) ამ ერთეულთა ფორმებს, (3) პოზიციის განლაგებებს (არანეირებას) და: (4) ინტონაციას ან ტონის დანმომდევრობებს.

⁸⁵ Ch. C. Fries, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

⁸⁶ იქვე, გვ. 64.

⁸⁷ იქვე, გვ. 76—86.

მაგრამ სტრუქტურულ გამოთქმათა ერთეულების ჩამოთვლა და მათი კონტრასტული თვისებების აღწერა ფრიზს არ მიაჩნია საკმარისად გამოთქმის სტრუქტურული მნიშვნელობის წვდომისათვის. ბოლო საფეხურზე იგი განსაზღვრავს, თუ როგორ არის ცალკეული შემადგენლები დაჯგუფებული. იმისათვის, რომ გავიგოთ სტრუქტურული მოდელების მთლიანი განლაგება თითოეულ წინადადებაში, როგორც მთლიან ერთეულში, აუცილებელია გამოვაცალკევოთ თითოეული ფენა და გავარკვიოთ თითოეული ფენის უშუალო შემადგენლებიო. — წერს იგი⁸⁸.

ჩ. ჰოკეტი „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ გრამატიკის საკითხთა განხილვას პლუმფილდის მსგავსად უშუალო შემადგენლებით იწყებს. უშ-თა სტრუქტურა, მისი თქმით, გამოავლენს გრამატიკულ ფორმათა იერარქიულ სტრუქტურას⁸⁹.

ავტორი განიხილავს ფორმალურ კლასებს და კონსტრუქციებს. მისი განსაზღვრებით, ფორმალური კლასი არის ისეთ ფორმათა კლასი, რომელთაც აქვთ მსგავსი გამოვლენის უპირატესობა უფრო ჭარბო ფორმათა შესადგენად⁹⁰.

ფორმალური კლასების შედგენისას გამოყენებულია შემდეგი პრინციპი: თუ ერთი მოცემული კლასის რომელიმე წევრი შეიძლება შეგვხვდეს მეორე კლასის რომელიმე წევრთან, მაშინ პირველის ნებისმიერი წევრი შეიძლება შეგვხვდეს მეორის ნებისმიერ წევრთან⁹¹.

კონსტრუქცია წარმოადგენს მოდელს სპეციფიკური ფორმალური კლასის უშ-თაგან სპეციფიკური ფორმალური კლასის რთული ფორმების შესაქმნელად. რთული ფორმის უშ-ები ერთმანეთთან დგანან გარკვეულ კონსტრუქციაში. რთულ ფორმას, რომელიც შედგენილია უშ-ებისაგან კონსტრუქციის საშუალებით, ეწოდება კონსტიტუტი. კონსტრუქციები წარმოადგენენ უფრო მცირე მოდელებს, რომელთაგანაც წარმოქმნილია მთლიან წინადადებათა მოდელები⁹².

წინადადების საბოლოო სინტაქსური შემადგენლებია ინტონაციის მორფემა და სიტყვები⁹³.

⁸⁸ Ch. F. Fries, დასახ. ნაშრ., გვ. 262.

⁸⁹ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 150—152.

⁹⁰ იქვე, გვ. 162.

⁹¹ იქვე, გვ. 163.

⁹² იქვე, გვ. 164.

⁹³ იქვე, გვ. 177.

პოკეტი განიხილავს სინტაქსური კონსტრუქციის ტიპებს. კონსტრუქციის სრული სპეციფიკაცია გულისხმობს: (1) იმ ფორმალური კლასის აღნიშვნას, რომლიდანაც არჩეულია თითოეული შემადგენელი და (2) იმ ფორმალური კლასის აღნიშვნას, რომელსაც ეკუთვნის მიღებული კონსტიტუტი.

ფორმალური კლასი განისაზღვრება უფრო ფართო ფორმებში გამოვლენის უპირატესობის მიხედვით. ასე, მაგ., კონსტრუქცია *old | dog* შეიძლება აიწეროს შემდეგნაირად: (1) იგი შეიცავს პირველ უშ-ად ზედსართავს, ხოლო მეორე უშ-ად არსებით სახელს მხოლოდობით რიცხვში. (2) იგი ქმნის კონსტიტუტს, რომელიც აგრეთვე ეკუთვნის მხოლოდობით რიცხვის არსებითი სიხელების კლასს⁹⁴.

ავტორი ახასიათებს ენდოცენტრულ და ეგზოცენტრულ კონსტრუქციებს და მათ სახესხვაობებს. ენდოცენტრული კონსტრუქციებში ორგვარია: კოორდინაციული და ატრიბუტული. ხოლო ეგზოცენტრული კონსტრუქციები სამ ტიპს ავლენენ: დირექტიულს (განკარგულებითს), კონექტიურს (შეკავშირებითს) და პრედიკატიულს.

წინადადებას პოკეტი განსაზღვრავს, როგორც გრამატიკულ ფორმას, რომელიც არ იმყოფება კონსტრუქციაში რომელიმე სხვა გრამატიკულ ფორმასთან. ესაა კონსტიტუტი, რომელიც არ არის შემადგენელი⁹⁵.

ავტორი გამოყოფს წინადადების სამ ძირითად სახეობას: მარტივი, რთული და შედგენილი წინადადებები. ესენია ინგლისურის ფავორიტული წინადადების ტიპები.

ინგლისურის დანარჩენი მეორეხარისხოვანი ტიპებია: (1) უსუბიექტო წინადადება, 2) ვოკატივი, 3) ეფორისტული წინადადება.

პოკეტი განსაკუთრებული ყურადღებით ექცევა პრედიკატული კონსტრუქციის დახასიათებას, ვინაიდან ის წარმოადგენს მრავალი ენის ფავორიტულ წინადადებას. საერთოდ, ინგლისურის გარდა პოკეტი განიხილავს რიგი სხვა ენის ფავორიტული წინადადების ტიპებს.

პრედიკატული კონსტრუქციების რანგს და სახესხვაობებს პოკეტი ახასიათებს კლავუზების მიხედვით.

საგანგებოდ განიხილავს ავტორი სინტაქსური შეერთების სახეებს.

⁹⁴ Ch. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

⁹⁵ იქვე, გვ. 199.

ზემოთ მიმოხილული იყო დესკრიფციული ენათმეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენლის სინტაქსური მოძღვრება. ეს მიმოხილვა არ ითვალისწინებს ყველა დესკრიპტივისტის თვალსაზრისს. თვით განხილული თეორიებიც არ არის ამომწურავად დახასიათებული, მოცემულია მათი მოკლე, სქემატური მონახაზები. ჩვენ არ ვისახავთ ძიხნად წარმოვადგინოთ ამ თეორიათა დაწვრილებითი კრიტიკული ანალიზი. ჩვენი ამოცანა იყო გვეჩვენებინა, თუ რაოდენ განსხვავებული სინტაქსური სისტემები შეიქმნა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლის ყველა წარმომადგენელი მეტ-ნაკლებად ლ. ბლუმფილდის კონცეფციას ემყარება.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ბლუმფილდის, სინტაქსური თეორია მთელი რიგი კომპონენტებისაგან შედგება. მისი მიმდევრები სხვადასხვა კომპონენტს ირჩევენ ამოსავლად და მასზე აფუძნებენ თავიანთ თვალსაზრისს. ამის შესაბამისად იცვლება დანარჩენ კომპონენტთა ხვედრითი წილი და ურთიერთმიმართება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, როგორც წესი, დესკრიპტივისტების სინტაქსური თეორიები უფრო ვიწროდ არის შემოფარგლული, ვიდრე ეს ბლუმფილდთან იყო. ბლუმფილდის მიერ აღიარებული მთელი რიგი დებულებები დესკრიპტივისტებს არა მხოლოდ არ განუეითარებიათ, არამედ სრულიად უგულებელყვეს კიდევაც.

იმისათვის, რომ ვნახოთ, თუ რა მიმართულებით განვითარდა ბლუმფილდის იდეები დესკრიპტივისტთა შრომებში და რა შედეგი გამოიღო ამან, ქვემოთ გამოვეყოფთ სინტაქსის ძირითად საკითხებს და თვალს გავადევნებთ მათ ევოლუციას დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში.

4. გრამატიკის ძირითადი ერთეულები. გრამატიკის ანოცანები. და.

ინტაქსის საბანი დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში

4.1. მორფემა თუ სიტყვა. უკვე ბლუმფილდის მოძღვრებაში შეინიშნება მორფემის, როგორც გრამატიკის ძირითადი ცნების, წინ წამოწევა, რასაც მოჰყვება სიტყვის როლის დამცირება. მართალია, ბლუმფილდი, არ უგულებელყოფს სიტყვას, მაგრამ ეს უკნასკნელი კარგავს გრამატიკის ერთ-ერთი მთავარი ცნების ღირებულებას⁹⁶.

⁹⁶ ლ. ბლუმფილდის მოძღვრებაში მორფემისა და სიტყვის დაპირისპირების საკითხები განხილული იყო არნ. ჩიქობავას მოხსენებაში „მორფემა“ — ცნება და ენათმეცნიერების ზოგი პრინციპული საკითხი“. საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესიის თეზისები. 1970 წ.

შემთხვევითი არაა, რომ ბლუმფილდის მიხედვით, ლექსიკონი წარმოადგენს მორფემათა (და არა სიტყვათა!) სიას.

ბლუმფილდის მომდევნო თაობის დესკრიპტივისტები უფრო შორს წაივლინენ მორფემისა და სიტყვის დაპირისპირებისას. მათ უყოყმანოდ გრამატიკის ამოსავალ ერთეულად მორფემა აღიარეს, სიტყვას კი ვერ მიუჩინეს სათანადო ადგილი გრამატიკულ ცნებათა ინვენტარში.

ჯერ ვნახოთ რამდენიმე ტიპობრივი გამონათქვამი მორფემის შესახებ:

ამ სტატიაში აღწერილი მეთოდი არ აღიარებს სხვა ელემენტებს გარდა მორფემებისა (სუპრასეგმენტურ მორფემათა ჩათვლით) და მორფემათა თანმიმდევრობებისაო, — აცხადებს ჰარისი 1946 წ.⁹⁷ ეს „სხვა ელემენტები“, რომლებიც აქ უარყოფილია, სიტყვებს წარმოადგენს.

ენის გრამატიკული ანალიზის ძირითადი ელემენტებია მორფემები, — გვეუბნება გ. ტრეიგერი ენათმეცნიერების საგნისადმი მიძღვნილ ნაშრომში⁹⁸.

ჩ. ჰოკეტის მიხედვით, ენის გრამატიკული სისტემა წარმოადგენს მორფემათა ერთობლიობას და განლაგებებს, რომლებშიაც ისინი იმყოფებიან⁹⁹. ეგევე ავტორი, როდესაც ლინგვისტურ ელემენტებს და მათ შორის მიმართებებს განიხილავს, ეხება ფონემებს, მორფემებს, მორფოფონემებს, ფონებს, მორფებს, მაგრამ არა სიტყვებს¹⁰⁰.

შეიძლება ითქვას, რომ მორფემის ადგილის გაგებაში დესკრიციულ ენათმეცნიერებაში ერთსულოვნება სუფევს. გრამატიკის ძირითად, ამოსავალ ერთეულად ყველა დესკრიპტივისტს მორფემა მიაჩნია. ეგევე არ ითქმის სიტყვის შესახებ. აქ გარკვეული გრადაციები შეინიშნება შეხედულებებში, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის როლის დამკირება, მისი ადგილის გაურკვევლობა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია დესკრიპტივისტებისათვის.

უკიდურესი პოზიცია ეკავა ზ. ჰარისს, რომელიც, როგორც ვნახეთ, 1946 წ. მხოლოდ მორფემებს აღიარებდა რელევანტურად, სიტყვებს კი საერთოდ გამორიცხავდა. თეორიულად თითქოს იმავე პოზიციაზე დგას ჰარისი 1951 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „მეთო-

⁹⁷ Z. S. Harris, From Morpheme to Utterance. RiL, გვ. 142.

⁹⁸ G. Trager, The Field of Linguistics. Studies of Linguistics: Occasional papers, 1. 1949, გვ. 5.

⁹⁹ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, 1953, გვ. 137.

¹⁰⁰ Ch. F. Hockett, Linguistic Elements and Their Relations. «Language», 1961, v. 37, № 1.

დები სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში“; მაგრამ ამ სექტანიან გამოკვლევაში ავტორი ფაქტობრივად ვერ ახერხებს „სიტყვა“-ცნების მთლიანად გვერდის ავლას. მაგ., მისი შრომის მე-18 თავი, რომელიც კონსტრუქციებს ეხება, ავტორისავე სიტყვით, განიხილავს ისეთ კონსტრუქციებს. როგორცაა სიტყვა და ფრაზა¹⁰¹. სიტყვის გამოვლენა ჰარისის იმდროინდელი თვალსაზრისისთვის, არ იყო თანმიმდევრული¹⁰². თუ დასახელებულ ნაშრომში ჰარისი მაინც ეხება სიტყვას, — მხოლოდ გაკვრით და სხვათა შორის. აშკარად ჩანს, რომ ეს არ არის მისი გრამატიკული სისტემის ორგანული ნაწილი.

სიტყვებს რელევანტურად მიიჩნევენ გ. ტრეიგერი და ჰ. სმიტი¹⁰³, ი. ხაიდა, რომელმაც საგანგებო მონოგრაფია უძღვნა სიტყვათა მორფოლოგიურ აღწერას, ბ. ბლოკი იაპონური ენის სინტაქსში¹⁰⁴, ჩ. ფრიზი ინგლისურის წინადადებათა კონსტრუქციების აღწერის დროს, ჩ. ჰოკეტი და სხვ. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ენ-არბორის სკოლის წარმომადგენლებთან სიტყვის ღირებულება უფრო მეტად არის წარმოჩენილი, ვიდრე იელის სკოლის წარმომადგენლებთან.

მაგრამ მაშინაც, როდესაც სიტყვას არ გამორიცხავენ საენათმეცნიერო ცნებათა ინვენტარიდან, დესკრიპტივისტებს უჭირთ მისი ადგილის განსაზღვრა. სიტყვა არ არის ორგანულად ჩართული არც ენობრივ ერთეულთა იერარქიულ სისტემაში, არც ანალიზის პროცედურებში. მას მხოლოდ სპორადულად მიმართავენ გარკვეულ შემთხვევებში. ამასთან თვით სიტყვის რაობის გაგებაში აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა შეინიშნება.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ჰარისი თეორიულად სრულიად უგულებელყოფდა სიტყვას. ჰარისს არ ეთანხმება უელზი, რომელიც სიტყვას რელევანტურად მიიჩნევს უშუალო შემადგენელთა ანალიზისათვის¹⁰⁵. მაგრამ თვითონ თავისი თვალსაზრისის გადმოცემისა და უშუალო ანალიზის პრინციპთა დალაგებისას უელზი იყენებს არა სიტყვებს, არამედ მორფემებსა და მორფემათა თანმიმდევრობებს, რომლებიც შეიძლება სიტყვებსაც წარმოადგენდნენ და შესიტყვებებსაც.

¹⁰¹ Z. S. Harris, *Methods in Structural Linguistics*, 1955, გვ. 325.

¹⁰² 1962 წ. ნაშრომში *String Analysis of Sentence Structure* ჰარისმა სიტყვები რელევანტურად აღიარა.

¹⁰³ G. L. Trager and H. L. Smith, *An Outline of English Structure. Studies in Linguistics: Occasional papers*, 3. 1951.

¹⁰⁴ B. Bloch, *Studies in Colloquial Japanese, II: Syntax*. «Languages», 1946, v. 22.

¹⁰⁵ R. S. Wells, *Immediate Constituents*, RiL, გვ. 197.

ი. ნაიდას „მორფოლოგიაში“, რომლის ქვესათაურია „სიტყვის დესკრიფციული ანალიზი“, სიტყვა არ გვევლინება თვით მორფოლოგიის ძირითად ერთეულადაც კი, ვინაიდან, ავტორის განმარტებით, სიტყვა განსხვავებულია მორფოლოგიური კონსტრუქციისაგან¹⁰⁶, რომელიც მორფოლოგიაში შეისწავლება.

ორიოდე მაგალითი შეიძლებოდა დაგვესახელებინა სიტყვის სხვადასხვაგვარი გაგების საილუსტრაციოდ. თუ დესკრიპტივისტთა უმრავლესობისათვის მისაღებია ბლუმფილდის განსაზღვრება სიტყვისა.. როგორც მინიმალური თავისუფალი ფორმისა, ბ. ბლოკი სიტყვას მიიჩნევს მინიმალური პაუზის ჯგუფად¹⁰⁷ გ. ტრეივერი და ჰ. სმიტი კი განასხვავებენ ერთმანეთისაგან ფონემიკურ სიტყვასა და მორფემიკულ სიტყვას. მორფემიკულ სიტყვად ისინი მიიჩნევენ მორფემულ კომპლექსს, შედგენილს ერთი ძირისაგან, მისი თანმხლები სუფიქსებ-ისაგან (თუ ასეთები არიან) და სუპერფიქსისაგან¹⁰⁸. თუ ერთზე მეტი ძირი გვაქვს, მაშინ ფრაზასთან გვექნება საქმე; ამგვრად. ავტორების მიხედვით, რთული სიტყვები ფრაზებადაა ჩათვლილი და სინტაქსში შეისწავლება.

ჩ. ჰოკეტის აზრით, ენის გრამტიკული ასპექტის ელემენტარულ საშენ ბლოკებს წარმოადგენს მორფემები და არ სიტყვები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს სიტყვები უმნიშვნელო იყოს¹⁰⁹. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ლინგვისტური ელემენტებისადმი მიძღვნილ ნაშრომში ჰოკეტი საგანგებოდ არ ჩერდება სიტყვის საკითხზე, თუმცა გაკვირით აღნიშნავს, რომ არსებობს ელემენტთა იერარქია: წინადადებები → კლაუზები → ფრაზები → სიტყვები → მორფემები¹¹⁰. „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ კი ავტორი საგანგებოდ გამოყოფს თავს სიტყვათა შესახებ¹¹¹. მაგრამ მის მსჯელობას ამ საკითხზე გარკვეულობა აკლია. ავტორი განასხვავებს სიტყვებისაგან¹¹² მინიმალურ თავისუფალ ფორმებს, ლექსემებს და იდიომებს. ეს უკანასკნელები გვანან სიტყვებს, მაგრამ განსხვავდებიან კიდევაც მათგან,

¹⁰⁶ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. აქვე - ენათა მორფოლოგიური ანალიზი ი. ნაიდას მიხედვით სხვა დესკრიპტივისტთა პოზიციებთან შეპირისპირებით“.

¹⁰⁷ B. Bloch, Studies in Colloquial Japanese, II: Syntax. RiL, გვ. 155.

¹⁰⁸ G. L. Trager and H. L. Smith, An Outline of English Structure, გვ. 56.

¹⁰⁹ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 148.

¹¹⁰ Ch. F. Hockett, Linguistic Elements and Their Relations, გვ. 40.

¹¹¹ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 166—173.

¹¹² ჰოკეტის მიხედვით, სიტყვა არ არის მინიმალური თავისუფალი ფორმა. იგი განსაზღვრება პაუზისა და იზოლირებულობის მიხედვით (გვ. 166—167), ინტონაცია არ წარმოადგენს სიტყვის ნაწილს.

შესაძლებელია სიტყვებზე უფრო მცირე ან მეტი მოცულობისა იყვნენ. ძნელია ამ მრავალრიცხოვან, ერთმანეთის გადამკვეთ ცნებათა ურთიერთობაში გარკვევა, თითოეული მათგანისათვის გარკვეული ადგილის მიჩენა გრამატიკაში. რაც მთავარია, გაუგებარი რჩება სიტყვის ღირებულება და როლი¹¹³. ჰოკეტი არ მიმართავს სიტყვებს წინადადების ახალიზის დროს. იგი აქ მორფემებზე და მათ თანმიმდევრობებზე ლაპარაკობს.

ლიად რჩება სიტყვის რაობის საკითხი ჰ. გლისონის „დესკრიფციული ენათმეცნიერების შესავალში“¹¹⁴. ავტორი არაერთგზის ახსენებს ამ ცნებას, ემიჯნება მის ჩვეულებრივ, ტრადიციულ გაგებას, მაგრამ პოზიტიურ თვალსაზრისს სიტყვის რაობის შესახებ არ იძლევა.

4.2. გრამატიკის დარგები. მორფემისა და სიტყვის დაპირისპირება მკაფიოდ იჩენს თავს გრამატიკისა და მისი დარგების დახასიათების დროს. როგორც ითქვა, დესკრიპტივისტები გრამატიკის საგნად შორფემებსა და მათ თანმიმდევრობებს თვლიან, მაგრამ როდესაც საქმე ეხება გრამატიკის დაყოფას მორფოლოგიად და სინტაქსად, საჭირო ხდება გაირჩეს ერთმანეთისაგან მორფემათა თანმიმდევრობები, რომლებიც მორფოლოგიაში შეისწავლება, და თანმიმდევრობები, რომლებიც სინტაქსის საგანს წარმოადგენენ. აქ დესკრიპტივისტთა მეტი წილი მორფოლოგიის ობიექტად სიტყვას აცხადებს. სწორედ სიტყვა ქმნის სადემარკაციო ხაზს მორფოლოგიასა და სინტაქსს შორის. თუ ენას აქვს შედარებით ნათლად გამოკვეთილი ერთეული, რომელიც გარდამავალია მორფემასა და გამოთქმას შორის, ისეთი ტიპისა, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ სიტყვას, მაშინ ძთელი გრამატიკული აღწერა შეიძლება (მაგრამ აუცილებელი არაა) გაიყოს ორ ნაწილად: მორფოლოგიად, რომელიც განიხილავს მორფემათა განლაგებებს სიტყვებში, და სინტაქსად, რომელიც გა-

¹¹³ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში სიტყვის უგულებელყოფის შესახებ იხ. O. C. Axmanova, Г. Б. Микаэлян, *Современные синтаксические теории*. 1963, გვ. 13. Н. Д. Арутюнова, Г. А. Климов, Е. С. Кубрякова, *Американский структурализм. Основные направления структурализма*. 1964, გვ. 197—8, 211., ზოგიერთი ენათმეცნიერი სავსებით უარყოფს სიტყვის ღირებულებას, — შენიშნავს ჟ. გრინბერგი (J. H. Greenberg, *The Word as a Linguistic Unit. Psycholinguistics. A Survey of Theory and Research Problems*. Edited by Ch. E. Osgood and Th. A. Sebeok. Sec. Print. 1965, გვ. 66. უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვის, როგორც ენათმეცნიერების ძირითადი ცნების, ამოვარდნას ხელი შეუწყო ამერიკის ინდიელთა ენების სტრუქტურის სპეციფიკამაც. როგორც ცნობილია, ამ ენებში თავისებურად დგას როგორც სიტყვის, ისე წინადადების საკითხი.

¹¹⁴ Г. Глисон. Введение в дескриптивную лингвистику, 1958.

ნიხილავს სიტყვების განლაგებებს გამოთქმებში¹¹⁵.

ნაილას მიხედვით, მორფოლოგია სწავლობს მორფემათა ისეთ კომბინაციებს (არანეირებას), რომლებიც სიტყვებს ქმნიან, სინტაქსი შეისწავლის მორფემათა ისეთ კომბინაციებს, რომლებიც ფრაზებსა და წინადადებებს შეადგენენ¹¹⁶.

ჩაო წერს: ვიწრო გაგებით გრამატიკა ეხება მორფემათა განლაგების ასპექტს. მორფოლოგია შეისწავლის მორფემებისაგან შედგებილ სიტყვებს, ხოლო სინტაქსი შეისწავლის სიტყვებისაგან შედგენილ ფრაზებსა და წინადადებებს¹¹⁷.

მოყვანილ განსაზღვრებებში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ამოსავალ ცნებებს მაინც მორფემები და მათი თანმიმდევრობები წარმოადგენენ ან მორფოლოგიისათვის (ჰოკეტის, ჩაოს მიხედვით), ან მორფოლოგიისათვისაც და სინტაქსისათვისაც (ნაილას მიხედვით).

ამ პრინციპს თითქოს არღვევს რ. უელზის განსაზღვრა: გრამატიკა ვიწრო მნიშვნელობით იყოფა მორფოლოგიად და სინტაქსად. მორფოლოგია განიხილავს სიტყვათა შინაგან გრამატიკას, სინტაქსი კი მათ გარეგან გრამატიკას და სიტყვათა თანმიმდევრობას¹¹⁸.

აქ საყრდენი ცნება თითქოს სიტყვაა. მაგრამ თვით შინაგანი და გარეგანი გრამატიკა იმავე ავტორს განმარტებული აქვს მორფემათა თანმიმდევრობის საფუძველზე¹¹⁹.

სიტყვის გამოცხადება მორფოლოგიის საგნად არაფრით არ განსხვავდება ტრადიციული თვალსაზრისისაგან. მაგრამ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში დაბრკოლებას ის ქმნის, რომ სიტყვის პრობლემა საგანგებოდ არ დგას. მორფოლოგიის ძირითადი საკითხებია: მორფე-

¹¹⁵ Ch. F. Hockett, რეცენზია: E. Nida, Morphology. «Language», 1947, v. 23, № 3, გვ. 274. ანალოგიურად განსაზღვრავს მორფოლოგიას და სინტაქსს ჰოკეტის „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსშიც“, გვ. 177.

¹¹⁶ E. Nida, Morphology, გვ. 1, 72.

¹¹⁷ Y u e n R e n C h a o, Language and Symbolic Systems, 1966, გვ. 58.

¹¹⁸ R. S. W e l l s, Immediate Constituents. RiL, გვ. 197, შნშ. 33.

¹¹⁹ თანმიმდევრობის შინაგან გრამატიკას უელზი უწოდებს ყველა იმ თანმიმდევრობის კლასთა კლასს, რომელთაც ის ეკუთვნის. გარეგანი გრამატიკა კი იქნება ყველა იმ ფოკუსის კლასების კლასი, რომელთაც ეს თანმიმდევრობა ეკუთვნის (დასახ. შრ., გვ. 190).

ყოველ წინადადებაში უელზი გამოყოფს ფოკუსს და გარემოცვას. ფოკუსი არის ნებისმიერი თანმიმდევრობა, რომელიც განხილულია, როგორც შენაცულებადი სხვა თანმიმდევრობის მიერ. წინადადების დანარჩენი ნაწილი იქნება ამ თანმიმდევრობის გარემოცვა. ყველა იმ თანმიმდევრობათა კლასს, რომლებიც ენაცულებიან ფოკუსს მოცემულ გარემოცვაში, ეწოდება ფოკუსის კლასი ამ გარემოცვის მიმართ (იქვე, გვ. 189).

მათა სემანტიკა, იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია. ობიექტურად, ცხადია, მორფემები სიტყვებში გამოიყოფა, მაგრამ თვით ანალიზის დროს იგივე მკვლევრები, რომლებიც მორფოლოგიის საგნად სიტყვას აცხადებენ, იშვიათად ხმარობენ ამ ცნებას, ჩვეულებრივ, ისინი იყენებენ ტერმინს „გამოთქმა“, რომელიც შეიძლება სხვადასხვა მოცულობისა იყოს, სიტყვასაც უდრიდეს და შესიტყვებასაც.

მორფოლოგიაში „სიტყვის“ შემოტანის უხერხულობას, როგორც ჩანს, გრძნობს ზოგი დესკრიპტივისტი. ისინი გაურბიან ამ ტერმინს. პირველ ყოვლისა ეს ითქმის ჰარისის შესახებ, რომელიც აცხადებს ოა მორფემებს და მათ თანმიმდევრობებს მორფოლოგიის ობიექტად, თვით მორფოლოგია — სინტაქსის დიქტომიასაც კი არარელევანტურად მიიჩნევს¹²⁰.

სხვა ავტორებთანაც შეინიშნება ტენდენცია გვერდი აუარონ ტერმინი „სიტყვის“ ხმარებას იქ, სადაც სწორედ „სიტყვა“ იგულისხმება. მოვიყვანოთ ორ მაგალითს:

გ. ტრეიგერი, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, გრამატიკის ძირითად ელემენტებად მორფემებს მიიჩნევს, წერს: ბევრი ენისათვის მოხერხებულია აიწეროს მორფემების განლაგებათა გარკვეული სახეები ერთ დონეზე, ხოლო შემდეგ აიწეროს ასეთ წინასწარ აღწერილ განლაგებათა განლაგებანი სხვა მორფემებთან, რომლებიც არ შევიდნენ წინასწარ აღწერაში. პირველ დონეს ეწოდება მორფოლოგია, მეორეს — სინტაქსი¹²¹.

ჰ. გლისონიც გვეუბნება: გრამატიკა მოხერხებულობის თვალსაზრისით იყოფა მორფოლოგიად და სინტაქსად. მორფოლოგია აღწერს მორფემათა უფრო მჭიდროდ შერწყმულ შეერთებებს, იმას, რასაც, უხეშად რომ ვთქვათ, ჩვეულებრივ, „სიტყვებს“ უწოდებენ. სინტაქსი აღწერს უფრო მსხვილ შეერთებებს, რომლებშიც ძირითად ერთეულებად შედის ენის მორფოლოგიის განსაზღვრისას დახასიათებული შეერთებები¹²².

სწორედ იმის გამო, რომ როგორც მორფოლოგიის, ისე სინტაქსის ძირითად ერთეულებად მორფემები და მათი თანმიმდევრობებია მიჩნეული, დესკრიპტივისტები ერთხმად იმეორებენ, რომ მორფოლოგიისა და სინტაქსის მკაცრად გამიჯვნა არ ხერხდება. მათი თვალსაზრისით, მორფოლოგიური კონსტრუქციები და სინტაქსური

¹²⁰ ჰარისი „მორფოლოგიას“ ხმარობს, როგორც მოძღვრებას მორფემათა შესახებ. იგი ტრადიციულ მორფოლოგიასაც შეიცავს და სინტაქსსაც.

¹²¹ G. Trager, The Field of Linguistics, გვ. 5.

¹²² Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 99.

კონსტრუქციები თვისობრივად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს კი სადავო დებულებაა. მორფოლოგიურ კონსტრუქციებს სიტყვები ქმნიან, სინტაქსურს კი — შესიტყვებები. სიტყვებში მორფემათა მიმართებები და შესიტყვებებში სიტყვათა შორის მიმართებები არ არის ერთმანეთის იზომორფული, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მსგავსებებიც შეიძლება დადასტურდეს. სწორედ არსებული სწავლადანსხვაობა განაპირობებს მორფოლოგიისა და სინტაქსის ცალ-ცალკე დარგებად გამოყოფას. ასეთი დაყოფა უბრალოდ მოხერხებულობის საკითხი კი არაა, როგორც ამას ხშირად აღნიშნავენ დესკრიპტივისტები, არამედ შესასწავლი ობიექტების სპეციფიკით არის გაპირობებული.

ჩვენ საკმაოდ ურცლად მოგვიხდა სიტყვის საკითხზე შეჩერება. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ, ჩვეულებრივ, სიტყვა წარმოადგენს სინტაქსის მინიმალურ, დაუშლელ ერთეულს. როგორც დავრწმუნდით, დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ამ მინიმალური ერთეულის საკითხი არ არის მოგვარებული. არსებითად სიტყვა არ წარმოადგენს კვლევის ობიექტს. იგი უფრო ტრადიციით გადმოდის ძველი გრამატიკებიდან და ამიტომ, რომ დესკრიპტივისტები ხშირად ლაპარაკობენ „ე. წ. სიტყვების“ შესახებ, ბრკალებში ხმარობენ ამ ტერმინს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც გვერდს ვერ უვლიან ენის ამ რეალურ, ობიექტურად არსებულ ერთეულს და იმასაც ხშირად აღნიშნავენ, რომ სინტაქსის საბოლოო შემადგენლები სიტყვებია. მაგრამ ეს განცხადება არ ასახავს დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში არსებულ მდგომარეობას. სინტაქსში უშ-თა გამოყოფის დროს დესკრიპტივისტები არ ჩერდებიან სიტყვებზე, ისინი მორფემებით ამთავრებენ ანალიზს. ეს თვალსაჩინოდ ჩანს იმ დიაგრამებიდან და სქემებიდან, რომლებსაც დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლები გვთავაზობენ სინტაქსური ანალიზის საილუსტრაციოდ. ამიტომ ფაქტობრივ ვითარებას უფრო შეესაბამება ის შემთხვევები, როდესაც საბოლოო უშ-ებზე მსჯელობისას მორფემებს და მათთან მიმდევრობებს ასახელებენ და არა სიტყვებს¹²³. მაგრამ ამით საბოლოოდ იმლება ზღვარი მორფოლოგიასა და სინტაქსს შორის და სიტყვაც ძოლიანად ამოვარდნილია ანალიზიდან.

4.3. რას შეისწავლის სინტაქსი? სინტაქსის უმსხვილესი ერთეული ლ. ბლუმფილდისათვის იყო პირველ ყოვლისა ფრაზა ანუ შესიტყვება, ე. ი. ორი ან მეტი სიტყვის გაერთიანება. ამით სინტაქსი გარ-

¹²³ ასეთი ვითარებაა, მაგ., პოკეტის „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“, იხ. გვ. 160—162 და სხვ.

კვევით ემიჯნებოდა მორფოლოგიას, რომელიც ცალკე სიტყვას სწავლობდა. მაგრამ ბლუმფილდი არც წინადადებას გამორიცხავდა სინტაქსიდან. წინადადება კი, მისი გაგებით, ერთსიტყვიანიც შეიძლება იყოს და მეტიც. ეს თვალსაზრისი გატარებულია ბ. ბლოკისა და გ. ტრეიგერის „ლინგვისტური ანალიზის ნარკვევში“, სადაც სინტაქსი ბლუმფილდის დაწერილია. ამ ნაშრომის მიხედვით, სინტაქსი შეისწავლის სიტყვათა კომბინაციებს ფრაზებში და წინადადებებში¹²⁴. ფრაზა ეწოდება ორი ან მეტი სიტყვისაგან შედგენილ კონსტრუქციას¹²⁵, ხოლო წინადადება არის მოცემულ გამოთქმაში გამოხატულება, რომელიც არ იმყოფება კონსტრუქციაში გამოთქმის ნებისმიერ სხვა ნაწილთან¹²⁶. ინგლისურ ენაში წინადადებას წარმოადგენენ სრული გამოთქმები, რომლებიც ბოლოვდებიან ერთ-ერთი ინტონაციით ინგლისური ენის დამახასიათებელი ოთხი ინტონაციიდან. ზოგი წინადადება მხოლოდ ერთი სიტყვისაგან შედგება (მაგ. *Go! Jes!*), ზოგი — მეტისაგან¹²⁷.

ზემოთ ციტრებული ადგილებიდან ჩანდა, რომ ფრაზებსა და წინადადებებს მიიჩნევენ სინტაქსის უმსხვილეს ერთეულებად ნაიდა და ჩაო.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა დესკრიპტივისტი ასე არ ფიქრობს. სინტაქსის საგნად სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ერთეულს ასახელებს. ავტორთა მეტი წილი სხვადასხვა კონტექსტში წინადადებასაც ხმარობს და ფრაზასაც, მაგრამ გარკვევით არ მიუთითებს, თუ რომელია სინტაქსის ობიექტი.

საერთო ტენდენცია ისეთი ჩანს, რომ ფრაზა, როგორც სინტაქსის ძირითადი ერთეული, იშვიათად გვხვდება ბლუმფილდის მიმდევრებთან. ფრაზას და არა წინადადებას თვლიან სინტაქსის საგნად ტრეიგერი და სმიტი¹²⁸. სხვა ავტორების მიერ კი ფრაზა მხოლოდ გაკვრით, აქა-იქ ხმარება, როგორც არაძირითადი ცნება (მაგ. ჰარისის, პოკეტის, უელზის და სხვ. შრომებში).

თითქოს უფრო ხშირად აღიარებენ სინტაქსის ობიექტად წინადადებას. სინტაქსური ანალიზი წინადადების ანალიზთან აქვს გაიგივებული ბლოკს (თუმცა თვით ამ ცნების განსაზღვრებას ის არ იძლე-

¹²⁴ B. Bloch and G. L. Trager, *Outline of Linguistic Analysis*. 1947 (I გამოც. — 1942), გვ. 54.

¹²⁵ იქვე, გვ. 71.

¹²⁶ იქვე, გვ. 75.

¹²⁷ იქვე, გვ. 71.

¹²⁸ იქვე.

ვა¹²⁹), აგრეთვე ჩ. ფრიზს, რომლის შრომის ქვესათაურია: „შესავალი ინგლისურ წინადადებათა კონსტრუქციაში“. ფრიზს წინადადების განსაზღვრება ბლუმფილდისაგან აქვს აღებული¹³⁰. წინადადებებს ახსენებს და არა ფრაზებს უშ-თა საკითხის განხილვისას რ. უელზიც, მაგრამ ის არ მიუთითებს წინადადებაზე, როგორც სინტაქსის საგანზე. საერთოდ მის სტატიაში ძირითადი გასაანალიზებელი ერთეულებია მორფემები და მორფემათა თანმიმდევრობები.

გარდა ზემომოყვანილისა, დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ისეთი შეხედულებაც გვხვდება, რომ სინტაქსის ობიექტს წარმოადგენს გამოთქმა. ტერმინს „გამოთქმა“ (ანუ „გამოხატულება“) ბლუმფილდიც ხმარობდა. გამოთქმას იგი უწოდებდა მეტყველების აქტს. გამოთქმის მოცულობა, ბლუმფილდის მიხედვით, შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. იგი, შესაძლებელია, ერთი სიტყვისაგანაც შედგებოდეს, ფრაზებისგანაც და რამდენიმე წინადადებისგანაც. ამ შემთხვევაში წინადადება გამოთქმის ნაწილად მოგვევლინება და ამგვარად გასაგებია, რომ ბლუმფილდი გამოთქმას არ თვლიდა სინტაქსურ ერთეულად. დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ცნებამ „გამოთქმა“ ბევრად მეტი მნიშვნელობა მიიღო, ვიდრე ეს იყო ბლუმფილდთან. შეიძლება ითქვას, რომ მას ამ მხრივ კონკურენციას მხოლოდ მორფემათუ გაუწევს. „გამოთქმამ“ შეავიწროვა და ნაწილობრივ გადაკვეთა ტრადიციული ტერმინები „სიტყვა“ და „ფრაზა“ ან „წინადადება“.

გამოთქმას მიიჩნევს სინტაქსის საგნად ზ. ჰარისი¹³¹ (თუმცა ეს მკვლევარი საერთოდ წინააღმდეგია მორფოლოგიისა და სინტაქსის გამოიჯვნისა), აგრეთვე ჩ. ჰოკეტი, რომლის მიხედვითაც, სინტაქსი შეიცავს გზებს, რომლებითაც სიტყვები და სუპრასეგმენტური მორფემები არიან განლაგებული ერთმანეთის მიმართ გამოთქმებში¹³². მაგრამ ეგვევ ავტორი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს წინადადებებსაც, რომლებიც ცალკე თავშია გამოყოფილი და განსაზღვრულია ბლუმფილდისგებურად. ჰოკეტი, ისევე როგორც ჰარისიც, ფრაზასაც ხმარობს, როგორც არაძირითად ცნებას.

¹²⁹ G. Trager, H. Smith, An Outline of English Structure, გვ. 56, 59.

¹³⁰ Ch. F. Fries, The Structure of English. An Introduction to the Construction of English Sentences, გვ. 21.

¹³¹ ავტორის სიტყვით, სინტაქსური ანალიზის ერთი მთავარი ამოცანა არის აღწერის მოცემულ ენაში გამოთქმათა სტრუქტურა (Z. S. Harris, From Morpheme to Utterance, RiL, გვ. 142). ხოლო გამოთქმა არის საუბრის რომელიმე მონაკვეთი, რომლის წინ და შემდეგ არის სიჩუმე მოლაპარაკის მხრივ (Z. S. Harris, Methods in Structural Linguistics, გვ. 14).

¹³² Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 177.

კ. პაიკი სტატიაში „ტაქსემები და უშუალო შემადგენლები“, მართალია, საგანგებოდ სინტაქსის საგანზე არ მსჯელობს, მაგრამ სტრუქტურული ფენების გამოყოფისას იზოლირებულ გამოთქმას აიგივებს წინადადების ტიპთან¹³³.

ბოლოს, ცალკე უნდა გამოვყოთ ის მკვლევრები, რომლებიც თვლიან რა გრამატიკის საგნად მორფემებს და მათ განლაგებებს, როგორც ჩანს. შეგნებულად გაურბიან ობიექტად ფრაზის, წინადადების ან თუნდაც გამოთქმის დასახელებას, ისევე როგორც მორფოლოგიაში გაურბოდნენ „სიტყვის“ ხსენებას. ასეთი ვითარება გვაქვს გ. ტრეიგერის ნაშრომში. ამ ავტორის მიხედვით, როგორც ზემოთ ვნახეთ, მორფოლოგია შეისწავლის მორფემების განლაგებათა გარკვეულ სახეებს, სინტაქსი კი ასეთ წინასწარ აღწერილ განლაგებათა განლაგებებს სხვა მორფემებთან, რომლებიც არ შევიდნენ წინასწარ აღწერაში¹³⁴.

არც გლისონი მიუთითებს, თუ რას წარმოადგენს მორფემათა ის უფრო მსხვილი შეერთებები, რომლებსაც მორფოლოგიისაგან განსხვავებით სინტაქსი სწავლობს (იხ. აქვე, გვ. 354), მიუხედავად იმისა, რომ წინადადებას იგი ზოგჯერ ხმარობს თავის შრომაში.

ამგვარად, როგორც დავრწმუნდით, დესკრიფციულ ენამეცნიერებაში გაურკვეველია არა მხოლოდ სინტაქსის მინიმალური ერთეულის — სიტყვის — საკითხი, არამედ მაქსიმალური ერთეულის საკითხიც. ზოგი ავტორი ასეთ ერთეულებად ბლუმფილდზე დამყარებით ფრაზასა და წინადადებას თვლის, ზოგი მხოლოდ ფრაზას ან მხოლოდ წინადადებას, ზოგიც გამოთქმას გვთავაზობს სინტაქსის საგნად და, ბოლოს, ზოგი მკვლევარი საერთოდ არ მიუთითებს კონკრეტულად ასეთ ერთეულზე. ესაა მორფემათა თანმიმდევრობა, მაგრამ, სახელდობრ, როგორი, ეს აღნიშნული არა აქვთ. რაც მთავარია, დასახელებული ერთეულები არ არის მკაცრად განსაზღვრული და დახასიათებული.

4.4. წინადადების ტიპები. რადგანაც ბლუმფილდი წინადადებას სინტაქსის საგნად თვლიდა, ბუნებრივია, რომ სინტაქსის ერთ-ერთ

¹³³ K. L. Pike, *Taxemes and Immediate Constituents*, გვ. 69.

¹³⁴ რომ ამ განსაზღვრებებში „სიტყვა“ და „ფრაზა“ ან „წინადადება“ შემთხვევით არ არის გამოჩენილი, ეს ჩანს იქიდან, რომ ორიოდ სტრიქონის შემდეგ, როდესაც ლექსიკონის შესახებ მსჯელობს, გ. ტრეიგერი წერს: მორფემათა სიები შეადგენენ ლექსიკონს. ასეთი ლექსიკოლოგია ხშირად გადაღის ლინგვისტიკის ფარგლებიდან მეტალინგვისტიკაში. ასეა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩამოთვლა განიხილავს მორფემების განლაგებათა სახეობებს, რომელთაც ჩვეულებრივ ეწოდებათ სიტყვები და ფრაზები (ხაზი ჩვენია — თ. შ.). G. Trager, *The Field of Linguistics*, გვ. 5.

ამოცანად იგი წინადადების ტიპების დადგენას მიიჩნევდა. თვით ბლუმფილდს მხოლოდ ნიმუშები მოჰქონდა სხვადასხვა ენაში ყველაზე მეტად გავრცელებული წინადადების ტიპების საილუსტრაციოდ, სრული კლასიფიკაცია მას არც ერთი ენისათვის არ მოუცია.

დესკრიპტივისტთა მეტი წილი წინადადების ტიპთა კლასიფიკაციის საკითხს არც სვამს. ეს გასაგებია იმ მკვლევართა შრომებში, რომლებიც წინადადებას არ მიიჩნევენ სინტაქსის საგნად. ის ავტორები კი, რომლებიც ეხებიან წინადადების ტიპთა საკითხს (ასეთებია: ჰარისი, ჰოკეტი, ნაიდა, ფრიზი), არსებითად არ სცილდებიან ბლუმფილდის დონეს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე ეხება მხოლოდ ერთი ენის, კერძოდ, ინგლისურის, წინადადებებს (ნაიდას, ფრიზის შრომებში), მოწოდებული კლასიფიკაციები, როგორც ეს აღიარებულია სპეციალისტთა მიერ, სრულიადაც არ ამოწურავს ამ ენის ტიპებს.

ამგვარად, ამჟამად, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლებს წინადადების ტიპთა კლასიფიკაციის თვალსაზრისით ბლუმფილდთან შედარებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადაუდგამთ წინ. ეგვევ ითქმის ფრაზების სახეობათა შესახებაც. დესკრიპტივისტები ან სრულიად არ ეხებიან ფრაზებს, ან არა და, თუ ამ საკითხს განიხილავენ, ბლუმფილდის მიერ დასახელებულ ტიპებს იმოწმებენ.

5. რა ტარმინებით ხდება სინტაქსური აღწერა?

დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში სინტაქსი აიწერება კონსტრუქციების, ფორმალური კლასებისა და უშუალო შემადგენელთა ტერმინებით.

5.1. კონსტრუქციები. ბლუმფილდი ჯერ კიდევ 1926 წ. შემდეგნაირად განსაზღვრავდა კონსტრუქციას: „განლაგებათა გამეორებული იგივეობები არის კონსტრუქციები“¹³⁵. ხოლო სინტაქსური კონსტრუქციები, მისივე სიტყვით, არის თავისუფალ ფორმათა (და ფრაზის ფორმანტთა) კონსტრუქცია ფრაზაში¹³⁶.

ამგვარად, კონსტრუქცია წარმოადგენს გრამატიკულ ყალიბს, ფორმას, რომელშიაც გაერთიანებულია მორფოლოგიური ან სინტაქსური ერთეულები. ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს ავტორის უფრო გვიანდელი განსაზღვრებიდან: როდესაც ორი ან, იშვიათად, რამდენიმე ფორმა წარმოითქმის ერთად, როგორც რომელიმე რთული ფორმის შემადგენლები, მაშინ გრამატიკული წესები, რომლებიც მათ აერთიანებს, შეადგენენ კონსტრუქციას¹³⁷.

¹³⁵ L. Bloomfield, A Set of Postulates for the Science of Language, RiL, გვ. 28.

¹³⁶ იქვე.

¹³⁷ L. Bloomfield, Language, გვ. 169.

კონსტრუქციის ბლუმფილდისეული გაგება მეტწილად გაზიარებულია დესკრიპტივისტების მიერ¹³⁸. მაგრამ, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში ვნახეთ, აქაც გვხვდება ბლუმფილდის თვალსაზრისიდან მეტ-ნაკლები გადახვევები.

ასე. მაგ., უელზი ბლუმფილდის „კონსტრუქციის“ ნაცვლად ორ ცნებას ხმარობს: „კონსტიტუტს“ და „კონსტრუქციას“.

კონსტიტუტს იგი განსაზღვრავს, როგორც ნებისმიერ თანმიმდევრობას, რომელიც შედგენილია ორი ან მეტი უშ-ისაგან¹³⁹, ხოლო კონსტრუქციის შესახებ უელზი წერს: გრამატიკოსმა უნდა შეიტანოს თავის მონაცემებში რაღაც მეტი, ვიდრე მორფემები და მათი თანმიმდევრობებია. ეს რაღაც მეტი არის გრამატიკული რიგი და მას ეწოდება კონსტრუქცია. ავტორი იქვე მიუთითებს, რომ მისი განსაზღვრება კონსტრუქციისა არ ემთხვევა ბლუმფილდისას, თუმცა ორივე წარმოადგენს იმის განზოგადებას, რაც იგულისხმება ტრადიციული გრამატიკის ისეთ გამოთქმაში, როგორიცაა 'აბლატიუვი აბსოლუტური კონსტრუქცია'¹⁴⁰.

უელზის მიერ მოცემული განსაზღვრება კონსტიტუტისა წარმოადგენს ბლუმფილდისეული განსაზღვრების პირველი ნაწილის პარაფრაზს. ორივე განსაზღვრებაში ორ ან მეტ შემადგენელთან გვაქვს საქმე. თუ კონსტიტუტის უელზისეული განსაზღვრებიდან ამოვიღებთ ორი ან მეტი უშუალო შემადგენლისაგან შედგენილობას, მაშინ ამ ცნებას არავითარი სპეციფიკური ნიშანი აღარ რჩება, კონსტიტუტი ემთხვევა თანმიმდევრობას და ის ზედმეტი ჩანს.

ეგვევ არ ითქმის ბლუმფილდის კონსტრუქციის შესახებ. ეს უკანასკნელი, განსაზღვრების მიხედვით, ხასიათდება იმ გრამატიკული თვისებებით, რომლებითაც შემადგენლები არიან დაკავშირებული.

ეს მხარე უელზს კონსტიტუტის განსაზღვრებაში არ შემოუტანია, მაგრამ იგი გათვალისწინებული აქვს კონსტრუქციის განსაზღვრებაში. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქციის უელზისეულ განსაზღვრებას გარკვეულობა აკლია. კონსტრუქციაში იგულისხმება გრამატიკული 'რიგი' ანუ მორფემათა არანეირება. ეს შეესატყვისება ბლუმფილდის ზემომოყვანილ „გრამატიკულ თვისებებს, რომლებითაც შემადგენლები არიან შეკავშირებული“. ამიტომ არ არის ნათელი, რატომ მიუთითებს საგანგებოდ უელზი, რომ კონსტრუქციის მისეული განსაზღვრება არ ემთხვევა ბლუმფილდისას. ორივე ავტორთან იგულის-

¹³⁸ კერძოდ, ეს გაგება უდევს საფუძვლად ჰარისის მსჯელობას ამ საკითხზე.

¹³⁹ R. S. Wells, Immediate Constituents, RiL, გვ. 188.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 193.

ხმება გრამატიკული ყალიბი ანუ სტრუქტურა, რომელიც ამა თუ იმ რთულ ფორმას ქმნის.

ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ ზედმეტად გვეჩვენება კონსტრუქციის გვერდით კონსტიტუტის ცნებას შემოტანა, ხოლო რაც შეეხება თვით კონსტრუქციას, მისი გაგება უელზის ნაშრომში ბლუმფილდთან შედარებით დაბნელებულია.

პოკეტიკ მიჯნავს ერთმანეთისაგან კონსტრუქციას და კონსტრუქტუს, მაგრამ იგი უელზისაგან განსხვავებულ შინაარსს დებს ამ ცნებებში. პოკეტის მიხედვით, კონსტრუქცია არის მოდელი სპეციფიკური კლასის უშუალო შემადგენელთაგან სპეციფიკური ფორმალური კლასის რთული ფორმების შესაქმნელად. სპეციფიკური კონსტრუქციის აღწერა ამტკიცებს, რომ „ასეთი და ასეთი ფორმალური კლასის ნებისმიერი წევრი, შეერთებული გარკვეული სხვა ფორმალური კლასის ნებისმიერ წევრთან, წარმოქმნის ფორმას, რომელიც ეკუთვნის მესამე ფორმალურ კლასს“¹⁴¹.

რთული ფორმის უშ-ები ერთმანეთთან დგანან გარკვეულ კონსტრუქციაში, — განაგრძობს ავტორი. რთულ ფორმას, რომელიც შედგენილია უშ-ებისაგან კონსტრუქციის საშუალებით, აგრეთვე ეწოდება კონსტიტუტი¹⁴².

ზემომოყვანილი ადგილებიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ პოკეტი „კონსტრუქციას“ იმავე მნიშვნელობით ხმარობს, როგორც ბლუმფილდი ხმარობდა. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. თუ ბლუმფილდი ლაპარაკობს წინადადების ან ფრაზის კონსტრუქციის შესახებ, პოკეტის მიხედვით ამ ცნების მნიშვნელობა უფრო ვიწროა, იგი სინტაგმის მოდელს წარმოადგენს და არა წინადადებისას. ამაში გვარწმუნებს მისი შემდეგი სიტყვები:

კონსტრუქციები წარმოადგენენ უფრო მცირე მოდელებს, რომელთაგანაც წარმოქმნილია მთლიან წინადადებათა მოდელები. She bought a new hat 'მან იყიდა ახალი ქული' და He likes the old man 'მას უყვარს მოხუცი კაცი' გვანან ერთმანეთს იმით, რომ მათში მონაწილეობს კონსტრუქციათა ერთი და იგივე ბუდე. ასე, new | hat და old | man წარმოქმნილია ერთი და იმავე კონსტრუქციებით, ხოლო a | new hat და the | old man წარმოქმნილია ორი უაღრესად მსგავსი კონსტრუქციით¹⁴³.

¹⁴¹ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 164.

¹⁴² იქვე, გვ. 164. ავტორი შენიშნავს, რომ „კონსტიტუტის“ ნაცვლად ზოგი გრამატიკოსი ხმარობს „კონსტრუქტს“, ზოგი კი „კონსტრუქციას“ იყენებს, როგორც „კონსტიტუტის“, ისე „კონსტრუქციისა“ ძველ-რუსულ ენაში, გვ. 165.

¹⁴³ იქვე, გვ. 164.

თუ, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ყველა დასახელებულ ავტორთან კონსტრუქცია ფორმალური ცნებაა, ენის გრამატიკულ მოდელს, სტრუქტურას უდრის, ჰ. გლისონის შრომაში სწორედ ეს მხარე არ არის გათვალისწინებული. ავტორი კონსტრუქციას განსაზღვრავს მნიშვნელობაზე დამყარებით. მისი განსაზღვრებით, კონსტრუქცია არის სიტყვათა (ან მორფემათა) ნებისმიერი, მნიშვნელობის მქონე ჯგუფი¹⁴⁴.

ვფიქრობთ, ზემომოყვანილი გამონათქვამები საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ კონსტრუქციის ცნება დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში დაბნეულა. მართებული ჩანს სტრიტის შენიშვნა, ტერმინი კონსტრუქცია გამოყენებული იყო ძლიერ განსხვავებული მნიშვნელობით და ხშირად ორაზროვნად იხმარებოდა ერთი და იმავე ავტორის შრომაშიაცო¹⁴⁵.

ამავე დროს დესკრიპტივისტები ერთხმად აღიარებენ, რომ კონსტრუქციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ უშ-თა მიხედვით ანალიზისათვის. უელზი კონსტრუქციათა მნიშვნელობას იმაში ხედავს, რომ უშ-თა ანალიზმა უნდა ასახოს კონსტრუქცია¹⁴⁶. ხოლო სტრიტის აზრით, ბევრ შემთხვევაში იმის გადაწყვეტა, თუ სად უნდა გავყოთ უშ-ები, დამოკიდებული იქნება ნაწილობრივ მაინც კონსტრუქციის განსაზღვრებაზე¹⁴⁷.

ცხადია, თუ კონსტრუქცია სხვადასხვაგვარად არის გაგებული, მასზე დამყარებული უშ-თა ანალიზიც ვერ იქნება ერთგვარი დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში.

5.2. კონსტრუქციათა ტიპები. მიუხედავად იმისა, რომ დესკრიპტივისტთა მეტი წილი კონსტრუქციებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უშ-თა ანალიზისათვის, კონსტრუქციათა ტიპები მათ შრომებში საგანგებო მსჯელობის საგანი იშვიათადაა, მაშინ როდესაც ბლუმფილდი კონსტრუქციათა ტიპებს საკმაო ყურადღებას უთმობდა.

დესკრიპტივისტების ნაწილი სინტაქსური ანალიზის მიმოხილვისას სრულიად არ ახსენებს კონსტრუქციათა ტიპებს. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, ჰ. გლისონის „დესკრიფციული ენათმეცნიერების შესავალში“. რ. უელზს თავის სტატიაში თუმცა საგანგებო თავი აქვს დათმობილი კონსტრუქციებისათვის, მაგრამ აქ ლაპარაკია კონსტრუქციის ცნების შესახებ, კონსტრუქციების ჩამოთვლა კი ავტორს მომავ-

¹⁴⁴ Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 190.

¹⁴⁵ J. C. Street, Immediate Constituent Analysis, გვ. 112.

¹⁴⁶ R. S. Wells, Immediate Constituents. RiL, გვ. 195.

¹⁴⁷ J. C. Street, დასახ. შრ., გვ. 112. შდრ., აგრეთვე, გვ. 91.

ლისათვის აქვს გადადებული¹⁴⁸. ტრეიგერისა და სმიტის „ინგლისურის სტრუქტურის ნარკვევში“ კონსტრუქციებისადმი მიძღვნილ პარაგრაფში მხოლოდ ზმნურ ფრაზებზეა ლაპარაკი, ხოლო სხვა კონსტრუქციები მიმოხილული არ არის¹⁴⁹.

ჩვეულებრივ, სხვა ავტორებიც (მაგ., პაიკი, პიტმენი...) თუ ეხებიან კონსტრუქციებს, კმაყოფილებიან ბლუმფილდის მიერ გამოყოფილი ამა თუ იმ კონსტრუქციის ილუსტრირებით.

შედარებით სრულად განიხილავენ კონსტრუქციათა კლასიფიკაციას ნაილა და პოკეტი. პირველ მათგანს ინგლისური ენის კონსტრუქციები აინტერესებს. იგი თავისი შრომის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში წერს, ეს ნაშრომი ჯერ კიდევ წარმოადგენს ინგლისური კონსტრუქციების ყველაზე უფრო ექსტენსიურ მიმოხილვას უშ-თა ტერმინებით¹⁵⁰. პოკეტი კი „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ უფრო ზოგადად განიხილავს კონსტრუქციათა ტიპებს¹⁵¹. ორივე ავტორი მთლიანად ბლუმფილდის კლასიფიკაციას ემყარება და მას მხოლოდ ზოგიერთ დეტალს უმატებს.

5.8. ფორმალური კლასები. მეტყველების ნაწილები. ბლუმფილდის მოძღვრების დალაგებისას ნათქვამი იყო, რომ ყველაზე ფუნდამენტალურ ფორმალურ კლასებს, რომელთა საშუალებითაც უნდა აიწეროს სინტაქსური კონსტრუქციები, ამ მკვლევრის მიხედვით, წარმოადგენს მეტყველების ნაწილები. ეს დებულება გაზიარებულია თითქმის ყველა დესკრიპტივისტის მიერ. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ბლუმფილდის ეს დებულება, რომელსაც საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ენათმეცნიერებაში, უაღრესად სადავოა. მეტყველების ნაწილები ძირითადად მორფოლოგიურ ნიშანს ეფუძნება. სინტაქსს კი ესაჭიროება სიტყვათა სინტაქსური კლასები. ასეთია თავისი მოწოდებით (მაგრამ არა ამჟამინდელი სახით) წინადადების წევრები.

ბლუმფილდი და მისი მიმდევარი დესკრიპტივისტები ცდილობენ მეტყველების ნაწილთა გამოყოფისას მორფოლოგიური კრატერიუმის გვერდით სინტაქსურიც გამოიყენონ და ამ მიზნით ითვალისწინებენ მეტყველების ნაწილთა პოზიციებს, რამაც მათი სინტაქსური ფუნქცია უნდა განაზღვროს. მაგრამ სწორედ ის არის დასამტკიცებელი, თითქოს ადგილი ჰქონდეს მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით გამოყოფილ დაჯგუფებათა შორის პარალელიზმს. ფაქტობრივ-

¹⁴⁸ R. S. Wells, *Immediate Constituents*, RiL, გვ. 207.

¹⁴⁹ G. Trager and H. Smith, *Outline of English Structure*, გვ. 72—80.

¹⁵⁰ E. A. Nida, *A Synopsis of English Syntax*. Second, revised edition. 1966, გვ. 6.

¹⁵¹ Ch. F. Hockett, *A Course in Modern Linguistics*, გვ. 183—189.

ვი ვითარება ასეთ ვარაუდს არ ამართლებს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სიტყვათა მორფოლოგიური და სინტაქსური კლასიფიკაციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ნაიდას შენიშვნა იმის შესახებ, რომ ბერძნულსა და ლათინურში არსებობს შესატყვისობა „ფორმალურ კლასებსა“ და „ფუნქციურ კლასებს“ ანუ მორფოლოგიური დონისა და სინტაქსური დონის კლასებს შორის, მაგრამ ასეთივე ვითარება არაა ინგლისურში, სადაც ერთი და იმავე ფორმალური (ე. ი. მორფოლოგიური — თ. შ.) კლასის წევრები, შესაძლებელია, სხვადასხვა სინტაქსურ ანუ დისტრიბუციულ კლასში მოგვევლინონ. ამიტომ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს ინგლისურში მკაფიოდ გაიჩეს მორფოლოგიური და სინტაქსური დონეები და ფორმალური კლასები გამოაყოს დისტრიბუციების მიხედვით¹⁵².

ამ მსჯელობას თითქოს სინტაქსში მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის გამოყენების უარყოფამდე უნდა მიეყვანა ავტორი, მაგრამ ასე არ მოხდა. ნაიდა, ისევე, როგორც სხვა დესკრიპტივისტები, მეტყველების ნაწილთა ტერმინებით აღწერს სიტყვათა სინტაქსურ კლასებს, თუმცა შენიშნავს, ინგლისურისათვის ახალი ტერმინები გახდა საჭირო, ზოგჯერ კი ძველი ტერმინებია ნახმარი ახალი მნიშვნელობით¹⁵³.

ფრიზი მეტყველების ნაწილებს წინადადებაში გამოვლენის პოზიციის, ე. ი. სინტაქსური ფუნქციის, მიხედვით გამოყოფს, მაგრამ ისიც ვერ ახერხებს ბოლომდე გაწყვიტოს კავშირი მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაციასთან და თვითონვე მიუთითებს, რომ გამოყოფილი კლასები შეესატყვისება არსებით სახელებს, ზმნებს, ზედსართავეებს, ზმნისართებს, თუმცა ყოველთვის არ ემთხვევა მათ¹⁵⁴.

მეტყველების ნაწილთა მიჩნევას ძირითად სინტაქსურ ფორმალურ კლასებად დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ერთი უხერხულობაც ახლავს, რაც ბლუმფილდთან ისე მკაფიოდ არ ყოფილა გამოვლენილი. საქმე ისაა, რომ დესკრიპტივისტებმა, როგორც დავრწმუნდით, მეტისმეტად დაამცირეს სიტყვის როლი ენის გრამატიკულ წყობაში. ამის შემდეგ არათანმიმდევრული ჩანს ის, რომ ფუნდამენტალურ ფორმალურ კლასებად სინტაქსშიც კი მეტყველების ნაწილები, ე. ი. სიტყვები გვევლინება.

როგორც ჩანს, ამ უხერხულობის თავიდან აცილებას ცდილობს

¹⁵² E. A. N i d a, A Synopsis of English Syntax, გვ. 50, 169.

¹⁵³ იქვე, გვ. 50—51.

¹⁵⁴ Ch. F. F r i e s, The Structure of English, გვ. 87.

ზოგიერთი დესკრიპტივისტი. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ პოკეტი მეტყველების ნაწილებად მიიჩნეეს ფუძეთა ფორმალურ კლასს, რომელიც გვიჩვენებს მსგავს ქცევას ფლექსიაში, სინტაქსში ან ორივეში. ხოლო სიტყვის მეტყველების ნაწილი, ამავე ავტორის აზრით, წარმოადგენს მისი ფუძის მეტყველების ნაწილს¹⁵⁵.

ამ შეხედულების გაზიარება ძნელია. კარგად არის ცნობილი, რომ ერთი და იგივე ფუძე შეიძლება სახელადაც გაფორმდეს და ზმნადაც (მაგ., თამაში—თამაშობს. ასეთი მაგალითები განსაკუთრებით ხშირია ინგლისურში). ფუძე კი არ მიეკუთვნება ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს, არამედ გაფორმებული სიტყვა მთელი მისი ფლექსიითურთ.

ზოგი სხვა დესკრიპტივისტი მეტყველების ნაწილებს მორფემათა კლასებს ან მორფემათა თანმიმდევრობის კლასებს უტოლებს. ასეთი ვითარება გვაქვს ზ. ჰარისთან¹⁵⁶, აგრეთვე რ. უელზთან, რომელიც ამ საკითხში ჰარისს მისდევს¹⁵⁷.

ჩვენი აზრით, აქაც ვლინდება ტენდენცია გვერდი აევილოს სიტყვებს, როგორც ენის სტრუქტურის ძირითად ერთეულებს, და მათ აღვიღას წამოიწიოს მორფემები.

სხვა დესკრიპტივისტები (ბლოკი, ტრეიგერი, სმიტი, ჩაო...) გარკვევით აღიარებენ. რომ მეტყველების ნაწილები სიტყვათა კლასებია.

ამგვარად, პრინციპულად არ არის გამართლებული სინტაქსური აღწერის საფუძვლად მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის გამოცხადება. საინტერესო დეტალია, რომ საკითხს წინადადების წევრთა შესახებ დესკრიპტივისტები (ისევე როგორც ბლუმფილდიც) საერთოდ არ სვამენ, ასე რომ არ არის ნათელი, თუ რა მოსაზრებით ამბობენ ისინი უარს წმინდა სინტაქსური თვალსაზრისით სიტყვათა კლასიფიკაციაზე.

5.4. უშუალო შემადგენლები. თუ ბლუმფილდის შრომაში უშვებო კონსტრუქციებისა და მათი თანმიმდევრული ფენების დაშლას ემსა-

¹⁵⁵ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 221.

¹⁵⁶ ჰარისის შეხედულების ანალიზი იხ. აქვე, „მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია და სუბსტიტუციის მეთოდი დესკრიპციული ენათმეცნიერების სინტაქსში“.

¹⁵⁷ რ. უელზი თვითონ შენიშნავს, რომ მეტყველების ნაწილები მის მიერ გამოყოფილ ფოკუსის კლასებს შეესაბამება (Immediate Constituents, RiL, გვ. 190). ჩვენ გვეჩვენება, რომ ეს მთლად ზუსტი არაა. მეტყველების ნაწილები მთლიანად არ ემთხვევა უელზის მიერ გამოყოფილ კლასებს, მაგრამ გადაკვეთს არა ფოკუსის კლასებს, არამედ მორფემულ კლასებსა და თანმიმდევრობის კლასებს, როგორც ეს ჰარისთანაა. ამასთან არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ფოკუსის კლასებიც, უელზის მიხედვით, თანმიმდევრობის კლასებს წარმოადგენს, ოღონდ ესაა არაეკვივალენტური თანმიმდევრობის კლასები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან ერთსა და იმავე გარემოცვაში.

ხურებოდა, მომდევნო თაობის დესკრიპტივისტებთან უშ-თა პრობლემამ თავისთავადი მნიშვნელობა შეიძინა. ამიტომ უშ-ებზე მსჯელობა შესაძლებლად იქნა მიჩნეული იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არის დადგენილი არც კონსტრუქციითა კლასები და არც შემადგენელთა კლასები. 40-იან წლებში უშ-თა საკითხისადმი მიძღვნილ სტატიებში და შემდგომშიც ბევრ მონოგრაფიაში, სადაც სინტაქსური ანალიზია მოცემული, ხშირად უშ-ების მიხედვით ანალიზი არ ემყარება კონსტრუქციითა და შემადგენელთა ტიპებს.

უშ-თა შესახებ მსჯელობისას დისკრიპტივისტთა ყურადღება მიიქცია რამდენიმე სპეციალურმა საკითხმა, რომელთაგან აღვნიშნავთ შემდეგს:

ა) უშ-თა რაოდენობის საკითხი. რამდენი უშ შეიძლება გვქონდეს ერთ სტრუქტურულ ფენაში? არავინ დაობს იმაზე, რომ, ჩვეულებრივ, ორი უშ გამოიყოფა, მაგრამ საკამათოა საკითხი, შეიძლება თუ არა გვხვდებოდეს ერთი ან მრავალი უშ.

ბლუმფილდი უშვებდა ერთი უშ-ის არსებობას. მას ეთანხმებიან ჰაიკი, ნაიდა და ბლოკი. მაგრამ სხვა დესკრიპტივისტები არ გამოყოფენ ერთ უშ-ს.

ერთი უშ-ის აღიარება წინააღმდეგობას ქმნის უშ-თა განსაზღვრებასთან. უშ-ები ხომ რთული ფორმის ნაწილებია. რთული ფორმა კი ორ ერთეულად მაინც უნდა გაიყოს. ერთი შემადგენელი იმას ნიშნავს, რომ ფორმა მარტივია, დაუშლელი. მაგრამ მაშინ შემადგენლებზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტი ჩანს.

უფრო მეტი დავის საგანია რამდენიმე უშ-ის საკითხი. დესკრიპტივისტთა უმრავლესობა ან მხოლოდ ორ უშ-ს გამოყოფს, ან უპირატესობას ანიჭებს ბინარულ უშ-ებად დაშლას¹⁵⁸. უშ-თა ბინარული განხილვის წინააღმდეგ გაილაშქრა კ. ბაზელმა, აგრეთვე ლონგაკრმა, რომელმაც შემადგენელთა ჯაჭვებში ორზე მეტი შემადგენელი დაუშვა, და ზოგმა სხვა მკვლევარმა.

¹⁵⁸ მაგ., ნაიდას მიხედვით, ლინგვისტური სტრუქტურა მიისწრაფვის იყოს ბინარული (ე. ი. შედგებოდეს ორგანზომილებიანი კონსტრუქციებიდან). ანალიზის დროს ჩვენ ვეარაუდობთ, რომ ცალკეული კონსტრუქცია შედგება ორი უშუალო შემადგენლისაგან მანამ, სანამ არ წავაწყდებით ისეთ შემთხვევას, სადაც ასეთი დაყოფა შეუძლებელი იქნება (E. Nida, Morphology, გვ. 92). შდრ. იმავე ავტორის: ანალიზის ნებისმიერ დონეზე არსებობს მხოლოდ ორი უშუალო შემადგენელი (The Analysis of Grammatical Constituents, გვ. 171). ავტორი მაინც უშვებს იშვიათ კონსტრუქციებს, რომლებიც ორზე მეტ შემადგენლიანია. ესაა სერიული კოორდინაციული ტიპის კონსტრუქციები. ფრიზი წერს: ინგლისურში სტრუქტურის ერთ ფენას, ჩვეულებრივ, აქვს მხოლოდ ორი წევრი (Ch. C. Fries, The Structure of English, გვ. 264).

დამახასიათებელია, რომ ამ საკითხის განხილვისას კონკრეტულ ენათა კონსტრუქციებს ნაკლებად იმოწმებენ. საკითხი ზოგადად, აბსტრაქტულად წყდება იმას მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უნდა მივიჩნიოთ უპირატესად ბინარული თუ ტერნარული და ა. შ; მაშინ როდესაც, ჩვენი აზრით, ამოსავალი უნდა იყოს იმ კონსტრუქციების ანალიზი, რომლებიც გვხვდება ამა თუ იმ ენაში.

ბ) უ შ უ ა ლ ო შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა ს ა ხ ე ე ბ ი. დესკრიპტივისტებმა დააზუსტეს შემადგენელთა ტიპები: ისინი ყველაზე გავრცელებულ უწყვეტ ბინარულ შემადგენელთა გვერდით შემადგენელთა შემდეგ სახეებს გამოყოფენ: 1. წყვეტილი შემადგენლები, რომლებიც კონსტრუქციის არამეზობელ წევრებს შეიცავენ. 2. მრავალრიცხოვანი შემადგენლები, სადაც ორზე მეტი უშ-ია. 3. ერთდროული შემადგენლები, რომლებიც მოიცავენ ინტონაციას, მახვილსა და შეერთებას, ე. ი. პროსოდიულ ანუ სუპრასეგმენტულ თვისებებს. აღსანიშნავია, რომ ამ პუნქტში დესკრიპტივისტები განსხვავდებიან ბლუმფილდისაგან. ამ უკანასკნელს პროსოდიული თვისებები სინტაქსურ მიმართებათა გამომხატველად მიაჩნდა (მოდულაციის ტაქსემა) და შემადგენლებად არ თვლიდა მათ.

ყურადღებას იქცევს ჰოკეტის მიერ გამოყოფა სტრუქტურული მარკერის ანუ სიგნალისა, რომელიც არ წარმოადგენს შემადგენელს. ასეთია მაგ., კავშირი „და“¹⁵⁹. გამოდის, რომ თუ სხვა დესკრიპტივისტთა მიხედვით ყოველი კონსტრუქცია მთლიანად იშლება შემადგენლებად, ჰოკეტის თვალსაზრისით, ზოგი ერთეული შემადგენელთა გარეთ დგას.

გ) ო მ ო ნ ი მ უ რ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ე ბ ი და მ ა თ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ე ბ ი. დესკრიპტივისტებმა გაამახვილეს ყურადღება ორაზროვან ანუ ომონიმურ კონსტრუქციებზე. უკვე პაიკის, ჰარისის, უელზის მიერ სინტაქსისადმი მიძღვნილ ადრინდელ სტატიებში მოცემულია ორაზროვანი ანუ ომონიმური კონსტრუქციების ანალიზის ცდა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ორაზროვანი კონსტრუქცია სხვადასხვაგვარად გაიკვეთოს უშ-ებად მისი მნიშვნელობების შესაბამისად. ასე, მაგ., the king of England's isle 'ინგლისის კუნძულის მეფე' და the king of England's | isle 'ინგლისის მეფის კუნძული'¹⁶⁰. პაიკი შენიშნავდა, რომ ასეთი ცდა ყოველთვის წარმატებით ვერ მთავრდება. უელზის აზრით, გარკვეულ დრომდე უშ-თა ანალიზი არ განიხილავს მნიშვნელობას, მაგრამ შემდეგ მნიშვნელობის გათვალისწინება აუცილებელი ხდება, ვინაიდან ძალიან ხშირად ერთსა და იმავე

¹⁵⁹ Ch. F. Hockett, *A Course in Modern Linguistics*, pp. 153—4.

¹⁶⁰ K. L. Pike, *Taxemes and Immediate Constituents*, pp. 78.

თანმიმდევრობას სხვადასხვა გამოვლენის დროს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს¹⁶¹. ასეთ შემთხვევებში, გვეუბნება ავტორი, თანმიმდევრობას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული უშ-თა ანალიზი. მას მიაჩნია, რომ უშ-ებად ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციათაგანია აღმოვაჩინოთ ფორმალური განსხვავება, რომელიც შეესაბამება სემანტიკურს. შესაბამისად იგი ომონიმურ კონსტრუქციებს: 1) მოხუცი კაცები და ქალები (= მოხუცი კაცები და მოხუცი ქალები) და 2) მოხუცი კაცები და ქალები (= ქალები და მოხუცი კაცები) ორგვარად შლის უშ-ებად. პირველი მნიშვნელობის შესაბამისად გვექნება: მოხუცი I კაცები და ქალები, ხოლო მეორისა — მოხუცი კაცები I და I ქალები, ე. ი. პირველ შემთხვევაში ორი უშ გვექნება, მეორეში კი — სამი¹⁶².

როგორც ცნობილია, ორაზროვან კონსტრუქციათა ანალიზს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტრანსფორმაციული ანალიზის სკოლა, რომელიც 50-იან წლების II ნახევარში ჩამოყალიბდა ამერიკაში. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ კონსტრუქციათა საკითხი უკვე დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში დაისვა ჯერ კიდევ 40-იან წლებში¹⁶³.

თეორიული თვალსაზრისით აქ მეტად საყურადღებო საკითხი ჩნდება: რა მიმართებაშია შესიტყვების (კერძოდ, წინადადების) მნიშვნელობა მის ფორმასთან, ყოველთვის არსებობს თუ არა მათ შორის სრული პარალელიზმი? დესკრიპტივისტები, სამწუხაროდ, დასახელებულ საკითხზე საგანგებოდ არ მსჯელობენ, ისინი ამოდიან შეუმოწმებლად მიღებული დაშვებიდან, რომ მნიშვნელობის განსხვავებას უნდა შეესაბამებოდეს ფორმალური სხვაობაც და ეძიებენ ამ ფორმალურ სხვაობას, მაშინ როდესაც ენობრივი მასალა ყოველთვის არ ავლენს მას. თვით უელზი აღიარებს, რომ ორაზროვან თანმიმდევრობას ექნება სხვადასხვაგვარი ანალიზი უშ-ებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის

¹⁶¹ R. S. Wells, *Immediate Constituents*, გვ. 194 — 195.

¹⁶² R. S. Wells, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 193. შდრ. Ch. F. Hockett, *A Course in Modern Linguistics*, გვ. 152—153, სადაც ავტორი შენიშნავს, რომ ზოგჯერ, მაგრამ არა ყოველთვის, ორაზროვნება შეიძლება დაძლეულ იქნეს ინტონაციით ან სხვა კონტექსტით.

¹⁶³ ნ. არუთინოვა მართებულად შენიშნავს, რომ ტრანსფორმაციულ გრამატიკამდე ჯერ კიდევ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში იდგა ორაზროვან კონსტრუქციათა ანალიზის საკითხი, ოღონდ იგი რ. უელზს მიიჩნევს ერთ-ერთ პირველთაგანად, ვინც ასეთ კონსტრუქციებს მიაქცია ყურადღება (Н. Д. Арутюнова, Г. А. Климов, Е. С. Кубрякова, *Американский структурализм. წიგნი: Основные направления структурализма*. М. 1964, გვ. 173—174). უფრო ზუსტი იქნებოდა თქმულიყო, რომ უელზზე ადრე ომონიმურ კონსტრუქციებს განიხილავდნენ პაიკი და პარისი.

შედგება სამი ან მეტი უშ-ისაგან¹⁶⁴, რაც შედარებით იშვიათი მოვლენაა. გარდა ამისა, სამ ან მეტ შემადგენლიან თანმიმდევრობასაც შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი ანალიზი უშ-ების მიხედვით¹⁶⁵. ეს იმას მოასწავებს, რომ სემანტიკური განსხვავებები ყოველთვის არ აისახება სინტაქსურ კონსტრუქციებში. როგორც ცნობილია, ასეთივე მიმართება არსებობს ლექსიკურ ომონიმებსა და მათ მორფოლოგიურ სტრუქტურებს შორის.

6. სინტაქსური მიმართებები

რამდენადაც სინტაქსი შესიტყვებათა სტრუქტურას, აგებულებას სწავლობს, ბუნებრივია, მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სინტაქსურ შემადგენელთა (resp. სიტყვათა) შორის ფორმალური მიმართებების შესწავლა მივიჩნით. როგორც ზემოთ დაერწმუნდით, ბლუმფილდის მოძღვრებაში არ არის უგულვებელყოფილი სინტაქსური მიმართებები, მაგრამ მთელი რიგი საკითხები შემდგომ დამუშავებასა და დაზუსტებას მოითხოვს.

6. 1. ტაქსემები და ტაგემები. ბლუმფილდის შეხედულებათა ანალიზის დროს ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ტაქსემისა და ტაგემის ცნებებს გარკვეულობა აკლია. ამას დესკრიპტივისტებიც აღიარებენ. თავის სტატიაში 1943 წ. პაიკი ბლუმფილდისეული სინტაქსის გამოყენების ერთ-ერთ მთავარ სირთულეს ტაქსემებისა და ტაგემების გაურკვეველობაში ხედავდა¹⁶⁶ და მიზნად ისახავდა სინათლე შეეტანა ამ საკითხში. მოგვიანებით პაიკმა ტაგემის საკუთარი თეორია შექმნა¹⁶⁷.

¹⁶⁴ R. S. Wells, Immediate Constituents, გვ. 196, შწ. 30.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 195, შწ. 25.

¹⁶⁶ K. L. Pike, Taxemes and Immediate Constituents, გვ. 65.

¹⁶⁷ პაიკი ვერ ხმარობდა ტერმინს „ტაგემი“, ხოლო შემდეგ შეეცალა იგი ბლუმფილდისეული ტერმინით „ტაგემი“, თუმცა ბლუმფილდისაგან განსხვავებული შინაარსი ჩადო მასში. იხ. K. L. Pike, Grammatic Theory. General Linguistics, 1957, v. 2. მისივე, On Tagmemes née Grammemes. IJAL. 1958, v. 54. საკითხის ბიბლიოგრაფია იხ. K. L. Pike, Language..., გვ. 286—289, 490—492. აღსანიშნავია, რომ ლონგაკრი, რომელიც იყენებს პაიკის ტაგემურ თეორიას, გახაზავს განსხვავებას ბლუმფილდისა და პაიკის მიერ ტაგემის ხმარებაში. პაიკს თითქმის არაფერი აქვს საერთო ბლუმფილდთან იმის გარდა, რომ ორივე, როდესაც მათ დაიწყეს ამ ტერმინის ხმარება, ეძიებდა ოპერაციონალურ ცნებას, რომელიც იქნებოდა ძირითადი გრამატიკისათვის, ისევე როგორც ფონემა არის ძირითადი ფონოლოგიისათვის, ხოლო შორფემმა ლექსიკონისათვის, აღნიშნავს იგი. R. L. Longacre, String Constituent Analysis. «Language», 1960, v. 36, № 1 (part 1), გვ. 63.

ტაქსემებსა და ტაგემებს იყენებს ნაიდა როგორც უშ-თა საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაში, ისე ინგლისური ენის სინტაქსში.

მაგრამ ეს ცნებები არ დამკვიდრდა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. მკვლევართა უმრავლესობამ უარი თქვა მათ გამოყენებაზე. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ცნებათა გაურკვეველობა იყო. ეს ნათლად ჩანს უელზის გამონათქვამიდან: გრამატიკის ვიწრო გაგებისათვის (მორფოლოგია+სინტაქსი — თ. შ.) მე შემომთავაზეს ტერმინი ტაქსემიკა, მაგრამ მე არ მივიღე იგი, რადგან ემყარება ბლუმფილდის მიერ არანათლად განსაზღვრულ ტერმინს ტაქსემასო¹⁶⁸.

პოკეტი მიუთითებს მეორე მიზეზზე, რის გამოც „ტაქსემა“ და „ტაგემემა“ მიუღებელი გახდა დესკრიპტივისტებისათვის. ესაა ამ ცნებათა კავშირი „გრამატიკულ პროცესთან“, მაშინ როდესაც დესკრიპტივისტები უარყოფდნენ „ერთეულისა და პროცესის“ მოდელს გრამატიკაში და მის ნაცვლად ავითარებდნენ „ერთეულისა და განლაგების“ მოდელს¹⁶⁹.

ბლუმფილდის „ტაქსემები“ და „ტაგემემები“ წარმოადგენდა ცდას მოეხდინათ იმის ფორმალიზება, რასაც ბევრი მისი თანამედროვე, სეპირის ჩათვლით, „გრამატიკულ პროცესებს“ უწოდებდა. მაგრამ ეს ფორმალიზაცია ემყარებოდა ანალოგიას, რომელიც არ იმუშავებდაო, — წერს პოკეტი¹⁷⁰.

პოკეტი განიხილავს იმ სიძნელეებს და წინააღმდეგობებს, რომლებიც ტაქსემისა და ტაგემის ბლუმფილდისეულ გაგებას ხვდება, და შენიშნავს: რამდენადაც მე ვიცი, ერთადერთი ბლუმფილდის მიმდევარი, ვინც ცადა განევეითარებინა ეს თვალსაზრისი, იყო პაიკი. ბევრი ჩვენგანისათვის 40-იან წლებში მას არ ჰქონდა აზრიო¹⁷¹.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მოძღვრება ტაქსემათა და ტაგემემათა შესახებ ამოვარდა დესკრიფციული ენათმეცნიერებიდან.

6. 2. გრამატიკული განლაგების თვისებები. ბლუმფილდს გამოყოფილი ჰქონდა გრამატიკული განლაგების ოთხი თვისება: რიგი, ზოდულაცია, ფონეტიკური მოდიფიკაცია და სელექცია. ამ განლაგებებზე მეტ-ნაკლებად დესკრიპტივისტებთან არის მსჯელობა, მაგრამ აქ ზოგიერთი განსხვავებაც იჩენს თავს.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, დესკრიპტივისტებმა პროსოდული თვისებები (მახვილი, ინტონაცია, შეერთება) შემადგენლებად მი-

¹⁶⁸ R. S. Wells, Immediate Constituents, RiL, გვ. 197, შწმ. 33.

¹⁶⁹ Ch. F. Hockett. The State of the Art. 1968, გვ. 29. ამ მოდელების შესახებ იხ. აქვე „დესკრიფციული ენათმეცნიერების სისტემა ჩ. პოკეტის შრომებში“.

¹⁷⁰ იქვე, გვ. 22.

¹⁷¹ იქვე, გვ. 21.

იჩნის, მაშინ როდესაც ბლუმფილდის მოდულაცია სწორედ მახვილსა და ინტონაციას გულისხმობს. ფონეტიკური მოდიფიკაცია სინტაქსურ კონსტრუქციებში ნაკლებ რელევანტურია, ასე რომ არსებითად ორი განლაგების თვისება რჩება: რიგი და სელექცია.

სელექცია საყურადღებოა იმ მხრივ, რომ, ბლუმფილდის მიხედვით, აქ იგულისხმება ფორმალური კლასების უნარი დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ეს კავშირი გარეგნულად, შესაძლებელია, არც იყოს რაიმე საშუალებით გამოხატული, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ გარკვეული კლასის სიტყვა შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ რომელიმე სხვა კლასის სიტყვასთან, სინტაქსისათვის ანგარიშგასაწევი უნდა იყოს. ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით საყურადღებოა აფიქსებით ღარიბ ენებში, როგორცაა ინგლისური.

რაც შეეხება სინტაქსურ ურთიერთობათა საყოველთაოდ აღიარებულ სახეებს, როგორცაა შეთანხმება და მართვა, ისინი, დესკრიპტივისტთა მიხედვით, სელექციის სახეობებია და მათზე საგანგებოდ ყურადღება არ მახვილდება, რაც, ალბათ, ისევ ინგლისური ენის სპეციფიკით არის გაპირობებული.

მ.ვ. პოზიცია. ზემოჩამოთვლილ მიმართებათა გარდა ბლუმფილდი გამოყოფდა პოზიციას, რომელიც სინტაქსურ მიმართებად გვევლინება. ფორმის ფუნქცია არის პრივილეგია შეავსოს გარკვეული პოზიცია. სწორედ გარკვეული პოზიციის შევსების უნარს იყენებდა ბლუმფილდი მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ერთ-ერთ კრიტერიუმად.

დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში პოზიციები ყველა სხვა მიმართებებზე წინ არის წამოწეული. პოზიცია ედება საფუძვლად სუბსტიტუციის ოპერაციას. ის ერთეულები, რომლებიც ერთსა და იმავე პოზიციაში ენაცვლებიან ერთმანეთს, ერთ კლასში ერთიანდებიან.

პოზიციური მიდგომა ერთგვარად გვაგონებს დისტრიბუციულს, მაგრამ არ ემთხვევა მას. ეს კარგად აქვს გარკვეული ჰარისის. დისტრიბუციული ანალიზის დროს ვადგენთ ენობრივი ერთეულის გარემოცვებს, პოზიციური ანალიზის დროს კი ცვლადებს წარმოადგენენ პოზიციები. გარკვეულ პოზიციაში გამოვლენილი ერთეულები ერთიანდება ერთ კლასში¹⁷².

უნდა აღინიშნოს, რომ სინტაქსურ მიმართებათა კვლევისათვის დესკრიპტივისტებს ბლუმფილდთან შედარებით ახალი არაფერი შეუმატებიათ. უფრო მეტიც, ბლუმფილდის სინტაქსურ მოძღვრებაში ამ

¹⁷² Z. S. Harris, From Morpheme to Utterance, RiL, გვ. 150.

მიმართებებს მეტი ყურადღება ეთმობოდა, ვიდრე ეს გვაქვს შემდგომი ხანის დესკრიპტივისტთა მეტი წილის შრომებში. ეს უკანასკნელები სინტაქსის საკითხთა განხილვისას არც თუ იშვიათად სრულიად უგულებელყოფენ შემადგენელთა შორის ფორმალურ მიმართებებს¹⁷³.

7. უშუალო მხედველობა მიხედვით ანალიზის პროცედურები

სტატიაში „ტაქსემები და უშუალო შემადგენლები“ კ. ჰაიკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბლუმფილდს არ მოუცია ცალკე თავი უშუალო შემადგენლებად დაყოფის კრიტერიუმთა შესახებ. ამის გამო ხშირად იქმნებოდა გაუგებრობა ამ პრინციპის გამოყენებისას როგორც ინგლისური ენის, ისე მიქსტეჟოს ანალიზის დროს. პაიკმა თავის ამოცანად დაისახა თავი მოეყარა ბლუმფილდის მიერ ნახსენები ან გამოყენებული პრინციპებისათვის და დაემატებინა მათთვის თავისი საკუთარი ილუსტრაციები, პრინციპები და დაკვირვებები¹⁷⁴. პაიკის შემდეგ უშ-თა მიხედვით ანალიზის პროცედურებს ეხებოდნენ უელზი, პიტმენი, ფრიზი, სტრიტი. ქვემოთ შევეცდებით ვუჩვენოთ, თუ რა შედეგი იქნა მიღწეული ამ მიმართულებით და რა თავისებურებები ახასიათებს უშ-თა გამოსაყოფად წარმოდგენილ პროცედურებს.

7.1. მორფოლოგიური და სინტაქსური დონეების განურჩევლობა უშ-თა მიხედვით ანალიზის დროს. პირველი, რაც თვალში ეცემა კაცს უშ-თა მიხედვით ანალიზის პროცედურებზე დაკვირვებისას, ეს არის მორფოლოგიური და სინტაქსური დონეების გაუმიჯნაობა. სინტაქსის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, სადაც უშ-თა გამოყოფა უნდა იწყებოდეს შესიტყვებით ან წინადადებით და წყდებოდეს სიტყვებზე, როგორც საბოლოო შემადგენლებზე, ჩვეულებრივ, ანალიზი გრძელდება მორფოლოგიურ დონეზე და მორფემებამდე მიიყვანება. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამგვარად მოქცევის ერთგვარ საფუძველს თვით ბლუმფილდი იძლეოდა, ვინაიდან მოძღვრება უშ-თა შესახებ მას მორფოლოგია-სინტაქსის გარეთ ჰქონდა გამოტანილი.

ანალიზის დროს სინტაქსური და მორფოლოგიური დონეები არ არის გამიჯნული იმ ავტორებთანაც კი, რომლებიც საერთოდ მიზან-

¹⁷³ ერთგვარ გამოჩენის წარმოდგენს პოკეტი, რომელიც „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“ საგანგებო თავს უძღვნის სინტაქსურ შეერთებათა სახეებს (Ch. F. H o c k e t t, A Course in Modern Linguistics, თ. 25: Kinds of Syntactical Linkage, გვ. 214—218. იგი გამოყოფს: 1) სელექციას, 2) მაჩვენებლის საშუალებით შეერთებას და 3) ფლექსიის საშუალებით შეერთებას, სადაც გვექნება: ა) შეთანხმება, ბ) მართვითი შეთანხმება, გ) მართვა, დ) ჭვარდიანი მითითება.

¹⁷⁴ K. L. P i k e, Taxemes and Immediate Constituents, გვ. 74.

შეწონილად მიიჩნევენ გრამატიკაში ამ ორი დარგის გამოყოფას. ასეა, მაგ., პაიკის, უელზის, პიტმენის, ჰოკეტის, გლისონის და სხვ. შრომებში. ეს ნათლად ჩანს იმ დიაგრამებიდან, რომელთაც ეს ავტორები გვაწვდიან უშ-თა მიხედვით ანალიზის საილუსტრაციოდ.

რომ აქ შემთხვევით მოვლენასთან არა გვაქვს საქმე, ამაზე თვით ავტორები მიუთითებენ. ასე, მაგ., პიტმენი, განიხილავს რა ორი უშ-ისაგან შედგენილ გამოთქმას, წერს: თეორიულად არა აქვს მნიშვნელობა, ისინი განიხილება როგორც მორფემები, სიტყვები თუ ფრაზები¹⁷⁵.

როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ დონეზე შემადგენელთა განხილვისას პარალელიზმის ჩვენების საჭიროებაზე მიუთითებს ნაიდა, რომლის მიხედვითაც, კონსტრუქციათა ანალიზური აღწერა უშ-თა საფუძველზე ხშირად შეიცავს ე. წ. მორფოლოგიური და სინტაქსური დონეების დამთხვევას და ზოგი ენისათვის მორფოლოგია-სინტაქსის დიქოტომია შეიძლება არ იყოს სასარგებლო¹⁷⁶.

პაიკი ცოტა სხვაგვარად აფორმულავს თავის შეხედულებას: სინტაქსური ანალიზი თავდება, როდესაც მივადწევთ უშუალო შემადგენელთა თანმიმდევრული ფენებით თითოეული სიტყვის ტაგმეკამდე ან ტაქსემამდე. მთლიანი გრამატიკული ანალიზისათვის კი უნდა გადავიდეთ მორფოლოგიაზე და დავამთავროთ თითოეული მორფემის ტაგმემითა და ტაქსემით¹⁷⁷.

უშ-თა ანალიზის დროს მორფოლოგია — სინტაქსის დიქოტომიის უგულებელყოფა არ გვეჩვენება გამართლებულად. სინტაქსური და მორფოლოგიური კონსტრუქციები, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის შეიძლება შეგვხვდეს მსგავსებები, მაინც საკმარის განსხვავებებიან ერთმანეთისაგან. ერთი სიტყვის შიგნით მორფემათა შორის მიმართებები მნიშვნელოვნად განსხვავდება შესიტყვებაში სხვადასხვა სიტყვის დამოკიდებულებისაგან. უშ-თა განხილვისას ამ ორი დონის გაერთიანება უგულებელყოფს თითოეული მათგანის სპეციფიკას. ამასთან, ასეთი გაერთიანება არათანმიმდევრულია იმ დესკრიპტივისტების მხრივ. რომლებიც საერთოდ საჭიროდ თვლიან მორფოლოგიისა და

¹⁷⁵ R. S. Pittman, „Nuclear Structures in Linguistics, გვ. 288—289. შეიძლება მოგვეყვანა ჰარისის სიტყვები, სინტაქსური და მორფოლოგიური შემადგენლები შეიძლება ერთი და იმავე პროცედურით და მათ შორის არ არის არავითარი განსხვავება (Methods in Structural Linguistics, გვ. 262), მაგრამ ჰარისი საერთოდ უარყოფს მორფოლოგია — სინტაქსის გამოყენის საჭიროებას, ასე რომ ის თანმიმდევრული მაინც არის.

¹⁷⁶ E. Nida, The Analysis of Grammatical Constituents, გვ. 168.

¹⁷⁷ K. Pike, Taxemes and Immediate Constituents, გვ. 70.

სინტაქსის გამიჯვნას. ბოლოს, უშ-თა მიხედვით ანალიზის დროს მორფოლოგიური და სინტაქსური დონეების გაერთიანების შედეგად ერთი უხერხულობაც იქმნება: მორფოლოგიურ კონსტრუქციათა და შემადგენელთა საკითხი მორფოლოგიაში კი არ განიხილება, არამედ სინტაქსში. როგორც სინტაქსურ კონსტრუქციათა ანალიზის უკანასკნელი საფეხური.

7.2. უშუალო შემადგენელთა გამოყოფის კრიტერიუმები. პაიკმა კონსტრუქციების უშ-ებად გაკვეთის 20 პრინციპი წარმოადგინა. ამათგან 8 პრინციპი მხოლოდ მორფოლოგიურ კონსტრუქციებს ეხება. ესენია: 4. (მინიმალური თავისუფალი ფორმების გამოყოფა), 5. (დაყოფა სტრუქტურული რიგის მიხედვით), 6. (ამოსავალი და დაკავშირებული ფორმები), 7. (ამოსავალ თავისუფალ ფორმათა გამოყოფა), 8. (დაყოფა თეორიულად ამოსავალი ფორმისა (ფუძისა) და დაკავშირებული ფორმის მიერ); 9. (დაყოფა ფლექსიურ-დერივაციულ ფენებად), 10. (დაყოფა პირველადი აფიქსების მიხედვით), 11. (დაყოფა მორფემების მიხედვით).

5 პრინციპი თანაბრად გამოდგება როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური კონსტრუქციებისათვის. ესენია: 12. (დაყოფა, რომელიც შეიცავს კონსტრუქციის არამეზობელ წევრებს), 16. (დაყოფა შენახულ კომპონენტ მნიშვნელობებად), 18. (პარალელური ფორმების მიხედვით დაყოფა), 19. (აღწერის მოხერხებულობისა და ნაშთთა კლასიფიკაციის მიხედვით დაყოფა), 20. (ინტუიციისა და საერთო აზრის ტესტი).

7 პრინციპი კი მხოლოდ სინტაქსურ კონსტრუქციებს ვარაუდობს. ესენია: 1. (ეგზოცენტრული დაყოფა), 2. (დაყოფა მწვერვალი—განსაზღვრების მიხედვით,—ენდოცენტრული სუბორდინაციული), 3. (დაყოფა განსაზღვრების რანგების მიხედვით), 14. (დაყოფა მეზობელი და არამეზობელი კოორდინაციული მწვერვალისა და კოორდინაციული ატრიბუტის მიერ), 15. (ორაზროვანი ფრაზები), 17. (დაყოფა პაუზისა და ინტონაციის ფაკულტატიური გამოყენების მიხედვით).

როგორც სამართლიანად მიუთითებს ავტორი, ამ პრინციპთა უმრავლესობა ბლუმფილდის შრომებშია ამა თუ იმ სახით მოცემული.

ჩვენ დაწვრილებით არ შევჩერდებით პაიკის მიერ გამოყოფილ კრიტერიუმებზე. დაკმაყოფილებით რამდენიმე შენიშვნით.

1) არ ჩანს გამართლებული მორფოლოგიურ და სინტაქსურ კრიტერიუმთა ერთ დონეზე წარმოდგენა. მათ აღრევას ისიც უწყობს ხელს, რომ მორფოლოგიური, სინტაქსური და მორფოლოგიურ-სინტაქსური კრიტერიუმები რაიმე თანმიმდევრობით არ მოსდევს ერთმანეთს.

2) ავტორი რიგ შემთხვევაში გაკვეთას აწარმოებს კონსტრუქცია-

თა ტიპებზე დაყრდნობით (ენდოცენტრული, ეგზოცენტრული მათი ქვესახეობებითურთ), მაგრამ არ მიუთითებს კონსტრუქციათა სტრუქტურულ მახასიათებლებზე. როდესაც პაიკი გვეუბნება, გაკვეთა უნდა ვაწარმოოთ ენდოცენტრული და ეგზოცენტრული კონსტრუქციის ძირითად წევრებს შორისო, ჯერ გარკვეული უნდა იყოს, რომელია ძირითადი წევრები და რა ნიშნებით გამოიყოფა ისინი. ამაზე მითითებას პაიკის ნაშრომში ვერ ვიპოვით.

3) მიუხედავად პაიკის გაფრთხილებისა, რომ სინტაქსური ანალიზის დროს უნდა ამოვიღოთ არა მნიშვნელობიდან, არამედ ფორმიდან, იგი ცალკე გამოყოფს მნიშვნელობის კრიტერიუმს (16. დაყოფა იმგვარად უნდა მოხდეს, რომ საბოლოო მნიშვნელობა მიღებული ჩანდეს უკვე გამოყოფილი ნაწილების მნიშვნელობათა კომბინაციისაგან + გრამატიკული მნიშვნელობები).

4) გამოყოფილი კრიტერიუმები არ არის არც ერთგვაროვანი, არც თანაბარი ღირებულების მქონე. მაგ., სტრუქტურული და მნიშვნელობის კრიტერიუმის გვერდით, რომლებიც მაინც ენობრივ თავისებურებებს ემყარება, გამოყოფილია აღწერის მოხერხებულობა (19. ორი ან მეტი ალტერნანტული დაყოფის შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა შეირჩეს ის, რომელიც იძლევა „დებულების უმარტივეს შესაძლებელ მწყობრს“). მოხერხებულობა სუბიექტური კრიტერიუმია და ძნელად დასაჯერებელია, რომ მან ხელი შეუწყოს ენის ობიექტურ აღწერას. უფრო ფასეული იქნებოდა ავტორს რომ ჩამოეყალიბებინა ადეკვატური აღწერის კრიტერიუმი¹⁷⁸.

5) როდესაც ბლუმფილდი ინგლისური ფრაზის დაყოფას იძლეოდა, იგი არსებითად ინგლისურად მოლაპარაკის ინტუიციას ემყარებოდა. ინტუიციას (ისიც მოლაპარაკის ინტუიციას) დაყრდნობით ანალიზის წარმოება ნაკლებ საიმედოა. პაიკის ამოცანა სწორედ ის იყო, რომ ექსპლიციტურად ჩამოეყალიბებინა ანალიზის ხერხები. ამიტომ გაუმართლებელი ჩანს ინტუიციის, როგორც ანალიზის პროცედურის, გამოყოფა (20 პრინციპი).

უელში შემადგენელთა გამოყოფას ექსპანსიის პრინციპს უქვემდებარებს. მისი სიტყვით, წინადადება უნდა დავეოთ ისეთ ნაწილებად, რომლებიც წარმოადგენენ ექსპანსიებს. შემადგენლები შეიძლება ავხსნათ, როგორც ექსპანსიები შემდეგნაირად: the king of Parliament წარმოადგენს the king-ის ექსპანსიას, ეს უკანასკნელი კი საკუთარი სახელის, მაგ., John-ის ექსპანსიას; opened Parliament წარმოადგენს ნამყო დროის გარდაუვალი ზმნის ექსპანსიას, როგორცაა, მაგ., worked.

¹⁷⁸ R. S. Wells, Immediate Constituents, RiL, გვ. 187, 189.

მაშასადამე, მთელი წინადადება იქნება ექსპანსია John worked-ისა, რომელიც წარმოადგენს ფუნდამენტალური (მოქმედი-მოქმედების) წინადადების ტიპს, რადგან ის არ არის უფრო მოკლე თანმიმდევრობის ექსპანსია. ამგვარად, the king of England opened Parliament-ის უშუალოდ იქნება the king of England და opened Parliament.

უელზი არ განსაზღვრავს ექსპანსიის დამახასიათებელ ნიშნებს. როგორ უნდა დავამყაროთ მიმართება მოდელსა და ექსპანსიას შორის? რატომ არის the king of England opened Parliament ექსპანსია John worked-ისა? ავტორს მხოლოდ საილუსტრაციო მაგალითი მოჰყავს, რაც არ არის საკმარისი მეთოდის მომარჯვებისათვის.

ექსპანსია სუბსტიტუციის ოპერაციას ემყარება. ეს ოპერაცია ჯერ კიდევ ბლუმფილდს ჰქონდა გამოყენებული პოზიციური ანალიზის დროს. იგი ერთადერთ პრინციპად აღიარა ჰარისმა. დესკრიფციული ენათმეცნიერების ბევრი წარმომადგენელი მიმართავს სუბსტიტუციის ოპერაციას არა მხოლოდ სინტაქსში, არამედ მორფოლოგიაში¹⁷⁹ და ფონოლოგიაშიც.

სუბსტიტუცია შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს ერთმანეთის შენაცვლებად ერთეულთა კლასები. მაგრამ ამისათვის აუცილებელია მკაცრად განისაზღვროს კონსტრუქციაში პოზიციითა რაოდენობა და დაზუსტდეს გარემოცვის ფარგლები. არც ერთი ეს საკითხი საჭირო გარკვეულობით არ არის დამუშავებული სინტაქსისათვის არც უელზის, არც სხვა დესკრიპტივისტების მიერ.

ექსპანსია და სუბსტიტუცია მოხმობილი არიან იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს წინადადებაში მეორეხარისხოვან წევრთა გამორიცხვა და გავრცობილი წინადადების შეკუმშვა გაუვრცობელ წინადადებად. მთავარი წევრების გამოყოფა წინადადებაში მიზანშეწონილია, მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს მეორეხარისხოვან წევრთა უგულებელყოფას, დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში კი სწორედ ასეთ შედეგს ვიღებთ. მეორეხარისხოვანი წევრები საერთოდ გამოირიცხება.

უელზი უშუალოდ გამოყოფისათვის ექსპანსიის გვერდით ორ პრინციპს გვთავაზობს: 1) უშუალოდ რამდენადაც შეიძლება დამოუკიდებელი უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან, 2) ანგარიში უნდა გაეწიოს სიტყვებად დაყოფას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უელზი სიტყვებს რელიევანტურად მიიჩნევს, თვით მის მიერ ჩატარებულ ანალიზში სიტყვები არაა

¹⁷⁹ სუბსტიტუციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ი. ნაიდა მორფოლოგიაში უშუალოდ განსაზღვრისათვის. მისი თქმით, დაყოფები კეთდება უფრო ფართო ერთეულთა შენაცვლების საფუძველზე უფრო მცირე ერთეულებით, რომლებიც ეკუთვნიან იმავე ან განსხვავებულ გარეგან დისტრიბუციულ კლასს. E. N i d a, Morphology, გვ. 91.

წარმოდგენილი, ავტორი მსჯელობს მორფემებზე და მორფემათა თანმიმდევრობებზე. ამასთან ანალიზი სიტყვებზე კი არ ჩერდება, უელზს უშ-თა გამოყოფა მორფემებამდე მიჰყავს, ე. ი. ისიც სხვა დესკრიპტივისტთა მსგავსად სინტაქსური დონიდან მორფოლოგიურ დონეზე გადადის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უელზი უშ-თა ანალიზისათვის საჭიროდ მიიჩნევს გათვალისწინებული იქნეს ფოკუსის კლასების მნიშვნელობა და კონსტრუქციები. მაგრამ ეს ორი კრიტერიუმი მას გაშლილად არა აქვს წარმოდგენილი. იგი მათ ეხება ომონიმურ კონსტრუქციათა ანალიზის დროს, ხოლო ასეთი ანალიზისათვის საჭირო პროცედურების დახასიათებას არ იძლევა.

ფიქრობთ, აშკარაა, რომ უელზის კრიტერიუმები არ არის იმ სახით ჩამოყალიბებული, რომ მათ მოგვეცნა უშ-თა გამოყოფის მყარი და საიმედო საფუძველი.

პიტმენი უშ-თა გამოყოფის ტექნიკას კი არ ეხება, არამედ იძლევა პროცედურებს იმის გასარკვევად, თუ რომელი უშ-ები წარმოადგენს ბირთვებს და რომელი — თანამგზავრებს. ამიტომ მის მიერ მოცემულ პროცედურებზე არ შევჩერდებით¹⁸⁰. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პიტმენიც ერთ-ერთ კრიტერიუმად მნიშვნელობას გამოყოფს. ამასთან ის თვითონ მიუთითებს, რომ ზოგჯერ კრიტერიუმებს შორის წინააღმდეგობა გვხვდება¹⁸¹.

რაც შეეხება ფრიზს, იგი წარმოგვიდგენს თანმიმდევრულ საფეხურებს, რომელთა მიხედვით უნდა წარმოებდეს უშ-თა გამოყოფა¹⁸², მაგრამ თვით ამ გამოყოფის პროცედურებს საერთოდ არ გვაწვდის.

სტრიტმა თავის სტატიაში შეაჯამა უშ-თა გამოყოფის კრიტერიუმები, რომლებიც უელზის, ნაიდას, ჰოკეტის, ბლოკის, ბაზელის შრო-

¹⁸⁰ პიტმენი სულ 10 წანამძღვარს გეთავაზობს: 1. დამოუკიდებლობა (რომელი უშ-ც ცალკე გვხვდება, ისაა ბირთვი), 2. კლასის მოცულობა (რომელი უშ-ც უფრო ფორმალურ კლასს ეკუთვნის, ის იქნება ბირთვი), 3. მრავალმხრივობა (გავრცელების არე). ბირთვი უფრო მეტ განსხვავებულ კლასებთან გვხვდება, ვიდრე თანამგზავრი. 4. ენდოცენტრულობა (თუ თანმიმდევრობა AB ეკუთვნის I კლასს და B შემადგენელიც ეკუთვნის I კლასს, ის ბირთვი იქნება). 5. კლასის სიხშირე (რომელი კლასიც უფრო ხშირია, ისაა ბირთვი). 6. ინდივიდუალური სიხშირე. 7. პროსოდია (ზოგ ენაში მარცვლის სიგრძის, მახვილის, ტონის ან ინტონაციის ფაქტორები შეიძლება მოქმედებდნენ რანგის განსაზღვრაზე). 8. სიგრძე (ფონემური შედგენილობით უფრო გრძელი უშ ბირთვია). 9. მნიშვნელობა. 10. მოდელი (უცნობი ელემენტი ინტერპრეტირებულია ცნობილის ანალოგიით). პიტმენის პრინციპთა შეფასება იხ. Н. Д. Арутюнова, Г. А. Климов, Е. С. Кубрякова, *Американский структурализм*, გვ. 291.

¹⁸¹ R. S. Pittman, *Nuclear Structures in Linguistics*, გვ. 291.

¹⁸² Ch. C. Fries, *The Structure of English*, გვ. 267—288.

მებში გვხვდება. ავტორი გვაძლევს ამ კრიტიკრიუმთა თავისებურ ფორ-
მულირებას. ამასთან იგი ერთად განიხილავს უშ-თა გაკვეთის პრინ-
ციპებს როგორც სინტაქსურ და მორფოლოგიურ, ისე ფონოლოგიურ
დონეზე¹⁸³. სტრუქტურის ნაშრომში წარმოდგენილი კრიტიკრიუმები არსე-
ბითად არ განსხვავდება ზემომოყვანილთაგან. ყველაზე ხშირად იგი
უელზის თვალსაზრისს ემყარება. ამიტომ ზედმეტად გვეჩვენება მის
მიერ მოყვანილ კრიტიკრიუმთა ცალკე განხილვა.

7.3. რა შედეგებია მიღწეული სინტაქსში უშ-თა მიხედვით ანალი-
ზის ტექნიკის თვალსაზრისით? დესკრიპტივისტთა შრომებში უშ-თა მი-
ხედვით ანალიზისათვის მოცემულ პროცედურებზე დაკვირვება ნათელ-
ყოფს, რომ ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ისეთი
ექსპლიციტური ხერხების გამომუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს
სინტაქსურ კონსტრუქციათა ობიექტურ დაშლას ერთნაირ პრინცი-
პებზე დამყარებით.

შესაძლებელია შევაჯამოთ და განვაზოგადოთ ის შენიშვნები,
რომლებიც ზემოთ იყო მოყვანილი ცალკეული შრომების განხილვისას:

1. მორფოლოგიური და სინტაქსური ანალიზის კრიტიკრიუმები
არ არის დიფერენცირებული, მაშინ როდესაც ამ ორი დონის კონსტ-
რუქციათა იგივეობა არც თავისთავად ცხადია და არც გასაანალიზებე-
ლი მასალიდან გამომდინარეობს.

2. ზოგი კრიტიკრიუმი ფაქტობრივად არაფერს იძლევა ენის ანა-
ლიზისათვის, ვინაიდან არ ემყარება კონსტრუქციათა და შემადგენელ-
თა სტრუქტურულ დახასიათებას (ასეთია, მაგ., ენდოცენტრული და ეგ-
ზოცენტრული კონსტრუქციების გაკვეთა ძირითად წევრთა მიჯნაზე).

3. გაუმართლებელია სუბსტიტუციის ოპერაციაზე დაყრდნობით
რამდენიმე სიტყვიანი გამოთქმის დაყვანა მთავარ წევრებამდე და და-
ნარჩენი სიტყვების გამორიცხვა სინტაქსური ანალიზიდან. სინტაქსი-
სათვის საბოლოო შემადგენლები სიტყვებია და თითოეულ მათგანს
უნდა მიეჩინოს კუთვნილი ადგილი სინტაქსურ კონსტრუქციაში.

4. მეტისმეტად დიდი როლი ენიჭება მნიშვნელობას, მაშინ რო-
დესაც დესკრიპტივისტები, თეორიულად ცდილობენ გამორიცხონ
მნიშვნელობა სტრუქტურული ანალიზის დროს.

ეს თვალსაზრისი მკაფიოდ აქვთ დაფორმულებული ტრეიგერსა
და სმიტს, რომელთა მიხედვითაც, ენის სინტაქსი შეიძლება შეიქმნას
ობიექტურად, მნიშვნელობის გადათარგმნის ჩარევის ან მეტალინგვის-
ტური ფენომენებისადმი რაიმე მიმართვის გარეშე. სინტაქსური ანალი-
ზი წარმოადგენს ფორმალურ ელემენტთა ფორმალურ ანალიზს. ყო-

¹⁸³ J. C. Street, Immediate Constituent Analysis, გვ. 91—95.

ველგვარი რეალური მიმართვა მნიშვნელობისადმი უნდა ემყარებოდეს ასეთ ობიექტურ სინტაქსს და არა პირუკუ¹⁸⁴.

ნაიდაც თავის სინტაქსში აღნიშნავს: მნიშვნელობა არ უნდა იყოს ამოსავალი გრამატიკული კლასიფიკაციისათვის. სინტაქსმა ანგარიში უნდა გაუწიოს ტაგმემათა ეპისემემებს ანუ კონსტრუქციათა მნიშვნელობებს, მაგრამ ფორმალურ განსხვავებათა უგულვებლყოფა და წმინდა ცნებითი განსხვავებების გამოყენება ანალიზის საფუძვლად მოგვცემს უსასრულო ირელევანტურ კლასიფიკაციებს. ჩვენ ვერასოდეს ვერ დავადგენთ მკაცრ კორელაციას ფორმასა და მნიშვნელობას შორის. მნიშვნელობა ხშირად კლასიფიკაციის დამხმარეა, მაგრამ მხოლოდ მნიშვნელობა არ უნდა იქნეს კლასიფიკაციის საფუძველი¹⁸⁵.

მაგრამ იგივე ნაიდა მორფოლოგიურ კონსტრუქციათა უშუალო დაშლისას დიდ ყურადღებას უთმობს მნიშვნელობას. იგი წერს: პრაქტიკული ანალიზის დროს მნიშვნელობა უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე რომელიმე სხვა კრიტერიუმი. ზოგ შემთხვევაში მხოლოდ კონსტრუქციის მნიშვნელობისადმი მიმართვას შეუძლია განგვასაზღვრინოს უშუალო შემადგენელთა მწკრივები. უცხო ენათა ანალიზის დროს ყოველთვის იყენებდნენ მნიშვნელობას, როგორც პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს (ხაზი ჩვენია — თ.შ.); მაგრამ მნიშვნელობის საფუძველზე გაკეთებული დაყოფა უნდა დადასტურდეს დამამტკიცებელი სტრუქტურული საბუთით¹⁸⁶.

მნიშვნელობის წინ წამოწვევა გაპირობებული უნდა იყოს, ერთი მხრივ, იმით, რომ სათანადოდ არ არის დამუშავებული კონსტრუქციათა ფორმალური ნიშნები, ხოლო, მეორე მხრივ, კი ინგლისური ენის სპეციფიკით. ინგლისური, რომელიც დესკრიპტივისტთა კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტია, აფიქსებით ღარიბი ენაა და ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა სიტყვათა შორის ფორმალურ მიმართებათა დასამყარებლად.

5. უშ-თა ანალიზის დამუშავებისას დესკრიპტივისტთა მთავარი ამოცანა იყო გადასულიყვნენ ინტუიციიდან ექსპლაციტურად ჩამოყალიბებულ მეთოდებზე¹⁸⁷, მაგრამ ეს ამოცანა ვერ განხორციელდა.

¹⁸⁴ G. Trager and H. Smith, An Outline of English Structure, გვ. 68.

¹⁸⁵ E. Nida, A Synopsis of English Syntax, გვ. 60.

¹⁸⁶ E. Nida, Morphology, გვ. 89, შწ. 20.

¹⁸⁷ პიტმენი პირდაპირ წერს: ბირთვებისა და თანამზაჯერების კლასიფიკაციის მეტი წილი ენათმეცნიერება, როგორც ჩანს, ინტუიციურად ახდენენ, ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ მტკიცება, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ ინტუიციას (R. S. Pittman, Nuclear Structures in Linguistics, გვ. 288).

ინტუიციას მაინც დიდი ხვედრითი წონა აქვს მათ მიერ ჩატარებულ ანალიზში¹⁸⁸ და იგი ცალკე პრინციპადაც კი გვევლინება.

6. ანალიზის პროცედურები, რასაც დესკრიპტივისტები გვთავაზობენ, არ არიან ერთნაირი ღირებულების მქონე. ამასთან არც თუ იშვიათად ანალიზის კრიტერიუმები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რასაც დესკრიპტივისტები თვითონვე აღიარებენ¹⁸⁹.

7. ბოლოს, არსებულ პროცედურათა უკმარისობაზე ისიც მიუთითებს, რომ ისინი ტოვებენ შესაძლებლობას უშ-თა სხვადასხვაგვარი დაყოფისათვის. ერთ და იმავე პრინციპთა გამოყენებისას ალტერნატიული დაყოფის შესაძლებლობაზე მიუთითებენ პაიკი, უელზი და სხვ. უფრო მეტი განსხვავებაა სხვადასხვა ავტორის მიერ ჩატარებულ ანალიზს შორის. ზოგჯერ ისინი ეკამათებიან ერთმანეთს ამა თუ იმ კონსტრუქციის დაშლის შესახებ (მაგ, უელზი პაიკს, ნაიდა—უელზს). იმ შემთხვევებშიაც, როდესაც განსხვავება პრინციპული არ ჩანს, სხვადასხვა ავტორის მიერ მოცემული პროცედურები უშუალო შემადგენელთა სხვადასხვაგვარ გაკვეთას იწვევს. უშ-თა მიხედვით ანალიზის სირთულის გამო არ არის გასაკვირი, რომ სხვადასხვა ავტორი მაგავს კონსტრუქციებს სხვადასხვაგვარად შლიდაო,—შენიშნავს სტრიტი¹⁹⁰. პაიკის სიტყვით კი, მიუხედავად იმისა, რომ იყო ცდა დადგენილიყო კანონები უშ-თა დაყოფის განსაზღვრისათვის, ძალიან განსხვავებული გაგჩელებები გვხვდება პრინციპის გამოყენებისას, მაგალითად, ინგლისური ენის მიმართ¹⁹¹.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ იმ პროცედურებით, რომლებიც უშ-თა მიხედვით ანალიზისათვის დამუშავდა დესკრიფ-

¹⁸⁸ განიხილავს რა პიტმენის მიერ მოცემულ ხერხებს ბირთვებისა და თანამგზავრების გამოყოფისათვის, არუთინოვა წერს: იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ თითქოსდა ფორმალურ გამოსაცნობ ნიშანთა ერთობლიობა თითქოს ჩქმალავს იმ გარემოებას, რომ ბირთვებისა და თანამგზავრების გამოყოფის დროს დესკრიპტივისტები მნიშვნელოვანწილად ხელმძღვანელობენ შესიტყვებათა შინაარსეული მხარითა და თავიანთი საკუთარი ინტუიციით (Американский структуризм, გვ. 275). ავტორი იზრწმებს ლიზის შემდეგ სიტყვებს: დესკრიპტივისტები ენის ანალიზისას ემყარებიან თავიანთ საკუთარ ენობრივ ალღოს, რის შემდეგაც ad hoc იძლევიან რაიმე წესს მიღებული შედეგის ასახსნელად (R. L e e s, რეცენზია: N. C h o m s k y, Syntactic Structures. «Language», 1957, v. 33, № 3, გვ. 393).

¹⁸⁹ ამას აღნიშნავს არამხოლოდ პიტმენი, რომლის შეხედულება ზემოთ იყო დასახელებული, არამედ ბაზელი (C. E. B a z e l l, Linguistic Form. Istanbul, 1953. მოგვეყვას სტრიტის მიხედვით. იხ. მისი, Immediate Constituent Analysis, გვ. 99) და სტრიტი (დასახ. შრ. გვ. 97).

¹⁹⁰ J. C. S t r e e t, Immediate Constituent Analysis, გვ. 99.

¹⁹¹ K. L. P i k e, Language., გვ. 478.

ციული ენათმეცნიერების სინტაქსში, ძალიან ცოტა რისამე მიღწევა შეიძლება. თუ უშ-თა გამოყოფისას რაიმე შედეგები გვაქვს მოპოვებული, ეს არა ამ პროცედურათა წყალობით, არამედ იმიტომ, რომ ანალიზს საფუძვლად ედება მკვლევართა გარკვეული გამოცდილება და ინტუიცია.

ამ მოსაზრების სისწორეში გვარწმუნებს თვით დესკრიპტივისტთა მიერ სინტაქსური ანალიზის შეფასება.

ზემოთ მოყვანილი იყო პაიკისა და ჰოკეტის გამონათქვამები სინტაქსში არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ეს იყო 40-იან წლებში, როდესაც დესკრიპტივისტები იწყებდნენ სინტაქსის საკითხთა დამუშავებას. უფრო საყურადღებო ის არის, რომ მოგვიანებითაც, როდესაც არაერთი შრომა გამოქვეყნდა სინტაქსური ანალიზის პრინციპთა შესახებ, დესკრიპტივისტები არ არიან კმაყოფილი არსებული ვითარებით.

ასე, ჰ. ვლისონი 1955 წ. წერს, რომ სინტაქსი ენის სტრუქტურის ყველაზე ნაკლებ დამაკმაყოფილებლად დამუშავებული ასპექტია¹⁹²

1958 წ. ჰოკეტი არ ეთანხმება იმ ენათმეცნიერებს, რომელთაც სწამთ, რომ გრამატიკული ანალიზი გადაიქცა მთლიანად ობიექტურ ოპერაციად, და წერს, გრამატიკული ანალიზი ჯერ კიდევ მეტწილად ხელოვნებაა¹⁹³.

1967 წ. პაიკი სვამს კითხვას, რატომაა, რომ ინტუიტიურად გვეჩვენება, რომ უშ-თა მიხედვით ანალიზს ასე დიდი ღირებულება აქვს. მაშინ როდესაც ასე უაღრესად ძნელი აღმოჩნდა ემპირიულად მისი დამუშავება¹⁹⁴.

იმავე წელს სტრიტმა განაცხადა: ვერავენ ვერასდროს ვერ შეძლო მკაცრად განესაზღვრა უშ, ე. ი. მოეცა დებულება უშ-ისათვის საკმარისი და აუცილებელი პირობების შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემდა იმას, ვისაც არა აქვს რომელიმე ენაში მკვიდრი მოლაპარაკის ინტუიცია, გაეიგივებინა უშ-თა პოზიტიური და ნეგატიური შემთხვევები ამ ენაში¹⁹⁵. სტრიტი ურჩევს სტუდენტს, რომელიც სინტაქსურ ანალიზს ჰკიდებს ხელს, ჯერ აირჩიოს, სინტაქსის რომელ თეორიას და კონსტრუქციის რომელ ცნებას გაჰყვება იგი: პაიკის ტაგმემურ თეორიას, ჰოკეტის კონსტრუქციონალურ გრამატიკას, პარისის ჯაქვურ ანალიზს, თუ რომელიმე სხვას. სტუდენტმა მაგალი-

¹⁹² Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 198.

¹⁹³ Ch. F. Hockett, A Course in Modern Linguistics, გვ. 147.

¹⁹⁴ K. L. Pike, Language..., გვ. 477.

¹⁹⁵ J. C. Street, Immediate Constituent Analysis, გვ. 109.

თებზე უნდა ისწავლოს, თუ რას წარმოადგენენ უშ-ები და რას არა მის მიერ არჩეული თეორიის მიხედვითო, — წერს სტრიტი.

აქ აშკარად არის აღიარებული, რომ დესკრიპტივისტთა სინტაქსური თეორიები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; შესაბამისად განსხვავებულია უშუალო შემადგენელთა გაგებაც და უშუალო შემადგენელთა გამოყოფის პრინციპებიც. ასეთ პირობებში ძნელია ვილაპარაკოთ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ერთიანი სინტაქსური მოძღვრების შესახებ თუნდაც უშ-ების ფარგლებში.

დასკვნა

ლ. ბლუმფილდისა და მის მიმდევარ დესკრიპტივისტთა შრომების მიხედვით სინტაქსში უშუალო შემადგენელთა პრობლემის განხილვას შემდეგ დასკვნამდე მივყავართ:

უშუალო შემადგენლები არ წარმოადგენს სინტაქსის სპეციფიკურ ცნებას. ესაა ენის სტრუქტურული აღწერისათვის დამხმარე ცნება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მოწესრიგდეს და იერარქიულ ფენებად დალაგდეს რთული ფორმის კომპონენტები. ამიტომ თითოეულ დონეზე უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზი უნდა ემყარებოდეს ამ დონის შესატყვის ერთეულებს და მიმართებებს. სწორედ ასეთი მარეგულირებელი ცნების მნიშვნელობით იხმარება უშუალო შემადგენლები მორფოლოგიაში. სხვაგვარი ვითარებაა სინტაქსში.

ბლუმფილდის მიერ დასახული პროგრამის მიხედვით, ყოველი რთული ფორმა შეიძლება აიწეროს უშ-თა ტერმინებით და იმ გრამატიკულ თვისებათა (ტაქსემათა) ტერმინებით, რომელთა მიხედვითაც შემადგენელი ფორმებია განლაგებული. ამ ამოცანის შესრულება მოიხსნოს დადგენილ იქნეს კონსტრუქციათა ტიპები, შემადგენელთა ტიპები და გრამატიკულ განლაგებათა ანუ ტაქსემათა სახეობანი. არც ერთი დასახელებული საკითხი ბლუმფილდს ამომწურავად არ დაუმუშავებია. მან მხოლოდ ზოგადი მითითებები და ფრაგმენტული ილუსტრაციები წარმოადგინა მათ გადასაწყვეტად.

დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლები სინტაქსის საკითხების დამუშავებისას ბლუმფილდის მოძღვრებას ემყარებიან, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით ავითარებენ ამ მოძღვრებას. შედეგად ვიღებთ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ თეორიებს, რომლებშიც ბლუმფილდის პრობლემატიკა დავიწროებულია, ხოლო რიგი ძირითადი ცნება გაბუნდოვანებულია.

დესკრიპტივისტებს არ მოუციათ სინტაქსურ შემადგენელთა და კონსტრუქციათა ტიპების ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი კლა-

სიფიკაცია. სადავოა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც სინტაქსის საბოლოო შემადგენლებად აღიარებულია არა წინადადების წევრები, არამედ მეტყველების ნაწილები. გაუმართლებელია სინტაქსურ კონსტრუქციათა აღწერა მეტყველების ნაწილთა ტერმინებით.

ფორმათა განლაგების გრამატიკული თვისებები დესკრიპტივისტებთან ბევრად ნაკლები ყურადღებით სარგებლობს, ვიდრე ბლუმფილდთან. აქ მცირე როლს არ უნდა თამაშობდეს ის ფაქტი, რომ დესკრიპტივისტები საანალიზოდ პირველ ყოვლისა მიმართავენ ინგლისურ ენას, რომელშიაც შემადგენელთა შორის მიმართებები მატერიალურად (აფიქსებით) იშვიათადაა გამოხატული. შემდეგ ინგლისურის მასალაზე გამომუშავებული პრინციპები გადააქვთ აფიქსებით მდიდარ ენებზეც, რაც იწვევს ამ ენებში სპეციფიკურ სინტაქსურ მიმართებათა უგულვებელყოფას.

ამგვარად, დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში არ არის სათანადოდ დადგენილი ის სინტაქსური ერთეულები და მიმართებები, რომელთა მოწესრიგებაც უშ-ებს ვვალება. ასეთ პირობებში ანალიზი ვერ იქნება ნაყოფიერი. ძირითად სინტაქსურ ცნებათა და მიმართებათა გაურკვევლობით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ უშ-ებმა სინტაქსში ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს, ვიდრე მორფოლოგიაში, თუმცა ისინი თანაბრად იყენენ გამიზნული ორივე დარგისათვის. უშ-ებს დამოუკიდებელი ღირებულება მიენიჭათ და მათ დაეკისრათ დაეფარათ ის ხარვეზები, რასაც სპეციფიკურ სინტაქსურ პრობლემათა დაუმუშავებლობა წარმოქმნიდა.

სინტაქსის საკითხთა მოუგვარებლობა უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სინტაქსური ანალიზი იმ მკვლევართა შრომებშიც კი, რომლებიც აღიარებენ მორფოლოგიისა და სინტაქსის გამიჯვნის საჭიროებას, არ ჩერდება სიტყვებზე, არამედ მორფემების გამოყოფამდე გრძელდება. სინტაქსური და მორფოლოგიური დონეების გაუმართლებელი აღრევის მეორე მიზეზს უნდა წარმოადგენდეს დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში სიტყვის ადგილის გაურკვევლობა.

უშ-თა თეორია, რომელსაც საყრდენად არა აქვს ექსპლიციტურად დადგენილი სინტაქსური ცნებები და მიმართებანი, ვერ იძლევა ობიექტურ კრიტერიუმებს ენის ანალიზისათვის. მიუხედავად ცდებისა გამოემუშავენინათ ენის სინტაქსური აღწერის პროცედურები, კონსტრუქციათა დაყოფა უშ-ებად ძირითადად და არსებითად მოლაპარაკის ან მკვლევრის ინტუიციას ემყარება.

მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია და სუბსტიტუციის მეთოდი დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსში¹

1.1. სუბსტიტუციის მეთოდი დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსში ფორმალიზებული სახით ზ. ჰარისმა ჩამოაყალიბა. მაგრამ ჰარისი ამ მეთოდის შემოღებისას ემყარებოდა ლ. ბლუმფილდის გრამატიკულ მოძღვრებას, თუმცა გარკვეული ცვლილებებიც შეჰქონდა მასში. ამიტომ ჩვენ ჯერ ლ. ბლუმფილდის სინტაქსური მოძღვრების იმ მხარეებს შევეხებით, რომელთა გათვალისწინება საჭიროდ მიგვაჩნია ჰარისის შეხედულებათა გაგებისათვის.

თავის ცნობილ ნაშრომში „ენა“ ლ. ბლუმფილდს იმ ენებისათვის, რომლებიც დაკავშირებულ ფორმებს იყენებენ, მიზანშეწონილად მიაჩნია გრამატიკის გაყოფა მორფოლოგიად და სინტაქსად². მორფოლოგია შეისწავლის სიტყვების ან სიტყვათა ნაწილების კონსტრუქციებს, სინტაქსი კი — ფრაზების კონსტრუქციებს³. ამგვარად, ბლუმფილდი დაკავშირებულ ფორმათა მქონე ენებში სიტყვებს დიდ სტრუქტურულ მნიშვნელობას ანიჭებს⁴.

ბლუმფილდის მიხედვით, ყოველი რთული ფორმა შეიძლება აიწეროს უშუალო შემადგენელთა ტერმინებით და იმ გრამატიკულ თვისებათა (ტაქსემათა) ტერმინებით, რომელთა მიხედვითაც ეს შემადგენელი ფორმებია განლაგებული⁵. ამისათვის დადგენილ უნდა იქნეს კონსტრუქციათა ტიპები, შემადგენელთა ტიპები და გრამატიკულ განლაგებათა ანუ ტაქსემათა სახეობანი.

სინტაქსური კონსტრუქციების აღწერისათვის საჭიროა დადგენილ იქნეს ფრაზების სინტაქსური ფორმალური კლასები. ეს უკანასკნელები, ავტორის აზრით, შეიძლება გამოვიყვანოთ სიტყვათა ფორმალური

¹ წაკითხულია მოხსენებად საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერებს ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1968 წ. 1. X.

² L. Bloomfield, Language, 1933, გვ. 183.

³ იქვე, გვ. 207.

⁴ იქვე, გვ. 183.

⁵ იქვე, გვ. 167.

კლასებიდან⁶. ბლუმფილდის თვალსაზრისი გასაგები გახდება მისივე მაგალითიდან: John ran „ჯონი გაიქცა“ წარმოგვიდგენს ინგლისურში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ კონსტრუქციას, — მოქმედი-მოქმედების კონსტრუქციას. მას ორი უშუალო შემადგენელი აქვს (John და ran), რომლებიც ერთმანეთს ვერ შეენაცვლებიან. ამის შესაბამისად კონსტრუქციას აქვს ორი პოზიცია: მოქმედის პოზიცია და მოქმედების პოზიცია. ინგლისურ ენაში არსებობს ფრაზები, რომლებიც შეიძლება გამოვლინდნენ მხოლოდ მოქმედის პოზიციაში (მაგ., Bill, our horses „ჩვენი ცხენები“) და არსებობს ფრაზები, რომლებიც მხოლოდ მოქმედების პოზიციაში ვლინდებიან (მაგ., fell „წაიქცა“, ran away და ა. შ.). პოზიციები, რომლებშიაც შეიძლება ფრაზა გამოვლინდეს, წარმოადგენს მის ფუნქციებს. ფორმები, რომელთაც შეუძლიათ შეავსონ მოქმედის პოზიცია მოქმედი-მოქმედების კონსტრუქციაში, შეადგენენ ფორმალურ კლასს, რომელსაც ავტორი ნომინატიურ (სახელურ) გამოხატულებებს უწოდებს. ხოლო ის სიტყვები და ფრაზები, რომელთაც შეუძლიათ შეავსონ მოქმედების პოზიცია, ქმნიან განსაზღვრულ ზმნურ გამოხატულებათა ფორმალურ კლასს⁷.

როგორც ვხედავთ, ბლუმფილდს სინტაქსური კონსტრუქციის შემადგენლებად მიაჩნია როგორც ცალკეული სიტყვები (მაგ., John, ran), ისე ფრაზები ანუ შესიტყვებებიც (მაგ., our horses, ran away). როგორც პირველნი, ისე მეორენი აიწერებიან სიტყვათა კლასების ტერმინებით. ენის ყველაზე ფუნდამენტალური ფორმალური კლასებია, ავტორის სიტყვით, მეტყველების ნაწილები, ამიტომ სინტაქსური ფორმალური კლასებიც იმ მეტყველების ნაწილთა ტერმინებით უნდა აიწერონ, რომლებიც მათში ვლინდებიან⁸.

როდესაც ლაპარაკია ფრაზის აღწერაზე მეტყველების ნაწილთა ტერმინებით, ეს არ გულისხმობს იმას, რომ უნდა აღინიშნოს ფრაზაში შემავალი თითოეული სიტყვის მეტყველების ნაწილი. ფრაზის ფორმალური კლასი, ავტორის განმარტებით, განსაზღვრულია ერთი ან მეტი სიტყვით, რომელიც მასში ვლინდება⁹. ეს მიღწეულია ენდოცენტრული და ეგზოცენტრული კონსტრუქციების გამოყოფით.

ენდოცენტრულია კონსტრუქცია, თუ მისგან შედგენილი ფრაზა ეკუთვნის იმავე ფორმალურ კლასს, რომელსაც ეკუთვნის მისი ერთი

⁶ L. Bloomfield, *Language*, გვ. 156.

⁷ იქვე, გვ. 185.

⁸ იქვე, გვ. 196.

⁹ იქვე, გვ. 190.

(ან მეტი) უშუალო შემადგენელი. მაგ., ენდოცენტრულია ფრაზა poor John „საბრალო ჯონი“, რომელიც მთლიანად საკუთარი სახელის გამოხატულებაა, ისევე, როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი John. ასევე ენდოცენტრულია fresh milk „ახალი რძე“, ვინაიდან აქაც მთელი ფრაზა არსებითი სახელის გამოხატულებაა მისი ერთ-ერთი შემადგენლის (milk) მსგავსად¹⁰. სიტყვას, რომლის ფორმალურ კლასს განეკუთვნება მთელი ფრაზა, ავტორი უწოდებს მწვერვალს (head) ანუ ფრაზის ცენტრს. მოყვანილ მაგალითებში მწვერვალები იქნება John და milk¹¹.

ეგზოცენტრულ კონსტრუქციაში რეზულტანტური ფრაზა ეკუთვნის სხვა ფორმალურ კლასს, ვიდრე რომელიმე მისი უშუალო შემადგენელი. ამის ნიმუშია ზემომოყვანილი John ran, რომელიც არც ნომინატიური გამოხატულებაა (John-ის მსგავსად) და არც განსაზღვრული ზმნის გამოხატულება (ran-ის მსგავსად)¹².

სწორედ ენდოცენტრული და ეგზოცენტრული კონსტრუქციების გამოყოფა აძლევს შესაძლებლობას ბლუმფილდს აღწეროს რამდენიმე სიტყვისაგან შედგენილი ფრაზა ერთ-ერთი შემადგენელი სიტყვის მეტყველების ნაწილის ტერმინით. ენდოცენტრულ კონსტრუქციებში ეს ადვილად გამოდის: მთელი ფრაზა იმავე ფორმალურ კლასს მიეკუთვნება, რასაც მისი მწვერვალი ანუ ცენტრი. მაგ., ფრაზაში all this fresh milk „მთელი ეს ახალი რძე“ ცენტრია არსებითი სახელი milk და მთელი ფრაზაც, ავტორის მიხედვით, წარმოადგენს სუბსტანტიურ ფრაზას ანუ სუბსტანტიურ გამოხატულებას¹³. ამასთან ბლუმფილდი შენიშნავს, რომ ყველა ენაში სჭარბობს ენდოცენტრული ფრაზები.

რაც შეეხება ეგზოცენტრულ ფრაზას, ის კი არ გაუტოლდება რომელიმე შემადგენელს, არამედ მისი ფორმალური კლასი განისაზღვრება მისი შემადგენლებით. მაგ., John ran-ის შესახებ ითქმის, რომ ის შედგება სახელური გამოხატულებისაგან და განსაზღვრული ზმნის გამოხატულებისაგან¹⁴. მაშასადამე, აქაც ფრაზების აღწერა სიტყვათა კლასების ტერმინებით ხდება.

ამგვარად, სიტყვათა კლასები სინტაქსის ძირითად ერთეულებად ცხადდება. ამასთანავე ეს სიტყვათა ფუნდამენტალური ფორმალური კლასები, როგორც ითქვა, მეტყველების ნაწილებია. ამიტომ მეტყვე-

¹⁰ L. Bloomfield, Language, გვ. 194.

¹¹ ი ქ ვ ე, გვ. 195.

¹² ი ქ ვ ვ, გვ. 194.

¹³ ი ქ ვ ე, გვ. 195.

¹⁴ ი ქ ვ ვ, გვ. 196.

ლების ნაწილთა პრობლემა სინტაქსის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად იქცევა. ინგლისურ ენაში ბლუმფილდი გამოყოფს შემდეგ მეტყველების ნაწილებს: არსებით სახელს, ზმნას, ზედსართავს, ზმნისართს, წინდებულს, თანწყობითს კავშირს, ქვეწყობითს კავშირს, შორისდებულს¹⁵. ინგლისურ მეტყველების ნაწილებს იგი ქვეკლასებად ყოფს. მაგ., არსებითი სახელის ქვეკლასებს ქმნის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვი. ავტორი მიუთითებს, რომ სხვა ენებში მეტყველების ნაწილები სხვა რაოდენობით გვხვდება.

1.2. სინტაქსური კონსტრუქციის აღწერა მასში შემავალი სიტყვების საშუალებით პრინციპულად გამართლებულია. ფრაზის (resp. შესიტყვების) საბოლოო შემადგენლები სწორედ მთლიანი სიტყვებია. სინტაქსმა უნდა გაარკვიოს, როგორ არის აგებული ამ სიტყვებისაგან ფრაზა. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გარკვეულ იქნეს თითოეული სიტყვის სინტაქსური ფუნქცია. შეიძლება თუ არა დავაკისროთ ეს მოვალეობა მეტყველების ნაწილებს? მართალია, მეტყველების ნაწილები სიტყვათა კლასებია, მაგრამ მთავარი ისაა, თუ რა თვალსაზრისით არის გამოყოფილი ეს კლასები. როგორც ცნობილია, მეტყველების ნაწილთა გამოყოფის პრინციპის საკითხი ენათმეცნიერებაში ხანგრძლივი, დაუცხრომელი დავის საგანია. მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია, რომელიც ბერძნული და ლათინური გრამატიკებიდან მომდინარეობს, კარგა ხანია არ აკმაყოფილებს სპეციალისტებს. არ აკმაყოფილებს იმიტომ, რომ ზოგი მეტყველების ნაწილი შინაარსის მიხედვით გამოიყოფა, ზოგი — სინტაქსური თვალსაზრისით, სიტყვათა მორფოლოგიურ აგებულებას კი ყველაზე ნაკლები ანგარიში ეწევა, მაშინ როდესაც მეტყველების ნაწილები, ჩვეულებრივ, სწორედ მორფოლოგიაში განიხილება. ტრადიციული კლასიფიკაციის საპირისპიროდ მეტყველების ნაწილთა გამოყოფის რამდენიმე განსხვავებული პრინციპია წამოყენებული.

ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი მოითხოვს მეტყველების ნაწილთა გამოყოფას მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით, სხვებს მიაჩნიათ, რომ ეს კლასიფიკაცია გრამატიკულ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ) პრინციპს უნდა ემყარებოდეს, ზოგის აზრით კი მეტყველების ნაწილები ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულებია და ისინი ერთდროულად სამივე (სემანტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური) თვალსაზრისით უნდა დახასიათდნენ.

როგორია ამ მხრივ ბლუმფილდის პოზიცია? ბლუმფილდი, მართალია, გაკვირით, მაგრამ მაინც აღნიშნავს მეტყველების ნაწილთა

¹⁵ L. Bloomfield, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

ტრადიციული კლასიფიკაციის ნაკლს, მიუთითებს რა, რომ ეს კლასიფიკაცია ფორმალურ კლასებს განსაზღვრავდა მნიშვნელობის მიხედვით¹⁶. საგულისხმოა ისიც, რომ ბლუმფილდს მეტყველების ნაწილები სინტაქსში აქვს განხილული და არა მორფოლოგიაში. ბუნებრივია, გაგვიჩნდეს ექვი, ხომ არ მიიჩნევს ბლუმფილდი მეტყველების ნაწილებს სიტყვათა სინტაქსურ კლასებადო. მაგრამ ავტორი სრულიად არ მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა ნიშანი უნდა დაედოს საფუძვლად მეტყველების ნაწილთა დაჯგუფებას. იგი უბრალოდ ჩამოთვლის ინგლისური ენის მეტყველების ნაწილებს და, როგორც ვნახეთ, ჩამოთვლის სწორედ იმ, ყველასაგან დაწუნებულ, ტრადიციულ კლასებს (არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი, ზმნისართი, წინდებული, კავშირი, შორისდებული¹⁷), რომლებიც წინარემეცნიერული ფრამატიკებიდან მიიღო მემკვიდრეობით ენათმეცნიერებამ.

ამგვარად, აშკარაა, რომ ბლუმფილდის მიერ დასახელებული მეტყველების ნაწილები (resp. სიტყვათა ფორმალური კლასები) არ არის გამოყოფილი სინტაქსური პრინციპით, ამიტომ არა გვგონია, რომ ისინი გამოსადეგი აღმოჩნდნენ სინტაქსური კონსტრუქციების აღწერისათვის.

სინტაქსური თვალსაზრისით სიტყვათა კლასიფიკაცია მეტყველების ნაწილებს კი არ მოგვემდა, არამედ ე. წ. წინადადების წევრებს. სინტაქსური ანალიზის საფუძვლად მეტყველების ნაწილთა გამოცხადებით ლ. ბლუმფილდმა უარი თქვა წინადადების წევრთა შესახებ მოძღვრებაზე. ვქვს არ იწვევს ის, რომ ტრადიციულ ფრამატიკაში წინადადების წევრები (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება და ა. შ.) არსებით ნაკლოვანებებს შეიცავს და მათი უცვლელად გამოყენება არანაკლებ გაუმართლებელია, ვიდრე მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაციისა. მაგრამ პრინციპულად სინტაქსის ესაჭიროება სიტყვათა კლასიფიკაცია შესიტყვებაში მათი ფუნქციის მიხედვით. ბლუმფილდს არც უცდია მოეხდინა ასეთი კლასიფიკაცია ან დაესაბუთებინა მისი საჭიროება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ბლუმფილდი ანგარიშს არ უწევდეს სიტყვათა სინტაქსურ როლს. მის მიერ შემოღებული ცნებები სინტაქსური პოზიციისა და ამ პოზიციის შევსებისა სწორედ სინტაქსური ფუნქციის გათვალისწინებას ისახავს მიზნად¹⁸. ბლუმფილდის

¹⁶ L. Bloomfield, Language, გვ. 266.

¹⁷ აკლია: ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი. ბოლო კავშირი ორგვარია: თანწყობითი და ქვეწყობითი.

¹⁸ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ავტორი მსჯელობს ფრამატიკის საკითხებზე, რომლებიც მორფოლოგიასაც მოიცავენ და სინტაქსსაც, მაგრამ ვინაიდან ჩვენ ამჟამად სინტაქსი

სიტყვით, ყოველი ლექსიკური ფორმა ვლინდება გარკვეულ კონსტრუქციათა გარკვეულ პოზიციებში. ლექსიკურ ფორმას გამოთქმავში ახლავს რაიმე გრამატიკული ფორმა: იგი ვლინდება ზოგი ფუნქციის სახით და გამოვლენის ეს უპირატესობანი (privileges of occurrence) ჰქონიან ლექსიკური ფორმის ფუნქციას. ლექსიკური ფორმები, რომლებსაც აქვთ რაიმე საერთო ფუნქცია, ეკუთვნიან საერთო ფორმალურ კლასს¹⁹.

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ბლუმფილდი ლექსიკურ ფორმათა კლასებს მათი სინტაქსური ფუნქციების ანუ გარკვეულ პოზიციებში გამოვლენის უპირატესობის მიხედვით აწარმოებდეს. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს ასე არ არის. ფორმალური კლასები ტრადიციული, უნივერსალური მეტყველების ნაწილებია, მექანიკურად გადმოტანილი ინგლისურ ენაში. მაგრამ ეს კია, რომ ბლუმფილდი ცდილობს გაარკვიოს ამ მეტყველების ნაწილთა სინტაქსური ფუნქციები ანუ, სხვაგვარად, სინტაქსურ კონსტრუქციათა რომელ პოზიციებში გვხვდებიან ისინი²⁰. და აი, აქ ირკვევა, რომ ფორმალური კლასები არ არიან ურთიერთგამომრიცხველი, ისინი გადაკვეთენ ერთმანეთს, ნაწილობრივ ემთხვევიან ან ჩართული არიან ერთიმეორეში და ა. შ.²¹ ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ფორმალური კლასი, შესაძლებელია, ერთი და იმავე ფუნქციით მოგვევლინოს, ერთსა და იმავე პოზიციაში აღმოჩნდეს (მაგ., მოქმედი-მოქმედების კონსტრუქციაში მოქმედის პოზიციას ავსებს არა მხოლოდ სუბსტანტივური გამოხატულებები, არამედ აგრეთვე მარკირებული (to-თი) ინფინიტივური ფრაზებიც: to scold the boys would be foolish „ბიჭების გალანძღვა სისულელე იქნებოდა“)²². ასეთ შემთხვევაში აღგილი აქვს კლასების გადაკვეთას. ამას უპირისპირდება კლასის გახლეჩა (class-cleavage), რომლის დროსაც რომელიმე კლასის ლექსიკური ფორმები ავლენენ თავისებურ ფუნქციებს (მაგ., კლასის გახლეჩის შედეგად სიტყვა one ეკუთვნის ხუთ ფორმალურ კლასს: დეტერმინანტი, რიცხვითი სახელი და ა. შ.)²³.

გვანტერესებს, ამიტომ გამოვყოფთ იმ გამონათქვამებს, რომლებიც საკუთრივ სინტაქსს ხება, მით უმეტეს, რომ, როგორც ითქვა, ბლუმფილდი განასხვავებს ერთმანეთისაგან ემორფოლოგიასა და სინტაქსს.

¹⁹ L. Bloomfield, *Language*. გვ. 264—265.

²⁰ იქვე, თ. 16, *Form-Classes and Lexicon*, გვ. 264—270.

²¹ იქვე, გვ. 269.

²² იქვე, გვ. 265.

²³ იქვე, გვ. 265—266.

აქედან ბლუმფილდი დაასკვნის: მეტყველების ნაწილთა სისტემა ინგლისურისნაირ ენაში არ შეიძლება დადგინდეს მთლიანად დამაკმაყოფილებლად: მეტყველების ნაწილთა ჩვენი სია დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ფუნქციებს მივიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვნად²⁴. ჩვენი აზრით, დასახელებული შემთხვევები იმის მაჩვენებელია, რომ ტრადიციული მეტყველების ნაწილები და სიტყვათა სინტაქსური ფუნქციის მიხედვით გამოყოფილი კლასები არ ემთხვევიან ერთმანეთს, არ ავლენენ პარალელიზმს.

მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია არსებით გადამუშავებას საჭიროებს. ჩვენ იმ ენათმეცნიერთა აზრს ვიზიარებთ, ვისაც მიაჩნია, რომ რაკი მეტყველების ნაწილები მორფოლოგიაში შეისწავლება, მათი გამოყოფის პრინციპიც მორფოლოგიური უნდა იყოს. მაშასადამე, ასეთი კლასიფიკაცია თითოეული ენისათვის უნდა წარმოებდეს მისი სიტყვების სტრუქტურის გათვალისწინებით. დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას სიტყვათა სემანტიკური კლასიფიკაცია. ასევე შესაქმნელია სიტყვათა შესამე კლასიფიკაცია — მათი სინტაქსური ფუნქციების მიხედვით. ეს კლასიფიკაცია ახლანდელი წინადადების წევრების მაგვირობას გასწევს. მხოლოდ ამ კლასიფიკაციათა ცალ-ცალკე წარმოქმნის შემდეგ დაისმის კანონზომიერად მათი ურთიერთმიმართების საკითხი. აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა თვალსაზრისით წარმოებული ეს კლასიფიკაციები ერთმანეთს არ დაემთხვევა და, რაც ამ შემთხვევაში მთავარია, სინტაქსს სიტყვათა სინტაქსური კლასიფიკაცია გამოადგება და არა რაიმე სხვა პრინციპის მიხედვით წარმოებული კლასიფიკაცია. ამიტომ გაუმართლებლად გვეჩვენება ბლუმფილდის მიერ მეტყველების ნაწილთა გამოცხადება სინტაქსის ფუნდამენტალურ ფორმალურ კლასებად.

რაც შეეხება სიტყვათა ფუნქციების განსაზღვრას კონსტრუქცი-აში მათი პოზიციის მიხედვით, ასეთი მიდგომა, ჩვენი აზრით, შეესაბამება სინტაქსის თვალსაზრისს. ამასთან მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს აფიქსებით ისეთ ღარიბ ენაში, როგორც არის ინგლისური, სადაც სიტყვათა განლაგება აღქურვილია გრამატიკული ფუნქციით²⁵.

სინტაქსური ანალიზის დროს ლ. ბლუმფილდის მოძღვრებაში გარკვევით იჩენს თავს ტენდენცია, რომელიც შემდეგ დესკრიპტივის-

²⁴ L. Bloomfield. დასახ. შრ., გვ. 269.

²⁵ ვინაიდან ჩვენ ამჟამად არ ვეხებით ლ. ბლუმფილდის სინტაქსურ მოძღვრებას მთლიანად, ამიტომ არ ვჩერდებით საკითხზე, რომ ბლუმფილდი სიტყვათა ურთიერთმიმართების სხვა საშუალებებსაც განიხილავს (როგორცაა შერჩევა, მოდულაცია, ფუნქციური მოდიფიკაცია).

ტებთან კიდევ უფრო გაძლიერდა. ეს ტენდენცია შემდეგში მდგომარობს: როდესაც ბლუმფილდი გვეუბნება, ფრაზა შეიძლება აიწეროს სიტყვათა კლასების ტერმინებით, ის რამდენიმე სიტყვისაგან შედგენილი ფრაზის თითოეულ სიტყვას კი არ აანალიზებს თანაბარი ყურადღებით, არამედ ფრაზა დაჰყავს ერთ, ძირითად სიტყვამდე და ამ სიტყვის კლასს უტოლებს მთელი ფრაზის კლასს. მოვიგონოთ მისივე მაგალითი: all this fresh milk. ეს არის ენდოცენტრული ფრაზა, მისი ცენტრია milk „რძე“, რომელიც არსებითი სახელია, ამიტომ მთელი ფრაზაც სუბსტანტიურ გამოხატულებას წარმოადგენს. ეს არის და ეს. გამოიყო ძირითადი წევრი, რომელიც საბოლოოდ წინადადების მთავარ წევრამდე მიგვიყვანს, ე. ი. ამ გზით მოქმედი-მოქმედების კონსტრუქციაში გამოვეყოფთ საბოლოო შემადგენლებს, რომლებიც ტრადიციულ ქვემდებარეს და შემასმენელს შეესაბამებიან. მაგრამ რა დააშავა ოთხსიტყვიანი ფრაზის დანარჩენმა სამმა სიტყვამ? სინტაქსმა ხომ თითოეული სიტყვის ადგილი და ფუნქცია უნდა გაარკვიოს კონსტრუქციაში. ამგვარად, ფრაზის სინტაქსური კლასის გაიგივება ერთ-ერთი შემადგენელი სიტყვის კლასთან ჩქმალავს ე. წ. მეორეხარისხიდან სიტყვათა სინტაქსურ რაობას და, საერთოდ, ფრაზის კონსტრუქციის სპეციფიკას ცალკეული სიტყვის კონსტრუქციასთან შედარებით. ასეთი გაუმართლებელი დაყვანის უარყოფითი შედეგები უფრო მკაფიოდ იჩენს თავს ბლუმფილდის მიმდევრებთან, მათ შორის ზ. ჰარისთან.

2.1. ლ. ბლუმფილდმა თავის შრომაში ენის სინტაქსური აღწერის თავისებური პროგრამა წარმოადგინა. მისი რეალიზაციისათვის საკმაოდ დიდი მუშაობის ჩატარება იყო საჭირო. ამ ამოცანის განხორციელებას ხელი მოჰკიდეს დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლებმა ორმოციან წლებში²⁶. ერთ-ერთი მათგანი იყო ზ. ს. ჰარისი, რომელმაც თავის სტატიაში „მორფემიდან გამოთქმისაკენ“ მოგვცა ფორმალისტული პროცედურა სინტაქსისათვის. ამ ნაშრომში

²⁶ 1943—1947 წწ. ერთიმეორის მიყოლებით ეურნალ «Languages»-ში რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა სინტაქსის საკითხებზე. ესენია: Kenneth L. Pike, Tagmemes and Immediate Constituents. «Lang.», 1943, ტ. 19, გვ. 65—82, Zellig S. Harris, From Morpheme to Utterance. «Lang.», 1946, ტ. 22, გვ. 161—183 (გადაბეჭდილია RiL-ში, გვ. 142—153), Bernard Bloch, Studies in Colloquial Japanese II: Syntax. «Lang.», 1946, ტ. 22, გვ. 200—248 (გადაბეჭდილია RiL-ში, გვ. 154—185), Rulon S. Wells, Immediate Constituents. «Lang.», 1947, ტ. 23, გვ. 81—117 (გადაბეჭდილია RiL-ში, გვ. 186—207). Eugen A. Nida, The Analysis of Grammatical Constituents. «Lang.», 1948, ტ. 24, გვ. 168—177.

განვითარებული შეხედულებები მეორდება ზ. ჰარისის კაპიტალურ შრომაში „მეთოდები სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში“²⁷.

მართალია, ზ. ჰარისი ზოგადად ბლუმფილდის თვალსაზრისს ემყარება, მაგრამ რიგ არსებით საკითხში მისი შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბლუმფილდის შეხედულებათაგან. ეს განსხვავებები უკვე ამოსავალ პრინციპებში იჩენს თავს.

ბლუმფილდის საპირისპიროდ ჰარისს არ მიაჩნია საჭიროდ მორფოლოგიისა და სინტაქსის გამოიჯვანა. იგი სიტყვას არ მიიჩნევს ენობრივ ერთეულად. ენობრივ ერთეულებს წარმოადგენს მხოლოდ ფონემა და მორფემა. პირველს ფონოლოგია სწავლობს, მეორეს — მორფოლოგია. ამ უკანასკნელს საქმე აქვს როგორც ცალკეულ მორფემებთან, ისე მათ თანმიმდევრობებთან, რომლებიც ტრადიციულ სიტყვებს და შესიტყვებებს უტოლდებიან (ჰარისი მათ აღნიშნავს ბლუმფილდისეული ტერმინით „გამოთქმა“ Utterance). ამგვარად, ჰარისის მორფოლოგია მთელ გრამატიკას ფარავს მისი მორფოლოგია-სინტაქსითურთ.

თავისი სტატიის „მორფემიდან გამოთქმამდე“ შესავალშივე ჰარისი აცხადებს, რომ მის მიერ აღწერილი მეთოდი არ აღიარებს სხვა ელემენტებს გარდა მორფემებისა და მორფემათა თანმიმდევრობებისა და სხვა ოპერაციას, გარდა სუბსტიტუციისა, რომელიც კვლავ და კვლავ მეორდება²⁸. ამგვარად, სწორედ ჰარისმა ჩამოაყალიბა სუბსტიტუციის ოპერაცია სინტაქსში.

თავის ამოცანად ავტორი მიიჩნევს წარმოგვიდგინოს ფორმალური შეხედული პროცედურა იმის გასარკვევად, თუ მორფემათა რა თანმიმდევრობები გვხვდება ენაში, ე. ი. ფორმულა თითოეული გამოთქმის (წინადადების) შუასაშუა ენაში. ამგვარად, ამოცანა სინტაქსურია. ჰარისი დასძენს, რომ სინტაქსური ანალიზის ერთი მთავარი ამოცანაა, აღწეროს მოცემულ ენაში გამოთქმათა სტრუქტურა. ამ სფეროში ექსპლიციტური მეთოდების არ არსებობა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ მეტწილ გრამატიკებს სინტაქსური ანალიზი არ ახლავს²⁹.

როგორც აღნიშნული იყო, ზ. ჰარისი გვთავაზობს სუბსტიტუციის პროცედურას, რომელიც, მისივე სიტყვით, მრავალგზის მეორდება. სუბსტიტუციის ოპერაცია ორი მიზნით გამოიყენება: 1) მისი საშუალებით ხდება ცალკეულ მორფემათა დაჯგუფება მორფემულ კლა-

²⁷ Zellig S. Harris, *Methods in Structural Linguistics*. 1951 (II გამოც. — 1955). თ. 15, 16. მოგვიანებით ჰარისმა ზოგ საკითხზე შეიცვალა შეხედულება.

²⁸ Zellig S. Harris, *From Morpheme to Utterance*, *RIL*, გვ. 142.

²⁹ იქვე, გვ. 142.

სებად და 2) იმავე გზით წარმოებს მორფემულ თანმიმდევრობათა კლასიფიკაცია.

იგულისხმება, რომ მორფემათა სია უკვე გვაქვს, ე. ი. მორფემათა იდენტიფიკაცია ჩატარებულია. ამის შემდეგ მიმართავენ გამეორებულ სუბსტიტუციებს ანუ შენაცვლებებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იმავე გარემოცვის ერთსა და იმავე პოზიციაში ერთმანეთს უნაცვლებენ გარკვეულ მორფემებს: ასე მაგ., child „ბავშვი“ ენაცვლება young boy-ს „ახალგაზრდა ყმაწვილი“: Where did the—გი?—ში. „სად მიდის—?“ ავტორი ამ პროცედურას განზოგადებული სახით შემდეგნაირად აყალიბებს: ვიღებთ A ფორმას C—D გარემოცვაში და შემდეგ ვუნაცვლებთ (substitute) A-ს B-ს. თუ ასეთი სუბსტიტუციის შემდეგ კვლავ გვექნება გამოხატულება (expression), რომელიც გვხვდება მოცემულ ენაში, ე. ი. თუ გვხვდება არა მხოლოდ CAD, არამედ აგრეთვე CBD-ც, მაშინ ვამბობთ, რომ A და B წარმოადგენენ ერთი და იმავე სუბსტიტუციური კლასის წევრებს, ანუ რომ A და B ავსებენ C—D პოზიციას³⁰.

როგორც ითქვა, პროცედურის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ცალკეულ მორფემათა სუბსტიტუციის კლასების შექმნა. ერთ კლასში გაერთიანდება ის მორფემები, რომლებიც ენაცვლებიან ერთმანეთს სუბსტიტუციის ტესტში, ე. ი. რომლებიც გვხვდებიან ერთსა და იმავე გარემოცვებში (აქვთ ერთი და იგივე სელექცია). ავტორი მიუთითებს რიგ სიძნელეებზე, რომლებიც სუბსტიტუციის ოპერაციის გამოყენების დროს გვხვდება და რომლებიც ტოვებენ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას (მაგ., როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც მორფემებს არა ზუსტად იდენტური, არამედ მცირედ განსხვავებული გარემოცვები აქვთ? ანდა მაშინ, როდესაც ზოგი გარემოცვა საერთო აქვთ, ზოგი კი — განსხვავებული? რომელი პოზიციები უნდა მივიჩნიოთ დიაგნოსტიკურად სუბსტიტუციის კლასის დადგენისათვის? რა შემთხვევებში უნდა გამოვყოთ ქვეკლასები?)³¹, მაგრამ ამ საკითხებზე საგანგებოდ არ შევჩერდებით, ვინაიდან ისინი მორფოლოგიის სფეროს განეკუთვნებიან³².

საკუთრივ სინტაქსური პრობლემატიკა მაშინ იწყება, როდესაც ჰარისი მორფემათა თანმიმდევრობებს განიხილავს³³, თუმცა ერთხელ კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ მორფემული თანმიმდევრობები ჰარისთან სიტყვებსაც მოიცავს და შესიტყვებებსაც.

თავისი პროცედურის სიახლეს ჰარისი იმაში ხედავს, რომ ხდება

³⁰ Z. S. Harris, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

³¹ ი ქ ვ ე.

³² ე გვევ საკითხები ვრცლადაა განხილული ჰარისის მონოგრაფიის 15 თავში.

³³ შლრ. მონოგრაფიის 16 თავი.

სუბსტიტუციის კლასების გაფართოება ერთეული მორფემებიდან მორფემათა თანმიმდევრობებზე გადატანის გზით. ჩვენ ახლა ვკითხულობთ არა მხოლოდ იმას, გვხვდებიან თუ არა A და B C—D გარემოცვაში, არამედ აგრეთვე იმას, გვხვდებიან თუ არა იმავე გარემოცვაში ერთად AE ან FGH? თუ ეს დადასტურდა, მაშინ A, B, AE, FGH ურთიერთშენაცვლებადი იქნებიან და შეგვიძლია ისინი მივიჩნიოთ ერთი სუბსტიტუციური კლასის წევრებად. ოღონდ ახლა ეს იქნება არა უბრალოდ მორფემათა კლასი, არამედ მორფემათა თანმიმდევრობის კლასი. ცალკეული მორფემები კლასში წარმოადგენენ სპეციალურ შემთხვევებს, როდესაც თანმიმდევრობა შედგება ერთისაგან³⁴.

ზემოთქმულის მიხედვით, Please put the book away-ში „გეთავა გადადეთ წიგნი“ ჩვენ შეგვიძლია შევუნაცვლოთ book-ს არა მხოლოდ სხვა ერთეული მორფემები, როგორცაა bottle „ბოთლი“ ან brandy „არაყი“, არამედ, აგრეთვე, ორი ან მეტი მორფემის თანმიმდევრობანი, როგორცაა books „წიგნები“, bank-book „საბანკო წიგნაკი“, brandy bottle, bottle of brandy „არყის ბოთლი“ და ა. შ.³⁵

აქედან კეთდება დასკვნა, რომ მორფემათა თანმიმდევრობები არ ქმნიან ახალ კლასებს, ისინი ჯგუფდებიან ადრე მიღებულ სხვადასხვა მორფემულ კლასებთან ერთად. ამგვარად, პროცედურის გამოყენებას დაჰყავს თანმიმდევრობები ცალკეულ მორფემათა სტატუსამდე (ანუ ცალკეულ მორფემათა გარემოცვის კლასებამდე)³⁶.

ჰარისის მის მიერ აღწერილი პროცედურა ჩაუტარებია ინგლისურსა და ჰიდატსაზე (სიუანის ენა ჩრდ. დაკოტაში). ქვემოთ მოვიყვანთ ინგლისურის აღწერის შედეგებს.

2.2. თავისი პრინციპის შესაბამისად ჰარისი ჯერ მორფემულ კლასებს ადგენს. კრიტერიუმში ისაა, რომ თითოეული კლასისათვის არსებობს განსაკუთრებული წინადადების პოზიციები, რომლებიც შეიძლება შეივსონ ამ კლასის ნებისმიერი წევრით და მხოლოდ ამ კლასის წევრით³⁷. კლასები აღნიშნულია ლათინური მთავრული ასოებით, ქვეკლასებს ინდექსები აქვთ პატარა ასოებით. თუ კლასის ნიშანს დეფიზი აქვს წინ ან მომდევნოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ სუფიქსთან ან

³⁴ Z. S. Harris, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე.

³⁷ იქვე, გვ. 145. ავტორი იქვე შენიშნავს, რომ კლასის ზოგი წევრი შეიძლება არ გვხვდებოდეს ნებისმიერ პოზიციაში, რომელშიაც იმავე კლასის რომელიმე სხვა წევრი გვხვდება. ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებელია, ზოგი მორფემა რამდენიმე კლასში შევიდეს, რაც შეესაბამება ბლუმფილდის კლასის გახლეჩას.

პრეფიქსთან გვაქვს საქმე. სანიმუშოდ მოვიყვანოთ რამდენიმე კლასის აღწერას.

N: მორფემები, რომლებიც გვხვდებიან მრავლობითის -s-ის ან მისი ალტერნანტების წინ ან the-სა ან ზედსართავების შემდეგ: hotel „სასტუმრო“, butter „კარაქი“, gain „მოგება“, one „ერთი“, two „ორი“.

V: ნამყოფი -ed-ის ან მისი ალტერნანტების წინ; -ing-ის წინ; N-ის შემდეგ პლუს should, will, night „ღამე“ და ა. შ. go „წასვლა“, take „კეთება“, think „ფიქრი“, will „სურვილი“, have „ქონა“, do „ქმნა“. ამ კლასში რამდენიმე ქვეკლასი გამოიყოფა: V₁, V₂, V₃, V₄, V₅, V₆, V₇.

A: გვხვდება the-სა და N-ს შორის, არასოდეს s-ის წინ: young „ახალგაზრდა“, pretty „მშვენიერი“, first „პირველი“.

D: გვხვდება the-სა და A-ს შორის, მაგრამ არა the-სა და N-ს შორის: rather „უფრო“, very „ძალიან“, now „ახლა“, not „არა“...

T: გვხვდება N-ის, A-ს ან DA-ს წინ, მაგრამ არა V-ს წინ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას მოსდევს -ing, -ed ან -en): a, my „ჩემი“, some „ზოგი“. ყველა ესენი შეიძლება განვიხილოთ, როგორც the-ს შემნაცვლებელი და ამგვარად არტიკლის კლასის შემქმნელი...

-Nn :N-ს შემდეგ და რისამე წინ, რაც მოსდევს N-ს: -let, -eer, -er, -ess (playlet „პატარა პიესა“, engineer „ინჟინერი“, Londoner „ლონდონელი“, lioness „ძუ ლომი“).

-V_v :V-ს შემდეგ და რისამე წინ, რაც მოსდევს V-ს: ნამყოფი -ed, 3 პ. მხ. რ. — s (rowed „ნიჩაბი მოუსვა“, rows „ნიჩაბს უსვამს“)²⁸.

მორფემათა კლასების დადგენის შემდეგ უნდა გაიკრვეს, მორფემათა რა თანმიმდევრობები შეიძლება შეენაცვლოს ცალკეულ მორფემებს. მორფემათა კლასების თანმიმდევრობები, რომლებიც ენაცვლებიან ყველა გარემოცვებში ზოგ ცალკეულ მორფემულ კლასს, გაუტოლდებიან ამ მორფემულ კლასს. ამგვარად დგება ტოლობები. მაგ., AN = N ნიშნავს, რომ good boy „კარგი ბიჭი“ შეიძლება შენაცვლებულ იქნეს ყველგან man-ით „კაცი“. თუ ჩვენ ჩავწერეთ, DA = A (quite old „სულმთლად მოხუცი“ ენაცვლება old-ს „მოხუცი“, მაშინ DA შეიძლება შეენაცვლოს A-ს ყველგან, სადაც არ უნდა გამოვლინდეს იგი. მაგ., AN = N (old fellow man-ში ჩვენ შეგვიძლია შევუნაცვლოთ old-ს quite old და მივიღოთ quite old fellow).

²⁸ Z. S. Harris, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

DAN=AN=N³⁰. ჩვენ შეგვიძლია თვით ტოლობებშიაც შევეუნაცვლოთ DA A-ს: DA=A. მივიღებთ: DDA=A: really quite old „მართლაც სულმთლად მოხუცი“ ენაცვლება old-ს.

მაგრამ თუ ერთი სიმბოლოს ეკვივალენტები ზოგი მათი გამოვლენისას ვერ ენაცვებიან ამ სიმბოლოს, მაშინ ამ გამოვლენებს განვასხვავებთ სიმბოლოზე დისტინქტური ზედა ციფრების მიწერით. მაგ.,

N -s=N: paper + -s=paper „ქაღალდი“; ხოლო papers შეიძლება შეენაცვლოს paper-ს მეტწილ გარემოცვებში. მაგრამ ჩვენ ჰარ შეგვიძლია შევეუნაცვლოთ N-s პირველ N-ს სწორედ ამ ტოლობაში: ჩვენ არ შეგვიძლია შევეუნაცვლოთ papers პირველ paper-ს და შემდეგ დავუმატოთ კვლავ -s (papers+-s), როგორც ეს ტოლობაშია მითითებული. მაშასადამე, ჩვენ ვწერთ N¹-s=N² (სადაც paper არის N¹, ხოლო papers—N²) და ვაღვანთ, რომ ყველგან, სადაც გვხვდება N², ჩვენ შეგვიძლია შევეუნაცვლოთ მას ნებისმიერი N¹, ან სხვა N², მაშინ როდესაც N¹-ს შეიძლება შევეუნაცვლოთ მხოლოდ ნებისმიერი რაოდენობა N¹-ისა (მაგრამ არასოდეს N²). მაშინ შეუძლებელი გახდება შევადგინოთ თანმიმდევრობა papers+ -s.

ამგვარად, ზედა ინდექსები ერთმიმართულებიან შენაცვლებადობას აღნიშნავენ. მათი მიკუთვნების პროცედურა ასეთია: ზედა 1-ს მივაწერთ, მაგ., X სიმბოლოს, როდესაც ის პირველად ვლინდება. შემდეგ, როდესაც X ვლინდება ტოლობაში, მას ვანიჭებთ იმავე სიმბოლოს⁴⁰, თუ ამ X-ის ყველა ეკვივალენტი შეიძლება ჩაენაცვლოს X¹-ს ყველა ტოლობაში. თუ რომელიმე ახალი X არ შეიძლება ჩაენაცვლოს ყველა წინა X¹-ს, მას ვნომრავთ X²-ით. თუ შემდეგ მივიღებთ ისეთ X-ს, რომელიც არ შეიძლება ჩაენაცვლოს ყველა წინა X¹-ს ან X²-ს, მას დავნომრავთ X³-ით, და ა შ.

იგულისხმება, რომ ტოლობის მარცხენა მხარეს თითოეული ზედა ინდექსი შეიცავს ყველა უფრო დაბალ ციფრებს. ასე, TN²=N³-ში N³-ის ტოლფასოვანია არა მხოლოდ the men (N²) „კაცები“, არამედ აგრეთვე the man (N¹) „კაცი“. ნებისმიერი N¹ შეიძლება შეენაცვლოს N²-ს მარცხენა მხარეს. მაგრამ მარჯვენა მხარეს თითოეული წევრი აღნიშნავს

³⁰ სტანდარტულ პროცედურას აქ ავტორი შემდეგნაირად გამოხატავს: რადგან DA=A საშუალებას გვაძლევს შევეუნაცვლოთ DA A-ს ყველგან, სადაც A ჩნდება, ჩვენ ვწერთ DA-ს პირველი A-ს ადგილას ამ ტოლობაში: თუ DA=A, მაშინ DDA=A, ე. ი. DDA=DA=A (დასახ. ნაშრ., გვ. 146).

⁴⁰ იქვე.

მხოლოდ თავის თავს. N^2 -ს მარჯვენა მხარეზე შეუძლია შეენაცვლოს მხოლოდ სხვა N^2 -ს, ასევე N^1 -ს და N^2 -საც⁴¹.

აღწერილი წესების მიხედვით ჰარისი ადგენს მორფემულ თანმიმდევრობათა ტოლობებს ინგლისური ენისათვის. ტოლობები 7 ჯგუფს ქმნიან:

1) ტოლობები, რომლებიც შეიცავენ N^1 , V^1 , A^1 -ს, წარმოგვიდგენენ სიტყვაწარმოების თითქმის ყველა შემთხვევას, ე. ი. მორფემათა დართვას ერთი ძლიერი მახვილის მქონე ერთეულის შიგნით. მაგ., $A^1 - An = N^1$: darkness „სიბნელე“—ენაცვლება smell-ს „სუნი“ I don't like the—here ში⁴² „მე არ მიყვარს—აქ“.

2) ტოლობები, რომლებშიაც A^2 აუცილებელია, თუმცა N^1 მაინც ადევკატორია. მაგ., $DA^2 = A^2$: completely false „საესებით ყალბი“ ენაცვლება false-ს „ყალბი“ That's a—statement-ში „ეს არის—მტკიცება“ (თვით D აქ მიღებულია A -Ad-საგან).

3) ტოლობები, რომლებიც შეიცავენ N^2 -ს და N^2 -ს, ავითარებენ სახელურ ფრაზას. მაგ., $N^2 N^2 = N^1, 2$: family heirloom „ოჯახური თვისება“ ენაცვლება boy-ს „ბიჭი“ It's—-ში „ის არის—“⁴³.

4) ტოლობები, რომლებიც მოითხოვენ V^2 -იდან V^4 -მდე, ავითარებენ ზმნურ ფრაზებს. მაგ., $V_1 N^4 N^1 = V_2, 2$: make Harding President „პარდინგის დანიშვნა პრეზიდენტად“ ენაცვლება vote-ს „არჩევა“ We're going to—-ში „ჩვენ მივდივართ—ისათვის“⁴⁴.

5) სახელური ფრაზა შევსებულია N^4 -ის შემოტანით. $N^3 N^4 V_4^1 = N^3 N^4 V_4^1 P = N^4$: The clock he fixed „საათი, რომელიც მან დააყენა“ ან The house he slept in „სახლი, რომელშიაც მას ეძინა“ ენაცვლება The clock-ს —is all right now.-ში, „—წესრიგშია ამჟამად“⁴⁵.

6) სუბორდინაციები და კოორდინაციები. მაგ., $BN^4 V^4 = PN^3 N^4 V^4 = N^4 V^3$ -ing = V^2 -ing = PN^4 : If he goes home „თუ ის მიდის შინ“ ან In the event that he goes home „იმ შემთხვევაში, თუ ის მიდის შინ“ ან Everyone having left „ყველა, ვინც დარჩა“ ან Being at home „შინ მყოფი“ ენაცვლებიან At night-ს „ღამით“ —he'll lock up the house-ში, „—დაკეტავს სახლს“.

7) ტოლობები, რომლებიც შეიცავენ მთლიან გამოთქმებს. მაგ., $N^4 V^4 /, / \& N^4 V^4 = N^4 V^4$: ნებისმიერ $N^4 V^4$ გამოთქმას შეგვიძლია „შეკუ-

⁴¹ Z. S. Harris, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

⁴² იქვე, გვ. 147.

⁴³ იქვე,

⁴⁴ იქვე, გვ. 147—148.

⁴⁵ იქვე, გვ. 148.

ნაცვლოთ ორი N^4V^4 თანმიმდევრობა მათ შორის კავშირით და რედუცირებული ძლიერი მახვილით მეორე გამოთქმაზე: I know, but I can't tell „მე ვიცი, მაგრამ მე არ შემიძლია ვთქვა“ ენაცვლება I know-ს „მე ვიცი“⁴⁶.

ტოლობათა განხილვის საფუძველზე პარისი ასკენის, რომ ინგლისურში ყველა მორფემული კლასი და ყველა მორფემული თანმიმდევრობა (გარდა ზოგიერთი დამოუკიდებელი მორფემისა) გვხვდება პოზიციებში, სადაც ისინი შეიძლება შენაცვლებულ იქნენ N^4 -ით ან V^4 -ით. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისური გამოთქმების მეტი წილი წარმოადგენს შემდეგ ფორმათა თანმიმდევრობას: $N^4V^4/./$ -ით, $/?/$ -ით, ან სხვა ინტონაციით⁴⁷.

ავტორი შემდეგნაირად აჯამებს მიღებულ შედეგებს: წარმოდგენილი ანალიზი, გვეუბნება ის, პოზიციურია (ხაზი ჩვენია — თ. შ.), მართალია, დასაწყისში ერთ კლასში ერთიანდება ის მორფემები, რომელთაც ერთნაირი გარემოცვები, ე. ი. მსგავსი დისტრიბუციები აქვთ, მაგრამ ამ პრინციპს ზუსტად რომ გავყოლოდით, მაშინ განსხვავებული კლასების ძალიან დიდ რაოდენობას მივიღებდით. მაგ., hotel „სასტუმრო“ არის N, think „ფიქრი“ — V, მაგრამ take „კეთება“ ახალ კლასში უნდა მოგვეთავსებინა, რადგან მას უხეშად ორივეს დისტრიბუცია აქვს. კლასების სიმრავლის თავიდან ასაცდენად take-ისათვის ახალ კლასს კი არ გამოვყოფთ, არამედ ვამბობთ, რომ ის არის როგორც N-ის, ისე V-ს წევრი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე მორფემა take-ს ან think-ს კი აღარ ვსწავლობთ, არამედ პოზიციებს, რომლებიც საერთოა take-ისა და think-ისათვის ან take-ისა და hotel-ისათვის⁴⁸.

ამგვარად, ყველა მის გარემოცვასთან თითოეული მორფემის შესატყვისობიდან ჩვენ გადავდივართ შერჩეულ გარემოცვათა (ყალიბთა) შესატყვისობაზე ყველა მორფემასთან, რომლებიც მათში შედიან. ამჟამად ცვლადებს წარმოადგენენ პოზიციები, რამდენადაც კლასის წევრობის კრიტერიუმი არის სუბსტიტუცია, ერთი და იგივე მორფე-

⁴⁶ Z. S. Harris, დასახ. ნაშრ., გვ. 148—149.

⁴⁷ იქვე, გვ. 149.

⁴⁸ იქვე, გვ. 150 შდრ. Methods in Structural Linguistics, გვ. 251, § 15.5, გვ. 277, 296—297. პარისი შენიშნავს, რომ პოზიცია რჩევა, რაც ბლუმფილდის 'გამოვლენის უპირატესობა' (privileges of occurrence), რომ ის მოცემულია აგრეთვე ბლუმფილდის კლასის გახლეჩაში (class cleavage) და მის ფორმალურ კლასთა ფუნქციებში, რომლებიც არსებითად უზრუნველყოფს სიტყვათა და სიტყვების თანმიმდევრობათა (ფრაზების) სინტაქსურ ეკვივალენტობას (From Morpheme to Utterance, გვ. 150, შწმ. 25).

მა შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა კლასის პოზიციაში. ჩვენ ვარჩევთ ისეთ პოზიციებს, რომლებშიაც მრავალი მორფემა გვხვდება და რომელთა ტერმინებითაც ვიღებთ ყველაზე მოხერხებულ მთლიან აღწერას. ეს პოზიციური ანალიზი, ავტორის განმარტებით, მკაცრად ფორმალურია⁴⁹.

საბოლოოდ, პარისის აზრით, თითოეული ენისათვის ვიღებთ სუბსტიტუციური კლასების ('გამოთქმის კონსტრუქციების', 'წინადადების ტიპების') თანმიმდევრობათა ფორმულებს, რომლებიც შეიძლება ნაწარმოებნი იყვნენ ამ ფორმულებიდან.

ამგვარად, საბოლოო ფორმულები გვაძლევს შეზღუდვებს ენაში მორფემათა გამოვლენის თავისუფლების შესახებ⁵⁰.

8.1. როგორც ვნახეთ. ზ. პარისმა სუბსტიტუციის პროცედურაზე დამყარებით მოგვცა ჯერ მორფემათა, ხოლო შემდეგ მორფემულ თანმიმდევრობათა კლასიფიკაცია, რაც მან გარკვეული ტოლობებით გამოხატა. სანამ მეთოდის რაობისა და საბოლოოდ მიღწეული შედეგების შესახებ ვილაპარაკებდეთ, შევეხოთ თვით კლასიფიკაციის საკითხს.

რას წარმოადგენს ზ. პარისის მიერ პოზიციური ანალიზის შედეგად დადგენილი მორფემული კლასები? ავტორის სულ 35 კლასი აქვს გამოყოფილი. ამთგან 18 შეესაბამება მეტყველების ნაწილებს მათი ქვეკლასებითურთ. ესენია პირველი 16 კლასი: 1) N(← noun)—არსებითი სახელი, 2) V(← verb)—ზმნა 8 ქვეკლასით, 3) R(← relational)—დამხმარე ზმნები ორი ქვეკლასით, 4) A(← adjective)—ზედსართავი, 5) D(ad-verb?)—ზმნისართი, 6) T(← The)—არტიკლის კლასი, ე. ი. არტიკლი და მისი შემცვლელი სიტყვები, მაგ., ზოგი ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი, 7) I(← I პირველი პირის ნაცვალსახ.)—მოიცავს ნაცვალსახელებს და ზოგ სხვა სიტყვას, 8) P(← preposition)—წინდებულნი. ამათ ემატება ორი ტიპის კავშირები, რომლებიც სულ ბოლოშია მოქცეული. ესენია 9) &-მაერთებელი კავშირი და B-მაქვემდებარებელი კავშირი. ამგვარად, თუ ქვეკლასებს არ მივიღებთ მხედველობაში, სულ 9 მეტყველების ნაწილი გამოდის და ეს კლასიფიკაცია უმნიშვნელო დეტალებით თუ განსხვავდება მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაციისაგან. ავტორის არც შორისდებულები გამორჩენია, ოღონდ ისინი ამ კლასიფიკაციაში ვერ შევიდა,

⁴⁹ Z. S. Harris, დასახ. შრ., გვ. 150, სქოლო 26.

⁵⁰ იქვე, გვ. 150.

როგორც გამოთქმებში გამოყოფილი, დამოუკიდებელი მორფემები (მაგ., *cello, oli*)⁵¹.

თვით ჰარისი არ მიუთითებს, რომ დასახელებული კლასები მეტყველების ნაწილებია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღნიშვნებს N, V, A და ა. შ., რომლებიც თავისთავად მეტყველებენ, თუმცა ავტორი მათ არ გაშიფრავს). ეს გასაგებიცაა: თუ მიღებული კლასები მეტყველების ნაწილებს წარმოადგენს, მაშინ საქმე გვაქონია არა მორფემათა, არამედ სიტყვათა კლასიფიკაციასთან. სიტყვები კი ჰარისმა არარელევანტურად გამოაცხადა. ფაქტობრივად ზემოგანხილული 18 კლასი სიტყვებს, ე. ი. ბლუმფილდის განსაზღვრებით, მინიმალურ თავისუფალ ფორმებს შეიცავს. ოღონდ ესაა ერთმორფემიანი სიტყვები (მაგ., *hotel, butter, go, stop* და ა. შ.). ინგლისურში ერთმორფემიანი სიტყვები დიდი რაოდენობითაა, ვინაიდან ფორმაცვლილების აფიქსები აქა-იქ თუა შემორჩენილი⁵². სწორედ ეს აძლევს შესაძლებლობას ჰარისს ილაპარაკოს მორფემათა შესახებ (რადგან იგი არ ცნობს სხვა ელემენტებს გარდა მორფემებისა) და არ ახსენოს სიტყვები, თუმცა ფაქტობრივად საქმე ეხება სწორედ სიტყვებს და მათ დაჭგუფებას მეტყველების ნაწილებად.

დანარჩენი 17 კლასიდან 16 აფიქსებს წარმოგვიდგენს. აქ შედი: როგორც სიტყვაწარმოებითი, ისე სიტყვაცვლილების აფიქსები. გონებამახვილურია მათი სიმბოლური გამოხატვის წესი. გარდა იმისა, რომ დეფიზის ადგილი უჩვენებს პრეფიქსთან გვაქვს საქმე თუ სუფიქსთან, თითოეული მათგანი ორი ასოთია აღნიშნული. ამათგან ერთი — მთავრული — მიუთითებს, თუ რა მეტყველების ნაწილს დაერთვის აფიქსი, ხოლო მეორე, — ნუსხური, რომელიც ინდექსადაა მიწერილი, — მიგვანიშნებს, თუ რა მეტყველების ნაწილს ვიღებთ ამ აფიქსის დართვის შემდეგ. ასე მაგ., -*Na* ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს სუფიქსთან, რომელიც ერთვის არსებით სახელს და აწარმოებს ზედსართავს (მაგ., *ish: boyish* „ბიჭური“ (-*Vn* კი სახელური სუფიქსია ზმნასთან (მაგ., -*er: writer* „მწერალი“).

დაგვრჩა ერთი კლასი — *S*, რომელიც შეიცავს არათავისუფალ ფუძეებს, დაირთავს ნებისმიერ აფიქსებს, ხოლო ამ აფიქსთა გარეშე კერძო ერთ მეტყველების ნაწილს ვერ განეკუთვნება.

უნდა ვაღიაროთ, რომ კლასიფიკაცია მოიცავს ჰეტეროგენულ ერთეულებს: ერთი მხრივ, თავისუფალ ფორმებს ანუ სიტყვებს, ხოლო,

⁵¹ Z. S. Harris, დასახ. შრ., გვ. 146.

⁵² ქართულში ინგლისურისაგან განსხვავებით სახელებს ფუძისეული მორფემის გარდა ბრუნვის ნიშანიც ექნებოდა, ზმნებს — პირის, დროის და სხ. ნიშანი და ა. შ.

მეორე მხრივ, დაკავშირებულ ფორმებს: ფუძისეულ მორფემებს (S) და აფიქსისეულ მორფემებს. ამ ერთეულთა ერთ სიბრტყეზე წარმოდგენა არ ჩანს გამართლებული.

ანალოგიურ შენიშვნას იმსახურებს მორფემათა თანმიმდევრობის კლასიფიკაცია. ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან, ავტორის განცხადებით, მორფემათა თანმიმდევრობანი არ ქმნიან ახალ კლასიფიკაციას. ოღონდ აქ სხვა ერთეულებია წარმოდგენილი. ვინაიდან პარისის არცნობს სიტყვებს ენობრივ ერთეულებად და არ მიჯნავს ერთმანეთისაგან მორფოლოგიას და სინტაქსს, მისთვის მორფემათა თანმიმდევრობას წარმოადგენს როგორც ძირისა და აფიქსების შემცველი, ე. ი. რამდენიმე მორფემიანი სიტყვები, ისე შესიტყვებებიც (resp. ფრაზებიც), რომლებიც რამდენიმე სიტყვისაგან შედგება. პარისის თანმიმდევრობათა ფორმულებში ეს ორი შემთხვევა გაუდიფერენცირებლად არის მოცემული. ასე მაგ., ტოლობათა პირველი ჯგუფის შესახებ თვით ავტორი შენიშნავს, რომ ისინი წარმოგვიდგენენ სიტყვაწარმოებას. ზოგიერთ სხვა ჯგუფშიაც გვხვდება სიტყვის კონსტრუქციის ამსახველი ტოლობები (მაგ., 2 ჯგუფში: $A^1 - Aa = A^2$: oldish ენაცვლება old-ს, 3 ჯგუფში: $N^1 - s = N^2$: papers ენაცვლება paper-ს და ა. შ.). ამგვარად, ოუ ერთმორფემიანი სიტყვები მორფემათა კლასებში შედიოდნენ და მეტყველების ნაწილებად ჯგუფდებოდნენ, ნაწარმოები და რთული ფუძის მქონე, აგრეთვე ფორმაცვლილების აფიქსთა შემცველი სიტყვები თანმიმდევრობათა კლასებში გვხვდება შესიტყვებებთან ერთად. ცხადია, ეს სიტყვებიც იმავე მეტყველების ნაწილებს განეკუთვნებიან. რასაც ერთმორფემიანი სიტყვები. ამის შედეგად, ერთი მხრივ, მეტყველების ნაწილები დაქსაქსულია, ისინი მორფემულ კლასებშიაც შედიან და მორფემათა თანმიმდევრობის კლასებშიაც. ხოლო, მეორე მხრივ, შესიტყვებები არ არის გამოიჯნული სიტყვებისაგან (პარისის გამოთქმით, ერთი მახვილის ქვეშ თავმოყრილი მორფემებისაგან). ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა კლასიფიკაციაშია შეტანილი ერთი პრინციპის მიხედვით გამოყოფილი კლასები (მეტყველების ნაწილები) და ერთ კლასიფიკაციაშია გაერთიანებული სხვადასხვა რიგის ერთეულები (მორფემათა კლასიფიკაციაშია: სიტყვები და მორფემები, როგორც ფუძისეული, ისე აფიქსისეული. თანმიმდევრობათა კლასიფიკაციაში: სიტყვები და ფრაზები). ასეთი აღრევა არ ჩანს გამართლებული.

მეტყველების ნაწილებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით მათი გამოყოფის პრინციპს. ეს პრინციპი პარისის ექსპლიციტურად

ნაჩვენები არა აქვს, უინაიდან, როგორც დავრწმუნდით, მეტყველების ნაწილები მას გათქვეფილი აქვს მორფემებისა და მორფემათა თანმიმდევრობის კლასებში. ავტორი იღებს მეტყველების ნაწილთა მზამზარეულ სქემას და მოარგებს მას ინგლისური ენის მასალას. მისი ყურადღების ცენტრშია არა საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება ეს კლასიფიკაცია ინგლისური ენის სიტყვათა სტრუქტურულ კლასებს, არამედ ის, თუ რა სინტაქსურ გარემოცვებში გვხვდება ტრადიციულად გამოყოფილი კლასები. ამის შესაბამისად ჰარისი მეტყველების ნაწილებს ქვეკლასებად ყოფს.

ამგვარად, ამ საკითხში ჰაისის თვალსაზრისი პრინციპულად არ განსხვავდება ბლუმფილდის თვალსაზრისისაგან. მორფემათა და მორფემულ თანმიმდევრობათა კლასები, რომლებიც ფაქტობრივად მეტყველების ნაწილებს წარმოადგენს, სუბსტიტუციის კლასებად ცხადდება, მათ ავტორი ერთსა და იმავე პოზიციაში გამოვლენის მიხედვით ანასიათებს. პოზიციები, რომლებშიაც მორფემები და მათი თანმიმდევრობანი ენაცვლებიან ერთმანეთს, მცირეოდენ გამონაკლისთა გარდა, სინტაქსურია, ე. ი. სუბსტიტუცია, თვით ავტორის სიტყვით, წინადადების ფარგლებში წარმოებს. ბლუმფილდის შეხედულებათა განხილვისას ჩვენ სადავოდ მივიჩნით მეტყველების ნაწილთა გამოყოფის საფუძვლად ერთსა და იმავე სინტაქსურ პოზიციებში გამოვლენის აღიარებას. მეტყველების ნაწილები სიტყვათა სტრუქტურის (ფლექსიის) ანუ ფორმაცვალებადობის გათვალისწინებით, ე. ი. მორფოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით უნდა გამოიყოს. რა თქმა უნდა, იმის გარკვევა, თუ რომელ სინტაქსურ პოზიციას ავსებენ ესა თუ ის მეტყველების ნაწილები, მნიშვნელოვანია და საჭირო. მაგრამ სწორედ ამ საკითხის შესწავლა ნათელყოფს, რომ, შესაძლებელია, ერთი და იგივე მეტყველების ნაწილი ძალიან განსხვავებულ პოზიციებში გამოვლინდეს და, მეორე მხრივ, ერთსა და იმავე პოზიციაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილი შეგვხვდეს (რაზედაც ჰარისიც მიუთითებს). აქედან ცხადია, რომ სინტაქსური პოზიციების მიხედვით გამოყოფილი სიტყვათა კლასები ვერ გაუტოლდება მეტყველების ნაწილებს. ჰარისის პოზიციის მიხედვით კლასიფიკაცია დამოუკიდებლად რომ მოეხდინა და მისთვის საფუძვლად მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია არ დაედო, მაშინ ის სხვა ჯგუფებს მიიღებდა, სადაც ადგილი არ ექნებოდა არც კლასების გადაკვეთას, არც კლასების გახლეჩას. თავისი ხა-

სიათით ეს იქნებოდა წინადადების წევრთა კლასიფიკაცია⁵³. მაგრამ ჰარისთან, ისევე როგორც სხვა დესკრიპტივისტებთან, მოძღვრება წინადადების წევრთა შესახებ საერთოდ არა გვაქვს, მისთვის განკუთვნილი ადგილი სინტაქსში მეტყველების ნაწილებს უკავია.

ორიოდე შემთხვევაში ჰარისის მიერ მეტყველების ნაწილთა დასახასიათებლად მითითებული პოზიცია მორფოლოგიურია, ე. ი. სიტყვის შიგნით არის მოცემული. ასეა მაგ., არსებითი სახელის ანუ N კლასის განსაზღვრისას. აქ ჰარისს შეაქვს მორფემები, რომლებიც გვხვდება მრავლობითის -s-ის ან მისი ალტერნანტების წინ, ხოლო ზმნურ ანუ V კლასში შემავალი მორფემები გვხვდება ნამყოს -ed-ის ან მისი ალტერნანტებისა და -ing-ის წინ (ალსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ავტორი დამატებით სინტაქსურ პოზიციებსაც მიუთითებს).

გამართლებულია თუ არა, რომ მეტყველების ნაწილთა გამოყოფისას დავეყაროთ მორფოლოგიურ პოზიციებს? — ვფიქრობთ, რომ არა. საქმე ის არის, რომ ჰარისი, გამორიცხავს რა სიტყვებს, როგორც ენობრივ ერთეულებს, მეტყველების ნაწილებზე მსჯელობის დროსაც მორფემებიდან ამოდის. ჩვენ სწორედ ეს შეხედულება მივიჩნით მიუღებლად. მეტყველების ნაწილები სიტყვებია და არა მორფემები⁵⁴. ამიტომ ფლექსიის მორფემები (მრავლობითი რიცხვის

⁵³ ჩვენ აქ არ ვმსჯელობთ იმაზე, თუ რამდენად გამართლებულია ან საქმარისია თუ არა ასეთი კლასიფიკაციისთვის მხოლოდ პოზიციური ანალიზი. როგორც უკვე შევნიშნეთ, აფიქსებით ღარბ რსეთ ენაში, როგორც ინგლისურა, პოზიციები სინტაქსში დიდ როლს თამაშობენ. საერთოდ კი წინადადებში წევრთა კლასიფიკაცია სხვადასხვა სტრუქტურის ენაში სხვადასხვა სინტაქსურ ნიშნებს დაეყარება და სხვადასხვა რაოდენობის კლასებს მოგვექმნება.

⁵⁴ ამიტომ ვერ ვავიზიარებთ ჩ. ჰოკეტის განსაზღვრებას, თიქოს მეტყველების ნაწილი იყოს ფუძის ფორმალური კლასი, რომელიც გვიჩვენებს მსგავს ქცევას ფლექსიაში, სინტაქსში ან ორივეში. ჰოკეტი სიტყვას დესკრიპციული ენათმეცნიერების სრულყოფილი ბიანობიექტად მიიჩნევს და მარცხის თვლის, რომ სიტყვის მეტყველების ნაწილი წარმოადგენს მისი ფუძის მეტყველების ნაწილს (Ch. F. Hockett, *A Course in Modern Linguistics*, IV გამოც. 1963, გვ. 221). ჰოკეტი, როგორც თვითონ მიუთითებს სუორფს ვეყარება (იქვე, გვ. 229). ფასეული ისაა, რომ ეს ავტორები არ იმეორებენ ტრადიციულ კლასიფიკაციას და სხვადასხვა ენათმეცნიერების მეტყველების ნაწილთა სხვადასხვა სქემას იძლევიან. მაგრამ, მათი მტკიცების წინააღმდეგ, მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია სიტყვითა კლასიფიკაციაა და არა ფუძეებისა. ცნობილია, რომ ერთი და იგივე ფუძე ინგლისურში ზმნური აფიქსებითაც შეიძლება გაფორმდეს და სახელურითაც (მაგ., *coordinate* შეიძლება ზედსართავი იყოს, არსებითი სახელიც და ზმნაც). მაშასადამე, გაუფორმებელ ფუძეს ვერც ერთ მეტყველების ნაწილს ვერ მივაკუთვნებთ. ზეორცა და, მცდელებს ნაწილთა დახასიათება ერთდროულად როგორც ფლექსიის, ისე სინტაქსური ნიშნებს მიხედვით, არ არის გამართლებული, ვინაიდან ეს ნიშნები არ აცლებენ პარალელიზმს.

იქნებიან ისინი, ნამყო დროისა თუ ბრუნვისა) სიტყვის გარეთ კი არ დგანან. გარემოცვას კი არ ქმნიან პოზიციისათვის, არამედ სიტყვის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ და სწორედ მათი დართვა მიგვაკუთვნებინებს სიტყვას ამა თუ იმ მეტყველების ნაწილისათვის. თუ appeal-ს განვიხილავთ, როგორც მორფემას, ვერ გადავწყვეტთ, რა მეტყველების ნაწილია იგი. ამ საკითხის გასარკვევად მხედველობაში უნდა მივიღოთ სიტყვა appeal „მიმართვა“ მთელი მისი ფორმაცვალებადობით (appealed, appealing და ა. შ. — ზმნა და the appeal — სახელი).

ამგვარად, ჩვენი აზრით, მეტყველების ნაწილთა გამოყოფისათვის არ გამოგვადგება არა მხოლოდ სინტაქსური პოზიციები, არამედ არც მორფოლოგიური პოზიციები. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეტყველების ნაწილებს არა აქვთ მორფოლოგიური გარემოცვები; მეტყველების ნაწილი მთელი სიტყვაა მის ყველა ელემენტთანად, ამიტომ პოზიციისა და გარემოცვის შესახებ ლაპარაკი აქ არ არის მიზანშეწონილი. მაშასადამე, პოზიციური ანალიზი მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციისას სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. საქმე ის არის, რომ პოზიციური ანალიზი სინტაგმატურ მიდგომას გულისხმობს, მეტყველების ნაწილები კი პარადიგმატული კლასებია⁵⁵.

ჰარისი მეტყველების ნაწილებზე მსჯელობისას არ ითვალისწინებს (ან ძალიან მცირე ანგარიშს უწევს) სიტყვათა პარადიგმატულ მწკრივებს.

მ. 2. მეთოდი, რომელსაც ზ. ჰარისი მრავალგზის იყენებს ენის ანალიზის დროს, არის ერთსა და იმავე გარემოცვებში ენობრივ ერთეულთა სუბსტიტუცია ანუ შენაცვლებადობა. ეს მეთოდი, ჰარისის გაგებით, უნივერსალურია ენის აღწერისას. ის არსებითია არა მხოლოდ ფონემიკაში, არამედ აუცილებელია აგრეთვე მორფემათა დადგენისათვის, მორფემის საზღვრების გამოცნობისათვის და, ბოლოს, მორფემების თანმიმდევრობათა ცალკეულ მორფემებამდე დაყვანისათვის⁵⁶. ამგვარად, ეს მეთოდი ანალიზის ყველა დონეზე გამოიყენება. იგი ჭერ ფონემიკაში იქნა გამომუშავებული და შემდეგ გადმოიტანეს მორფოლოგიასა და სინტაქსში.

ჩვენ არ შევეხებით სუბსტიტუციის რაობას ფონემიკაში და

⁵⁵ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰ. გლისონს ინგლისურ ენაში ისეთი მეტყველების ნაწილები, როგორცაა არსებითი სახელი, პირის ნაცვალსახელი, ზმნა და ზედსართავი, პარადიგმატულ კლასებად მიაჩნია, მაგრამ ამათ გვერდით ის გამოყოფს მეტყველების ნაწილთა სინტაქსურ კლასებად, რაც კვლავ თვალსაზრისით აღრევას იწვევს. Г. Г л и с о н, Введение в дескриптивную лингвистику, 1959, გვ. 144. და შემდ.

⁵⁶ Z. S. Harris, From Morpheme to Utterance, გვ. 143.

მორფოლოგიაში. ვფიქრობთ, რომ ორივე დონეზე ამ ოპერაციის გამოყენებას გამართლება აქვს გარკვეული მიზნებისათვის. გამართლებულია ცალკეულ სიტყვათა ურთიერთჩანაცვლებაც მათი პოზიციური კლასების დასადგენად. მაგრამ იგივე არ ითქმის იმ შემთხვევებზე, როდესაც ცალკეულ სიტყვას (პარისის მიხედვით — მორფემას) უხაცვლებენ რამდენიმე სიტყვას (პარისის მიხედვით — მორფემათა თანმიმდევრობას). მაგ., დასაშვებად არის მიჩნეული ასეთი სუბსტიტუციები: all my „ყველა ჩემი“ ნაცვლად some-ისა „ზოგიერთი“ გამოთქმაში: We lost—books. „ჩვენ დაგვარგეთ — წიგნები“ Completely false ნაცვლად false-ისა გამოთქმაში: That's a—statement. უფრო მეტი: The books my varrious friends borrowed. „წიგნები, რომლებიც ჩემმა სხვადასხვა მეგობრებმა ითხოვეს“ ან Men I have known „კაცები, რომლებსაც მე ვიცნობდი“ ენაცვლება fish-ს „თევზი“ გამოთქმაში — will be discussed later. „—განხილული იქნება მოგვიანებით“⁶⁷.

პარისი არ ადებს რაიმე შეზღუდვებს სუბსტიტუციის ტესტს, არ გვეუბნება, რა შემთხვევაშია დაშვებული და როდის გამორიცხული შენაცვლებები, როგორ უნდა შევადგინოთ დიაგნოსტიკური ნიშნები სუბსტიტუციისათვის, როდის შეიძლება ვილაპარაკოთ ერთი და იმავე პოზიციის შესახებ. ერთადერთი, რასაც ის მოითხოვს, ეს ისაა, რომ სუბსტიტუციის შემდეგაც გამოთქმასთან გვექონდეს საქმე.

მაგრამ ასეთი ჩანაცვლების შედეგად მიღებული გამოთქმის სტრუქტურა ხომ მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ გამოთქმის სტრუქტურისაგან, რომელშიაც ჩანაცვლება მოხდა. განა სინტაქსური სტრუქტურის თვალსაზრისით ერთი და იგივეა fish will be discussed later და men I have known will be discussed later? ზ. პარისი კი სწორედ ასეთი სუბსტიტუციების საფუძველზე ადგენს ტოლობებს. მაგ., ამ შემთხვევაში იგი წერს: $N^I N^IV = N^I$. გამოდის, რომ ოთხწევრიანი კონსტრუქცია men I have known იგივეა, რაც ერთწევრიანი კონსტრუქცია — fish.

ასეთი გაუგებარი და გაუმართლებელი გატოლების უფლებას პარისს, ერთი შეხედვით, თითქოს აძლევს სუბსტიტუციის ოპერაცია: გამოთქმაში ოთხი სიტყვა იქნა ხმარებული იქ, სადაც ერთი სიტყვა გვექონდა. ჩვენი აზრით, აქ დაშვებულია ფორმალური ხასიათის შეც-

⁶⁷ Z. S. Harris, Methods in Structural Linguistics, გვ. 267.

დომა, რასაც პოზიციის დაუზუსტებლობა იწვევს. გამოთქმაში ყოველი ერთეული ერთ პოზიციას იკავებს. ეს ძალიან ნათელია ფონოლოგიაში. სიტყვას /ქარი/ ოთხი ბგერითი პოზიცია აქვს. ჩვენ შეგვიძლია პირველ პოზიციაში ერთმანეთს ჩაუუნაცვლოთ ბგერითი სეგმენტები. მივიღებთ: /კარი/, /სარი/, /ბარი/ და ა. შ. ეს პოზიცია აღინიშნება შემდეგნაირად: —არი, მეორე პოზიცია იქნება ქ—რი, აქ სუბსტიტუცია მოგვცემს: /ქერი/, /ქორი/. მესამე პოზიციაში /ქა—ი/ შეიძლება მივიღოთ: /ქალი/ და ა. შ. არავის მოუვა აზრად ფონოლოგიაში ერთ ბგერით სეგმენტს რამდენიმე შეუნაცვლოს და აქედან რაიმე დასკვნები გააკეთოს. მაგ., სიტყვებს წარმოადგენს /წყნარი/, /მტკბარი/, /ქნარი/, ყველაში გამოიყოფა /არი/, მაგრამ განა მართებული იქნება ვთქვათ, რომ /წყნ/, /მტკბ/, /ქნ/ ენაცვლება /ქარი/-ს/ქ/-ს?

ამას არც არავინ ამბობს, მაგრამ ასეთი ოპერაცია დასაშვებად არის მიჩნეული სინტაქსში, როცა გვარწმუნებენ, რომ completely false ენაცვლება false-ს გამოთქმაში That's a—statement. სინტაქსური გამოთქმის ერთეულებს სიტყვები შეადგენენ. თითოეულ სიტყვას თითო პოზიცია უკავია: false ერთ პოზიციას ავსებს, 'completely false კი—ორს. მაშასადამე, პირველის ყალიბი იქნება: That's a—statement, მეორისა კი That's a—statement. იგივე ითქმის სხვა მაგალითების შესახებაც: fish, როგორც ერთი სიტყვა, ერთ პოზიციას ავსებს:—will be discussed later. Men I have known კი ოთხსიტყვიანი ფრაზაა და ოთხ პოზიციას შეავსებს: ——— will be discussed later.

ამგვარად, საფუძველი ეცლება ჰარისის მიერ შედგენილ ტოლობებს. სიტყვათა თანმიმდევრობის გატოლება ცალკეულ სიტყვასთან⁸⁸ ფორმალურად გაუმართლებელი გამოდის. არსებითადაც, თუ სინტაქსს ფრაზის კონსტრუქცია აინტერესებს, მან ამ ფრაზის თითოეული წევრი (resp. შემადგენელი), ე. ი. თითოეული სიტყვა უნდა გააახალიზოს და გაარკვიოს მისი მიმართება დანარჩენ სიტყვებთან, მისი როლი კონსტრუქციის შექმნაში. არ არის გამართლებული რამდენიმე სიტყვისაგან შედგენილი ჯგუფის გაუანალიზებლად დატოვება.

⁸⁸ როგორც ვნახეთ, ჰარისი მხოლოდ მორფემებზე და მორფემათა თანმიმდევრობებზე ლაპარაკობს; ფაქტობრივად კი არ განასხვავებს რა ერთმანეთისაგან მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებს, ის გაუდიფერენცირებლად წარმოგვიდგენს მორფემებს და სიტყვებს, სიტყვებს და ფრაზებს. ვინაიდან ჩვენ საკუთარე სინტაქსური პრობლემები გვაინტერესებს, ამიტომ ვმსჯელობთ სიტყვათა და მათ თანმიმდევრობათა შესახებ, უგულვებელყოფთ მორფემებს და მორფემათა გაერთიანებას სიტყვებში.

სუბსტიტუციის ოპერაციაზე დამყარებულ ტოლობათა საშუალებით სიტყვათა თანმიმდევრობის დაყვანა ერთეულ სიტყვებამდე ჰარისის შრომებში ერთ გარკვეულ ამოცანას ემსახურება: მოძებნილ იქნეს სინტაქსური კონსტრუქციის მინიმალური მოდელი. საქმე ისაა, რომ, როგორც დიდი ხანია ცნობილია, წინადადებაში ყველა სიტყვა ერთნაირი ღირებულების მქონე არაა. ზოგის გამოკლებით წინადადება არ ირღვევა, ზოგის გარეშე კი წინადადებასთან აღარ გვექნება საქმე (შდრ. 'წითელკაბიანი გოგონა ეზოში თამაშობს' და 'გოგონა თამაშობს', მაგრამ 'წითელკაბიანი ეზოში', 'გოგონა ეზოში' და ა. შ. არ არის წინადადება). ამ უითარებას ასახავდა ტრადიციულ გრამატიკაში ცნებები: გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება და შესაბამისად წინადადების ძირითადი და მეორეხარისხოვანი წევრები. დესკრიპტივისტები ცდილობენ მეორეხარისხოვან წევრთა ჩამოცილებით მიაგნონ გარკვეული ტიპის სინტაქსური კონსტრუქციის ბირთვის, მინიმალურ წევრებს, რომელთა გარეშე წინადადებასთან აღარ გვექნება საქმე. როგორც ვნახეთ, ჰარისი თავისი ფორმულების განხილვის შემდეგ მიდის დასკვნამდე, რომ ინგლისურ გამოთქმათა მეტი წილი შედგება $N^4 V^4$ -ისაგან, ე. ი. სახელისა და ზმნისაგან (ტრადიციული ტერმინებით: ქვემდებარისა და შემასმენლისაგან)⁵⁹. ასეთი ბირთვების ძიება სავსებით კანონზომიერია⁶⁰. ოღონდ, როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა, სუბსტიტუციის ოპერაცია, როგორც ის ჰარისმა გამოიყენა, ამისათვის არ გამოდგება.

გარდა ამისა, დაჰყავს რა გავრცობილი წინადადება გაუვრცობლამდე, ჰარისი უგულვებელყოფს გავრცობილი წინადადების თავისებურ სტრუქტურას, მის წევრთა სინტაქსურ ფუნქციებს და ურთიერთმიმართებებს, რაც აგრეთვე არ გვეჩვენება გამართლებულად.

ჰარისისეული სინტაქსური ანალიზის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ იგი, ბლუმფილდისა და ბევრი სხვა დესკრიპტივისტისაგან განსხვავებით, არ იყენებს უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზს. ამას უკავშირებენ ანალიზის მიმართულებას. ვინც უშუა-

⁵⁹ მოიყვანთ ერთ ნიმუშს იმისას, თუ როგორ დაჰყავს ჰარისს მრავალსიტყვიანი გამოთქმა NV მოდელამდე. იგი წერს: These hopeful people want freedom „ამ იმედოვნ ხალხს სურს თავისუფლება“ არის NV , რადგან These არის TA , hopeful არის $NNa=A$, freedom არის $A An=N$, ხოლო $TAAAN=TAN=TN=N$ და $VN=V$ (see it „ვხედავ მას“ see - სათვის „ვხედავ“ I— now-ში „მე ახლა —“) (Methods in Structural Linguistics, გვ. 274).

⁶⁰ ამ ამოცანას ემსახურება რ. ს. უელზის სტატია „უშუალო შემადგენლები“ (R. S. Wells, Immediate Constituents. «Languages», 1972, ტ. 23), რომელსაც საფუძვლად უდევს მოდელისა და ექსპანსიის (გავრცობის) ცნებები. უელზი თვითონვე შენიშნავს, რომ იგი ზ. ს. ჰარისის სუბსტიტუციის ოპერაციას ემყარება.

ლო შემადგენლებს ემყარება, ის მთლიანი გამოთქმით იწყებს და მისი თანდათანობით დაშლის გზით ქვემოთ ჩამოდის სიტყვებამდე და მორფემებამდე. ჰარისის გზა კი ამის საპირისპიროა: ქვევიდან ზევით — მორფემებიდან გამოთქმისაკენ. ასეა აღიარებული სპეციალურ ლიტერატურაში⁶¹. ასე თვლის თვით ჰარისიც⁶².

ჩვენი აზრით, მთლად ზუსტი არ არის იმის თქმა, თითქოს ჰარისი ქვემოდან ზემოთ მიდიოდეს. მართალია, ის ანალიზს ცალკეული მორფემებით იწყებს და შემდეგ გადადის მორფემათა თანამიმდევრობაზე, მაგრამ შემდეგ იგი თავის განტოლებებში მორფემათა თანამიმდევრობებს ცალკეულ მორფემებს უტოლებს, ე. ი. კვლავ მორფემებს უბრუნდება, ერთეულ მორფემებამდე დაჰყავს მორფემათა თანამიმდევრობები. გამოდის, რომ მისი კვლევის გზა ტეხილია: ქვემოდან ზემოთ და შემდეგ ზემოდან ქვემოთ.

⁶¹ იხ. მაგ., R. S. Wells, *Immediate Constituents*, RiL., გვ. 198, სადაც ავტორი, ცდილობს რა შეარჩოს ჰარისის აპარატი უშუალო შემადგენელთა თეორიასთან, აყენებს დებულებას, რომ 'ქვემოთ წასვლის რიგი' არ არის აუცილებლო ბი დაკავშირებული უშუალო შემადგენელთა თეორიასთან. იხ. აგრეთვე H. D. Арутюнова, Г. А. Климов, Е. С. Кубрякова, *Американский структурализм. წიგნში: Основные направления структурализма*, М., 1964, გვ. 273.

⁶² იხ. Z. S. Harris, *Methods in Structural Linguistics*, გვ. 281, სადაც ის ცდილობს დაასაბუთოს, თუ რატომ იწყებს პროცედურას მორფემებით და არა უფრო ფართო სექციით. შდრ. აგრეთვე *From Morpheme to Utterance*, RiL, გვ. 150—151-

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ СОВРЕМЕННОГО ЯЗЫКОЗНАНИЯ

Резюме

К ВОПРОСУ О ПРОИЗВОЛЬНОСТИ ЯЗЫКОВОГО ЗНАКА В СОВРЕМЕННОМ ЯЗЫКОЗНАНИИ¹

Вопрос об отношении между именами и вещами возник уже в древнегреческой философии, где были созданы две теории: *φύσις* и *θέσις*. Первая из них считала, что названия даются вещам соответственно их природе, а согласно второй, имена произвольны, условны по отношению к предметам и лишь по обычаю обозначают их.

Вопрос о языковых знаках, в частности об их произвольности, занимает философию по настоящее время, поскольку он связан с проблематикой гносеологии.

Особенный интерес вызывает этот вопрос в новой философской дисциплине — семнологии или семнотике, которая изучает различные знаковые системы. Данный вопрос привлекает к себе внимание и ряда других наук, таковы теория коммуникации, психология, физиология.

Хотя установкой сравнительно-исторического языкознания постулируют произвольный характер языковых единиц, но вопрос о сущности языкового знака в теоретическом плане в языкознании был поставлен Ф. де Соссюром.

Основные положения трактовки языковых знаков у Ф. де Соссюра вызывают серьезные возражения. Так, по Соссюру, а) означающим признается не последовательность звуков (произносимое слово), а представление слова, — акустический образ; б) означаемое также является психическим. Это — понятие (вернее, предметное представление), а не сам предмет; в) языковой знак не идентичен означаемому, он включает в себя и означаемое и таким образом является двусторонне психическим фактом.

Ценным в концепции Соссюра следует считать признание языкового знака произвольным по отношению к означаемому и

¹ В 1955 г. на научн. сессии ТГУ нами был зачитан доклад «К идеалистическому и материалистическому пониманию языкового знака», а в 1957 г. на XIII научн. сессии Инст. психологии — доклад «Проблема языкового знака в современном языкознании». Из этих докладов для данной статьи был выделен и новой специальной литературой пополнен раздел о произвольности языкового знака.

непроизвольным по отношению к говорящему коллективу. При этом следует отметить, что названные два положения не являются специфическими для концепции Ф. де Соссюра.

Говоря о произвольности языкового знака, Соссюр имеет в виду отношение последовательности звуков к означаемому предмету (а не отношение акустического образа к понятию). Это непоследовательно с точки зрения его концепции, но объективно верно.

Заслугой Соссюра следует считать также разграничение произвольности и мотивации.

Положение о произвольности языкового знака подверглось нападкам с двух сторон. С одной стороны, в сороковых годах в журнале «Acta Linguistica» и других структуралистических органах развернулась дискуссия, начатая Э. Бенвенистом. Участники дискуссии разделились на две группы. Последователи первой группы оспаривали тезис о произвольности языкового знака, фигурирующий в концепции Соссюра, а ученые второй группы защищали точку зрения Соссюра.

Выступившие с критикой Соссюра Э. Бенвенист и другие специалисты (Э. Пишон, Е. Лерх) отметили противоречие в учении Соссюра, когда он, сперва определяя языковой знак как соединение понятия и акустического образа, а затем, говоря о произвольности знака, имеет в виду отношение имени к предмету. Названные ученые, пытаясь сделать более последовательной теорию Соссюра, выдвинули положение о непроизвольности языкового знака. При этом они непроизвольно объявили не отношение имени к означаемому предмету (это положение Бенвенистом не оспаривалось, но он исключил данную проблему из языкознания, признав ее гносеологической), а отношение акустического образа к понятию. Таким образом, проблема из сферы лингвистической была перенесена в область психологии.

Более ортодоксальные последователи учения Соссюра, правильно считая, что вопрос об отношении имени к предмету входит в компетенцию языкознания, и защищая тезис о произвольном характере этого отношения, отрицали наличие внутреннего противоречия у Соссюра (А. Гардинер, А. Неринг) или придавали ему слишком мало значения (А. Сеше, Ш. Балли, А. Фрей). Поэтому данное противоречие находит место и в суждениях названных лингвистов.

Особо стоит вопрос о сущности и произвольности языкового знака в глоссематике. Исходя из положения Соссюра, что «язык есть форма, а не субстанция» и что, следовательно, в нем имеются только различия, а не положительные моменты, глоссематики упрекают швейцарского лингвиста в непоследовательности в том отношении, что он не сумел полностью освободиться

от субстанции, которая представлена в его учении в виде психического феномена.

Л. Ельмслев и его последователи (Н. Еге, С. Йогансен) определяют языковой знак независимо от его внешнего выявления в звуках как взаимоотношение (солидарность, семиологическую функцию) между «формой выражения» и «формой содержания», которые являются знаками «субстанции выражения» (т. е. звуков — Т. Ш.) и «субстанции содержания» (т. е. объектов и идей — Т. Ш.).

В другом плане стоит в глоссематике и вопрос о произвольности знака. Языковой знак признается произвольным с внешней стороны, поскольку каждый знак обусловлен взаимоотношением с другими знаками данной системы, но с внутренней стороны он произволен, так как отношение между данным «выражением» и «содержанием» немотивировано.

С другой стороны, в советской науке некоторые философы, а вслед за ними и языковеды стали отрицать знаковую языковую единицу, отождествляя значения слов со связанными с ними понятиями, которые с марксистской точки зрения отражают действительность. Сторонники этого воззрения, как это справедливо было отмечено в специальной литературе (А. С. Чикобава, Б. А. Серебрянников, Е. М. Галкина-Федорук и др.), критику В. И. Лениным «теории» символов (или иероглифов) в глоссеологии без всякого основания переносят на языковые знаки, что ведет к неоправданному отождествлению языка и мышления. Понятия безусловно отражают объекты действительности, но понятие, несмотря на его неразрывную связь со словом, не является частью этого последнего. Сами же слова своими звуками не отражают, а обозначают классы объектов. Примечательно, что и приверженцы вышеприведенной концепции в конце концов признают, что звуковая сторона слов с необходимостью не связана с предметами и, следовательно, слова частично все же являются знаками.

Пристальное изучение дискуссий по вопросу о произвольности языковых знаков приводит к заключению, что положение о произвольности звуковой стороны слов по отношению к объектам за весьма редкими исключениями (неолингвисты, Е. Лерх, которые защищают теорию звуковой символики) не подвергалось пересмотру. Недоразумение вызывало то обстоятельство, что данное отношение заменяли другими отношениями (отношением представления слова к представлению предмета — Бенвенист и некоторые другие структуралисты, отношением понятия к объекту — некоторые советские ученые), которые признавали произвольными. Замена одного вопроса другим у некоторых ученых создала мнимое впечатление, как будто опровергается произвольность знака к означаемому предмету.

Международный симпозиум в Эрфурте в 1959 г. наглядно показал, что абсолютное большинство специалистов (языковедов, психологов, философов...) разных стран считает звуковую сторону языкового знака произвольной, конвенциональной по отношению к предмету.

Анализируя вышерассмотренные проблемы, можно заключить, что вопрос о произвольности языкового знака не имеет однозначного ответа, поскольку его можно рассмотреть в разных аспектах. Соссюр касался двух, важных для языкознания, отношений:

(1) отношения звуковой стороны знака к означаемому предмету, и (2) отношения знака к говорящему коллективу.

(1) он признавал произвольным, (2) — непроизвольным.

Э. Бенвенист добавил (3) — отношение представления знака к представлению предмета. Это отношение он счел непроизвольным, так как в сознании говорящего указанные представления неразрывно связаны.

К перечисленным можно добавить еще два отношения:

(4) отношение знака к другим знакам данной языковой системы. Это отношение не выпало из поля зрения Соссюра, так как оно создает ценность языкового знака, но с точки зрения произвольности Соссюр его не рассматривал.

Данное отношение признается непроизвольным в глоссематике. На наш взгляд, этот вопрос имеет различное решение в зависимости от синхронного или диахронного подхода к нему. С синхронной точки зрения в уже сложившейся системе языка отношения между языковыми знаками действительно непроизвольны, обязательны. Что же касается диахронического подхода, т. е. становления системы, а также ее развития, то с этой точки зрения отношения между различными знаками произвольны, иначе не возникли бы разнообразные языковые системы, в которых ценности знаков в большей или меньшей степени различаются друг от друга.

(5) Отношение языкового знака к понятию.

Из перечисленных пяти отношений (3) и (5) не входят в компетенцию языкознания. (3) является психологической, а (5) философской проблемой.

ЗНАЧЕНИЕ ДИАЛЕКТОВ ЖИВОГО ЯЗЫКА ДЛЯ ИЗУЧЕНИЯ РАЗВИТИЯ ЯЗЫКА (В СВЯЗИ С ВЗАИМООТНОШЕНИЕМ СИНХРОНИИ—ДИАХРОНИИ И СТАТИКИ—ДИНАМИКИ)¹

1. В концепции Ф. де Соссюра «синхроническая лингвистика» и «статическая, описательная лингвистика», так же как

¹ II часть данного труда доложена на X Международном конгрессе лингвистов 28. VIII. 1967 г. в г. Бухаресте.

«диахроническая лингвистика» и «историческая (эволюционная) лингвистика» являются синонимами. Понятия синхронии и диахронии по де Соссюру четко разграничены: синхроническая лингвистика изучает статус, состояние языка, а диахроническая лингвистика — его изменение, развитие. Однако практически не удастся провести такое четкое разграничение. В любом синхронном срезе всегда имеют место те или иные изменения, которые, вопреки утверждению Соссюра, синхроническим языкознанием не могут игнорироваться. С другой стороны, в последующие друг за другом эпохи при изменении языка некоторые звенья его системы остаются без изменения.

Для преодоления этой трудности (изменения — в синхронии, неизменяемость — в диахронии) некоторые структуралисты пытались различить синхронию от статички, диахронию от динамики.

На наш взгляд, если синхронию не основывать на статике, а диахронию на динамике, то эти понятия потеряют для языкознания всю свою ценность. К тому же различие названных пар понятий не снимает трудности разграничения синхронического и диахронического языкознания.

Трудность эта не результат логической ошибки, допущенной при определении понятий синхронии и диахронии. Она имеет объективную основу в самой природе языка, поэтому снять ее невозможно, но объяснить можно.

Трудность строгого разграничения синхронии и диахронии объясняется неравномерным развитием языка, вследствие чего различные звенья языковой системы меняются в разное время и разными темпами. Поэтому даже в самом кратком промежутке времени в любом живом языке наблюдаются такие этапы изменений тех или иных звеньев, которые не следует игнорировать даже с точки зрения полного описания языка. Для квалификации таких явлений необходимы понятия диахронного языкознания. Это не означает смешения синхронии и диахронии. Имея дело с явлениями разного характера (с неизменяющимися и изменяющимися явлениями), необходимо изучить их соответственно их природе (первые с синхронической точки зрения, вторые — с диахронической точки зрения).

2. Одно из различий между синхронным и диахронным изучением языка заключается в том, что материал для исследования синхронному языкознанию задан заранее. В распоряжении лингвиста, описывающего язык, имеются факты современного ему языка, которые он может наблюдать и точно фиксировать. Вся тяжесть исследования переносится на анализ этого материала: сегментацию, идентификацию и классификацию единиц, а также на установление взаимоотношений между ними. В диахронном языкознании дело обстоит иначе: и здесь языковеду

задач только современный язык, чего отнюдь недостаточно для изучения его истории. Ведя в этом языке поиски следов происходивших когда-то изменений, лингвист прежде всего должен восстановить следовавшие друг за другом этапы его развития путем применения специальных методов (сравнения родственных языков, внутренней реконструкции, методов лингвистической географии, ареальной лингвистики и т. д.).

Исключения составляют письменные памятники. Однако, несмотря на большую ценность их показаний, они не отражают ни всех особенностей, ни всех ступеней истории изучаемого языка. К тому же многие языки не имеют древних письменных памятников.

При реконструкции ранних ступеней развития звеньев языковой системы не всегда удается установить, какие из них были синхронны по отношению друг к другу, т. е. составляли одну систему, и какие относились к различным хронологическим периодам. Отсюда следует, что практически неосуществимо сведение диахронического изучения языка к описанию различных синхронных срезов, если бы даже это было оправдано с методологической точки зрения. К тому же диахроническое языкознание интересуется не простым описанием последовательности языковых фактов, а ставит своей задачей выяснить, как и в каких условиях протекало изменение, в каких звеньях языковой системы отразилось и чем оно было вызвано.

Для восстановления прошедших этапов в развитии языков, а также для понимания процессов развития и причин прошедших изменений, необходимо знать общие условия и закономерности, которые определяют функционирование и развитие языка. Эти знания можно приобрести только при изучении живых языков и их диалектов.

Изучение живого языка и его диалектов может быть релевантным для диахронического языкознания по следующим причинам:

А. Каждый живой язык представляет собой развивающуюся систему, в которой непрерывно протекают разнообразные процессы, преобразующие ее. Неподвижно застывшего языка в реальности не бывает. Синхрония как статическое состояние — научная абстракция, необходимая для лучшего познания языка. Однако, как было сказано выше, практика исследования живых языков показывает, что полностью абстрагироваться от динамики не удается даже в целях синхронного анализа. Следовательно, в живой речи обнаруживается ценный для диахронического языкознания материал, дающий возможность проследить действующие в языке процессы и общественные условия, влияющие на развитие языка.

Б. Вследствие того, что звенья языковой системы изменяются не одновременно и не в одинаковом темпе, в каждом живом

языке наблюдаются различные ступени разнообразных процессов, дающие возможность уяснить общую картину развития языка.

В. Многие изменения, происшедшие когда-то в языке, оставляют в его системе определенные следы, изучение которых приводит к восстановлению истории соответствующих фактов.

Ниже приводятся некоторые обобщения наблюдений над одним из языков картвельской группы, — а именно, над бесписьменным сванским языком, который имеет многовековые контакты, с одной стороны, с грузинским языком, представляющим собой национальный, литературный язык и для сванов, с другой стороны, с мегрельским диалектом занского языка, третьего члена группы картвельских языков. Для большей наглядности примеры приведены из фонетики и фонологии.

3. Письменность создает специфические условия для развития устного языка. Вследствие этого, изменения в устных, но бесписьменных языках протекают своеобразно по сравнению с изменениями в устных языках, имеющих письменность. Письмо, школа, необходимость соблюдать нормы литературного языка развивают у говорящих сознательное отношение к языку, рефлексию, способность объективировать языковые факты, навыки к самоконтролю, отсутствующие, обыкновенно, у говорящих на бесписьменном языке и у неграмотных лиц (при наличии письменности).

Отсутствие рефлексии над фактами языка является причиной того, что при прочих равных условиях изменение в бесписьменном языке осуществляется в более быстром темпе, чем в устном языке, имеющем письменность. Бывают случаи, когда изменения (ассимиляция, выпадение согласных и т. д.), широко распространенные в устной речи старшего поколения, являющегося неграмотным, не получают развития в речи более молодого поколения, ставшего грамотным.

Из-за отсутствия рефлексии над фактами языка, люди, говорящие на бесписьменном языке, большей частью не замечают изменений, появляющихся в их собственной речи или в речи окружающих, или же неадекватно фиксируют их. Неграмотный (а иногда и грамотный) информант, который не привык наблюдать факты языка и не разбирается сознательно в его сложной системе, может отрицать наличие таких форм, которые на самом деле бытуют в окружающей его среде или даже в его собственной речи. С другой стороны, он может засвидетельствовать формы, отсутствующие в данном коллективе или дать совершенно неправильную информацию об особенностях того или иного говора.

Из вышесказанного следует, что материал для научного анализа лингвист должен черпать из собственных наблюдений, из текстов, записанных в естественных для информантов усло-

виях, а к опросу информантов он может прибегнуть лишь в крайних случаях и с большой осторожностью.

4. В развитии языка важную роль играют контакты как с соседними языками, так и между диалектами одного и того же языка.

Межъязыковые контакты способствуют сравнительно быстрому изменению языка. Вследствие этого в пограничных диалектах, которые непосредственно примыкают к другим языкам, наблюдается меньше архаизмов и больше неологизмов, в то время как в центральных диалектах, окруженных другими диалектами своего же языка, архаизмы сохраняются дольше.

При интенсивных и длительных контактах влияние соседних языков проявляется не только в заимствовании слов, но может проникнуть в самые интимные области языка (в фонологическую систему, грамматический строй). Такому проникновению способствуют, с одной стороны, ослабление языкового чутья, когда специфические особенности собственного языка не противопоставляются интуитивно особенностям чужого языка, а, с другой стороны, сдвиг всей артикуляционной базы. Напр., в нижнеабхазском диалекте сванского языка, имеющем непосредственные контакты с мегрельским, а также и с грузинским языками, в результате ослабления мускульного напряжения в органах речи, артикуляция звуков становится нечеткой, интонация — однообразной, темп речи ускорен. На этом фоне широко распространение находит множество звуковых изменений, чуждых верхнеабхазскому диалекту того же языка.

Помимо систематического общения между населением соседних областей, источником взаимовлияния диалектов могут оказаться брачные союзы между представителями разных диалектов. Напр., в одном из говоров андийского языка, принадлежащего к иберийско-кавказской семье языков, еще А. Дирром было засвидетельствовано наличие «языка женщин», т. е. некоторых особенностей, характерных только для речи женщин. Эти особенности оказались диалектными по происхождению (И. Церцвадзе) и, по-видимому, были связаны с экзогамией (А. Чикобава).

Интерпретация сходных фактов, возникших в соседних диалектах или языках, встречает определенные трудности, так как сходные факты могут быть результатом различных процессов: а) заимствования, когда какой-либо факт или структурный признак проникает из одного языка или диалекта в другой, б) общего развития, когда новшество подготавливается и распространяется в определенном ареале, включающем несколько языков или диалектов, в) параллельного развития, когда одинаковые явления независимо друг от друга возникают в разных языках или диалектах. Для разграничения этих случаев необходимо знать историю исследуемых явлений.

5. В каждом языковом изменении можно проследить две ступени: а) начальную ступень, когда появляются и постепенно накапливаются незначительные отклонения от узуса (в виде факультативных или комбинаторных вариантов при произношении звуков, различных оттенков значения морфем и т. д.) и б) конечную ступень, когда процесс завершается (одна фонема заменяется другой, появляется новое значение и т. д.).

Первая ступень может длиться долго, на что указывают случаи, когда при смешении языков изменение осуществляется не в языке-субстрате, где оно зародилось, а в усвоенном языке, которым был вытеснен субстрат. В качестве примера можно назвать западногрузинские диалекты — имеретинский, гурийский, в которых, в отличие от восточных диалектов грузинского языка, широко распространена прогрессивная ассимиляция согласных (კბლი ← კბლი *kpili* ← *kbili* „зуб“, მკვდა ← მკვდა *mkvda* ← *mkvda* „умер“ и т. д.). Это явление приписывается влиянию занского субстрата, так как аналогичный процесс имеет место в занских диалектах. Можно предполагать, что тенденция к ассимиляции уже существовала у местного населения, говорящего на занских диалектах, в то время, когда грузинский язык стал распространяться на территории Западной Грузии. Однако, этот процесс завершился значительно позже и проявился на материале грузинского языка.

Начальная ступень языковых изменений обычно остается незамеченной для говорящих и не фиксируется в письменных памятниках. Поэтому языковеды вынуждены удовлетвориться изучением второй ступени, что нередко создает видимость незапамятности языковых изменений.

Только при изучении живого языка и его диалектов может языковед наблюдать начальный этап некоторых изменений, однако в таких случаях остается неизвестным, когда они завершатся. Поэтому практически не удается измерить длительность языковых изменений.

При записи текстов специалистом для целей диахронической лингвистики особенно важно отметить всякие отклонения от узуса, разные обусловленные и необусловленные варианты, ибо они могут оказаться зародышами будущих изменений.

В процессе изменения новое и старое вначале могут сосуществовать в виде факультативных вариантов не только в речи разных членов одного языкового коллектива, но даже у одного индивида, пока в конце концов старые формы полностью не вытесняются новыми. Интересные случаи таких факультативных употреблений встречаются в сванском языке, где некоторые звуки не произносятся при быстром или обыкновенном темпе речи, но в медленном темпе или при повторении они артикулируются. Это — начало выпадения звуков. Последний

этап представлен в тех случаях, когда звуки настолько редуцированы, что акустически не воспринимаются, хотя их артикуляция все же имеет место (напр., происходит округление губ в слове ᵛᵛᵛᵛᵛᵛ [wetne, — но ожидаемый лабиальный ᵛ не слышен).

Хотя языковые изменения осуществляются в целом коллективе неодновременно, однако они не менее социальные, чем функционирование языка в синхронном плане. Наблюдение над живыми языками показывает, что инновации распространяются не путем переноса от одного индивида на другие, а в результате воздействия одинаковых факторов, подготавливающих изменение.

6. В живом языке и его диалектах могут бытовать факты, отражающие разные ступени развития. Наблюдаются следующие случаи:

А. Варианты, обособленные формы и т. д., сосуществующие во всем языковом коллективе, представляют различные этапы развития одного и того же явления. Напр., в латальском говоре одновременно встречаются ḡḡḡḡḡḡ и ḡḡḡḡḡḡ „нож“, ḡḡḡḡḡḡ и ḡḡḡḡḡḡ „дерево“, причем ḡḡḡḡḡḡ возникли из ḡḡḡḡḡḡ путем сужения гласного ḡ ä.

Б. В речи различных поколений засвидетельствованы последовательные ступени развития. Напр., в цхумарском говоре $\text{ḡ} \rightarrow \text{ḡ}$ ä \rightarrow е, причем выделяются четыре возрастные группы, которые различно употребляют названные формы: старики произносят только ḡ ä, последующее поколение предпочтение отдает ḡ ä, но спорадически употребляет и ḡ е, в речи молодежи ḡ ä и ḡ е встречаются почти с одинаковой частотой, а дети употребляют только ḡ е.

В. В разных диалектах представлены разные этапы развития. Напр., в трех диалектах сванского языка происходит редукция недолгих гласных, вследствие чего ḡ а, ḡ і, ḡ е, ḡ э исчезают, а ḡ о и ḡ и превращаются в неслоговой ḡ w. Только в лентехском диалекте сохранилась архаическая ступень, т. е. слова представлены без редукции гласных.

Г. Одни и те же процессы осуществляются в различных диалектах в разное время. Вследствие этого в определенном диалекте можно наблюдать изменение, которое гипотетически предполагается в другом диалекте. Напр., среди диалектов сванского языка только лашхский не имеет в настоящее время умлаутизированных гласных. А. Шанидзе предположил, что процесс умлаута некогда имел место и в лашхском, пережитком чего является в некоторых префиксах $\text{ḡ} \leftarrow \text{ḡ} \leftarrow \text{ḡ}$. Впослед-

ствии аналогичный процесс (т. е. $\bar{a} \rightarrow \bar{e}$) был засвидетельствован в цхумарском говоре нижебальского диалекта.

Однако, в подобных случаях следует учесть и то обстоятельство, что сходные процессы протекают в диалектах не всегда в одинаковых условиях. Напр., выпадение \bar{a} характерно для нижебальского диалекта, а также для латальского говора верхнебальского диалекта, однако, в бечойском говоре (нижебальского диал.) \bar{a} выпадает систематически после заднеязычных, в латальском говоре — только после переднеязычных, а в цхумарском — в обоих случаях, но нерегулярно.

ТИПОЛОГИЧЕСКОЕ СРАВНЕНИЕ, ЯЗЫКОВЫЕ УНИВЕРСАЛИИ И ТИПОЛОГИЧЕСКИЕ КЛАССИФИКАЦИИ¹

В отличие от сравнительно-исторического метода типологическое сравнение учитывает не языковой материал, а структурные и функциональные признаки. Типологическое сравнение может привести: а) к установлению общих закономерностей или универсалий в разных языках мира, б) к типологической классификации языков.

Общие языковые законы могут быть и синхронными и диахронными. В языкознании общие законы развития языков раньше привлекли внимание специалистов (Авг. Шлейхер, А. Мейе, Ж. Вандриес...), чем синхронные законы. На изучении синхронных общих законов (универсалий) сосредоточили внимание различные школы структурализма.

Изучение языковых универсалий широко развернулось к концу 50-ых и началу 60-ых годов (доклад Р. Якобсона на VIII Конгрессе лингвистов, Конференция в Нью-Йорке в 1961 г., посвященная лингвистическим универсалиям).

Конференция по языковым универсалиям дала начало направлению исследования, которое условно стали называть лингвистикой универсалий или универсализмом (В. А. Звегинцев).

Анализ установок участников конференции по лингвистическим универсалиям (индуктивизм и эмпиризм, допущение как синхронных, так и диахронных универсалий, связь с бихевиоризмом, антропологией в американском понимании этого термина, психолингвистикой и другими социальными науками) по-

¹ В основе настоящей работы лежат два наших доклада, первый из которых „К месту типологического сравнения (сопоставительного метода) в языкознании“ был доложен на IV научн. конференции филолог. фак. ТГУ, 7.IV. 1960 г., а второй — „Типология языков, синхрония и диахрония“ был зачитан на симпозиуме „Типология I“ 28.VIII. 1968 г. в г. Сегеде (Венгрия). При подготовке к печати в работе был рассмотрен ряд новых вопросов, в том числе вопрос о языковых универсалиях.

казывает, что это направление представляет собой развитие принципов американского дескриптивного языкознания, отражая современный этап этой школы.

Хотя изучение языковых универсалий ныне ведется в разных странах, сформулированные пока универсальные законы (которые в подавляющем большинстве случаев носят синхронный характер) неравноценны. Большой частью они тривиальны (как напр., «все языки имеют фонемы», «все языки имеют противопоставление гласных — негласных» и т. д.), некоторые из них вызывают сомнение и требуют дальнейшей проверки (напр., «если в языке имеется двойственное число, то в нем будет и множественное число»). Число универсалий, имеющих бесспорное познавательное значение, пока весьма мало. Приходится надеяться, что дальнейшее углубленное изучение данной проблемы даст более ощутимые результаты.

Вопреки мнению некоторых лингвистов, универсалии не могут привести к построению общей грамматики и фонологии типа рациональных грамматик XVII—XVIII веков. Рациональные грамматики вовсе не интересовались поисками общих языковых закономерностей. Исходя из логических категорий, они искусственно сводили многообразие языков к априорно установленным общим схемам.

Современные изыскания в области универсалий, в отличие от философских грамматик, должны исходить из языковых данных, обобщая факты разных языков. Наблюдения показывают, что наряду с общими явлениями в языках встречаются многообразные различия, несводимые друг к другу. Это означает, что невозможно создать единую грамматическую модель, имеющую силу для всех языков.

Выражение «общая грамматика», «общая фонология» можно употребить только в том смысле, что в них наряду с общими языковыми законами будут рассмотрены основные структурные типы языков и основные средства, наблюдаемые в разных языках для выражения языковых категорий (частей речи, падежей, именных классов и т. д.). «Общая грамматика» в этом понимании является частью общего языкознания, она занимается общими вопросам, возникающими при типологическом сравнении разных языков мира.

Попытки типологической классификации языков по своей направленности отличаются от поисков языковых универсалий. В то время, как в качестве универсалий стремятся выделить общие для всех языков закономерности, отношения и признаки, типологическая классификация языков учитывает как схождения, так и расхождения между языками.

Типологическая классификация группирует языки с точки зрения их структурных или функциональных особенностей, проявляющихся в фонологии, морфологии, синтаксисе, семантике...

На каждом из названных уровней в основу классификации можно положить различные структурные или функциональные признаки или же комплексы взаимообусловленных признаков. Классификации, основанные на разных критериях, не совпадают: языки, попавшие в одну группу на основе одного критерия, оказываются в разных типах по другому признаку.

Классификация языков по основному принципу может быть или диахронической, или синхронической. Первая отражает исторические отношения между языками, вторая же группирует языки без учета их исторических взаимоотношений.

Диахронические моменты имелись в виду, когда было выдвинуто понятие языковых союзов в Пражском лингвистическом кружке, поскольку языковые союзы признавались возникшими в процессе конвергенции, в результате взаимовлияния и сближения соседних языков. Однако языковые союзы в действительности выделялись на основе установления структурных сходств между соседними языками без уяснения причин и путей их возникновения. Исторической представлялась Н. Я. Марру стадияльная классификация, ставящая целью установление сменяющих друг друга стадий в развитии языков. Но теория Н. Я. Марра об едином глоттогоническом процессе, лежащая в основе стадияльной классификации, не соответствовала реальной картине развития языков.

Типологические классификации, как правило, бывают синхроническими. Таковы, напр., морфологическая классификация, концептуальная классификация Эд. Сепира и др.

Ограничиваться при типологической классификации синхронным подходом, т. е. установлением и описанием наблюдаемых типов, неправомерно. Синхронные по своей природе типологические классификации нуждаются в исторической интерпретации, необходимой для объяснения взаимоотношений между выявленными типами, а также сходств и различий между классифицируемыми языками.

Различия между языковыми типами могут быть вызваны разными причинами: А) в определенных случаях они иллюстрируют многообразие средств выражения человеческого языка и, следовательно, возникают в различных языках самостоятельно. Б) Разные типологические классы языков могут отражать различные этапы развития единого процесса. В) Наконец, типологические различия в языках возникают в результате разнообразных изменений однаковой исходной системы. В пределах одной и той же классификации могут встречаться все три случая, при этом они наблюдаются как в родственных, так и в неродственных языках.

Типологически общие черты между языками также могут быть обусловлены разными причинами: А) Они могут быть результатом общего происхождения. Тут возможны два слу-

чая: 1) Когда родственные языки сохраняют особенности общего для них языка-основы, 2) когда в них в процессе дифференциации возникают одинаковые признаки, что со своей стороны вызвано или реализацией изменений, уже наметившихся в языке-основе, или же общностью исходной системы. Б) Одним из основных факторов возникновения типологических сходств являются процессы конвергенции. При конвергенции следует различать два случая: 1) язык (или группа языков) влияет на другой язык (или другие языки), насаждая в них свои особенности. 2) В процессе конвергенции в соседних языках рождаются сходные типологические признаки, которые охватывают определенный ареал. В) Типологически сходные черты в языках возникают и в результате параллельного, т. е. самостоятельного развития. Если в первых двух случаях имеются исторические взаимоотношения между сходными языками, в третьем случае они исключаются.

Типологическое сравнение языков применяется как в синхронном так и в диахронном языкознании. При использовании типологического сравнения в синхронном языкознании возникает необходимость исторической интерпретации сравниваемых явлений. В данном случае синхронное и диахронное изучение переплетаются также, как и вообще при исследовании языков с других точек зрения.

Типологическое сравнение языков применяется как в синхронном так и в диахронном языкознании. В отличие от сравнительно-исторического метода типологическое сравнение или обобщает результаты исторического изучения языков (при установлении общих законов развития языков), или же ставит проблемы для исторического анализа (при историческом рассмотрении типологических классификаций), но специальных приемов для диахронического исследования языков оно не имеет.

МОРФОЛОГИЧЕСКИЙ АНАЛИЗ ЯЗЫКА В ТРУДАХ Ю. НАЙДЫ В СОПОСТАВЛЕНИИ С ПОЗИЦИЯМИ ДРУГИХ ДЕСКРИПТИВИСТОВ

Изучение принципов морфологического анализа языка в трудах Ю. Найды и их сопоставление с воззрениями других дескриптивистов дает возможность, с одной стороны, проследить определенные этапы в развитии дескриптивного языкознания а с другой стороны, выявить специфику Энн-Арборской школы.

Согласно установке Энн-Арборской школы Ю. Найда считал правомерным изучение значения в описательном языкознании еще в 40-х — 50-х годах, когда преподаватели Йельской школы отказывались от учета значения.

Ю. Найда, с одной стороны, выделяет лексикон, как раздел языкознания, изучающий не только морфемы, как это считал Л. Блумфилд, но и слова и фразеологические выражения.

С другой стороны, Ю. Найда, в противоположность таким представителям Йельской школы каковы З. Хэррис, Б. Блок, Г. Трейгер, Г. Смит и др., беспрепятственно использует значение как один из критериев при определении морфем, при их идентификации и классификации.

В 1946 г. Ю. Найда, в отличие от З. Хэрриса и его последователей, объединил в одну морфему не все алломорфы, имеющие одинаковое значение, а только те, которые были взаимосвязаны в звуковом отношении, а в 1948 г. (быть может под влиянием критики Ч. Хоккета) он выделяет две группы алломорф или альтернантов: фонологически обусловленные и морфологически обусловленные.

Первоначальная точка зрения Найды представляется более оправданной. На наш взгляд, морфемные сегменты с одинаковым значением, но с различным фонологическим составом являются синонимичными, но не идентичными.

Хотя с первого взгляда создается впечатление, как будто Ю. Найда объектом морфологии считает слова (срв. подзаголовок его монографии «Дескриптивный анализ слов»), однако на самом деле в его суждениях слова не занимают подобающего им центрального места. Основными единицами, которыми оперирует автор в морфологии, являются морфемы и их объединения в морфологические структуры, которые, по его же замечанию, не совпадают со словами.

Основные понятия морфологии вместе с их определениями Ю. Найда взяты у Л. Блумфилда. Найда стремится привести в систему эти понятия и разработать процедуры для изучения тех явлений и отношений, которые эти понятия отражают.

При идентификации морфем Ю. Найда использует принцип дополнительной дистрибуции, но для него в отличие от других дескриптивистов этот принцип не является ни единственным, ни ведущим. В трудах Ю. Найды особенно наглядно видно, что основой для объединения алломорф в морфемы является идентичность значения (функции). В тех случаях, когда между имеющими одинаковую функцию морфемными сегментами нет дополнительной дистрибуции, он решает вопрос в пользу значения, чем расходится с рядом дескриптивистов, старающихся и в таких случаях искусственно свести отношения между алломорфами или к дополнительной дистрибуции, или к свободному варьированию. Именно по этому поводу велась дискуссия между Найдой, с одной стороны, и Блоком и Хоккетом, с другой стороны.

Сравнивая морфологию дескриптивной лингвистики, представленную в трудах Ю. Найды, с морфологией традиционной грамматики, приходим к заключению, что между ними нет существенных различий, несмотря на некоторые расхождения, в которых немаловажную роль играет введение новой терминологии.

Дескриптивисты не создали совершенно нового учения о морфологическом описании языка, они лишь внесли в традиционную грамматику некоторые поправки и реконструкции, одни из которых приемлемы, а другие вызывают возражения. К первой группе относятся: выделение фонологически обусловленных алломорф, анализ по непосредственно составляющим, в особенности, широкое применение дистрибутивного метода и т. д. Из второй группы можно отметить: признание синонимичных морфем алломорфами, выделение «основной алломорфы», увеличение значения дистрибутивных отношений и т. д.

Но дескриптивисты совершенно не коснулись некоторых областей традиционной грамматики, явно требующих перестройки. Таково, напр., учение о частях речи, принципы выделения которых не разрабатывались в дескриптивной лингвистике, несмотря на то, что необоснованность и противоречивость традиционной классификации по частям речи неоднократно отмечались в языкознании.

В трудах Ю. Найды привлекает внимание тот факт, что, в отличие от большинства других дескриптивистов, автор при описании языка не избегает ставить проблемы исторического характера, признавая, что их решение даст возможность объяснить явления языка.

СИСТЕМА ДЕСКРИПТИВНОЙ ЛИНГВИСТИКИ В ТРУДАХ Ч. ХОККЕТА

В воззрениях одного из основных представителей дескриптивного языкознания — Ч. Хоккета наблюдается некоторое влияние европейского структурализма, выявляющееся в функциональном подходе к фонемам, в попытке разграничить язык и речь и т. д.

Хоккет, так же как и многие представители дескриптивной лингвистики, признает языкознание эмпирической наукой, основанной на индуктивном методе. Задачей языкознания он считает не создание языковой структуры, а анализ структуры, созданной говорящими на данном языке и существующей независимо от анализа.

Представляется искусственной попытка Хоккета разграничить описательное и синхроническое, историческое и диахроническое языкознание.

В отличие от ряда других дескриптивистов, Хоккет не выносит фонетику и семантику за пределы описательного языкознания, а считает их органическими частями дескриптивной лингвистики. Тем самым он учитывает практику лингвистического исследования, наглядно доказавшую, что полное описание языка без учета фонетической и семантической сторон неосуществимо.

Хоккет внес свою лепту как в установление основных понятий дескриптивного языкознания (напр., он ввел термины морфа, тактика...), так и в дело разработки процедур описания языка.

В трудах Хоккета привлекает внимание трехчленная система основных лингвистических элементов (фона—аллофона — фонема, морфа' — алломорфа — морфема).

Изменения, наблюдаемые в воззрениях Хоккета при использовании процедур анализа языка и дискуссии, которые автор вел по этому вопросу с другими дескриптивистами, выявляют некоторые трудности, возникающие перед дескриптивной лингвистикой при описании языка. С этой точки зрения особого внимания заслуживает процедура, основанная на принципе дополнительной дистрибуции.

О ЗНАЧЕНИИ ПРИНЦИПА ДОПОЛНИТЕЛЬНОЙ ДИСТРИБУЦИИ В ФОНОЛОГИИ И МОРФОЛОГИИ

Принцип дополнительной дистрибуции отражает причинную связь между фонетическим окружением и вариантами (аллофонами) фонемы. Процедура, основанная на принципе дополнительной дистрибуции оправдала себя при группировке аллофонов в фонемы. При этом данный принцип дает положительные результаты лишь в том случае, когда он применяется по отношению к фонетически сходным звукам.

В дескриптивной лингвистике дополнительной дистрибуции придается преувеличенно большое значение, хотя она не является ни единственным, ни самым важным принципом, применяемым для идентификации фонем. Наряду с дополнительной дистрибуцией используются принципы фонетического сходства, контрастности и свободного варьирования.

В морфологии принцип дополнительной дистрибуции был перенесен из фонологии. Однако использование данного принципа в морфологии встречает трудности, связанные со спецификой морфологического уровня. Вопрос о возможности применения дополнительной дистрибуции неодинаково решается относительно фонологически обусловленных и морфологически обусловленных алломорфов или альтернантов.

Принцип дополнительной дистрибуции применим к алломорфам, обусловленным фонологически. Но в отличие от фонологического уровня здесь не всегда имеются взаимоднозначные соответствия между вариантами и окружениями. В то время, как в фонологии различным вариантам всегда соответствуют различные окружения и наоборот, в морфологии наряду с такими морфофонематическими альтернантами, которые тоже имеют автоматический характер, встречаются и такие, которые менее всеобщие: в одинаковых окружениях одни морфемы подвергаются альтернации, а другие нет (срв. англ. knife — множ.

knives, no fife — fifes). Отсюда следует, что в морфофонемике не всегда возможно по окружению предугадать появление того или иного альтернанта.

Применение дополнительной дистрибуции к морфологически обусловленным алломорфам неоправдано по той причине, что здесь не имеется условий, вызывающих дополнительную дистрибуцию. Морфологически обусловленные алломорфы не вызваны окружениями (ни фонетическими, ни семантическими).

Невозможность применения дополнительной дистрибуции к морфологически обусловленным алломорфам особенно ясно дает себя знать в тех случаях, когда встречаются дублетные (параллельные) формы (напр., англ. brothers || brethren от brother). В таких случаях алломорфы встречаются в одинаковых окружениях, что исключается принципом дополнительной дистрибуции. Разногласия среди дескриптивистов при квалификации дублетных форм выявляют непреодолимые препятствия, встречающиеся при использовании принципа дополнительной дистрибуции к морфологически обусловленным алломорфам.

Рассмотрение морфологически обусловленных вариантов показывает, что неоправдано механическое перенесение в морфологию фонологических понятий и процедур анализа. Фонология представляет собой самый низкий и элементарный уровень языка. Поэтому рамки фонологии тесны для морфологии. Идентификация морфологических элементов намного сложнее, чем идентификация фонологических единиц. Соответственно должны усложняться принципы анализа и аппарат, при помощи которого описываются эти элементы.

В морфологии сравнительно с фонологией возникают две новые проблемы: проблема значения морфологических элементов и проблема отношения между звуковой формой и значением. Ни одна из них не учитывается принципом дополнительной дистрибуции.

Представляется неоправданным объединение в одну морфему морфологически обусловленных алломорф на основе идентичности только их значения. Поскольку морфемы представляют собой единство звуковой формы и значения, для решения вопроса об эквивалентности морфологических элементов необходимо учесть обе стороны.

Об алломорфах одной морфемы целесообразно говорить, когда имеем дело с вариантами звуковой формы или вариантами значения. А в тех случаях, когда алломорфы несводимы друг к другу или в звуковом отношении или с точки зрения их значения, их следует признать различными морфемами. Алломорфы, имеющие одинаковое значение, но не связанные друг с другом с точки зрения звукового состава, синонимичны и их

также следует отнести к различным морфемам, как это делается относительно омонимов, которые тождественны в звуковом отношении, но различны по значению.

НЕСКОЛЬКО ЗАМЕЧАНИЙ ОБ АНАЛИЗЕ ПО НЕПОСРЕДСТВЕННО СОСТАВЛЯЮЩИМ В СИНТАКСИСЕ

Изучение проблемы непосредственно составляющих по трудам Л. Блумфилда и его последователей — дескриптивистов приводит к заключению, что непосредственно составляющие не представляют специфически синтаксического понятия. Это вспомогательный для структурного анализа термин, дающий возможность упорядочить и иерархически распределить компоненты сложной формы. Поэтому на каждом уровне анализ по непосредственно составляющим должен основываться на единицах и отношениях данного уровня. Именно в качестве такого регулирующего понятия используются непосредственно составляющие дескриптивистами в морфологии. Иное положение наблюдается в синтаксисе.

Согласно программе Л. Блумфилда, каждая сложная форма может быть описана в терминах НС и тех грамматических признаков (таксем), которые характеризуют расположение (аранжировку) составляющих форм. Выполнение этой задачи требует установления типов конструкций, типов составляющих и разновидностей грамматической аранжировки или таксем. Ни одна из перечисленных проблем не была исчерпывающе разработана Блумфилдом. Он представил лишь общие принципы и фрагментарные иллюстрации для их решения.

Представители дескриптивной лингвистики при разработке вопросов синтаксиса исходят из учения Блумфилда, но развивают это учение в разных направлениях. В результате этого получаем различные теории, в которых проблематика синтаксиса становится более узкой, а ряд основных понятий менее ясным, чем это было у Блумфилда.

Дескриптивисты не дали исчерпывающей и удовлетворительной классификации типов синтаксических составляющих и конструкций. Спорной является точка зрения, восходящая к Блумфилду, согласно которой фундаментальными классами синтаксических составляющих признаны не члены предложения, а части речи. Неоправданным представляется описание синтаксических конструкций в терминах частей речи.

Грамматические признаки расположения форм пользуются у дескриптивистов значительно меньшим вниманием, чем у Блумфилда. В этом по-видимому немаловажную роль играет тот факт, что дескриптивисты для анализа в первую очередь обращаются к английскому языку, в котором отношения между составляющими редко выражаются материально (при помощи

аффиксов). Принципы, выработанные при анализе английского языка, переносятся и на языки, богатые аффиксами, что приводит к игнорированию специфических для этих языков синтаксических отношений.

Таким образом, в дескриптивной лингвистике не установлены те синтаксические единицы и отношения, которые должны быть упорядочены при помощи НС. В таких условиях анализ не может быть плодотворным. По нашему мнению, неясность основных синтаксических понятий и отношений является причиной того, что НС в синтаксисе имеют значительно большую ценность, чем в морфологии. НС приобрели самостоятельное значение и на них была возложена обязанность скрыть проблемы, возникающие вследствие неразработанности специфических синтаксических проблем.

Неупорядоченность вопросов синтаксиса представляется одной из причин того, что конечными составляющими синтаксиса, даже у исследователей, признающих необходимость разграничения морфологии и синтаксиса, оказываются не слова, а морфемы. Второй причиной неоправданного смещения синтаксического и морфологического уровней, на наш взгляд, является игнорирование дескриптивистами роли слова, как структурной единицы языка.

Теория непосредственно составляющих, которая не основывается на эксплицитно установленных синтаксических понятиях и отношениях, не дает объективных критериев для анализа языка. Несмотря на ряд попыток выработать процедуры синтаксического описания языка, выделение НС в основном и по существу происходит по интуиции говорящего или исследователя.

КЛАССИФИКАЦИЯ ЧАСТЕЙ РЕЧИ И МЕТОД СУБСТИТУЦИИ В СИНТАКСИСЕ ДЕСКРИПТИВНОГО ЯЗЫКОЗНАНИЯ

В учении Л. Блумфилда, лежащего в основе синтаксических исследований дескриптивистов, основными классами слов, при помощи которых описываются синтаксические конструкции, признаны части речи. Хотя Блумфилд указывает на некоторые недостатки традиционной классификации, тем не менее он (также как и многие из его последователей) использует схему традиционной классификации частей речи.

Точка зрения Блумфилда вызывает несколько возражений:

а) пытаясь учитывать синтаксические функции (позиции) частей речи, Блумфилду приходится констатировать случаи пересечения и расщепления классов, что наглядно показывает несоответствие между частями речи и синтаксическими классами слов.

б) В основу синтаксического анализа следует класть не части речи, а синтаксические классы слов, — части предложения.

При этом совершенно очевидно, что традиционное учение о членах предложения требует существенной переработки.

в) Неправомерным представляется сведение синтаксического класса фразы (т. е. словосочетания) к классу одного из ее составляющих слов, так как оно приводит к игнорированию синтаксической роли второстепенных членов предложения.

Предложенная З. С. Хэррисом операция субституции, ставшая своей целью позиционный анализ, признается универсальной для описания языка: она перенесена в синтаксис из фонологии и морфологии. Субституция используется для группировки морфем и морфемных последовательностей в субститутивные классы.

Классификация морфем, данная Хэррисом, объединяет гетерогенные единицы: из 35 классов 18 представляют собой одноморфемные части речи и их подклассы (т. е. слова), 16 — аффиксы, а один состоит из связанных основ. Таким образом в одной классификации представлены слова и морфемы.

Аналогичное положение имеем и относительно последовательностей морфем, которые не создают новой классификации. Здесь объединены части речи (т. е. слова), составленные из нескольких морфем, а также фразы (т. е. словосочетания).

По нашему мнению, субституция, использованная Хэррисом в синтаксисе, формально неоправдана. Именно, неправомерно замещать одно слово несколькими словами, якобы заполняющими ту же позицию. Напр., *false* замещается словосочетанием *completely false* в высказывании: *That's a—statement*.

Глобальными единицами синтаксиса являются слова, каждое из которых занимает одну позицию: *That's a — statement* действительно заполняется словом *false*, но *completely false* заполняет не одну, а две позиции: *That's a — — statement*. Следовательно, нет основания отождествлять слово и словосочетание с точки зрения позиционного анализа. Тем самым теряют силу представленные в трудах Хэрриса уравнения, в которых на основе вышеописанных неоправданных субституций последовательности слов (фразы) сводятся к отдельным словам.

შემოკლებათა განმარტება

- გერმ. — გერმანული ენა
ეგ — ერთეული და განლაგება
ეპ — ერთეული და პროცესი
ინგ. — ინგლისური ენა
მიც. — მიცემითი ბრუნვა
მოთხ. — მოთხრობითი ბრუნვა
მრ. რ. — მრავლობითი რიცხვი
მხ. რ. — მხოლოდობითი რიცხვი
ნაკვ. — ნაკვეთი
ნათ. — ნათესაობითი ბრუნვა
სახ. — სახელობითი ბრუნვა
სპ — სიტყვა და პარადიგმა
უშ — უშუალო შემადგენლები
ფრანგ. — ფრანგული ენა
იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება
ВЯ — Вопросы языкознания
ИАН СССР, ОЛЯ — Известия Академии наук СССР, Отделение
литературы и языка
ИР — Избранные работы
МГУ — Московский государственный университет
AL — Acta Linguistica
BSLP — Bulletin de la Société de Linguistique de Paris
IJAL — International Journal of American Linguistics
Lang. — Language
RiL — Readings in Linguistics
SIL — Studies in Linguistics
TCLC — Travaux du Cercle Linguistique de Copenhague
TCLP — Travaux du Cercle Linguistique de Prague
Zeitschr. für Phon. u. allg. Sprachwiss. — Zeitschrift für Phonetik
und allgemeine Sprachwissenschaft

პირის სახელთა საძიებელი

- აბაევი ე. ი. (Абаев В. И.) 123.
 ალენი ვ. ს. (Allen W. S.) 251.
 ამერი კ. (Ammer K.) 49, 99.
 აპელი ვ. (Appel W.) 51.
 არუთინოვა ნ. დ. (Арутюнова Н. Д.) 179, 339, 352, 368, 377, 380, 478.
 ახმანოვა ო. ს. (Ахманова О. С.) 352.
 ბაზელი კ. (Bazell C. E.) 366, 377, 380.
 ბალი შ. (Bally Ch.) 14, 21—24, 36, 37, 39, 41, 410.
 ბენვენისტი ე. (Benveniste E.) 14—18, 20—26, 32, 33, 35—38, 40, 55, 56, 59, 60, 410, 412.
 ბუისენსი ე. (Buysens E.) 27, 52.
 ბიულერი კ. (Bühler K.) 19, 43.
 ბლუმფილდი ლ. (Bloomfield L.) 92, 95, 96, 103, 104, 107, 108, 131, 132, 133, 136, 138, 139, 141, 148, 149, 160, 161, 171, 177, 185, 187, 198, 200, 211, 221, 225, 234, 239, 257, 256, 269, 285, 289, 297, 311—333, 342, 348, 349, 356—367, 369—372, 374, 375, 381, 387, 384—392, 394, 398, 400, 407, 422, 423, 427, 428.
 ბლოკი ბ. (Bloch B.) 131, 133, 137, 139, 140, 142, 144, 145, 155, 157, 161, 177, 179, 187, 205, 210, 234, 217, 294, 296, 303, 374, 333, 337, 350, 351, 356, 365, 366, 377, 391, 423.
 ბოასი ფ. (Boas F.) 107, 165, 186, 289, 290.
 ბონფანტე გ. (Bonfante G.) 13.
 ბორგაუ ვ. (Borgeaud W.) 28.
 ბრეკერი ვ. (Bröcke W.) 28.
 ბრენდალი ვ. (Brøndal V.) 63, 94, 95.
 ბუდაგოვი რ. ა. (Бударов Р. А.) 9, 40.
 გალკინა-ფედორუკი ე. მ. (Галкина-Федорук Е. М.) 46, 47, 49, 411.
 გარდინერი ა. (Gardiner A.) 14, 21, 23, 24, 36, 410.
 გლისონი ჰ. (Gleason H. A.) 131, 140, 146, 174, 177, 286, 294, 337, 340, 352, 354, 358, 351, 352, 373, 381, 404.
 გორსკი დ. პ. (Горский Д. П.) 47.
 გრიმი ი. (Grimm J.) 93.
 გრინბერგი (Greenberg J. H.) 100, 101—105, 109, 111, 114, 352.
 დამურეტი (Damourette J.) 16, 21.
 დელაკროიტი ფ. (Diacroit F.) 43.
 დირი ა. (Dirr A.) 78, 416.
 ეგე ნ. (Ege N.) 27—33, 41, 411.
 ედჯერტონი ფ. (Edgerton F.) 289.
 ელისი ჯ. (Ellis J.) 50.
 ესნოლტი გ. (Esnault G.) 16.
 ვაინრაიხი უ. (Weinreich U.) 101.
 ვაისგერბერი ლ. (Weisgerber L.) 33.
 ვანდრეისი ჯ. (Vendryes J.) 43, 46, 86, 88, 89, 93, 94, 105, 419.
 ვეგლინი კ. (Voeglin C. F.) 240.
 ვოსტრიკოვი ა. ვ. (Востриков А. В.) 46.
 ვუნდტი ვ. (Wundt W.) 19.
 ზავადოვსკი ლ. (Zawadowski L.) 51, 57.
 ზაიდელი ე. (Seidel E.) 49.
 ზეგინცევი ე. ა. (13, 55, 62, 63, 90, 97, 102, 105, 108, 112, 148, 200, 419).
 თოფურია ვ. (Торурна В. Т.) 84, 123.
 იაკობსონი რ. (Jakobson R.) 54—57, 62, 63, 65, 91, 92, 97—104, 108, 110, 114, 117, 419.
 იასემი ვ. (Jassem V.) 54.

- იელმსლევს ლ. (Hjelmslev L.) 28—35, 63, 91—94, 106, 186, 236, 237, 411.
 ივანოვი ვ. (Иванов Вяч. В.) 97.
 იოჰანსენი ს. (Johansen S.) 28, 29, 31, 32, 411.
 კანტი ე. (Kant E.) 45.
 კარნაპი რ. (Karnap R.) 43.
 კასაგრანდე ი. ბ. (Casagrande J. B.) 107.
 კასირერი ე. (Kassirer E.) 17, 18, 20, 43.
 კლიმოვი გ. ა. (Климов Г. А.) 179, 339, 352, 359, 408.
 კნობლოხი ი. (Knobloch J.) 86.
 კოუგილი ვ. (Cowgill W.) 104.
 კრუშევსკი ნ. ვ. (Крушевский Н. В.) 55, 56.
 კუბრიაკოვა ე. ს. (Кубрякова Е. С.) 179, 339, 352, 358, 377, 408.
 ლაიბნიცი გ. (Leibniz G. W.) 110.
 ლენინი ე. ი. (Ленин В. И.) 45, 46, 48, 411.
 ლერხი ე. (Lerch E.) 14, 16, 17—21, 26, 38, 40, 42, 57, 59, 410, 411.
 ლიზი რ. (Lees R. B.) 192, 380.
 ლოჰანი ე. (Lohman J.) 28.
 ლომთათიძე ქ. (Ломтатидзе К. В.) 83.
 ლონგაგრი რ. (Longacre R. E.) 338, 339, 366, 359.
 ლუნსბერი ფ. (Lounsbury F.) 199, 241, 244.
 მათეზიუსი ვ. (Mathesius V.) 90.
 მაიერი გ. (Meier G.) 49, 50, 53, 54.
 მარი ნ. (Marr Н. Я.) 46, 114, 118, 421.
 მარტი ა. (Marty A.) 110.
 მეილე ა. (Meillet A.) 6, 48, 87, 88, 106, 117, 419.
 მელნიჩუკი ა. (Мельничук А.) 51.
 მეშჩანინოვი ი. ი. (Мещанинов И. И.) 92, 97, 114, 115.
 მიკუშ რ. ფ. (Мikuš R. F.) 50.
 მიულერი მ. (Müller M.) 12.
 მიულერი ჰ. (Müller H.) 133, 137, 140, 159.
 მიქაელაიანი გ. ბ. (Микаэлян Г. Б.) 352.
 ნაიდა ი. (Nida E. A.) 129—149, 151—168, 170—175, 187, 194, 205, 285, 288, 305, 332, 334, 337, 340, 342, 344, 350, 351, 353, 359, 363, 364, 366, 370, 373, 376, 377, 379, 380, 391, 422, 424.
 ნერინგი ა. (Nehring A.) 21, 25, 26, 36, 39, 42, 410.
 ოზუდო ჩ. (Oswood Ch. E.) 101, 102, 107, 108.
 პაიკი ე. (Pike E. V.) 225.
 პაიკი კ. ლ. (Pike K. L.) 107, 161, 205, 225, 332, 337, 340, 341, 358, 363, 366—370, 372, 373, 375, 380—381, 391.
 პიაჟე ე. (Piaget J.) 18.
 პიტმენი რ. (Piltman R. S.) 161, 332, 334, 337, 342, 363, 372, 373, 377, 379, 380.
 პიშონი ე. (Pichon J.) 14, 16, 17, 21, 410.
 პოლივანოვი ე. დ. (Поливанов Е. Д.) 92.
 პოპოვი პ. ს. (Попов П. С.) 47.
 პრესტონი ვ. (Preston W. D.) 182, 183.
 რასელი (Russell B.) 43.
 რაპორტი ა. (Rapport A.) 51.
 რაუხი ი. (Rauch I.) 334.
 რეზნიკოვი ლ. (Резников Л. О.) 43—49.
 როგავა გ. (Рогава Г. В.) 123.
 საპორტა ს. (Saporta S.) 101.
 სეპირი ე. (Sapir E.) 43, 46, 104, 107, 114, 186, 221, 289, 290, 421.
 სერგებრენიკოვი ბ. ა. (Серебрянников Б. А.) 45, 97, 411.
 სეშე ა. (Sechehaye A.) 14, 21—24, 36, 37, 39, 41, 410.
 სვადეში მ. (Swadesh M.) 240, 241, 292, 294.
 სკოტი ჩ. ტ. (Scott Ch. T.) 334.
 სმიტი ჰ. (Smith H. L.) 133, 139, 146, 177, 294, 350, 351, 356, 357, 363, 365, 379, 423.
 სოსიური ფ. (Saussure F. de) 7—14, 17, 20—30, 32—39, 41—43, 46, 48, 52—57, 59, 61, 63, 67, 180, 198, 199, 200, 201, 230, 290, 372, 378, 380, 381, 409, 410, 412, 413.

- სპირკინი ა. გ. (Спиркин А. Г.) 46.
სტერტევანტი ე. (Sturtevant E. H.) 289.
სტრიტი ჯ. (Street J. C.) 334, 362, 372,
378, 380, 381.
სტუხლიკი ი. (Stuchlik J.) 51.
ტიტერი კ. (Peeter K. V.) 191.
ტელეჯი ზ. (Teleđi Zs.) 57.
ტუოდელი ფ. (Twaddell F. W.) 259.
ტოგებიუ კ. (Togebuy K.) 52.
ტრაიზერი გ. ლ. (Trazer G. L.) 96, 131,
133, 137, 139, 140, 142, 145, 146,
177, 179, 205, 217, 248, 294, 296,
349—351, 354, 356—358, 363—365,
379, 423.
ტრნკა ბ. (Trnka B.) 85, 90.
ტროსტი პ. (Trost P.) 53.
ტრუბეტკოი ნ. (Trubetzkoy N.) 89, 90,
92, 117, 221, 222, 259, 293.
უელზი რ. (Wells R. S.) 159, 161, 197,
210, 285, 323, 332, 334—337, 340—
342, 350, 353, 356, 357, 360—363,
365, 367—371, 373, 375—377, 380,
391, 407, 408.
უიტნი ე. (Whitney W.) 12.
უორფი ბ. (Whorf B. L.) 179, 180,
233.
ურბანი ე. (Urban W. W.) 43.
უსპენსკი ბ. (Успенский Б. А.) 102, 109,
110.
ფანტი გ. (Fant G. M.) 91.
ფერგუსონი ჩ. (Ferguson Ch. A.) 101.
ფრაი ა. (Frei H.) 14, 21—24, 36, 37,
39, 41, 410.
ფონაგი ი. (Fónagy I.) 52.
ფორტუნატოვი ფ. ფ. (Фортунатов Ф.
Ф.) 152, 164.
ფრიხუა ბ. (Почуха Б. А.) 3, 4.
ფრიზი ჩ. (Fries Ch. C.) 205, 289, 337,
338, 340, 344, 346, 350, 357, 359,
364, 366, 372, 377.
ფროლოვა ე. ა. (Фролова Е. А.) 49.
შანიძე ა. (Шанидзе А. Г.) 84, 85, 120,
418.
შლაიხერი ავგ. (Schleicher A.) 12, 87,
88, 106, 419.
ჩაო ი. რ. (Chao Y. R.) 339, 353, 356,
365.
ჩერი ე. (Cherry E.) 91.
ჩეტმენი ს. (Chatman S.) 332, 334, 337,
ჩიქობავა ა. (Чикобава А. С.) 3, 4, 7,
9, 45, 65, 78, 120—122, 125, 127,
411, 416.
ცერცვაძე ი. (Церцвадзе И. И.) 78,
416.
ძიდიგური შ. (Дзидигური Ш. В.) 84.
ხომსკი ნ. (Chomsky N.) 106, 192, 193,
380.
ჯავახიშვილი ი. (Джавахишвили И. А.)
125.
ჯენკინსი ჯ. (Jenkins J. J.) 101, 102.
ჯოსი მ. (Joos M.) 221—223, 228, 229,
232, 234, 255.
ჯონსი დ. (Jones D.) 293.
ჰაასი ვ. (Haas W.) 50.
ჰალე მ. (Halle M.) 91, 191.
ჰანი ე. (Hahn E. A.) 289.
ჰარისი ზ. (Harris Z. S.) 96, 133, 137,
139—142, 148, 150—152, 157, 161,
163, 177, 183, 186, 187, 192, 205,
206, 233, 234, 240, 241, 266—269,
277, 278, 287, 289, 294—296, 306,
332—336, 339, 341, 349, 350, 354,
356, 37, 359, 360, 365, 367, 368,
371, 373, 376, 381, 384, 391—395,
397—408, 423, 429.
ჰაუგენი ე. (Haugen E.) 186.
ჰაუსჰოლდერი ფ. (Housholder F. W.)
185.
ჰემპი ე. (Hamp E. P.) 233.
ჰენიგსვალდი ჰ. (Hoenigswald H. M.)
104, 106, 289.
ჰოკეტი ჩ. (Hockett Ch. F.) 101—103,
109, 129, 140, 142—144, 149, 177—
215, 217—288, 289—291, 294, 296,
303, 305, 306, 337, 338, 340, 346,
347, 349—352, 353, 354, 356, 357,
359, 361, 363, 365, 367, 368, 370,
372, 373, 377, 381, 403, 423—425,
429.
ჰორალეკი კ. (Horalek K.) 51.
ჰუსერლი ე. (Husserl E.) 110.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
Предисловие	4
ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი თანამედროვე ენათმეცნიერებაში	5—60
1. საკითხის დასმისათვის	5
2. ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი ფ. დე სოსიურის კონცეფციაში	7
3. დისკუსია ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის შესახებ 40-იან წლებში სტრუქტურალისტურ ლიტერატურაში	13
ა) ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის უარყოფა	14
ბ) ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის დასაბუთება	21
გ) ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი გლოსემატიკაში	28
4. რა შედეგები მოგვცა ნიშნის ნებისმიერობის საკითხზე გამართულმა დისკუსიამ?	35
5. ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა და ასახვის თეორია	43
6. სიმპოზიუმი ენობრივი ნიშნის შესახებ 1959 წ. ერფურტში	49
დასკვნა	57
ცოცხალი ენის დიალექტთა მნიშვნელობა ენის განვითარების შესწავლისათვის (სინქრონია-დიაქრონიისა და სტატიკა-დინამიკის ურთიერთობასთან და- კავშირებით)	61—85
ტიპოლოგიური შედარება, ენობრივი უნივერსალიები და ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციები	86—129
1. ენათა ტიპოლოგიური შედარება ისტორიულ ენათმეცნიერებაში	87
2. ტიპოლოგიური შედარება სტრუქტურულ (სინქრონიულ ენათმეცნიერებაში	89
3. ზოგადი ენობრივი კანონები ანუ ენობრივი უნივერსალიები	96
4. ზოგადი ანუ უნივერსალური გრამატიკის საკითხი	110
5. ენათა ტიპოლოგიური შედარება და ტიპოლოგიური კლასიფიკაციები	113
6. ენობრივი ტიპებს შორის მსგავსება-განსხვავებათა შესახებ	119
7. ტიპოლოგიური შედარება და ისტორიულ-შედარებითი კვლევა	126
ენათა მორფოლოგიური ანალიზი ი. ნაიდას მიხედვით სხვა დესკრიპტივისტთა პოზიციებთან შეპირისპირებით	129—177
1. ზოგადი შეხედულებები და მორფოლოგიის ძირითადი დონეები	
1. დესკრიფციული ანალიზის ძირითადი პრინციპები	130
2. სინქრონიული ენათმეცნიერების დარგები და მორფოლოგიის ადგილი	

მათ შორის	131
3. მნიშვნელობის კრიტერიუმში ენის მორფოლოგიური ანალიზის დროს	136
4. მორფოლოგიის ძირითადი ცნებები	138
II. ენის მორფოლოგიური აღწერა	
ენის მორფემული ინვენტარი	151
1. მორფემათა იდენტიფიკაცია	152
2. მორფემათა ტიპები	158
მორფემათა დისტრიბუცია	160
III. ზოგადი დასკვნები	
1. ი. ნაიდას მორფოლოგიის მიმართება ტრადიციული გრამატიკის მორფოლოგიასთან	165
2. დესკრიფციული ენათმეცნიერების მიმართება ისტორიულ ენათმეცნიერებასთან ი. ნაიდას მიხედვით	170
დესკრიფციული ენათმეცნიერების სისტემა E. ჰოკეტის ნაშრომებში	177—291
1. ენათმეცნიერების ზოგადი დახასიათება	178
1.1. დესკრიფციული ენათმეცნიერება კლასიფიკაციის მომხდენი მეცნიერება	178
1.2. დესკრიფციისა და სინქრონის, ისტორიისა და დიაქრონის გამოყენის ცდა	179
1.3. ენათმეცნიერება კი არ ქმნის ენის სტრუქტურას, არამედ სწავლობს მოლაპარაკეთა მიერ შექმნილი ენის სტრუქტურას	182
1.4. ინდუქციისა და ემპირიული მიდგომის მნიშვნელობა ენათმეცნიერებისათვის	185
2. ენის გრამატიკული აღწერის მოდულები	
2.1. გრამატიკული აღწერის ორი მოდელი — ეგ და ებ	186
2.2. ენის აღწერის მოდელთა შეფასების კრიტერიუმები	189
2.3. ენის აღწერის სხვა მოდულები	191
2.4. დასკვნა	193
3. ენის სტრუქტურა და მოდელი (resp. სისტემა). მეტყველება და ენა. ფორმა და სუბსტანცია	
3.1. სტრუქტურა და მოდელი (resp. სისტემა)	195
3.2. ფორმა და სუბსტანცია	197
3.3. ენა და მეტყველება	199
4. ენის აგებულება და დესკრიფციული ენათმეცნიერების სტრუქტურა	
4.1. დესკრიფციული ენათმეცნიერების სქემა	201
4.2. ფონეტიკა და სემანტიკა დესკრიფციული ენათმეცნიერების დარგებში	203
4.3 როგორ არის წარმოდგენილი დესკრიფციული ენათმეცნიერების დარგები ჰოკეტის ნაშრომებში	
4.3.1. ფონეტიკა და სემანტიკა	207
4.3.2. ფონოლოგია	208

4.3.3. გრამატიკა	208
4.3.4. მორფოლოგიკა	209
4.3.5. ტაქტიკა	211
4.3.6. როგორ არის დამუშავებული ეს დარგები	213
5 ენის ანალიზის დონეები და ფენები: ორობითობის პრინციპი. იერარქიული ანუ უშუალო შემადგენელთა სტრუქტურა	
5.1. ენის ანალიზის დონეები და ფენები	214
5.2. მოდელის ორობითობა	215
5.3. იერარქია, უშ მიდგომა	215
6. ფონოლოგიის ძირითადი ერთეულები	
6.1. ფონოლოგიის ძირითადი ერთეულები 1942 წ.	215
6.2. ფონოლოგიის ძირითადი ერთეულები 1947—1955 წწ.	223
6.3. ფონოლოგიის ძირითადი ერთეულები 1956 წ.	229
7. გრამატიკის ძირითადი ერთეულები	233
8. როგორი ბუნებისაა ფონოლოგიისა და გრამატიკის ერთეულები. მორფემებისა და ფონემების ურთიერთმიმართებაანი	235
9. ჰოკეტის კონცეფცია ენობრივი ერთეულებისა და მათ მიმართებათა შესახებ 1961 წ.	238
9.1. მორფემები და ფონემები	239
9.2. მორფოლოგიკა, მორფემები და სხვა ცვლადები	241
9.3. C მიმართება	245
9.4. ფონემები და ფონები	247
9.5. R მიმართება	249
9.6. სიდიდის დონის მოწესრიგება ფონოლოგიაში და გრამატიკაში	249
10. ზოგიერთი შენიშვნა ჰოკეტის მიერ გამოყოფილ ერთეულთა და მათ მიმართებათა შესახებ	
10.1. საჭიროა თუ არა ძირითად ერთეულთა სამეულები?	251
10.2. რამდენად გამართლებულია ფონებისა და მორფემების ამოღება ენათმეცნიერების ძირითად ერთეულთა სიიდან?	252
10.3. წარმოადგენს თუ არა ფონემა ფონოლოგიის ძირითად ერთეულს?	255
10.4. ენობრივ ერთეულებს შორის მიმართებათა შესახებ	257
11. ენის დესკრიფციული ანალიზის პროცედურები	
11.1. ფონემიკური ანალიზის პრინციპები	258
11.2. რა თავისებურებები გვხვდება ჰოკეტის შრომებში ფონემიკური ანალიზის პროცედურათა განხილვისას?	264
11.3. მორფემიკური ანალიზის პრინციპები	
11.3.1. ჰარისის მორფემიკური ანალიზის პრინციპთა შესწორება ჰოკეტის მიერ	266
11.3.2. მორფემიკური ანალიზი „თანამედროვე ენათმეცნიერების კურსში“	272
11.3.3. მორფემიკური ანალიზის თავისებურებანი ჰოკეტის შრომებში	277
11.3.4. მორფოლოგიკის პრინციპები „ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“	281

დანართი	288
დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი და მისი მნიშვნელობა ფონოლოგიისა და მორფოლოგიისათვის	292—310
ზოგიერთი შენიშვნა სინტაქსში უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის შესახებ	311—383
1. ლ. ბლუმფილდის სინტაქსური მოძღვრება	311
2. ლ. ბლუმფილდის სინტაქსური მოძღვრების ანალიზი	321
3. სხვადასხვა მიმართულება დესკრიფციულ სინტაქსში	331
4. გრამატიკის ძირითადი ერთეულები. გრამატიკის ამოცანები და სინტაქსის საგანი დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში	
4.1. მორფემა თუ სიტყვა	348
4.2. გრამატიკის დარგები	352
4.3. რას შეისწავლის სინტაქსი?	355
4.4. წინადადების ტიპები	358
5. რატომინებით ხდება სინტაქსური აღწერა?	
5.1. კონსტრუქციები	359
5.2. კონსტრუქციათა ტიპები	362
5.3. ფორმალური კლასები. შეტყუვლების ნაწილები	363
5.4. უშუალო შემადგენლები	365
6. სინტაქსური მიმართებები	
6.1. ტაქსემები და ტაგმემები	369
6.2. გრამატიკული განლაგების თვისებები	370
6.3. პოზიცია	371
7. უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის პროცედურები	
7.1. მორფოლოგიური და სინტაქსური დონეების გაურჩევლობა უშ-თა მიხედვით ანალიზის დროს	372
7.2. უშუალო შემადგენელთა გამოყოფის კრიტერიუმები	374
7.3. რა შედეგებია მიღწეული სინტაქსში უშ-თა მიხედვით ანალიზის ტექნიკის თვალსაზრისით?	374
დასკვნა	382
შეტყუვლების ნაწილთა კლასიფიკაცია და სუბსტიტუციის მეთოდი დესკრიფციული ენათმეცნიერების სინტაქსში	384—408
Теоретические вопросы современного языкознания (резюме)	409
შემოკლებთა განმარტება	430
პირის სახელთა საძიებელი	431
შინაარსი	434
Contents	438